644
1975/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრწყინავს საუნჯე ჩემი ახალი,
როგორც შროშანი შენი უბრალო;
ბრწყინავს ცისკარი აღზევებული
და სიხარულთა ჩემთა უფალი...
აჰა, საუნჯე ჩემი ახალი...

ანა კალანდაძე

ასწიეთ მაღლა,
აიტაცეთ ღრუბელთა ზედა,
ქალი — მებრძოლი,
ქალი — დედა,
ქალი — ლეგენდა!..

მარიკა ბარათაშვილი

# ცისკარი

ქვეყნის ფასია ეს მოლეული,
ხელიდან ხელში გადამავალი
და მშობლებს ვინმე თეთრმორეულ
ატყვის:
— ეს ერთი და სხვა მრავალი!

მაყვალა მრევლიშვილი

როცა სიკვდილი ფხიზლად თავს მედგა —
მომავალ დღეებს არ ვთვლიდი ჩემად, —
შენ, ჩემო გულო, იბრძოდი მედგრად
ჩემი სიცოცხლის გადასარჩენად...
ერთგულო ჩემო! მადლობა შენდა,
მზიანი დილა რომ გამითენდა!..

მარიჯანი

გიორგი! — მაღლდება ჩემში ახალი
სიტყვა ნათელი, სიტყვა კიანთა...
ღმერთო! — აცოცხლე, ღმერთო,
ახარე
მიწა მარადი — გეორგიანთა...

ნაზი კილასონია

12
1975

სიკეთით სიკვდილსაც მოვრევივარ,
მრავალჯერ გაყიდული, გაძარცვული...
სიკვდილის შემდეგაც მფლობელი ვარ
ფასდაუდებელი საგანძურის!..

მედეა კახიძე




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

223

გამოცემის მეცხრამეტე წელი

13090

12

დეკემბერი

1975

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი


## სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

3. დამამთავრებელი წელი — გამარჯვებათა წელი

## პროზა, პოეზია

11. ოთარ ჭილაძე. ყოველმან ჩემმან მპოვნელმან..., რომანი. გაგრძელება.
76. ფრიდონ ხალვაში. ლექსები.
79. ლადო სულაბერიძე. წარწერა წიგნზე. ლექსი.
80. თეიმურაზ მაღლაფერიძე. „ბაულ ბავხე". მოთხრობა.
104. სილოვან ნარიმანიძე. ლექსები.
108. ტაგუ მეგურიშვილი. ლექსები.
110. მირიან მირნელი. ლექსები.

## თარგმანი

113. ჯეფრი ჩოსერი. კენტერბერიული მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ.

## ნარკვევი

5. ლევან ფრუიძე. ატენში გახლდით.
121. მანანა ვახტანგაძე. ქიზიყი და... ქიზიყელები.

## წერილები

126. დიმიტრი იოვაშვილი. აგაგოს და მისი ვაჟების ტრაგიკომედია.
137. თეიმურაზ ბერიძე. ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან.
151. გოჩა ჯაფარიძე. თამაზ ნატროშვილი: — „მაურიყით მაღრიბამდე".

## ჩვენი პუბლიკაცია

154. სიმონ ჩიქოვანი. გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი 60 წლის საიუბილეო სალამოზე წარმოთქმული სიტყვა.
157. ჟურნალ „ცისკრის" 1975 წლის ნომრების შინაარსი.



მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაქრაძე,
გურამ გვერდწითელი,
გივი გეგეჭკორი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
ღერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
ოტია პაჭკორია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

## სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამამთავრებელი წელი — გამარჯვებათა წელი

როცა ჟურნალ „ცისკრის“ მეთორმეტე — დეკემბრის წიგნს მიიღებს, ჩვენი მკითხველი კარზე მომდგარი ახალი წლის შეხვედრის მზადებაში იქნება გართული. მოდის ახალი — 1976 წელი! მძაფრი ცნობისწადილითა და ბუნებრივი მღელვარებით შეპყრობილნი ველოდებით ყველანი მის მოსვლას, მოუთმენლად ვუცდით იმ დღეებს, როცა ქაღალდზე პირველად გამოვიყვანთ ახალ თარიღს, ახალ ციფრს — 1976 წელი. მაგრამ მანამდე მაინც წარსულ წელს გადავავლებთ ხოლმე თვალს, გადავხედავთ წლის მოსავალს, გავიხსენებთ ახალშეძენილ მეგობრებს, მოვიგონებთ მათ, ვისაც სამუდამოდ გამოვეთხოვეთ, ჩამოვთვლით ღირსსახსოვარ წუთებს, რომელნიც ცხოვლად დააჩნდნენ სულს, გულში კიდევ ერთხელ მოვიწონებთ თავს საამაყო საქმეებით, რამაც წინ წასწია ჩვენი ოჯახები, ჩვენი რესპუბლიკა, მთელი ჩვენი ქვეყანა, და იმედის თვალით და მოზეიმე კაცის განწყობილებით გავემზადებით ძვირფას სტუმართან — ახალ წელთან შესაგებებლად!

გონების თვალი კიდევ ერთხელ ფურცლავს წლევანდელ წელიწადს, როგორც 365 გვერდიან წიგნს, რომელიც აღსავსეა ერის ცხოვრების საინტერესო სურათით. ეს წიგნი ერის ხელითვეა ნაწერი. ამ წიგნის ყოველი გვერდი — ყოველი ცალკე დღეა, რომელიც ჩვენმა ხალხმა მუხლჩაუხრელი შრომით გალია.

მართლაცდა, რამდენი რამ გვაქვს მოსაგონარი!

უმთავრესი მაინც ცრემლნარევი სიხარულით სავსე დიდი იუბილეა — ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლის სახელოვანი იუბილე! ჩვენი წყობის, ჩვენი ხალხების ერთიანობის, ჩვენი ძლიერების გამოცდის უმძიმეს დღეთა მოსაგონარი ზეიმი! მთელი ჩვენი ვრცელი სამშობლოს ყოველი კუნჭული, მთელი ევროპა, თითქმის მთელი იაპონია მორწყულია ქართველი ჯარისკაცების წმიდათა წმიდა სისხლით! წელს ქართულ მიწას მიებარა უცნობი ქართველი ჯარისკაცის ნეშტი, და მარადიული ცეცხლის გვერდით გაჩნდა ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი წარწერა:

> არ ხარ უცნობი! სახელი შენი
> უკვდავებაა აწ და მარადის!

ახლა ამ ცეცხლთან და ამ ცეცხლოვან სტრიქონებთან თავს იყრიან პატარა გოგო-ბიჭები და მათი ნაჯაფარი მშობლები. ისინი თითქო ანგარიშს აბარებენ მას, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად შეგვინარჩუნა თავისუფლება, უფლება დასვენების, უფლება შრომის!

შრომით კი მართლაცდა გმირულად იშრომეს წელს ჩვენმა მევენახეებმა, მეჩაიეებმა, მეფოლადეებმა, მუშა-მოსამსახურეებმა, ჩვენმა ინტელიგენციამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეტყვამ ვერ გასტეხა ჩვენი მევენახეების სიტყვა, მიცემული პარტიისა და ხალხისათვის — მათ ყურძნის სარეკორდო მოსავალი მოიწიეს და კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, თუ რა შეუძლია თავდადებულ შრომას! გვალვამ და უამინდობამ ვერაფერი დააკლო ჩვენი მეჩაიეების მამაცობას: წელსაც, ისევე, როგორც შარშან, მათი სიტყვა საქმედ იქცა და სამშობლომ გეგმის გადაჭარბებით მიიღო ათასობით ტონა მწვანე ოქრო!

ახლა ენგურჰესი! კოლხეთის ჭაობების დაშრობის სამუშაოები! მადნეულის დამკვრელური ბრიგადები! სად არ იღვრება შრომის გმირთა წმიდა ოფლი! სად არ ტრიალებს მათი მოუღლელი მარჯვენა! ახლა წლის ბოლოა, მაგრამ ქართველ კაცს მხართეძოზე წამოსაწოლად არასოდეს მოუცლია — სამშობლოს ბარდება ციტრუსოვანთა ნაყოფი! მაგრამ ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების ენერგია მარტო ჩვენი რესპუბლიკის მიწაზე როდი ახდენს შრომის სასწაულებს! ისინი მამაცთა სახელებს სჭედავენ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე.

ნია-გრუზინსკაია ქართველი კომკავშირელების, ჩვენი სტუდენტობის მაღალი ზნეობის, მათი ჭეშმარიტად გმირული შემართების საბუთია. წლევანდელი, ახალგაზრდობის შრომის ზეიმი — ეს იყო სიჭაბუკის პატაკი, რომელიც ჩვენს პარტიას და მთავრობას ჩააბარა ჩვენმა ახალგაზრდობამ!

მამაც მევენახეებსა და მეჩაიეებს არც ჩვენი ინტელიგენცია დარჩა ვალში. ქართული ენციკლოპედიის გამოსაცემად გაწეულმა დიდმა შრომამ წელს პირველი ამაღელვებელი ნაყოფი მოგვცა — მალე ხელისმომწერს დაურიგდება და ქართველი კაცის ოჯახში თაროზე გაჩნდება პირველი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველი ტომი! ესაა ჩვენი მეცნიერების, ჩვენი კულტურის მოღვაწეთა კიდევ ერთი დიდი გამარჯვება, ესაა პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი მრავლისმთქმელი გამოვლინება!

მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ჩვენი კოლმეურნე გლეხობისა და მუშათა კლასის მხარდამხარ იბრძოდა და ილვწოდა ჩვენი მხატვრული ინტელიგენცია, ჩვენი მწერლობა. ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ! — ეს ლიტონი სიტყვები როდია. ჩვენმა მწერლებმა მართლაც ჩვენი მშრომელების მხარდამხარ ღვარეს ოფლი! მათი ეს შრომა და თანადგომა ღირსეულად შეფასდა საქართველოს კპ ცკ დადგენილებაში. მწერლობის ძველ გვარდიას მხარში უდგას ახალგაზრდობა, ისინი, ვინც „ცისკრის“ და ჩვენი ახალგაზრდული გაზეთების ფურცლებზე იდგამს ფეხს და ვაჟკაცდება. ახლა ბევრი მათგანი — ჩვენი იმედისმომცემი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გრძელვადიანი მივლინებებით ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობებს მიაშურებს. ბუნებრივია, „ცისკრის“ მკითხველი მათს ახალ-ახალ მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს უნდა ელოდეს.

დასრულდა 1975 წელი — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. იგი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთათვის შთაგონებული შრომისა და დიდი შემოქმედებითი წარმატებების მომტანი წელი იყო. წინ — ახალი წელია, ჩვენი ხალხისა და პარტიის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის — სკკპ XXV ყრილობის მოლოდინის დღეები!

ძვირფასო მკითხველებო! ერთხელ კიდევ გილოცავთ წარმატებებს, რაც წლევანდელმა წელმა მოგიტანათ, და გისურვებთ, ასგზის მეტი სიხარული გეგრძნოთ გაისად!

ღმერთმა ბედნიერი ქნას თქვენს ოჯახებში ახალი წელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ფრუიძე

# ატენში გახლდით

ეთნოგრაფთა დაუწერელი კანონის თანახმად, სანამ საველე-კვლევითი მუშაობას დაიწყებდე, რაიონის ხელმძღვანელობასთან უნდა გამოცხადდე, გააცნო ჩამოსვლის მიზანი და მიიღო პირველი მეტად საჭირო, გეზის მომცემი ინფორმაცია. ახეც მოვიქეცი, მაგრამ ის პასუხისმგებელი მუშაკი, რომელთანაც ბედმა მარგუნა შეხვედრა მაინცდამაინც ვერ იყო ხასიათზე. ჩვენი შეხვედრა ცივი და ხანმოკლე გამოდგა, დიდსულოვნად დამრთო უფლება სათანადო საბუთის წარდგინებით ადგილებზე მემუშავა და ვიგრძენი, რომ კაბინეტში ზედმეტი ვიყავი. ცოტა არ იყოს, თავმოყვარეობა აფორიაქებული წამოვედი.

მოკლედ დასაწყისი კარგს არ მიქადდა, მაგრამ რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როცა ატენის კოლმეურნეობის სრულიად ახალგაზრდა თავმჯდომარეს ჯანდიერ ბედოშვილს მითითების თანახმად საბუთით წარვუდექი და მან გულითადი ღიმილით ოფიციალობის ბორკილი მაშინვე დაამსხვრია. თავისუფლად ამოვისუნთქე, იმ წუთას გავშინაურდით და ხოფლის შემოსავლელად ერთად გავსწიეთ.

საშუალო სპეციალური განათლების მქონე მექანიზატორი, შემდეგ ისტორიკოსი და პედაგოგი, წელს 1975 წლის 7 მარტიდან შეუდგა მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას. საკმარისია ითქვას, რომ ატენის კოლმეურნეობა ყველაზე ჩამორჩენილი და ზარალიანია გორის რაიონში, ამ საქმის გამოსწორება არც ისე ადვილია, ამიტომ სკკპ გორის რაიკომმა დიდი გულისყურით შეარჩია ახალი თავმჯდომარე, სოფლად გაზრდილი, შრომაში დავაჟკაცებული, რომელიც მახწავლებლად მუშაობის დროს ხელიდან არ უშვებდა კომბაინის საჭეს და გორელი მექანიზატორები კახეთში ახახელა, როცა იქ თავისი კომბაინით მოხავლის აღებაში დაეხმარა თანამოძმეებს. ეს იყო შარშან, წელს კი ჯანდიერი ატენის კოლექტივს უდგას სათავეში. უამრავი საზრუნავი გახჩენია: მილიონნახევარი ვალი, მოშლილი ეკონომიკა, განთესილი მუშახელი, კოლმეურნეობის ყოფილი გამგეობისა და ხელმძღვანელობის დაცემული ავტორიტეტი, აი მემკვიდრეობა, რომელიც მას ხვდა წილად. აი, რითი იწყებს ის. რაც მართალი მართალია, დიდი ხალისით არ მიუღია ეს დავალება, მაგრამ რაიკომში უთხრეს — კაცის კაცობა გასაკეთებელ საქმეზე გამოჩნდებაო, წელშიგამართულ, მომგებიან მეურნეობას ყველა უხელმძღვანელებს, სწორედ ჩამორჩენილს სჭირდება ენერგიული, პატიოსანი და წინ წამწევი ადამიანიო.

ახე დააწვა ჯანდიერის ფართო მხრებს ამხელა სიმძიმე, მაგრამ არ წუწუნებს, მომავლის იმედი აქვს და, რაც მთავარია, მთელი სიცხადით გრძნობს საქმის სირთულეს, პასუხისმგებლობას. გლეხის ბუნების ღრმა ცოდნა, ფართო განათლება, ახალგაზრდული ენთუზიაზმი და რკინის ჯანმრთელობა იმის საწინდარია, რომ ის სიტყვას შეასრულებს და ატენის კოლმეურნეობა ჩამორჩენას თავს დააღწევს. უპირველეს ყოვლისა, ჯ. ბედოშვილმა არამწარმოებლური ხარჯები შეამცირა და ხელფასის ფონდის რამდენიმე ათასი მანეთი უკვე დაზოგა. ვენახები ძირითადად მექანიზებული წესით დაამუშავა, მაგრამ ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია. ზვრებს კვლავ უჭირთ, მზრუნველი ხელი აკლიათ და სწორედ მუშახელია ატენის კოლმეურნეობის აქილევსის ქუსლი. იქ 1139 კომლი ცხოვრობს, აქედან ოფიციალურად მხოლოდ 414-ია კოლმეურნე, ამათგან ფაქტიურად სამუშაოზე გამოდის 70-მდე კაცი, ისიც ძირითადად მოხუცები და პენსიონერები. დასამალი არ არის, რომ ბევრ ოჯახში უფროსები მძევლებად დარჩენილან, რათა საკარმიდამო ნაკვეთები შეინარჩუნონ, ხოლო მწარმოებელი ძალა ძირითადად გარესამუშაოზეა დაკავებული. ატენლებს ფართოდ უღებენ კარს გორის ფაბრიკა-ქარხნები,

დაწესებულებანი, სატყეო მეურნეობა და სხვა. დილაადრიან ჩამოდგებიან საუწყებო ავტობუსები და სოფელი მშრომელებისაგან იცლება. ამის უმთავრესი მიზეზი წარმოებაში რეგულარული და მეტი ანაზღაურებაა. ყოველთვიურად კოლმეურნეობას საშუალოდ 60 მანეთამდე ხელფასის გაცემის საშუალება რომ მაინც ჰქონდეს, მაშინ მუშახელის მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზე დარჩებოდა და თითოეული შრომისუნარიანი ადამიანი სანთლით საძებარი აღარ გახდებოდა.

საკვირველია, ძველმა ხელმძღვანელობამ, იმის ნაცვლად რომ კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერება აეწია, შემოსავალი და ხელფასის ფონდი გაეზარდა, პირიქით თვით ატენის ტერიტორიაზე შეუწყო ხელი არააუცილებელ საწარმოთა გახსნას. ასე მაგალითად, 200 კაცზე მეტი მუშაობს ატენში დაარსებულ გორის ბამბეულის კომბინატის ფილიალში, მაშინ როდესაც, მუშახელს თავი რომ დავანებოთ, მიწის ქრონიკული სიმცირის გამო, იქ ნაგებობათა დადგმის შესაძლებლობაც ძლიერ შეზღუდულია.

დღესდღეობით ზარალიანია კოლმეურნეობის ყველა დარგი. თვით მევენახეობიდანაც არ მიილება სასურველი შემოსავალი. საკოლმეურნეო ზვრები სულ 74 ჰექტარზეა გაშენებული, ისიც მოუვლელი და ნახევრად მეჩხერიანია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, აქაურმა გლეხმა ვაზს ზურგი შეაქცია. ახლა ატენის შემოგარენში ხშირად ნახავთ კოლმეურნეთა ვენახებს, რომელთაც ხეხილი წამოსძალებიათ და ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი, ატენის დიდებული ჩინურის ყურძენს ტყემლის ფასიც არა აქვს, მაშინ როდესაც იქაური ვაშლი და ატამი გაცილებით ნაკლები შრომის დახარჯვით მეტ მოგებას იძლევა. სწორედ ამის გამო საფრთხეშია უნიკალური ვაზის ჯიში ჩინური და თვით ატენური ღვინო, რომელსაც ვახუშტის აღიარებით საქართველოში პირველი ადგილი ჰქონდა მოპოვებული.

სულხან-საბა ორბელიანი იტალიაში ეტნის მთის სანახებში მოგზაურობისას გადმოგვცემს: „კლდე იყო შეკაფულივით, დიად, დიდსა და გრძლად მიგრეხილ-მოგრეხილი... ასეთი ღვინო იყო ატენურის მსგავსი, სხვაგან არ გვენახა. იმ ადგილებში სულ კაი ღვინო იყო“. ატენის „შეკაფულივით“, „გრძლად მიგრეხილ-მოგრეხილი“ კლდეები, ალბათ თვალწინ დაუდგა ქართველი ხალხის თავდადებულ მოჭირნახულეს, როცა იტალიაში მსგავსი ადგილები იხილა, ხოლო იქაურ ღვინოს განსაკუთრებული პატივი მიაგო და ატენურს შეადარა.

აბა, ვის არ ახსოვს დავით გურამიშვილის მაღლიანი იუმორით გაჟღენთილი დოვლათიანი სტრიქონები:

„ერთმან იხუმრა: ვიბანებ თაფლის აბანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორემ — თევზით გავძღები ზურგიელ
გელაქნურითა,
მესამემ — მივიბრუჟები ღვინითა ატენურითა,
და მეოთხემ — კიდეც დაგვთოკენ საბლითა
მაზმანურითა!“

მაშ, ატენური ღვინო — ეს ნუგბარი სასმელი ლიტერატურაშიც დამკვიდრდა და დამსახურებული შარავანდედით ძველთაგანვე შეიმოსა. დიახ, ატენში ჯერ კიდევ XI საუკუნიდანაა ცნობილი სამეფო ზვარი და გაგიხარია, მეფეთა შესაფერისი ნექტარის დამზადებაც იცოდნენ. დღეს თითქმის დაკარგულია ღვინის დაყენების მამაპაპური ტრადიცია...

მოვინახულეთ ატენის სახელოვანი „საცივი მარანი“, თვით უძველესი და თვალშეუდგამი ატენის დედაციხის ორიენტირად რომ აქვს დასახელებული ქართველ მემატიანეს: „ხოლო შაჰ-თამაზ მოვიდა გორს და აიღო ციხე წედისისა, ციხე ძალაი აიღეს და ვერის ციხე ნებით მისცა ფარსადან და უვნებლად ციხოვანნი მორჩნენ იქიდამ, და მიადგა ციხესა ატენისასა, რომელ არს თავს საცივისასა. რამეთუ მას შინა იყუნეს დედა და დაჲ ლუარსაბისა და სხვანი მრავალნი თავადნი“.

ახლა ამ ისტორიულ ადგილას უპატრონობა და სიბინძურე სუფევს. გლეხებს თავთავიანთი ქვევრები სახლებში გადაუტანიათ, მიდამო გაპარტახებულა, მალაზიას ნავთის რეზერვუარი შუა მარანში ჩაუდგამს და იქაურობა იწამლება. მარნის გავერანების გამო მოსახლეობა დიდ გულისტკივილს გამოსთქვამს, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად რჩება.

„საცივი მარანი“ მდებარეობს დღევანდელ „დიდ ატენში“, რომელსაც ვახუშტი მცირე ქალაქს უწოდებს, სადაც „არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული“. ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე „საცივ მარანს“ თავისი ისტორიული სახე ჰქონდა შენარჩუნებული და პრაქტიკულადაც მასიურად გამოიყენებოდა. მკითხველს აქვე უნდა განვუმარტოთ, რომ „საცივი მარანი“ ნაგებობა არ არის, არამედ ციხის ძირას მდებარე მცირე ტერიტორიას მოიცავს, სადაც კლდოვანი, ნაშალი ნიადაგიდან მთელი ზაფხულის განმავლობაში ცივი ჰაერი გამოდის. მაშინ, როდესაც ირგვლივ მზე ყველაფერს წვავს, გავარვარებულ ქვებს შორის სასწაულებრივად ილვრება მაცოცხლებელი სიგრილე, რომელიც სიღრმეში ისე ძლიერია, რომ წყალს ყინავს. უხსოვარი დროიდან ატენლებს ეს ადგილი მარნად გამოუყენებიათ. ყველა გვარს (ვანიშვილები, ჭილლაძეები, ხუციშვილები და სხვ.) ლია ცის ქვეშ, შთამომავლობით თავიანთ კუთვნილ მონაკვეთზე ქვევრები ჩაუფლავთ და თა-

ვისებური ტექნოლოგიით აყენებდნენ ჩინებულ ატენურ ღვინოს, რომლის ბადალი არა თუ საქართველოში, არამედ მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. ეს ღვინო ადგილობრივი ჩინური ვაზის ყურძნისგან დგებოდა.

ხალხური ეტიმოლოგიით ჩინური საჩინოს, უბადლოს, შეუდარებელს, გამორჩეულს, გამოჩინებულს ნიშნავს, ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლში, ატენის მიდამოებში, გავრცელებული მომწვანო-მოქარვისფერო მარცვლიანი, ჩ ი ნ უ რ ი-ს სახელწოდებით ცნობილი ყურძნის ჯიში, რა თქმა უნდა, სადაუროობის აღმნიშვნელი არ უნდა იყოს და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნითგან, ჩინეთითგან, არ იქმნება მოტანილი. მისი სახელი ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს. ჩ ი ნ ი ძველ ქართულში საბას განმარტებით, „ზეთისხილის ფოთლის ფერი“-ს აღმნიშვნელია... ჩინური ამ ყურძნის ჯიშის მარცვლის ფერის გამომხატველი უნდა იყოს“.

ეს აბორიგენული ვაზის ჯიში ამაყად დგას ქართული ვაზის ჯიშების სტანდარტულ ასორტიმენტში. სპეციალისტ-ამპელოგრაფთა აღიარებით ჩინურს ახასიათებს მთელი რიგი დადებითი თვისებები: ძლიერი ზრდა, უხვი მოსავალი, ლამაზი ალნაგობის მტევანი და მარცვალი, ყურძნის შენახვის კარგი უნარი და ტრანსპორტაბელურობა, სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერის მიმართ საკმაო გამძლეობა. მართალია, ეს ვაზის ჯიში მთელ შიდა ქართლშია გავრცელებული, მაგრამ მაღალხარისხოვან ღვინოს აყენებს მხოლოდ ჩვეულ, განსაკუთრებულ ადგილებში, სახელდობრ მდინარეთა ხეობების სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთით დახრილ ფერდობებზე, რომელთა ქვედა ჰორიზონტში კალციუმის კარბონატები და წვრილი ქვები (ღორღი) საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. სწორედ ასეთია ტანას ხეობა — უბერებელი დედა-მშობელი ჩინური ვაზისა. მაგრამ ალღოიან, დაკვირვებულ მევენახეებს ტანაში ჩამდინარე აბანოსა და დეგეულას მცირე ხევები მიაჩნიათ ჩინურის საუკეთესო სააკვნედ. იქ ხელოვნურ ტერასებზე ანუ ადგილობრივი გამოთქმით „ლახტებზე“ მოსული ყურძენი და ღვინო უპირველესთა შორის უპირველესია. ძველად სამეფო მარნებისათვის იქ არჩევდნენ თურმე მოსავალს, გვიანდელ პერიოდშიც აბანოსხევისა და დეგეულას ღვინო ორმაგ ფასში იყიდებოდა, ამჟამად ეს ადგილები დაახლოვებით 25 ჰექტრამდე იქნება და ატენური ღვინის მაღალხარისხოვანი ნედლეულის უმთავრეს, ისტორიულ ბაზად უნდა ჩაითვალოს.

რთველს ღვინობის თვის დამდეგს იწყებდნენ. ყურძენს დაკრეფისთანავე ვენახებში (ვენახები სოფელზე 3-4 კილომეტრით ან მეტი მანძილით იყო დაშორებული) გამართულ ქვითკირის საწნახლებში წურავდნენ. ტკბილს თაღარში ერთორ საათს „სულს მოათქმევინებდნენ“, დაწმენდას აცლიდნენ, მერე მოუკუპრავ რუმბებში ჩაასხამდნენ და ურმებით „საცივის მარანში“ [illegible] ილებდნენ. იქ ქვევრში კოკაზე თითო მუჭა გარჩეულ ქაქას მისცემდნენ. ქვის სარქველდახურულ, თიხით დაგოზილ და თავზე კლდის ნაშალი ქვიშით დაფარულ ქვევრში ტკბილი წყნარად დუღდა. მაგრამ ზამთრის დადგომისთანავე მიწის სიღრმიდან მომდინარე ბუნებრივი სიცივე სითბოთი იცვლებოდა, თუ ქვევრს ზაფხულის სიცხეში ჭირხლი და ყინული ედებოდა, ახლა პირიქით ღვინო თბებოდა, „იძაბებოდა“, დუღილს უმატებდა, თუ დროიანად ხელს არ მიაშველებდი, გასქელდებოდა, „წბოლს მოიდებდა, მოლორწოვდებოდა, ჭიქაში ძაფებივით ჩაჰყობოდა, რაღაცნაირ გადამეტებულ სიტკბოს და ლუყურტს დაიჩემებდა“. და ეს ყველაფერი რომ არ დამართნოდა ღვინოს, ატენელ მეურნეს უხსოვარი დროიდან ემპირიულად მიუგნია ორიგინალური ხერხისათვის: ტანადან გიდლებით ეზიდებოდნენ სუფთა ყინულს, ქვევრს დაანაკლულებდნენ და ყინულით შეავსებდნენ. ყინული ღვინოს არა მარტო აგრილებდა, არამედ „დააკასკასებდა“, „დაწკვნეტავდა“, „გამჭრიახს და გამჭვირვალეს“ გახდიდა. „ბროლივით იყო, ჩახედავდი და ქვევრის ფსკერს დაინახავდი“. ღვინო საოცრად წმინდა, „კამკამა“, ჰაეროვანი, „ენასმჭიდარი“ — შუშხუნა დგებოდა. „უმჯობესი გემოსი და სასიამუნო სასმელი შოუძლებელია ქვეყანაზე ყოფილიყო“.

ყინული არა მარტო ინახავდა ღვინოს, არამედ „გარდამეტ სიტკბოს, ლუყურტს და ხისქეს ართმევდა“, ხვეწდა, აუმჯობესებდა. „ღვინის მოყინულება“ ზამთარში ორჯერ-სამჯერ მაინც უნდა მომხდარიყო, ოღონდ ყინულის მიცემის ზომა მეღვინეს უნდა განესაზღვრა ღვინის სისქისა და სიტკბოს მიხედვით, რასაც გულმოდგინე დაკვირვება და ცოდნა-გამოცდილება სჭირდებოდა. თუ უყინულოდ ღვინო „გადაიწებოდა“ და სასმელად უვარგისი გახდებოდა — „ზეთივით“ სითხედ იქცეოდა, ზედმეტმა ყინულმა ღვინის გაწყალება და „დადამბლავება“ იცოდა.

გარდა ამისა, მთელი ზამთრის განმავლობაში „საცივის მარანს“ რთვილი არ უნდა მოჰკლებოდა, ვინაიდან მიწის წიაღიდან მომდინარე სითბო ნალექს მალე ალღობდა, ატენელი მეურნე იძულებული იყო თოვლი და ყინული ზურგით ან სახედრით მოეტანა და ქვევრთა თავები იმითი დაეფარა. როგორც კი „გაზაფხულის სუნი დატრიალდებოდა“, მიწის წიაღიდან დაძრული სიცივე ქვევრებს საიმედოდ გააგრილებდა.

ღვინის გადაღება მარიამობის თვის დამდეგს უწევდა — თხლეს გამოაცლიდნენ, გადააწმინავებდნენ. „საცივ მარანში“ ღვინის შენახვა-

---

ლევან ფრუიძე
ატენში გახლდით

დაძველება წლობით შეიძლებოდა, მაგრამ ხუთიოდე წლის შემდეგ სასმელი უკვე ნაკლებსახიამოვნო და თითქმის „ჯანგამოცლილი, დაბერებული იყო, ენას ძველებურად ვეღარ ეთამაშებოდა“.

სპეციალისტები დამეთანხმებიან, რომ ღვინის დაყენების იშვიათ ხალხურ წესთან გვაქვს საქმე. ხინური ვაზის ყურძენი დღესაც საუკეთესო საშამპანურე ნედლეულია, მის შემოქმედ ქართველ სახალხო სელექციონერთა ამ მიღწევას დაემატა ბუნებრივი „საცივი“, სადაც ატენლებმა, ვინ იცის რა ხნიდან, მარანი გამართეს და დასაბამი მისცეს ადგილობრივი, სრულიად თავისებური ღვინის წარმოებას, რომლის შესახებ ვახუშტი დაბეჯითებით აღნიშნავს: „ღვინო აქაური (ლაპარაკია საციციანოზე ლ. ფ.) უმჯობესი ყოველსა ქართლსა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.

მეღვინეობაში ბუნებრივი მონაცემების ასეთი ორიგინალური და ამომწურავი შერწყმა იშვიათია და მას ტოკაის (უნგრეთი) მკვიდრთა გამოცდილება თუ შეედრება. უნგრეთში უმაღლესი ხარისხის ღვინომასალის მომცემი ზონა სულ ოთხია და საერთო მევენახეობის მხოლოდ 5% შეადგენს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის იქაურ ოსტატებს მაღალი ღირსების ღვინის წარმოებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყვნენ. ხამაგალითოდ ტოკაის სახელგანთქმული ღვინოც საკმარისია. მდინარე ტისას წარმტაც ხეობაში ტოკაის მთის დამრეც, დატერასებულ ფერდობებზე შეფენილია უნგრეთის სიამაყე ვაზის ჯიშების — ფურმინტისა და გარსლეველიოს ვენახები. აქ 5000 ჰექტარზე, 28 სოფელში მოჰყავთ ღვინო, რომლის გემოს გასინჯვა საოცნებოა მრავალი ადამიანისათვის და ექსპორტის ოქროს ფონდს შეადგენს. იგი ადგილობრივ მცხოვრებთა არა მარტო კეთილდღეობის წყაროა, არამედ სიამაყისა და თავმოწონების საშუალებაც. ტოკაის ღვინოზე მრავალი ლეგენდა და თქმულებაა შექმნილი, მას პოეტები ახლაც უმღერიან. სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით იცავს ტოკაის მევენახეობის მიკრორაიონის ვაზის ჯიშთა სიწმინდეს, მიწის ყოველ მტკაველს მხოლოდ „ტოკაური ნექტარის“ მომცემ ფორმებს უთმობს. უფრო მეტიც, ტოკაის მევენახეობის ზონა დახურულადაა გამოცხადებული და იქ კასრით ღვინის შეტანა სასტიკად აკრძალულია. ტოკაიში და საერთოდ ხარისხობრივი მევენახეობის ყველა ზონაში ძირითადად შენარჩუნებულია ღვინის დაყენების ტრადიციული წესები. ამ შემთხვევაში ღვინის მრეწველობის თანამედროვე ტექნიკურ პროგრესზე უნგრელმა სპეციალისტებმა შეგნებულად თქვეს უარი, რადგან, მათი აზრით, მრავალნაცადი ხალხური მეთოდები უფრო უკეთ უზრუნველყოფენ ღვინის ბუნებრიობას, აქედან გამომდინარე უმაღლეს ხარისხს. სწორედ ამიტომ უნგრულ ღვინოებს მსოფლიო ბაზარზე მეტოქეობას ვერ უწევს ფრანგული, იტალიური, ესპანური და სხვა ღვინოები. ამრიგად, ხარისხობრივი მეღვინეობა დამყარებული ხალხის ისტორიულ-ტრადიციულ გამოცდილებაზე უნგრეთის ახლანდელი მაღალხარისხოვანი ღვინომრეწველობის საფუძველთა-საფუძველია. სწორედ ამის მეოხებით აქვს უნგრეთს შენარჩუნებული ღვინის წარმოების საერთაშორისო არენაზე თავისთავადობა, რაც არა მარტო სახელის, არამედ მნიშვნელოვანი მოგების წყაროდ ხდება. ვფიქრობთ, ჩვენმა რესპუბლიკამაც ამ მიმართულებით უნდა განავითაროს თავისი უძველესი მევენახეობა-მეღვინეობა — პროდუქციის ხარისხი, რასაც ამჟამად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა, დააფუძნოს ხალხის მრავალსაუკუნოვან საწარმოო პრაქტიკაზე.

საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა შესწავლამ, რასაც წლების განმავლობაში ვეწევით, დაგვანახვა, რომ კრიზისს განიცდის სწორედ ხარისხობრივი მევენახეობა-მეღვინეობის რაიონები. უჭირს საფერავს, ჩხავერს, ოჯალეშს, ალადასტურს, ალექსანდროულს, უსახელოურს და სხვ. იმის ნაცვლად, რომ უძვირფასესი ჯიშები რესპუბლიკის შემოსავლისა და მოსახლეობის კეთილდღეობის წყაროდ იქცნენ, პირიქით ხდება. ჯიშები დაკნინდნენ, ტრადიციული მეღვინეობა მოიშალა, ხოლო მოსახლეობის მიგრაციამ მთის წინა ზოლოდან, ე. ი. ხარისხობრივი მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო. ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია და დროულ შველას საჭიროებს. ასეთივე მდგომარეობაა ტანას ხეობაში. მართალია მოსახლეობის მიგრაცია იქიდან არ ხდება, მაგრამ გლეხობამ შემოსავლის უძველეს და ნაცად წყაროზე — ვაზის კულტურაზე თითქმის ხელი აიღო. ბუნებრივია, დაიკარგა „წარჩინებული ატენური ღვინის“ დაყენების ძველხალხური ტექნოლოგიაც, ორიოდე მოხუცის მეხსიერებას შემორჩენილი მამაპაპური ცოდნა საერთო სურათს ვერ ცვლის. ჩახვალთ თუ არა ატენში, ერთი რამ საცნაურია, მოსახლეობა სოფელში მდებარე ღვინის ქარხანას „შამპანიურის ქარხანას“ ეძახის, ღვინოს „შამპანურს“ და „ატენური“ მართალია ბოთლებს ეტიკეტებზე აწერია, მაგრამ თვით ცნება ყოფიდან გამქრალია.

— რატომ, რატომ კაცო?! — კითხულობს ჩვენი მთხრობელი 100 წელს მიტანებული დიმიტრი ჯიოშვილი. ოცი წელია მიტრა პაპა ბრმაა, მაგრამ მის ფხიზელ გონებას და მახვილ ყურს არაფერი გამოეპარება. ამაყობს ჩვენი სამშობლოს მიღწევებით, გულწრფელად უხარია კოსმოსის დაპყრობას და მთვარეზე ადამიანთა მოგზაურობას რომ მოესწრო, ბევრი, ბევრი კარგი გაკეთდა ამ ქვეყანაზე, მაგრამ წინაპართაგან ნალოლიავები „საცივი მარნის გატიალება“ არავის ეპატიება. უწინ ღვინო კი არა, რაც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახი ჰქონდათ ადვილად გასაფუჭებელი ნორა-გი, იქ ნაშენში გამოყვანილ თახჩებში ინახავდნენ, ახლა კედელი ჩამოწვა, თახჩებიც ჩაიტანა, არის მიგდებული ეს ძვირფასი ადგილი ღვთის ანაბარა. საცივის ჩევს გალმა (იმ არემარეში ყველაფრის ორიენტირი ეს საცივია) ორბელიანების მარანია — თალშეკრული, ნახევრად მიწაში ჩაფლული, შიგ იმხელა ქვევრებია, კამეჩები დაიხრჩობა. ერთხელ ღვინის ქარხნიდან მოვიდნენ, მათი მოთხრა და წაღება უნდოდათ, მაგრამ ჩაკირულ-ჩალურსმებულს ძვრა ვერ უყვეს.

— რათა კაცო, რათა?! დასანგრევად და გასათხრებლად დატოვა მისმა პატრონმა. მაგას ხომ „ყეენის მარანი" ერქვა, შაჰს უგზავნიდნენ თურმე მაქედან ღვინოს და ახლა ვანო ჭილაძეს საბრძლადა აქვს გადაქცეული.

— ვითომ და რატომაო?! თუ სიონის ტაძარზე მიდის მილეთის ხალხი სანახავად, მარნებმა რა დააშავეს, გააკეთონ, გაასუფთაონ და ცუდი სანახავი იქნება? ზაფხულის გაგანია სიცხეში ყინვას რო ნახავ, როგორია! ანდა, ატენური ღვინო, საცივში დაყენებული, სტუმარმა იგემოს, ი თქვენი შამპანიური ხომ გვერდზე დარჩება. ეე, ჩემო კარგო, მიხედვა უნდა, მიხედვა, რაც ძველებს გაუკეთებიათ. მერე და მივხედოთ, რომელი ლეკი და თათარი გვაწუხებს, მაგრამა უგერგული და უნდილი თავკაცები მოესხა ჩვენს სოფელსა. ვისა აქვს საცივის ჯავრი. ზოგიერთმა ატენში აღარ იკმარა ყაზარმა სახლი, გორშიც აიშენა და თბილისშიცა. მაგისთანა კაცი ყეენის მარანს მიგიხედავს! სოფლის პატრონობა დიდი საქმეა, დიდი. ნასწავლი, ილოცხლე ახლა ბევრია, ოღონდ ხელმძღვანელად რომ გამოდგეს იმისთანა სანთლითაა საძებარი.

— აბა, შენ იცი, ახალი კაცი ხარ და დაგვადგი გვირგვინი! — ანაზდეულად მიმართა მიტრა პაპამ თავმჯდომარეს. მან მხოლოდ გაიღიმა და არაფერი უპასუხა. დიახ, იმ დუმილსაც ჰქონდა თავისი ღრმა აზრი.

პრობლემები... ყოველ ფეხის ნაბიჯზე სასწრაფოდ გადასაწყვეტი აუარებელი საკითხი წამოიჭრება და თავსატეხი ხდება. დღევანდელ ატენს, სადაც ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე, იმდენი ხანდაზმული ისტორიული ძეგლია თავმოყრილი, რომ საამაყოდ რომელიც გნებავთ ქვეყანას ეყოფა, აშკარად აკლია მზრუნველი ხელი. თვით აქაურობის სიცოცხლის მიმნიჭებელი მდინარე ტანა, გადარუჯულ, პირქუშ კლდეებს რომ სიმწვანით მოსავს, ადამიანებს გაუწირავთ, ხელაღებით დაუბინძურებიათ, ათასნაირი ხარახურით და ნაგვით გაუვსიათ. ნეტა სად არიან ბუნების დაცვის შტატიანი მესვეურები და სანიტარული სამსახურის წარმომადგენლები. ზედ მდინარეზე რად არის გამართული ბოსლები, ბაკები და სხვა ანტისანიტარიის წყარო, განუკითხავად ასე რატომ ბინძურდება ტანას სუფთა ჩქერები?! იმის მოწმენიც გავხდით, ღვინის ქარხნიდან ურიკით გამოტანილ ნარჩენებს ხიდიდან როგორ ისროდნენ წყალში. მდინარე მყისვე შეიღება, აქაფდა. რძისფრად იქცა... მიწა-წყალს მოვლა უნდა, ტყეებს დაცვა სჭირდება, ხოლო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძეგლების შენარჩუნება ხომ გადაუდებელი საქმეა.

ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა წარსულის მიშვებულობისა და ნეგატიური მოვლენების მავნე შედეგები. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთს რწმენაც კი შეელახა, როცა ვაიხელმძღვანელთა აშკარა გამომძალველობისა და აღვირახსნილი მომხვეჭელობის უნებური მოწმე ხდებოდა. არა, მათ სოფლისათვის არ ეცალათ, მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე და ოჯახის გამდიდრებაზე ფიქრობდნენ. ამის შედეგია, რომ დღეს საკმაოდ ბევრ ატენელ კოლმეურნეს გული გაუტყდა, საკოლმეურნეო შრომას ზურგი შეაქცია, ახალ ხელმძღვანელობას ეჭვის თვალით უყურებს. ახალგაზრდა თავმჯდომარის ფხიზელ თვალს ეს არ ეპარება, ისიც იცის, რომ ნიჰილიზმისა და უნდობლობის გაფანტვა, მხოლოდ გაკეთებული საქმით შეიძლება და სამართლიანობითა და პირდაპირობით ცდილობს ადამიანთა გულის მონადირებას. ერთი რამ მიღწეულია, კანონის მიხედვით კოლმეურნეობიდან ყველა იღებს იმას, რაც ეკუთვნის. წარმოიდგინეთ, ზოგიერთს უკვირს — პატივისცემის გარეშე რომ ხერხდება ეს!

პრობლემების ზღვა დგას ატენის კოლმეურნეობის წინაშე. უპირველეს ყოვლისა მუშახელის მიზიდვაა საჭირო. რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს საკარმიდამოების გაცემის საკითხი. მჭიდროდ დასახლებული ვიწრო ხეობა ახალმოსახლეებს ვეღარ იტევს. ქალაქთან სიახლოვე მიგრაციის საფრთხეს არ ქმნის, სამაგიეროდ საკარმიდამო ნაკვეთის — სამოსახლოს შოვნაა საოცრად ძნელი. სწორედ აქ იჩენდა თავს ახლო წარსულში ანგარების ცდუნება. კოლმეურნეობის და საერთოდ სოფლის ხელმძღვანელობამ შელახული ავტორიტეტი რომ აღიდგინოს, პირველ რიგში ეს საკითხი უნდა გადაჭრას. სოფლის შიგნით მრავალი საკოლმეურნეო ფართობია დაქუცმაცებული, რომლის დამუშავება ზარალიანია ტექნიკის გამოუყენებლობისა და მოსავლის დაცვის სირთულის გამო. შეიძლება ისინი გეგმაზომიერად გაიცეს მოწინავე კოლმეურნეთა ოჯახებზე, რომლებიც ბუნებრივი ზრდის მეოხებით აუცილებლად საჭიროებენ ახალ სამოსახლოს. თუ კოლმეურნეობა მათ დაასახლებს და დაასაქმებს, აქაური კაცი ყოველდღე გორში სამუშაოდ რატომ ივლის?! — ასე მსჯელობს ახალი თავმჯდომარე.

---

ლევან ფრუიძე
ათენში გახლდით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაზმითის მთაზე ოთხი სოფელია: ღრე, ხანდისი, ლველრეთი, იკვნევი. იქაურობა დაიცალა, ოცდაათიოდე კომლიღა დარჩა. იმათაც ხომ უნდათ პატრონი! გზა არა აქვთ და კვალი. მაღალი ადგილია და მხოლოდ კარტოფილი და ქერი მოდის, ისიც არარენტაბელურია. მსხვილფეხა მესაქონლეობაც არ არის მომგებიანი, ატენის საკოლმეურნეო ფერმა ზარალზეა, პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაავადებულია. ამ საქმეხაც შველა უნდა.

— იქნებ მეცხვარეობისათვის მოგვეკიდა ხელი?! — გამოთქვამს ხმამაღლა ფიქრს თავმჯდომარე, — თუ კოლმეურნეობის გამგეობამ და რაიონის ხელმძღვანელობამ დამიჭირა მხარი, ჯიშიან მეწველ ფურებს გადავარჩევთ და მხოლოდ მათ შევინახავთ, დანარჩენ პირუტყვს ჩავაბარებთ, მიღებული საფასურით 1000 სულ ცხვარს მაინც შევიძენთ და ფარებს გავამრავლებთ. ხალხური სიბრძნის თანახმად, სადაც ცხვარი მივა, იქიდან სიღარიბე განიდევნება... ჩვენს საზაფხულო საძოვრებს სხვა მეურნეობები იყენებენ, ზამთრის საძოვარიც არ გვექნება საძებარი, აქვეა მტკვრისპირები, სადაც ჩვენს მამაპაპას ოდითგანვე დაუდიოდა ცხვარი. წინაპართა ერთი რაციონალური გამოცდილებაც უნდა გავიხსენოთ, ნართვლევ ვენახებში ფარებს რეგულარულად რომ აძოვებდნენ. ცხვარი, არა მარტო საზრდოს შოულობდა, არამედ ზვრებს სარეველა ბალახებისაგან წმენდდა, თან ფეხით და ნაკელით აპატიებდა, ამით მნიშვნელოვნად იზრდებოდა თითოეული ვაზის მოსავლიანობა. საკვირველია, დღეს რატომ არის დავიწყებული მევენახეობისა და მეცხვარეობის სიმბიოზურად შერწყმის ეს ყოველმხრივ სასარგებლო ხალხური ცოდნა. მეცხვარეობაში მთის სოფლის მცხოვრებლებს დავასაქმებთ და ისინი მკვიდრ ადგილებს აღარ მიატოვებენ.

მეფუტკრეობამაც რა დააშავა. მთელი ხეზონე ექნება ლალა ფუტკარს, მთა არა გვაქვს თუ ბარი...

კოლმეურნეობის ძირითად პროფილად, მაინც მევენახეობა უნდა დარჩეს. 200 ჰექტრამდე შეიძლება ზვრების გაზრდა. ოღონდ ჯერ მოვლონიერდეთ, საკუთარი სანერგე შევქმნათ: მაღალხარისხოვანი ადგილობრივი ჯიშთა ნერგების გამოყვანა, მხოლოდ ადგილზევეა შესაძლებელი და აუცილებელიც. მერე ვენახები ისეთი თანმიმდევრობით უნდა გავაშენოთ, რომ მუშახელით უზრუნველყოფა და მოვლა შევძლოთ. აბანოს ხევსა და დეგეულაში საჭიროა აღდგეს ტერასებზე ჩინურის უნიკალური ნარგავები. აქ როთულ რელიეფზე შეიძლება მამაპაპური ხელით შრომა დარჩეს ძალაში, ოღონდ შთამომავლობით მევენახეებს გაზრდილი ანაზღაურება უნდა მივცეთ, რათა წინაპართა საწარმოო გამოცდილება შევინარჩუნოთ, თან უძვირფასესი ატენური ღვინით სათანადო მოგება მივიღოთ. დიახ, უნდა აღვადგინოთ ატენური ღვინის ხალხური წარმოება, ძველებურ ყაიდაზე გავმართოთ საცივის მარანი და ხალხური ტექნოლოგიის დაცვით დავაყენოთ წარჩინებული ატენური ღვინო, რა თქმა უნდა, ამის უფლება მთავრობამ უნდა მოგვცეს. გამონაკლისი რომ დავუშვათ, ატენური ღვინო კი ღირს იმათ! აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ იმ იშვიათ ჯიშთა შორის, რომელთა ყურძენს ფასი საგანგებოდ მოემატა, რატომღაც ჩინური შეტანილი არ არის. ატენის მიკრორაიონის ჩინურს დაუყოვნებლივ უნდა გავუზარდოთ შესყიდვის ფასი, რაც ჩვენი კოლმეურნეობის წინსვლის საწინდარი გახდება.

ასე ფიქრობს, ოცნებობს ატენის კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავმჯდომარე ჯანდიერ ბედოშვილი. მე მჯერა ამ კაცის, ის გაიმარჯვებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

# ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...

## რომანი

### 9

ხელებს ყველაფერი ახსოვდათ. გაშლილ მტევნებს ერთმანეთს მიატყუპებდა, მუხლებზე დაიწყობდა და ტყვიისაგან გაჩენილ ფოსოებს ჩასცქეროდა, როგორც მკვდარი მეგობრის თვალებს. მკვდარი მეგობრის გვამივით მოიტანა იმ ღამეს საკუთარ სისხლში ამოსვრილი ხელები შინ. მეათასედიც არ იცოდა მისმა ცოლ-შვილმა იმისი, რაც ამ ხელებმა იცოდნენ, რაც ამ ხელებს მასთან ერთად განეცადათ, ცუდიცა და კარგიც. მისი ოთხივე ცოლი მიხვედრილი იყო, ქრისტიან ქალთან რომ დადიოდა იგი, მაგრამ აზრადაც არ მოუვიდოდათ, რომ თუკი მართლა უყვარდა ვინმე ამ ქვეყანაზე, ის ქრისტიანი ქალი იყო მხოლოდ. ხელებმა ესეც იცოდნენ, მათი მეშვეობით იშორებდა ის, ტანისამოსთან ერთად, ოჯახსაც და რჯულსაც, თავმოყვარეობის, მოვალეობისა და შიშის გრძნობასაც, და როგორც სიცხეში ნავალი მგზავრი — უცხო მდინარეში, დაუფიქრებლად, დაუდევრად შედიოდა სიყვარულის გრილსა და ხავერდოვან ზვირთებში, გაბავშვებული, განწმენდილი, გაკეთილშობილებული მისი სიანკარით, სიმშვიდით, სიუხვითა და იდუმალი, სახიფათო და მტკივნეულად მომზიდველი სიღრმეების შეგრძნებით. იმ სიყვარულის სუნი ასდიოდა, რადგან მისმა ცოლებმა ყოველთვის შეუმცდარად იცოდნენ, საიდან და ვისგან ბრუნდებოდა იგი. ცხვრის ტყავებზე მიგდებული, განცდილ ნეტარებას იგონებდა და ნებივრად იღიმებოდა ცოლების ბუზღუნზე, კეთილი და უწყინარი, როგორც ყველანაირი ნადირი საკუთარ ბუნაგში, თუმცა თვითონვე გრძნობდა, როგორ გადაჩვეოდა აქაურობას. მაგრამ სრულებითაც არ აღარდებდა ეს ამბავი, არც სინდისი ქენჯნიდა: ოჯახი ვალი იყო, ის კი — ჯილდო. ბნელ კუთხეებში მისი შთამომავლობა ფუტფუტებდა. ერთმანეთის მიყოლებით გაჩენილი, ლამის ერთი ასაკის ბავშვები შორიდან ზვერავდნენ ცხვრის ტყავებზე მიწოლილს, თეთრი ლაქებივით კრთოდნენ ჭრაქის შუქზე მათი ტიტლიკანა მუცლები და დუნდულები, მაგრამ ოთხი ქალის ნაშიერნი უკვე გუმანითა გრძნობდნენ, ბრმად და სამუდამოდ აღიარებდნენ უკვე ერთადერთი მამის სიდიადესა და ძალაუფლებას, როგორც ქვეყნის ოთხივე კუთხიდან დაძრული მორწმუნენი — ქვეყნის შუაგულში დაბრძანებული ღვთაებისას. ერთნაირად დაეჭვებული, შეშფოთებული და გაბრაზებული ოთხი ქალი მის ტანსაცმელს ყნოსავდა, ქექავდა და ფერთხავდა, ის კი, მოგონებებს უღიმოდა და ბედნიერი იყო, რადგან ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ ეს ოთხი რამეთი ემუქრებოდა

---

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10, 11.

იმ ერთის, იმ ერთადერთის არსებობას. მერე, სისხლში ამოთხვრილი რომ მობრუნდა შინ, ცოლების თვალებში სიხარული დაინახა, შვილებისაში კი — რისხვა. ხელებს დიდხანს ვერ ხმარობდა, ბევრჯერ ჩაულპა და გაუმიზეზდა ნატყვიარი, მაგრამ მშვიდად, უდრტვინველად ითმენდა ტკივილსაც და უმწეობასაც. ჭრელი ჩვრებით მრავალგზის გადახვეული ხელები მსუქანი მუთაქებივით ეყარა გულზე და ჭერს შესცქეროდა. მთლად მართალი არ იქნება იმისი თქმა, რომ გულგრილი იყო ყველაფრისადმი, მაგრამ არ იცოდა, რა ელოხა, როგორ მოქცეულიყო, ახლა კი არა, საერთოდ, თუკი აღარ მიესვლებოდა იქ, იმასთან, ურომლისოდაც აღარც ჯალაბს ჰქონდა მისთვის ფასი და აღარც საქონელს... აღარც კაცობას. უსაშველო, გამაბრუებელი, გამაზარმაცებელი სევდა ჩასახლებოდა შიგანში და გატრუნული უსმენდა იმის გაუთავებელ ფაჩუნს, კვნესასა და ოხვრას. ჯერ სხვა არაფერი უნდოდა და არც შეეძლო. „ჯადო აჭამა იმ კუდიანმაო" — ვიშვიშებდნენ მისი ცოლები და პირველად თავის სიცოცხლეში, ცოლებისა რცხვენოდა, იმიტომ კი არა, იმასთან რომ ღალატობდა, არამედ ცოლებმაც რომ იცოდნენ, ის რომ დაეკარგა. დარწმუნებული იყო, ცოლები ღალატს უფრო აპატიებდნენ, ვიდრე იმის ღათმობას, და მართლა რომ ესწავლებინა მათთვის გზა, თმით მოუთრევდნენ, ქოხში დაუბამდნენ, ოღონდ ასე უბრად და უმწეოდ არ წოლილიყო მათი პატრონი და მარჩენალი, ოღონდ ისევ მობრუნებოდა გული ოჯახზე და საქმეზე. ის კი, ჭერს შესცქეროდა, შეფუთნული ხელები მუთაქებივით ეყარა გულზე და გრძნობდა, როგორ სასიამოვნოდ ღრღნიდა, როგორ აქუცმაცებდა შიგნიდან სევდის ვირთხა. მერე ნატყვიარები აქავდა და კბილით იგლეჯდა სახვევს, საკუთარი ხელები ეჩოთირებოდა, საკუთარი ხელები აწუხებდა, როგორც მოპარული საქონელი, რომელიც ან დროულად და საიმედოდ უნდა გადამალო, ან დროულად და სამუდამოდ უნდა მოიშორო თავიდან, მით უმეტეს, თუ ის საქონელი დამღიანია და იმ დამღას ყველგან სცნობენ. ხელები აიძულებდნენ დაბრუნებოდა ცხოვრებას, ისევ მამაკაცი ყოფილიყო, ისევ გარეული ცხვრებში, ქოფაკებში, საქონელში, ცხენებში; კვირაობით, თვეობით მჯდარიყო ჩაიხანაში და გახურებული სხეულიდან ოფლისთვის გამოეტანინებინა ყოველგვარი უჟმური. სევდა და სინანული არ შეეფერებოდა ბატკნის თავისხელა მუშტების პატრონს, სადარდებლად და სანანებლად სხვისთვის უნდა გაეხადა საქმე, მაგრამ ისიც ვერ გაერკვია აქამდე, ვისი ჯავრი ჭირდა და, საერთოდ, ჭირდა თუ არა ვინმეს ჯავრი. გაბოროტებული კი არ იყო, არამედ — განაწყენებული, თანაც უსამართლოდ, რადგან, მისი ჭკუით, თვითონ იყო პატრონი იმისიც და იმის შვილისაც, ბოლოს კი, ყველაფერი შებრუნებულად გამოვიდა: ამისაგან დაიცვეს ისინი. მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი. ერთი მაიორი კი არა, ბატალიონი ვერ აალებინებდა ხელს ათი წლის სიყვარულზე, იმათგანაც რომ ეგრძნო სიყვარული. მისი ცოლებისა არ იყოს, ათი წელი თურმე ჯადოთი იყო შეპყრობილი, ვიღაცის ნათესლარს სულში იძვრენდა, როცა ისიც არ იცოდა, რამდენი ყავდა საკუთარი. ათი წელი ფეხებს უკოცნიდა უცხო რჯულის ქალს, თანაც ნასხვისარს, როცა მისი ფეხის ნაბანის გატანაზე ნაგზნებივით გლეჯდა ერთმანეთს ოთხი ქალი. ათი წელი ჩერჩეტ გოგოსავით შეყვარებული დადიოდა და დაუფიქრებლად გამოჭრიდა ყელს, ცოლი იქნებოდა თუ შვილი, ვინც პირველი გადაუდგებოდა წინ ურუქისკენ მიმავალ გზაზე. ათი წლის განმავლობაში სხვა კაცი იყო, სხვა გული ედგა საგულეში, სხვა თვალები ესხა შუბლზე და ამას ერთბაშად, ერთ ღამეში მიხვდა. მაგრამ მთავარი უბედურება ის იყო სწორედ, რომ ის ათი ბრმა წელიწადი, ყველაზე ძვირფასი დრო იყო მისთვის, მაშინაც და ახლაც, როცა უკვე ყველაფერი გარკვეულიყო, უფრო სწორედ, როცა ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი წელი მას აღარ ეკუთვნოდა, სამუდამოდ მოწყვეტოდა მის სიცოცხლეს და ცალკე ფართხალებდა, ხვლიკის კუდივით. შურისძიების სურვილი არ გასჩენია, რადგან დარწმუნებული არ იყო, ნამდვილად რომ ეკუთვნოდა ის, რაც დაჰკარგვოდა, რაც თავისი ეგონა, მხოლოდ და მხოლოდ თავისივე სიბრიყვის გამო. მაგრამ შურისძიებაზე მაინც ფიქრობდა, უნდოდა თუ არა, შური უნდა ეძია, რადგან ეს მარტო მის სურვილზე აღარ იყო დამოკიდებული, ეს უკვე ვალდებულება იყო ღმერთისა და შთამომავლობის წინაშე, მისი ტიტლიკანა შთამომავლობის წინაშე, ფარასავით რომ გამრავლებულიყო და ოთხი დედაკაცი ოთხი ავი ნაგაზივით დასტრიალებდა თავს. ისინი ყველაფერს მოითმენდნენ, ყველაფერს აპატიებდნენ, ქრისტიანი ქალის ლოგინში კოტრიალსაც და ქრისტიანი ბავშვისთვის გაზიდულ ერბოსაც, მაგრამ ქალისგან უარყოფილი კაცის ცოლობასა და ჯავრნაჭამი მამის შვილობას უმალ სიკვდილს ამჯობინებდნენ, უმალ მონებად გაიყიდებოდნენ, რადგან მაინც აღარ ეცხოვრებოდათ ამ ცის ქვეშ და ამ მიწაზე, სადაც სისხლი სისხლით იბანება მხოლოდ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ანჩხლდებოდნენ, მით უფრო უთამამდებოდნენ ცოლები, ახლა ვერ ურიგდებოდნენ ათი წლის განმავლობაში დაკარგულსა და ჩაყლაპულს. ის კი არ ჩქარობდა, რადგან შურისძიებაზე ფიქრი, ასე თუ ისე, კიდევ აკავშირებდა იმათთან, შურისძიების მერე კი, ესეც აღარ ექნებოდა. არც ერთი ბავშვი არ გაზრდილა მის ჭერქვეშ, თითი რომ არ ჩაეყოფინებინოს ნატყვიარში. ლაჯებში ჩაიყენებდა, ჩაბღუჯავდა მის სუსტსა და დაძაბულ ხელს და იქამდე ისვამდა ნატყვიარზე, სანამ ბავშვის დაცქვეტილსა და სირცხვილიან სახეს გაუაზრებელი სიხარულისა და ასევე გაუაზრებელი სიამაყის ღიმილი არ გადაეფინებოდა ხოლმე, რასაც უსაფუძვლო ეჭვისა და შიშის გაქარწყლება აჩენს. თვითონაც არ იცოდა, რატომ იქცეოდა ასე. ალბათ, ეგონა, რომ მის ნატყვიარ ხელებს უფრო მეტის თქმა შეეძლოთ ბავშვებისთვის, ვიდრე მის ენას. ამ ორ ნატყვიარში, ორ დანაოჭებულ ფოსოში, მთელი მისი ცხოვრება იყო ჩატენილი, ჩალექილი, ჩამკვდარი, რომლის მოყოლასაც ის არ აპირებდა, იმიტომ კი არა, ბევრი რამე თვითონვე რომ ეჩოთირებოდა, იმიტომ რომ ის მისი ცხოვრება იყო და სხვას, გინდაც საკუთარ შვილსაც, ხელი არ მიუწვდებოდა. რაც საამქაროზე იყო, რისი დამალვაც არ შეიძლებოდა, გამგები იმითაც ბევრს გაიგებდა. ჭრილობა უფრო მეტს და უკეთესად ლაპარაკობს კაცზე, ვიდრე კაცი ჭრილობაზე. ამას ბავშვის თვალებშიც კითხულობდა, სადაც წამიერ დაბნეულობასა და ცნობისმოყვარეობას, რისხვა და შურისძიების წყურვილი ენაცვლებოდა. ასე რომ, მარტო თავშესაქცევად არ ათვალიერებინებდა იგი თავის ნატყვიარ ხელებს ჯერ შვილებსა და მერე შვილიშვილებს, ისინი ჭრილობის უხეში და უშნო ნაოჭებიდან ცხოვრების ამოკითხვას სწავლობდნენ თავიანთი ჯერ კიდევ ნაზი და სუსტი თითებით, როგორც ბრმები ანბანისას. შურისძიება გარდაუვალი იყო და ახლა ისღა რჩებოდა გადასაწყვეტი, ვისზე უნდა ეძია შური, იმ ორიდან რომელი უფრო იმსახურებდა სიკვდილს, დედა თუ შვილი; მაიორზე არც ფიქრობდა, მაიორი იგივე იყო მისთვის, რაც მაიორის დამბაჩა. მაიორის სიკვდილი არავითარ კვალს არ დატოვებდა მის სულში, რადგან არავითარი გრძნობა არ ჰქონდა მის მიმართ, არც იქამდე და არც იმის მერე, ისინი კი, მაიორის ზურგს ამოფარებული დედა-შვილი, იქამდეც უყვარდა და იმის მერეც. სისხლს კი არ მისტიროდა იგი, ათი წლის სიყვარულის გაბითურება ხეთქავდა გულზე. რაც დრო გადიოდა, რაც უფრო ღრმად ეფლობოდა ფიქრებში, მით უფრო რწმუნდებოდა, დედაზე მეტად შვილზე რომ იყო ნაწყენი. გიორგა რომ არ ყოფი-

ლიყო, ვერც ანა გაუბედავდა ღალატს, რადგან ანამ მაიორში კი არ გასცვალა იგი, არამედ გიორგაში. გიორგამ აითვალწუნა იგი და არა ანამ. მერე კი, საქმე საქმეზე რომ მიდგა, ანამ შვილი არჩია საყვარელს. ძნელი იყო, მწარე იყო, მაგრამ მაინც შეიძლებოდა ანას გამართლება. ანა ქალი იყო და თავის მოვალეობას ასრულებდა, იმას ეკუთვნოდა, ვინც ზემოდან დასცქეროდა, ვისაც უფრო ჭირდებოდა და მეტი ძალა ჰქონდა მის დასანარჩუნებლად. ამან კი, სიყვარულობანა გაუმართა, ოჯახშიც შეირცხვინა თავი და ოჯახს გარეთაც, მაგრამ ახლა, როცა უკვე ყველაფერი მოგონებად ქცეულიყო, ვნების ცეცხლიც ჩამქრალიყო და ჩაფერფლილიყო, როცა უკვე მისი შვილები იტაცებდნენ და ყიდულობდნენ ქალებს, როცა უკვე შვილიშვილები უყოფდნენ მხდალსა და ცნობისმოყვარე თითებს ნატყვიარებში, სულის შემძვრელი სევდითა და წუხილით გრძნობდა, რომ მის ცხოვრებაში მთავარი ანა კი არ იყო, არამედ გიორგა, ათი წელი ანას კი არ აწონებდა თავს, არამედ გიორგას, რადგან ანას, რა წუთასაც მოინდომებდა, მაშინ დაისვამდა ცოლად, აკი ამ მიზნით მიბრუნდა იმ წყეულ ღამეს იმ წყეულ ურუქში, მაგრამ გიორგას ვერასოდეს და ვერავითარი ჯადოქრობით ვერ ჩაუდგამდა თავის გულსა და სისხლს. ქალისაგან ათვალწუნებულ კაცს ულვაში არ დასცვივა, იმ ქალს ძალით დაიმორჩილებს ან სხვა ქალით შეცვლის, მაგრამ როცა ათი წლის ბიჭი, ეს ათი წელი შენს მუხლზე რომ ბუქნაობდა, მოკვლას დაგიპირებს, თავი აღარ გამოგეყოფა გარეთ, ვინც არ უნდა მოატყუო ქამარ-ხანჯლითა და არშინიანი ბეჭებით, ბავშვსა და ძაღლს ვერ მოატყუებ, მაშინვე შეგატყობენ, რა ვაჟკაციცა ხარ. შურისძიება გარდაუვალი იყო, დღითიდღე იზრდებოდა, ჯიუტად და გამომწვევად, როგორც ნაცდუნები გოგოს მუცელი, და მან უკვე ისიც იცოდა, ვისი სიკვდილი უნდა დაბადებულიყო ამ მუცლიდან. მაგრამ იქამდე სხვა საქმე გამოუჩნდა მოულოდნელად და სული მოითქვა, შვებით ამოისუნთქა, რადგან საშუალება მიეცა, ცოტახნით კიდევ გადაედო უკვე გადაწყვეტილისა და უკვე გარდაუვალის აღსრულება. „ურუქელი მედუქნე შენი ამბებით თურმე ხალხს აცინებს და მუშტარს ამით იმრავლებსო“ — უთხრა ერთ დღეს უფროსმა ვაჟიშვილმა. თვალი ვერ მოწყვიტა მის პირქუშ სახეს, მის ხმაში ჩამალულმა რისხვამ და მოუთმენლობამ გული აუჩუყა, მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა პირველად საკუთარი სისხლისა და ხორცის მიმართ, მიხვდა, როგორ იტანჯებოდა იგი მის მაგივრად და გაუხარდა, ყმაწვილური სიმსუბუქე და სიხალისე დაეუფლა უცებ, რადგან ურუქელი ვაჭრის დასჯა მართლაც მსუბუქი და სახალისო საქმე იყო იმასთან შედარებით, რის თქმასაც მისი ვაჟიშვილიც ერიდებოდა, რადგან ის წმინდა, საშვილიშვილო საქმე იყო, გვარის ღირსების თანაბარი. იმავე ღამეს ურუქში იყვნენ ორივენი. შვილი ამხანაგად კი არ წამოიყვანა, არამედ მოწმედ, თავის გამოჩენა მოუნდა უცებ შვილთან, უნდოდა დაემტკიცებინა, კიდევ რომ შეეძლო ერთი კაცობის გაწევა. „ცხენიდან არც ჩამოვუშვებ და იმ ჭორიკანა ვაჭრის თავს საზამთროსავით ვესვრიო“ — ფიქრობდა უნაგირზე გაყურსული. ასე კი ფიქრობდა. მაგრამ გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ასე იმიტომ ფიქრობდა, სხვაზე რომ არ ეფიქრა, იმ სხვაზე ფიქრს რომ არ წაეხდინა. პირველი შემთხვევა იყო, ავი და სისხლიანი განზრახვით რომ მოდიოდა აქეთ, ურუქში, თანაც ვაჟიშვილთან ერთად. ეს გზა მხოლოდ მისი გზა იყო, ათასჯერ გავლილი, სხვანაირი თრთოლვითა და ნეტარებით, და ყველაზე ნაკლებად მის ვაჟიშვილს ჰქონდა ამ გზაზე გავლის უფლება, რადგან ამ გზას საყვარელ ქალთან მიჰყავდა იგი ყოველთვის. ახლა კი, ოდნავ გამრუდებულიყო, გაგრძელებულიყო კიდეც, რადგან ახლა მოსაკლავი კაცით

მთავრდებოდა და არა საყვარელი ქალით. ის კი, ძველებურად ღელავდა, თითქოს ის უნდა ენახა, იმას უნდა მოფერებოდა, იმისი ცრემლიანი ლოყები უნდა აელოკა. „რას ფიქრობ, მამაჩემო?“ — ეხმიანებოდა ათასში ერთხელ შვილი. „ვფიქრობ? რა ვიცი, ვფიქრობ“. — პასუხობდა უაზროდ, უკვე გაღიზიანებული შვილის სიახლოვითა და ყურადღებით. სოფელს ეძინა, ჩაკარგულიყო წყვდიადში, მაგრამ მაშინვე იგრძნო, რაღაცა რომ შეცვლილიყო მის აქ არყოფნაში. თუმცა დღის სინათლეზე არასოდეს უნახავს, ხუთი თითივით იცოდა აქაურობა და როცა ნაცნობი და ღამის საყვარელი სახლის მაგივრად, შავი, ჩახუთული სიცარიელე დაეძგერა სახეში, უნებურად ცხენი შეაჩერა, თუმცა თავიდან განზრახული ჰქონდა, არცკი გაეხედა იმ სახლისკენ, დაემალა შვილისთვის მისი ადგილსამყოფელი. შვილმაც შეაყენა ცხენი, მაგრამ არაფერი უკითხავს. გაოცნებულმა მოხედა შვილს, რა მოუვიდათო — უნდოდა ეკითხა, მაგრამ მხოლოდ გაიფიქრა, თითქოს გარეგინას მოსაკლავად კი არ მოსულიყო, იმათ წასაყვანად, როგორც იმ წყეულ ღამეს. „წავიყვან და გათავდება, ფეხსაც აღარ დავადგამ ამ სოფელშიო“ — ფიქრობდა მაშინ და ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, რამე თუ შეუშლიდა ხელს, რამე თუ გადაეღობებოდა წინ მის პატიოსან განზრახვას. მაშინ ტყვია დაახალეს, როგორც ქურდსა და ავაზაკს, და კიდევ კარგი, ენას კბილი დააჭირა და არ მოჰყვა თავის მართლებას, მაინც არავინ დაუჯერებდა და, შეიძლება, პანღურიც მოეყოლებინათ ტყვიისთვის. მაგრამ უფრო დიდი უსამართლობა ის იქნებოდა, იმათ რამე რომ დამართვოდათ უამისოდ, ამის ჩაურევლად, ამის სურვილის გარეშე. ნასახლარმა გააბოროტა, ნასახლარმა კი არა, იმათი ბედის გაურკვევლობამ, ვინც აქ, ამ ჩახუთულ წყვდიადში უნდა დახვედროდა, როცა არ უნდა მოსულიყო იგი.

ერთი წუთის მერე უკვე დუქნის კარწინ იდგა და მათრახის ტარით დაუდევრად, ბრაზიანად აბრახუნებდა დარაბაზე. გარეგინა ის-ის იყო, ცოლის გაღვიძებას აპირებდა და საბნის ქვეშ შეცურებული ხელი გაუშეშდა. ცოლი პირველი წამოჯდა საწოლში. „ვინ ოხერიაო“ — თქვა ჯერ ისევ მძინარემ, დარაბაზე კი აბრახუნებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაშმაგებული აბრახუნებდა, მთელი ძალით, თითქოს გასაჭირში ჩავარდნილი, დახმარების სათხოვნელად იყო მოსული და არა მოსაკლავად. ვაჟიშვილი ცხენიდან არ ჩამოსულა, მოშორებით იდგა, ჩახმახშემართული დამბაჩა უნაგირის კეხზე ჩამოედო და მშვიდად ელოდა, თითქოს არც ამ დუქანში ესაქმებოდა რამე და არც ამ კაცთან, უკვე მუშტებით რომ ჩამოჰქონდა დარაბა. დუქნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, მაგრამ გამოცდილებით იცოდა, გრძნობდა, ეს სიცარიელის დუმილი რომ არ იყო, ეს შიშის დუმილი იყო და ისევ შიშის მიმატებით შეიძლებოდა მხოლოდ მისი დარღვევა. დუქანში ისე მოულოდნელად აინთო შუქი, თვითონვე გაუკვირდა, თითქოს ამის მოლოდინში არ იყო სულ. კარი წესიერად არც იყო გაღებული, როცა მისი ხანჯლის წვერი გარეგინას უკვე ყანყრატოზე ჰქონდა მიბჯენილი. ხანჯალს შეჰყვა დუქანში და მაშინ გაჩერდა, როცა საცვლების ამარა გამოსული გარეგინა რძის შხეფივით მიესხურა კედელს. დუქნის, ბნელ კუთხეში ბავშვები ვირთხებივით გაშლიგინდნენ. გარეგინას ცოლმა დასაყვირებლად გაღებულ პირზე ხელები მიიჭირა. თითქმის მაშინვე ჭრიჭინების ხმა გაიგო და გაახსენდა, რომ გარეთ მისი ვაჟიშვილი იდგა და ღია კარიდან ყველაფერს ხედავდა. „არ შეიძლება ამის მოკვლა, სისხლი არ გამოუვა“ — გაიფიქრა ცხარედ, ბრაზიანად, თითქოს შვილის გადარწმუნებას ცდილობდა.

**ოთარ ჭილაძე**

**ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...**

„სად არიან?“ — წამოცდა უნებურად და შემკრთალმა გაიხედა კარისკენ, შვილი ხომ არ გაიგებდაო. „რატომ დამცინი, ბატონო“ — უთხრა გარეგინას ხმამაღლა, შვილსაც რომ გაეგო. პასუხს არ დალოდებია, იცოდა, მაინც ვერაფერს ათქმევინებდა შიშისგან დამბლადაცემულს, ისიც იცოდა, რომ არ მოკლავდა, უკანასკნელი ლაჩარიც რომ გამოსულიყო შვილის თვალში. ვაჭრის ბინძურ სისხლში ხელს არ გაისვრიდა, რადგან წინ წმინდა, ღამის ღვთაებრივი მკვლელობა ელოდებოდა. ახლა მისთვის იმათი ბედის გაგება გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე ენაგრძელი ვაჭრუკანას გასრესა, მოსპობა, დედაწულიანად ამოწყვეტა. „სად არიან“? — მიუბრუნდა ქალს. „მაიორთან... გადასახლდნენ“ — დაუფიქრებლად უპასუხა ქალმა, თითქოს ამ შეკითხვის მოლოდინში იყო, ქალურმა ალღომ უშველა, ყველაფერში გაარკვია უცებ. ჩაეცინა, რადგან ცოტას მორჩა მადლობა წამოცდა, ცოტას მორჩა ფული გადაუყარა ბნელ კუთხეში მოფაჩუნე ბავშვებს. „ნუ გეშინიათ. აი, ის რომ შემოსულიყო, მაშინ სხვანაირად წავიდოდა საქმე“. — თქვა გუნებაში. „ქვა და ლურსმანი“ — დაუყვირა ქალს, რადგან იმ წუთას მოუვიდა აზრად, გარეგინა ყურით მიეჭედებინა საკუთარი დუქნის კარზე. ესეც ეყოფოდა ჭკუის სასწავლებლად, ენის დასამოკლებლად, და თვითონაც მთლად არ შეირცხვენდა თავს ბოლმით გასიებულ შვილთან. მოღლიავებულ კარში წყვდიადი იდგა, ხოლო წყვდიადში მისი ვაჟიშვილი და ყველაფერს ხედავდა, უნაგირის კეხზე ჩახმახშემართული დამბაჩა ედო, უტყუარი, სწრაფი, დაუზარელი, ოღონდ უუფლებო, რადგან მამის სიტყვას ვერ გადავიდოდა, ის უბრალო მოწმე იყო და არა მონაწილე. „გულზე სკდება ალბათ“. — ფიქრობდა მამამისი, ხანჯლის ბრტყელი პირით ლოყაზე აწვებოდა გარეგინას და კარისკენ მიდენიდა. „მომინათე“ — უთხრა ქალს. ქალს ცალ ხელში ლამპა ეჭირა, მეორეში — ქვა და ლურსმანი. გარეგინა კარს მიაწყდა, მკვახე-[illegible]რასავით გაარახუნა თავი. ხანჯალი ქარქაშში ჩააგო და ქალს ქვა და ლურსმანი ჩამოართვა. იგრძნო, როგორი მადლიერი თვალებით შეხედა ქალმა. ბნელ კუთხეში ბავშვები ფაჩუნობდნენ. იცოდა, ხელებში შესცქეროდნენ ისინიც. გარეთ კი, მისი ვაჟიშვილი სიბრაზისგან ტუჩებს იჭამდა ალბათ. „არ მოვკლავ, არა... სადაც აქამდე მომითმენია...“ — იყვირა გუნებაში. გარეთ ცხენმა დაიფრუტუნა, მისმა ცხენმა. ცხენი, რომელზედაც მისი ვაჟიშვილი იჯდა, ასეთ დროს დაფრუტუნებას ვერ გაბედავდა. აბნეულად, გაუაზრებლად გაუხარდა რაღაცა. შეიძლება, შვილის ბოღმიანობა და სიმკაცრე. გამეტებით დაჰკრა ლურსმანს ქვა. ლურსმანმა რბილად გაიარა ყურის ბიბილოში და უნებურად ხელი მოუდუნდა თვითონაც, წინააღმდეგობის ნასახსაც არ წაწყდომია, უხალისოდ ირჯებოდა, უნდილად, რადგან სიბრაზემ მაშინვე გადაუარა, როგორც კი ფეხი შემოდგა დუქანში. არა, როცა ქალისგან შეიტყო, ისინი რომ ცოცხლები იყვნენ. „ღვთის რისხვა გერჩიოთ, ჩემი სახელის ხსენებას“. — თქვა და ისევ დაჰკრა ლურსმანს. ქვას კიდე ჩამოეფშხვნა და ნაფშხვენები საყელოში ჩაუცვივდა გარეგინას. მაინც არ განძრეულა, განაბული იდგა, დუქნის კარზე ყბამიბჯენილი, ცდილობდა, ხელი არ შეეშალა დამსჯელისთვის. „ასე იყოს... ხვალამდე“. — მოუტრიალდა ქალს, თითქოს რჩევის საკითხავად დაეძახათ მისთვის. „მადლობთ, შენი მუხლების ჭირიმე, მადლობთ“. — თქვა ქალმა მხურვალედ. ქვა ღია კარში მოისროლა. იგრძნო, დაინახა, გაიგონა, როგორ შეკრთნენ ცხენები და სიგიჟემდე მოუნდა აქედან გადაკარგვა. უკვე ცხენზე იჯდა, როცა ქალი ლამპიანად გამოვიდა დუქნიდან და დაუძახა: გზის აქეთა მხარესაა, ეკლესიამდეო. ეკლესიამდე ნაბიჯით ატარა ცხენი. არ გასჭირვებია მაიორის სახლის გამოცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, შეხედა თუ არა, იცნო, თითქოს ნახევარი სიცოცხლე იქ ჰქონდა გატარებული. არა, სახლი კი არ იცნო, ტანმა უგრძნო, რომ სწორედ ამ სახლში იყვნენ ისინი. იმათი სული ტრიალებდა ჰაერში. მერე სადავე მიუშვა და ცხენს გადააწვა კისერზე. ვაჟიშვილი ფეხდაფეხ მოსდევდა და ცხენების ფლოქვების თქარათქურში ცდილობდა, გამოერჩია საკუთარი გულის ბაგუნი.

იმის მერე კიდევ ბევრმა წყალმა ჩაიარა, კიდევ დიდხანს ითრია ფეხი, ორი ცოლი, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი მიწას მიაბარა, უფროს ვაჟიშვილს კი, სამუდამოდ შეაჯავრა თავი, მის დანახვაზე ფურთხება აუტყდებოდა ხოლმე, ვითომ ბეწვი ჰქონდა პირში და იმის მოშორებას ცდილობდა, მაგრამ ორივემ კარგად იცოდნენ, რა ბეწვი აწუხებდათ და რა ჰქონდათ გულიდან მოსაშორებელი. „სოფელში ჩვენზე ამბობენ, ეგენი თათრები კი არა, ლახლუხები არიანო. მართალია, მამაჩემო?“ — ღვარძლიანად, დამცინავად ეუბნებოდა უფროსი ვაჟიშვილი, მაგრამ ამას სრულებითაც აღარ აღარდებდა ვაჟიშვილის განცდები, რადგან იცოდა, რა ელოდებოდა წინ. გარეგინას მიჭედების მერე კიდევ ბევრჯერ ჩამოვიდა ურუქში, მაიორის კარმიდამო ისე ჰქონდა შესწავლილი, თვალახვეული მოივლიდა, მაგრამ აღსასრულებელი აღსასრულებლად რჩებოდა მაინც, რადგან ბოლო წუთას ისეთი სისუსტე წამოუვლიდა ხოლმე, თავქუდმოგლეჯილი მოაჭენებდა ცხენს ურუქიდან, მაწანწალა ძაღლივით სხვის ეზოში არ ამომძვრეს სულიო. და აი, ისევ აქ არის. ახლა კი, ნამდვილად უკანასკნელად, რადგან ხელმეორედ მოსასვლელად, შეიძლება დროც აღარ ეყოს. რაღა დროს მისი წანწალია, მისაღები უნდა მიიღოს, გასაცემი უნდა გასცეს, მოსახდელი უნდა მოიხადოს და ცოდვებისგან სისხლით განბანილი, განწმენდილი, განთავისუფლებული ამქვეყნიური ჭუჭყისაგან, გადასახლდეს სამუდამო სამყოფელში, მამაკაცად გაჩენილი მამაკაცადვე მიეახლოს ღმერთს ჩვენს. დიდიხანია, რაც აქა დგას, ცაცხვების ძირას. თავბრუ დაეხვა ვარსკვლავების ჭვრეტით, რამდენი ვარსკვლავის დანახვაც შეძლო, იმდენჯერ ახსენა ალაჰი და იმდენჯერ შევედრა ალაჰს, თუ ჩემი ხელით მოსაკლავია, გაიღვიძოს და გამოვიდესო. ახლა დგას და ელოდება. ახლა ალაჰი გადაწყვეტს თვითონ, ალაჰის ხელში არიან ორივენი, მომკვლელიცა და მოსაკლავიც. ფეხს არ მოიცვლის მამლის ყივილამდე, რადგან მამლის ყივილამდე უნდა გამოვიდეს იგი გომურიდან, თუკი ალაჰს ასე ნებავს. გამოვა, გული უგრძნობს, რომ გამოვა, და ისიც მზად არის, ის ახლა ალაჰის ნებასურვილს ასრულებს და არა თავისას, და ეცდება, პირნათლად, უყოყმანოდ, უკეთესად აღასრულოს იგი. და აჰა, სამართალი უფლისა! გომურის კარი იღება და გომურიდან გამოდის იგი, მიზეზი და მიზანი, სამსხვერპლო სისხლის ჭურჭელი, გულუბრყვილო ბატკანი, ღმერთისათვის შეწირული, ნამდვილი შვილის მაგიერ.

გიორგას მოულოდნელად გაეღვიძა, შეწუხებული იყო, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო სიზმრიდან, სიზმარში კი, ვიღაცა ელოდებოდა თითქოს, დიდხანს, ძალიან დიდხანს, იმდენად დიდხანს, რომ ახლა თავხედობაც იქნებოდა, გასულიყო და ეთქვა, დამავიწყდა რომ მელოდებოდიო. სხვა რაღაცა უნდა მოეფიქრებინა უკეთესი, მაგრამ გონება დახშოდა, აზრის ნატამალიც არ უღვივოდა გონებაში და ამიტომაც გამოეღვიძა შეწუხებულს. მაშინვე ფლოსტებში წაჰყო ფეხები და გომურიდან გამოვიდა, გამოვიდა და ელდა ეცა: ცაცხვების ძირას მართლა იდგა ვიღაცა. ერთი პირობა გომურში შებრუნება დააპირა, სიზმრისა და ცხადის ასეთმა დამთხვევამ დააბნია, იმის თავიც არ ჰქონდა, გაერკვია, რომელი

13090



ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ...

იყო სიზმარი და რომელი ცხადი, მაგრამ ახლა საფიქრალი დროც აღარ ჰქონდა, მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ცხადი იყო თუ სიზმარი, უნდა მისულიყო უცნობთან და ბოდიში მოეხადა, ეკითხა, ვინ იყო, რა უნდოდა, რატომ ელოდებოდა ამდენხანს, როცა სულ უბრალოდ შეეძლო მისი გაღვიძება, ბეღურის ნისკარტის მოკაკუნებაც საკმარისი იყო მის გასაღვიძებლად. გიორგა ცაცხვებისკენ წავიდა. დაიძრა თუ არა, მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო ის უცნობი. იმის მაგივრად, რომ გომურში შევარდნილიყო და კარი გადაერაზა, უნებურად ფეხს აუჩქარა; უცნობი არ განძრეულა, ცაცხვების ძირას იდგა და ელოდებოდა. გიორგას ხანჯალი არ დაუნახავს, მაგრამ მუცელში მკვეთრი, ცივი ტკივილი რომ იგრძნო, არც გაჰკვირვებია და არც შეშინებია, წინასწარვე იცოდა, რაღაც ამის მაგვარი რომ უნდა მომხდარიყო. ტკივილი განმეორდა, უფრო მძაფრად, უფრო მწვავედ, მაგრამ ახლა თითქოს მისი სხეულის გარეთ. ერთბაშად გაიოფლა და რომ არ წაქცეულიყო, თვითონვე მიეხუტა უცნობს, ტყაპუჭის ბეწვიან საყელოში ჩაუყო სახე და უცებ, გასაკვირვებლად ნაცნობმა, ბავშვობის დროინდელმა სუნმა თავბრუ დაახვია. ერთდროულად იმდენად დავიწყებული და იმდენად დაუვიწყარი იყო ის სუნი, გული აუჩუყდა, მამისეული სახლი დაუდგა თვალწინ, კედელზე გაკრული ჩოხა, ვაშლის ხეებით გადალურჯებული ეზო და ბოსტანში მოფუსფუსე დედა. ქინძის სუნიც ეცა, იმდროინდელი, ბავშვობის დროინდელი ქინძისა. „აქამდე არ დაგავიწყდით, შე მართლა თათარო, შენა“ — მიესიყვარულა გიორგა მკვლელს, როგორც დიდიხნის წინად დაკარგულსა და შემთხვევით ნაპოვნ ძაღლს. თათარმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი. გიორგას თავი უტრიალებდა, რაღაცნაირ, გამაბრუებელ სიმსუბუქეს გრძნობდა მთელს სხეულში, მიწა აქეთ-იქით დაუდი[illegible] უფრო და უფრო ეხუტებოდა მკვლელს, სიამოვნებდა მისი ოფლიანი კისრის სიმხურვალე, იმ წუთას თითქოს უყვარდა კიდეც იგი, მისი სიკვდილის მომტანი, სიკვდილის ანგელოზივით წმინდა და პირქუში. „გავასწორეთ ვალები“ — ამოიგმინა გიორგამ და მაშინ შეამჩნია, ატატებული რომ მიყავდა იგი თათარს. „სად მიდიხარ, კაცოოო“ — ამოიხრიალა გიორგამ, მაგრამ უკვე თვითონაც არ იცოდა, ვის მიმართავდა, თათარსა თუ საკუთარ თავს, თუ ორივეს ერთად. მერე ტახტზე იჯდა, გომურში. „იმ ღამეს თქვენს წასაყვანად მოვედი... იმ ღამეს თქვენს წასაყვანად მოვედი... იმ ღამეს თქვენს წასაყვანად მოვედი“. — სამჯერ ჩასძახა თათარმა ყურში და კისრიდან ძალით მოიშორა მისი ხელები. გიორგას შეამცივნა და ისევ გამოიხედა თვალში. უკვე მარტო იყო, მარტო, უსაშველოდ მარტო და ახლა ამან გააკვირვა, თითქოს ისიც აქ უნდა ყოფილიყო... ბოლომდე. ტახტზე გადაწოლა სცადა, მაგრამ სისხლი ყელში დაეძგერა და ისევ წამოჯდა. „დედაჩემმა რომ ამ დღეში მნახოს, გული გაუსკდებაო“ — გაიფიქრა და ხელი მოაფათურა სიბნელეში, ისე, გაუაზრებლად, თუმცა მაინც არაფერი დახვედრია ნოტიო სიცარიელის მეტი. „ჩვენებს ძინავთ“ — გაიფიქრა შეშფოთებით და ისევ გადაწვა ტახტზე, ნელა, დაძაბული, თითქოს ბავშვი ეჯდა მუცელზე. დიდხანს ვერ გაჩერდა ასე, ისევ წამოჯდა და სისხლი ამოასლოკინა. „კარგი იყო, თოფს რომ მესროდი?!“ — დაუძახა ქვაზე ამოკაწრულმა კაცუნამ. „მე როდის?“ — ეწყინა უსამართლო საყვედური. „შენც იქ არ იყავი? ხომ არ დაგიშლია იმისთვის?“ — თვალი მოუჭუტა კაცუნამ. „მე მომკითხე, ღმერთო... მე მომკითხე ყველაფერი“. — ამოილუღლუღა დარცხვენილმა. ფეხები საკუთარი სისხლის გუბეში ეწყო. წვივებში ცივი ჟრუანტელი ჩასდგომოდა. ისევ გადაწვა ტახტზე. ტკივილი აღარ უგრძვნია, სასიამოვნოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხურდა გულმუცელი. რაღაცა თბილი, წებოვანი და უსასრულო, მდორედ გამოდიოდა მისი გატრუნული არსებიდან. „აგე, შენი ადამიანი! ან უნდა მოკლას, ან უნდა მოეკვლევინოს“. — დაიძახა კუდიანმა კეკელამ გომურის იმ კუთხიდან, სადაც სახედარი ეგულებოდა. მერე დაინახა კიდეც, მაშინვე იცნო მისი გადმობრუნებული ქუთუთო. ცერა და საჩვენებელი თითით ყურძნის გამოკენკილ მტევანს თითისტარივით იბზრიალებდა კალთაში. კუდიან კეკელას აქ რა უნდაო, გაუკვირდა გიორგას. ჯერ კიდევ მამისეულ სახლში ცხოვრობდა, კუდიანი კეკელა რომ დაასაფლავეს, თვითონაც იქ იყო და სამუდამოდ დაამახსოვრდა ის დღე, ალბათ, იმ ერთი ლუკმა ლანძილისა და იმ ერთი ყლუპი ღვინის გამო, ტანჯვითა და ზიზღით რომ ჩაყლაპა კუდიანი კეკელას საფლავთან. კუდიანი კეკელა სამრევლო სკოლის კიბის ქვეშ ცხოვრობდა და კიბის საფეხურებს შორის დარჩენილი ბზარებიდან ბავშვები პურს უფშხვნიდნენ, მიწას აყრიდნენ, წყალს ასხამდნენ, სანამ მათი ცელქობითა და დაუნდობლობით გამწარებული კეკელა არ გამოუვარდებოდა აშმორებული წყვდიადიდან, მართლა კუდიანივით თმაგაწეწილი, ბინძური და დაკონკილი. „თქვენ მოიყარეთ ჩემი ხნისა... თქვე არგასაწყვეტებო...“ — მისძახოდა ჩიტის გუნდივით წამოფრთხიალებულ ბავშვებს კეკელა და თმაში ჩარჩენილ მიწასა თუ პურის ნაფშხვენებს იფერთხავდა. გიორგას არასოდეს გაუბრაზებია კუდიანი კეკელა, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ეშინოდა მისი. კუდიან კეკელას ცალი თვალი გადმობრუნებული ჰქონდა და მარად სველი ქუთუთო წითელი ატლასის სარჩულივით უბრიალებდა. სოფელმა დამარხა სამადლოდ, თუმცა მაინცდამაინც არ გამოუდია თავი, ორ კაცს მიქონდა მისი კუბო, როგორც ძველი, ხევში გადასაგდები ტახტი. ესეც სამუდამოდ დაამახსოვრდა გიორგას, იქამდე და იმის მერეც, არასოდეს უნახავს, ორ კაცს რომ წაეღოს კუბო, თუმცა კეკელას მეტი არც უნდოდა, ისეთი პატარა და გაჩხინკული იყო, ქარიან ამინდში გარეთ ვერ გამოდიოდა. კუბოს მარტო მესაფლავის ცოლი მიჰყვებოდა, გაზეთის ნაგლეჯში გამოხვეული სანთლები, ერთი ბოთლი ღვინო და ერთი თეფში ლანძილი მიქონდა. ლანძილზე დიდი, ლურჯად მბზინავი ბუზი იჯდა. ამ უცნაურ პროცესიას გიორგაც აედევნა შორიახლოს. კეკელას ჭირისუფლები საქმეს რომ მორჩნენ, მერე შეამჩნიეს იგი, კუნელის ბუჩქს ეფარებოდა, ეგონა დაუტატანებდნენ, გაუბრაზდებოდნენ, რას გვითვალთვალებ, რა გესაქმება ამ კუდიან დედაბერთანო, მაგრამ, მისდა გასაოცრად, დაუძახეს, გვერდით დაიყენეს საფლავის ჯერ კიდევ ნესტიან ბორცვთან, ძალით აალებინეს ლანძილი და ღვინოც ძალით მოასმევინეს ბოთლიდან: მიუვა, მადლიაო. დუბელა, მწკლარტე სითხემ ლამის გული აურია, ეგონა ბუზი ჩააყოლა, დიდი, ლურჯად მბზინავი, ლანძილზე რომ იჯდა წეღან. გადმოფურთხება უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა, მოერიდა. ასე არასოდეს დატანჯულა, მაგრამ იდგა და ითმენდა. „შენ მოიყარე მაგის ხნისაო“ — გაოფლილ თმაზე ხელი გადაუსვა მესაფლავის ცოლმა. „მოისვენა უბედურმაო“. — თქვა მესაფლავემ და ბოთლში ჩარჩენილი ღვინო საფლავის ბორცვს მოასხურა. „ექიმო, ბიჭი გელოდება-მეთქი. აი, მაკაბელებისა... მოუკლავთ“. — დაიძახა კუდიანმა კეკელამ. „ცუდად არის შენი საქმე გიორგა“. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა. თბილი, სხივიანი ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე. მიცნოო, — გაუხარდა გიორგას და ის დღე გაახსენდა, პირველად რომ ნახა ექიმი ჯანდიერი. მაკაბელების სახლის აივანი ბაბუცას პერანგებითა და ზეწრებით იყო მოფენილი. ეზოში ორთვლიანი ეტლი შემოვიდა და ცაცხვების ძირას გაჩერდა.

ექიმი ჯანდიერი ნელა, აუჩქარებლად გადმოვიდა ეტლიდან. „რას შვრება შენი ვენახიო“ — ჰკითხა გიორგას და გაუღიმა, სწორედ ასე, როგორც ახლა იღიმება. მერე უცებ მოიწყინა, თავი გადაიქნია, ცუდათაა საქმეო, — თქვა და სახლში შევიდა. ეტლში შებმული ცხენი მიწას ყნოსავდა და მბზინავსა და გაჭაღარავებულ კუდს ზანტად იქნევდა. „ეგე, შენი ადამიანი, ან უნდა მოკლას, ან უნდა მოეკვლევინოს“ — დაიძახა კუდიანმა კეკელამ და ადგილზე დაბზრიალდა. წამოფრიალებული კაბიდან გამხდარი, ჩამომჭკნარი კანჭები გამოუჩნდა, რამაც გიორგას, სულ ერთი წამით, დედის ქორწილში გაცნობილი, მუხლებგადატყაული გოგო გაახსენა. „გაჩუმდი, შე კუდიანო, შენა“. — ღიმილით დაუტატანა ექიმმა ჯანდიერმა კეკელას და გიორგასაც გაეღიმა. „აი, ბევრი კი არ მინდა... — დაიწყო გათამამებულმა, მაგრამ ენა დაება, იმავე წუთას მიხვდა, აღარაფერი ესაქმებოდა ამ ქვეყანაზე, რაც ევალებოდა — შეესრულებინა და ახლა გინდაც მართლა ეშველა ექიმ ჯანდიერს, თვითონაც ვერ იტყოდა, როდემდე ან რისთვის უნდოდა სიცოცხლე. „ცუდად არის შენი საქმე, გიორგა, ცუდად“. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა. „დედაჩემის ხათრით... დედაჩემისთვის...“ — ისევ დაიწყო გიორგამ და დედის ხსენებამ მკვდარი მამა გაახსენა. გაურკვეველი, გამაოგნებელი, ძირფესვიანად შემარყეველი იმედი ჩაესახა უცებ, ექიმი ჯანდიერიც გაქრა და კუდიანი კეკელაც, ისევ მარტო იყო, უსაშველოდ მარტო, ტახტზე გულაღმა გადაწოლილი, ნაწლავებგამოყრილი, სისხლის გუბეში ფეხებჩაყოფილი. არ ესმოდა, როგორ შფოთავდა, როგორ წრიალებდა ადამიანის სიკვდილით დამფრთხალი, ბნელსა და ნესტიან კუთხეში მიყუჟული სახედარი. „მამი, — დაიჩურჩულა ძლივს. — შინ მინდა... სადა ხარ კაცოო“. — ამოიგმინა გუგებამოტრიალებულმა. თითქმის მაშინვე გამოფატრულ მუცელზე აქოთქოთებული მამალი დააფრინდა, მტკივნეულად ჩაასო ხორცში ბასრი, ღონიერი კლანჭები, გაშეშებული თვალით გვერდულად გამოხედა, აიწურა, აიფოფრა და მთელი ძალით ჩაჰყივლა სახეში. გიორგა უკვე მკვდარი იყო.

„გადავრჩი, ერთხელ კიდევ გადავრჩი“ — ფიქრობდა ქაიხოსრო მეორე დღეს. მაგრამ საბოლოოდ გადარჩენილად მაინც არ თვლიდა თავს, არ ჰქონდა საამისო საბაბი, რადგან გიორგას სიკვდილი სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ თათარი ამით დაკმაყოფილდებოდა. გიორგას სიკვდილმა ძველი შიში გაუღვიძა მხოლოდ, ერთხელ კიდევ დაარწმუნა, განუწყვეტლივ ბეწვზე რომ ეკიდა მისი სიცოცხლე. შიშით ატანილი, ეზოში იდგა და გომურის კარს შესცქეროდა. საცოდავი სანახავი იყო, კაცს შორიდან მგლოვიარე ეგონებოდა. შიში ეს იყო, თუ იყო. თავხედურად, თამამად გაბარჯგულიყო მთელს მის არსებაში, უხვად ამოეყარა მსუყე და ეკლიანი ფოთლები, როგორც ნაკელზე მოხვედრილ სარეველას. გომურიდან ზოსიმე მღვდელი გამოვიდა.

— რა ხდება, მამაო? — ჰკითხა, კი არ კითხა, შეევედრა ქაიხოსრო.

— იცვამს. — მოკლედ უპასუხა ზოსიმე მღვდელმა.

ქაიხოსრო კი არა, ცაცხვებთან გაჩერებული სახედარიც გააკვირვა მისმა ნათქვამმა. დიდი, წყლიანი თვალები მიაშტერა, ჯერ კიდევ არ განელებოდა წუხანდელი შიში და თითქოს ერთი სული ჰქონდა გაეგო, კიდევ რა ხდებოდა იქ, გომურში. დაძაბული იყურებოდა კაცებისკენ.

— იცვამს? ვინ იცვამს, ადამიანო? — აღელდა ქაიხოსრო.

— შვილს გახადა და თვითონ იცვამს. დიდება შენდა ღმერთო. — პირჯვარი გადაიწერა ზოსიმე მღვდელმა.— ისეთი სახე ადევს, თითქოს საქორწილოდ ირთვებოდეს. ახლა უკვე უკანასკნელად. — დაამატა ცოტახნის მერე და სახედარს თვალი აარიდა, ვერ გაუძლო პირუტყვის დაჟინებულ მზერას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალათია არ აწეწებდა, ერთხელ მაინც გავავლებ წყალშიო... ჩაიცვამს და შევბრუნდები. — ჩაილაპარაკა თავისთვის, თითქოს პირუტყვის შერცხვა და ბოდიში მოუხადა, უმწეო რომ იყო, უმწეოცა და ზედმეტიც, ცხედრისთვისაც და ჭირისუფლისთვისაც. — პეტრე სადღაა? — უყვირა უცებ ქაიხოსროს.

— რა ვიცი, ბრინჯი და თევზი უნდა ვიშოვოო... იღუპება ქვეყანა, მამაო. — ვერ შეატყო გაბრაზება ქაიხოსრომ.

— არა, ჯერ არა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. — სანამ დედას შვილის სისხლიანი პერანგი აცვია, ქვეყანა არ დაიღუპება.

ახლა უკვე ჩვეულებისამებრ უქუქუნებდა თვალები. ქერტლით გადაპენტილ მხრებზე დილის მზის სუსტი სხივი უციმციმებდა.

— რა დროს ეგენია, მამაო, — აიმრიზა ქაიხოსრო. — ერთი დღე ვერ ვიცხოვრე მშვიდად.

— ადამიანი წისქვილივითაა, ჩემო ქაიხოსრო, რასაც დააყრი, დაფქვამს, მაგრამ წისქვილიდან განსხვავებით, ის მაინც უნდა იცოდეს, რასა ფქვამს. დასწყევლოს ღმერთმა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ის იყო და ის, იმ დღის მერე ანა გომურში დასახლდა, გიორგას სისხლიანი სამოსი ეცვა კაბის ქვეშ და ღამით გიორგას სისხლიან ლოგინში წვებოდა. ახლა იმას უკაკუნებდნენ დილაობით გიორგას შემოჩვეული ბეღურები და სანამ გათამამებული, გათავხედებული ჩიტები ჟივილხივილით ეხვეოდნენ ამ ფარატინა, ნაადრევად მოტეხილს, მაგრამ საქანელაზე შემომდგარი გოგოსავით მარად მომღიმარ ქალს, ის გიორგაზე ლაპარაკობდა და დარწმუნებული იყო, ყველაფერი ესმოდათ ჩიტებს. „გულკეთილი იყო ჩემი ბიჭი, ყველანი უყვარდით". ამბობდა ანა და გაღიმებული გამოხედავდა ხოლმე მისი საცოდაობით გულდათუთქულ ალათიას — გულხელდაკრეფილი შორიდან რომ ადევნებდა თვალს — ვითომ ნახე, რა ამბავში არიან, როგორ უხარიათ გიორგაზე რომ ველაპარაკებით. ანას სურვილით, სახედარს ლაღ-ლამობით ისევ გომურში აბამდნენ, თუმცა ანას იქაურობა საყდრისთვის დაემსგავსებინა. გომურის კედელზე გიორგას შარვალ-ხალათი, თუშური ქუდი, დაბრეცილი, გაუხეშებული ქალამნები და ჭრელი წინდები ეკიდა. ერთ კუთხეში, გიორგას ხელისგულებით ტარგადაპრიალებული, ბარი აეყუდებინა. ქვაზე ამოკაწრული კაცუნას გარშემო განუწყვეტლივ, ჩაუქრობლად ლაპლაპებდნენ სანთლები, ტახტის თავთან საკმეველი ბოლავდა და იისფერი კვამლის ძაფი ნელა და ნელა, შეუჩერებლად მიიკლაკნებოდა ჭერისკენ. აცრემლებული, საკმევლის სუნით გაოგნებული სახედარი მუქად ანაკვთებოდა გასაყდრებული გომურის ბინდბუნდში, როგორც სიმარტოვისა და დაულეველი სევდის ქანდაკი. „ღამეები აღარ მძინავს, დედი", — ამბობდა ქვაზე ამოკაწრული კაცუნა გიორგას ხმით. „რატომ შვილო, შენ მოგიკვდეს დედა". — წუხდა მის წინ დაჩოქილი ანა. „აი, იმ მამლის ხმა მიდგას ყურებში". „იღლები, ძალიან იღლები შვილო. ჯერ პატარა ხარ". — ჩურჩულებდა ანა. „ყველაზე ვფიქრობ დედი, ყველანი მეცოდებით". — ცვილის ცრემლებით ტიროდა კაცუნა. „რა გატირებს შვილო, რა გატირებს". — გული ეხეოდა ანას. „როგორ თუ რა მატირებს, სულელო, — არ ინდობდა კაცუნა. — დედას ვტირი". „ეგრე, გენაცვალე, ეგრე, შემოგევლოს დედა... დედა შვილმა უნდა იტიროს" — გულში მუშტს იცემდა ანა. ერთადერთი, რასაც გომურში გამეფებული მყუდროების დარღვევა შეეძლო, საათის ხმა იყო. ანას ისე შეაკრთობდა ხოლმე მისი ბრაზიანი, დაუნდობელი ჟღრიალი, თითქოს ისევ ძველი დრო იყო, ისევ გიორგასთან შემოპარულიყო პაემანზე და ისევ იქ უნდა შემობრუნებულიყო,

სიძულვილის ბუნაგში, ისევ უნდა გაეხურებინა აგური ფერდგამომპალი ქმრისთვის და ერთი შვილის გამო ისევ უნდა ეთვალთმაქცა მეორე შვილის წინაშე. გუგუნებდა, ჟღრიალებდა მაკაბელების ორსართულიანი სახლის მოუსყიდველი და ფხიზელი მცველი, ეძახდა, აფრთხილებდა, აშინებდა გაქცეულ პატიმარს, ამაოდ რომ ცდილობდა მისგან თავის დაღწევას, წარსულში შებრუნებას, არარსებულ, მკვდარ დროში დამალვას. საათს ის დრო ერთხელ უკვე გამოეთვალა, მოეშორებინა და სრულებითაც არ აპირებდა, ვინმეს გულისთვის, ხელახლა მიბრუნებოდა, ხელახლა გადაექექა მკვდრის ძონძები და ნაგავი, როცა ისედაც თავზე საყრელად ჰქონდა გამოსათვლელი, მოსაკლავი, მოსაშორებელი დრო. ანა ერთი წუთით იძაბებოდა, ერთი წუთით ფხიზლდებოდა, ან, უფრო სწორედ, ეთიშებოდა მისივე წარმოდგენებით შეკოწიწებულ სამყაროს და შეშფოთებული უსმენდა საათის ხმას. კიდევ არსებობდა რაღაც იდუმალი კავშირი ამ ხმასა და მის არსებას შორის და კიდევ რაღაც უნდა მომხდარიყო, სამუდამოდ რომ გათიშულიყვნენ, სამუდამოდ რომ დაევიწყათ ერთმანეთი. ანას მთვარის ყვითელი ფერფლით მოფენილი, ხის ტოტებზე ჩამომხრჩვალი ჩრდილების ქვეშ მიმავალი, წყვდიადით შენიღბული ორმოებით დაჩეხილი, ცარიელი, მტკივნეულად, აუტანლად ცარიელი და საათის ხმით გამოღვიძებული, აბურძგნული და გაწელილი გზა ახსოვდა, რომელსაც იქ მიყავდა, შვილის ღვარძლთან, ქმრის გულცივობასთან, აგურივით ტლანქსა და ხორკლიან ვნებასთან. ანას აგურიც ახსოვდა, ბუხრის კედელზე აყუდებული, გამურული აგური, ვინ იცის, რამდენჯერ გახურებული და რამდენჯერ გახვეული შალის ნაჭერში, მცივანა და ყვიციანი ჩვილივით. ხელშესახები სიცხადით დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ ის აგური და ისე შეაძაგძაგებდა, თითქოს ისევ ფეხშიშველი, ისევ ცივ იატაკზე, ისევ ბუხრის წინ იყო ჩაცუცქული. აგური მყარად, საფუძვლიანად იდო იქ, სადაც ანა დებდა, სადაც ანამ მიუჩინა, უფრო სწორედ, სადაც თვითონ დაიმკვიდრა ადგილი, რადგან ყველა ნივთი, თავისი მოცულობის, წონისა და დანიშნულების მიხედვით, აიძულებს ადამიანს, ერთსა და იმავე ადგილას დადოს იგი და გონების დაუძაბავად დაიმახსოვროს მისი ადგილსამყოფელი, საძებარი რომ არ გაუხდეს, როცა დასჭირდება; მარტო ერთხელ არაფერი არ ჭირდება ადამიანს და შეიძლება ისეთ დღეშიც ჩავარდეს, ერთი შეხედვით უბრალოსა და უფასურ ნივთზეღა დადგეს მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი. თუმცა, ორსართულიან სახლთან აღარაფერი ესაქმებოდა ანას, აგური არც გომურში დავიწყნია. ჩაწვებოდა თუ არა გიორგას ლოგინში, რატომღაც მაშინვე ის აგური დაუდგებოდა თვალწინ, ბუხრის კედელზე აყუდებული, გამურული, უტყვი და უძრავი, და კი არ იძინებდა, თითქოს იმ აგურის წვრილსა და უხეშ ნასვრეტებში ჩაიწრიტებოდა ხოლმე. ღამღამობით შურისძიებაზეც ფიქრობდა. ღამე დაუნდობელი იყო, ღამით ძნელი იყო გამოთიშვა, თავის მოტყუება. ღამე იმას აჩენდა, რაც დღის სინათლეში ითქვიფებოდა, განზრახვასაც ისევე აშიშვლებდა და ამარტივებდა, როგორც ადამიანს. დღე სიგიჟისა იყო, ჟივილხივილით ეხვეოდნენ გიორგას ბელურები, ყველგან, საითაც არ უნდა გაეხედა, ჭერმის ყვავილი ბრიალებდა, როგორც გიორგას დასაფლავების დღეს, კიბის საფეხურზე ანეტა და ასკლიპიოდოტა ისხდნენ და შემკრთალი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ, როგორ დაჩოჩავდა იგი გომურის გარშემო. „ნუ მომჭერი თავი. არავინ აღარ არის შენთვის? გიორგა იყო ყველაფერი?“ — დაჰყვიროდა თავზე პეტრე. ის კი ღიმილით ამოხედავდა ხოლმე და თავსაფრიდან გამოცვენილ თმას უკანვე იბრუნებდა ათრთოლებული თითებით. დილით აღათიაც იყო, ზოსიმე მღვდე-

ლიც და ხანდახან ისიც გამოჩნდებოდა აივანზე, მისი ქომაგი და დამლუპველი, გიორგას სისხლის სირაჯი. დღისით გიორგა ვენახში იყო და ბარავდა. „ილლება, ქალო, ძალიან ილლება, — ეუბნებოდა მის დასახედათ შემოსულ ალათიას. — ჯერაც არ მოსულა. პურიც არ წაუღია, რაზე უნდა გააძლებინოს? მუშა კაცს ჭამა უნდა ალათია, მშიერი კუჭით როგორ უნდა იმუშაოს?“ „შენ შეჭამე და მიუვა. ძალით შეჭამე. ანეტა ხომ გიყვარს? ბებო თუ არ შეჭამს, არც მე შევჭამო. ანეტას ხათრით შეჭამე ერთი ლუკმა“. — ეხვეწებოდა ალათია. „შენ შვილი არ გყოლია და იმიტომ... არ გამოგიცდია. შვილი მწარეა, ალათია“. — ეუბნებოდა მიწაზე ჩოჩიალით კალთა გამოთეთრებული, სახე ალანძული და თავსაფარმობრეცილი ანა. ალათია კი ტიროდა, ცრემლით ევსებოდა ბებერი კანის ღარები და პირმოკუმული დაზმუოდა. ანას უბედურებასაც ტიროდა და თავისასაც, მარადიული მოახლე, დედობაგანუცდელი ქალი, რომელსაც გამონაცვალი ნიფხვებით ასაჩუქრებდნენ სხვათა ბავშვების მოვლა-პატრონობისთვის, რადგან ისეთივე უნიფხვო გოგოდ დარჩა ბოლომდე, როგორიც პირველად მიიყვანეს მიქელაძეების სახლში. მთელი სიცოცხლე სხვათა ცხოვრებით ცხოვრობდა, სხვათა ტკივილსა და სიხარულს იზიარებდა, მთელი სიცოცხლე ბავშვი ეჯდა კალთაში, მაგრამ დედობისა ანეტაზე მეტი არც ახლა გაეგებოდა, რადგან მის კალთაში გაზრდილი ბავშვები, როგორც კი ჭკუაში ვარდებოდნენ, ყველაფერს ივიწყებდნენ, იმის გარდა, რომ ის მოახლე იყო, მათ ოჯახში გაზრდილი უნიფხვო გოგო, რომელიც თურმე კი არ ყვარებიათ, არამედ შეჩვევიან, აუცილებელი კი არ ყოფილა, არამედ — საჭირო. არცა კი გაუკვირდებოდა, რომელიმე მის გაზრდილ ბავშვს, ლუარსაბ მიქელაძესავით, ხალხში, სტუმრების თვალწინ რომ წამოეხადა მისთვის კაბა, აცვია თუ არა ნიფხავიო, რასაც ვერასოდეს გაუბედავდნენ ნამდვილ დედასა და ბებიას. ის ნამდვილი არ იყო, რადგან არავინ დაინტერესებულა, მასაც შეეძლო თუ არა, ბავშვის გაჩენა. ისიც თოჯინა იყო. მაგრამ ანეტას თოჯინისაგან განსხვავებით, ის სათამაშო დედა იყო, დედის თოჯინა, და კიდევ იმით განსხვავდებოდა ანეტას თოჯინისგან, რომ იმას საკუთარი ნიფხავი მოჰყვა თან, ამას კი — არა. ახლა შვილის სიკვდილით ტვინშერყეულ ანას დაზმუოდა თავზე, მაგრამ სულის ყველაზე შორეულსა და საიდუმლო კუნჭულში, ყველაზე ადამიანური და ყველაზე შემზარავი შურით შურდა ანასი, რადგან მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამას ნატრობდა, წინასწარვე იყო თანახმა შვილის სიკვდილზე, თუკი ერთი-ორი დღით მაინც აღირსებდა ბედი. „არ გამოგიცდიათ“ — უთხრა ანამ და ამან უფრო დაჭრა იგი, ამან უფრო შეაკრთო და შეურაცხყო მისი ბუნება, რადგან ისიც ქალი იყო და მასაც უნდოდა გამოეცადა ყველაფერი, რაც ქალისთვის დაუმწესებია ღმერთს: შობაცა და დატირებაც. ასე იყო თუ ისე, ახლა აღარც იმას ეშველებოდა რამე და აღარც ანას, მოსახდენი მომხდარიყო, ცხოვრება ჩამოთავებულიყო, ჩამოევლო მეწვრილმანე ვაჭარივით, დასატყუარი დაეტყუა, წაერთმია, წაეგლიჯა ამ ორი უმწეო ქალისთვის და სანაცვლოდ ერთისთვის გაუჩენელი შვილი მიეგდო, მეორისთვის კი — მკვდარი.

— წავალ, ანეტას დავაწვენ. — თქვა ალათიამ. — ამოდენა გოგოა და რომ მოკლა, მარტო არ დაიძინებს.

ანას ხმა არ ამოუღია, პირგამეხებული, დაძაბული იჯდა ტახტის კიდეზე. უკვე ერთი სული ქონდა, როდის წავიდოდა ალათია, შეგნებულად თუ შეუგნებლად მის გამოთრევას რომ ლამობდა გამოგონილი სიყდრის მყუდრო ბურანიდან. ალათიამ, შეიძლება, არც იცოდა, როგორი დაუნდობელი



ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო, როგორ უკლავდა ანას გულს, როცა ანეტაზე, ნიკოზე ანდა ალექსანდრეზე ელაპარაკებოდა; შეიძლება, პეტრესავით, ისიც გიჟად თვლიდა და იმიტომ ახსენებდა შვილიშვილების სიყვარულს, მაგრამ ალათიამ ის არ იცოდა, ვალდებული რომ იყო ანა, სულ აქ ეტრიალა, ან გომურში, ან ეზოში, რათა გიორგის მოსვლა არ გამოპარვოდა. გიორგი რომ ცოცხალი იყო, ისიც არ იცოდა ალათიამ და ის საიდან ეცოდინებოდა, რომ გიორგი, როგორც არ უნდა სდომებოდა დედის ნახვა, მამობილის სახლში ფეხს არ შემოადგამდა. გიორგი ცოცხალი იყო და ეს მხოლოდ ანამ იცოდა. არა, ზოსიმე მღვდელმაც იცოდა, რადგან ზოსიმე მღვდელმა უთხრა სწორედ, სანამ შენ ცოცხალი ხარ, გიორგიც ცოცხალი იქნება, რადგან ადამიანი მხოლოდ მაშინ ითვლება მკვდრად, როცა იმის სიკვდილს შეეგუებიანო. გიორგი სხვებისათვის მოკვდა, უფრო სწორედ სხვები თვლიდნენ მკვდრად, ხოლო ანასთვის ისევ ცოცხალი იყო და მტრებს რომ დამალვოდა, ათასნაირ სახეს იღებდა, ხან ბეღურად იქცეოდა და სხვა ბეღურებში გარეული, ნისკარტით უკაკუნებდა დედას, ხან წვიმად მოდიოდა და გომურიდან გამოვარდნილი, უთავსაფრო, ფეხშიშველი ანა, გოგოსავით ბზრიალებდა მის ცხელსა და მიწიან ხელებში. სოფელს გიჟი ეგონა, ანა კი, ბედნიერი იყო. მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლებოდა აქაურობის მიტოვება, რადგან გიორგი ხან ქვიდან გამოეხმაურებოდა ხოლმე, ხან კი ბარის ტარიდან და, რაც მთავარია, ახლაც ძველებურად უთქმელი და დამთმობი კი არ იყო, უცებ ბრაზდებოდა, ერთი წუთით რომ არ მიექცია ანას ყურადღება, დაჰკრავდა ფეხს და წავიდოდა. ამიტომაც, ან გომურში ფუსფუსებდა, ან გომურის გარშემო დაჩოჩავდა. თავსა მჭრიო, ეუბნებოდა პეტრე, მაგრამ ანას რა ბრალი იყო, პეტრე თვითონ იჭრიდა თავს, ასე იოლად რომ იჯერებდა და ეგუებოდა ძმის სიკვდილს.

ასე ფიქრობდა ანა დღისით, ღამით კი, შემაწუხებლად, შემაშფოთებლად ახსოვდა ბუხრის შიდა კედელზე აყუდებული აგური, თვალებზე ებჯინებოდა მისი ცივი და ხორკლიანი ზედაპირი და გრძნობდა, როგორი ნეტარებით, ყველაფრისაგან გამანთავისუფლებელი გულგრილობით იწრიტებოდა მის ნასვრეტებში. ხოლო ერთ ღამეს შუა გზაზე შეუწყდა ეს სასიამოვნო, სიკვდილთან შეუღლების მსგავსი შეგრძნება. ვილაცამ მოუკაკუნა კარზე. არც გაუგია, როგორ წამოდგა და როგორ გაალო კარი. გომურში ალექსანდრე შემოვიდა. რამდენიმე, ლამის ძირამდე ჩამწვარი სანთელიღა ბჟუტავდა კედლებზე, მაგრამ ანას არ გაჭირვებია მისი ცნობა. ალექსანდრე მთვრალი იყო. ერთი ამოიქშინა და ღვინის სუნით გაიჟღინთა მთელი გომური. ბნელ კუთხეში სახედრის ლანდი შეინძრა. სანთლის ალი უარესად აპარპარდა.

— შენა ხარ, ბიჭო? — თქვა ანამ.

— ბებო... როგორა ხარ, ბებო. — მიესიყვარულა ალექსანდრე.

— მე ნიკოსთან მგონიხარ. ხალხს ვეუბნები, ძმას ჩააკითხა-მეთქი. — გაუღიმა ანამაც.

— შენს თავზე იფიქრე, შე უბედურო, რატომა ხარ ასეთი... — თავი დაარატრატა ალექსანდრემ.

— როგორი ვარ? — გაეკეკლუცა ანა.

— ბეჩავი, საბრალო, უსუსური... მონა! — იყვირა ალექსანდრემ.

— მე გიჟი ვარ, ბიჭო. — გაიღიმა ანამ.

— არა. — ღვარძლიანმა ღიმილმა პირი მოუღრიცა ალექსანდრეს. — გიჟი კი არა ხარ, თავის მოგიჟიანება გირჩევნია ომს. მონა ხარ.

— ე, მამაილა. სულ უნდა იყეფო? — ვითომ შეუწყრა ანა.

— მონა! — გაიმეორა ალექსანდრემ. თავჩაქინდრული იდგა, თითქოს მიწაში ელაპარაკებოდა ვიღაცას. — რატომ წაყევი პაპაჩემს? რატომ დაგვღუპე ყველანი? შენმა სიკეთემ და-

გვლუპა, გაგვაუნდილა. — თავი ასწია და უაზროდ მოათვალიერა გომური.

ძირამდე ჩამწვარი სანთლის ალი სუსტად ფეთქავდა, თითქოს ცოცხალი პეპელა ნემსით მიუმაგრებიათ კედელზეო. ანა აწეწილ ლოგინზე იჯდა, ხელში თეფში ეჭირა, თეფშზე ქადის გამხმარი ნაჭერი იდო.

— ჭამე. — უთხრა ანამ. — შენი სახლისაა.

ალექსანდრეს ცალ მხარეს პირი ჩამოუგრძელდა, გაოცებული, ბრიყვული ღიმილი შეახოხდა სახეზე და მისდა გასაოცრად, მართლა მოუნდა ქადა. ნერწყვით გაევსო პირი. ქადის ნაჭერს სამი თითით კიდე ჩამოაფშხვნა. ანამ თეფშს მეორე ხელიც შეაშველა, აიღე, სულ აიღეო, უთხრა და უფრო ახლოს მიუტანა თეფში. ალექსანდრემ ისევ მიატეხა ლუკმა. მერე ხელის ზურგით ნიკაპზე შერჩენილი ნამცეცები მოიშორა. იდგა და ილეჭებოდა.

— იცი, საიდან მოვდივარ... — დაიწყო და გაჩუმდა, ლუკმას ჩასვლა დააცალა. — იქ ვიყავი, — თავი აიქნია ცხენივით და ისევ მისწვდა ქადას. — პაპაჩემი უნდა მომეკლა. — ლუკმა თითით შეიტენა პირში. — მაგრამ ბოლო წუთას გულმა მიმტყუნა. შენგან გამოყოლილმა სიბეჩავემ შემიშალა, შენგან გამოყოლილმა სიკეთემ... შხამივით მიდგას ძარღვებში.

— ჩამოჯექი, რა ცხენივით ზეზეულად ილეჭები. — უთხრა ანამ.

— შხამივით მიდგას-მეთქი შენი სიკეთე ძარღვებში. — იყვირა ალექსანდრემ და ხველა აუტყდა, ქადის ნამცეცი გადასცდა სასულეში.

— ალალი, ბიჭო, ალალი. სად გეჩქარება. — უთხრა ანამ.

— კუბოში. — ხველას ამოაყოლა ალექსანდრემ. — ცოლი კუბოში მელოდება, სხვაგან არა გვაქვს ადგილი. — როგორც იყო, ჩაიბრუნა ხველება, მაგრამ ხმა შეეცვალა, დაბოხებული, ხრინწიანი ხმა ამოსდიოდა ყელიდან. — არც ნიკოა კაცის მომკვლელი. ისიც ჩემსავით ჩანჩურაა. ან გადააბრალეს, ან ძალით ასრულინეს. მკვლელებივით ვცხოვრობთ, მაგრამ სინამდვილეში, ჩვენ კი არა ვკლავთ, ჩვენა გვკლავენ.

— თუ გინდა რომ მოისვენო, ძმას ჩააკითხე. — უთხრა ანამ. ალექსანდრეს აღარ უყურებდა, თეფშზე დარჩენილ ნაფშხვენებს უყრიდა თავს. — ესეც ბედურებს. — თქვა და თავი ასწია, სუსტად, სევდიანად მომღიმარმა, დარწმუნებულმა, რომ ალექსანდრეს დაინახავდა, მაგრამ ალექსანდრე იქ აღარ იყო.

გომურის ღია კარში შორეული ვარსკვლავების სიცივე შემოდიოდა. „აღარ გათავდა ეს წყეული ღამე“. — გაიფიქრა ანამ. სრულებითაც არ გაჰკვირვებია ალექსანდრეს გაქრობა, არც იმით დაინტერესებულა, მომეჩვენა, თუ მართლა მოვიდაო. აღარ დაწოლილა. ლოგინი გაასწორა და ზედ ჩამოჯდა. „ბავშვობიდან ეგეთია, მარცხიანი“. — გაიფიქრა. ღია კარის ოთხკუთხედში ჩამდგარ წყვდიადს უყურებდა და ხორკლიანი აგური ედგა თვალწინ, ბუხრის შიდა კედელზე აყუდებული, გამურული, მომლოდინე. ფეხები ნელნელა ეთოშებოდა და სიამოვნებდა. ფეხები უკვე გამოფხიზლებოდა და მის არსებაში ჩაბუდებული ბურანი თანდათან იკუმშებოდა, იკვრებოდა, მკვრივდებოდა, როგორც ყალიბში ჩასხმული თიხა. „უნდა შევძლო... საჭიროა... კიდევ რამე არ აუტეხოს თავს“. — ფიქრობდა მშვიდად. ბნელ კუთხეში სახედარმა ამოიფშვინა, ეტყობა, ფეხი მოინაცვლა, ყრუდ, გაუბედავად გაბაკუნდა მისი ფლოქვი მიწის იატაკზე. „არც შენ დაგაძინეთ, საცოდავო“. — თქვა ანამ. წელგამართული, წამოსადგომად გამზადებული იჯდა, როგორც ფეხწართმეული ხეიბრები სხედან მაგიდასთან, მაგიდის ქვეშ დარჩენილი უმწეობის მისაჩქმალად. მაგრამ ანა დარწმუნებული იყო, რომ ადგებოდა. ის



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმას ელოდებოდა, ფეხებიდან დაწყებული სიფხიზლე, როდის ამოაღწევდა თავამდე. აქედან ვარსკვლავები არ ჩანდნენ, მაგრამ მთელი ცა ვარსკვლავებით იყო გაჩახჩახებული. ყვითელი ქაფივით მოსდებოდა მიწას მათი გამონაშუქი. სადღაც, ძალიან შორს, მარტოხელა ძაღლი ყეფდა. გომურში ყველა სანთელი ჩამწვარიყო და დაფერფლილი პატრუქის სუნი იდგა. არა, კი არ იდგა, დაძრწოდა, სუფთა და ჯანსაღ ჰაერს გაურბოდა, თავს არიდებდა და ბნელსა და ჩათბუნებულ კუთხეებში იყუჟებოდა გზააბნეული ჩიტივით. მაგრამ ეს განწმენდის ღამე იყო და ვეღარაფერი უშველიდა. ღიად დარჩენილი კარიდან ვარსკვლავების სიცივე და სუფთა ჰაერის ღონიერი ნაკადი შემოდიოდა, ღმერთივით უხილავი, ღმერთის მახვილივით ბასრი და სპეტაკი. ანა წამოდგა და გომურიდან გამოვიდა, როგორც მდინარიდან — მობანავე, სასიამოვნოდ აბურძგნული, ეკალდაყრილი, გამსუბუქებული და გახალისებული. ყოჩაღად გაიარა ეზო, კატის სიმარდით აათავა კიბე და ერთი წუთის მერე ქაიხოსროს საწოლთან იდგა. გამურული აგური ჩვილივით მიეხუტებინა გულზე. დაიცადა, სანამ სიბნელეს შეაჩვევდა თვალს. ოთახში ადამიანის მძაღე, სქელი სუნი იდგა. ქაიხოსროს პირღიას ეძინა, თავი გვერდზე გადაეგდო და გრძელი, შემაწუხებელი შუალედებით ხვრინავდა, თითქოს, საიდანღაც, ბნელი და ღრმა უფსკრულიდან ამოდიოდა თანდათან. ახლა ქაიხოსროს მთელი სახე გარკვევით ჩანდა. ძილს ასაკი გადაეშალა და ბავშვური გულუბრყვილობა, ბავშვური უმწეობა და სიმშვიდე გადაჰფენოდა სახეზე. ანამ თვალები დახუჭა და თავსზემოდ შემართული აგური მთელი ძალით დაიქნია. მერე არაფერი ახსოვს. გიორგისგან, ნიკოსგან, ალექსანდრესგანო, — იძახდა და გამეტებით ნაყავდა დამახსოვრებულ სახეს, ქუთუთოებით რომ ჩაემწყვდია საკუთარ თვალებში, ხოლო სისხლში ამოსვრილი ქაიხოსრო, ამ დროს ღრიალით დარბოდა ოთახებში, სისხლიანი ხელის ანაბეჭდებს ატოვებდა კედლებს, მაგიდებს, სკამებს, კარადის ხელა საათს, მის ღრიალზე წამოვარდნილ პეტრეს, ალათიასა და ანეტას, წიხლებით იშორებდა სამივეს, თითქოს ისინიც მოკვლას უპირებდნენ და აივანზე გამავალ კარს დაეძებდა, გაუაზრებლად, გუმანით, მაგრამ ისე იყო თავზარდაცემული, გაოგნებული და დამფრთხალი, თითქოს საკუთარ სახლში კი არა, ლაბირინთში გალვიძებიაო. „მიშველეთ, მკლავენ“. — ღრიალებდა ქაიხოსრო და ნიფხავპერანგის ნაფლეთებს ხელში ატოვებდა გამოდევნებულ პეტრეს. ანა კი, ბალიშსა და ბალიშზე წარმოდგენილ სახეს ნაყავდა. მერე ვილაცამ აგური დააგდებინა, ზურგსუკან ამოტრიალებული ხელები თოკით გაუკრა, ბალღივით აიტატა და ოთახიდან გაიყვანა. „რატომ?“ — გაუკვირდა ანას. „ბებო, ბებო, ბებო“. — მოსძახოდა ანეტა.

მეორე დღეს, ექიმი ჯანდიერი რომ მოვიდა, ალათიას, ასე თუ ისე, დაელაგებინა სახლი, მაგრამ მაინც იგრძნობოდა წუხანდელი ქარიშხლის სული. ირგვლივ არაბუნებრივი, დაძაბული დუმილი სუფევდა, დუმილი და რაღაცის მოლოდინი, ექიმისა კი არა, უფრო მნიშვნელოვანის, მაგრამ გაურკვეველის. ალათიას ვერ შეემჩნია თუ ვერ შეწვდენოდა, კედელს ერთ ადგილას კიდევ აჩნდა ქაიხოსროს სისხლიანი ხელისგულის ანაბეჭდი, ობობასავით გაფარჩხული. თითქოს მიცოცავდა კიდეც, მაღლა, უფრო მაღლა, უფრო საიმედო ადგილისკენ.

თავშეხვეული, ტახტზე მიწოლილი ქაიხოსრო დაბღვერილი, დაეჭვებული უყურებდა ექიმს.

— რაღა დროს თქვენი ჩხუბია. — გაიცინა ექიმმა ჯანდიერმა. — აბა, მაჩვენეთ.

ქაიხოსრო აშკარად არ იყო საუბრის გუნებაზე, დატყვევებული ცხოველის სევდა ედგა თვალებში, უცებ შეგაცოდებოდათ, იმის გაფიქრებასაც ვერ

მოასწრებდით, რა სჭირდა შესაცოდი. თავშეხვეული, რალაცნაირად უმწეო და უპატრონო ჩანდა. ექიმმა ჯანდიერმა დალაქული, გამხმარი სისხლით გამკვრივებული სახვევი ფრთხილად მოხსნა, ბარძაყებზე ხელებდაბჯენილი, წინ გადაიხარა და ჭრილობას დააკვირდა.

— დიდი არაფერი. წარბი გაქვთ ჩამოტყაული. ოდნავ გვერდზე და ოდნავ ზემოდ რომ მოგხვედროდათ, მაშინ სულ სხვა სურათი გადაგვეშლებოდა თვალწინ. — თქვა საქმიანად, სერიოზული სახით.

— ყველას ჩემი მოკვლა უნდა, ექიმო. რაც გავჩნდი, იმის მერე ასეა. — თქვა ქაიხოსრომ. ჭრილობის გარშემო გაუბედავად მოითათუნა თითები. გაშიშვლებულ ჭრილობას ცივი ჰაერი არ ესიამოვნა, ღრმად, საიდუმლოდ ფეთქავდა.

— ბედნიერი კაცი ყოფილხართ. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა. ისევ ჭრილობას ათვალიერებდა.

— ბედნიერიო? — შეიცხადა ქაიხოსრომ.

— კაცის მოკვლას რა უნდა. თქვენ კი, ვერავინ ვერ მოგკლათ. აკი თვითონვე ამბობთ, სულ ასეაო. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა და ბინძური სახვევი იატაკზე დააგდო.

— ასეა. — დაადასტურა თავისი ნათქვამი ქაიხოსრომ. — ჩემივე მკვლელები გავამრავლე მხოლოდ. სხვა არაფერი გამოვიდა ჩემი სისხლიდან. — ჩაიცინა და დაიკვნესა ერთდროულად, რადგან სიცილის უმნიშვნელო ბიძგმა ჭრილობა ატკინა. ხელი თავისთავად გაექცა შუბლისკენ.

— ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ. — დაამშვიდა ექიმმა ჯანდიერმა. — არ გეკადრებათ, თქვენ ხომ ძველი მეომარი ხართ. — გაიცინა, თბილად, კეთილად — დაჭრილ ოფიცრებს იერიშზე მიჰყავთ ჯარი. ასე არ არის? ილიკო ორბელიანი ნაწილ-ნაწილ გამოიტანეს თურმე ბრძოლის ველიდან.

ქაიხოსრომ ცალი ლოყა შეიჭმუხნა, თითქოს ბუზი მოიშორა. ექიმი ჯანდიერი გასწორდა, სკამის ზურგს მიეყრდნა. გაშლილი ხელისგულები ბარძაყებზე რამდენჯერმე დაიტყაპუნა.

— მართალი ბრძანდებით. — გააგრძელა ცოტა ხნის მერე, ვითომ მივიხვდი, რას ნიშნავდა შენი ლოყის შეჭმუხვნა და იმაზე გპასუხობო. — მართალი ბრძანდებით, წავიდა გმირობისა და თავგანწირვის დრო. დავბერდით, მაიორო. სიბერე შემოგვეპარა. სული კი, სიბერეში გატკბილდება ხოლმე, როგორც ხილი შემოდგომაზე. იქამდე არც კი გვახსოვს. სიბერეა, აბა რა ოხრობაა, ავადმყოფთან მოვედი, ჩანთა კი ეტლში დამიტოვებია.

— პეტრე! — გაუბედავად დაიძახა ჭრილობისგან დაშინებულმა ქაიხოსრომ. — თქვენ იყავით. პეტრე მოიტანს. — უთხრა ექიმ ჯანდიერს. ცდილობდა ისე ამოეშვა ხმა, არც ერთი ნაკვთი არ შეტოკებოდა სახეზე.

— ახლავე წამალს დაგადებ და, როგორც იტყვიან, ქორწილამდე აღარც გემახსოვრებათ. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა და სკამიდან წამოდგა.

— ეგეც მალე იქნება. — ისევ წამოუარა სევდამ ქაიხოსროს. — მიქელ-გაბრიელი გადამწერს ჯვარს.

პეტრე და ექიმი ჯანდიერი ერთად გამოვიდნენ ქაიხოსროს ოთახიდან. „ის სადღაა?“ — ჰკითხა ექიმმა ჯანდიერმა პეტრეს, როცა კიბეზე ჩამოდიოდნენ, თუმცა უკვე იცოდა, სადაც იყო ის, უკვე გომურის ბარმიბჯენილ კარს უყურებდა. პეტრემაც იქითკენ მიუშვირა ნიკაპი.

— როგორ გაბედე, უგუნურო! — იყვირა ექიმმა ჯანდიერმა და გომურის კარს გიორგისეული ბარი ფეხით მოაშორა.

ანა ტახტზე იჯდა, ხელები ისევ ზურგს უკან ჰქონდა გაკრული და ამის გამო, კუზიანს გავდა.

— ოჯახი დამიქცია. ნაბიჭვარს გვა-

ნაცვალა ყველანი. — სცადა თავის მართლება პეტრემ, მაგრამ ექიმი ჯანდიერის თვალებს რომ წააწყდა, დატატანებული ძაღლივით, უნდილად და უხალისოდ გაეცალა იქაურობას.

ექიმმა ჯანდიერმა ჩანთა მიწაზე დაავდო და მხოლოდ მაშინ იგრძნო, მთელი ტანი რომ ეცახცახებოდა. მაგრად მოჭერილ თოკს წითელი ღარები გაეჩინა ანას მაჯებზე, ფრთხილად გადაუსვა ხელი, თითქოს დამწვარზე მალამო წაუცხო.

— რა ვქნა? — გაუღიმა ანამ.

— ჩუმად. — შეუყვირა. — ჩუმად. — გაიმეორა, ახლა უკვე ჩურჩულით. — ჩუმად, შე უბედურო. უნდა გამაგრდე, უნდა გაუძლო, შენს თავზეც უნდა იფიქრო ცოტა... ნუ იღიმები. — იყვირა ისევ.

— მოკვდა? — კი არ ჰკითხა, შეევედრა ანა.

— შენთვის რახანია მკვდარია. ამოიგდე თავიდან. — უთხრა ექიმმა ჯანდიერმა.

ხელებით ანას მაჯები ეჭირა. ანა კი წყნარად იჯდა, მშვიდი, მორჩილი, დამყოლი, ქოთნის მცენარის ღეროვით. არაფერს დაუბნევია ასე ექიმი ჯანდიერი. ანას სუსტი და დრეკადი ძვლების შეგრძნება გულს უჩუყებდა და თავბრუს ახვევდა, თითქოს უბედურ სნეულთან კი არა, ახალგაზრდა და საყვარელ ქალთან განმარტოვებულიყო პირველად, თავადაც ახალგაზრდა და გამოუცდელი. „შენი თითებით დასორსოლებული პური რომ შევჭამე, იმან გამაძლებინა აქამდე“ — ჩაესმა ანას ხმა. „პური? რომელი პური?“ — აღელდა, შეწუხდა, შერცხვა. უარესად დაძაბულიყო, მაგრამ განძრევა ვერ გაებედა, ეხათრებოდა, თითქოს თვითონ კი არა, ანა ჩაფრენოდა მაჯებში. ანას პატარა, ეზოს ყურეში გაშენებული ბოსტნის სურნელი ასდიოდა. წყნარი, სუფთა, ლამის ახალშობილი თვალებით ამოხედა, თითქოს ფეხით გადაქექილი თოვლიდან ენძელებმა გამოაჭყიტესო. ასე შესცქეროდნენ ერთმანეთს, სანამ ანას თვალებიდან გაზაფხულის ნიაღვარივით, გამარჯვების [illegible] ფარეხის კედლებისგან განთავისუფლებულ ფარასავით, ვინ იცის როდინდელი, რამდენ გულში ნადგამი, რამდენჯერ გადადუღებული და რამდენი ხნის ნათმენი ცრემლი არ გადმოიღვარა. „ხო, ხო. იტირე, იტირე, იტირე“. — უაზროდ იმეორებდა აღელვებული ექიმი ჯანდიერი. ანა ტიროდა და ცრემლით გახურებული ტუჩებით უკოცნიდა ხელებს. ექიმ ჯანდიერს არც უფიქრია ხელების წართმევა, როგორც არასოდეს არ იფიქრებდა, ავადმყოფისთვის პირთან მიტანილი წამალი დაეგდებინებინა, ანდა გლახასთვის — პურის ლუკმა. „წადი. დაგვივიწყე. ნულა მოხვალ. მადლობელი ვარ, ექიმო. ჩვენ აღარაფერი გვიშველის. ეს ყოფილა ჩვენი ბედი“ — ლუღლუღებდა ექიმი ჯანდიერის სუფთა და სურნელოვან ხელებს დაწაფებული ანა. ანა მართალი იყო. ერთნაირი ბოროტება იქნებოდა ახლა როგორც ანას დამშვიდება, თაფლით გატკბილებული წამლით, ასევე იმის გამომჟღავნებაც, რასაც თვითონ განიცდიდა. ცოტახნის მერე, ეტლის კოფოზე იჯდა და მძიმე, მამაკაცური ცრემლი ყვრიმალებზე აშრებოდა. შხუილით მიქროდნენ უკან გზაზე გადმოფენილი ტოტები. გზისპირა თხრილებ[ი] ცაცხვის, ალვის, აკაციისა და ათასნაირი ხეხილის გამხმარ ფოთოლს ამოევსო. ბზრიალბზრიალით ქროებოდნენ გამოცარიელებულ სივრცეში ხელისგულივით მოტვლეპილი, ნაცრისფერი ეზოები, მზეზე გამოხუნებული, ალაგ-ალაგ ხავსმოდებული კრამიტის სახურავები, მიწაში ჩაკარგული და ჯვარჩამოხსნილი საყდრის გუმბათივით გარინდული ზვინები, ფუტკარმისეული ჯაგნებითა და ჯერ კიდევ სველი ჩურჩხელებით მოკაზმული აივნები, პირდაპირ იატაკზე დაყრილი კომშისა და ვაშლის სურნელი... ის კი, ვერაფერს ხედავდა, ცრემლი ჩასდგომოდა თვალებში და ყველაფერი ერთნაირად ბრჭყვიალებდა მისთვის, სივრცეც, გზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა და ცხენის ზურგიც, ყველაფერი დამსხვრეული შუშით იყო თითქოს მოფენილი, როგორც გარეგინას დუქნის იატაკი. სამაგიეროდ, ვერც იმის ცრემლს ხედავდა ვერავინ და გინდაც დაენახათ — ქროლვისაგან, ქარისა და მტვრისგან აღძრულ ცრემლად ჩათვლიდნენ, ალბათ. ცხენის მუცლის ბუყბუყი ესმოდა მხოლოდ და შოლტის შხუილი, ცხენის ასაჩქარებლად კი არა, ამ უცნაური სევდის, ამ უცნაური სისუსტის დასაფრთხობად მოქნეული. „რა ჭირს ადამიანს? რა შეაყოლა ღმერთმა ტალახს ამისთანა მოურჩენელი?“ — ფიქრობს, ჩურჩულებს, ყვირის იგი, ესკულაპეს შთამომავალი, მამლის სიფხიზლის, გველის სიბრძნისა და კვერთხის სიმტკიცის მპყრობელი, რისი არ მნახველი, რისი არ გადამტანი, მაგრამ მაინც გულუბრყვილო და მეოცნებე ბავშვად დარჩენილი, სიკვდილისა და სიცოცხლის მეცნიერი, უნივერსიტეტებში განსწავლული, წიგნის სიღრმეთა მხილველი და მაინც უმწეო და უვიცი გომურში მცხოვრები. უბრალო სოფლელი დედაკაცის უბედურების წინაშე, რადგან იმ დედაკაცის ცხოვრება არ ემთხვევა ვითომ ერთხელ და სამუდამოდ აღმოჩენილს, შესწავლილს, დაფორმულებულსა და დაკანონებულ მცნებებსა და ჭეშმარიტებებს, იმისთვის აღმართი მეტია, ვიდრე დაღმართი, ერთი კილო რკინა მძიმეა, ვიდრე ერთი კილო ბამბა და გაცილებით მეტ ფართობს ითხოვს, გაცილებით მეტ საიდუმლოს ინახავს მისი ცრემლის ერთი წვეთი, ვიდრე ოკეანე. „ეი, ესკულაპე! როდემდე ვიყოთ ასე, როდემდე ვიოცნებოთ?“ — ყვირის იგი, ორთვლიანი ეტლის კოფოზე მჯდომი, ღმერთივით დიდებული და ახოვანი და იმავე დროს, მტვრის ნამცეცივით ჩაკარგული საკუთარი ცრემლის ბრჭყვიალა წყვდიადში, ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით გახლართული საკუთარი სევდის ეკალბარდებში. ცხოვრება კი გრძელდება, საზამთროდ მომზადებული ხალხი სახლებში შეკეტილა. გუგუნებენ ბუხრები, თუნუქის ღუმელები. ორთქლი ასდის ნუჟრიანი შეშის ნაპობზე გადაფენილ წინდებს, აბუყბუყებულ ქვაბებსა და ქოთნებს. საკუჭნაოში ფეხმძიმე ქალს მკლავი დაუკაპიწებია და წნილის გაყინულ ქილაში ჩაუყვია. „რას შვრები, გო?“ — ეძახის დედამთილი. „მემჟავება და, რა ვქნა“. — ამბობს ფეხმძიმე ქალი და წნილის წვენით იდაყვამდე დასველებულსა და დაწითლებულ მკლავს ილოკავს.

10.

ანა იმ ზამთარს მოკვდა. მოულოდნელად გამოელევიძა შუაღამისას, გიორგიო, დაიძახა, კი არ დაიძახა, დაიჩურჩულა, თითქოს ჩათბუნებული სოფლის გაღვიძებისა მოერიდა, და შვილის სახელს სულიც ამოაყოლა. სოფელმა მაინც გაიგო და სანახევროდ ისევ ძილბურანში მყოფი, თვალების ფშვნეტითა და ჭრაქების პარპალით მაკაბელების სახლისკენ გამოეშურა, როგორც ოდესღაც, იმ საბედისწერო ღამეს, როცა მაიორმა თათარს ხელები გაუხვრიტა. იმოდენა თოვლი იდო, ხალხი კი არ მოდიოდა, მოცურავდა. მამლები ისევ ყიოდნენ, როცა ზოსიმე მღვდლის შავი ლანდიც აისვეტა თოვლით ამოქოლილ ორღობეში. გეგონებოდათ, უცებ ტანი აუყრია, ანდა რაღაც ზებუნებრივი ძალა აკავებს ჰაერშიო. ასედაც იყო: ზოსიმე მღვდელი ეპიფანე დიაკვანს მოყავდა ორი ფიცრით, გალუმპულ ფიცრებს უნაცვლებდა ფეხქვეშ და სანამ ერთ ფიცარზე ატორტმანებული ზოსიმე მღვდელი დაჰყვიროდა: „ქარა ქენი, ჩავიძირეო, — მეორეს წინ ახვედრებდა. ისეთი გაშმაგებული მოარღვევდა წელამდე თოვლს, თითქოს ანაფორის ბოლოებზე ეშმაკები ებღაუჭებოდნენ და ტანზე ეფხრიწებოდა. თოვლში ცურავდა და ხვითქი გადასდიოდა საწყალს. მაკა-

ბელების სახლს რომ მიაღწიეს, თხასავით აცემინებდა.

მოხუცებსაც არ ახსოვდათ ისეთი თოვლი, იმ ზამთარს რომ მოვიდა. შიმშილმა ნადირი ტყიდან გამოდენა, სოფლის ირგვლივ ჩაცუცქული მგლები და ტურები საწყალობლად ყმუოდნენ, თითქოს დასჯილი ბავშვები იყვნენ და მშობლებს პატიებასა და შინ შესვლის უფლებას თხოვდნენ. ხოლო ანას დასაფლავების დღეს სოფელში ირემი შემოვიდა. თავაწეული მოდიოდა, ფრთხილად, გამოზომილად აბიჯებდა ადამიანის ნაფეხურებით გადატკეპნილ თოვლზე. ფერდები ჩასცვენოდა, ბლუჯა-ბლუჯა ეკიდა ბალანი ტანზე. მოცლილი კაცი თავისუფლად დაითვლიდა იმის ძვლებს. მშიერი ნადირის დანახვამ ურუქლები შეაწუხა, საყელოებით ეჭირათ ირმის სუნით აღგზნებული და პატრონების საქციელით გაცოფებული, თვალებგადათეთრებული ძაღლები, ღობეებს მოსდგომოდნენ, რაღაცნაირად დაბნეულნი და დასევდიანებულნი მისჩერებოდნენ ტყეთა ბინადარს, დატოტვილ რქებზე ზამთრის სუსტი მზე სანთლებივით რომ ანთებოდა და მშვიდად, აუჩქარებლად მოაბიჯებდა ორღობეში, თითქოს ვერც ხალხს ამჩნევდა და არც გაგიჟებული ძაღლების ყეფა ესმოდა. შიმშილსა და სიმარტოვეს დაებრმავებინა და დაეყრუებინა, შიში ტყეშივე დაეძლია, ყველაფერს წინასწარვე შეჰგუებოდა, რაკი თავისივე ფეხით მოსულიყო ადამიანთან, რომელსაც მთელი სიცოცხლე გაურბოდა, ემალებოდა და რომლის თოფმომარჯვებული აჩრდილი იქაც, ტყეთა წიაღში ჩაკარგულს, ელდასავით ეცემოდა ხოლმე გულზე. ახლა სოფლის ორღობეში მოაბიჯებდა, მშვიდი და ლამაზი, როგორც ლარიბი, მაგრამ პატიოსანი მშობლების გაზრდილი ბავშვი, სიბრალულის კი არა — დანაშაულის გრძნობისა და სიკეთის ჩადენის სურვილის აღმძვრელი. მისი მხდალი გულის ბაგაბუგი სოფელს აოგნებდა, ანამუსებდა, ხელ-ფეხს უბორკავდა კიდევ ერთი ცოდვის ჩასადენად და ისიც, სხვა რომ ვერაფერი გა[illegible] სხვა რომ ვერაფერი მოესაზრებინა, „ფუჩიფუჩიო" — ეძახდა აქეთ-იქიდან, ღობეებზე მკლავებგადმოწყობილი, გაბავშვებული თუ უარესად გაადამიანებული, სამათხოვროდ მოსული ნადირის ნდობით. ირემი გრილი, ხაოიანი, ორთქლიანი ნესტოებით ყნოსავდა მისკენ გამოწვდილ ხელისგულებს, რომლებზედაც ზამთრის სუსტი მზე ქვამარილის ნამტვრევებივით ბრჭყვიალებდა. ირემმა ორღობე აიარა, გასცდა სადალაქოს, უკან მოიტოვა გაოცებული სახეებით ამოვსებული, გარეგინას დუქნის გამოღებული კარიც, რუზე გადებულ პატარა ბოგირზე გადაბაკუნდა და, დაბარებულივით, პირდაპირ მაკაბელების რკინის ალაყაფს მიადგა, დრუნჩი ცას მიუშვირა და სატირალში მოსული კაცივით დაიზმუვლა. ირმის ზმუილმა ანას ჭირისუფლებიც წამოშალა, ყველანი აივანზე გამოეფინენ და ერთი წუთით ყველას დაავიწყდა ჩიხტაკოპიანი მიცვალებული, მშვიდად რომ იწვა კუბოში და კეხიან ცხვირზე სანთლის ალი დასთამაშებდა.

— ეგ, გიორგას სულია. დედას მოაკითხა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და მოჟუჟუნე თვალები ქაიხოსროს მიაშუქა. მერე პირჯვარი გადაიწერა და დაამატა: დიდება შენდა ღმერთოო.

ქაიხოსრო ცარიელ კედელთან იჯდა, შავი სატინის ხალათზე მუნდირი მოეხურა და მუხლზე დადებული მუშტიდან თეთრი ცხვირსახოცის ყური მოუჩანდა.

— გიორგას სული არა... — შეხედა ზოსიმე მღვდელს ეჭვის ღიმილით დაღრეჯილმა პეტრემ.

— გიორგას სულია. გაანათლოს უფალმა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

პეტრესკენ არც გაუხედია, მაგრამ დარწმუნებული იყო, ყოველ შემთხვევისთვის, პეტრეც რომ გადაიწერდა პირჯვარს. ჯერ გაუბედავად, მერე კი სწრაფად, რამდენჯერმე, ზედიზედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინის ალაყაფთან თავაწეული ირემი იდგა და ზმუოდა, პეტრე კიბეზე ჩავიდა, ეზო აუჩქარებლად გადასჭრა, თითქოს რაღაცას ეძებდა თოვლში, ალაყაფი გამოაღო და დაელოდა, სანამ ირემი, საბალახოდან დაბრუნებული ძროხასავით, ეზოში შემოვიდოდა. ირემმა ეზო დაყნოსა, ხომ სწორედ მოვედიო, და შავი დრუნჩი თოვლში ამოევანგლა. მერე თავი აიღო და გაირინდა; დიდი, დანამული თვალები ჰქონდა, გეგონებოდათ მართლა უტირიაო. პეტრე გომურისკენ გაუძღვა ირემს.

ეს უცნაური და მოულოდნელი სტუმარი გაზაფხულამდე შეინახეს მაკაბელებმა, თუმცა იმისი მოვლა-პატრონობაც ალათიას დააწვა კისერზე. ირემიც ბავშვივით მისახედი იყო, არაფერი გაეგებოდა ადამიანებისა, მაგრამ ალათიას ხელში გაზრდილი ბავშვებისგან განსხვავებით, უდედმამო იყო, უპატრონო, ღმერთისაგან მოგდებული და, ამიტომაც, სხვა ბავშვებზე მეტად მასზე ჰქონდა უფლება თავის ღვიძლ შვილად რომ ჩაეთვალა იგი. არც არავინ დაუშლიდა და არც არავის დასწყდებოდა გული. ზღაპრებში რაღას არ აჩენდნენ ქალები და რა დიდი ამბავი იყო, მართლა ალათიას გაჩენილი რომ ყოფილიყო ეს ირემი. ისიც ხომ შეიძლებოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ამ ირემს ტყავი გადაეძრო და ოქროსთმიანი ვაჟი დახვედროდა ალათიას გომურში? ასე ფიქრობდა ალათია, ეს ალათიას საიდუმლო ფიქრი იყო, უკანასკნელი გაბრძოლება ღედობისკენ და, რაღა თქმა უნდა, ვერ ხვდებოდა, ესეც ზღაპარი რომ იყო, ახალ ზღაპარს რომ იგონებდა უნებლიედ, დაბერებული და უნაყოფო იმედის გასაყუჩებელსა და ჩასაძინებელს. ალათია თავს ევლებოდა ირემს, ქვიშა რომ არ შეეყოლებინა, ბრინჯივით ურჩევდა ქერსა და ქატოს, თბილ წყალში გავლებულ მარილს ალოკვინებდა მხოლოდ, ჯაგრისით წმენდდა, როგორც სასადილო ოთახის კედელზე გაკრულ ხალიჩას და, თქვენ წარმოიდგინეთ, რქებსა და ჩლიქებსაც უპრიალებდა, როგორც ანეტას — კბილებსა და ფრჩხილებს. ანეტასაც შეუყვარდა ირემი, ისე შეუყვარდა, რომ ასკლიპიოდოტაც დაავიწყდა, ყველაფერს ერჩია ტყისა და ტყიურის სუნით გაჟღენთილ გომურში ყოფნა, უსასრულოდ შეეძლო ეცქირა, თანდათანობით როგორ ევსებოდა და როგორ უნათდებოდა შიმშილისგან ჩაცვენილი ფერდები ირემს, ალათიას წყალობით. „გეხვეწები, მეც აქ მომიტანე საჭმელიო“ — ყელს უწევდა ალათიას და მამაბაბუის რომ არ შინებოდა, ღამითაც აქ დაიძინებდა, ირემთან და სახედართან ერთად, თუმცა ისე მაინც არ ჩაწვებოდა ლოგინში, ერთხელ კიდევ რომ არ დაეხედა ირმისთვის, ღამემშვიდობისა რომ არ ესურვებინა და ფრთხილად არ ჩამოესვა ხელი მფრთხალსა და დაძაბულ თეძოზე, თავადაც დამფრთხალს, დაძაბულს, უმიზეზოდ გაბედნიერებულსა და დასევდიანებულს. სულ იმის შიში ჰქონდა, ვაი თუ, ირემი აღარ დაგვხვდეს, ვაი თუ, გაგვეპაროსო. „იმიტომ რომ ნამდვილია, იმიტომ რომ იზრდები, შვილო“. — ეუბნებოდა ალათია, უსაზღვროდ მადლიერი, და თან ჭრაქს უნათებდა, აცახცახებული ჭრაქი ანეტას თავს ზემოდ ეჭირა, უკეთესად რომ შესძლებოდა მას ირმის დანახვა. ჭრაქის ალით დაფეთებულ წყვდიადში მკვეთრად ინაკვთებოდა ირმის უზარმაზარი ლანდი, რომელიც ათასში ერთხელ, თითქოს ანეტას დასამშვიდებლად, ღონივრად ამოიფშვენდა ხოლმე და ანეტას სახეში ულიტინებდა ტყეთა სურნელი, ტყეთა იდუმალებით გაჟღენთილი და გამთბარი ჰაერი.

იმ ზამთარს ანეტას გაუთავებელი ბავშვობაც დასრულდა. ეს, ყველაზე ადრე, ასკლიპიოდოტამ იგრძნო, ტახტიდან გადმოვარდა და დაიმტვრა, მარჯვენა წარბი ჩაიმსხვრია. წარბის ნაცვლად გაჩენილ ხვრელში რკინის ვიწრო

ჩხირი გამოჩნდა, რომელზედაც მისი თვალი იყო მიმაგრებული. მაშინვე დაეკარგა ცოცხალისა და ნამდვილის იერი. ანეტას მაინც არ გადაუგდია ის, მაგრამ აღარც ერთად იძინებდნენ. ახალი ადგილი მიუჩინა, დიდ ოთახში ტახტზე, მუთაქებს შორის, დაასკუპა და ისე არ ჩაუვლიდა, უცაბედად დასევდიანებული თვალი რომ არ გასჩერებოდა ძველისძველი მეგობრის უსისხლო და უშნო ჭრილობაზე. თოჯინის ტყვეობიდან თავდაღწეული ანეტა დღითიდღე იყრიდა ტანს, დღითიდღე ივსებოდა ფერხორცით და, შემკრთალი და დაბნეული, უაზროდ უღიმოდა სარკეში საკუთარ გამოსახულებას, როგორც უცხო გოგოს, რომელსაც უნდა გასცნობოდა და დამეგობრებოდა კიდეც, რადგან დღეიდან ერთ ჭერქვეშ მოუწევდათ ცხოვრება. აგერ უკვე ხუთი წელი იყო, რაც ალათია ყოველ შურისკვირას ბედისკვერებს უცხობდა ანეტას, ყოველ წელიწადს აკლებდა ფქვილს, მარილს კი — უმატებდა, მაგრამ თოჯინასთან ერთად დაძინებულ გოგოს წვიმები ესიზმრებოდა მხოლოდ, თითქოს ისა და ასკლიპიოდოტა გუბეებში ჭყუმპალაობდნენ, ანდა თავფეხიანად გაწუწულნი შინისაკენ გამორბოდნენ, წვიმა კი, თქარათქურით მოსდევდათ უკან. მღაშე კვერით მოწყურებულს, არც ხარკათი ასმევდა სიზმარში ვინმე წყალს და არც ჭიქით. ანეტამ ალათიასგან იცოდა, რომ სიზმარში ხარკათი მოწოდებული წყალი გლეხის ცოლობას ნიშნავდა, ჭიქით კი — თავადისას, მაგრამ გათხოვება იმდენად ადარდებდა, რამდენადაც ასკლიპიოდოტას. გათხოვების წინააღმდეგი არ იყო, რადგან ზღაპრებში ყველა მზეთუნახავი თხოვდებოდა ბოლოს. შემოუჯდებოდა მფრინავ ხალიჩაზე დევების გამჟუჟავ ბიჭუნას და აფრინდებოდა ცაში, ვარსკვლავებზე, მაგრამ, მისი რწმენით, იმ ბიჭუნას ერთად უნდა წაეყვანა ისა და ასკლიპიოდოტა. ორივე უნდა შეერთო, რადგან ცალცალკე არც ერთი არ წაყვებოდა მაინც, რაც არ უნდა მომხიბვლელი ყოფილიყო მფრინავი ხალიჩით სეირნობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგრე როგორ შეიძლება, გოგო. ეგრე ხომ თათრებმა იციან. — გულწრფელად წუხდა ალათია.

— მერე რა, — მხრებს იჩეჩავდა ანეტა. — მაშინ სულ ნუ მოვა. ჩვენ არაფერში გვჭირდება. არა? — ეუბნებოდა ასკლიპიოდოტას და ისიც, თანხმობის ნიშნად, გრძელსა და აპრეხილ წამწამებს უხამხამებდა.

— ეგრე როგორ შეიძლება. — წუხდა ალათია. — აბა, ჩემსავით უნდა დარჩე, უშვილძიროდ?

მაგრამ ეს ადრე იყო. ირემმა სიცოცხლის ველური, დაუდეგარი და იდუმალი სული შეასუნთქა თოჯინის წამხედურობით ზრდაშეწყვეტილ ანეტას. იმ წელიწადს ბედისკვერმაც გასჭრა და ანეტამ ნახა სიზმარი. ვითომ წყაროზე გაეშვათ მარტო. ჯერ მოწონდა, უხაროდა, უკვე დიდი გოგო ვარო, იძახდა გუნებაში, მაგრამ რამდენჯერაც შეუყენა კოკურა ღარს, იმდენჯერ ფერფლით აევსო. გვიან შეამჩნია, რომ რკინის ღარში წყლის მაგივრად ფერფლის ნაკადი მოდგაფუნობდა. თვალის საწიერზე ფერფლით გადაპენტილიყო ყველაფერი. თვითონაც მუხლებამდე ფერფლში იდგა. „ეს სად მოვედიო" — გაუკვირდა. ალათიასთვის უნდოდა დაეძახნა, მაგრამ პირიც ფერფლით ამოევსებოდა. ერთი წუთიც და დაიხრჩობოდა. გრძნობდა, როგორ იხრჩობოდა. ვერც ტყვიასავით დამძიმებულ კოკურასთვის გაეშვა ხელი და უფრო და უფრო იძირებოდა ფერფლის ზღვაში. ბუჰო, — დაიჭექა უცებ კოკურამ და ფერფლის ღრუბელი ამოაფრქვია. ხოლო ის ღრუბელი კაცად იქცა. დილით ვერაფრით გაიხსენა ანეტამ იმ კაცის სახე, სიზმარში კი, ისე გაუხარდა, თითქოს იმის საძებრად გამოსულიყო შინიდან, რამდენჯერაც შეუშვირა იმ კაცმა პეშვები ღარს, იმდენჯერვე წყლით აევსო. ანკარა, ჰაერივით გამჭვირვალე წყლით. „ეს მკვდრების წყაროა და ყველას არ ემსახურებაო" — უთხრა

ანეტას. ანეტა პირდაპირ იმის პეშვებიდან სვამდა წყალს. ისეთი გრილი და გემრიელი წყალი ცხადშიც არ დაულევია. სვამდა, სვამდა და გრძნობდა, როგორ ებერებოდა მუცელი. თან იმასაც გრძნობდა, სიზმარში რომ იყო, და ერთი სული ჰქონდა, როდის გამოიღვიძებდა, როდის მოუყვებოდა ალათიას, გამოღვიძებულმა კი, გადაიფიქრა, ალათიასი მოერიდა, არ კი იცოდა, რატომ.

ახლა დილაობით ფეხშიშველი, პერანგის amara იდგა ხოლმე აგუგუნებული ბუხრის წინ და კეფაზე ხელებშემოწყობილი, ცეცხლის სიმხურვალით შემკრთალი და ალანძული, ნებიერად ანჩხლი და ნებიერად მიზეზიანი, კატასავით იზმორებოდა, სანამ ყველა სახსარი არ გაუტკაცუნდებოდა, სანამ ყველა კუნთი არ დაეჭიმებოდა, სანამ ერთიანად არ აღიქვამდა საკუთარ არსებას, როგორც მხედართმთავარი ერთი მიზნისთვის დანაწევრებულ ჯარს. „ჩაიცვი, გოგო, გაცივდები“. — ეძახდა ალათია. ის კი, მოჯადოებულივით შესცქეროდა ცეცხლს, შიშველ ფეხებზე სასიამოვნოდ ელაციცებოდა ცეცხლის სიმხურვალე და რცხვენოდა ამ სასიამოვნო შეგრძნებისა, როგორც გათხოვილ ქალს — ქმრისა, რომელმაც პირველად იხილა მისი სიშიშვლე და რომელსაც კი არ გაურბის, არამედ უარესად ეტმასნება, რადგან იმისია და მხოლოდ უალრესი სიახლოვით შეუძლია დაემალოს იმას.

— ავდგები და წავალ. — ამბობდა ანეტა.

— სად წახვალ, გოგო, ძაღლი არ გაიგდება ამ თოვლში. — უკვირდა ალათიას.

— რა ვიცი... თუნდაც ნიკოსთან.

— ქალს ციმბირში რა უნდა, შვილო. იქ, თურმე, მარტო პატიმრები არიან. — აჯერებდა ალათია.

— მე რა, პატიმარი არა ვარ?! — მხრებს იწურავდა ანეტა და უხალისოდ წრუპავდა რძეს. — ყველაფერი ყარს. — იბზუებდა ტუჩს და გვერდზე აჩოჩებდა ფინჯანს.

— რას ამბობ, გოგო. როგორ თუ ყარს? — იბნეოდა ალათია.

— ყარს, ყარს... ყველაფერი ყარს. — ანჩხლდებოდა ანეტა.

სამაგიეროდ, მამისა და პაპის თანდასწრებით პირს არ გააღებდა. თუმცა, პაპამისს ველარც ხედავდა, ანას დაკრძალვის მერე ქაიხოსრო თავის ოთახში იყო შეკეტილი და ზოსიმე მღვდლის მეტს არავის უღებდა კარს. მამასაც იშვიათად ხვდებოდა, სადილზე ან ვახშამზე, მაგრამ მაშინაც დამდურებულებივით არიდებდნენ ერთმანეთს თვალს. ანეტასთვის უცხო იყო მამა, არც არასდროს გაწყრომია და არც არასდროს მოფერებია, უბრალოდ იცოდა, რომ მამამისი იყო და ეს სავსებით აკმაყოფილებდა, სანამ ასკლიპიოდოტასთან მეგობრობდა, ახლა კი, ამის ცოდნა ბორკავდა, აბნევდა და აღიზიანებდა კიდეც, რადგან არც არაფერს აძლევდა და არც არაფერს ართმევდა. პეტრეც დაახლოებით ამ დღეში იყო, სანამ ანეტა ბავშვად ითვლებოდა, უიმისოდაც მიხედავდნენ ქალები, ახლა კი, არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ან რაზე უნდა ელაპარაკა ქალიშვილთან, რომელსაც იმდენივე გაეგებოდა ღვინოების ყიდვა-გაყიდვისა, რამდენიც თავად — ქალებისა. პირმოკუმულები ისხდნენ და საჭმელსაც პირმოკუმულები ჭამდნენ.

— თოვლიც საჭიროა მიწისთვის. ვაზი თუ არ დაიზრო, წელს კარგი მოსავალი იქნება. — იტყოდა ხოლმე პეტრე, ისე, სხვათაშორის, რამე რომ ეთქვა და სტუმარივით არ მჯდარიყო საკუთარ სახლში.

ქვეყანა თოვლში იყო ჩაკარგული. საითაც არ უნდა გაგეხედა, ყველგან მისი კაშკაშა, თვალისმომჭრელი სითეთრე ხასხასებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, სხვაგანაც თუ არსებობდა

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მპოვნელმან....

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე, გზებით თუ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან სოფლები და ქალაქები, და როდისმე თუ გაადნობდა, როდისმე თუ მოერეოდა მზე ამოდენა თოვლს. მაგრამ სიცოცხლეც არსებობდა და გზებიც, თოვლით დამარხული გზები, და ამის იმედი აძლებინებდა ანეტას. ერთი გზა ურუქზეც გადიოდა და, ღმერთმა იცის, საიდან დაწყებული, სად მთავრდებოდა. ანეტას თოვლის ქვეშ გზა ეგულებოდა და დიდი იმედი ჰქონდა იმ გზისა, როგორც წერაკითხვის უცოდინარ დედაბერს თამასუქისა, რომელსაც კიდობანში თეთრეულის ქვეშ საგულდაგულოდ ინახავს და რომელიც, იმერული აბაზიანივით, შეიძლება, ყალბიც აღმოჩნდეს.

— საჭმელი მიუტანე? — ეკითხებოდა დანაყრებული, სკამის ზურგს მიწოლილი პეტრე ალათიას და გათლილი ჩხირით კბილებს იჩიჩქნიდა. — პაპაშენი კაი ხნის მკვდარია, — ამბობდა მერე ანეტას გასაგონად. — მაგრამ ამ თოვლში საფლავის გათხრას, ისევ მკვდრის შენახვა ჯობია; უფრო იაფი დამიჯდება.

პეტრე, თავისი ჭკუით, ანეტას გამხიარულებას ცდილობდა, მაგრამ ანეტას სახეც არ ეცვლებოდა მამის უკბილო და ღვარძლიან ხუმრობაზე, თითქოს დაყრუებულიყო, ჯიუტად დასცქეროდა თეფშს და ვერც კი გაიგებდით, გამწყრალი იყო თუ მოწყენილი. სარკმელი თოვლს ამოეთეთრებინა, კედლებშიც ყონავდა თოვლის ღრმა, უკიდეგანო სიჩუმე. უკვალოდ იკარგებოდა ამ სიჩუმეში ყოველგვარი ხმა და ხმაური, რადგან თვითონ ხმაურობდა, განუწყვეტლივ გუგუნებდა ყურებში, როგორც უზარმაზარი თეთრი ნიჟარა. ხანდახან ტოტიდან დაცურებული თოვლის ბოლქვები ფეთქდებოდნენ გარეთ, ყრუდ, მოგუდულად, და თოვლის ბრჭყვიალა მტვერში დიდხანს ირხეოდა გალუმპული, სიმძიმისგან განთავისუფლებული ტოტი.

ქაიხოსრო თავის ოთახში იყო გამოკეტილი და თოვლის სიჩუმე აგიჟებდა, აეჭვიანებდა, მოსვენებას უკარგავდა. ვიღაცის შემპარავი, ქურდული ნაბიჯები ეჩვენებოდა განუწყვეტლივ და ხან კარზე ჰქონდა ყური მიდებული, ხან კი ფარდას ამოფარებული, ფანჯრიდან უთვალთვალებდა გადათეთრებულ ეზოს, სუნთქვაშეკრული, დაძაბული და აღგზნებული. ვინმე რომ მოუკაკუნებდა, ქურდობაზე წასწრებული კაცივით გაშეშდებოდა ხოლმე შუა ოთახში, ენაჩავარდნილი, ერთიანად აგანგაშებული, და კაკუნი რომ განმეორდებოდა რამდენჯერმე, ისიც იძულებული ხდებოდა გამოემჟღავნებინა თავი. „რომელი ხარო“ — უღრენდა კარს, თითქოს განგებ გაუხეშებული და გამკაცრებული ხმით შეაშინებდა და მოიგერიებდა მისი მოკვლის მსურველს. „ალათია ვარ, ადამიანო, საჭმელი მოგიტანე“. — ეპასუხებოდა ალათია კარს იქიდან. ქაიხოსრო ცოტათი მშვიდდებოდა. ალათია ჯობდა ყველა წარმოდგენილ მტერს, მაგრამ ბოლომდე, ალათიას კი არა, საკუთარ ლანდსაც აღარ ენდობოდა იგი. „იცოდე, ჯერ შენ შეგაჭმევო“. — კარს აქედან ცდილობდა საბრალო მოახლის გამოტეხვას. „მე უკვე ვჭამე, მადლობელი ვარ“. — ვერ უგებდა ალათია, თეფშს კართან დებდა იატაკზე და მიდიოდა, მიათვლასუნებდა ფეხებს. ქაიხოსრო ელოდებოდა, როდის მიწყდებოდა ალათიას ფლოსტების ტყაპუნი და მხოლოდ მერე აღებდა კარს, ოდნავ, თეფში რომ შემოტეულიყო. ჩაკუნცხული, ცალი ხელით კარის სახელურზე ჩამოკონწიალებული, მეორე ხელს ღრიჭოში გაძვრენდა და ფრთხილად, ნელნელა შემოაცოცებდა ოთახში საჭმლიან თეფშს. მერე თეფში შუა ოთახში იდო იატაკზე და ზურგზე ხელებდაწყობილი ქაიხოსრო გარშემო უვლიდა, თითქოს უხილავი თოკით იმ თეფშზე იყო მიბმული, როგორც ვირი პალოზე, არაქათგამოცლილი, წარმოდგენებში ათასჯერ მკვდარი და გაცოცხლებული, შიშშილისგან მუცელაყმუვლებული,

ბოლოს თვითონაც იატაკზე ეშვებოდა, ძაღლივით მიუცუცქდებოდა ხოლმე მისთვის ესოდენ ამაზრზენსა და ამავე დროს აუცილებელ საჭმელს და თქლაფათქლუფით, ფაციფუცით ნთქავდა, რათა თუ მოსაკლავი იყო, დროზე მომკვდარიყო, ბოლოს და ბოლოს, დაესვენა, თუ არადა, დროზე ჩაებრუნებინა შიმშილისგან სანახევროდ გაპარული სული.

— აღარ შემიძლია, მამაო, აღარ შემიძლია. — შესჩიოდა მის სანახავად მოსულ ზოსიმე მღვდელს. — კაცი არ მომიკლავს და კაცის მკვლელივითა ვცხოვრობ.

— გინდა მოგეკლას და გინდა მოკვლა გდომებია. — თვალებს უჟუჟუნებდა ზოსიმე მღვდელი.

— შენა... — სიბრაზისგან ენა ებმებოდა ქაიხოსროს. — ერთხელაც იქნება, მოგაგლეჯავ მაგ წვერსა.

— იმიტომაც. — ტუჩებს აწკლაპუნებდა ზოსიმე მღვდელი და კალთაში ჩადგმულ ჭიქას ეფერებოდა, თითქოს ოთახში შემოხეტებული წიწილა აუყვანიაო.

— რა იმიტომაც, ადამიანო? — პირში ჩასცქეროდა მოუთმენლობისგან აწრიალებული ქაიხოსრო, იქნება ახლა მაინც მითხრას, წამოსცდეს, რა ამბავია ჩემს თავსო.

— ამისთანა ცუდი ზრახვები რომ გიტრიალებს თავში. — ღიმილით, მშვიდად უხსნიდა ზოსიმე მღვდელი.

თოვლში სიარულისგან ანაფორა მუხლებამდე სველი ჰქონდა და გეგონებოდათ, უფრო მუქი ნაჭრით დაუგრძელებიაო.

— მე ჩემი გამჭირვებია. შენ კი, ცეცხლზე ნავთს მისხამ. — უსაყვედურა ქაიხოსრომ და მაშინვე მხურვალედ შეევედრა. — წამიყვანე, მამაო, აქედან. აღარ შემიძლია. ღამღამობით კედლებიდან გადმოდიან, მოსისინებენ, მოჩურჩულებენ, მოდიან... აი, ამ ბზარში მთელი ქალაქი შემოეტევა ხოლმე. ის წყეული ქალაქი. ყველას ჩემი მოკვლა უნდა, ცოლსაც, შვილსაც და შვილიშვილსაც. ღმერთი აღარა გწამთ, ადამიანო?!

— ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— ჰა? — ყურები დაცქვიტა ქაიხოსრომ. — ჰა? — თითქოს რაღაც ეცნაურა, თითქოს დიდიხნის დავიწყებული გაახსენეს უცებ.

— ყოველმან ჩემმან მპოვნელმან... — გაიმეორა ზოსიმე მღვდელმა.

— რათა? მე რომ არავინ არ მომიკლავს?! — დაიბნა, გაცხარდა, დაფრთხა ქაიხოსრო.

თვალებში წითელი ბინდი ჩაუდგა. სარკმელში ჩაბუდრებულ სითეთრესაც თითქოს ალმურმა გადაუარა უცებ.

— კარგი ღვინოა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა, ღვინო მოწრუპა და ჭიქა ისევ კალთაში ჩაიდგა.

არ იყო ქაიხოსროს საშველი, კაციც გადამტერებოდა და ღმერთიც, ყველას მის სისხლზე ეჭირა თვალი, კაცსაც და ღმერთსაც. ღმერთის მოგზავნილი იყო ეს გველაძუა მღვდელი, მის ღვინოს რომ წრუპავდა და სისხლსაც თხოვდა, სისხლზე ევაჭრებოდა. გაცნობის დღიდანვე ისე უპრუწავდა ტუჩებს, თითქოს დიდ საიდუმლოს უნახავდა, თითქოს ზოგავდა და იცოდებდა, თითქოს გული შესტკიოდა და ამასაც აბრიყვებდა, თანდათანობით ამასაც უღვივებდა დანაშაულის გრძნობას, თვალების ჟუჟუნითა და ტუჩების წკლაპუნით თანდათანობით აბამდა ყელზე არარსებული ცოდვის მარყუჟს, ნათლობის ჯვარივით; ახლა კი, ამდენი წლის მერე, რაკი გაუჩუმდნენ, რაკი აჰყვნენ კუკუმალაობაში, იმ არარსებული ცოდვის შენახვისთვის გასამრჯელოს თხოულობდა, გაუთავებელ, აულაგებელ პურმარილს კი არ ჯერდებოდა, იმასაც მაინცდამაინც

სისხლი უნდოდა, სამიოდე ლიტრა ბებერი სისხლი, ამდენი შიშისა და დავიდარაბისგან გაწყალებული და ობმოკიდებული. ქაიხოსრომ ლამის სახეში შეასხა ღვინო ზოსიმე მღვდელს, აჰა, წაიღე ჩემი სისხლიო, მაგრამ ხელიცა და სიტყვაც ძალით შეაკავა, რადგან სიმარტოვე უფრო მწარე და დაუნდობელი იყო, ვიდრე სიმართლე. წავიდოდა თუ არა ზოსიმე მღვდელი, ოთახი მოჩვენებებით გაივსებოდა. ჭუჭრუტანებიდან, ნასვრეტებიდან, კედლის ბზარებიდან დენას დაიწყებდა თბილისი, როგორც საზარლად დაპობილი, საზარლად დატალღული, საზარლად მობუყბუყე ლავის მდუღარე ნაკადი, ბზარებში, ჭუჭრუტანებში, ნასვრეტებში გამოატევდა და, ვინ იცის, მერამდენედ შემოუწყობდა გარშემო უკვე სახეგადაშლილსა და ხრწნაგამჯდარ გვამებს, რომლებიც ოდესღაც მისიანები იყვნენ და რომლებთანაც ახლა აღარაფერი აკავშირებდა სასოწარკვეთის, შიშისა და უსაზღვრო სიძულვილის მეტი. გვამები თანდათან ლაგდებოდნენ მის გარშემო, ჯერ მუხლებამდე სწვდებოდნენ, მერე წელამდე, მერე კისრამდე და ისიც იხრჩობოდა, იხრუკებოდა გამდნარი ქალაქის მდუღარე მორევში. თავზე კი, ყოჩის რქისხელა ულვაშებიანი, ორი თვის გოგო დასტრიალებდა, მკვდარი ანგელოზივით, და ამას ხელი ვერ გაენთავისუფლებინა, ვერ ამოეღო სქელი და წებოვანი მორევიდან, რათა თუ ვერ მისწვდებოდა ხელმეორედ მოსაკლავად, აექშია მაინც. თბილისი კი, მოედინებოდა, მოაბზრიალებდა ჭრელაჭრულა სარეცხს, მზეზე მოლივლივე გუმბათებს, ციხის მოედანზე დაძიძგილავებულ მამლებს, შუბლებით დაჯახებულ ყოჩებს, აქლემების ქარავანს, აღმოსავლური ტკბილეულის გორაკებს, ფარჩისა და აბრეშუმის თოფებში გზაბნეულ ქალებს, მოგუგუნე ზარებს, ურჩხულის ხახასავით ცეცხლისმფრქვეველ სამჭედლოებს, ხიდზე გახირულ ჩარდახიან ურმებს, ეტლებს, ფაეტონებს, დილიჟანსებს... და მოდიოდა, მოედინებოდა, მდინარესავით ცოცხალი და მარადიული. ხოლო ქაიხოსრო მის ფსკერზე იდგა, გვამებით დამძიმებული, ცოცხალი მკვდარი, ზეზეურად დამარხული.

ერთ საღამოს ქაიხოსროს მართლა მოესმა უცხო ნაბიჯების ხმა, მაგრამ ქურდული და შემპარავი კი არა, დაურიდებელი, თამამი და უხეშიც. დიდხანს იყო კარზე აკრული, მიყურადებული. მერე პეტრესა და ალათიას ხმები გამოიცნო, ალბათ, მომეჩვენაო, გაიფიქრა და ის იყო, კარს უნდა მოშორებოდა, რომ სწორედ ამ დროს ვიღაცამ გაიცინა, უცხოდ, შემაწუხებლად. „ალათია, ალათია. — დაიძახა მოთმინებიდან გამოსულმა — რა ხდება? ვინ არის?“ — არ აცალა ალათიას კართან მოსვლა. „სტუმარია. ზოსიმე მღვდელმა მოიყვანა, ღამე გაათევინეთო, აქეთ ყოფილა საქმეზე და დაღამებია. ინჟინერი ვარო“. — სხაპასხუპით მიაყარა ალათიამ გამოკეტილ კარს და ალათიას ხმამაც დააეჭვა ქაიხოსრო, გამოცვლილად, უჩვეულოდ გაახალგაზრდავებულად და გახალისებულად მოეჩვენა. „თვითონ სად არის? რატომ არ შემოვიდა ჩემთან?“ — ჩურჩულით ჰკითხა ქაიხოსრომ. შუბლი კარზე ჰქონდა მიბჯენილი, ორივე ხელით სახელური ჩაებღუჯა. „რა იცის, რომ აქა ხარ“. — გაიცინა ალათიამ. „სტუმარი კი არა, მღვდელი!“ — უყვირა ქაიხოსრომ. „მღვდელი რა ხანია წავიდა“ — ალათიას ხმაზე ეტყობოდა, გაქცევაზე რომ იყო, სულ რომ არ ეხალისებოდა ასე სულელივით ლაპარაკი გამოკეტილ კართან. „რა იცით, ვინ ოხერია“. — სცადა ალათიას შეშინება ქაიხოსრომ, „ოხერი არა, — ალათიას გაეღიმა. ესეც ხმაზე შეეტყო. — არ მცალია, ადამიანო. მერე ვახშამს მოგიტან“. — უთხრა კარს, ქაიხოსროს დასამშვიდებლად, და გატრიალდა, დამთავრებულად ჩათვალა საუბარი. ქაიხოსრო კი ვერ დამშვიდდა, პირიქით, უფრო ააფორიაქა ალათიას დაბნეულმა ლაპარაკმა. ან რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეატყობდა სულელი ალათია, ის კაცი მართლა უცხო იყო, თუ უცხოდ იყო შენიღბული. მთელი ღამე ერთი წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი. სანამ დიდი ოთახიდან შვილისა და სტუმრის ხმები ესმოდა, კიდევ არა უშავდა, მაგრამ სახლი რომ ჩაწყნარდა და ჩაბნელდა, ნამდვილი წამება მერე დაეწყო.

იმ ღამეს არც ანეტას ძინებია. სტუმარი რომ მოვიდა, ის უკვე ლოგინში იწვა, მაგრამ არ ეძინა, ქსოვას სწავლობდა ლამპის შუქზე. უცხო ნაბიჯების ხმა და სიცილი რომ შემოესმა, გული გადაუქანდა, ნიკო ჩამოვიდაო, დაიჯერა დაუფიქრებლად, შეუმოწმებლად, და ის იყო, უნდა წამოვარდნილიყო საწოლიდან, ოთახში ალათია შემოიძურწა და ზურგს უკან ფრთხილად მოიკეტა კარი. სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა.

— ნიკო... ნიკოა? — მავედრებელი თვალებით მიაჩერდა საწოლიდან სანახევროდ გადმოსული ანეტა.

— არა, შენ მოგიკვდეს ალათია. — დაიმდურა ალათია ანეტას საცოდაობით.

ვერ იქნა და ვეღარ გათბა იმ ღამეს ანეტა, თითქოს თოვლში იწვა, თითქოს თოვლად ქცეულიყო თვითონაც, სიჩუმისა და სიცივის დედოფალივით იწვა, მაგრამ ამის შეგრძნება საშიში კი არ იყო, არამედ სასიამოვნო, ოღონდ მამისა და სტუმრის ლაპარაკი აღიზიანებდა, ალათიას გაუთავებელი ფუსფუსიც, ჯერ წალოსთან და მერე სტუმრის ოთახში, და ეს უშლიდა, მთელი არსებით, სამუდამოდ რომ შერწყმოდა სიჩუმესა და სიცივეს. მტკივნეულად, გაათმაგებული სიძლიერით ესმოდა ყოველი უბრალო ჩქამიც კი, თითქოს პირველად ახლა გახსნოდა სმენა. მერე, ყველანი რომ დასაწოლად გაიკრიფნენ და სახლი ჩაწყნარდა, მიხვდა, ნიკოზე რომ ფიქრობდა განუწყვეტლივ. წელანდელი შეცდომა ძვირად დაუჯდა; როგორც არ უნდა დაწოლილიყო, პირქვე თუ გულაღმა, თვალღია თუ თვალდახუჭული, ხან ნიკო ედგა თვალწინ, ხან ნიკო და ალექსანდრე ერთად. პირველად სტუმრებოდნენ ძმები და ანეტა იტანჯებოდა, ახლა გრძნობდა, როგორი უცხოები იყვნენ ისინი და როგორი უბედური იყო თვითონ, რადგან ორი ძმის პატრონი, ვერც თავს მოიწონებდა ძმებით და ვერც მათი იმედით იცხოვრებდა, ერთი ალთას იყო, მეორე ბალთას, და, შეიძლება, საერთოდ აღარც ახსოვდათ, დაც რომ ყავდათ, დასაც რომ ჭირდებოდნენ ისინი. უცებ, ისე მოენატრა ძმების სიახლოვე, ძმების უხეში სიყვარული, ალერსი და ყურადღება, ტირილი აუვარდა. ტიროდა და, სიცივისა და სიჩუმის არ იყოს, ცრემლიც სიამოვნებდა. იმ ღამეს, იმ ოთახში, იმ საწოლში მარტო ცრემლი იყო მხურვალე, ქომაგისა და მამაკაცის ბრმად მაძიებელი, თოვლის სიჩუმითა და სიცივით დაქალებული გოგოს ცრემლი. გამთენიისას ერთი წუთით ჩათვლიმა მხოლოდ და მაშინაც თოვლი დაესიზმრა, ტრიალ მინდორში იდგა, უსასრულო თოვლში ჩაკარგული, და არ იცოდა საით წასულიყო. ოთახიდან რომ გამოვიდა, აღარცკი ახსოვდა უცხო სტუმარი რომ იყო მათ სახლში, თანაც მამაკაცი. პერანგისამარამ, ჩვეულებისამებრ, ბუხარს მიაშურა, ბუხრის წინ რომ გაეთბო გათოშილი სხეული, მაგრამ ბუხარსა და აივანზე გამავალ სარკმელს შორის გაირინდა, ირემივით ფეხაწეული, მთელი არსებით უკვე დაძრული. აივანზე წელზევით შიშველი კაცი თოვლით იზელდა ტანს. ანეტას უარესად შეცივდა, უარესად აებურძგნა კანი. ბუხარში ცეცხლი ღუღუნებდა, ეძახდა, ეხვეწებოდა, დაკლაკნილ ხელებს უწვდიდა, პირდებოდა ალერსს, სიმხურვალეს, რინდს... ხოლო აივანზე, თოვლის მოზღვავებულ სითეთრეში, უცხო მამაკაცის შიშველი, სველი და ვარდისფერი სხეული ელავდა, და ისიც ცეცხლს გავდა, ბუხარსა და ღუ-

მელში კი არა, ცის ქვეშ დანთებულს, გასათბობად კი არა — ნადირის დასაფრთხობად, ანდა რაღაცის, მნიშვნელოვანისა და გარდაუვალის მაუწყებლად. უცნობი ანეტასკენ რომ შემობრუნდა, ანეტა ადამიანის საუნნაკრავი ირემივით მოწყდა და ისევ თავის ოთახში შევარდა. ხოლო ხელმეორედ რომ გამოვიდა ოთახიდან, უკვე ჩაცმული და დავარცხნილი იყო, მამამისი და სტუმარი მაგიდასთან ისხდნენ და საუბრობდნენ. ალათია საუზმეს აწყობდა. სტუმარი ახლა არაფრით განსხვავდებოდა სხვა მამაკაცებისაგან და ალბათ არც ანეტას გაუჭირდებოდა მისთვის თვალის გასწორება, თავიდანვე ჩაცმულები რომ ჩვენებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მან იცოდა, რომ სტუმრის ჩვეულებრივი მამაკაცური ტანსაცმლის ქვეშ, თოვლით დაზელილი, ვარდისფერი, ცეცხლივით მოქნილი და ცეცხლივით ღონიერი სხეული იმალებოდა, როგორც თოვლის ქვეშ — ქვეყანა, თავისი სოფლებითა და ქალაქებით და, რაც მთავარია, ამ სოფლებისა და ქალაქების დამაკავშირებელი გზებით.

ანეტას დანახვაზე სტუმარი წამოდგა და რაღაცა ჩაიბურდღუნა. ანეტამ ვერაფერი გაიგო.

— ჩემი ქალიშვილი გახლავთ. — თქვა პეტრემ.

— არ ვიცოდი, ქალიშვილიც თუ გყავდათ. — შეწუხდა სტუმარი. თითქოს თავს იმართლებდა.

„თორემ რა?“ — ჰკითხა ანეტამ გუნებაში. რატომღაც ეწყინა, სტუმარმა რომ არ იცოდა აქამდე მისი არსებობა.

— მაპატიეთ, ღვთის გულისათვის, ასე მოულოდნელად, ასე თოვლივით რომ დაგეცით თავზე, — თქვა სტუმარმა. — საგზაო ინჟინერი მქვია, გზა კი ამერია. — ღიმილით მიუბრუნდა პეტრეს, თითქოს დახმარებას თხოვდა, მხარში ამოდგომას, როგორც მამაკაცი მამაკაცს, ცოტა არ იყოს, შემცბარი და აღელვებული ამ უტყვი და მოღუშული გოგოს მოულოდნელი გამოჩენებით.

— ამოდენა თოვლში აქაურებს ეშლებათ გზა. — გაამართლა პეტრემ. მერე შეამჩნია, რომ მარტო თვითონ იჯდა და ანეტასაც და სტუმარსაც ერთად უთხრა: რატომ არ დაჯდებითო. სტუმარი ანეტას დაჯდომას დაელოდა და მერე თვითონაც დაეშვა სკამზე. „საგზაო ინჟინერი, საგზაო ინჟინერი“. — იმეორებდა ანეტა გუნებაში.

— ასე რომ, რკინიგზა თქვენთვისაც ხელსაყრელია, — გააგრძელა სტუმარმა ანეტას შემოსვლით გაწყვეტილი საუბარი. პეტრეს მიმართავდა. — ვერც კი გაიგებთ, როგორ ჩაგრიალდება თქვენი კასრები თბილისში. დრო დროდ და ღვინოც ნაკლებად გაილახება.

— ჩვენი ხალხი მაინც არ ჩაჯდება. ჩვენ ურემსა ვართ მიჩვეული. ნელა და მშვიდად — თქვა პეტრემ.

— ჩაჯდება. — გაიღიმა სტუმარმა. ხალხი ყველგან ერთნაირია. ჯერ ეჭვით უყურებს ახალს, მერე სული წასძლევს, მერე კი, იქნება ცხვირპირიც დაამტვრიოს სხვას, ჩემზე წინ რატომ მოდიხარო.

ანეტას გუნებაში გაეღიმა. ალათიამ ერბოკვერცხი შემოიტანა ტაფით. ერბო ჯერ კიდევ შიშინებდა. პეტრემ გრაფინს მრგვალი ხუფი მოხადა და არაყი ჩამოასხა. „რძე თუ ჩაი?“ — იკითხა ალათიამ. „არაყი. რძე და ჩაი რა კაცის საქმეა“. — თქვა პეტრემ. „თუ შეიძლება, მე ჩაისაც დავლევ“ — თქვა სტუმარმა. ანეტამ განაწყენებულმა შეხედა ალათიას, რა დროს ჩაი და რძე იყო, გულისყურით უსმენდა სტუმარს, თუმცა კარგად ვერც გარკვეულიყო, რაზე ლაპარაკობდა იგი. სტუმარი თითქოს მიუხვდა და გააგრძელა.

— რკინისგზა ნამდვილად სიკეთეა ქვეყნისთვის, მაგრამ მარტო ჩვენს გამო, ნიკოლოზი ფულს არ ჩაყრიდა ამ საქმეში. რკინიგზა ჩვენს ქვეყანას უფრო მჭიდროდ დააკავშირებს იმპერიასთან, არა მარტო გეოგრაფიულად, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედ ეკონომიურადაც და სტრატეგიულადაც. — თქვა სტუმარმა.

ანეტამ ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ გზაზე იყო ლაპარაკი. ამიტომაც სიამოვნებდა ალბათ სტუმრის ხმა. მისთვის მთავარი გზა იყო, გინდა რკინისა.

— მეც ბიჭების მამა ვარ, მაგრამ თქვენი ვერაფერი გამიგია, ყმაწვილკაცებისა, — თქვა პეტრემ. — ერთი სახარება შეგვეწიოს. — სირჩა მიუჭახუნა სტუმარს, არაყი ერთბაშად გადაჰკრა და ხელი ჩამოისვა ყანყრატოდან ჭიპამდე, თითქოს გარედან გზა ასწავლა, ჩააცილა ცხარე ყლუპი, თანდათან და თანაბრად რომ გაეხურებინა შიგანი. — კარგია, რკინისგზა რომ გაყავს, მაგრამ თვითონ არაფერი იხეირონო. ეგრე როგორ შეიძლება? — პურის ლუკმა შეატეხა, უსუნა და ცარიელი თეფშის კიდეზე ჩამოდო ფრთხილად. — ეგრე როგორ შეიძლება? — გაიმეორა გაგულისებულმა. — ხელმწიფე კი არა, გარეგინა არ მოგცემს კნიწა მარილს, რამეს თუ არ გამორჩება.

— ხეირი სხვაა, — თქვა სტუმარმა მორიდებულად. — მე მითხრეს, რომ თქვენი ვაჟი ციმბირშია... — გააგრძელა ცოტახნის მერე, მაგრამ პეტრემ არ აცალა.

— ღირსიცაა! — იყვირა პეტრემ და თითის წვერებზე მაგიდის კიდეს ჩამოკრა.

ანეტას სტუმრის შერცხვა, არკი იცოდა რატომ. იგრძნო, როგორ გაწითლდა და როგორ შეხედა სტუმარმა, როგორ ჩააცივდა თვალებით. „ალათია, ალათია“ — შემოიჭრა ოთახში ქაიხოსროს შეშფოთებული ხმა. ანეტამ თავი ასწია და თამამად შეხედა სტუმარს.

— პაპაჩემი გახლავთ, — წარუდგინა ქაიხოსროს ხმა. — დიდიხნის მკვდარია, მაგრამ მკვდრის შენახვა უფრო იაფი გვიჯდება, ვიდრე დამარხვა.

სტუმარმა გაიღიმა და საოცრად დაემსგავსა ნიკოს, ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა ანეტას და თვითონაც გაუღიმა, უბრალოდ, შინაურულად. უკვე იცოდა, უკანასკნელად რომ არ ხედავდა იმას, არ შეიძლებოდა, არ დაუშვებდა, ისიც რომ დაჰკარგვოდა.

— პაპაზე ეგრე უნდა თქვა?! — ნაძალადევად მოიღუშა პეტრე. თითქოს საყვედურობდა და, ამავე დროს, ხუმრობაშიც ყვებოდა ქალიშვილს. — დაბერდა საწყალი მამაჩემი. ბავშვივით მისახედია. მაგრამ, რას ვიზამთ, ესაა შვილების ვალი.

— მართალი ბრძანდებით — უთხრა სტუმარმა, ისე რომ ანეტასთვის თვალი არ მოუშორებია.

— ყარს, ყველაფერი ყარს... ნუთუ ვერ გრძნობთ? — ყვიროდა ანეტა სტუმრის წასვლის მერე.

— რად ამბობ, შვილო? მომიკვდეს თავი, რასაც მე ვხეხავ და ვრეცხავ... — ბუზღუნებდა გულნატკენი ალათია.

ასე გავიდა ზამთარი. თოვლი თანდათან დაბლდებოდა, ჭუჭყიანდებოდა, დნებოდა და წყლად მიდიოდა. აქა-იქ უკვე მოჩანდა მიწა. ზმუილით, ზლაზვნით გამოდიოდა ბაგა-ბოსლებიდან გამოზამთრებული პირუტყვი. ჯერ კიდევ ორთქლიან ფუნას ბეღურები ეხვეოდნენ. ერთი ბინძური, ვინ იცის, სად გამოზამთრებული მტრედიც გამორეოდათ. ეზოებში თოვლისაგან თავდაღწეული, სისველისგან გაშავებული ზვინები აბოლდნენ. მზე ძალას იკრებდა, სასიამოვნოდ აცხუნებდა სხეულის ტიტველ ნაწილებს. ხალხს ჯერ ისევ თბილად ეცვა. ზურგსუკან გაკვანძული შალებით დაბორკილი ბავშვები ღუმელთან გახუხულ ხელისგულებს უშვერდნენ ლოლუებს. ტყაპ და ტყაპ, ტყაპ და ტყაპ, — გულუხვად არიგებდა მღვრიე წვეთებს ისედაც გასაქრობად განწირული ლოლუა. ახლა უფრო გარკვევით ისმოდა შაშვის ჭახჭახი, ხტუნვა-ხტუნვით რომ გადაირბენდა ხოლმე ეზოს, არდადეგებზე ჩამოსული სემინარიელივით ამაყად თავაწეული.

მერე გზაც გამოჩნდა, ტალახიანი, წებოვანი, ძნელად სავალი, გამოშავებული თოვლის უშნო არშიებში ჩაწოლილი. ისევ მოჩანდა ქვეყანა, ზამთრის კლანჭებისგან თავდაღწეული, სამთვიანი მონობით დამახინჯებული, გადაგვარებული, გადასხვაფერებული, დაბინძურებული და დაუძლურებული. ახლა ყველაფერი მზეზე და ადამიანზე იყო დამოკიდებული, უნდა აღედგინათ, განებანათ, განემტკიცებინათ ხელახლა. მზეცა და ადამიანიც ხალისიანად ფუსფუსებდა. ხოლო, როცა ათასფრად გადაბრიალდა სოფელი და ეზოშუკები ქარის ჩამოყრილი ყვავილით მოიფინა, ანეტამ თავისი ხელით გაუღო ირემს ალაყაფი და გზაზე გადაუშვა.

— წადი, საითაც გინდა. ოღონდ შორს წადი! — უთხრა ანეტამ ირემს.

ისევ მოაწყდა ხალხი ღობეებს, ისევ დაუჭირეს საყელოები ტყუილის სუნით გაღიზიანებულსა და პატრონების საქციელით გაკვირვებულ ძაღლებს. „ფუჩი-ფუჩიო" — ისევ ეძახდნენ აქეთ-იქიდან გაზაფხულის მზით რქებგაბრწყინებულ ირემს, ყელმოღერილს, ხორციანი და მბზინავი თეძოების რხევით რომ მიუყვებოდა ორღობეს და გრილი, ხაოიანი დრუნჩით ყნოსავდა მისკენ გამოწვდილ ხელისგულებს, გადარჩენილი, მადლიერი, ადამიანის სიკეთეში დარწმუნებული. ირემი მიდიოდა, სამუდამოდ სტოვებდა თეთრად, ალისფრად, ცისფრად გადაპენტილ სოფელს და როგორც შეეძლო, ისე ეუბნებოდა ადამიანს მადლობას: სიკეთისთვის, შენახვისთვის, დანდობისთვის. ფრუტუნებდა, თავს იქნევდა, ყველასა და ყველაფერს იმახსოვრებდა დიდი, ნამიანი თვალებით, მაგრამ ირემს ამ სოფლიდან გასვლა არ ეწერა, ცხოველის კვალობაზე, ზედმეტად ბევრი იცოდა ადამიანებისა და ამ ცოდნას თანდაყოლილი სიფრთხილისა და შიშის გრძნობა წაერთმია მისთვის. ანეტა ჯერ ისევ ალაყაფთან იდგა, ალათია ჯერ ისევ მჯილს იცემდა მკერდში, პეტრე კი, ფეხის წვერით ამოვარდნილ ფილაქანს ასწორებდა, თოფმა რომ დაიჰექა. პეტრე შეკრთა, გაირინდა, ხმა არ მომეყურაო, მაგრამ თოფის ხმა მარტო მაკაბელებმა კი არა, მთელმა სოფელმა გაიგო და არც იმის მიხვედრა გასჭირვებიათ, რატომ უნდა გავარდნილიყო ასე მოულოდნელად თოფი გაზაფხულის ამ მშვიდსა და ხალისიან დღეს. ანეტა ირმის ნაფეხურებს გაჰყვა. სიცხადეში, მარტო, უუფროსოდ და უთოჯინოდ, პირველად გადავიდა იმ დღეს იგი ეზოდან. ირმის ნაჩლიქარი მკვეთრად ეტყობოდა ქარის ჩამოყრილ ყვავილს, ღობის ნოტიო ჩრდილებში აქა-იქ კიდევ ჩარჩენილიყო ირმის თბილი სურნელი და ჯერ ისევ თრთოდა თოფის ხმით შეძრული ჰაერი. ანეტამ იქამდე იარა, სანამ სოფლის ბოლოში, სამჭედლოს წინ ირმის ცრემლჩამდგარ თვალებს არ გადააწყდა. მოკლულ ირემს სტეფანე მჭედელი და ზაქარია ჩაფარი დასდგომოდნენ თავზე. სტეფანე მჭედელს ტყავის ფეშტამალი ჰქონდა აფარებული და მსხვილი, ცეცხლზე დაშაშრული მკლავები დაეკაპიწებინა. ზაქარია ჩაფარს ხელში თოფი ეჭირა, შავ ჩოხაზე თეთრი, გაჭუჭყიანებული ნაჭრის სამხრეები ეკერა.

— ე-- ე, — მღელვარებისგან ენა დაება ანეტას.

— ერთი მწვადი მეც მეკუთვნის.— გაიღრიჯა ზაქარია ჩაფარმა. ნაძალადევად გაიღრიჯა, აქეთ-იქით დაუდიოდა ტურის ბალნისფერი თვალები, ანეტას დანახვამდე შეშინებულიყო, ანეტას გამოჩენამდე მიხვედრილიყო, სატრაბახოდ რომ არ ჰქონდა საქმე. — დაუმიზნებლად ვესროლე. ვიფიქრე, დავაფრთხობ-მეთქი... ეგ კი, მხართეძოზე არ წამომიკოტრიალდა! — ირემს გადააბრალა თავისი კარგი კაცობა.

— რაღა ახლა ამოიარა მაგ საცოდავმაც, — სიტყვა ჩამოართვა ზაქარია ჩაფარს სტეფანე მჭედელმა. — ეს წუთია მოვიდა ზაქარია, ბალთის გასწორება მთხოვა... გავიხედე და მოყელყელაობს შენი ირემი. მე კი ვიცანი, მაგრამ ზაქარიამ რა იცოდა... — სტეფანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭედელი უცებ გაჩუმდა, თითქოს გაუჭირდა ეთქვა, ზაქარიამ რა იცოდა, ეგ ირემი გიორგას სული რომ იყო.

— მეზიზღებით ყველანი! — ფეხი დაჰკრა მიწას ანეტამ.

პეტრემ ირემი ადამიანივით დაამარხვინა, იქვე, სამჭედლოს წინ, ბებერი ჭადრის ძირას. არც გატყავების ნება მისცა ვინმეს და არც რქების დახერხვისა. სანამ ირმის საფლავს თხრიდნენ, დაბღვერილი, განაწყენებული ზაქარია ჩაფარი სამჭედლოს კედელთან, ურმის ბორბლის გვერდით ჩამჯდარიყო, ლაჯებში თოფი ჩაედგა და დამჭკნარ ვაშლსა ჭამდა.

გაზაფხული იდგა. ათასნაირად გადაპენტილი ხეები თითქოს ბზრიალ-ბზრიალით გამოდიოდნენ ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით, ხასხასა და გულისამაჩუყებლად სუფთა სილურჯის წიაღიდან. ლამაზი და მშიერი გაზაფხული იდგა ქვეყანაზე, გრილოებში დარჩენილი თოვლისა და ყვავილის სუნი ტრიალებდა ჰაერში, ბუსუსოვან ბუტკოში ფუტკარი ფუტფუტებდა, ათასნაირი მწერი დაძრწოდა და დაფაჩუნობდა ნესტიან ნეშოში, ფრთხიალით, ჟივჟივით, გულისხეთქვით აწყდებოდნენ აქეთ-იქით ჩიტები, ხიდან ხეზე, ბელტიდან ბელტზე, ეზოდან ეზოზე... ყველას შიოდა, ყველანი მოსწრებაზე იყვნენ. ამბარები და ქვევრები ფსკერამდე დაეყვანა ზამთარს, შემოდგომამდე კი ჯერ დიდი დრო იყო. მხოლოდ ბარბალე ჯორჯაძის საოჯახო წიგნშილა ტრიალებდა მსუყე კერძების სუნი და ბარაქა. სამაგიეროდ, მზე დღითიდღე ღონიერდებოდა და ორთქლად გამოჰქონდა მიწიდან ზამთრის ჟრჟოლვა და უჟმური. „მოვრწყათ, დედი, ფილაქანი. შეჭამეს ბავშვი ბუზებმა“. — ეძახდა დედამთილს მოლოგინებული ქალი, ორსულობიდან გამოყოლილი სიზანტით, ორსულობისას გაზარმაცებული, რძისა და ჩვილის სუნით გაბრუებული. მოაჯირზე პირქვე დამხობილი ქვიჯა შრებოდა. ზურგზე დავარდნილი ხოჭო ადგილზე ბზრიალებდა და ბზუოდა. გზაზე ათი-თორმეტი წლის ბიჭი მიდიოდა, სახეზე ეწერა, აშმორებული ფქვილისა თუ ერთი მუჭა ლობიოს სასესხებლად რომ იყო გამოგზავნილი. „ამ ერთხელაცაო“ — შეეხვეწა, ალბათ, მარტოხელა დედა ანდა ავადმყოფი ბებია და ისიც წამოვიდა, ერთხელ კიდევ დაძლია თავმოყვარეობა, რადგან ჯერ სხვა არაფერი შეუძლია, საკუთარი თავმოყვარეობის დაძლევის მეტი, პატარაა, სუსტი, მეოცნებე. „როცა გავიზრდები, დოლზე დაკვრას ვისწავლი და ბევრი ფული მექნება“ — ფიქრობს იგი, მაგრამ სრულებითაც არაა აუცილებელი, მართლა მედოლე გამოვიდეს, დუქნებსა და სარდაფებში გაატაროს სანახევროდ მთვრალი სიცოცხლე, ერთხელაც ვერ გაშალოს მთელი სიგრძე-სიგანით მობოჭილი ფულივით დაჭმუჭნული სული. მოდის, მაგრამ ფეხები უკან რჩება, თვალწინ უდგას „ხელის გამმართავი“ ნათესავები. ბებიაზე და დედაზე უკეთესად იცნობს იმათ, რადგან ბებია და დედა მათ ნაწყალობევ ფქვილსა და ლობიოს ხედავენ მხოლოდ, ის კი მათ სახეებს, სანამ გამოწირავენ, სანამ შეელევიან ერთ მუჭა ფქვილსა თუ ლობიოს, ჩიტის ჩიჩახვშიც რომ ჩაეტევა თავისუფლად. დედასა და ბებიას ისინი ისეთები ჰგონიათ ახლაც, როგორებსაც ადრე, უკეთეს დროს იცნობდნენ, როცა მათაც კაცი ედგათ თავზე და ნასესხების ჩასესხება შეეძლოთ. მან კი, ახლა გაიცნო ისინი, გაჭირვების ჟამს, როცა მის იმედზეღაა დარჩენილი ოჯახი, რადგან მამა ან მოუკვდა, ან დაუჭირეს, ანდა სალდათშია გადაკარგული. მოდის ქვეყნის ხვალინდელი დღე, ქვეყნის იმედი, სიცოცხლის გაგრძელება, საკუთარი სიპატარავით შეწუხებული, დედა-ბებიის უმწეობით გულმოკლული, მამის ბედით გაბოროტებული და წინასწარვე შეგუებული მორჩილებას, მოთმენას, თავიდანვე გზას ამცდარი, ცხოვრებაშიც და ოცნე-

ბაშიც, რადგან მედოლეებითა და დახ-ლიდარებითაა სავსე მისი ცხოვრებაცა და ოცნებაც. ისინი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი, თვითონ კი მდილია და სულ მდილი იქნება, სანამ დოლს არ ამოიდებს იღლიაში, საიდანაც თავის-თავად ცვივა დაჭმუჭნული თუმნიანე-ბი. ასეთად იცნობს იგი ცხოვრებას, ასეთი დახვდა, ასეთიაო, დაუდასტუ-რეს ყველგან და მასაც თავისთავად შეემოსა სული ამგვარ ცხოვრებასთან შესახამებელი ბუმბულით.

გაზაფხული კი ბზრიალებდა, ბუბუ-ნებდა, იფოთლებოდა, მაკაბელების ირმის სისხლით კაბაგადაწინწკლული, და ანეტას მტკიცედ ჯეროდა, უკანასკნელი გაზაფხული რომ იყო ეს, რომელსაც მამისეულ სახლში ხვდებოდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეღწია აქედან. აქ ისევ სულელ ბავშვად თვლი-დნენ, უყვავებდნენ, სიტყვას ბანზე უგ-დებდნენ, მიზეზიანობაში უთვლიდნენ იმას, რისი შემჩნევაც მარტო მას შეე-ძლო, რადგან აქამდე დახშული ჰქონდა აქაურობის დასანახი თვალი, აქამდე ასკლიპიოდოტასავით უგრძნობელი თოჯინა იყო და იმას ამჩნევდა მხო-ლოდ, რაზედაც უფროსები მიუთითებ-დნენ. მაგრამ სინამდვილეში ასე არ ყოფილა, მისი მახსოვრობა ყველა-ფერს ისრუტავდა თურმე, თანდათანო-ბით ივსებოდა ამ კედლებს შორის და-ტრიალებული სიკვდილით, შიშითა და უნდობლობით, როგორც ასკლიპიოდო-ტას წარბჩამტვრეული თავი — მტვრით. ანეტა საკუთარმა მახსოვრობამ შეზარა, არა მარტო ის ახსოვდა, რისი მოწმეც თვითონ იყო, არამედ ისიც, რაც მის გაჩენამდე მომხდარიყო, რაც არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ უფროსების დაუ-დევრობის წყალობით, მის არსებაშიც შეეღწია. რაც დრო გავიდოდა, მით უფრო მეტი იქნებოდა დასამახსოვრე-ბელი, მაგრამ განა ძალუძს ადამიანის გონებას ყველაფრის დამახსოვრება? რაც ახსოვდა, ისიც საკმარისი იყო, გარდაუვალი უბედურება რომ ეგრძნო, ქვეყნის წამლეკავი უბედურება, რო-მელსაც ჯერჯერობით მათ ჭერქვეშ მო-მოეყონა, აქ მოენახა სუსტი ადგილი, მაგრამ ვინ იყო თავდები, რომ ამას დაყაბულდებოდა, აქ დარჩებოდა და სხვებსაც არ გადაედებოდა თანდათა-ნობით. კარადისხელა საათის ქლრიალი უარესად უკარგავდა მოთმინებას, უარესად არწმუნებდა, დაყოვნება და-ღუპვას რომ ნიშნავდა. დღითიდღე აუტანელი ხდებოდა, ტუსაღივით ერთ ოთახში გამოკეტილი პაპის გაუთავებე-ლი წრიალი, მამის დავთრების ფაჩუნი და საანგარიშოს ჩხაკუნი, ალათიას უაზ-რო და უნაყოფო ფუსფუსი, რადგან სახლი საძირკველშივე იყო დამპალი და საძირკვლიდან ედებოდა ყროლის სუნი.

— გეჩვენება, შვილო, — იძახდა შეურაცხყოფილი ალათია.

მაგრამ ანეტამ უკვე იცოდა, რომ ალათია ვერასოდეს იგრძნობდა ამ სუნს, რადგან თავადაც ამ სუნით იყო გაჟღენთილი, ამ სუნში ჩაბერებულიყო და ჩაკარგულიყო სამუდამოდ. ანეტას კი, ღამეები აღარ ეძინა, ცხვირზე სა-ბანწაფარებული იწვა ბნელში და ყო-ველ კუთხეში თოფმომარჯვებული ზა-ქარია ჩაფარი ელანდებოდა, მაგრამ მთელი ურუქი ზაქარია ჩაფრად რომ ქცეულიყო, მაინც უნდა გაეღწია აქე-დან, მახსოვრობით უნდა გაეტანა სა-აშკარაოზე მამისეული სახლის დამყა-ყებული სუნი და ჰაერი, როგორც გარ-დაუვალი, საერთო უბედურობის მა-უწყებელი ნიშანი. შეიძლება, გაზაფ-ხულის ბრალი იყო, ასე მკაცრად, ასე დაუნდობლად რომ ფიქრობდა თავისი-ანებზე, მაგრამ მარტო გაზაფხული ვე-რაფერს შეცვლიდა, მამამისივით ვერც ის მიხვდებოდა ვერასოდეს, უაზრო და უმომავლო რომ იყო მათი არსებობა და, როცა ალათიას აღარ შეეძლებოდა, ალბათ, თვითონ მოკიდებდა ხელს ცოცხსა და აქანდაზს, თვითონ იკის-რებდა ამ უსაძირკვლო ოჯახის დია-სახლისობას, ერთ მშვენიერ დღეს მა-თი კიბის საფეხურზე რომ არ დაებერ-ტყა თოვლიანი ფეხები საგზაო ინჟი-

ნერს. ანეტას ინჟინერი უყვარდა და არ იცოდა, დანახვისთანავე შეუყვარდა, დანახვამდე, რადგან ძმაში შეეშალა და ამ შეცდომამ ძალაუნებურად განაიარაღა მისი არსება, დაუცველი და მოუმზადებელი ჩაუგდო ხელში გრძნობას, რომელსაც დაკარგული ძმების სუნი ასდიოდა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ძმებს ავიწყებდა, უფრო სწორედ, ძმებისათვის განკუთვნილ ადგილსაც თვითონ იკავებდა გულში. ანეტა წუხდა, თან ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს წუხილს იგონებდა რაღაცის, უფრო მნიშვნელოვანისა და იდუმალის შესანიღბად. საათობით იდგა სარკმელთან და მოუთმენლად ელოდებოდა შორეული აფეთქებების ხმას. ამ ხმამ პირველად თოვლის გადნობისთანავე შემოაღწია ურუქში. ჯერ ეგონათ, ელიამ გადაიგრიალა ცაზეო, მაგრამ ელიასთვის ადრე იყო, ეს თვითონაც იცოდნენ და დაბნეულები ასცქეროდნენ ცას, სანამ ყველაფერი არ გაირკვა. გარეგინას დუქანში ახლა მარტო რკინიგზაზე იყო ლაპარაკი. რაღას არ ყვებოდნენ რკინის ურჩხულზე, რომელიც, თურმე, თავისით დადიოდა და ბარგი-ბარხანიანად მთელი სოფლის გადაყვანა შეეძლო ერთი ადგილიდან მეორეზე. „აბა, ახლა ჩამოგვიზიდავს კაკილებს გარეგინაო“ — უფრო გულის დასამშვიდებლად იძახდნენ დუქანში თავშეყრილი გლეხები და დახლზე გადმოწოლილ გარეგინას გამომცდელად შესცქეროდნენ სახეში. გარეგინა ორთქლმავლის გამომგონებლივით თავმდაბლურად იღიმებოდა, გულში კი, თავისი საიდუმლო სადარდელი ჰქონდა. ის უფრო შორს იყურებოდა, იცოდა, რკინიგზა ბევრ გზასა და ბილიკს მოშლიდა, ბევრ რამეს გადაადგილ-გადმოაადგილებდა, ამისდა მიხედვით ცხოვრების შუაგულიც გადაინაცვლებდა, ხალხიც ახლებურად განაწილდებოდა და, ადვილი შესაძლებელი იყო, მისი დუქანი მიუდგომელსა და მოუხერხებელ ადგილას აღმოჩენილიყო უცებ.

— იქნება, ჩემს დუქანში აღარ შემოხვიდეთ. დილით ჩასხდებით და საღამოს უკვე თბილისში იქნებით. — თავს აცოდებდა, ანამუსებდა გარეგინა თავის ძველ მუშტრებს, როგორც ძიძა — წვითა და დაგვით გამოზრდილსა და უკვე დასაფრენად გამზადებულ შვილობილებს.

— დასწყევლოს... რა უნდა მომცენ, იმაში რომ ჩავჯდე. — იტყოდა, რომელიმე გლეხი, გარეგინას გულის მოსაგებად, თუმცა ხმაზე ეტყობოდა, მთლად გულწრფელი რომ არ იყო, საქმე საქმეზე რომ წასულიყო, ისიც ჩაჯდებოდა, ვერც ის გაუძლებდა ცდუნებას, მაგრამ იქამდე ჯერ დიდი დრო იყო კიდევ, გარეგინას უკვე შესჩვეოდნენ, უკვე გამოენახათ მასთან საერთო ენა, ის კი, რკინიგზა, ჯერ მოდიოდა, ჯერ ადგილს უსუფთავებდნენ, ჯაგსა და ეკალბარდს უკაფავდნენ, ძირფესვიანად უფეთქებდნენ ასწლოვან ტყეებსა და კლდეღრეებს. წინ ჭორები მოუძღოდა, ჭორების მეშვეობით იკიდებდა ფეხს ხალხის შეგნებაში. რაღას არ აბრალებდნენ, რაღას არ უკავშირებდნენ, ვითომ მეორედ მოსვლა იწყებაო, მკვდრები გაცოცხლდებიანო, ეკლესიებში წირვები გაუქმდება და მღვდლებს გაკრეჭენო, ზარებს ჩამოხსნიან და ბორბლებად ჩამოასხამენო, და მრავალ ამგვარ საოცრებებს ყვებოდნენ შორეული აფეთქებებით შეშფოთებული ურუქელები. ზოსიმე მღვდელი კი, იის კონით დადიოდა, ანაფორის კალთაზე ბირკა ჰქონდა აკრული, სახეზე და ხელის მტევნებზე გაზაფხულის მზე მოჰკიდებოდა და ძველებურად აჟუჟუნებდა თვალებს. საითაც არ უნდა გაგეხედათ, თვალში მოგხვდებოდათ, უპატრონო ცხენივით.

— მართალია, მამაო, აი, რასაც ამბობენ? — ეკითხებოდნენ სოფლელები.

— ალბათ, შვილო, ალბათ. — ისეთი ხმით პასუხობდა, თითქოს ეჭვსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშს უქარწყლებდათ. — მაინც მაქეთკენ მიდის ყველაფერი.

— რა შეაკავებს, მამაო, ამ უბედურებას? — არ ეშვებოდნენ სოფლელები, რადგან ჯერ კიდევ ჰქონდათ მისი იმედი.

— რაღა შეაკავებს, შვილო. — უღიმოდათ ზოსიმე მღვდელი.

— ახუ თუა ჩვენი საქმე, რაღას ილრიჭება ეგ რეგვენი? — ჩაიბურდღუნებდა მის ზურგს უკან ვიღაცა, სხვებზე უფრო შეშინებული და შიშისაგან გათავხედებული.

— მართალი ხარ, შვილო, — მიუბრუნებლად პასუხობდა ზოსიმე მღვდელი. — სიბერეს სირეგვნემდე მიჰყავს ადამიანი.

ზოსიმე მღვდელს იის კონა და ლოცვანი გულზე მიეხუტებინა და, შეიძლება, ამის გამოც უფრო უმწეო და უთვისტომო ჩანდა, თვალშისაცემად გამოცალკევებულიყო გაზაფხულით გადაკრიალებულ სივრცეში, ქერტლით გადაპენტილი ანაფორის ბეჭები მზეზე უბზინავდა და ზამთარში მოჩიტულ ბავშვებს, პირველად რომ გამოფენილიყვნენ სამზეოზე, რატომღაც ეშინოდათ მისი. ზოსიმე მღვდლის გარეგნობაში მართლაც იყო რაღაცა, შემაშფოთებელი, დამთრგუნველი, მიმზიდველიცა და ამაზრზენიც, რასაც ასაკისთვის შეუფერებელი სიხალისე და სიცოცხლის წყურვილი აჩენს და რასაც, ალბათ, თვითონაც გრძნობდა, რადგან დამნაშავესავით მომღიმარი და შებორკილი მოაბიჯებდა ორღობეში, როგორც კაცად გადაცმული ქალი. ქვეყანა კი, თავიდან იწყებდა ცხოვრებას, მინდვრებს სახნავად ამზადებდნენ, ვენახებიდან ნეშოსა და წალამს ეზიდებოდნენ და საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან ცეცხლი ენთო, ყველგან ნეშო და წალამი იწვოდა. მზემიშუქებული ცეცხლი არ ჩანდა. მაგრამ მის გარშემო ჰაერი ბიბინებდა, ჭავლებად ინაკვთებოდა და სასიამოვნო სიმხურვალეს აფრქვევდა. „მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა და მეშინია უფალო შენი, — მიბუტბუტებდა თავისთვის ზოსიმე მღვდელი. — მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა, ქვეყნისა დამღუპველი, რამეთუ კიდევ დაგივიწყებენ უფალო შენ, მშვიდობითა გაბრიყვებულნი. კვლავაც შეინანებ უფალო შენ, რამეთუ კვლავაც გამრავლდება კაცი და უმჯულოებანი კაცთანი. მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა, უფალო, წარღვნისა მაუწყებელი“.

— ვის ელაპარაკები, მამაო? — დაუძახა პეტრემ.

აქლოშინებული მოაბოტებდა ტალახში.

— მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა. — შეაგება ზოსიმე მღვდელმა ღიმილით.

— მშვიდობა კი არა, მკვდრებითა და გიჟებით გამევსო სახლი. — ამოიხრიალა პეტრემ. გზიდან გადავიდა და რიგრიგობით შეაბერტყა ღობეს ტალახიანი ფეხები. — შენ გეძებდი, მამაო, მომიყვანეო, ვირის მუშა გამოვედი ბოლოს.

პეტრე ღობესთან იდგა, ზოსიმე მღვდელი — შარაზე, სანახევროდ შემობრუნებული პეტრესკენ, გეგონებოდათ, ძველი მტრები შეხვედრილან შემთხვევით და ერთმანეთთან ახლო მისვლა ვერ გაუბედავთო.

— ია თუ დაგიყნოსავს როდისმე. — ჰკითხა ზოსიმე მღვდელმა და თვითონ უყნოსა იის კონას.

— რაო? — საკუთარ ყურებს არ ენდო პეტრე.

— აი ია. — თქვა ზოსიმე მღვდელმა და ის ხელი ასწია, რომელშიაც იის კონა და ლოცვანი ერთად ეჭირა, პეტრეს დაანახვა. — აქედან იწყება ადამიანი.

— მამაჩემი კვდება. უზიარებლად ნუ გამიშვებსო. — თქვა ზოსიმე მღვდლის საქციელით ნირწამხდარმა პეტრემ.

— ჩვენც ასეთი სუნი გვაქვს, როცა ვიბადებით. ასეთივე სუსტი, გულში ჩამწვდომი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა. — მაგრამ ცოტახანს, ერთი-ორი

დღით, სანამ სიარულს ვისწავლით და ტალახში ამოვიგანგლებით. თუ გინდა, რომ ტალახში გაძლო, ჯერ ია უნდა მოკლა, იის სუნი უნდა მოიშორო. ჩვენს ბედზე, ია ადვილად კვდება. — ლოცვანი ახლა ორივე ხელით ეჭირა, ბრტყლად, ლანგარივით, ზედ იის კონა იდო. ერთმანეთს მიტმასნოდნენ ლია წითელი, ლამის გამჭვირვალე, ჯერ კიდევ მიწიანი ფესვები. ლოცვანი ცხვირთან მიიტანა, ფრთხილად, კერძით სავსე თეფშივით, ერთხელ კიდევ უყნოსა, ღონივრად, მადიანად და მერე ოდნავ დაიქნია. იის კონა ტალახში დავარდა. პეტრეც, თითქოს ამას ელოდებოდაო, ღობეს მოშორდა და გზაზე გადმოვიდა.

— სადა ხარ, ადამიანო, ღმერთი აღარა გწამს? — შეჰღმუვლა ქაიხოსრომ, როცა ზოსიმე მღვდელი და პეტრე მის ოთახში შემოვიდნენ.

ზოსიმე მღვდელმა პეტრეს შეხედა. გაკვირვებულმა და, ცოტა არ იყოს, გამწყრალმაც, ვითომ, ცხენივით რას გამომაჭენე, რა სჭირს მამაშენს სასიკვდილოო, მაგრამ პეტრეს ნირიც არ შეუცვლია, ისევ შეწუხებული, ზედმეტად გარჯილი კაცის სახე ედო.

— არ ჯობია, ნაზიარებმა იცოცხლოს, ვიდრე უზიარებელი მოკვდეს? — თქვა ბოლოს, მღვდლის შემაწუხებელი მზერა რომ მოეშორებინა.

— საათი გაჩერდა, მამაო. ორი დღეა მკვდარივითა დუმს. — შესჩივლა ქაიხოსრომ.

— ამისთვის მარბენინე, შე დალოცვილო?! — გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა. — საათისა რომ არაფერი გამეგება.

— ჩემი დრო ჩამოთავდა, ზოსიმე. ორი დღეა ჩუმადაა და ჩემს მეტმა ვერავინ გაიგო. ჩემთვის გაჩერდა, ნიშანი მომცა, მოემზადეო. — ქაიხოსრო მშვიდად ლაპარაკობდა. ოდნავ, ძლივსშესამჩნევად უთრთოდა შეშუპებული, ჭორფლიანი ხელები. — ხოდა, მომამზადე. შენს ხელში ვარ, ღმერთის ეკუთვნი თუ ეშმაკს. ოღონდ სამართლიანი იყავი. ამასაც უნდა მოეკითხოს, — ხელი მიუშვირა პეტრეს. — ჩემზე მეტი უნდა მოეკითხოს ამას. ჩემთვის გვ[illegible] იყო, ამისთვის კი — ძმა, მარტო მე ნუ ამკიდებ იმას, რაც მიწისთვისაც მძიმეა, რაც მიწამაც არ მიიღო.

— ეგე, მაგის კურთხევაც! პეტრე ნეხვების გასახვეტად უნდათ მხოლოდ. — თქვა პეტრემ და ოთახიდან გავიდა.

ისე ღონივრად გაიჯახუნა კარი, კი არ დაიკეტა, უარესად მოღიავდა. თითქოს განგებ მოიქცა ასე, შორიდან რომ დაეგდო ყური მამისა და მღვდლის საუბრისთვის. ოთახში დამპალი ვაშლისა და მტვრის სუნი იდგა, მძაფრი, ჩახუთული. სარკმლის რაფაზე, ეზოს მხრიდან, პურის ქერქი ეგდო. პურის ქერქს ბეღურები უტრიალებდნენ, ვერც დაეძრათ და ვერც შელეოდნენ, ერთმანეთისთვის არ ემეტებოდათ, თუმცა ოთახში მყოფთა გარინდული ჩრდილებიც აფრთხობდათ და საკუთარი, სიჩქარის გამო, პურის ქერქს ამცდარი ნისკარტების კაკუნიც. ერთიანად, ერთბაშად გადაცვივდებოდნენ ხოლმე სარკმლის რაფიდან. ზოსიმე მღვდელი ბეღურების თვალთვალმა გაიტაცა.

— ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, ვიღაცამ ლობიო მაჭამა. ახლაც იმის გემო მაქვს პირში. — თქვა ქაიხოსრომ.

ქაიხოსრო სააღსარებოდ იყო განწყობილი, გულის ამობერტყვა უნდოდა, მაგრამ საამისოდაც არ ყოფნიდა გამბედაობა, ღობე-ყორეს ედებოდა, იმ ქურდს გავდა, რომელსაც ქურდობისა კი არ რცხვენია, არამედ ნაქურდალის გამოჩენისა, რადგან ბოლო წუთას, უკვე დაჭერილი, მიმხვდარა, რა უბრალო რამეზე შეურცხვენია თავი; ვინ იცის, მისი დამჭერი ხალხი, რას არ ელოდება, რა თვალმარგალიტი არ უტრიალებს გონებაში, მას კი, უბე ბებერი და მწარე კიტრებით ამოუვსია. შეიძლება, გაუშვან კიდეც, პანღური ამოჰკრან და აპატიონ, მაგრამ იქამდეა

ძნელი, ერთი სიკვდილი უნდა გაათავოს, სანამ პერანგს ამოიჩაჩავს შარვლიდან და ფუყე კიტრები დაუცვივდება ფეხებთან. ქაიხოსრო ყველაზე მძაფრად ახლა გრძნობდა, მთელი სიცოცხლე რომ ეჯავრებოდა ზოსიმე მღვდელი, გაუაზრებელი და გამოუთქმელი სიძულვილით, როგორც საპყარის ცოლს — დედამთილი. თითქოს ზოსიმე მღვდელი რომ არ ყოფილიყო, სულ სხვანაირად აეწყობოდა მისი ცხოვრება, თითქოს სანამ ზოსიმე მღვდელს გადაეყრებოდა, კიდევ არაფერი უჭირდა, ზოსიმე მღვდელმა კი, სამუდამოდ მოუჭრა უკან დასახევი გზა, უარის თქმა არ აცალა გამვლელ-გამომვლელის განავალით აყროლებულ ნასახლარზე და იმ საბედისწერო დღეს, როცა პირველად გამოეცხადა ორი თავის ბავშვის საფლავთან, თავისი მზაკვრული ღიმილითა და თევდორეს ბალახივით ტკბილი ენით უარესად შეატოპინა ტყუილსა და შეცდომაში, უარესად მოახვია თავზე უცხო გვარი და უცხო მკვდრების ჭირისუფლობა. ნამუსზე შეაგდო, მკვდარი ბავშვი შეაცოდა, დაუნათესავა, ლოდივით ჩამოკიდა კისერზე, სულზე, ენაზე და ამასაც გაუჭირდა უარის თქმა, თუმცა, ჭკუა თუ ჰქონდა, მაშინ უნდა ეთქვა უარი, გადარჩენა თუ უნდოდა, რადგან მაშინ დაიღუპა სწორედ, როცა თავი სამშვიდობოს ეგონა. მაგრამ მაშინ სულელი იყო, იმის შიში კლავდა მხოლოდ, არავინ დაეჭვდეს, არავინ ჩაეძიოს, მემკვიდრეობის ქაღალდი მოპარული ხომ არა აქვსო. კვლევაძიებისა ეშინოდა; სხვა არაფერზე ფიქრობდა და ამან დაუბრმავა თვალიცა და გონებაც, თორემ ვის რა ჰქონდა დასაეჭვებელი, ან ვინ რას ეტყოდა, გინდაც უკანონოდ მიეთვისებინა მაკაბელების ნასახლარი, სადაც, ალბათ, თელეთის გლახაც არ იკადრებდა ცხოვრებას, რომც ეჩუქებინათ, არ გაჩერდებოდა, ისევ ტაძრის წინ ყურყუტს არჩევდა, გველებით სავსე შამბნარის გლეჯასა და ქვეყნის სიბინძურის ხვეტას; ამან კი, ვიღაცის მკვდარი ბავშვი მამიდად გაიხადა, ოღონდ არ გაეძევებინათ ჩაქცეულან, ოღონდ გამოუძიებლად დაეჯერებინათ მისთვის, რომ ამ სიბინძურის, გველებისა და საფლავების კანონიერი მემკვიდრე იყო და უკეთეს ადგილას კი არ ირჩევდა, წმიდათაწმინდა მოვალეობის აღსრულებას აპირებდა: ხიდის გადებას უცნობ წინაპრებსა და ასევე უცნობ შთამომავლობას შორის. სინამდვილეში ძროხას უნაგირი დაადგა, აქლემი ჩასვა გალიაში. ისე იყო დაბნეული, ეგონა, სწორედ იქცეოდა, მარტო ამ გზით გადაირჩენდა თავსა და სახელს, შეკაზმული ძროხითა და გალიაში ჩამჯდარი აქლემით აურევდა კვალს მისი სისხლის მაძიებელს. მაგრამ რა სჭირდა სათვალთმაქცო, ან დასამალი? ყაფლან მაკაბელს გინდაც არ გადაჰყროდა, ოცდახუთწლიანი ჯარისკაცობით იმდენი კი ჰქონდა დამსახურებული, მისთვისაც რომ მოეზომათ ერთი ქეციანი კარმიდამო გადაყრუებულ კოლონიაში. სხვა თუ არაფერი, რაც მან მტვერი ყლაპა იმ ოცდახუთი წლის განმავლობაში, ისევ მიწად რომ ქცეულიყო, ბატალიონი დასახლდებოდა ზედ. მაგრამ მაშინ ასე არ ფიქრობდა, ახალგაზრდა იყო და არ შეძლო, ასე ეფიქრა. „ისე გაცნობ, თითქოს შორებელი იყოო“ — უთხრა მაშინ ზოსიმე მღვდელმა ვიღაცის მკვდარ ბავშვზე და ამით უკანასკნელი კარიც მიუკეტა სამზეოზე, სააშკარაოზე გამოსასვლელად. მაშინ თვითონვე გაუხარდა, ასე უბრალოდ რომ აღიარა მღვდელმა მისი და ორი თავის მკვდარი გოგოს სისხლისმიერი ნათესაობა, ლამის ხელები დაუკოცნა, მაგრამ ეს ჭკუა რომ ჰქონოდა მაშინ, ასე იოლად არ წამოეგებოდა მღვდლის ანკესზე, რომელმაც ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა, უპატრონო მკვდარიც გაასაღა (რაც ღვთისნებიერობაში ჩაეთვალა, ალბათ) და მუქთა ღვინის საწრუპავი ადგილიც იშოვა. ახლა რაღა დროსია, მაშინ უნდა ეყვირა, დაუფიქრებლად უნდა ეთქვა უარი მაკაბელობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეც, მემკვიდრეობაზეც და სამუდამოდ, უკანმოუხედავად გადახვეწილიყო აქედან, რადგან რაც აქ დაემართა, ამაზე უარესს არსად დამართებდნენ, ანდა ამაზე უარესი რაღა უნდა დამართოდა, გვარიშვილობა, წოდება და სახელი კი არა, თესლიც არ ჰქონდა საკუთარი, თუკი შერჩებოდა ამ ქვეყანას, მისი შთამომავალი ვერასოდეს გაიგებდა, სინამდვილეში ვინ იყო, და ყოველთვის არასწორედ ეგონებოდა, ესა და ეს ვარო. ზოსიმე მღვდელმა მოუსპო უარყოფის, უარის თქმის უნარი, თვალების ჟუჟუნითა და ტუჩების წკლაპუნით გაუადვილა სიცრუის ვიწრო ნიჟარაში შეყუჟვა და ამით დაღუპა სამუდამოდ. იმის მაგივრად, რომ ცოდვის გზაზე დამდგარი, გაეფრთხილებინა (რაც ევალებოდა კიდეც), აღიარე სიმართლე, მითვისება უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე წამიერი სისუსტისა და სიბეცის ჟამს მითვისებულის უარყოფაო, თავის გადარჩენის მიზნით, მოციქულმა სამჯერ უარყო მოძღვარი და შენ ვინ მიგდიხარ, ამ გადაშენებული გვარის გულისთვის ჯოჯოხეთის ცეცხლში რომ იგდებ თავსაო, უარესად უბიძგა, უარესად ჩაფლო ცოდვაში, საიდანაც მამაზეციერიც ვეღარ ამოიყვანდა ახლა, რადგან მამაზეციერსაც გაუჭირდებოდა მისი ვინაობის დადგენა, არ ეცოდინებოდა, ვისთვის უნდა გაეწვდინა ხელი.

— ლობიო ყვავის. — თქვა ქაიხოსრომ და უცებ გაბრაზდა. — ჩემი სულის გადასარჩენად მოხვეული, თუ ფანჯარაში საყურებლად!

— სხვათა შორის, კაცის ოცნება და ლობიოს ყვავილი ძალიანა გავს ერთმანეთს. ორივეს მაღლა-მაღლა უყვარს ძრომიალი. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

ერთმანეთს შესცქეროდნენ სახეში. ერთი — დაძაბული, დაეჭვებული, გამწყრალი; მეორე — მშვიდი, ლმობიერი, მომთმენი.

— აღარ არის დრო? აღარ გავიცნოთ ერთმანეთი? — თქვა ბოლოს ქაიხოსრომ.

ზოსიმე მღვდელმა პირველად მაშინ მიაქცია ყურადღება, როგორ დასძველებოდა ქაიხოსროს მაიორის მუნდირი, იღლიებში გამოშავებული, ათასნაირად გამოხუნებული და დალაქული, ჩვარივით ეკიდა მხრებზე. ეპოლეტებიც ძველებურად აღარ ბრწყინავდნენ, ჩამოყრილ, ჩამოძენძილ, პირქვე დაცვენილ ბუდეებსა გავდნენ. ოქროსფერი ღილებიც ალაგ-ალაგ გადაცვეთილიყვნენ, ღარები ჩაშავებოდათ. ერთი ღილი საერთოდ დაჰკარგვოდა და მხოლოდ ნაჭერს ეტყობოდა ღილის მრგვალი ანაბეჭდი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა მუნდირის პირვანდელი ფერი და ძაფის პატარა, მკვრივი კვანძი.

— შე დალოცვილო, — გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა. — ჩვენ თუ არ ვიცნობთ ერთმანეთს...

— არა! — იყვირა, სიტყვა გააწყვეტინა ქაიხოსრომ. — არა. შენ თავიდანვე იცოდი, მე რომ ის არა ვარ, ვინც ხალხს ვგონივარ, მაგრამ არც შენ იცი, ვინა ვარ.

— ეგრე გეგონოს. — უარესად გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა.

— რა? რა მეგონოს? — დაიძაბა ქაიხოსრო.

— რა და, ის რომ არა ხარ, ხალხს ვინც გონიხარ და მეც რომ არ ვიცი, ვინ ხარ.

— მაშინ... მაშინ... — მღელვარებისგან ენა დაება ქაიხოსროს. — მეც მითხარი, მეც გამაგებინე. რატომ მაწვალებ? ღმერთსაც გაფიცებ და ეშმაკსაც. მითხარი, ვინა ვარ!

— ია. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

— ია? — თვალები გადმოუცვივდა ქაიხოსროს.

— ხო. — თავი დაუქნია ზოსიმე მღვდელმა. — ფეხვიანათ მოგლეჯილი,

**შინმიტანამდე სუნდაკარგული, ხელში დამჭკნარი ია.**

ისევ მიაჩერდნენ ერთმანეთს. ახლა ორივე იღიმებოდა, ერთი — ჩვეულებრივად, მშვიდად, მეორე — ღვარძლიანად, დაბნეულად, დამცინავად. მერე ქაიხოსროს სიცილი აუვარდა, ხველანარევი სიცილი. თვალები დაუსისხლიანდა, ყვრიმალები დაებერა, წარამარა ხელის ზურგს იფარებდა პირზე.

— ჩემი ხნის ია სად გინახავს, ადამიანო. — ძლივს ამოთქვა. — მომშორდი! — დაუყვირა მოულოდნელად და სახე გადაუსხვაფერდა, გაუმკაცრდა, გაუშავდა, გაუუხეშდა. — მომშორდი. — გაიმეორა ჩურჩულით, რადგან ხმა აღარ ეყო, ხელმეორედ დასაყვირებლად.

— დამშვიდდი, დამშვიდდი. — ეუბნებოდა ზოსიმე მღვდელი.

გარეთ კი, ათასნაირად ბრიალებდა ქვეყანა, ლამაზი და მშიერი გაზაფხული იდგა, ხალხი მხალსა და ჭინჭარს ჭამდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა მაინც. გარეგინა ნისიად ვაჭრობდა და მუშტარი არ აკლდებოდა, პირიქით, ახლა უფრო მეტი ხალხი ირეოდა მის დუქანში, ტკბილი და უბარაქო იყო ნისიად შეძენილი საქონელი. „დასავლეთში შიმშილობა ყოფილა. ჭადიც საძებარი აქვთ თურმე“. — იტყოდა ვიღაცა, ვითომ ჩვენ ჯერ კიდევ რა გვიჭირს, ჩვენ ჯერ კიდევ არ მივსულვართ აქამდეო. იტყოდა და გვერდზე გადგებოდა, რათა ახლა სხვებისთვისაც მოესმინა და იმისდა მიხედვით განექარწყლებინა ანდა განემტკიცებინა გლეხკაცის მარადიული შიში და ეჭვი. „ჭადი? ჭადი რა კაცის საჭმელია?“ — მაშინვე გამოუჩნდებოდა აშტაცებელი გადმოგდებულ სიტყვას და ცხოვრებაც ჩვეულებისამებრ გრძელდებოდა. არავის აინტერესებდა ქაიხოსროსა და ზოსიმე მღვდლის ვნებანი.

— მომშორდი-მეთქი... დამაცალე სულის ამოსვლა. — თქვა ქაიხოსრომ, მაგრამ ხმაზე შეეტყო, ყველაზე მეტად ზოსიმე მღვდლის წასვლა რომ არ უნდოდა ახლა. — ვერ ვისწავლე [illegible] ლაპარაკი. მეც უნდა გამიგო, მამაო, კიდობანში ვარ გამომწყვდეული.

— ეს რა კიდობანია, — გაიღიმა ზოსიმე მღვდელმა. — დედალ-მამალი ბაღლინჯოს მეტს, ვერაფერს ნახავს კაცი.

— სხვა არცაა საჭირო, — აჰყვა ქაიხოსრო. — რითი ვჯობივართ ბაღლინჯოს... ან მე... ან პეტრე.

— პეტრეც ცოდოა. — თქვა ზოსიმე მღვდელმა.

„რა მჭირს თქვენი შესაცოდი?!“ — გაბრაზდა პეტრე. ის დიდ ოთახში იდგა, კარადისხელა საათის წინ და იქიდან უსმენდა მამისა და ზოსიმე მღვდლის ლაპარაკს. „რა მჭირს თქვენი შესაცოდი?!“ — ერთხელ კიდევ გაიმეორა გუნებაში, გამწყრალმა, გაგულისებულმა. ხელი ჟილეტის ჯიბეზე ედო და გრძნობდა, როგორ ფეთქავდა, როგორ წიკწიკებდა ჟილეტის ჯიბეში მონოგრამიანი ვერცხლის საათი, როგორც მისი მეორე გული. კარადისხელა საათი კი — დუმდა, მართლა გაჩერებულიყო, მაგრამ პეტრეს რატომღაც ვერ გადაეწყვიტა, დაექოქა თუ არა იგი, თუმცა თავიდან ამ განზრახვით შეჩერდა მამისეულ საათთან. გასაღები ფოსოში იყო მორგებული, რამდენჯერმე უნდოდა გადატრიალება და საათი ისევ ამუშავდებოდა, ისევ დასძრავდა ოთახის ჩახუთულ ჰაერს ყრუ და ჟღრიალა ბიძგებით. ამის შეგრძნებამ ააფორიაქა პეტრე, იმ წუთას რაღაც ახალი დაიბადა მის არსებაში, იდუმალი, მნიშვნელოვანი, და საკუთარი სხეულიც ეუცხოვა უცებ, ერთი წამით, როგორც სარკის წინ ჩავლილ ფეხმძიმე ქალს. დაძაბული და აღგზნებული იდგა, უცხო კარზე მიყურადებული მსტოვარივით, თუმცა ზოსიმე მღვდელსა და მამამისს ახალი არაფერი უთქვამთ, ჩვეულებრივად ბჟუტურობდნენ, მაგრამ მისდა მოულოდნელად, საათის დუმილმა იმდენ რამეს მიახვედრა ერთბაშად, სიხარულისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზარი დაეცა. საათის დუმილმა, უპირველეს ყოვლისა, იმას მიახვედრა, რომ გაცილებით მეტის ღირსი იყო, ვიდრე მოითხოვდა და გაცილებით მეტი შეეძლო, ვიდრე ეგონა. მერე ღიმილი გადაეფინა სახეზე და ნეტარებით მოიფშვნიტა ათრთოლებული ხელები. „პეტრეც ცოდოაო" — სწორედ ამ დროს თქვა ზოსიმე მღვდელმა. შესაცოდი რა სჭირდა, როცა ეს წუთია მოიპოვა ძალაუფლება, როცა ეს წუთია აღმოაჩინა, რომ ლითონის ამ პატარა ნაჭერში იყო ჩამწყვდეული არა მარტო კარადისხელა საათისა, არამედ მამამისის სულიც. ასე რომ, ამ სახლში მამაზეც მეტი იყო იგი და როცა მოეპრიანებოდა, მაშინ გახდებოდა ნამდვილად პირველი და ნამდვილად უფროსი. პეტრემ გასაღები ფოსოდან ამოიღო და მუჭში დამალა. ცოტახანს კიდევ იყოყმანა, თუმცა სრულებითაც არ აპირებდა, ხელი აეღო ერთბაშად გაჩენილ განზრახვაზე. კი არ ყოყმანობდა, თამაშობდა, ვითომ ვყოყმანობო, ვითომ ძალიან მიჭირს ამ ნაბიჯის გადადგმაო, როგორც დიდმა კაცებმა იციან, ერთი ბებრის კი არა, ქვეყნის ბედი რომ უპყრიათ ხელთ. პეტრე აივანზე გავიდა, მომუწული ხელი თავსზემოთ დაიტრიალა და თვალები დახუჭა, რათა თვითონაც არ დაენახა, საით გაფრინდებოდა ლითონის ჩიტი, კარადისხელა საათის გასაღები.

11.

ფოთოლი ჩამუქდა. გამომშრალსა და გამკვრივებულ შარას ისევ სქლად დაედო თბილი, ფაფუკი მტვერი. სახლებიც ისევ შეიყუჟენ დაბურულ ეზოებში. ჰაერი ჩაიხუთა, გასქელდა. ზანტად დაფრინავდნენ აზუზუნებული ფუტკრები. ნახევრად ბნელ ოთახებში საიდუმლოდ, ამაფორიაქებლად ჟღერდნენ გარედან შემოღწეული, გაუვალი სიმწვანით დარბილებული ხმები. ტოტებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანები მზით იყო ამოვსებული და ამაოდ ცდილობდა თვალი, მთლიანად დაენახა გზაზე ჩავლილი ცხენი თუ საქონელი. იქნებ, ცხენი არ იყო? იქნებ, საქონელი არ იყო? წრიალებდა გაბრუებულ თავში ნაძალადევი, დროის გასაყვანად გამოგონილი ეჭვი. მაგრამ ამ ეჭვსაც ჰქონდა თავისი საფუძველი: ოცნება და შიში, უმწეობა და სურვილი. არასოდეს არ ყოფილა ასეთი დაბნეული და შეწუხებული. მოუთმენლად ელოდებოდა დაღამებასა და ჭოტის კივილს და როგორც მისი ასაკის გოგოებს სჩვევიათ (იმ გაზაფხულზე თხუთმეტისა გახდა), რაღაცნაირი ვნებიანი მღელვარებით ნატრობდა სიკვდილს, ოღონდ დარწმუნებული არ იყო, ჭოტისა და ალათიას ჭკუაზე თუ დადიოდა იგი. ჭოტიც იმ გაზაფხულზე შემოეჩვია მაკაბელების ცაცხვებს და ისე მოულოდნელად დაიკივლებდა ხოლმე, ალათიას შიშისაგან ხელფეხი ერთმეოდა.

— შენიანი ამოჭამე, შე წყეულო, შენა. — ლუღლუღებდა ალათია და გამალებული იწერდა პირჯვარს.

მას კი სიკვდილი უნდოდა, რადგან მხოლოდ სიკვდილს შეეძლო, ერთბაშად გაენთავისუფლებინა იმ სევდაწუხილისაგან, ნასხვისარი, სხვისი სუნითა და ოფლით გაპოხილი პერანგივით რომ გრძნობდა კანის შიგნით. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სულ ასეთი შეწუხებული იყო გაჩენის დღიდან და სულ ასეთი შეწუხებული იქნებოდა. სულ, უსასრულოდ. ამაოდ ებრძოდა თავს, არც წასვლა შეეძლო და არც დარჩენა. წასვლაში სიბრალული უშლიდა ხელს, დარჩენაში კი — სიძულვილი. ძულდა და ებრალებოდა ისინი, ვინც უბრალოდ უნდა ყვარებოდა, წესიერად რომ წარმართულიყო მისი ცხოვრება. ეს ორი გრძნობა, უპატრონო, წვიმიდან შემოსული ძაღლებივით ებლანდებოდა ფეხებში, ამაზრზენად ეგლისებოდა შიშველ კანზე,

---

ოთარ ჭილაძე
ყოველმან ჩემმან მპოვნელმან....

და ისიც იდგა სარკმელთან, საცოდავად მხრებაწურული, გულისამაჩუყებლად სევდიანი, სლუკუნშეკავებული, ამრეზილი, აღშფოთებული და უმწეო. ახლა გრძნობდა დედის სიკვდილსაც, ძმების დაკარგვასაც, მამა-პაპის გაუცხოვებასაც და, შემკრთალი და დაბნეული, წუხდა, წვალობდა, იტანჯებოდა. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი საერთო არ უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან, მაგრამ საკმარისი იყო, თავი მიედო ბალიშზე, მაშინვე თვალწინ დაუდგებოდა თოვლით დაზელილი უცხო მამაკაცის სხეული და მკვდარი ირმის ცრემლჩამდგარი თვალები. ეს ორი, ერთნაირად ამაფორიაქებელი და ერთმანეთისგან უაღრესად განსხვავებული ჩვენება სამუდამოდ შერწყმულიყო მის წარმოდგენაში, საერთო ფესვი გაედგა და ამ ფესვის შეგრძნება აწუხებდა სწორედ, ამ ფესვის იდუმალება და ორაზროვნობა, რადგან თუ უცხო მამაკაცის მიშველმა სხეულმა იმედი ჩაუსახა და გზების არსებობა დაუდასტურა, მკვდარი ირმის ცრემლჩამდგარ თვალებში იმედის უსუსურობა და გზების ვერაგობა დაინახა მხოლოდ. ბავშვობა აღარც ახსოვდა. ბავშვობამ მარადიული, ხელშეუხებელი სიმშვიდისა და სიამტკბილობის რწმენაც თან გაიყოლა და სამაგიეროდ, რაღაც ცივი და უხეში ჩაუტოვა სულში, რკინის იმ ჩხირივით, რომელზედაც ასკლიპიოდოტას თვალი იყო წამოცმული. ახლა იმის დაჯერებაც უჭირდა, ოდესღაც მართლა რომ ყავდა დედა, ვირზე დასკუპებულს, მართლა რომ მიაცილებდნენ სკოლისაკენ ჩხუბისთავი ძმები... არავითარი მსგავსება აღარ არსებობდა მარად აღრენილ, მარად დამწყვდეულ ბებერსა და იმ კეთილ პაპას შორის, რომელმაც ასკლიპიოდოტა მოუყვანა და ენის ბორძიკით უთხრა: მეგობარი გესტუმრათ, ქალბატონო, ასე ამბობს ასკლუ... ასკლო... ასკლიპიოდოტა მქვიანო. ის დრო ან დაესიზმრა, ან სხვა ზღაპრებთან ერთად სამუდამოდ ჩაიყოლა დედამისმა მიწაში. სინამდვილე ის იყო, რასაც ამ წუთას განიცდიდა და არა ის, რაც მომხდარიყო. რაც მომხდარიყო, არ ითვლებოდა, ამიტომ აღარც უფლება ჰქონდა, წინ აღსდგომოდა მოსახდენს. უფლება, შეიძლება ჰქონდა, მაგრამ ძალისა რა მოგახსენოთ. განა პეტრეს ცოლის შერთვაზე ხელს აალებინებდა ბაბუცას საფლავის არსებობა? რა თქმა უნდა, არა. ან ანეტას არსებობა შესცვლიდა რამეს? პეტრე მაინც შეირთავდა ცოლს. ცხოვრებას თავისი ადათწესები ჰქონდა და რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მაინც თავისას გაიტანდა, მაინც ყველას მოახვევდა თავის ადათსა და წესს. ეს უკვე ანეტამაც იცოდა, უფრო ადრე იცოდა, ვიდრე მამა ზოსიმე მღვდელს მიუგზავნიდა „შესამზადებლად“. ანეტა შეყვარებული იყო, საიდუმლოდ, ღრმად და ყველაზე მეტად ამან შეაძრწუნა, როცა მამის განზრახვა შეიტყო, თითქოს მისი გულუბრყვილო, გაუთვითცნობიერებელი, ველური ყვავილივით თავისით გაჩენილი სიყვარულის დასაკნინებლად, გასაპამპულებლად, გადასათელად გამოეგონათ მამამისისა და ვიღაც თელაველი, სამგზის ნაქმარევი და კიდევ ვიღაც მეოთხისგან უტვინო ბავშვით დაჯილდოებული ქალის რომანი. ანეტა იცინოდა, გულიანად კისკისებდა თავისივე საქციელით შეცბუნებული და წარამარა ებოდიშებოდა ზოსიმე მღვდელს.

— დამშვიდდი, შვილო, — ეუბნებოდა, არანაკლებ შემცბარი ზოსიმე მღვდელი. — დამშვიდდი.

— დავმშვიდდე? რა მჭირს დასამშვიდებელი? — იცინოდა ანეტა.

— ღვთის წყალობით, ქალად გაგაჩინა ბუნებამ, — ეუბნებოდა ზოსიმე მღვდელი. — შენ შენი გზა გაქვს.

— უი, მამაო, მაპატიეთ. — პირზე ხელს იფარებდა ანეტა.

— მაინც ასე ჯობია, — ხმას უწევდა ზოსიმე მღვდელი. — მაინც ასე ჯობია. შენ წამსვლელი ხარ...

— ახალი დედიკო და ახალი ძმიკო მეყოლება, — არ აცლიდა ანეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ... შენ წამხვლელი ხარ...

— თვითონაც არ ვიცი, რა მაცინებს, დედას გეფიცებით. არ გეწყინოთ, მამაო. — სიტყვას ბანზე უგდებდა ანეტა.

ანეტას აღიზიანებდა ზოსიმე მღვდლის გულახდილობა, არ ელოდა და იმიტომ. დარწმუნებული იყო, მღვდელი თანდათანობით შეაპარებდა მამის დანაბარებს, დაუშაქრავდა, მომხიბვლელად დაუხატავდა მათ ოჯახში მოსახდენ ცვლილებებს, რადგან, მისი აზრით, რაც თავისთავად გამოუმუშავდა ბავშვობიდანვე, მღვდელი და ექიმი იმითაც განსხვავდებოდნენ სხვებისაგან, ყურადღებას რომ არ აქცევდნენ ხვეწნა და განსაცდელს და მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, როგორმე გაებიებუბინათ ის, რაც სხვებს თავგზას ურევდა. რაც არ უნდა ავად ყოფილიყო, მაშინვე განიკურნებოდა ხოლმე, როგორც კი ექიმი ჯანდიერი შემოვიდოდა ოთახში. დედამისი რომ შესტიროდა ექიმს, მიშველეო, ის იღიმებოდა, კი არ დაეძგერებოდა წამლებით, ასკლიპიოდოტას ჩაისვამდა კალთაში და ჯერ იმის ამბებს გამოიკითხავდა, თითქოს ანეტა კი არა, ის იყო ავად. ახლაც ამის მაგვარ რაღაცას მოითხოვდა მისი არსება ზოსიმე მღვდლისგან, თუმცა იმასაც გრძნობდა, თვალთმაქცობა და ტყუილი ყველაზე დიდი ბოროტება რომ იქნებოდა ახლა, რადგან ზოსიმე მღვდელი რომელიმე ჩვეულებრივი და მოსახდელი სენისაგან განკურნებას კი არ უპირებდა, არამედ მისი სულის გადასარჩენად და გასამტკიცებლად ღვწოდა.

— მამაჩემს უთხარით, გაუხარდება. — თქვა მოულოდნელად.

— ცხოვრება დედა კი არაა, დედინაცვალია. ესეც დაიხსომე. — უთხრა ზოსიმე მღვდელმა.

მოკლედ, ამ ბოლოს დროს იმდენი რამე გადახდა თავს, თხუთმეტი წლის გოგო კი არა, ბრძენი დაიბნეოდა. თავი გახეთქვამდე ჰქონდა, ალათიაც რომ არ ყოლოდა, მართლა გაგიჟდებოდა. ისხდნენ ისა და ალათია საღამოობით, ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპით ნახევრად განათებულ ოთახში და სხვა რომ არაფერი შეეძლოთ, ერთმანეთზე იყრიდნენ ჯავრს, ერთმანეთს აბრალებდნენ საკუთარ უმწეობას. ანეტას ალათია უყვარდა, მაგრამ აღარ შეეძლო მისი დაზოგვა, ვიღაცა უნდა გაეწირა, ცოტა შვება რომ ეგრძნო, მთლად უსიტყვოდ და მთლად უბრძოლველად რომ არ შეეჭმევინებინა თავი ამოუხსნელი და დაუნდობელი წუხილისთვის. მათი ღამეული საუბრები უმთავრესად ერთმანეთის განაწყენებითა და გაღიზიანებით მთავრდებოდა. ანეტა უმწეო იყო, ამ ერთი ქალისთვის მაინც აეხილა თვალი იმ უბედურების დასანახად, რომელიც მას, ბავშვობიდან გამოსვლისთანავე, მძორის სუნით გაჟღენთილი ქარივით დაეძგერა სახეში. ალათიაც იმ უბედურების ნაწილი, ამ უბედურების მსახური იყო და ერთგული მსახურის სიჯიუტით ცდილობდა მის დაცვასა და გამართლებას, რადგან სხვა არაფერი ენახა ამ ქვეყანაზე, არც ამაზე უკეთესი და არც ამაზე უარესი. ის სულიანხორციანად მსახური იყო და ალღოთი გრძნობდა, მისი პატრონების ყოველნაირი საქციელის გამართლება უფრო რომ ახანგრძლივებდა ოჯახის არსებობას, ვიდრე განსჯა და განქიქება. მისთვის მთავარი ოჯახის სიმტკიცე იყო, რადგან იმავე ალღოთი იმასაც გრძნობდა, არეულ ოჯახში პირველ რიგში თვითონ რომ აღმოჩნდებოდა უცხო და ზედმეტი, როგორც ნებისმიერი უპატრონო დედაბერი. ალათიას ყველაზე მეტად უპატრონოდ დარჩენისა ეშინოდა, მაგრამ პატრონში, საერთოდ მაკაბელებს კი არ გულისხმობდა არამედ ანეტას, როგორც ადრე — ბაბუცას და უფრო ადრე — ბაბუცას დედას. ვისაც ზრდიდა, იმის საკუთრებად თვლიდა თავს და საგვარეულო ნივთივით, მშვიდად,

უმტკივნეულოდ გადადიოდა ხელიდან ხელში. ის მსახური უნდა ყოფილიყო, მაგრამ სრულებითაც არ იყო სულერთი, როგორც ანეტამ უთხრა ერთ ასეთ საღამოს, ვისი მსახური იქნებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ ანეტა არსებობდა. ხოლო რაკი ანეტა არსებობდა, ალათიაც ისეთივე საკუთრება იყო მისი, როგორც ბაბუცას დანატოვარი ბიბლიოთეკა, ორიოდე ხატი, ლუარსაბ მიქელაძის ხმალი და გამოხუნებულ ბაბთაზე მიმაგრებული ჯვარი. ამდენად, ალათიას მომავალიც პირდაპირად ანეტასთან იყო დაკავშირებული და გუნებაში, თავისთვის უკვე ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი იგი. ანეტა რომ გათხოვდებოდა, ახლა იმას წაყვებოდა მზითევში და, თუ ღმერთი დააცლიდა, ახლა იმის ბავშვს გაზრდიდა. ამიტომ ანეტას აბდაუბდა ლაპარაკი უფრო აღელვებდა და აფრთხობდა, ვიდრე პეტრეს მოსალოდნელი დაოჯახება. არაფერი იყო პეტრეს განზრახვაში უცნაური. ის სამიოდე მამაკაცი, რომლებიც მისი გაზრდილების ქმრები ან მამები იყვნენ, საკმარისი იყო, გარკვეული წარმოდგენა რომ შეჰქმნოდა საერთოდ მამაკაცებზე. პეტრე რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, როცა ლუარსაბ მიქელაძე ავადმყოფ ცოლსაც არ ერიდებოდა და ალათიას კახპისათვის მეზობელ ოთახში აშლევინებდა ლოგინს, ქაიხოსრო მაკაბელს კი, დუხაბორის ძირგავარდნილი დედაკაცი დაუდიოდა შინ, ვითომ იატაკების მოსარეცხად, თავად ბინძური და გასარეცხი. პირველად რომ უთხრა პეტრემ: ცოლი უნდა შევირთო, სანამ მამაჩემივით მეც ტილი დამეხვევაო, პეტრეს ბუზღუნს, წუნიაობასა და მუქარებს შეჩვეულმა ალათიამ, პეტრეს ნათქვამი ჩვეულებრივ საყვედურად მიიღო და იმან კი არ შეაშფოთა, რა შეიძლებოდა მოყოლოდა პეტრეს ხელმეორედ დაქორწინებას, არამედ ის ეწყინა, ერთხელ კიდევ უსამართლოდ რომ დაუწუნეს დიასახლისობა. შეშფოთებით მერე შეშფოთდა, როცა შემთხვევით მოჰკრა ყური ზოსიმე მღვდლისა და ანეტას საუბარს. ანეტას უჩვეულო ხიცილმა და ზოსიმე მღვდლის დაუნდობლობამ დასცა თავზარი და პირველად მაშინ შეიგნო, რა უმნიშვნელო იყო მისი საფიქრალი და სადარდელი ამ პატარა გოგოს უბედურებასთან შედარებით, რა ადვილი შესაძლებელი იყო, მართლა ჩაედინა ანეტას ის, რასაც საღამოობით ელაპარაკებოდა ხოლმე და რასაც ალათია ანეტას უსაკობასა და უცნაურობას აწერდა. მართლაც ვინ გაუმტყუნებდა ანეტას, ერთ მშვენიერ დღეს ფეხი რომ დაეკრა და ისიც გადაკარგულიყო ნიკოსა და ალექსანდრესავით. ახალი ქალი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო იგი, პირველ რიგში გადაყრუებულ მოახლეს კი არა, რომელსაც თავსაც არ გაუყადრებდა ალბათ, არამედ ანეტას დედის სულს გადევნიდა აქედან და ანეტაც სწორედ მაშინ დაობლდებოდა ნამდვილად. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ალათიას რა შეეძლო, ერთგულებისა და სამსახურის მეტი? უნდა მჯდარიყო და დაეცადა. ის ანეტას მზითვები იყო და ანეტას გვერდით უნდა ყოფილიყო ყოველთვის, ბედნიერებისა თუ უბედურების ჟამს. ბუნებით მორჩილი, არც ახლა აპირებდა აჯანყებას, მაგრამ ახლა გაცილებით მეტი გაეგებოდა, ვიდრე ანეტასა და ზოსიმე მღვდლის საუბრამდე. ოჯახში დაძაბული, დაუნდობელი ომი მძვინვარებდა თურმე და ის, არა მარტო მოწმე, არამედ მონაწილეც იყო ამ ომისა, რადგან მოწინააღმდეგეთა ერთი მხარე მის გამოხუნებულ კალთაში იყო გაზრდილი. ის, რაღა თქმა უნდა, თავისი გაზრდილების მხარეზე იქნებოდა ყოველთვის, მაგრამ ეს კი არ იყო მთავარი, ამას არც ჰქონდა, ალბათ, მნიშვნელობა, მთავარი იყო, მშვიდობიანად დამთავრებულიყო ყველაფერი, უმსხვერპლოდ, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ანეტა დაასწრებდა მამამისს, თუკი ჯერ ანეტა დაქორწინდებოდა და მერე პეტრე. მაგრამ ანეტას გათხოვებამდე ჯერ კი-

დევ ბევრი წყალი ჩაივლიდა, პეტრეს კი, დღესვე შეეძლო ქალის მოყვანა. ასე რომ, აღარ იცოდა, რა წყალში ჩავარდნილიყო, ლამლამობით ჭოტი დაჰკიოდა თავზე და, უარესად დამფრთხალი და დაბნეული, მოკუნტული იჯდა სკამზე, ვითომ წინდების კემსვით გართული, ვითომ სხვა არაფერი ადარდებდა, ქუსლებგამოღრღნილი წინდების გარდა. ან სხვა რა შეეძლო? ვერც ანეტას მოუგებდა სიტყვას და, მით უფრო, ვერც სიკვდილის მოციქულს.

— შენი თავი ამოჭამე. დაგწყევლოს ღმერთმა. — შფოთავდა ალათია.

— რათა სწყევლი? — მაშინვე პირში ეცემოდა ხოლმე ანეტა. — იქნებ მე მინდა სიკვდილი?

— ღმერთს ნუ ცოდავ, გოგო. რა დროს შენი სიკვდილია?! — სახე უმტერდებოდა ალათიას.

— სიკვდილს მივყვები ცოლად. არ იცოდი? ამწინებზე, შენ რომ ბედისკვერი გამომიცხე, იცი რა დამესიზმრა? სიკვდილი. პეშვით დამალევინა წყალი. მამაჩემიც იოლად გამოვა. სად ქორწილი და სად ქელეხი! — მშვიდად, უდარდელად ტიტინებდა სკამზე მუხლებით შემდგარი და მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი ანეტა.

— თავი გაწიე,' გოგო. ისედაც ვერაფერს ვხედავ. — სიტყვას ბანზე უგდებდა სატირლად გამზადებული ალათია.

— შენ ის მითხარი, ქორწილი ხომ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ქელეხი? — არ ეშვებოდა ანეტა, თავადაც გულახუყებული, მაგრამ გაკერპებული, გალიზიანებული საკუთარი უმწეობის შეგრძნებით.

ფაიფურის დიდმუცლიანი ლამპა სანახევროდ ანათებდა ოთახს. ბიისფერი ალი ისევ ჯიუტად აგრძელებდა ადამიანების თვალთვალს თავისი შუშის კოშკიდან, როგორც გონიერი არსება, შორეული ვარსკვლავების ბინადარი, დიდი ხნის წინად გადმოსროლილი ამ უცხო გარემოში, აქაური ადათ-წესების შესასწავლად, რომელმაც სამუდამოდ აქ დარჩენა არჩია, აქაური ამბების გარეთ გატანას, ამჯობინა, დაღუპულად ჩაეთვალათ იგი თანამემამულეებს, ვიდრე მისი მეშვეობით გაეგოთ ის, რისი მოწმეც თავად გამხდარიყო. ალათიას ძველი წინდების გროვაზე ეწყო ხელები, ყოველ საღამოს ასე ჩაიხვავებდა ხოლმე კალთაში და კი არ კემსავდა — წვალობდა, ნემსით თითებს იჩხვლეტდა, რადგან მაგიდაზე მუცლით გადაწოლილი ანეტას თავი სანახევროდ ფარავდა ლამპას.

— სიკვდილი რამ დაგასიზმრა? შენ რა იცი, როგორია სიკვდილი? — თქვა ალათიამ ისეთი შეწუხებული, ისეთი განაწყენებული ხმით, რომ ანეტას უნებურად გაეცინა.

— ვიიიცი. — თქვა ანეტამ.

— ღმერთო, შენ გვიშველე. — პირჯვარი გადაიწერა ალათიამ ნემსიანი ხელით. — ტყუილია. — თქვა ცოტახნის მერე. ლამპას მისჩერებოდა, თვალებმოჭუტული, ქუთუთოებდანაოჭებული, თითქოს რაღაცას იხსენებსო. უცებ თავი ასწია და ისევ გაიმეორა — ტყუილიაო, — ოღონდ ახლა უფრო მტკიცედ და თამამად.

— რა? რა არის ტყუილი? — ბრაზიანად, გამომწვევად ჰკითხა ანეტამ და მისკენ შემობრუნდა. სკამი, რომელზედაც მუხლებით იდგა, ორი ფეხით ასცდა იატაკს.

— ბედისკვერი. — თქვა ალათიამ. — დედაშენი ვითომ უფლისწულს უნდა წაჰყოლოდა, მაგრამ...

— რა მაგრამ? — არ აცალა ანეტამ. — თქვი. რატომ არ ამბობ? მაგრამ მამაჩემს წაჰყვა, არა? — თქვა ანეტამ და ერთდროულად შეკრთნენ ისიცა და ლამპის შუშაში ჩამწყვდეული ალიც, რადგან მუხლებქვეშ მოულოდნელად შეუტოკდა გადაბრეცილი სკამი.

— ნელა, გოგო. — შესძახა ალა-

თიამ. — ბედისკვერი ტყუის-მეთქი. მამაშენი ვისზე რა ნაკლებია.

— მამაჩემი. — თქვა ანეტამ და ლამპას შეაორთქლა. ალი შეწუხდა, წელში გაიზნიქა, გაერიდა. გახურებულმა შუშამ კი, უცებ შეიშრო მისი ამონასუნთქი.

მერე ორივენი კარგახანს დუმდნენ. ანეტას სახე ლამპისთვის მიეფიცხებინა და სასიამოვნოდ გრძნობდა, როგორ ფეთქავდა მის თვალებშიც ბიისფერი და თბილი სინათლე. ალათია დაბნეული იჯდა, ბედისკვერი ტყუისო, რა თქმა უნდა, ანეტას დასამშვიდებლად თქვა, მოიტყუა, თორემ თავად ახლაც ისევე სწამდა მისი, როგორც გუშინ, ათი, ოცი, ოცდაათი წლის წინად, სწამდა ბრმად, ჯიუტად, შეურყევლად, როგორც ცრუმორწმუნე და უვიც ხალხსა სჩვევია. „რატომ მე არ მოვკვდები, რატომ ხელები არ გამიხმება“. — „თავს იწყევლიდა გუნებაში და გული ემდუღრებოდა ანეტას ბავშვურად სუსტი და ჯერ კიდევ უდარდელი სხეულის შემყურეს. ქალის გათხოვება, ქალის მამაკაცთან შეუღლება ალათიასთვის ყოველთვის შეუვალი საიდუმლოება იყო და ბედისკვერის გამოცხობის მეტი, სხვა არაფერი იცოდა ამ საიდუმლოებასთან დაკავშირებული როგორც ყველა შინაბერა, ბედგაუხსნელ ქალს, ეს უმნიშვნელო და ფუჭი ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი, ხელშეუხებელი და ამიტომაც სამარადისოდ შეურაცხყოფილი ქალწულობის დასამშვიდებლად, დასაშოშმინებლად ჭირდებოდა, თუმცა თვითონ ვერ ხვდებოდა ამდენს და ვერც უნდა მიმხვდარიყო, რადგან ამის მიხვედრა უფრო მტანჯველი და აუტანელი იქნებოდა, ვიდრე მარადიული სიქალწულე, რომელსაც, თავად შეგუებული, სხვებისათვის უბედურებად თვლიდა და იმავე უმნიშვნელო და ფუჭი ცოდნით ებრძოდა, მაგრამ ალათიას გამომცხვარმა მლაშე კვერმა ვერც ბაბუცა დააყენა სწორე გზაზე და ვერც ანეტა, ერთი მზეჭაბუკის მაგივრად ღვინის ვაჭარს გადაჰყარა, მეორეს კი, არც ღვინის ვაჭარი ღირსა და სიკვდილი დაასიზმრა საბედოდ. ჭოტის ხმა მოგზავნილი იყო ალბათ, იმის მოციქული. აფრთხილებდათ, გაემზადეთო, მაგრამ ანეტას ჭოტის ენა არ ესმოდა, ჯერ ბავშვი იყო, ალათია კი, იმის მაგივრად რომ ქვეყანა შეეძრა, როგორმე ეშველა ანეტასთვის, ძველ წინდებს კემსავდა, უარესად არ შევაშინო ბავშვიო. რისი ღირსი იყო ალათია? ჩაქოლვის, დაწვის, გავარვარებული მარწუხებით დაგლეჯვის... მაგრამ ნაკლებად არც ახლა იტანჯებოდა, განათებულ, მყუდრო ოთახში მჯდარი, კალთაზე წინდებდახვავებული, ოჯახური სიმშვიდის, ოჯახის მარადიულობის დამადასტურებელი თავისი გარეგნობითა და საქმიანობით. ასე იყო ყოველ საღამოს, მთელი გაზაფხული ასე წვალობდა გაურკვევლობის დაუნდობელ კლანჭებში მომწყვდეული ორი სხვადასხვა ასაკის ქალი. ერთი დაღამებამდე სარკმელთან იდგა ფეხმოუცვლელად და მოუთმენლად, არა მოთმინებით, იმედით, სიამაყითაც კი, ელოდებოდა, როდის განმეორდებოდა შორეული აფეთქების ხმა და როდის გადაატარებდა ქარი ურუქის თავზე მტვრისა და მიწის მოწითალო ღრუბელს. მეორეს, დღისითაც ჭოტის ხმა ედგა ყურებში და მუხლების კანკალით ელოდებოდა დაღამებას. ისინი ამ ორი ხმით და უკავშირდებოდნენ გარე სამყაროს, ამ ორ ხმაში ეტეოდა მთელი მათი წარმოდგენა გარე სამყაროზე, რადგან ერთ ხმას საგზაო ინჟინერი მოჰყვებოდა, მეორეს კი — სიკვდილი.

— ღორს რას ერჩოდნენ. — თქვა ერთ საღამოს ანეტამ.

აივნის კარი ღია იყო და მთელ სახლს ავსებდა შეფოთლილი, გალონიერებული ცაცხვების შრიალი. ალათიას მთელი ყურადღება ცაცხვებისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ჭოტის დაკივლებას ელოდებოდა და ვერ გაიგო ანეტას ნათქვამი.

— ღორს რას ერჩოდნენ-მეთქი. — დაუყვირა ანეტამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გაყვირებს, გოგო. რა ვიცი, რას ერჩოდნენ. პატარები იყვნენ, სულელები. — უნებურად ხმას აუწია ალათიამაც. — ბიჭები ყველანი ერთნაირები არიან, ძნელი გასაზრდელები. არც თავი ეცოდებათ და არც პატრონი. — გააგრძელა ცოტახნის მერე, უკვე ჩვეულებრივი ხმით.

— იდაყვზე რომ ვიკბინო, მართლა ვიქცევი ბიჭად? — ჰკითხა ანეტამ.

— არაფერსაც არ უნდა გიყვებოდე. სისულელეებითა გაქვს თავი გამოტენილი. — გაწყრა ალათია.

— გინდა, ვიკბინო? აი, თუ ვერა... — თქვა ანეტამ და მაგიდაზე დაყრდნობილ იდაყვს საკბენად მიეტანა. იდაყვი მაგიდაზე გაუცოცდა, დაძაბულობისგან კისერი ეტკინა და სანახევროდ გაშლილ მკლავზე ჩამოდო თავი, თითქოს უცებ ჩამოეძინა. ტუჩები ისევ მომუწული და გამობზეკილი ჰქონდა, გაბუტული ბავშვივით.

— ნუ წევხარ ეგრე, — დაუძახა ალათიამ. — ხერხემალი გაგიმრუდდება.

— გაიმრუდდეს. — თქვა თვალმილულმა ანეტამ.

— შენი თავი ამოჭამე, შენი თავი ამოჭამე. — შეჰყვირა ალათიამ, რადგან სწორედ იმ დროს გაისმა ჭოტის კივილი.

ანეტამ გაიცინა, მაგრამ არც თვალი გაუხელია და არც განძრეულა, ისევ ისე დარჩა, მაგიდაზე გადაწოლილი, მკლავზე თავმიდებული, მისივე არსებიდან ამომავალი ბურანის ტყვე, საკუთარი ხორცის სიგრილითა და სურნელით გაბრუებული.

— შენ გოგო ხარ, გენაცვალოს ალათია. შენს ძმებს რას ედრები? — თქვა ალათიამ და დაკემსილ წინდას კბილით ძაფი შეაწყვიტა. — მუთაქებს შემოგიწყობდი და იყავი შენთვის, იმათ კი არ გავდი, ყაჩაღებს. ცხონებული დედაშენიც ასეთი იყო.

— კი, როგორ არა! — თავი წამოწია ანეტამ. — შენ რა იცი, მე როგორი ვარ? ან იქნებ, მამაჩემივით, შენც სულელი გგონივარ? აი, ერთ დღეს გაგეღვიძება და აღარ დაგხვდები.

— უი, მომიკვდეს თავი. — ავიშვიშდა ალათია. — აღარ უნდა ჩავარდე ჭკუაში? სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს, ჯერ მე უნდა წამიყვანოს. მე აქ არა ვარ?

— ჭკუაში რომ ჩავვარდი, იმიტომ... — თქვა ანეტამ. ისევ მკლავზე მისდო თავი და დაამთქნარა. — არც მე მიყვარს მამაჩემი. — ამოაყოლა მთქნარებას. ნელა, ძლივსშესამჩნევად ამოძრავებდა იმ ხელის თითებს, რომელზედაც თავი ედო, თითქოს უჩინარ კატას ეფერებაო, კატას კი არა, ლამპის ბიისფერ სიმხურვალეს. — ცოლიც ეყოლება და შვილიც. ის ქალი ხომ შვილიანია? ალათია, ხომ ყავს იმ ქალს შვილი? — პასუხისთვის არ დაუცდია, რადგან ალათიას კი არ მიმართავდა, თავისთვის ფიქრობდა ხმამაღლა. „ნეტავი როგორია? უნდა ვაკოცო?“—გააგრძელა გუნებაში.

— მომიკვდეს თავი, მომიკვდეს თავი, — ისევ აიშვიშდა ალათია. — მამაზე ეგრე ლაპარაკი როგორ შეიძლება?! მამაშენიც ცოდოა, შვილო. ჯერ ახალგაზრდა კაცია და ბებერივით ცხოვრობს. რა მისი ბრალია, ასე რომ მოხდა? შენ მაგაზე ნუ დარდობ, მოგიკვდეს ალათია. ან რომელი გეტყვის, შენ ადექი, მე უნდა დავჯდეო. ეს ჯერ შენი სახლია და მერე იმათი.

— მე სახლს ავაფეთქებდი. — თქვა ანეტამ და თვალები გაახილა. ალათიას შეაცქერდა. — გესმის? სალორეს კი არა, სახლს... და გათავდებოდა ყველაფერი.

— აღარ დავწვეთ? — მოუყრუა ალათიამ. — ნავთსაც ტყუილუბრალოდ ვწვავ, ბინდი მიდგას თვალებში.

— მე სახლს ავაფეთქებდი. — ბრაზიანად, ჯიუტად გაიმეორა ანეტამ.

— ააფეთქებდი და ააფეთქე. ვინ

დაგიშალა? იმის მაგივრად, რომ... — მშვიდად დაიწყო ალათიამ, მაგრამ თავს ვეღარ მოერია, სიტყვა დამპალი ძაფივით ჩააწყდა პირში და მღელვარების დასაფარავად წინდებში დაიწყო ქექვა.

— ალათია, ალათია, მოიხედე აქეთ. — დაუძახა ანეტამ. — შენც ხომ გეშინია? თქვი, ხომ გეშინია?

— რისა, გოგო? — მართლა შეშინდა ალათია და წინდებში ჩაფლული ხელები გაუშეშდა, სმენად იქცა.

— ალათია, საბრალო ალათია. — თქვა ანეტამ. — ასკლიპიოდოტას შენ გაჩუქებ. შენთან არაფერი გაუჭირდება.

— რა გინდა, გოგო, ხომ არ უნდა გამაგიჟო? მოდი, ძაფი მაინც ამიგე. იმის მაგივრად რომ... — ისევ დაება ენა.

— რის მაგივრად? რის მაგივრად? — უყვირა ანეტამ და მუხლებზე წამოიმართა.

— ჩუმად. გვიანია. — შეევედრა ალათია და, თითქოს მტრისას იყვნენ შეპარულები, ჩურჩულით გააგრძელა. — იმის მაგივრად, რომ ბედს ეწიო. პატარა ხომ აღარა ხარ...

— ბე-ედს? — ცხვირი შეიჭმუხნა ანეტამ. — ბედს აქ რა უნდა? შენ ის მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე მამაჩემის ქორწილში. იმათაც უნდა ვაკოცო?

— ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა. — წამოდგა ალათია და წინდების გროვა ორივე ხელით ერთბაშად გადაიტანა ტახტზე, როგორც მკვდარი, ჭრელი ლეკვი. წელში მოხრილი იდგა ტახტთან, ხელები ისევ წინდის გროვაზე ეწყო. — ფუი, ეშმაკს. — გაიმეორა უმწეოდ და უსაზღვროდ გაგულისებულმა, სხვაზე კი არა საკუთარ თავზე. — რაღა იპოვის... ნემსიც წინდებს შევაყოლე შენს ლაპარაკში. — თქვა უკვე საკუთარი გაგულისების მისაჩქმალად, ანდა განსამარტავად, სხვასაც რომ გაეგო და ეპატიებინა.

— მე სახლს ავაფეთქებდი. გესმის? დედაბუდიანად! — იყვირა ანეტამ და პატარა მუშტი გამეტებით დაჰქონდა მაგიდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამპის შუშაში ალი შეკრთა და გატკაცუნდა. გარეთ ღამე იყო, ტყესავით დაბურული, იდუმალი, გულგრილი. სრულებითაც არ აინტერესებდა, რას ფიქრობდა და განიცდიდა ეს ორი ქალი, მწერივით მისეული ლამპის მბჟუტავ სინათლეს; არც ის ადარდებდა, ერთი კვირის მერე ახალი დიასახლისი რომ მოევლინებოდა ამ ოჯახს, თელაველი, სამგზის ნაქმარევი ქალი, რომელსაც თელაველები ტკბილ დუსას ეძახდნენ, არა მარტო იმიტომ, მესამე ქმრის სიკვდილის შემდეგ, ქმრის საქმიანობას რომ აგრძელებდა და ახლა თვითონ ვაჭრობდა ტკბილეულობით, არამედ იმიტომაც, თავგადასავლიანი ქალი რომ გახლდათ და ჯერ კიდევ შეეძლო მამაკაცის შეცდენა.

პეტრემ ტკბილი დუსა თელავში გაიცნო, გასულ შემოდგომაზე. მზიანი, მაგრამ ცივი დღე იდგა. პეტრეც ვერ გრძნობდა თავს კარგად, მთელს ტანში უსიამოდ ზრინავდა. ღვინის სარდაფში კი, უარესად გაცივდა, ორი საათი აყურყუტა მიკიტანმა სარდაფში, სანამ ფულს მოუტანდა. ორ საათში მთელ თელავს მოივლიდა კაცი, იმან კი, შინ მისვლასა და დაბრუნებას მოანდომა ორი საათი. ფულს ვერ შეელია და იმიტომ. სათითაოდ დაკოცნა, სათითაოდ გამოეთხოვა ალბათ გაქონილ თუმნიანებს. ან იქნებ იმასაც ფიქრობდა, პეტრეს მოწყინდება ლოდინი და წავაო, მაგრამ პეტრე, რაკი მოსული იყო, უფულოდ მაინც არ წავიდოდა აქედან, გინდაც ცივ სარდაფში კი არა, ყინულის ლოდზე დაესვათ შარვალჩახდილი.

— მე მგლოვიარე მგონიხარ, შენ თელავში დასეირნობ?! — უთხრა მიკიტანმა.

— რა მესეირნება, ადამიანო, დედა გამიგიჟდა. — პირში მიახალა პეტრემ.

— ვა?! — პირი დააღო მიკიტანმა.

— ჩემი ძმის სიკვდილი ვერ აიტანა.

— ზედმეტი შეკითხვებისგან თავი დაიზღვია პეტრემ.

„უნდა მივცე. მაინც წაიღებს" — გაიფიქრა მიკიტანმა და წავიდა. წავიდა და წავიდა. ორი საათი მიწის იატაკზე აბაკუნებდა პეტრე ფეხებს, გაუხედნავი კვიცივით.

— მოვა, კაცო, აქვე არა ცხოვრობს! — ამშვიდებდა მიკიტნის ბიჭი.

— იმიტომაც ვბრაზობ, აქვე რომ ცხოვრობს. ახლა მოუნდა ცოლთან ბღლარძუნი?! — გულზე სკდებოდა პეტრე.

— ვიიიჰიჰი, — გულიანად გაიცინა მიკიტნის ბიჭმა.

ის მიკიტანი, აგერ უკვე ათი წელი, პეტრესგან ყიდულობდა ღვინოს და ფულს ნაწილ-ნაწილ უხდიდა. ამაზე წინასწარვე იყვნენ შეთანხმებულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ანდა სწორედ ამის გამო, ერთმანეთში დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ და ყოველი მათი შეხვედრა უსიამოვნობით მთავრდებოდა, რაც ორივეს მაშინვე ავიწყდებოდა, როგორც კი ერთმანეთს მოშორდებოდნენ თვალიდან. თავისთავად, წინასწარი განზრახვის გარეშე ხდებოდა ასე, რადგან ერთს ფულის აღება აინტერესებდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მალე მიეღო თავისი, მეორეს კი, ფული უნდა გაეცა, იცოდა რომ უნდა გაეცა, მომზადებულიც იყო სამისოდ, მაგრამ მაინც უჭირდა მისი ხელშენავლები, მის ჯიბეში თავმოყრილი ფულის მოშორება და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე გაეწელა დრო, დაექუცმაცებინა გასაცემი თანხა, რათა იგი ნაკლებად შესამჩნევი და მტკივნეული ყოფილიყო მისი ჯიბისთვის. მაგრამ გულის სიღრმეში იმასაც გრძნობდნენ, ამგვარი ურთიერთობა ფულზეც საჭირო რომ იყო ორივესთვის. ამგვარი ურთიერთობა ორივეს წვრთნიდა, აკაჟებდა და ამზადებდა საერთოდ ცხოვრებასთან საბრძოლველად. იმ ძმებსა გავდნენ, ყვინჩილობის დრო რომ დადგომიათ და სახლის უკან გასულები, უფროსების თვალს მოფარებულნი, ერთმანეთს ცხვირპირს უსისხლიანებენ, მტრულად კი არა — ძმურად, ერთმანეთის გასაძლიერებლად, სხვა უბნის ბიჭებს თავი რომ არ დააჩაგვრინონ და ნამდვილი ჩხუბის დროს შემოკრული მუშტიც აიტანონ და ხურდის დაბრუნებაც მოახერხონ.

სარდაფიდან რომ ამოვიდა, ძაღლივით იყო აღრენილი, აღარც ფული უხაროდა და აღარც ქალაქში გავლა-გამოვლა. სიცივემ უფრო აიტანა. მზეს სრულებით აღარ ჰქონდა ძალა და ტყუილუბრალოდ ეკიდა ცაზე. ამანაც გააღიზიანა პეტრე, მზეზე გაბრაზდა. გულის ჯიბეში ერთბაშად გასქელებული საფულე ედო, რამდენსაც უნდოდა, იმდენს დახარჯავდა, ფულის დასახარჯი ადგილებიც ბევრი ეგულებოდა, მაგრამ ხალისი არ ჰქონდა, ხალისი კი არა, თავი; აქეთ-იქით დაუდიოდა ჰაერით გაბერილი ბუშტივით. აქეთ რომ მოდიოდა, ფიქრობდა: წავალ, გავივლი, ცოტას გულს გადავაყოლებო, მაგრამ ვერც აქ ამოიგდო თავიდან დედის გამძვინვარებული, სიძულვილით სავსე მზერა. გულის გადასაყოლებლად კი არ წამოვიდა, იმ მზერას გაერიდა, იმ მზერამ დააფრთხო და გათოშა ასე. დედამისის თვალებიდან ამოდიოდა სიცივე, რომელიც ახლა ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი. ახლა კი არა, ბავშვობიდან, იმ ღამიდან, როცა ნამძინარევს სცემა დედამ, უმიზეზოდ, უსამართლოდ, იმის გულისთვის, იმას რომ გახარებოდა. იმის გულისთვის შეიძულა თავიდანვე, რადგან ის პეტრემდე ყავდა, თანაც სხვისგან, პეტრეს მამისგან კი არა, სულ სხვა კაცისგან, ქმრისგან კი არა — საყვარლისგან, რომელიც პეტრეს მამამ გაუგდო, რადგან სულელი იყო და ის მოინდომა, რასაც მამაზეციერიც ვეღარ შესძლებდა: მდაბიოს გაკეთილშობილება, მეძავის გაქალწულება, ყორნის გათეთრება, რაც არასო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს მომხდარა, რისიც არავის ჯერა, ლოთი ზოსიმეს გარდა, პირიქით კი, ყოველ ნაბიჯზე ხდება. გაუმართლებელი, გადამეტებული სიკეთე ბოროტებას აღვივებს მხოლოდ და აკი ახლაც ასე მოხდა. პეტრეს დედამ არა მარტო ქმარი შეიძულა, არამედ მისი თესლიც, მთელი მისი საგვარეულო, რადგან ღირსი არ იყო ამ თესლისა, სარეველას იყო მიჩვეული, მოვლა-პატრონობა რომ არ ჭირდება, თავისით რომ ითესება, თავისით რომ ამოდის და თავისით რომ იზრდება. კეთილშობილმა თესლმა დაუწვა შიგანი, კი არ გააბედნიერა — დააკნინა, როგორც მათხოვრის ბინძური ხელი ბრილიანტის ბეჭედმა. პეტრეს დედა მთელი სიცოცხლე ამ შეუფერებელი და ამიტომაც დამღუპველი წყალობის მოშორებას ცდილობდა, მისგან უნდოდა განთავისუფლება და ყველაზე კარგად ამას პეტრე ხვდებოდა. მარტო პეტრე ხვდებოდა, ხოლო მამამისი მიწაზე დაშვებული შეცდომის გამართლებას ცაში დაეძებდა, ცაში კი არა, ზოსიმე მღვდლის გაზინთულ წიგნებში, სადაც უკვე მომხდარი ამბები ან სულაც გამოგონილი ზღაპრები აწყვია, როგორც მკვდრები კუბოებში. პეტრე კი თვალებში უყურებს ცხოვრებას, თვალებში უყურებს დედამისს და უფრო მეტსა ხედავს, ვიდრე წიგნებში წერია. მან იცის, რა საშიში და დაუნდობელია დედა, რომელმაც ცოდვით კი არ გაგაჩინა, არამედ შენამდე ჩადენილი ცოდვის შესანიღბად: შენს მისაღებად კი არ დაუწვა მამაშენს, არამედ იმის, პირველის, ცოდვის შვილის შეწყნარების უფლება რომ გამოეტყუებინა. შენი სახით მან ხელმეორედ ჩაისახა ის, რადგან მაშინაც იმაზე ფიქრობდა, იმის შესანარჩუნებლად, იმის გადასარჩენად ილვწოდა. შენ კი ქაღალდივით შემოგახვია იმას, სრულუფლებიანობისა და ხელშეუხებლობის დამადასტურებელი ქაღალდივით. ბოლოს ისე მოხდა, რომ მარტო ქაღალდიღა შერჩა ხელში, ხოლო ნამდვილი და ერთადერთი შვილი ძროხასავით დაუკლეს, იმან წაართვა ან იმის მსგავსმა, ვინც აჩუქა, და პეტრემ ისიც იცის, რა შეიძლება ჩაიდინოს, სადამდე შეიძლება მივიდეს კაცი, რომელსაც ძროხა მოუკლეს, ხოლო იმ ძროხის კუთვნილების ქაღალდი შუბლზე მიაწებეს. პეტრემ იცის, რას ფიქრობს დედამისი ღამღამობით, გიორგას სისხლითა და სახედრის შარდით აქოთებულ გომურში. ხომ დედაა? ხომ მაინც იმის გაჩენილია? მაგრამ თიანეთელი ყაჩაღების ხელში ჩავარდნა ურჩევნია, იმასთან ერთად იმ გომურში მარტო დარჩენას, გინდა ცუდი შვილი დაარქვან და გინდა ლაჩარი. ის, პეტრეს დედა სხვებისთვისაა, უცხო თვალისთვის, ვისაც ყურმოკრულად გაუგია, რომ ნამდვილად იმან გააჩინა პეტრე, მაგრამ იმან (ესეც მხოლოდ პეტრემ იცის) კი არ გააჩინა პეტრე, უბრალოდ მოიშორა, დაბადა, როგორც თირკმლის ანდა ნაღვლის ბუშტის ქვა. პეტრეს დედის ეშინოდა და არც ოჯახში ეგულებოდა ვინმე, ვინც დედისგან დაიფარავდა. მამამისი თავის თავზე ფიქრობდა მხოლოდ, სულ ფერდზე ედო ხელი, სულ ჩიოდა, სულ წუწუნებდა, ფეხმძიმე დედაკაცივით, და ფეხებზე ეკიდა ყველანი, ოღონდ თვითონ არ ასტკიებოდა რამე. იმიტომაც იყო კაჟივით, საჭმელს რომ თავი გავანებოთ, იმდენ ღვინოს სვამდა, ერთ დუქანს ეყოფოდა წლიდან-წლამდე, წისქვილს დაატრიალებდა. ვაჟიშვილებია და, თავსლაფი დაასხეს, თავი მოსჭრეს, ქვეყნის სალაპარაკო გახადეს. მაგრამ ახია პეტრეზე, ცოლს დაუჯერა, ქალის ჭკუას აჰყვა. ცხონებული, თვითონაც წიგნებისგან იყო გაშტერებული, ოჯახისა არაფერი გაეგებოდა, მარტო რომ დარჩენილიყო, კვერცხს ვერ შეიწვავდა, საოჯახო წიგნს კი, წარამარა გადმოიღებდა ხოლმე და იქით ასწავლიდა ალათიას, კერძისთვის მარილი რამდენი ექნა და ერბო რამდენი. ის კი არა, ლოგინშიაც კითხულობდა. იმდენი სიცოცხლე პეტრეს, რამდენჯერ ჩასძინებია უარაფროთ, სანამ ის წიგნს დახუ-

რავდა და სანთელს შეუბერავდა. პეტრეც სულელი იყო და იმიტომ, თითქოს რაღაი წიგნი ეჭირა ხელში, ის აღარ გაებედებოდა, ტეტიობად და მკრეხელობად ჩაეთვლებოდა პეტრეს, ცოლისთვის მოვალეობა რომ შეეხსენებინა, რისი აღსრულებაც უფრო შეეფერებოდა ღამღამობით, ვიდრე სხვათა სისულელეებზე ოხვრა და ტირილი. გინდა თუ არა, ნასწავლები უნდა იყვნენ ჩემი შვილებიო და ა, ბატონო, საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ნასწავლმა შვილებმა. იმათ ამბავს ვინც შეიტყობს, სტრაჟნიკიდან ხელმწიფემდე, არ იტყვის, თქვენი დედაო? ხოდა, ამბობენ კიდეც. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. უსწავლელია ქვეყანა, მაგრამ ფეხზე დგას აქამდე. უსწავლელ კაცს, შეიძლება, ერთი-ორი კაპიკი მოატყუო, მაგრამ ყუმბარას ვერ ასროლინებ. ბიჭები ეშმაკებისკენ, მაგრამ გოგომაც რომ არ ივარგა?! გოგოც არ გამოადგა პეტრეს, ერთს არ იკითხავს, რა უჭირს, რა გაუხარდება მამაჩემსაო. აღარც ისეთი პატარაა, თაროზე კოვზი რომ ვერ იპოვოს და იმდენი ამაგი კი მიუძღვის პეტრეს, სტუმარივით რომ არ იჯდეს შინ. ბევრი მაგხნის გოგო გათხოვილიცაა, ოჯახებს უძღვებიან, ეს კი ისევ ალათიას შეჰყურებს ხელებში და თოჯინას ათამაშებს, იმის მაგივრად, რომ მამას ამოუდგეს მხარში, უცოლობა არ აგრძნობინოს, არავის ათქმევინოს, ეგრე მოუვლელს როგორ უშვებს მამას ქუჩაშიო. ტყუილად ამბობენ, გოგო მამისააო. მამა არც ვაჟს უნდა და არც გოგოს. არა, როგორ არა, ვაჟსაც უნდა და გოგოსაც, მაგრამ იქამდე, სანამ მამა ჭირდებათ და სანამ მამას არ ჭირდება ისინი. პეტრე მარტო იყო და რაც ყველაზე უფრო უკლავდა გულს — ზედმეტიც. დედამისმა კი უთხრა: ახლა პირველიცა ხარ და ერთადერთიცო, მაგრამ არც მის პირველობას ჰქონდა ფასი და არც მის ერთადერთობას, თუკი მისი არსებობა აუცილებელი არ იყო ვიღაცისთვის მაინც. ასეთს კი, ვერავის ხედავდა გარშემო. ასეთი ბაბუცა იყო მხოლოდ, რადგან პეტრეს არსებობა ანიჭებდა ამ ოჯახში მეუღლისა და დიასახლისის სახელს. ამას თვითონაც გრძნობდა და, უნდოდა თუ არა, თავს ვალდებულად თვლიდა გაეზარდა და დაეცვა მეუღლის ღირსება. „მამამ ასე ბრძანა... მამას არ მოწონს თქვენი საქციელი... მამისთვის ილოცეთო" — ეუბნებოდა იგი შვილებს და, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ყვარებია ქმარი მხურვალედ და ვნებიანად, პეტრე მაინც მადლობელი იყო მისი, როგორც მეპატრონე მოურავისა, რომელიც კარგად უძღვება საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას და რომელიც სრულებითაც არ არის ვალდებული, სამუშაოს დამთავრების შემდეგაც სიყვარულს ეფიცებოდეს მეპატრონეს. სხვათა შორის, სანამ ბაბუცა ცოცხალი იყო, პეტრესაც მეტი გავლენა ჰქონდა ოჯახში. არა მარტო შვილები, არამედ მშობლებიც უფრო პატივს სცემდნენ, ან პეტრეს უნახავდნენ ნამუსს, ან ბაბუცას თავმოყვარეობას უფრთხილდებოდნენ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, პეტრე პეტრობდა, კაცად თვლიდნენ და თავიც მოჰქონდა, ხოლო ცოლი რომ მოუკვდა და შვილები აქეთ-იქით გაეფანტა, ისევ პეტრიკელად იქცა. ბაბუცას სიკვდილის მერე ერთი სიტყვაც აღარ მოუწერია ნიკოს, თითქოს დედის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა ამ სახლთან, თითქოს მამა არაფერი არ იყო, არაფერს არ ნიშნავდა, არაფრით განსხვავდებოდა ბუღისაგან, რომელიც მხოლოდ ძროხის დასამაკებლად ჭირდებათ. არც ალექსანდრესთვის ნიშნავდა მეტს. რაც იმ კოჭლ ინდაურს გადაეყარა, ერთბაშად წაიშალა მათი მამაშვილობაც, კი არ გამოეყო მამას, რისი უფლებაც ჰქონდა, გაექცა, გაერიდა, როგორც ავაზაკი კანონს. არც გოგო ჩამორჩა თავის დამთხვეულ ძმებს და პეტრეს ანგელოზი რომ ეგონა, პატრონად და დამტირებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად რომ თვლიდა, ამასწინებზე ისეთი რამე უთხრა, ძლივს შეიკავა პეტრემ თავი, ყურები რომ არ აახია, წიწილივით რომ არ წააგლიჯა კისერი. ბიჭებსაც შეეშინდა, თორემ ასწავლიდა, როგორ უნდა მამასთან ლაპარაკი. ბიჭები ახლა ამაზე აუბამდნენ შარს, ჩვენ რომ შინ არ ვიყავით, და როგორ გაგვილახეთ. შეიძლება სულაც იმ ალექსანდრეს გაქეზებულიც იყო, შენ ასე უთხარი და დანარჩენი მე ვიციო. „ბებოს თუ არ მოარჩენ, თავს მოვიკლავო“ — უთხრა ანეტამ.

— მოიკლავ? რათა? მე მოგკლავ. ჩემი ხელით დაგხოცავთ ყველას! — უყვირა პეტრემ.

იმ დღის მერე აღარც ანეტასთვის არსებობდა იგი. ათასჯერ რომ ასულიყო და ჩამოსულიყო კიბეზე, ერთს არ შეხედავდა ანეტა, ერთი არ შეეცვლებოდა სახე, იჯდა საფეხურზე თავისი თოჯინიანად და დიდი ქალივით მოღუშული, ცხვირშეჭმუხნილი შესცქეროდა, როგორ დაჩოჩავდა ბებიამისი გომურის გარშემო. ვინ იცის, ელოდებოდა კიდეც, როდის გამოჭრიდა ყელს ბებიამისი მამამისს. არა, პეტრეს თუ გადარჩენა უნდოდა, გარეთ უნდა ეძებნა ამხანაგი, გარედან უნდა შემოეყვანა გამგები და დამფასებელი და ეგზეკუციასავით ჩაეყენებინა საკუთარ ოჯახში, თავისსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის. ასეთი კი, მხოლოდ ცოლი შეიძლებოდა ყოფილიყო, უცხო ქალი, რომელიც პეტრეს მადლობელი იქნებოდა, რადგან მხოლოდ პეტრეს მეშვეობით მოიპოვებდა ამ ოჯახში შემოსვლის უფლებას და, პეტრეს გარდა, ყველანი ფეხებზე ეკიდებოდა, რაკი ქმარი წააქეზებდა და ხელსაც შეუწყობდა სხვების წინააღმდეგ. თუ გინდა, რომ დედამაც პატივი გცეს და ცოლმაც, ერთმანეთს უნდა მიუქსიო ისინი. ქალს, დედა იქნება თუ ცოლი, უსიძულვილოდ გაძლება არ შეუძლია. ამიტომ, კაბასთან, თავსაფართან და ფლოსტებთან ერთად სიძულვილის საშუალებაც უნდა მისცე, უნდა მიუგდო, როგორც ძაღლს ძვალი, შენვე რომ არ გიკბინოს. დედა პირველ რიგ[illegible] შეიძულებს, თუკი შვილმა რძალი არ მოუყვანა, ხოლო ცოლი — ქმარს, თუკი ქმარმა დედამთილიც არ დაახვედრა ოჯახში. ასეთია ქალის ბუნება. ასე რომ, პეტრე უფრო ადრე ფიქრობდა ცოლის შერთვას, ვიდრე ტკბილ დუხას გადაეყრებოდა თელავში, შემოდგომის ცივსა და ქარიან დღეს. პეტრე იმ დღეს ავად იყო და ჯერ არ იცოდა, ანდა თავს არ უტყდებოდა, რადგან ყველაფერზე ძალიან ავად გახდომისა ეშინოდა. სად ეცალა ავადმყოფობისთვის, ოჯახი თავზე ენგრეოდა. ბაბუცას სიკვდილს გიორგას სიკვდილი მოჰყვა, გიორგას სიკვდილს — ანას სიგიჟე თუ თავის მოგიჟიანება, და მთელი ურუქი ფეხმოუცვლელად იდგა მაკაბელების რკინის ალაყაფთან, თავი რომ შეექცია მუქთა სანახაობით. ნიკო ციმბირში ლპებოდა, ალექსანდრე გარე-გარე უვლიდა მშობლიურ სახლს, როგორც მგელი ფარეხს, და თუკი ვინმე ურუქელს გადაეყრებოდა, ყველას ერთსა და იმავეს აბარებდა: ჩემი გეშინოდეთ, რამეთუ სხვას ფეხებზე კიდია ჩვენი სიგლახეო. ქაიხოსროს აღარ შეეძლო ან აღარ უნდოდა ოჯახის გაძღოლა, დაისვამდა ზოსიმე მღვდელს და ისეთი ხმით წრუპავდნენ ჭიქებს, გეგონებოდათ მწევრებსა და მიმინოებს წვრთნიანო. სწორედაც რომ დრო იყო, დაემტკიცებინა პეტრეს თავისი პირველობაცა და ერთადერთობაც. ეს ოჯახი პეტრეს ეკუთვნოდა და თუ მართლა დაინგრეოდა, პირველ რიგში პეტრესთვის დაინგრეოდა. პეტრე კი, არავის არ მისცემდა ამის ნებას, არც დედას და არც შვილს, რადგან სწორედ დედასა და შვილს ესიკვდილებოდა მისი პირველობისა და ერთადერთობის აღიარება. სად ეცალა ავად გასახდომად, როდის ავადმყოფობა იყო, როცა ირგვლივ დაუნდობელი ომი მძვინვარებდა, ხალხი იხოცებოდა, გიჟდებოდა, რათა პეტრე არ დაესვა თავზე, არ დამორჩილებოდა პეტრეს. ხოლო პეტრე თუ

ავად გახდებოდა, იძულებული შეიქნებოდა, ზავი ეთხოვა, ანდა ტყვედ ჩაბარებოდა მოწინააღმდეგეს, რადგან იმის გარდა, სხვა მაინც არავინ მიხედავდა, გინდაც ქუჩაში ამოხდომოდა სული. ასე ფიქრობდა ღვინის სარდაფიდან ამოსული პეტრე და იმის მაგივრად, რომ ბაზრისკენ ჩაეხვია, პირველსავე ეტლში ჩამჯდარიყო და შინისკენ მოეკურცხლა, უაზროდ დახეტიალობდა ქუჩებში, ბედს მინდობილი თუ ბედისწერას აყოლილი, თუმცა თვითონ ვერც ამჩნევდა და ვერც გრძნობდა ქალაქს, რომელსაც ხელისგულივით იცნობდა და სადაც თვალდახუჭულსაც არ გაუჭირდებოდა გზის გაგნება. ძვლები უზრინავდა, თვალები ტკიოდა, თავზე თითქოს რკინის გახურებული სალტე ჰქონდა ჩამოცმული და თვითონაც არ გაუკვირდებოდა, ერთი რომ დაეჭექა და კვერცხივით გასკდომოდა უცებ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფული აწუხებდა. მიკიტნისაგან აღებული ფული მდოგვის საფენივით უთუთქავდა გულს. „რად მინდოდა ამდენი ფული ჯიბეშიო“ — ფიქრობდა ცხარედ, ბრაზიანად. მართლა რომ წაქცეულიყო ქუჩაში, ბუზივით მიეხვეოდა მთელი ქალაქი, მაგრამ მისაშველებლად კი არა, გასაძარცვავად. ერთი პირობა, ისევ სარდაფში ჩაბრუნება დააპირა, მაგრამ აღარ ახსოვდა, სად იყო ის სარდაფი, ან იყო თუ არა საერთოდ. ისეთი ვინ იქნებოდა ამ ქალაქში, ერთხელ მაინც რომ არ ყოლოდა პეტრეს ნანახი, მაგრამ ახლა ვერც ნაცნობს ამჩნევდა და ვერც უცნობს. ბუნდოვანი, ერთმანეთში არეული, მზემიშუქებული ჩრდილების მეტს, ვერაფერს ხედავდა, თითქოს უკაცურსა და უსასრულო ხევანში მიდიოდა, არკი იცოდა, რატომ, ან რამდენხანს უნდა ევლო ასე, სანამ ხალხით დასახლებულ ადგილს მიაღწევდა, სადაც ფული გადიოდა, პურიც იყიდებოდა და სითბოც. კი არ მიდიოდა, შიში მიერეკებოდა და ისიც ბრმად მიყვებოდა შიშს, უმწეო და აღრენილი, საცოდავი და ამაზრზენი, როგორც ჩიხში მიმწყვდეული ნადირი. „ფული ხომ არ მომიწამლა, იმ ძაღლის გაგდებულმაო“ — ფიქრობდა და მიდიოდა. პირი მწარე ჰქონდა, გამშრალ ტუჩებზე წარამარა ისვამდა ენას, ნარბენივით ქშინავდა, თუმცა თელაველებს, ალბათ, უდარდელად მოსეირნე ეგონათ: ბეწვის საყელოიან პალტოში ჩათბუნებული, კრაველის ქუდში შეყუჟული, გაძიძგული საფულით უბეგამობერილი. „თავადიშვილს ვახლავართო“ — ეძახდნენ აქეთ-იქიდან ნოქრები და დალაქები, სასტუმროსა და დუქნის ბიჭები, მაგრამ მას არაფერი ესმოდა, გარდა გაუთავებელი, გამაოგნებელი ბზუილისა, რომელსაც ვერსად გაექცეოდა, ვერც მოიშორებდა, თუკი თავს არ მოიჭრიდა, რადგან მისი თავი ბზუოდა ასე, შებოლებული სკასავით. ერთი იცოდა, ერთი ახსოვდა მხოლოდ, არაფრისდიდებით არ უნდა დანებებოდა ავადმყოფობას და ბრმად, ჯიუტად, თავგანწირულად მიაბიჯებდა ბედნიერი შემთხვევისაკენ, რადგან იმასაც გრძნობდა, ტანი უგრძნობდა, ბედნიერი შემთხვევა რომ გადაარჩენდა, მხოლოდ და მხოლოდ. მიდიოდა, მიდიოდა, მიდიოდა, თითქოს ავადმყოფობა უკვე ძვალრბილში კი არ ჰქონდა გამჯდარი, უკან მოსდევდა, ფეხდაფეხ, და ერთი წამითაც რომ შეჩერებულიყო, თუნდაც საათზე დასახედათ, აღარაფერი უშველიდა. და აი, ბედნიერმა შემთხვევამაც არ დააყოვნა. ორ ნაბიჯზე, ორ ნაბიჯზე კი არა, ლამის ცხვირწინ, ქალის მომღიმარი სახე ამოიზარდა მოულოდნელად, მზემიშუქებული წყვდიადიდან, როგორც ზღვიდან ხმელეთი, სანატრელი, საიმედო, მყარი, თავბრუდამხვევად მშვენიერი. პეტრემ მისი დამამშვიდებელი სითბოც იგრძნო სახეზე, სიცოცხლის მომნიჭებელი ამონასუნთქი იგრძნო უცხო ქალისა, მარადიული, მშობლიური, ჯანმრთელი და მიმზიდველი, მაგრამ სინამდვილეში

ქალი ჯერ კიდევ შორს იყო პეტრესგან და მაშინვე წამს შავ ლაქად იქცა, შავ წერტილად, სადღაც, ქუჩის ბოლოში, თითქოს პეტრეს გამადიდებელი მხრიდან ჰქონდა ჭოგრიტი თვალზე მიდებული და უცებ ვიღაცამ შეუტრიალა. სინამდვილეში, სურვილმა გაასწრო თვალს, იმედმა უფრო ადრე წარმოიდგინა ქალი, ვიდრე თვალი მისწვდებოდა და აღიქვამდა. ქალი არ მოჩვენებია პეტრეს, ის მართლა არსებობდა, ქუჩის ბოლოში იდგა თავისი სახლის წინ, თავის შვილთან ერთად, შავად შეღებილ მუყაოს ყუთზე ტკბილეულობა გაეშალა (ჩხირზე წამოცმული გასალოკი მამლები, ფოჩვიანი კამფეტები, თაფლში ამოვლებული თხილი, ნუგა თუ შაქარყინული) და მსუქან მხრებზე შალმოხვეული მუშტარს ელოდებოდა. არა, მუშტარს კი არ ელოდებოდა, იფიქრა, გავალ, თვალს წყალს დავალევინებ, სუფთა ჰაერს მაინც ჩავყლაპავო და, ყოველშემთხვევისთვის, ტკბილეულობაც გამოაყოლა ხელს, თორემ მუშტარს არ გაუჭირდებოდა მისი მონახვა, ყველა თელაველმა იცოდა მისი სახლის გზა და პირის ჩატკბარუნება თუ მოუნდებოდა, დარაბაზე მოუკაკუნებდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო. ქმრისგან იცოდა, მუშტრის გაწბილება მუშტრის დაკარგვას რომ ნიშნავდა, და ღმერთი და მუშტარი ერთდროულად რომ მოსდგომოდა კარზე, ჯერ მუშტარს მოემსახურებოდა და მერე ღმერთს კითხავდა, თქვენ რაღა გნებავთ, რას მივაწეროთ თქვენი მობრძანებაო. გამომწვევად კითხავდა, ღვარძლიანად, როგორც ძლიერი ნებისა და ბედის უკმაყოფილო ქალებს სჩვევიათ. კარს არ მიუხურავდა, მაგრამ არც სკამს შესთავაზებდა, გაუგულისდებოდა, როგორც არაფრისმაქნის ქმარს — ცოლი, ანდა როგორც ოჯახზე გულაცრუებულ მამას — ქალიშვილი. ჰქონდა კიდეც გაგულისების უფლება, რადგან ღმერთის გარდა ვერავის დააბრალებდა თავის უბედურებას. სამჯერ შეაკოწიწა ოჯახი და სამჯერვე დაურღვია ღმერთმა, სამი ვაჟკაცი ჩაადებინა მიწაში, ერთმანეთზე [illegible]სი, თითქოს ერთმანეთს გაჯიბრებულნი ცოლის სიყვარულსა და პატივისცემაში. ხანამ კანონიერი ქმრები ყავდა, საშო დაუხშო, შვილი არ აღირსა, და მაშინ გაუხსნა, როცა თვითონაც აღარ ელოდებოდა, აღარაფრათ ჭირდებოდა, გარდა იმისა, რომ უტვინო ბავშვი გაეჩინა და ისიც ვერ გაერკვია, ვისგან ყავდა ივი. (თელაველებს ბანკის მოლარეზე ჰქონდათ ეჭვი. ბანკის მოლარეს ბნედა სჭირდა და ალბათ იმიტომ, დილიდან საღამომდე რკინის სალაროში იყო გამოკეტილი და ფულსა თვლიდა. ამბობდნენ, ფულების თვლამ დამართა ბნედაო). ისიც ღმერთის წყალობა იყო, ამ შავ ყუთს კუბოსავით რომ დაახრიგინებდა აღმა-დაღმა, სწორედ რომ კუბოსავით, რომელშიაც მისი გაწბილებული და დაკნინებული ქალობა ესვენა, ქვეყნის დასანახად, მტრის გულის გასახარად, კამფეტწაყრილი, გატკბილული, გაწებილი, ტკბილად აყროლებული და ბუზებდასეული. თავადაც ნიადაგ გაწებილი ჰქონდა ხელები, მარილს ვერ მოიყრიდა კერძზე, წიგნს ვერ გადაფურცლავდა, ფულს ვერ დათვლიდა, სათითაოდ თუ არ დაჭმუჭნიდა, კოჭის თამაშში მოგებულივით. გაგულისდებოდა კი არა, თვითონ იცოდა, რასაც უზამდა, მართლა რომ გაებედა ღმერთს მის დარაბაზე მოკაკუნება.

ქალმაც დაინახა პეტრე და თუმცა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, აელაგებინა ხორცის საკეპი ფიცრისხელა დახლი, მაინც შეიცადა, მომლიმარი დაელოდა ბატონივით დინჯად მომავალ კაცს, კრაველის ქუდსა და ბეწვის საყელოიან პალტოში გამოწყობილს, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, სწორედ მასთან მოდიოდა, ვიღაცამ მოასწავლა ალბათ მისი სახლი და ისიც წამოვიდა. არ დაიზარა, რადგან რაკი თელავზე მოუწია გამოვლა, შვილებთან და შვილიშვილებთან ისე არ ჩასულიყო, თელავური ტკბილეულობა არ ჩაეტანა.

— ბედი გქონიათ. წასვლას ვაპირებდი. — გაეკეკლუცა ქალი.

— ბედი? — შეკრთა პეტრე. — ბედი მქონია? — წყალწაღებულივით ჩაებღაუჭა ამ სანატრელ სიტყვას.

— აირჩიეთ. ყველაფერი ახალია. — უთხრა ქალმა და ამობრუნებული ხელის მტევანი დახლზე მოატარა.

პეტრემ უნებურად დახლს დახედა, მაგრამ ტკბილეულობა კი არ დაინახა, არამედ მუყაოს ყუთზე მხრებით მიყუდებული ბავშვი, უფრო სწორედ, ბავშვის გასისხლიანებული პირი, თუმცა მაშინვე მიხვდა, სისხლი კი არა, დორბლი რომ ჩამოსდიოდა ბავშვს პირზე, წითელი, ქაფიანი დორბლი. წითელს ჭამდა რაღაცას და მჯიღიც იმის წვენში ჰქონდა ამოთითხნილი. პეტრეს ბავშვი შეეზიზღა და ფრთხილად, ისე რომ ქალს არ შეემჩნია, თვალი აარიდა.

— რა დიდი ბავშვია. — თქვა პეტრემ, თითქოს ისიც გასაყიდათ ყავდა გამოყვანილი ქალს.

— რაღა ბავშვია, თოთხმეტისაა. — მკერდში გაიცინა ქალმა. — უტვინო დაიბადა და იმიტომაა ასეთი.

პეტრე დააინტერესა ქალის ნათქვამმა და ისევ შეხედა ბავშვს. ბავშვი რაღაცას წუწნიდა გამალებული, მთელი სახე ემანჭებოდა, თითქოს იხრჩობა და სული ვერ მოუთქვამსო. ტანად მართლაც მსხვილი იყო, მაგრამ ოთხ წელზე მეტს მაინც ვერ მისცემდით. პეტრეს ეგონა, ქალი მეხუმრებაო და გაიღიმა, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა, რა სჯობდა ქალისთვის, ბავშვი ოთხისა რომ ყოფილიყო თუ თოთხმეტისა. უცებ, ალბათ უნებლიე ზიზღის დასაძლევად, ლოყაზე ხელის მოცაცუნება დაუპირა, მაგრამ ბავშვი გაიწია, გაერიდა, წონასწორობრა დაკარგა თუ რა იყო, მუყაოს ყუთზე მხრებით დაცურდა, ცუდად მიყუდებული ფიცარივით, და დაეცა. პირიდან გალოკილი, გალეული კამფეტი გამოუვარდა და მიწაში ამოეგანგლა. დედას ამოხედა შეწუხებული, მავედრებელი თვალებით. მწიფე ლეღვივით დაბჩენოდა დორბლიანი პირი.

— ადე, ადე, შე სასიკვდილე. — დაუძახა ქალმა და გაიცინა. — ნუ მიეხმარებით, თვითონ ადგება. — უთხრა პეტრეს.

მაგრამ პეტრეს არც დაუპირებია ბავშვის მიშველება, გაოგნებული იდგა. „ქმარი რომ მოუკვდება ქალს, თვითონაც თავი უნდა მოიკლას, თვითონაც უნდა ჩაჰყვეს ქმარს საფლავში — ჩაესმა ქალის ხმა და მიხვდა, რომ უკვე დიდიხანია უსმენდა ამ ხმას. — ერთი წუთით რომ დაინახონ ჩემმა ქმრებმა, როგორ ვყიდი ქუჩაში კამფეტს, ხელმეორედ დაიხოცებიან, ალბათ. დაუუთოვებელ ლოგინში როგორ ჩამაწვენდნენ... წყალს არ მომაწოდებინებდნენ, შენ არა, შენ იჯექი, შენ არ შეწუხდეო. ყველა ქალი მე შემომნატროდა, რა თაფლი უსვია ამისთანა, ბუზებივით რომ ეხვევიან კაცებიო. ახლა ბუზები მეხვევიან კაცებივით და მედროვის ცოლი რომ მედროვის ცოლია, ისიც ჩემზე მეტია, რადგან მედროვეა თუ რაც არი, ქმარია, პატრონი, შემცოდვებელი“. — ქალი ჩქარა ლაპარაკობდა, თითქოს უნდა მოესწროო, სანამ პეტრე გამოერკვეოდა და გზას გააგრძელებდა. ბოხი, ჟღრიალა ხმა ჰქონდა, თითქოს ყელი გასციებია, ანდა რაღაც გასჩხერია ყელშიო, და პეტრე მოუთმენლად ელოდებოდა, როდის ჩაახველებდა, როდის ჩაიწმენდდა ყელს. ბავშვი წამომდგარიყო და ისევ მუყაოს ყუთს მიჰყვებოდა, თითქოს ცოცხალი აბრააო. ქალი კი, ლაპარაკობდა, ლაპარაკობდა, გაუთავებლად, და თუმცა პეტრეს წესიერად ვერც გამოქონდა აზრი მისი ნალაპარაკევიდან, რატომღაც სიამოვნებდა ამ ბოხი და ჟღრიალა ხმის ტყვეობაში ყოფნა, როგორც ბავშვს სიამოვნებს უფროს მამა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცებში გარევა, რომლებიც ბავშვის თანდასწრებით ისეთ რამეებს ყვებიან, რისი გაკეთებაც ჯერჯერობით ბავშვს არ შეუძლია, მაგრამ ძალაუნებურად უკვე ფიქრობს იმაზე და ბუნებრივად უჩნდება სურვილი, თვითონაც ჩაერიოს ლაპარაკში, დასძლიოს სიმორცხვისა და მორიდების გრძნობა, გადააბიჯოს საკუთარ უასაკობასა და უუნარობას, იმ წუთამდე განუცდელი ალტკინებითა და სინდისის მქენჯნელი სითამამით. „თუ გინდა რომ ქალი შეაფასო, კაცები უნდა ამოუყენო აქეთ-იქიდან. ჩარჩოში უნდა ჩასვა“. — ამბობდა ქალის ბოხი, ჟღრიალა ხმა.

— ავადა ვარ. — თქვა უცებ პეტრემ.

ქალი გაჩუმდა და პეტრეს მიაჩერდა. ისეთი სახე დაედო, თითქოს პეტრე ეს წუთია მიწიდან ამოზრდილიყო უცებ. პეტრეს წყალივით ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი და გადმოცვენაზე ჰქონდა სიცხისაგან ალაპლაპებული, აწრიალებული თვალები.

პეტრემ სამი დღე იავადმყოფა, სამი დღე არც პირის გემო ჰქონდა, არც ყნოსვა და არც მხედველობა. ჭრელ ბურანში იწვა, ჩახუთული, შეწუხებული, დათრგუნვილი. სამი დღის მერე ძმრისა და სპირტის სუნი ეცა ცხვირში, დანასავით შეიჭრა ძმრისა და სპირტის სიცხარე მის გათანგულ არსებაში, ოღონდ მკურნალის დანასავით, და შვება აგრძნობინა, გაუხსნა ბლანტი, გულისამრევად გატკბილული პაერით ამოქოლილი ნესტოები, ყელი, ფილტვები, გაუბედავად, მაგრამ მაინც გაასწვართვინა დაბუჟული, სისუსტისგან ლონემიხდილი სხეული და სასიამოვნოდ აგრძნობინა, როგორ შემოიჭრა ოფლიან ლოგინში ჯანსაღი, ბუნებრივი სიცივე. სამი დღის მერე პეტრეს თვალიც აეხილა და ისევ ის ქალი და ბავშვი დაინახა. ქალი ჭრელსა და სიფრიფანა ქაღალდის ნაკუწებში კამფეტებს ახვევდა. ბავშვი ტახტზე იჯდა, მოპირდაპირე კედელთან, და იღლიაში ამოდებულ დოლზე უკრავდა, კი არ უკრავდა, თითქოს სცემდა დოლს, [illegible]ლად, უხალისოთ, ძალიან რომ არ სტკენოდა, მაგრამ არც გაჩუმებულიყო. თვითონ მთელი გულისყური დედისკენ ჰქონდა, დაძაბული ადევნებდა თვალს დედის საქმიანობას და მარტო ხელები შეეტოვებინა დოლისთვის. როგორც კი დოლი დაინახა, პეტრეს გონებაც გაეხსნა, დაეწმინდა, დაულაგდა. ერთფეროვანი გუგუნი, რომლითაც თავი ჰქონდა გამოტენილი, მაშინვე დოლში გადასახლდა და ახლა იქიდან აღწევდა პეტრემდე. ახლა ეს ხმა, აღარც საშიში იყო და აღარც აუტანელი, რადგან პეტრე საკუთარი თვალებით ხედავდა, სად და როგორ იბადებოდა იგი. პირველი, რაც თვალის გახელისთანავე იგრძნო პეტრემ, ბედნიერება იყო და ეს გრძნობაც თითქოს ავადმყოფობიდან გამოყვა, თითქოს ავადმყოფობამ დაუტოვა, რადგან აქამდე მსგავსიც არაფერი განეცადა.

— შენ მოუკვდი, შვილო, დედაშენს. — თქვა ქალმა მშვიდად. შვილისკენ არც გაუხედავს.

სველ ჩვარზე, იქვე რომ ედო მაგიდაზე, თითები შეიწმინდა და თავისი საქმე გააგრძელა.

— დღეს რა დღეა? — იკითხა პეტრემ მღელვარებისგან ათრთოლებული ხმით.

— ოთხშაბათი. — ისევე მშვიდად უპასუხა ქალმა, თითქოს წინასწარ იცოდა, მაინცდამაინც ამ წუთას რომ მოვიდოდა პეტრე გონზე, მაინცდამაინც ამას რომ იკითხავდა და მომზადებული ელოდებოდა. — მალარიაჩი შენზეა. — დაამატა ცოტახნის მერე.

— ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი. — ხმამაღლა დათვალა პეტრემ. თან საბნის ქვეშ მარჯვენა ხელის თითებს ღუნავდა რიგრიგობით. საჩვენებელი და ცერა თითი გაშლილი დარჩა.

— კვირა? — შემობრუნდა ქალი პეტრესკენ. — კვირას რატომ არ ანგარიშობ? კვირას არ მობრძანდი?

— ჯანდაბას. — თქვა პეტრემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ ჯანდაბას?! — დოინ-ჯი შემოიდგა ქალმა.

ქალის ძლიერმა ამონასუნთქმა პურ-ლი ქაღალდის ნაკუწები აატორიალა მა-გიდაზე, როგორც უკრუხოდ დარჩენი-ლი წიწილები. დოლმაც ხმა ჩაიწყვიტა.

— ჯანდაბას ჩემი თავი. — თქვა პეტრემ. — რა იყო, რა დამეტაკა?!

— მშიშრები ხართ კაცები. — გაი-ცინა ქალმა.

— აი, ვერც კი მითქვამს, როგორი მადლობელი ვარ თქვენი. — თქვა პეტ-რემ, თუმცა ახლა სულ არ აპირებდა ამის თქმას, ჯერ კიდევ მზად არ იყო მადლობის სათქმელად. ქალის სიცილ-მა აჩქარა. მართალია, მთელი მისი არსება მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული ამ ბოხხმიანი ქალის მი-მართ, მაგრამ ჯერ ჭირვეულობდა, ჭირ-ვეულობით ცდილობდა, გაეზვიადე-ბინა საკუთარ თვალში ამ სრულიად უცნობი ქალის დამსახურება, რომელ-მაც არა მარტო დაინდო, არამედ უპატ-რონა კიდეც, როცა თავისუფლად შეე-ძლო, დაეკლა, დაეკუწა და ნაწილ-ნა-წილ ჩაეყარა ფეხსადგილის ორმოში. ვერც ვერავის გააკვირვებდა და ვერც ვერავინ გაამტყუნებდა, ასე რომ მოქ-ცეულიყო. კრაველის ქუდსა და ბეწვის საყელოიან პალტოს თავი რომ გავანე-ბოთ (პეტრეს პალტოცა და ქუდიც განჯინის სახელურზე იყო მიკიდული), იმდენი ფული ედო ჯიბეში, ვინმეს რომ გაეთქვა, ნახევარი ქვეყანა დაუ-ფიქრებლად გამოჭრიდა ყელს და მერე ერთმანეთს დაერეოდა იმ ფულის გა-ყოფაში. ამ ქალს კი პეტრე თვითონვე ჩაუვარდა ხელში, თვითონვე უთხრა, ბევრი ფული მაქვსო, და ბრმად მიენ-დო, ნდობით დანებდა ავადმყოფობის ბუდსა და წყვდიადში, როგორც პირ-ველ ღამეს ქალი ნებდება ქმარს, რო-მელმაც წესიერად არც იცის, როგორ მოექცევა ქმარი, როგორი გაიღვიძებს ხვალ, თუკი საერთოდ გაეღვიძა. თა-ვისუფლად შეიძლებოდა, პეტრე ახლა სამი დღის მკვდარი ყოფილიყო, არა, ოთხის: კვირა, ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი (პეტრემ საბნის ქვეშ საჩვენებელი თითიც მოღუნა), მე შენ გეტყვი, იპოვიდნენ, ანდა ვინმე გაი-გებდა მის ასავალ-დასავალს, ამ ბავშ-ვის გარდა, რომელიც უტვინოდ კი გა-უჩენია ღმერთს, მაგრამ იმდენი მაინც გაეგება ალბათ, კრაველის ქუდში კი არ ჩააფსას, თავზე დაიხუროს.

— ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ გა-დაგიხადოთ მადლობა. — თქვა პეტრემ და შიმშილი იგრძნო, უცებ აუწრიალ-და მუცელი. ამანაც გაახარა. რაკი ში-ოდა, ცოცხალი იყო და თუკი შიმშილს მოიკლავდა, კიდევ დიდხანს იცოცხ-ლებდა. — მე პეტრე მქვია, მაკაბელი ვარ გვარად... — გააგრძელა, მაგრამ ქალმა არ აცალა.

— ეგ ხომ ვიცით. — თქვა ქალმა.— შენს ფულებს უთხარი მადლობა. ფუ-ლებმა გადაგარჩინეს. შენს საფულეს სული კბილითლა უჭირავს. ყველაფერს ცეცხლი უკიდია ამ წყეულ ქალაქში. წამალი რომ წამალია, იმასაც ოქროს ფასს ადებენ. თანაც ყველა თავისას გირჩევს და ათნაირი მაინც უნდა იყი-დო, ერთი რომ გამოგადგეს. საჭმელი კიდევ ცალკე. (საჭმელის ხსენებაზე პეტრეს უარესად აუწრიალდა მუცე-ლი). ჩვენი გლეხი ისე გაირყვნა, რომ მოკვდეს, კაპიკს არ დაუკლებს. ფულ-სა ხარჯავ, გგონია, რაღაცას ყიდუ-ლობ, მოხვალ შინ და კალათა ცარიე-ლია.

— ჯანდაბას. — თქვა პეტრემ. — ჯანდაბას.

— აბა, შენ თუ გახსოვს ჩემი სახე-ლი? — ჰკითხა ქალმა.

— ვიცოდი, რომ! — დამნაშავედ გაიღიმა პეტრემ.

— იიი, მეხი კი დაგაყარე. — გაი-ცინა ქალმა. — მადლობებით აგვიკე-ლი, არკი იცი, ვის უხდი მადლობას. დაიჭი, შე სასიკვდილე. — დაუძახა ბავშვს და კამფეტი ესროლა. ბავშვმა თავით ნახევარწრე მოხაზა ჰაერში, ისე,

---

ოთარ ჩილაძე

ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...

რომ, კამფეტისთვის თვალი არ მოუშორებია, სანამ მისკენ მიფრინავდა, კამფეტი დოლს მოხვდა და იატაკზე დავარდა. ბავშვმა დოლი მიატოვა, ფაცაფუცით ჩამოფორთხდა ტახტიდან, იატაკზე თათრულად მოირთხო და კამფეტი ორივე ხელით ჩაიდო პირში. აქეთ აღარ იყურებოდა, გამალებული აცმაცუნებდა პირს და საკუთარ ხელებს დასცქეროდა. — ჩემს ბიჭს სარდიონი ჰქვია, — გააგრძელა ქალმა. — მე კი, დუსა, ტკბილი დუსა. ზოგისთვის ტკბილი ვარ, ზოგისთვის მწარე, მაგრამ ყველანი მაინც ტკბილ დუსას მეძახიან. აი, ამიტომ. — მაგიდაზე დახვავებული კამფეტების ბორცვს ხელი აუქნია. — ქვიშით რომ ვიხეხო ტანი, მაინც ტკბილი ვარ, მაინც ტკბილი სუნი ამდის. — გაბრაზება დაეტყო ხმაში, უეცარი კი არა, ძველისძველი, მობეზრებული, მაგრამ მაინც მოუხარშავი.

— მე ურუქში ვცხოვრობ... — ისევ დაიწყო პეტრემ, მაგრამ ქალმა ისევ შეაწყვეტინა.

— ვიცით, ვიცით. მამაშენი მაიორი ბრძანდება, თავადიშვილი. ორსართულიანი სახლი გიდგათ, განჯინაში კი არ ცხოვრობთ, ჩემსავით. — ქალმა გაშლილი ხელები ჰაერში მოატარა, ვითომ, ნახე რა სივიწროვეაო. — შენი ერთი ვაჟი ხელმწიფეს დასდევს მოსაკლავად, მეორე კი — შენ...

— პაპამისს. — გაუსწორა პეტრემ.

— ... ყველაფერი ვიცი. ცოლი მოგიკვდა, ძმა მოგიკლეს, დედა გაგიგიჟდა. რა გითხრა კიდევ? ხო, ქალიშვილიცა გყავს. ცოტას ისიც უსტვენს. გასათხოვარია და ჯერ ისევ თოჯინებით თამაშობს. თქვენ გაგიგიჟებიათ და ეგაა. კაცი უნდა მოგეყვანათ დროზე...

— წელსა ხდება თექვსმეტისა. — სცადა თავის მართლება პეტრემ.

— ... და არც იმას უყვარს მამა. — უცებ მოსჭრა ქალმა.

მხოლოდ მაშინ შეამჩნია პეტრემ, ქალი რომ შენობით ელაპარაკებოდა, მაგრამ სრულებითაც აღარ გაჰკვირვებია, არცა სწყენია, მაშინვე ალიარა გუნებაში, რომ ქალს ჰქონდა ამის უფლება, რადგან მისი და მისი ოჯახის ამბები, იმ ოჯახის ნებისმიერ წევრზე უკეთესად თუ არა, არც უარესად იცოდა. უკვე ახლობელი იყო, შინაური. არც ქალის ცოდნას გაუკვირვებია პეტრე, თუმცა სულ სამი დღე იყო, დიდი-დიდი ოთხი, რაც ერთმანეთს იცნობდნენ და ამ ოთხი დღის განმავლობაში, ეს პირველი შემთხვევა იყო, ორივენი სრულ ჭკუაზე რომ გახლდნენ და ორივემ რომ იცოდა, ვის ელაპარაკებოდა და რაზე. ქალთან, შეიძლება, საუკუნე იცხოვრო ერთ ჭერქვეშ და სამუდამოდ უცხო და უცნობი დარჩე მისთვის, მაგრამ ქალმა ერთხელ მაინც თუ გაიტანა შენი ქოთანი, თავისივე სურვილით, არათუ გიცნობს უკვე, დედაზე მეტი უფლებებითაც სარგებლობს, რადგან დედა რასაც განუსჯელად და სიხარულითაც გააკეთებდა, ის განსჯითა და ზიზღით აკეთებს. ზიზღსაც ძლევს, რადგან ადამიანად გთვლის, სულერთი არა ხარ მისთვის და ყველაფერი აინტერესებს შენი. ტკბილ დუსას კი, აგერ უკვე სამი, სამი კი არა, მეოთხე დღე მთავრდებოდა, რაც პეტრეს ქოთანი გაჰქონდა.

— დღეს სადილად რა გაქვს? — ხალისიანად იკითხა პეტრემ.

— ვირის კუჭმაჭი. — დაუფიქრებლად უპასუხა ქალმა, თითქოს საამისოდაც წინასწარ იყო მომზადებული, და გაიცინა, კი არ გაიცინა, გაბმულად ამოიკივლა.

„აი, ვინ მოუვლის ჩემებს“ — გაიფიქრა პეტრემ, რაიმე უჩვეულო სანახაობით მოხიბლული და, ცოტა არ იყოს, შემკრთალი ბავშვივით.

— აჰა, — ქალი პეტრესკენ გადმოიხარა და თავისი ხელით ჩაუდო პირში კამფეტი. ჯერ ისევ იცინოდა, მაგრამ უხმოდ, ცალი ხელი ათახთახებულ მკერდზე ჰქონდა მიჭერილი. — გაწუწნე, პირს გაგიკეთებს.

პირველი ტკბილი ნერწყვი პეტრემ ხმაურით ჩაყლაპა და უარესად აუწ-

რიალდა ცარიელი მუცელი. „ჯანდაბას, — თქვა გუნებაში. — ჯანდაბას“.

ამის მერე პეტრე კიდევ რამდენჯერმე იყო თელავში. მერე ანა მოკვდა და იმოდენა თოვლი მოვიდა, თელავში კი არა, ცხვირს ვერ ყოფდნენ შინიდან. ანას კუბო ურმით აიტანეს სასაფლაოზე. უგზოობით შინ გამოკეტილი პეტრე ტკბილ დუსაზე ფიქრობდა, ესიზმრებოდა კიდეც ბაბუცას ნაადრევი სიკვდილით დაკოჭლებულ საწოლში. სანამ დუსას ნახვა შეეძლო, არავითარი მზაკვრული განზრახვა არ გაჩენია მარტოხელა, სამგზის დაქვრივებული ქალის მიმართ, თუმცა უფრო ბუნებრივი იქნებოდა, კამფეტის წუწვნასა და ბრტყელ-ბრტყელ მასლაათს, საყვარლად გაეხადა იგი. თავისუფლად შეეძლო, არაფერი დაშავდებოდა, უტვინო სარდიონი, რაღა თქმა უნდა, თბილად ჩაცმული, ცოტახნით ეზოში რომ გაეშვა, თავისი დოლიანად, და სარდიონის დედისაგან, იმასაც წითლად რომ ჰქონდა გადაპრიალებული ტუჩები, თამამად და გარკვევით მოეთხოვა ის, რასაც მის ადგილას ყველა მამაკაცი მოითხოვდა და რასაც, როგორც მერე გამოირკვა, არც ტკბილი დუსა დაუკავებდა. შეიძლება, პეტრემაც იცოდა თავიდანვე, რომ არ დაუკავებდა და იმიტომაც არ თხოულობდა, ეშინოდა, უნებისყოფო და ადვილად დამყოლი არ აღმოჩენილიყო ქალი, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდა. მას ცოლი ჭირდებოდა და არა საყვარელი, იმასთან კი არ აპირებდა სირბილს, იმის წაყვანა უნდოდა შინ, საკუთარ ოჯახში საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად; დაბოლოს, ხორცზე კი არ ზრუნავდა, არამედ — სულზე. ოღონდ იმ სულზე, რომლის პირიდან ამოშვებაც არ შეიძლება, რადგან სწორედ იმ სულის ამოსვლაა სიკვდილი. არც იმის თქმა იქნება მართალი, თითქოს ტკბილი დუსა არ აღელვებდა პეტრეს, როგორც ქალი, დახშული ჰქონდა იმისი მშვენიერებათა დასანახი თვალები, მაგრამ ერთხელაც არ მიუცია თავისთვის ნება, გადაელახა თავაზიანობისა და კეთილ-ნაცნობობის საზღვარი. სხვათა შორის, კამფეტის წუწვნაც უადვილებდა მოძალებული სურვილის შეკავებას და იმაშიც ეხმარებოდა, ხმის მოულოდნელი ჩაფხრეწვის მიზეზი რომ მიეჩქმალა. თავისთავად წამოყელყელავებული ვნება ასევე თავისთავად იფერფლებოდა, რადგან დუსასაც კარგად ეჭირა თავი, ზედმეტი კეკლუცობით არ ტანჯავდა ურუქელ სტუმარს და არ აძლევდა ცალფა ვნების გაღვივებისა და გაძლიერების საბაბს. არ ყოფილა შემთხვევა, განზრახ ანდა უნებლიედ გამოეყენებინოს ქალური ხრიკები და ფანდები, რაც მამაკაცთა წონასწორობიდან გამოსაყვანადაა გამიზნული. არც მკერდი მოღელვია ზედმეტად და არც ისე დამჯდარა სკამზე, უარესად რომ გამოკვეთილიყო მისი სხეულის რბილი ნაკვთები. პირიქით. დაჯდებოდა თუ არა სკამზე, მაშინვე კაბას გაისწორებდა, ხელისგულებით დაიუთოვებდა ტანზე, საიდუმლო და ამაფორიაქებელი ნაოჭი რომ არ დარჩენოდა სადმე. ლაპარაკითაც სულ თავის მკვდარ ქმრებზე ლაპარაკობდა. მკვდარ ქმრებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე ცოცხალ სტუმარს. თითქოს სტუმარსაც იმიტომ უშვებდა შინ, თავისი მკვდარი ქმრების ამბები რომ მოეყოლა მისთვის. კამფეტით ლოყაგამობერილი, ტკბილი წვენით ტუჩებაპრიალებული, ვინ იცის, მერამდენედ იხსენებდა, როგორები იყვნენ ისინი, როგორ ეცვათ, როგორ დადიოდნენ და, რაც მთავარია, როგორ უყვარდათ იგი, მერე როგორ დაიხოცნენ და როგორ არ ავიწყებენ ახლაც, ღამე არ გავა, რომელიმე რომ არ დაესიზმროს, ანდა სამივენი ერთად. მაგრამ სიზმარშიაც ინარჩუნებენ ისინი დუსას პატივისცემას და კი არ ჩხუბობენ, იმავე თანამიმდევრობით ენაცვლებიან ერთმანეთს, რა თანამიმ-

დევრობითაც დუსას ქმრები გახდნენ.

— სამივენი ერთად გესიზმრება? — ვერ მოითმინა ერთ დღეს პეტრემ.

— მაააშ. წუხელაც ერთად მოვიდნენ. — გამოცოცხლდა დუსა. — ერთმა დარაია და ფარჩის საკაბე მომართვა. მეორემ — მძივით გაწყობილი ქოშები. მესამემ კი — აი, ამოდენა (ტკბილმა დუსამ საჩვენებელი და ცერა თითი წრედ შეკრა და ლამის ცხვირი ჩააყოფინა შიგ პეტრეს) საყურეები. უბრალო კი არა, ოქროსი, თანაც ეჟვანივით წკრიალებდა.

პეტრეს უნდოდა ეთქვა, ოღონდ შენ ცოლად წამომყევი და მე აგისრულებ სიზმარსო, რაც წუხელ შენმა მკვდარმა ქმრებმა სიზმარში მოგართვეს, მე ცხადში გიყიდიო, მაგრამ ვერ გაბედა, რაღაცნაირად მოერიდა, ხელი ეთხოვა მკვდარ ქმრებზე მეოცნებე ქალისთვის. არც იმაში იყო დარწმუნებული, ერთი ცოცხალი სამ მკვდარს თუ აჯობებდა, ანდა თვითონ ქალი თუ გაცვლიდა სამ მკვდარს ერთ ცოცხალში. მაგრამ, როგორც მერე გამოირკვა, ქალი მკვდრებს კი არ მისტიროდა, ქმრებთან ერთად კი არ დაემარხა თავისი ქალობაც, ცოცხალ სტუმარს ებლაუჭებოდა, ცოცხალი სტუმრის თვალში იწევდა ფასს, ერთისა და იმავის გაუთავებელი გამეორებით აძულებდა ცოცხალ სტუმარს, მკვდარი ქმრების თვალით შეეხედა მისთვის, და რაკი თვითონ ვერ ხვდებოდა, ძალაუნებურად წინამორბედებისგან ესწავლა, რითი და როგორ შეიძლებოდა ტკბილი დუსას გულის მოგება. ამით ტკბილი დუსა უსიამო გულახდილობასაც არიდებდა თავს და თანაც, თუკი სტუმარი გამგები იყო, იმასაც უადვილებდა საქმეს. მერე მე რაო, შეეძლო ეთქვა პეტრეს, ქალისთვის თუ არა, გუნებაში მაინც, რა ჩემი საქმეა, რა უჯდებოდათ შენს ქმრებს შენი ერთი ჩახუტებაო, მაგრამ მაშინ არ შეეძლო ასე ეფიქრა, ერთხელ კი არ ჭირდებოდა დუსა, ერთი წუთით კი არ უნდოდა, სულ უნდოდა, როგორც სიცოცხლე, როგორც ღმერთი, რომლისაც გჯერა და გეშინია. გალეულ კამფეტს პირში ატრიალებდა, ენით გადაჰქონდა ერთი ლოყიდან მეორისკენ და მორჩილად, გამაოგნებელი მღელვარებით უსმენდა ქალის ხმას, როგორც უწიგნური მორწმუნე — ქადაგებას, რომლის სულსა და გონებაზე სიტყვების ჟღერადობა მოქმედებს და არა სიტყვებში ჩამარხული აზრი. პეტრეს უფრო მეტი რომ სცოდნოდა ქალებისა და უფრო ყურადღებიანი რომ ყოფილიყო, ადვილად შეამჩნევდა, მკვდარი ქმრები იგივე რომ იყო დუსასთვის, რაც მეთევზისთვის — ჭიაყელები; თვითონვე ერეოდა ერთმანეთში მათი სახელები, მათი თანამიმდევრობა და საერთოდ, მათი ცხოვრებაცა და სიკვდილიც. მაგრამ მაშინ არც ამას ჰქონდა პეტრესთვის მნიშვნელობა. სამი მკვდარი კაცი, ღამღამობით ახლაც რომ რიგს უმართავდა ცოცხლად დარჩენილ საერთო ცოლს, მისთვის ერთი და იგივე პიროვნება იყო, რომელიც სამგზის სამნაირი სიკვდილით მომკვდარიყო, რათა გლოვისა და ხსოვნის სამმაგ ჯავშანში ჩაესვა მისი დანატოვარი ქალი. მართლაც რა მნიშვნელობა ჰქონდა, შაქროვატატობიძინა ერქვა იმას, ვატატობიძინაშაქრო თუ ბიძინაშაქროვატატო, ჯერ სპირტის ქარხანაში დაიწვა, მთვრალმა მექორწილეებმა მარგილებით გაუხეთქეს თავი თუ ძილში გაიპარა?! სიმართლე თუ გინდათ, პეტრეს სრულებითაც არ აინტერესებდა დუსას წარსული და უფრო მადლობელი იქნებოდა, საერთოდ რომ არაფერი სცოდნოდა ამის შესახებ, რადგან ამის ცოდნაც აფერხებდა, გაემჟღავნებინა ქალისთვის თავისი განზრახვა და ერთხელ და სამუდამოდ მორჩენილიყო წინ და უკან წანწალს ურუქსა და თელავს შორის. ქალის ქმრების სიმრავლე კი არ აღარდებდა და აყოყმანებდა პეტრეს, არამედ მათი ხსოვნის სიმტკიცე ქალში. ისინი საფუძვლიანად მოკალათებულიყვნენ ქალის სულსა და გონებაში და თუკი პეტრე მართლა შე-

რთავდა იმ ქალს, მარტო უტვინო ბავშვიანად კი არ უნდა შეერთო, არამედ მკვდარი ქმრებიანადაც და წინასწარვე უნდა შეჰგუებოდა იმ აზრს, რომ ყოველ ღამე მის საწოლთან რიგში იდგებოდა ფარჩის საკაბით, მძივიანი ქოშებითა და ოქროს საყურეებით ხელდამშვენებული სამი აჩრდილი. „დასწყევლოს ღმერთმა, ქალზე ხელი როგორ ავიღო მკვდრების გულისთვისო“ — ბოღმით იხრჩობოდა ეტლში მისვენებული, დუსასგან წამოსული და შინ მიმავალი, ანდა შინიდან წამოსული და დუსასთან მიმავალი პეტრე. მაგრამ იმ საზარელ ღამეს, როცა ანამ მძინარე ქმარს აგური ჩაარტყა თავში, პეტრემ უკვე საბოლოოდ გადაწყვიტა დუსას შერთვა, რადგან ერთხელ კიდევ დარწმუნდა, გიჟი დედა გაცილებით საშიში რომ იყო მისთვის, ვიდრე დუსას მკვდარი ქმრები, რომლებიც, იმავე დუსას თქმით, აგურებით კი არ მოდიოდნენ ღამღამობით, არამედ — საჩუქრებით, აყალმაყალს კი არ ტეხავდნენ, მოთმინებით უცდიდნენ თავიანთ რიგს. „დუსა, დუსა გვინდა ჩვენ“ — მიჰყვიროდა სისხლში ამოთხვრილ მამას, უზარმაზარი და ბრმა ფრინველივით რომ აწყდებოდა კედლებს ჩაბნელებულ ოთახებში, ტკივილისა და შიშისაგან თავზარდაცემული, თითქოს შინ კი არ იყო, შემთხვევით შემოფრენილიყო აქ და მოკვდებოდა, კედელს შეანთხევდა ტვინს, როგორმე თუ ვერ გააღწევდა აქედან. „დუსა მოგივლის, დუსა მოგიყვანს ჭკუაზე“ — ჩასისინებდა დედას ყურში, როცა ზურგს უკან ხელებს უკრავდა თოკით. მეორე დღეს დილიდანვე აპირებდა თელავში წასვლას, მაგრამ მაინც აითრია ფეხი, მაინც დაელოდა ექიმ ჯანდიერს. მიუხედავად გადატანილი ელდისა და უძილობისა, უჩვეულოდ ხალისიანი იყო, სასიამოვნო სიმსუბუქეს გრძნობდა მთელს სხეულში, უჩვეულო სიამაყით იყო გავსებული როგორც ცელქი, მაგრამ ამჟამად არა ცელქობის გამო, არამედ უფროსების დაუდევრობით დაშავებული ბავშვი, რომელსაც ტკივილი კი სიამოვნებს, ეამაყება, უნდა, რომ ყველას გააგებინოს, რადგან მართალია და ამისათვის არ დაისჯება. პეტრეც დაახლოვებით ამგვარმა ბავშვურმა ჟინმა აიძულა, დალოდებოდა ექიმ ჯანდიერს, რათა გარეშე კაცსაც ენახა მისი გასაჭირი და, რაც მთავარია, შესცოდებოდა იგი.

პეტრეს არც უყვარდა და არც ეჯავრებოდა ექიმი ჯანდიერი, მაგრამ მისი ყოველი გამოჩენა უფრო აღიზიანებდა, ვიდრე ახარებდა. მის სიახლოვეს თავს დაბორკილად და უმწეოდ გრძნობდა, სენსა და სიკვდილს ახსენებდა მისი დანახვა, რაც არ უნდა გაქათქათებული პერანგი ცმოდა და რაც არ უნდა დამაქრულად ელაპარაკა. სწორედ მისი გადამეტებული სისუფთავე და ჭკუის დამრიგებლური ლაპარაკი აღიზიანებდა პეტრეს, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ავადმყოფის დასაიმედებლად კი არ მოდიოდა იგი, არამედ დასაკნინებლად, აბუჩად ასაგდებად, თავისი უპირატესობის გამოსაჩენად. ეტლითაც იმიტომ დადიოდა. აუცილებლად ეტლით უნდა დასდგომოდა ავადმყოფს თავზე, მეტი შიში და მორიდება რომ ჰქონოდა მისი. გაკეთებით კი არაფერს აკეთებდა. ავადმყოფი თუ სასიკვდილო იყო, უიმისოდაც მოკვდებოდა, მოსარჩენს კი, არც უიმისოდ გაუჭირდებოდა მორჩენა. ყოველ შემთხვევაში, პეტრეს არ უნახავს ექიმი ჯანდიერის გაკეთებული საქმე. უზრდელი ნათესავივით ჩამოგიჯდებოდა ლოგინზე და იმდენნაირად შეგიტრიალებდა სიტყვას, სანამ შენი პირით არ გათქმევინებდა, რა გტკიოდა, სად და როგორ. მერე ერთს ღამის ქოთანშიც ჩაიხედავდა, როგორც უყაირათო დიასახლისი — ქვაბში, და ეს იყო მთელი მისი ექიმობა, ამაში იღებდა ფულს, წვითა და დაგვით მოგროვილ გროშებს, გაუბედავად რომ უკუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭავდნენ ჯიბეში და კიდევ იქით ებოდიშებოდნენ, იქით უხდიდნენ მადლობას, იმის მაგივრად, რომ კეტით დაეფრინათ და ძაღლები მიექსიათ. კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, უდარდელი ცხოვრება, უოჯახო, უშვილძირო ცხოვრება, შენი თავისთვის რომ ხარ, შენს თავზე რომ ფიქრობ მარტო და მთელი საგიჟეთი კი არა, ერთი ცხენი გყავს შესანახი, ისიც იმიტომ, რომ გჭირდება, პატიოსნად გემსახურება და აღმადაღმა დაგაქროლებს ქვეყანაზე. მაგრამ პეტრესნაირმა ხალხმა რა ქნას? სხვების მსახურები იყვნენ სულ? თავიანთ თავზე არ იფიქრონ? არც სახელი უნდათ და არც ცხოვრება? სახელიცა და ცხოვრებაც ამათ უნდათ თუ უნდათ, რადგან დაიმსახურეს კიდევაც. ტანჯვითა და მოთმინებით, ტანჯვითა და მოთმინებით, მაგრამ ამასაც დანახვა უნდა, დანახვა და გაგება. ბოლოს და ბოლოს, რა დიდი ამბავია, შენ ეტლის კოფოდან დაინახო იგივე, რაც ღმერთმა ციდან უნდა დაინახოს? ასე ფიქრობდა პეტრე ექიმ ჯანდიერის მოლოდინში, და ღელავდა კიდეც, რადგან გულით უნდოდა, მაინცდამაინც ექიმ ჯანდიერს რომ შესცოდებოდა იგი.

— უყურე სეირს? — დაუძახა ექიმმა ჯანდიერმა.

ჯერ ისევ კოფოზე იჯდა, ახოვანი, მოღუშული, თეთრი მტვრით გულმკერდგადაპენტილი.

— კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, — ელდა ეცა პეტრეს. — ტყუილად კი არაა ნათქვამი, სხვისი ჭირი, ღობეს ხხარით.

— ყველაფერი კარგად იქნება. — თქვა ექიმმა ჯანდიერმა, მაგრამ პეტრეს კი არ უთხრა, პეტრე აღარც ახსოვდა, ჩვეულებისამებრ მოიმარჯვა სანუგეშო სიტყვა, ხნეულის სახლში შემავალმა.

ხუთი წუთის მერე ამ განსწავლულმა, კეთილშობილმა კაცმა, ყველას იმედმა და გამკითხავმა, პეტრეს რეგვენი დაუძახა და, ცოტას მორჩა, ბარი დაამტვრია თავზე, როგორ გაბედე და გიჟი როგორ დააბიო, რატომ შენც არ ჩაარტყმევინე თავში [illegible]რი, რომ ბარემ ყველაზე ერთად გადამებანა ხელებიო. არა, თვითონ თუ არ მიხედავდა თავს, სხვა არავინ შეწუხდებოდა, და სწორედ მაშინ, როცა ექიმი ჯანდიერი ხელებს უხსნიდა დედამისს, ისე მოენატრა დუსა, ისე ცხადად დაუდგა თვალწინ და ისე მძაფრად ეცა ცხვირში მისი დატკბილული სურნელი, შეიძლება, გაგიჟებულიყო, დღესვე, ახლავე თუ არ ნახავდა და ახლავე თუ არ დაიყაბულებდა ცოლობაზე. ეტლში რწევამ და ჯანჯღარმა უარესად გაუმძაფრა ეს მართლაც გიჟური, ქარიშხლის მაგვარი ჟინი და სურვილი — უცხო ქალის კალთაში თავის ჩადებისა, უცხო ქალის სურნელში ჩაკარგვისა, დედის მაჯებზე თოკისაგან დამჩნეული წითელი ღარების დანახვისთანავე რომ გაუჩნდა. როცა დუსას სახლი გამოჩნდა, მღელვარებისგან ფეხზე წამოდგა ეტლში, ხოლო ცოტახნის მერე, დოლის ხმაც რომ შემოესმა, თავს ვეღარ მოერია, ეტლიდან გადახტა და სახლისკენ გაიქცა. ცარიელი ეტლი გვერდზე მოსდევდა, კოსერმოღრეცილი მეეტლე და ცხენები გაკვირვებულები უყურებდნენ, მაგრამ ის ვერაფერს ხედავდა, დაბალი, ორსარკმლიანი სახლის მეტს, საიდანაც დოლის ხმა გამოდიოდა. სარკმელს მიადგა და ოთახში შეიხედა. დუსა შინ იყო, ტკბილი დუსა. მაგიდასთან იჯდა და გვერდზე დახვავებულ კამფეტებს სათითაოდ ახვევდა ჭრელი ქაღალდის ნაკუწებში.

— ოქროში ჩაგსვამ... ქალბატონს გაგხდი! — შეაბღავლა სარკმელს პეტრემ.

დუსა გველნაცემივით შემობრუნდა სარკმლისკენ და პეტრე რომ დაინახა, ისეთი სახე დაედო, იმდენი რისხვა და სიძულვილი შემოაფრქვია თვალებით, პეტრეს გაწუწნული კამფეტივით გადასცდა სიტყვა და ცივწყალგადასხმულივით ერთბაშად გამოფხიზლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთადერთი გრძნობა, რომელსაც ახლა მთელი მისი არსება მტკივნეულად განიცდიდა, სირცხვილის გრძნობა იყო. ოღონდ ამ წუთას, ამ ადგილას არ მდგარიყო და ნახევარ სიცოცხლეს დაუფიქრებლად გაიღებდა. ეგონა, მთელი ქუჩა ხალხით იყო სავსე და მის შემობრუნებას ელოდებოდა, ხარხარი რომ აეტეხა. მაგრამ ისევ შემობრუნება ჯობდა, მთელი ქალაქის დაცინვას უფრო აიტანდა (მით უფრო, რომ ღირსი იყო დაცინვისა), ვიდრე დუსას გამძვინვარებულ მზერას. საბედნიეროდ, ქუჩა ცარიელი დაუხვდა, ეტლი იდგა მხოლოდ, რომელმაც აქამდე მოიყვანა. იფიქრა, ამავე ეტლით გავბრუნდებით, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა. ჯერ ერთი, მეეტლისა რცხვენოდა, მეორეც ერთი, ასე წასვლა არ ივარგებდა, უარესი იქნებოდა, მარტო დარჩენილს უფრო დატანჯავდა, უფრო გაუჭირდებოდა ამ სირცხვილის გადატანა. უნდა შესულიყო დუსასთან, ბოდიში მოეხადა და, როგორც შესძლებდა, აეხსნა მისთვის ამ ყოვლად გაუმართლებელი და ყოვლად შეუფერებელი საქციელის მიზეზი. ფული ისე გადაუხადა მეეტლეს, თავი არ აუწევია. მეეტლის დიდი, ბანჯგვლიანი ხელი დაინახა მხოლოდ, რომელმაც მისი ფული მოკუჭა და ფულიანად სადღაც გაქრა. საუკუნე გავიდა, სანამ ეტლი შემობრუნდებოდა ვიწრო ჩიხში, ხისა და რკინის ჭრაჭუნით, ღრჭიალით. დაზაფრული იდგა, თითქოს ქვაფენილზე კი არა, მის აღგზნებულ ტვინზე უსხლტებოდათ ცხენებს ნალიანი ფლოქვები. ახლა სახლისკენ შემობრუნება გაუჭირდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. დუსა დოინჯშემოყრილი იდგა სარკმელთან და უყურებდა. პეტრემ მხრები აიჩეჩა და ხელები გაშალა. დუსას სახე არ შესცვლია. „შემოვიდე თუ არა?“ — ჰკითხა პეტრემ თვალებით, მაგრამ არც ახლა შესცვლია დუსას სახე. პირგამეხებული იდგა. „ჯანდაბას, ჯანდაბას“ — თქვა პეტრემ გუნებაში და სახლში შევიდა.

— ვინ გგონივარ? — დაუყვირა დუსამ.

ისევ სარკმელთან იდგა, ისევ დოინჯშემოყრილი, მაგრამ ახლა სარკმლისკენ ზურგშექცეული.

— არავინ არ იყო, დუსა... მაპატიე... მეც არ ვიცი... დუსა... ტკბილო... აღარ შემიძლია. — ამოილუღლუღა პეტრემ და კი არ წამოვიდა, გამოიქცა ქალისკენ, ქუდიც არ მოუხდია. პალტოს ღილიც არ შეუხსნია, კი არ დაიჩოქა, მის წინ დავარდა, ფეხებზე მოეხვია და გაშმაგებულმა დაუწყო კოცნა კაბაზე. — აღარ შემიძლია... ხელისგულზე გატარებ, ცივ ნიავს არ მოგაკარებ. ოღონდ... ოღონდ... ოღონდ... — ვერ პოულობდა სიტყვას.

ტკბილ დუსას გაეღიმა, ოდნავ შეატოკა ფეხები, ოდნავ სცადა კაცის ხელებისგან განთავისუფლება. სარდიონს ნიკაპი დოლზე ჩამოედო და დედას შესცქეროდა. მოწითალო, ქაფიანი დორბლი ჩამოსდიოდა პირზე.

— რისი შეგეშინდა, პეტრე ძიაა, შე სასიკვდილე. — დაუძახა დუსამ და მის წინ დაჩოქილ პეტრეს ქუდზე მსუბუქად წაჰკრა ხელი. ქუდი იატაკზე დავარდა. სარდიონს გაეღიმა, დაბმული ჩიტივით შეიფრთხიალა ადგილზე. — გამიშვი, გამიშვი-მეთქი. ვჩანვართ გარედან. — თქვა დუსამ, ახლა უკვე პეტრეს გასაგონად.

— არა ვმალავ... ყველამ გვნახოს... მოედანზე გავალ... — ლუღლუღებდა პეტრე.

— გიჟია, ეს ოხერი?! — გაიცინა დუსამ და ისე ღონივრად მოიქნია ტანი, პეტრე გვერდზე მოისროლა.

პეტრემ გაშლილი ხელისგულები ტყაპანით დაჰკრა იატაკს, მაგრამ იმდენი მაინც მოასწრო, დუსას კაბის კალთა კბილით რომ დაეჭირა. გეგონებო-

დათ, ძაღლი ეთამაშება თავის პატრონსაო. დუსამ ძალით გამოგლიჯა პირიდან კაბა, წავიდა და სკამზე დაჯდა.

— დუსა, მომისმინე, დუსა. — დაუძახა ოთხზე დამდგარმა პეტრემ. — ადამიანი არა ხარ?

— ადექი. რა თავს იგდებ! — გაბრაზება სცადა დუსამ, მაგრამ უცებ სიცილი აუვარდა. პირზე ხელაფარებული იცინოდა. — ადექი, თორემ მეზობლებს დავუძახებ. — ამოაყოლა სიცილს.

— დაუძახე. — თქვა პეტრემ და დაიძრა, ოთხზე წამოვიდა.

— მოიცა, ადამიანო, დაღამდეს მაინც. — შეეშინდა დუსას.

პეტრე ტყვიანაკრავი ტახივით გაშეშდა, გაქვავდა, გაირინდა, თითქოს უხილავ კედელს დაეჯახა თავით და ახლა უცდიდა, როდის გაუვლიდა თავბრუსხვევა.

— დაღამდესო? — თქვა თავისთვის და მუხლებზე წამოიმართა. — მე რომ მაგისთვის არ მოვსულვარ?! — ნელნელა წამოდგა და პალტოს კალთები ჩამოიბერტყა. — ეგ რამ გაფიქრებინა, ა? ეგ იმედი მქონდა შენი, ა? მე ვფიქრობდი... მე ვიფიქრე... ქუდი რა მექნა? — თავზე ხელი მოითათუნა. — ეს ერთი დღეც რომ მოგეთმინა, ეს ერთი დღეც რომ გაგეძლო... მომეცით ჩემი ქუდი! — იყვირა უცებ.

— ვის რად უნდა ნეტა. ფეხთან გიგდია. — უთხრა დუსამ და გულხელი დაიკრიფა. გრძნობდა, რაღაცა რომ შეეშალა, მაგრამ სრულებითაც არ ადარდებდა ეს ამბავი. შეცდომა თავისთავად გაირკვეოდა და გამოსწორდებოდა კიდეც. უჩვეულო და საგანგაშო არაფერი ხდებოდა. მართალია, პეტრე დღეს თავის თავს არ გავდა, დინჯი და დარბაისელი კაცი, ჯერ ბიჭივით ღრიალებდა ქუჩაში, მერე კი, ძაღლივით ოთხზე იდგა, მაგრამ ეს დროებითი ცვლილება იყო მხოლოდ, შემთხვევითი, სასმელით, ვნებით, ტკივილით ანდა შეშით გამოწვეული და მალე თვითონ პეტრეს გაუხდებოდა სანანებელი, თუკი უკვე არ ნანობდა. იმდენი გამოცდილება კი ჰქონდა დუსას, კაცების მიზეზიანობას რომ არ აჰყოლოდა, ანდა პატიება ეთხოვა ყოველ წვრილმანზე. ისიც მშვენიერად იცოდა, კაცებს პატიების უნარი რომ არა აქვთ, მათი ბუნებისთვის უცხო ხილი რომაა პატიება, თვალს კი სიამოვნებით ხუჭავენ ყველაფერზე, რაც განზრახვის აღსრულებაში უშლით ხელს. მაგრამ პატიება და თვალის დახუჭვა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, ერთი თუ გამაღლებს საკუთარ თვალში, მეორე გაკნინებს, და ესაა კაცების მთავარი უბედურებაც, არ შეუძლიათ არ დაიკნინონ თავი, რადგან არ შეუძლიათ, ხელი აიღონ განზრახვაზე. — ვის რად უნდა შენი ქუდი, ანდა რამე! — დაიღრინა დუსამ. — გიჟი თუ ხარ, შინ იჯექი, დედასთან. ჩემთან რა ხელი გაქვს!

— დუსა, — ყელზე ხელი ჩამოისვა პეტრემ, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა. — შენი ხელის სათხოვნელად მოვდიოდი. გესმის, ქალო? შენი ხელის სათხოვნელად.

ეს კი, დუსასთვისაც მოულოდნელი იყო. ჯერ ფეხები გაეთოშა, მერე ცხელი ქარი შეაფრინდა სახეზე. ისევ გულხელდაკრეფილი იჯდა, მაგრამ მშვიდად, მეგობრულად გადაჭდობილი მისი მკლავები, ფრჩხილებით ჩაფრენოდნენ ერთმანეთს, დაუნდობლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ და ორივეს ტკივილი დუსას გულში, დუსას თავში ბუბუნებდა, სარდიონის დოლივით. გამწარებული, გაცეცხლებული ფიქრობდა: „დამასწრო... მიზეზი რომ ჰქონოდა. ახლა დაიხურავს ქუდს და წავა“.

— უხვინდისო. — ღვარძლიანად გამოსცრა კბილებში.

— უხვინდისო რადა ვარ? — ხელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბი გაშალა პეტრემ. — კიდევ მე ვარ უსვინდისო?

— აიღე შენი ქუდი და წადი. — უბრძანა დუსამ. „ვერსადაც ვერ წახვალ“ — გააგრძელა გუნებაში.

პეტრემ ქუდი აიღო, მაგრამ არ დაუხურავს, ორივე ხელით მუცელზე მი-ჭყლიტა.

— ღმერთი არ გაპატიებს, ქრივოხრის აბუჩად აგდებას. — უთხრა დუსამ და სარკმელში გაიხედა, ვითომ გინდა დარჩი, გინდა წადი, ჩემთვის უკვე სულერთია, ჩემთვის აღარ არსებობ. სარკმელში იყურებოდა და ფიქრობდა: არ წავა. იმიტომ კი არა, რომ არ უნდა, იმიტომ, რომ არ შეუძლია, სანამ არ გაარკვევს, კიდევ რაზე უნდა დახუჭოს თვალი. — მე კარი გავუღე, ვენდე, ეს კი, თურმე მცდიდა. — უთხრა სარკმელს.

— არა ხარ მართალი. — დაუძახა პეტრემ.

— კაცმა არ უნდა იკისროს, თორემ ქალის გაბრიყვებას რა უნდა. — ისევ სარკმელს უთხრა დუსამ.

სარკმელი გაშტერებული უყურებდა, ბრიყვის თვალივით დაჭყეტილი და ცარიელი.

— არა ხარ მართალი. ცოდოს აძბობ. — გაცხარდა პეტრე.

— დაჯექი და ისე ილაპარაკე, თუ რამის თქმა გინდა. — თქვა დუსამ.

პეტრემ სკამი გამოსწია და დაჯდა. ქუდი მაგიდაზე დადო. ახლა მაგიდაზე ორი ბორცვი იყო, კამფეტისა და კრაველის ბეწვისა.

დუსამ სარკმელს თვალი მოარიდა და პეტრეს შეხედა. უყურა, უყურა და გაეღიმა. პეტრემ თავი დახარა, თავის დახრა მოასწრო, სანამ დუსას ღიმილი მასაც გადაედებოდა.

— უსვინდისო. — თქვა დუსამ გაბუტული, ღიმილნარევი ხმით. — ჯერ პირი ჩაიტკბარუნე, სულ მწარე რომ ამოგდით. — დაამატა იმავე ხმით და კამფეტს წკლიპურტი წაჰკრა. კამფეტი პეტრესკენ გაგორდა და პეტრემ უნებურად ხელი წაატანა, მაგიდიდან რომ არ გადავარდნილიყო.

მერე ანა მოკვდა, თოვლმა გზები ჩაკეტა და პეტრეს გაზაფხულამდე აღარ უნახავს დუსა. იცოდა, დუსა ბარგზე იჯდა და ელოდებოდა, მაგრამ რა უნდა გაეწყო სიკვდილისა და სტიქიის წინააღმდეგ. დარწმუნებული იყო, ანა იმიტომ მოკვდა, სხვანაირად ხელს რომ ვერ შეუშლიდა. მერე კი, ბუნებაც აჰყვა დედამისს და იმოდენა თოვლი დადო, თელავში კი არა, ფეხსადგილში უჭირდა ხალხს გასვლა. სანამ პეტრე იძულებით იყო გამოკეტილი შინ, ერთი წუთითაც არ განელებია დუსასთან შეუღლების სურვილი, ერთხელაც არ გადაუთქვამს გუნებაში მომავალი მეგობრისთვის მიცემული სიტყვა, მხურვალედ და ერთგულად ფიქრობდა შეხვედრაზე, წუხდა, იტანჯებოდა, მაგრამ პირქუშად იტანდა უმეგობრობას დედისა და ბუნების ჯიბრზე, დედასა და ბუნებას აბრალებდა თავის წუხილსა და ტანჯვას და, ამიტომაც, იმის დროც არ რჩებოდა, მშვიდად, გულისყურით, ერთხელ კიდევ შეემოწმებინა თავისი განზრახვის სისწორე, ერთხელ კიდევ ჩაეხედა სულში: თავს ირწმუნებდა თუ მართლა არ შეეძლო უდუსოდ ცხოვრება. მაგრამ მაშინ არ შეიძლებოდა დუსა განსჯის საგანი რომ ყოფილიყო მისთვის, რადგან ენატრებოდა იგი. დუსა არც ყოველდღიურობის ფარგლებში შემოდიოდა, შორი იყო, მიუღწეველი. უფრო მეტიც, არაფერი ესაქმებოდა, არაფერი აკავშირებდა ამ გარემოსთან და, შეიძლება, ამიტომაც მთელი ზამთრის განმავლობაში ინარჩუნებდა იდუმალების, მარადიულობის მომხიბვლელობასა და ძალას. დუსა ვარსკვლავი იყო, შორეული, მიუღწეველი, თავისთვის მოციმციმე, მაგრამ ერთადერთი ნამდვილი მეგობარი ცხოვრების ჭაობში ჩაკარგული კაცისთვის, თუკი იმ კაცს ვარსკვ-

ღვის მუშეობით გზის გაგნება და დროის შეტყობა შეუძლია. ასე იყო გაზაფხულამდე, მაგრამ გაზაფხულზე, თოვლთან ერთად, პეტრეს რწმენამაც დაიწყო დნობა. ამ ამბავში ალბათ იმასაც მიუძღოდა წვლილი, ამაზრზენად რომ ატალახდა ირგვლივ ყველაფერი და ერთმანეთში აიზილა საშოვარზე გამოსული ხალხის ნატერფალები. გაზაფხულმა ოჯახური ცხოვრების ყოველდღიური უსიამოვნებანი გაახსენა პეტრეს, მაგრამ დუსას ცოლად შერთვა მაინც არ გადაუფიქრებია, უბრალოდ დუსას მიუღწევლობისა და არაჩვეულებრივობის რწმენა შეერყა, რადგან თელავშიც ეს ტალახი იყო და ერთმანეთში აზელილ ნატერფლებში დუსას ნატერფალიც ერია. ახლა დუსას, რა წუთსაც უნდოდა, მაშინ მოიყვანდა, მაგრამ მოყვანაცაა და მოყვანაც, ახლა ვალდებულება უნდა შეესრულებინა და არა სურვილი. სხვამხრივ არაფერი არ შეცვლილიყო მის ცხოვრებაში. დედამისის სიგიჟე ახლა მამამისს გადასდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გომურს არ კადრულობდა და თავის ოთახში იყო გამოკეტილი. განსხვავება კიდევ ის იყო, რომ თუ ერთი პეტრეს დანახვაზე ცუდად ხდებოდა, მეორე — ვერ ძლებდა უპეტრეოდ, ჩემი ნამდვილი შვილი შენა ხარ და უნდა მომიაროო, პირველობა რომ მოგანიჭე, შენც უნდა დამიფასოო. მოკლედ, ვაჭრობა გაუმართა, მოსამსახურედ გაიხადა, თმა-წვერის შეკრეჭასა და დაბანას ვინ ჩივის, ისიც პეტრესათვის უნდა დაევალებინა, მაინცდამაინც, რისი გაკეთებაც ალათიასა და ანეტასაც შეეძლოთ. „ხომ იცი, შენს მეტს არავის ვენდობიო“ — ეუბნებოდა ხშირხშირად, მაგრამ სახეზე ეწერა, პეტრესაც რომ არ ენდობოდა. პეტრე ნეხვის გასახვეტად ჭირდებოდა და გასაგზავნ-გამოსაგზავნად. ხან ისეთ დროს აიჩემებდა, გინდა თუ არა, ზოსიმე მღვდელი მომიყვანეო, მესამე ძილში რომ იყო სოფელი, ანდა ცა ფეხად რომ ჩამოდიოდა. მაგრამ გიჟისთვის არც ღამეა და არც ამინდი. იმიტომაცაა გიჟი, ყველაფრის უფლებას რომ აძლევს თავს. ბოლო-ბოლო, მარტო პეტრე იჩაგრებოდა, პეტრეს უტყდებოდა ძილი, პეტრე იგანგლებოდა ტალახში და პეტრეს ახოხდებოდა ქაიხოსროს ტილები. ასე იქნებოდა სულ, სანამ პეტრე თვითონ არ შეიცვლიდა ცხოვრების ყაიდას. აქამდენაც ტყუილად ითრევდა ფეხს; ჯერ ვითომ შვილების ხათრმა გააჩერა (ამ დროს, შვილებს ფეხებზე ეკიდათ პეტრე), მერე ძმისა და დედის სიკვდილმა, მერე კი — ზამთარმა; სინამდვილეში, თვითონ იყო ყოყმანა და გაუბედავი. ეგონა, თავისთავად, ხელისგაუნძრევლად, მსხვერპლის გაუღებლად გამოსწორდებოდა ყველაფერი, როგორც კბილატკიებულ კაცს გონია, კბილის ამოღებას რომ გადარჩება, ამერთხელაც თუ გაუძლო ტკივილს. მაგრამ ერთხელაც იქნება, მაინც მოუწევს ექიმთან მისვლა, რათა ტკივილითვე მოსპოს ტკივილი. მთელი გაზაფხული გაბოროტებული იყო პეტრე და ყველაზე ძალიან დუსას არსებობა აბოროტებდა, როგორც კბილატკიებულ კაცს — ექიმისა. მარტო იმის წარმოდგენა ხეთქავდა გულზე, დუსა შეკრულ ბარგზე რომ იჯდა და მოთმინებით ელოდებოდა. კი არ ღელავდა, კი არ წუხდა, სად დაიკარგა ის კაციო, მშვიდად, აუღელვებლად ახვევდა კამფეტს ჭრელი ქაღალდის ნაკუწში და ერთი წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, პეტრე აუცილებლად რომ ჩააკითხავდა. არც პეტრეს ეპარებოდა ამაში ეჭვი და ეს იყო მისი გაბოროტების მთავარი მიზეზი. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დუსას არსებობა აიძულებდა ცოლის შერთვას, თითქოს დუსა რომ არ ყოფილიყო, საერთოდ არ იფიქრებდა ცოლის შერთვაზე, არცერთი სხვა ქალი არ გაუჩენდა ამგვარ სურვილს. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. სარდიონი, თავის დოლიანად, კოფოზე დასვეს, მეეტლის გვერდით, მაგრამ დუსამ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დუსას ბოხჩებმა ისე ამოავსო ეტლი, პეტრე ძლივსღა შეეტია.

— დაჯე თავისუფლად. რა წკიპზე ზიხარ. — უთხრა დუსამ.

პეტრემ ქალისკენ მიიწია და მართლა იგრძნო სიხალვათე. იგრძნო, როგორ თავისუფლად ჩაეფლო ქალის მხურვალე სირბილეში, როგორც თაფლში — თითი, თავისთავად, ძალდაუტანებლად, სასიამოვნოდ. მთელი არსებით მინებდა, გაუყუჩდა ამ უცნაურ შეგრძნებას, მაგრამ მაინც აწუხებდა რაღაცა, გაურკვეველი, უხილავი, საიდუმლო, დაჟინებით მთხოვნელი ყურადღებისა და ამაფორიაქებლად უჩვეულო, როგორც კბილის ამოღების შემდეგ პირის ღრუში გაჩენილი სიცარიელე. დუსამ მხარს ზემოდან შემოხედა გაკვირვებული და გაღიმებული თვალებით.

— ეგეც შენი კამფეტი. — თქვა პეტრემ.

დასასრული იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფრიდონ ხალვაში

ცნობილ ქართველ პოეტს ფრიდონ ხალვაშს შეუსრულდა დაბადებიდან 50 წლისთავი.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია, მრავალათასიან მკითხველთა სახელით, გულითადად ესალმება მას ამ თარიღთან დაკავშირებით და უსურვებს მრავალ და მრავალ გამარჯვებას შემოქმედებით სარბიელზე.

## ბ ა რ ა თ ი

დიდი ხანია, მეგობარო, ველი შენს ბარათს,
მოდი, ნუგეშით მოვკლათ სევდა ამაოების,
მომნატრებიხარ, მოგონების კალათით დამაქვს
ვაზის ფოთლებში შეხვეული საღამოები.

ჩვენს წრფელ საუბრებს ვერ გაჯიჯგნის ვერვინ ქილიკით,
მოვფაროთ სული სიყვარულით, არა ობითა,
პატიოსანი და ჭკვიანი ჩვენი ლირიკა
ასე საჭირო, ასე მძაფრი ჯერ არ ყოფილა.

ნუ დამივიწყებ, მეგობარო, მომწერე, მენდე,
დე იყოს დარდი, დარდი განა უნდა დამალო?
ალალი გულით უწრფელესად ნათქვამი ერთხელ
სიტყვა ტკივილებს დაედება, როგორც მალამო.

არ შეიძლება დაემალო დღეთა ხმაურებს,
თუნდ აგიზგიზოს თმა ჭაღარის ჭიაკოკონამ,
სულიდან სულში სიტყვის მადლი გვამოგზაურებს,
ყოველი წამი სიცოცხლისა მართლაც ოქროა.

გესმის სიმღერა, ველები რომ გადიჯირითა?!
ადამიანებს, გზებს და მინდვრებს ეშხი მოფინა,
პატიოსანი და ჭკვიანი ჩვენი ლირიკა
ასე საჭირო, ასე მძაფრი ჯერ არ ყოფილა.

●

ცოდვა დამედო ყველა ნამაზის, —
მე უშენობით ვიყავ მარხული,
შენ შეგინახე მთელი სამასი
წლის სიყვარული და ჭირნახული.

როგორც გონიო, როგორც ყინწვისი,
როგორც შატბერდი, როგორც ხახული,
შენი ჰაერის ქროლაში ვიწვი
და შენს ფუძეში ვარ ჩამარხული.

გადაიდარებს, გადაიავდრებს,
ყანა ბიყრის სავსე თავთავებს,
მე შენი ბინის ვარ მობინადრე,
შენზე ოცნებას ვერ გავათავებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ რ ო

*დრო — სოფლის სახელია*

იქ, ზემო აჭარაშია ერთი სოფელი — დრო,
აქ არვის აწყენინებენ, არც არვინ არვის მტრობს,
პატარა არი და მაინც დიდია, როგორც დრო.

სოფელსაც ქვეყანასავით თავისი ბედი აქვს,
მწიფდება ყანა-ბაღჩები,
ხევში წისქვილი ფქვავს,
ხალხის ძველი და ახალი ატყვია ყოველ ქვას,

ყველაზე უფრო დიდ კაცად თვლიან
აკვანის მთლელს.
გლეხი მღიმარი ჭიშკართან
გულს მოგაგებებს მთელს,
ხვნა-თესვა თუა, მაშინაც შენ გაგიმართავს ხელს.

იყო, გათელვის დროც იყო,
ვერ გადაგვთელეს სულ,
ჩამოვარდნილი ფოთოლიც ჩიოდა — ქკნობა მძულს,
ჟამი იმედის ცეცხლებით ექსოვებოდა სულს.

რა სისხლიანი დრო იყო,
დრო დაქცევია თავს,
ადვილი არის სიმღერა, ახლა რომ
მზე გულს რთავს.

შედექი, ყური მიუგდე, —
ხმა დროთა დუმილს ძლევს,
სად გაიგონებ სიმღერას ასე ძველსა და მწველს,
რომ ვერასოდეს მოკლავენ აქ დღეებსა და წლებს.

მთებიდან გადმომცქირალო,
კოხტა სოფელო, დროვ!
თავზე მადინე შენი მზე და ვარსკვლავების გრო,
რომ მეტი ეშხით ღვიოდეს,
რასაც ვამბობ და ვგრძნობ.

## ქოჩახელა

*ქოჩახელა მეჭიბონე იყო.*

ვაზი ოდეს მოჩეხილი
კვლავ ალბობდა ცრემლით ჭიგოს,
ქოჩახელა, ქოჩახელა,
როგორ ატირებდი ჭიბონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ ჭანგში განზანილი,
ცარიელი იყავ გული
და ხიხანის ამბავივით
ხეობებში ჩაკარგული.

კაპანებში ჩაირბენდი,
აღვიძებდი ჭიბნით ფაცხებს,
არვინ გყავდა ხალხის მეტი
წინამძღოლი, მხსნელი, მაცნე.

●

რამ დამაღონა,
ვინ დადაღა შუბლი ამ კოცნით?
ვინ მომელანდა,
ვინ მემდურის,
გული რად მწყდება?
ო, დედაჩემო, რა შორსა ხარ,
რომ რჩევა მომცე,
ნუ მესიზმრები ყოველღამე,
ამას გთხოვ, დედა.

## წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა

ხალხურ მოტივზე

„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა,
ალვის ხის ჩამონათალი“,
რა ვქნა, კარშო, გული ისევ
შენი გულის მონად არი.
სულში ისევ ავდარია,
მითხარ, როდის მოვა დარი,
ვაი, წყალი მწყურებია
შენი დოქით მონატანი.

მართალია, ცხოვრებაში
სიხარული ბლომად არი,
მაგრამ სხვაა სიხარული,
როცა მოვა სატრფო ქალი.
თუ არა და მდინარესაც
ეტყვი, დარდი ომად არი,
„წყალო, დადექ და მითხარი
საყვარლის შემონათვალი“.

ლადო სულაბერიძე

## წარწერა წიგნზე

„დათა თუთაშხია“

ცხოვრება უნდა ზურგით აგეზიდა
მზით,
ღრუბლებით,
წვიმებით,
თოვლით.
დაკბენილიყავი ავი ნაგაზითა,
დამწვარიყავი ვარვარა თონით

სამოთხეც უნდა გეხილა,
        ჯოჯოხეთიც,
გულთან მოგწვდენოდა ქვესკნელის ლავა.
ხმალი მოგხვედროდა ჯოჯო მხედრის
და ხმალი გადამტყდარიყო თავად.

ღმერთიც ყოფილიყავ,
        სატანაცა,
მერე ქცეულიყავ კაცად.
როგორც ნაკვერცხალზე მოდებულ ნაცარს,
ექრე საწუთროს ნაცარს.

გეცოცხლა უმამულოდ,
        უთვისტომოდ,
გალეწილს ბობოქარ ზვირთით.
ხარივით გეთრია გუთნისტოლა,
ბელტებში გაჩხერილი ტვირთი.

დაგქცეოდა ციხე-გალავნები.
გაგქცეოდა შემდრკალი ჯარი,
გაგცვეთოდა გზებზე ქალამნები,
მუხლზე შემოკრული ქარი.

ჩაგწყვეტოდა იმედის ბილიკები
სასოწარკვეთის ნაპრალის პირას.
გეთრია სიზიფეს დიდი ქვები
არწივთა მთებისკენ მზირალს.

უნდა ყოფილიყავ გმირიც და ლაჩარიც,
გეგემნა ღალატის გემოც.
დაგწვოდა ქოშების ლანჩანი,
ჩალველფილ ღადარზე გევლო.

უნდა გეციმციმნა იაშიაც,
უნდა გებუბუნა მუხაშიც.
უნდა გებულბულა ცათა წიაღშია,
ხმა გაგმეხებოდა უხეშიც.

გეფშვნა ხმელი ბელტი მიგვალული.
გეცვითა პერანგი ხამი.
გეღვარა ცრემლი სიყვარულის,
გესვა სიძულვილის შხამიც.

რომ გაგეძერწა ქართული აზრი
ამ წიგნში — ნასათუთარშია.
მხარზე კეთილი ფრინველი აზის
დათა თუთაშხიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მაღლაფერიძე

# „ბაულ ბავხე“

ხალდელი ვაჟკაცების ნათელ აჩრდილებს
მათი დაღუპვის ასი წლის თავზე უძღვნის ამ წიგნს

ავტორი

## პროლოგი

ინანა რომ შუმერელთა ქალღმერთი, სიყვარულისა და ნაყოფიერების ღვთაება იყო, პირველად მაშინ გავიგე, როცა ფოლკლორის ცნობილმა სპეციალისტმა, პროფესორმა X-მა მითოსის პრობლემებზე სემინარული მუშაობა დაგვაწყებინა. მანამდე კი, ინანა, ერთი თანაკურსელი ქალიშვილის ოდნავ ახირებული, თუმც ლამაზი სახელი მეგონა მხოლოდ.

მოხდა ისე, რომ ფოლკლორულ სემინარში მუშაობა ჩვენ ერთად მოგვიწია. ოთხნი ვიყავით: ინანა, ჟანგო, თამაზი და მე. სწორედ მაშინ გავიცანით ერთმანეთი შედარებით ახლოს.

პროფესორმა X-მა სახელები — ინანა და თამაზი რომ ამოიკითხა ჟურნალში, გულღიად გაიცინა: რაკიღა ინანა და თამმუზ აქა გვყოლია, ერთმა თქვენგანმა ენქიმდუობა გასწიოს, მეორემ იგილგამეშოს და შუმერელთა მითოლოგიის პერსონაჟები აუდიტორიაში თითქმის სრულად მოგვიგროვდებაო — თქვა.

მაგისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჟანგო რომ ინანასადმი გულგრილად არ იყო განწყობილი, მშვენივრად ვხედავდი.

ერთხელ გავეხუმრე კიდეც:

წესით, შენ უნდა გერქვას-მეთქი თამმუზ — ინანას მარადიული სატრფოს სახელი, მაგრამ ჟანგომ შორს დაიჭირა და შუმერული მითოსიდან ერთი ეპიზოდი გაიხსენა:

„და გადაწყვიტა ინანამ, რომ მხოლოდ თამმუზ, რომელიც მან ყელამდე აღავსო ვნებათა მომხიბლაობით, დათანხმდებოდა მიწისქვეშეთში მისი მაგივრობა გაეწია. არა, იგი არ იკადრებს უარჰყოს სატრფოს ვალი! ინანას სარეცელზე ნაგემები არგაგონილი სიხარული ხწორედ მან უნდა ზღოს საკუთარი სიცოცხლით...

და მივიდა ინანა ტახტზე მჯდომ თამუზთან, თვალები შუბებივით მიაბჯინა და მის გაყინულ მზერაში აშკარად ჩანდა სიკვდილი.

წამსვე ყოველივეს მიხვდა თამმუზ, გაფითრდა და ხელები აღაპყრო ზეცისაკენ მზის სხივებით რომ იყო გაბდღვრიალებული, დახმარება შესთხოვა უთუს ძმას თავისი გულქვა სატრფოისას, მაგრამ არ ისმინა სხივოსანმა უთუმ თამმუზის ვედრება და არმურმა დაჰფარა ზეცა.

მაშინ უსიტყვოდ, უკვნესრად დაემხო მიწაზე თამმუზ და ერეშქიგალის მრისხანე მცველებმა გააქანეს ივი თავიანთი ბატონის საბრძანისში“.

რაღა მეთქმოდა?

აშკარა იყო, ჟანგოს არ ხიბლავდა უღვთოდ განწირული თამმუზის ბედი. ნება მიხი გახლდათ, ამ საქმეში, თამაზისა არ ვიცი და, მე ხული არა მქონდა.

პროფესორ X-თან მეცადინეობამ ერთი სიკეთესაც მაზიარა: კარგად მახსოვს, ცნობილი ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის, ბესარიონ ნიჟარაძის სახელიც მისგან გავიგე პირველად. რაღა თქმა უნდა, მერმე ბესარიონის წიგნებსაც გავეცანი. შემდგომ ეს წიგნები არაერთხელ გადამიკითხავს, მაგრამ პირვანდელ შთაბეჭდილებას რაც მიემატა, თორემ არა მოჰკლებია რა. მისი წერილები, მეცნიერულის გარდა, წმინდა მხატვრული ღირსებებითაც გამოირჩევა და არასპეციალისტ მკითხველსაც მოუბეზრებელ სიამოვნებას ანიჭებს.

ორივე ტომს ავტორის სურათი აქვს დართული:

ერთზე ჭეელი ბესარიონია გამოსახული — სასულიერო სემინარიის სტუდენტი. ევროპუ-

---

იბეჭდება ნაწყვეტები. მთლიანად წიგნს გამოსცემს „ნაკადული“.

ლად გამოწყობილა, გახამებულ ხალილოზე ბალუ-
ნა დაუბნევია და სხივიანი, ხათნი თვალებით
ავიუურებს ჭკვიანშუბლიანი ახალგაზრდა.

მეორე სურათიდან მიქელანჯელოს „მოსეს"
მსგავსი ბერიკაცი იმზირება. თვალთა კალოებ-
თან წვრილ-წვრილი ნაოჭები შესევია, ტუჩები
კერპული სიჯიუტით მოუკუმავს, ხოლო სპეტაკი
წვერი მკერდზე სცემს. მრიხხანედ დაკოხილსა
და მუშტივით შეკრულს, ზედვე ეტყობა, რომ
ცხოვრების ვაივაგლახში გამომწვარა, გარნა არ
დაშაშრულა, პირიქით, გაკლდევებულა და მღვი-
ძარება სულისაა არ ჩაბუუტვია.

სწორედ ასეთი კაცი თუ გასწევდა ძნელბედ
ვითარებაში მამულიშვილისა და სწავლულის
უმძიმეს ჭაპანს.

როგორც მერმე გავიგე, ნახევარ საუკუნეზე
მეტ ხანს ეფარა ფარად მშობლიურ კუთხეს
ბესარიონ ნიჟარაძე და ილიასეული „ივერიის",
მესხისეული „დროების" თუ სხვა ჟურნალ-
გაზეთების მეშვეობით სვანეთის ჭირ-ვარამს აც-
ნობდა დედა-საქართველოს, რითაც პირნათლად
მოუხდია ერისკაცული ვალდებულება მამულის
წინაშე, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

ბესარიონის თხზულებათა მეორე ტომში ერ-
თი ნარკვევია მოთავსებული: „სვანეთის აღელ-
ვება 1875—1876 წლებში". ნარკვევი 1892
წლის „ივერიის" ნომრებში დასტამბულა „თა-
ვისუფალი სვანის" ფსევდონიმით.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესორი სვანუ-
რი მითოსის საკითხებზე გვამუშავებდა, ამ
ნარკვევმა მაინც ყველაზე მეტად დამაინტერე-
სა მაშინ. ბეს. ნიჟარაძის წყალობით ჩემს ცნო-
ბიერებაში შუქმიბუნდვით ჩასახლდნენ ძვირ-
ფასი სახეები მამულისათვის ზვარაკად მიტა-
ნილი ხალდელი ვაჟკაცებისა.

ხალდე!

კოშკებდაქცეული ხალდე!

თურმე ამ პაწია სოფელმა, საქართველოს
რუქაზეც რომ არ არის აღნიშნული, ასი წლის
უკან ფიცხელი ომი გაუმართა თეთრ იმპერა-
ტორს არსებობისა და კაცური ღირსების დასა-
ცავად.

ბეს. ნიჟარაძე თვითმხილველი იყო ამ სისხ-
ლიანი დრამისა.

მას ბედმა არგუნა, წინასწარმეტყველი იერე-
მიას დარად, გოდების კურცხლები დაეფრქვია
იავარქმნილი ხალდესათვის.

ახლა მიჭირს გავიხსენო — პირველად ვინ
მითხრა: ხალდე ერთადერთი სოფელიაო დედა-
მიწის ზურგზე, რომელმაც ვაჟკაცობის სადი-
დებელი ჰიმნი შექმნა: — „გაუღ გავხე".

ან ეს ლეგენდა ვინ მიამბო:

ჟამსა მთვარის აღვსებისა, ხალდეს მოვერცხ-
ლილ ყინვარზე თეთრად შემოსილი ბერიკაცი
გამოჩნდებაო, დაიჩოქებს, ხელებს სასოებით
აღაპყრობსო და ლოცულობს ასე:

ოი, დიდო ღმერთო, მოგვმადლე ნიჭი ჩვენ-
თა მთათა სამუდამო ერთგულებისა. ნუ ნუ
გამოგვყიხმობ არმურითა და მჭვარტლიანი, ნუ
წარგვტაცებ საკუთარი მიწა-წყლით აღტაცების
უნარს, ნუ შემოგვიჩენ ეჭვის მსახვრალ ჭიას.
უღირსნი ნასხლეტნი დიდებულ წინაპართა, ისე
გვატარე მათს მონაგარ მამულში, სირცხვილით
ფერხთა ქვეშე მიწა არ გვეწოდეს. მოგვეც ძა-
ლა და ისე გვაბრძოლე თუნდაც ერთი ქართუ-
ლი ქოხისათვის, ვით იბრძოლეს ქედუდრეკმა
ჩვენმა წინაპრებმა. ისევე ამაყად გვამღერე გაუ-
ხუნარი ჰიმნი თავისუფლებისა — „გაულ გავ-
ხე", როგორც ჩვენმა პაპებმა სჭექეს ოდესღაც.
ღმერთო ძლიერო, მოგვმადლე ყველაზე დიდი
ნიჭი: — ნიჭი მამულისათვის თავგანწირვისა.

ოი, დიდო ღმერთო, ჰყავ ესრეთ!

. . . . . . . . . . . . . . .

ხალდელთა ულრმესი რწმენით, ეს ბერიკაცი
სხვა არავინაა, თუ არ საქართველოს თანამდე-
ვი უკვდავი სული!

* * *

ხალდე და ხალდელთა ჯანყი ჩვენი სტუდენ-
ტური საუბრების მუდმივი თემა შეიქმნა. მერმე
როგორღაც თავისთავად მოგვივიდა აზრი, რომ
ერთად წავსულიყავით სვანეთში. არდადეგები
ახლოვდებოდა, მეხამე კურსი უნდა დაგვე-
ხურა. გადავწყვიტეთ ზაფხულის სტიპენდიები
ამ საქმისათვის მოგვეხმარა უკლებლივ და რა-
კილა მთაში ნავალი მხოლოდ მე აღმოვჩნდი
ჩვენ ოთხშორის, მგზავრობის ორგანიზაციაც ძა-
ლაუნებურად დავივალე.

პროფესორმა X-მა დიდად მოგვიწონა განზ-
რახვა. მუხლი რომ ძველებურად მომდევდეს,
უეჭველად გითავკაცებდითო, გვითხრა და და-
უმატა:

— მოგეხსენებათ, 1975-76 წლებში სრულდე-
ბა ასი წელი, ბ. ნიჟარაძის სიტყვებით რომ
ვთქვათ, „სვანეთის აღელვებიდან", რასაც, იმე-
დია, ფართოდ გამოეხმაურება ჩვენი საზოგა-
დოება. ამიტომ კარგი იქნება, თუ იმ ადგილებს
მოივლით და მოიხილავთ, ისტორიულად ხალ-
დეშობასთან რომ არის დაკავშირებული, ჩაი-
წერთ ზეპირგადმოცემებს, ლეგენდებს, ლექ-
სებს, ტოპონიმებს და სამეცნიერო კრებულო-
სათვის მომაწოდებთო.

ჩვენ, რაღა თქმა უნდა, აღვუთქვით.

ერთი სიტყვით, საქმეს თითქო იმთავითვე
კარგი პირი გამოუჩნდა, მაგრამ იყო ერთი გა-
რემოება, რომელიც პირადად მე, საკმაოდ მა-
ფიქრებდა: ჩვენ ხომ, შეიძლება ითქვას, არ
ვიცნობდით ერთმანეთს, თუ იმას არ ჩავთვ-
ლით, რომ ზოგი ლექცია, ამ სამი წლის
მანძილზე ზიარად გვეკითხებოდა.

მოარული ჭეშმარიტებაა: მთაში ადამიანის
ხასიათი, მისი კარგიც და ავიც, სისრულით გაც-

ხალდება ხოლმე. ერთიც ვნახოთ და, ჩვენი ოთხკაციანი კოლექტივი ვერ აწყობილიყო და შეკრულიყო, მაშინ?

ეს ეჭვი ხმამაღლა არ გამომითქვამს, მაგრამ გულში ფარულად კი მიჩურჩულებდა. ასე იყო თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს, ქვემო სვანეთის გავლით, ლატფარის უღელტეხილისაკენ ავიღეთ გეზი.

დიახ, ადგილზევე უნდა გვენახა ლეგენდარული ხალდე და ხალდელები, რომლებმაც უკანასკნელი დიდი ომი ამ ასი წლის უკან ვადაიხადეს ღირსეულად.

## ჭიცი

Так буйную вольность законы теснят,
Так дикое племя под властью тоскует,
Так ныне безмолвный Кавказ негодует,
Так чуждые силы его тяготят...

**А. С. Пушкин.**

ამბავი ესე დაიწყო ქორონიკონს ჩ უ ო ე წელსა, თიბათვეს. მაშინ, როცა მკლავღონიერი ვაჟკაცები სათიბში უნდა იყვნენ გასული, ისმოდეს ცელთა სხიპილი და იდგეს ახლადნათიბი ალერდის მოტკბო სურნელება.

ზემო სვანეთის ბოქაულმა თავადმა მიქელაძემ სრულიად განსხვავებული რესკრიპტი მიიღო მთავრობისაგან. ალეწერა ადგილობრივ მცხოვრებთა მიწები და სავარგულთა ზუსტი ოდენობა, სადაც ჯერ არს მოეხსენებინა. რაღა თქმა უნდა, მიწების აღნუსხვას მათი დაბეგვრა უნდა მოჰყოლოდა. ამას მშვენივრად მიხვდა ბოქაული. იგი საკმაოდ იცნობდა სვანების ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებსა და ხასიათებს, ალლო აილო, რომ მთავრობის ეს ღონისძიება მრავალ უსიამოვნებას გადაჰყრიდა პირადად მას, მაგრამ ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებას ვით გადაუვიდოდა! აფხაზური ლაფშა შეაკაზმინა და ოცი ჩაფრის თანხლებით საბოქაულოს ჩამოვლა დაიწყო. მივიდოდა რომელიმე თემში, მამასახლისს გლეხობას შეაქუჩებინებდა, ხელმწიფის ბრძანებას მოკლედ გამოაცხადებინებდა და მოკლედვე დაუმატებდა:

„მალე თვითონვე დავივლი ყველა თემს და მიწების გაზომვას შევუდგები".

სოფლებს ჩუმი მითქმა-მოთქმა და ზრიალი მოედო. აფორიაქებულმა ხალხმა საქმეს თავიანება, ბოქაულის მიერ უწყებულის განსჯას მიჰყო ხელი. სამჭედლოებიდან აღარ ისმოდა ურომების ბაყუნი და წვრილი ჩაქუჩების კაკაკუკი, აღარ ნალავდნენ ცხენ-ხარებს, სათიბებში წელამდე მოყელყელავდა მსუყე ბალახი, თიბვისთვის აღარავის ეცალა ამ გაგანია თიბვის ჟამს. ყველას ერთი და იგივე ეკერა პირზე: რა უნდა მთავრობას ჩვენგან? რად გვიწერს მიწებს? მიწა თუ დაგვიბეგრა, რაღაა ჩვენი სიცოცხლე, მთაში ხომ ისედაც ხელისგულის სიფართეა სახნავ-სათესი? შიმშილით უნდა დაგვწყვიტოს? ვილაცეები ჩუმჩუმად დაძვრებოდნენ სოფელ-სოფელ და იმასაც ამბობდნენ, ლამის მიწა კი არა, სვასტაგიც უნდა აღწეროს და დაბეგროსო. ზოგი კიდევ უფრო აგზნებდა ცეცხლს: ხელმწიფეს სვანთა აყრა და გადასახლება სწადია იმ მხარეში, სადაც მხოლოდ ტრიამალი ველებიაო. არც მთა, არც ტყე, არც ჩუხჩუხა ვეძა, არც თოვლ-ყინულიანი საჯიხვეები.

არა, ამის მოთმენა აღარ ეგებოდა!

ეჭვის, შიშისა და აღშფოთების ტალღა პირველად მულახში აიზნიქა. გლეხები ფიწლებს, ხანჯლებს, თოფებსა და ცელებს იქნევდნენ და ყაშყაშებდნენ გაუთავებლად. მომსკდარი მდინარე გზა-სადინელს ეძებდა, ერთ ადგილას ბუღრაობდა. და მაშინ წინ წამოდგა მამასახლისი ყასბულათ შერვაშიძე. კაცი საკმაოდ შეხნიერებული, ცნობილი, ვითარცა გონიერი და მჭევრმეტყველი. მისმა ხაფმა ხმამ ყველა ერთ ადგილას გააქვავა:

„ზედმეტი აყალმაყალი რას გვარგებს, ხალხნო? შევატყობინოთ ჩვენი აზრი თავისუფალი სვანეთის დანარჩენ სოფლებს. თუ ისინიც მხარს დაგვიჭერენ, არზა მივართვათ მთავრობას და ვთხოვოთ, ნუ გაგვიმეტებს დასაღუპავად. მაგრამ ვინძლო მაინც დაგვიპირეს მიწისა და საქონლის დაბეგვრა, მაშინ კი შევერთდეთ და ძალას ძალა დავახვედროთ!"

აზრი ჭკუაში დაუჯდათ. მაშინვე გამოჰყვეს კაცები და არზის შედგენა დააკისრეს. ამ არზამ ფეხმარდი ახალგაზრდების წყალობით რამდენიმე დღეში მოირბინა მთელი ზემო სვავი და ყველა საზოგადოებისაგან დასტურის ბეჭედი მიიღო. ასე დაბეჭდილ-დამტკიცებული არზა წარუდგინა რამდენიმე საპატივცემულო მოხუცმა ბოქაულ მიქელაძეს ბეჩოში.

ლაპარაკი ძალზე მოკლე გამოდგა. მიქელაძემ არზა ბოლომდე არც ჩაიკითხა და მოხუცებს უთხრა:

„ხალხს ჭკუასაკითხავ კაცებად მიუჩნევიხართ და იმდენი კი არ იცით, რომ ხელმწიფე-იმპერატორს თქვენი ნაჯლაბნის საკითხავად არა სცალია. მე მიბრძანეს მიწების აღწერა და აღვწერ კიდეც, რამეთუ მთავრობას ასე სჭირდება! წადით, თავისუფალი ხართ!"

არზა შუაზე გადახია.

ეს ამბავი ელვისუსწრაფესად მოედო მთელ სვანეთს. ახლა კი მართლა აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ მთავრობას შავბნელი განზრახვა უდო გულში და მალე შეთოფიარაღებულმა ხალხმა კალის წმ. კვირიკეს ეკლესიისაკენ იწყო დენა. მოდიოდნენ ლატალისა და ლენჯერის, მესტიისა და მულახის, იფარის, კალისა და უშგულის რჩეულნი. მთის ორწოხებში ჩამჯდარი ხალდე, წამახული შუბებივით აწვდილი თვრამეტი კოშკი რომ ამშვენებდა, კალიდან მოშორებით მდებარეობდა იქ სავანგებო შიკრიკი აფრინეს.

ლალხორის მინდორზე მოიყარეს თავი.

ძველთაგანვე ასე სჩვეოდათ: თუ რამე საზოგადო იყო გასაბჭობი და გადასაწყვეტი, მთელი ზემო ხევი, ანუ თავისუფალი სვანეთი, კალის წმ. კვირიკეს ეკლესიაში იკრიბებოდა. აქ წყდებოდა გადალმელებზე გალაშქრების, წაკიდებულ საზოგადოებათა შერიგებისა თუ მოსისხლეობის საკითხები. ყრილობაზე გამოტანილ და წმ. კვირიკეზე ფიცით დადასტურებულ გადაწყვეტილებას უმტკიცესი კანონის ძალა ჰქონდა.

ასე იყო ძველად, სულმნათი დავით აღმაშენებლისა და დედა თამარის ჟამს. ასე იყო მერმეც წყვდიადით მოცულ, ძნელბედ საუკუნეებში და ასე იყო ახლაც, თუმცა კი საქართველოს შინაურ და გარეულ საქმეებს, მერვე ათეული წელი სრულდებოდა, თავის ნებაზე განაგებდა თეთრი ხელმწიფე.

ეს მოხდა ქორონიკონს ჩ ყ ო ე, თიბათვეს, მაგრამ იმ ზაფხულს თიბვისთვის არავის ეცალა. ორიათასამდე შეთოფიარაღებული მამრი ლალხორის მინდორზე იყო შექუჩებული. კარგ სანახავს წარმოადგენდა იარაღში ჩამჯდარი მთიელთა ლაშქარი. მზეზე ბრწყინავდა კუთხვათოფების ლაპლაპა ლულები და საკმარისი იყო ერთი დაძახილი, რომ ორიათასი თოფოსანი მრისხანე ძალად ქცეულიყო. ახალგაზრდები დაუყოვნებლივ ბრძოლის დაწყებას მოითხოვდნენ, ბეჩოს გარნიზონსა და ბოქაულს უსრჭენდნენ კბილებს. ვითარება დაიძაბა, მაგრამ ერთმა ლატალელმა მოხუცმა, გინადრუყვ ფარჯიანმა გზა გადაულობა გამძვინვარებულთ:

„ხათრი დასდეთ ჩემს ჭაღარას და გამიგონეთ! აღელვებით საქმე არ გაკეთდება. ავირჩიოთ მოლაპარაკე, კარგად გავიგოთ რაშია საქმე, მოვიფიქროთ რა გზას დავადგეთ. ჯერ ისეთი გაჭირვება არა მოგვსვლია-რა, რომ მაინცა და მაინც თავი გავიმეტოთ და თუ შემდგომში რაიმე განსაცდელი მოგველის, მაშინ თავს ნურავინ დავზოგავთ, პირველი მე გაგიძღვებით და დიაცის ლეჩაქი დაეხუროს იმას, ვინც გაჭირვებაში უკან დაიხიოს!“

მოხუცის ნათქვამმა თავისი გაიტანა, ახალგაზრდობა ოდნავ დაშოშმინდა. ვიღაცამ მოლაპარაკედ კვლავ ყასმულათ შერვაშიძე დაასახელა და მასაც ბევრი აღარ უფიქრია, მინდვრის შუაში დიდ ლოდზე შედგა — ყველას დასანახად:

„ხმენა და გაგონება, სვანეთის ჩენილნო!“ — დაიძახა და ჩინჩხლებივით გადმოაპნია სისხლის ამადუღებელი სიტყვები, — „ჩვენ ყველას გვინდა სიცოცხლე და არა მთავრობასთან ბრძოლაში სიკვდილი, მაგრამ თუკი გაჭირდა, რა გაეწყობა, ვაჟკაცს სახელოვანი სიკვდილი შეშვენის და ყველანი ვაჟკაცურად უნდა დავიხოცოთ. ჩვენ რუსებს ნებაყოფლობით შევუერთდით, მთავრობა გვპირდებოდა გაბედნიერებას, მაგრამ მისი თამასუქები არ განაღდდა. კარგად ვიცით მთავრობის დაპირებებს რა ფასიც აძევს, მაგრამ მაინც არავითარი წინააღმდეგობა ხელმწიფისთვის არ გაგვიწევია. გამოგვიგზავნეს მღვდლები — მივიღეთ, დაგვინიშნეს პრისტავი — მივიღეთ, შემოიღეს გადასახადები — ვაძლევთ. ასეთ გადასახადებს სვანეთი არასოდეს არ იხდიდა და ძალიან მაკვირვებს მათი შემოღება იმ დაპირებების შემდეგ, რითაც ჩინოვნიკებმა ყურები გაგვიჭედეს. ჩვენთვის ჯერ ზარალის მეტი არაფერი მოუტანიათ და რაღა პირით გვთხოვენ რამეს? მაგრამ... მთავრობის მოქმედება, ცხვარმა რომ თხას მატყლი სთხოვოს, სწორედ იმასა ჰგავს. ახლა ახალი განკარგულება მივიღეთ მიწების აზომვის თაობაზე. ჩვენს შეკითხვაზე ბოქაულმა დამშვიდებული პასუხი არ გვაღირსა და მოკლედ გვითხრა: „ასეთია განკარგულება და ალბათ საჭიროაო“ მე მჯერა, რომ ეს მთავრობისთვის საჭიროა, მაგრამ ჩვენთვის? ჩვენთვის თუა საჭირო, ნეტა? მიწის გაზომვით ფიქრად აქვთ მიწაზე გადასახადების დადება და ბარემ სჯობია ერთ დღეს გავწყდეთ, ვიდრე მთავრობის ამ განზრახვას შევურიგდეთ! მე დავამთავრე ჩემი სათქმელი!“

„არ მივცემთ!“ — იგრგვინა ხალხმა, — „არავითარ ლალას არ მივცემთ!“

„ვიბრძოლებთ, თავს არ დავზოგავთ!“

საბრძოლო მზადყოფნის ნიშნად ორიათასი თოფი ერთბაშად დაიცალა.

მაერი დენთის სუნით გაიჟღინთა, ზეცა დაიბურა ყომრალი კომლით.

ხალხმა იცოდა, ასე იოლად არ შერჩებოდა ჯანყი. ამიტომ გაბჭო და დაადგინა:

ლატფარზე, საიდანაც დამსჯელი ლაშქრის შემოსვლა იყო მოსალოდნელი, რჩეულ ვაჟკაცთაგან შემდგარი რაზმი ჩაეყენებინათ. იქ, თუ ტყვია-წამალს არ გამოილევდა, ერთი კაცი თავისუფლად გაუმკვლავდებოდა ათსა და მეტსაც.

მცველთა დაყენება იყო საჭირო ბალის ქედზეც, რომლის გადაღმა ეცერის მთავარი თენგიზ დაჩქელანი იალმასებდა ლოჯებს და ოდესღაც უშგულელთაგან ტყვიით გაფალარათებული ზვიადი წინაპრის, ფუთა დაჩქელანის სისხლის ზღვევინებაზე ოცნებობდა. იმპერატორის სამსახურში აღზევებაც ენიაზებოდა გაყვინიზებულ თავადს. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ბეჩოში ჯარის ფეხოსანი გარნიზონი იდგა და ქუთაისიდან სამოქმედო ნიშანს ელოდა.

ყრილობის ეს გადაწყვეტილებაც ხალხმა კმაყოფილი ყიჟინით მიიღო.

ახლა ყველა თოფოსანს ფიცი უნდა დაედო, რომ საზოგადო საქმეს არ უღალატებდა, სისხლის ბოლო წვეთამდე ერთგული იქნებოდა ყრილობისა.

ხატის მსახურმა, კალელმა ფანგანმა, უძლიერესი და უწმინდესი „შალიანის“ ხატი ჩამოასვენა ტაძრიდან. უკან მხცოვანი ბაპები მოჰყვე-

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე
„ბაულ ბავხე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნენ ნალახვერი დროშებით. როცა საბურავი შემოხსნეს და თაგუნდებით მოოქვილმა ხატმა გამოანათა, მთელმა ყრილობამ ქუდი მოიშვლიპა, მიწაზე დაემხო და პირჯვრის წერას მოჰყვა.

ორმა ბაბმა მიჯვრა აიღო, ხატის მსახურმა „შალიანი“ ზედ ჩამოჰკიდა და თქვა:

„თავისუფალი სვანეთის შვილნო! უთანასწორო ბრძოლა მოგველის. ბევრი ჩვენგანი ველარ მიუვა ოჯახს, ველარ დახნავს მიწას, ველარ ინადირებს და ველარც საქონელს მოუვლის. მტერსა და ავს სირცხვილჭმული სიცოცხლე, მაგრამ სული მაინც ტკბილია და, უნებლიედ რომ არ გვძლიოს სისუტემ, შევფიცოთ ხატს, რომ ერთგულნი ვიქნებით საერთო საქმისა!“

„ამენ„ შევფიცოთ! დავიფიცოთ!“

ხატის მსახურმა ხელი ასწია, დუმილი ჩამოვარდა მყისვე.

„ვინც განსაცდელის ჟამს საზალხო საქმის ორგული აღმოჩნდეს, გარისხოს ყოვლადძლიერმა „შალიანის“ ხატმა, განიკვეთოს ჩვენგან, ვითარცა ბილწი რამ არსება კეთროვანი!“

„ამენ!“

„პურის მაგივრად ქვა ეღრღნას, წყლის მაგივრად შხამი ესვრიპოს, დედის წყევლა არ გამოლეოდეს, ცოლის მაგივრად უნახს მისწოლოდეს!“

„ამენ!“

„ნადირობისას მიზანი მოეცაროს, ხვნისას გუთანი შემოატყდეს, თიბვაში ბალახის მაგივრად საკუთარი შვილებისათვის დაეჭრას ყელები!“

„ამენ!“

„გულაფშუტასავით ფშრუკე ყოფილიყოს, საკუთარივე გულის ყარტლმა დაახრჩოს, საფლავი გაითხაროს, გარნა მიწამ უკანვე აღმონერწყვოს და ყორანთა საძიძგნი შეიქნას!“

„ამენ!“

ფანგანმა ფაყუ მოიხადა, პირჯვარი გამოისახა, ხატს სასოებით ემთხვია და მის ქვეშ გაძვრა. სხვებმაც მიჰბაძეს. მოხუცი თუ ჭაბუკი, რიგრიგობით მიეახლებოდნენ „შალიანს“, ფაყუს იხდიდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ, ეამბორებოდნენ და მის ქვეშ გაძვრებოდნენ.

ასე მიიღო წმიდა ფიცი ორიათასმა თოფოსანმა. ასე შეიკრა რკინის მრისხანე მუშტად მთელი თავისუფალი სვანეთი.

ყრილობამ ისიც დაადგინა, რომ ერთი მხგეფსის მერმე კვლავ აქვე შეკრებილიყო და წყნარწყნარად დაშლას შეუდგა. ახლომახლო სოფლელებმა თავიანთ ეზო-კარს მიაშურეს, უფრო შორებლები — კალამ და უშგულმა ისტუმრა. სუფრა იქვე, ენგურის ნაპირში, ლალხორის მინდორზე გაიშალა. ხალდელებმა სამი წლის ნასუქი მოზვერი მოიყვანეს დასაკლავად. ექვსი მკლავღონიერი ვაჟკაცი, ექვსი ძმადნაფიცი აკავებდა: ჯოხან, მთმი, ჩერგაზ, გურმაჩ, ხიმდუ, ჩოფე. მეშვიდე, გივერგილ, სანადიროდ იყო წასული.

როგორც იქნა წამოაქციეს და, ხიმდუმ სატევარი გამოუსვა ყელში, მაგრამ ვერ მოზომა თუ რა იყო, ბუღა წამოიწია, ძმადნაფიცები პანტასავით მიჰყარ-მოჰყარა, თოკი დამპალი ძაფივით დასწყვიტა და გაგიჟებული ღმუილით გაენთორიყეს. თან, შავ სისხლს მიათხრიალებდა. ირბინა, ირბინა, უცებ წინა მუხლები მოეკეცა, დრუნჩი ქვებზე დაახეთქა და გაგორდა.

ძმადნაფიცებმა ყიჟინა დასცეს, მოზვერი ასწიეს, კოცონზე აჩუხჩუხებულ უზარმაზარ ქვაბებთან მიიტანეს, ჩამოკიდეს და პრიალა დანებით გატყავებასა და აფეშხოვებას შეუდგნენ.

უშგულელებმა კალელების წილ მარხილებზე დადებული რუმბებით ქერის ორნახადი არაყი მოიტანეს და გაჩაღდა ლხინი. ახალგაზრდები ჯირითში, სროლაში, ლიბურგიელში, ლოდების აწევაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დროდადრო ბერიკაცები დინჯ ფერხულს ჩააბამდნენ, ცეცხლოვან ცერულში რომ გადადიოდა და აქ ხალდელები, რაღა თქმა უნდა, ყველას ჯაბნიდნენ. მათი სიმღერაცა და შუშპარიც თავისებური, მკაფიო და გამორჩეული იყო. საერთოდ, ხალდელებს თავი ოდნავ გოროზად და საკუთარი ღირსების შეგნებით ეჭირათ. მათი წარმოდგენით ყველა სოფელი სოფელი იყო, მაგრამ ხალდე მაინც გამოირჩეოდა — მდებარეობითაც, ხალხითაც, სარჩო-საბადებლითაც, წარსულითაც. არავინ იცოდა, ნამდვილად ჰქონდა თუ არა საფუძველი მათს ახეთ ქედმაღლობას, მაგრამ თავი რომ მართლაც გამორჩეულად მოსწონდათ და კიდეც გაუდიოდათ სხვებთან, ცხადი იყო.

ამ თავყრილობაზეც თითქო თვით ხოშა ღერმეთმა ინება, რომ კიდევ ერთხელ გამორჩეულიყვნენ ხალდელები:

მოლხინარებმა ჯერ ბუნდად, მერმე ცხადად გაარჩიეს, რომ მიჯვრიშის დალმართზე სამი კაცი ეშვებოდა. ორს — ხარიხაზე დაკიდული ჯიხვი მოჰქონდა. მათ მოუძღოდა მთელს ზემო ხევში განთქმული მონადირე — გივერგილა, მხარზე გადებული კუთხვა-თოფით.

ხალდეში გაეგო ხალხის შეკრებილობის ამბავი და ნანადირევით დამშვენებული, პირდაპირ აქეთ წამოსულიყო.

ხარჯიხვი ცეცხლთან დააგდეს.

„მუდამ გწყალობდეს ჯგრაგიცა და დალბედნიერიც, გივერგილა! კიდევაც მრავალი მოგეკლას!“

გივერგილა თანამოძმეებს მოათვალიერებს, ალალად გაიცინებს, თეთრ კბილებს გააელვებს.

„იცოცხლეთ, ძმებო! რა ამბავია, აღარ იტყვით?“

„ხელმწიფეს უნდა ვეომოთ, გივერგილა! ასე გადაწყვიტა ყრილობამ!“

გივერგილა ძმადნაფიცებს მოხძებნის თვალე-

ბით. კლდის ნატეხებივით დგანან: გურმარ, ჩერგაზ, მომი, ხიშლუ, ჯოხან, ჩოფე. გივერგილა კვლავ გაიღიმებს და იტყვის:

„ვეომოთ და ვეომოთ! ეგეც არაფერი!“

საყოველთაო სიცილ-სარხარი ძმადნაფიცების წამოწყებულმა სიმღერამ დაჰფარა. მღეროდნენ ნადიროზის ქალ-ღმერთის, დალ-ბედნიერის სადიდებელ სიმღერას: „დალე კოჩრას ხელღვაჟალე“.

ასე შეიკრა რკინის მრისხანე მუშტად მთელი თავისუფალი სვანეთი!

## ხალდე

შენ რქამოტეხილს ჰგევხარ წიჭარას
შენ ვინ დაგტოვა უკოშკოდ ხალდევ?

მურმან ლებანიძე, „ხალდე“

სოფელ იფრარიდან, სადაც დავით ალმაშენებლის კარის მხატვრის, თევდორეს მიერ ბრწყინვალედ მოხატული ბაზილიკა ჰგიეს, ერთი ბექობის ავლადაა საჭირო და ხალდეც გამოჩნდება. შორიდან იგი ზღვაში შეჭრილი გემის კოხოს წააგავს, თუ ახლოს მიხვალ, ცხადად გაარჩევ ქვითკირის ნაკოშკარებზე აგებულ თანამედროვე სახლებს. ამ სახლებში ძველი ხალდელების ჩამონავალნი ცხოვრობენ და მშვიდად, აუმღვრევლად ეწევიან დღეისდღის ჭაპანს. მეისტორიე ასე აგვიწერს ხალდეს: „კალის საზოგადოებაში (თავისუფალ სვანეთშია), თავისი გარეგანი სილამაზით ხალდე ყველა დანარჩენ სოფლებზედ მაღლა იდგა. ვისაც აქ პირველად ცხოვრება მოუსაზრებია, უეჭველად გაჭირვებას გამოჰქცევია. ქართული თქმა: „მიჰკვრია თავის ადგილს, როგორც ჩიტის ბუდეო“ ხწორედ ხალდეზეა ზედ გამოჭრილი. სოფელი გაშენებულია კავკასიის დიდი ქედიდან განზიდული ტოტის ფერდობზედ. მაღლითგან სოფელს დაჰყურებს რამდენიმე ცხვირა კლდე-გორაკი, ურომლისოდაც აქ სოფლის მოთავსება შეუძლებელი იქნებოდა: ეს კლდე-გორაკები უშლის თოვლს ზამთრობით ზვავად ჩამოწოლას ფერდობიდგან და სოფლის წალეკვას.

აღმოსავლეთით სოფელს მიკრული აქვს კლდიანი ფერდობი. ამ კლდეში გაყვანილია სათივე და სახამოვრე გზა. გზის სივიწროვის გამო იშვიათი წელიწადი იქნება, რომ აქედგან რამდენიმე პირუტყვი და ხანდახან კაციც 15 საჟენის სიმაღლე ხრამში არ გადაიჩეხოს. მაგარი კლდის წყალობით ხალხმა გზას გაფართოება ვერ მოუხერხა. ერთ ხალხურ სიმღერაში ეს გზა, თავის სივიწროვისა გამო, ირონიულად „გოჭიან ნეზვის“ საწოლად არის ნახსენები.

დასავლეთით ფერდობიანი ყანებია. 4–6 საჟენს რომ გაცილდებით სოფლითგან დასავლეთით, მაშინვე იწყება საზვავო ადგილი. არაერთი ხალდეშელი უმსხვერპლია აქ ზვავს.

სამხრეთით სოფელს ჩამოუდის მდ. „ხალდეს ჭალა“, რომელიც ენგურს ერთვის მარჯვნიდან. მდინარეზედ ხალდეშელებს ისეთი მაღალი და საშიშარი ხიდი ჰქონდათ გადებული, რომ [illegible] ზაურებმა „ეშმაკის ხიდი“ დაარქვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანგრევამდე აქ 10 მოსახლე ცხოვრობდა. ყოველ მოსახლეს 1-2 ქვითკირის ორსართულიანი სახლი ედგა და ამდენივე კოშკი. ხალდეშელები ამაყი, მარდი და ჯაფის ამტანნი იყვნენ. ლაშქრობით, თამაშ-ლხინით, სიმღერა-ფერხულით მთელს სვანეთში ტოლი არ ჰყავდათ.

მზე კარგად იყო მომაღლებული, როცა სოფელს მივადექით. ცხელოდა. შემოდგომის ლურჯ ცაზე კოშკების ...

მზე კარგად იყო მომაღლებული, როცა სოფელს მივადექით. ცხელოდა. შემორაგვულ საფუტკრეში მშვიდად ბზუოდნენ ფუტკრები. იქვე, ბოსტანში ჭლაკვი ამობურჩქულიყო. ოთხკუთხ ნაკვეთებად დაყოფილი კარტოფილის ყანები მდინარის ფლატემდე ჩახდევდა. მდინარე ერთმანეთისაგან მიჯნავდა არყნარით შემოსილ მთასა და სოფელს.

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. მჭიდროდ მიჯრილი და ტერასებზე შეფენილი სახლები მზვარეში გარინდულიყვნენ. ჰაერში სიცხით ჩამტკბარი და მოთენთილი დღის ხურნელი ტრიალებდა. აივნებზე, აქა-იქ, სარეცხი იყო გამოფენილი. მოჩანდა სამკითხველოს და სოფმაღის გამოხუნებული აბრები. მსგავს სოფელს საკმაოდ შეხვდებით ხევსურეთში, თუშეთსა თუ ფშავში. თვით სვანეთში ხომ შეხვდებით და შეხვდებით, მაგრამ ეს მაინც ხრულიად განსაკუთრებული და ყველასაგან განსხვავებული სოფელი იყო.

ეს იყო ხალდე!

უბირო კაციც შეატყობდა, რომ სოფელს, ოდესღაც, დიდი ჟამთა ხიავე ჰქონდა ვადატანილი. თვალს ეჩხირებოდა კოშკთა ნაქცევნი, ზედ რომ ჭინჭარსა და ღიყს აეშვა თავი. ახლადნაგებ, სადღაცამათ შენობებშუა დახეთქილი, გამჭვარტლული და შიშვლად აზირხლული კედლებიც გამოიმზირებოდნენ, ვითარცა უტყვი, ვარნა მრისხანე გაფრთხილება.

სოფლის შუაგულში, ლარიდან მაჯის სიმსხოზე მოთხლიშინებდა ცივწყარო და ხის როფში ჩაედინებოდა. ჩემი ვარაუდით აქ უნდა დაგვეხვენა, მერმე კი, სადმე სოფლის განაპირას ბაწია ტაფობი გვეპოვნა და კარავი გაგვეშალა. მოსალოდნელი იყო, რომ ხალდეში ორ-სამ დღეს მაინც გავჩერდებოდით. ჟანგო, თამაზი და მე წელზემოთ დავშიშვლდით და წყაროზე მხარმკლავი ჩავიბანეთ. სპორტი არც ერთ ჩვენთაგანისათვის არ იყო უცხო, მაგრამ თამაზი მაინც ორივეს გვჯობნიდა. მკერდის და მუცლის კუნთებს ჯიშიანი ცხენივით ბურცავდა და ათრთოლებდა და ამით ძალიან მოსწონდა თავი.

ინანამ ზურგჩანთის ჯიბიდან სარკე და სავარცხელი ამოიღო და თმის ვარცხნას შეუდგა. სახე მზეს მიუშვირა, თვალები მილულა და ზანტი, ნებიერი მოძრაობით რამდენჯერმე შეივარცხნა მოკლე, ბიჭურად შეკრეჭილი თმა. მერ-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
„ბაულ გავხე“

მე გაირინდა და მთლად მინებდა მზის მთენთავ სხივებს. ის ახლა ხხვაგან იყო, ზმანებისა და მირაჟების ზღაპრულ სამყაროში. არასოდეს მენახა ახეთი მიმზიდველი! თითქო რაღაც არაამქვეყნიურს, თან ძალზე მიწიერსა და ხორციელს, ბლუჯა-ბლუჯა, უანგარიშოდ და ულევად აფრქვევდა ირგვლივ.

უცებ, თამაზის სახეს ვკიდე თვალი და ხაშინელი სიცხადით ვიგრძენი, როგორ ელტვოდა იგი ინანას. ელტვოდა საფეთქლებისკენ გაფრენილ წარბებს, ნაზ, ქერა ღინღლს ზემო ტუჩზე, მაღალ ყელსა და სამკუთხედებად ამოწეულ ლავიწებს, უტყუარ ნიშანი რომაა დახვეწილი ჯიშისა.

მხოლოდ წამი თუ გრძელდებოდა ეს იდუმალი ლტოლვა, მაგრამ ეტყობა ინანამ მაშინვე იგრძნო რაღაც უჩვეულო შინაგანი ბიძგი, გამოერკვა და პირდაპირ შეანათა კამკამა ლურჯი, უშველებელი თვალები.

ახე უყურებდნენ ერთმანეთს. ამ მზერამ, დარწმუნებული ვარ, მეტი თქვა და გააკეთა, ვიდრე ჩვენი ერთად მოგზაურობის ყველა დღემ.

და მე შემეშინდა.

გულწრფელად შემეშინდა!

კიდევ ერთი ახეთი წამი და მოხდებოდა რაღაც ისეთი, რაც აღარ ემორჩილება არავითარ შინაგან და გარეგან კანონებს, არავის და არაფერს უწევს ანგარიშს, გარდა ერთად ყოფნის გარდუვალი სურვილისა.

და მე შემეშინდა.

ჟანგო ქვის ყორესთან, ჩრდილში ჩამომჯდარიყო, ტუჩის კუთხეში სიგარეტი უხრჩოლავდა, თან, გიტარის ხმას დაბალ ღიღინს აყოლებდა. რომელიღაც კინომსახიობს ჰბაძავდა უნებლიედ.

— ამ სოფელში კაციშვილი არ ცხოვრობს, თუ როგორაა საქმე? — თქვა თამაზმა.

თითქოს პასუხად, ყორეზე ერთმანეთის მიყოლებული ახაკის ოთხი ბურუხუნა ბიჭი გადმოდგა. ბდღვრიალა თვალებს აკვესებდნენ. მალე, ახალგაზრდა ქალიც გამოჩნდა. უცხოები რომ დაგვინახა, ჭრელი თავსაფარი სწრაფად მოიხსნა, დაფერთხა, ისევ მოიხვია, ყველაზე პატარა ბავშვი აიყვანა, გულზე მიიხუტა და ისე გამოგვეცხადა დედური, კდემამოსილი სიამაყით.

— შუადღე მშვიდობისა, ქალო, — გასძახა თამაზმა.

— იცოცხლე, ბატონო.

— შენებია?

ქალმა დაირცხვინა, თავსაფარი შეისწორა ცალი ხელით.

— კი.

— გაგიზარდოს.

— მადლობა, ბატონო.

იდგა ბაღლატატებული ქალი, სამი დანარჩენი კალთაზე ებღაუჭებოდა. იდგა და მის დგომაშიც, საუბარშიც და თავის დაურევებაშიც სრულად იხატებოდა კეთილშობილება [illegible]რახისა. „ღვთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი, დედა, ქალწული, შუენიერი შროშანი“, — გამახსენდა უნებლიედ.

— ქმარი სადა გყავს, ქალო?

ქალმა პირი იბრუნა, გასძახა:

— ქავშუბ! ო, ქავშუბ!

— ქალი ვარო, ამან უნდა თქვას! — აღტაცებით ჩამჩურჩულა ინანამ.

ქავშუბ ერთადერთი კაცი აღმოჩნდა მთელ სოფელში. სხვები ზუგდიდს იყვნენ წასული კარტოფილის გასასყიდად. „ახლა ზაფხულია და სვანურ კარტოფილს კაი ფასი ადევს“. ქავშუბ საშუალოზე მაღალი, თხელი კაცია — მხრებში გაშლილი და წელვიწრო. დიდად დაამშვენებდა ყდალი ჩოხა, გამომწვარი ვერცხლის კოპლებიანი ქამარი და ძველქართული ხატევარი. ვითარცა ყველა სვანი, დინჯად საუბრობს. გამოხედვა: თვინიერი, დანდობილი. შიგადაშიგ ელვასავით მალი და ნადირივით ფართხილი. სტუმრების დანახვამ ბავშვივით გაახარა, ჩვენი ზურგჩანთები ერთბაშად, ტომსიკებივით წამოიკიდა და ფართო აივანზე აიტანა: „როგორ გეკადრებათ, ბატონო, ხალდეს კაცი ესტუმროს და ღამე მინდორში გაათიოს? სად გამოვყო თავი?“ როცა გაიგო „ხალდეშობის“ ამბები გვაინტერესებდა, მთლად გაიბადრა: „თბილისშიც იცით ხალდეს არსებობა? ერთ დროს კი ყოფილა ხალდე, კი! ნამდვილი ვაჟკაცების ბუდე!“...

ჩვენს დანახვაზე ოჯახის წევრებმა საქმეს თავი ანებეს და მორიდებით მიდგნენ კედელთან. არ განძრეულა მხოლოდ შაოსანი, მუშტისტოლა დედაბერი, რომელიც ღუმელთან იჯდა, ჯორკოზე. იგი ოჯახის უფროსი დედა იყო და სტუმრები პირიქით უნდა ხლებოდნენ.

შავები ეცვა ქავშუბის დედასაც — მაღალ, გამხდარ, მკაცრი იერის ქალს. თუმც სახე კუშტი ჰქონდა, ციმციმა, ახალგაზრდული თვალებით უსაზღვრო პატივისცემას გამოხატავდა სტუმრების მიმართ. მერმე ქავშუბის ცოლი იდგა, უფროსი რძალი. პატარა, ბუთხუზა ბიჭი, წელანდულებ ატატებული ჰყავდა, სხვა კი, მთლად ჩვილი, აკვანში ეწვინა. ისიც ბიჭი იყო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩხაოდა. იქვე, სხვა აკვანიც ირწეოდა — შუათანა რძლის ვაჟისა. ხოლო უმცროსი რძალი, თეთრყირმიზა, ქერა დედაკაცი, უკვე მეცხრე თვეზე იყო და მუცელი ისე ამაყად დაჰქონდა, თითქო მთელ ქვეყანას მისი ვალი ემართა.

და ბოლოს, ქავშუბის და, ოჯახის ერთადერთი ქალიშვილი, მოგვესალმა. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონა გასათხოვრად შედერილიყო. მწყაზრად აბრიალებდა მკვირცხლ, წივუზალივით შავ თვალებს. ქავშუბის ძმათაგან ერთი, მულახში გადასულიყო ცოლოურს, მეორე ზუგდიდს ახლდა ხალდელებს კარტოფილის სავაჭროდ.

ოჯახის მამა, განთქმული მოქართულე, მომღერალი და ჭუნირის დამკვრელი, სამი წლის უკან გარდაცვლილა. სიკვდილის წინ შვილებისათვის უხმია და ფიცი ჩამოურთმევია: ეცხოვრათ სიამტკბილობით და ოჯახის განუყრელად. ისე, როგორც ტრადიციულ, ძველქართულ გვარიშვილობას შეეფერებოდა. და კიდევ, ესეც უთხოვნია: „მრავალჭირნანახი ხალდეს მიწა არ მიატოვოთ“. აქ არის თქვენი წინაპრების ძვლები ჩაყრილი და თქვენი სულებიც სხვაგან ვერ მოისვენებენ, შვილებო!“.

ჯოჯოხეთური ტკივილები აწამებდა, მაგრამ კვნესა არ დასცდენია მაინც: — კარგად ვკვდები? ხომ ვერ დამიბრიყვა სიკვდილმა? — ეს უთქვამს თურმე ბოლოს და განუტევებია სული.

ქავშუბ წამით გაჩუმდა, ისვენებს. სწრაფადვე ეუფლება თავს.

— ღირსეული კაცი იყო განსვენებული. ხოლო, ჩვენც ძმები, ვუსრულებთ დანაბარებს. ხედავთ თვითონვე, ოჯახი იზრდება, ჭყინტები იბადებიან და იბადებიან, — ქავშუბ კეთილად იღიმება, — სახლი გვევიწროვება უკვე. მაგრამ არაუშავს: ერთად ყოფნა ჯობია მაინც. მეტი ღონიერი ვართ და მტერ-მოყვარეს უფრო თავად ვუძლვებით. ამჟი ლი![1]

მერმე ბაბუამისზე გვიამბობს ქავშუბ. იგი „ხალდეშობის“ უშუალო მონაწილის შვილი ყოფილა. სიცოცხლის ბოლო წლებში აი აქ, კიბის თავში უყვარდა ჯდომა, მზის გულზე. ხანჯლის ზვილით ხეს, ტყუილ-უბრალოდ, ჯოხს თლიდა და ოღონდ გამოელაპარაკებოდა, მთისას და ბარისას მოგიყვებოდა. განსაკუთრებით „ხალდეშობის“ ამბები უყვარებია — მამამისისაგან სმენოდა დაწვრილებით. „მამამისი, ჩემი დიდი ბაბუა, ერთადერთი დაბრუნდა გადასახლებიდან და ხალდეს მიწაში დამარხა. დანარჩენები, ორმოცამდე კაცი, უცხოეთის წერა შეიქნენ“.

— შენ თუ გიამბობდა ბაბუა „ხალდეშობის“ ამბებს?

— ჰე, შე კაცო!

— მოგვიყევი, რას გიამბობდა.

ქავშუბ იღიმება — ალალი, პატიოსანი ღიმილით.

— რავა დაგამალლით, მარა... უსწავლელი კაცი ვარ, ოთხი კლასი გავიარე სულ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

— იცოცხლე, ქონდეს! რას ვიტყვი თქვენს საკადრისს? აი, ბუბა ანთუყ რომ იყოს აქ... იმაზე კარგად ახლა აღარავინ იცის „ხალდეშობის“ ამბები.

— ისიც ზუგდიდშია?

— არა, მთაში. საქონელთან.

— ძნელია იქ მისვლა?

— სამი საათის გზა არის, მეტი კი არა. წაგიყვებით თუ გინდათ.

[1] ასე არ არის?

— ჯერ შენ გისმენთ, ქავშუბ.

— რა გითხრათ? არ ვიცი, სწორედ.

— აი, როგორ შემოვიდა ჯარი, როგორ იცავდნენ თავს ხალდელები...

— მიჯვრიშიდან მოსულან. მაშინ სამარხილე გზა იქიდან ამოდიოდა. მთის ბოლოში ნაძვნარს ხომ უყურებთ? იმას ვეძახით მიჯვრიშს.

— მთას და სოფელს რომ მდინარე ჰყოფს?

— ხიდი იყო მანდ.

— „ეშმაკის ხიდი?“

— კი, ასე ჰქვიოდა თურმე.

— ახლა აღარ არის?

— ჯარის მეორედ მოსვლას რომ ელოდნენ, მაშინ ჩაანგრიეს ხალდელებმა.

— შეიძლება ნახიდურთან მისვლა?

— შე კაცო!

ქავშუბ ცოლს გასძახებს — „საქმეს მიხედეო“ და კიბეებზე ჩაალაჯებს. ვიწრო მიგრეხილ-მოგრეხილი ქუჩაბანდებით გავემართეთ. ქვემოთ და ქვემოთ, სოფელს სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ეტყობოდა. ნასახლარები ქვალორღით, ველური ბალახბულახითა და ნაკელით იყო გამოვსებული. მერმე კაცის სიმაღლე დიყიანში შევრგეთ თავი. ქავშუბ წინ მიდიოდა და კეტით მიგვიკვლევდა გზას. მალე უფრო მკაფიოდ მოისმა „ხალდეს ქალის“ ცოფიანი ხვივილი.

პიტალო კლდეში შვიდ-ათი მეტრის სიგანე დერეფანი გაეჭრა აბორგებულ მდინარეს — თვალის შემაზარებელი სიღრმისა. ნაპრალებით მთლიანად დაღარებული შავი ტინები დახრული, დაზაფრული, ალაგ ცულის პირივით გაალმასებული იყო. არყის ხეებით დაჩრდილულ გაღმა-გამოღმა ნაპირებს ცხადად ეტყობოდა ქვითკირით ნაშენი საყრდენების ნაკვალევი.

გარემო სულის შემხუთველად მოქმედებდა. მდინარის ბღავილი, ჩაყამული კალაპოტი, ატეხილი, მზეგაუტანი დიყიანი და თავზე წამომხობილი ცხვირა მთა თითქოს ალგვითა და განადგურებით ემუქრებოდა გარეულსა და შინაურს...

## მოციქული

ზარი დაგრეხილ, კორძიან ფიჭვზე ჰკიდია. დროდადრო თეთრწვერა ბერიკაცი ხელს შეავლებს ენას, მძიმედ ჩამოჰკრავს და ყრუ ბგერები მდორედ, ნისლის ქულებივით ეფინება სოფელს.

იცოდნენ ხალდელებმა: ეს ნიშანი იყო, რათა ზუგზე, ანუ საფიხვნოზე შეკრებილიყვნენ და სოფლის ჭირ-ვარამზე ემსჯელათ. დარბაისლურად, უფროს-უმცროსობის დაცვით მიემართებოდნენ ზუგისაკენ ჯოხაძეები, გასვიანები, ჩეგიანები, ქოჩქიანები და ჩოფლიანები. მიემართებოდნენ გვარის მახვშთა წინამძღოლობით.

თეიმურაზ მაღლაფერიძე
„ბაულ ბავხე“

ლოდებივით შეკრულნი და ნაჯახივით ალესი-ლები, მოფერხულეებივით მხარში უდგებოდნენ ერთმანეთს და სატევარზე იკრეფდნენ ხე-ლებს.

**სოფელი ორმოც მამრს ითვლიდა, ორმოც თოფოსანს.** დანარჩენებს მიხრწნილი ბებრები, წვრილფეხობა, ქალები და მეძუძურნი შეად-გენდნენ. სოფლის ავ-კარგი მათ არ ეკითხებო-დათ და ამიტომ არც „ზუგზე“ გამოჩენილან.

როცა ორმოცივე ქუდოსანმა უკლებლივ მო-იყარა თავი და ზარის ირგვლივ მჭიდრო წრე შეიკრა, წინ წამოდგა სოფლის მახვში — ბეგაშ. მას დიდად უჭრიდა გონების თვალი და მთელს ზემო ხევში ბრძენკაცის სახელი ჰქონდა გავარ-დნილი. ბეჭებში ფართოდ გაშლილმა, ხმელკაცმა ულვაშები დინჯად გადიგრიხა და დვრინით დაიწყო:

— ხალდელებო, კარგად იცით რა გასაჭირიც გვადგია! შარშან გენერალმა და დაჩქელანმა გვიმუხთლეს, ყრილობა დაგვაშლევინეს, მერმე ზურგიდან მოგვიბრუნდნენ, რჩეული შვილები წაართვეს სვანეთს და ციხეში გამოახრჩვეს. ჯერი ჩვენზე მომდგარა, ხალდელებო!

აქამდე გვერდზე მდგომი, რუსულ ქუდსა და ბლუზაში გამოწყობილი ბესარიონ ნიჟარაძე კრებულს შეერია და მახვშის გვერდით გაჩერ-და. ხედავდა და გრძნობდა მისკენ მიმართულ მტრულ მზერას და აღარ იცოდა როგორ მოქ-ცეულიყო, რომ უხერხულობა დაეთრგუნა, თავი ლაღად ეგრძნო.

— მერე და, რა დაგვიშავებია, მახ-ვში? — იკითხა მაღალმა, შავგვრემანმა ახალგაზრდამ, სახელად მომიმ, — ანდა სა-ერთოდ, რას მიქვია დანაშაული? ჩვენ რომ თეთრი ხელმწიფის საქმეები არ მოგვწონდეს და არ გვჯეროდეს, ამიტომ დამნაშავე ვართ? თუ ასეა, მთელი ქვეყანა დამნაშავე ყოფილა!

„სწორს ამბობს“, — გაიფიქრა ბესარიონ ნი-ჟარაძემ. — აი, მარტივი, მაგრამ შეუვალი ლოგიკა... ხოლო მე რა შემიძლია ვუთხრა ხალ-დელებს? გადავცემ დანაბარებს და თვითონვე გადაწყვიტონ. ჰო, მაგრამ მე ხომ უცხო არა ვარ, სეირის გულგრილი მოყურიადე? უნდა რაიმე გზიანი და ქკვიანური ვურჩიო ამ დაბ-ნეულ და გამწარებულ ადამიანებს. მაგრამ რა? რა ვურჩიო?“

— გურმაჩ და ჩერგაზ მოვიდნენ აქ! — და-იძახა მახვშიმ.

წრეში ორი ახალგაზრდა შევიდა. ერთნაირად ეცვათ: მოკლე, შავი შალის ჩოხა, სამუხლეები, პაიჭები და მრგვალად ამოსხმული ქალამნები. გრძელი, კაჟიანი თოფები ალმედად ჰქონდათ გადაკიდული, სარტყელზე ხანჯრის გარდა ეკი-დათ „ვაზნა“, — თოფის წამლისათვის, „კი-სა“ — ტყვიის შესანახად და „საპირწამლე“. ქამარზევე ჰქონდათ ჩამოკიდებული კვეს-აბედი და საპოხი „ლალცომარ“ — რათა იარაღისათ-ვის წაეცხოთ და ჟანგისაგან დაეფარათ. ჩოხის მახრებში გამორწყულად ედოთ თითო [illegible] წამალი, რომ საჭიროების შემთხვევაში, [illegible] ბით სწრაფად გაეტენათ თოფი და [illegible] საკადრისად დახვედროდნენ. ყვითელი სირმით განწყობილი შავი ფაფახები ცხვირამდე ჩამო-ეფხატათ და მახვშის წინ გაქვავებული იდგ-ნენ.

— თქვენ დიდი პატივი გერგოთ, შვილებო! უკეთესთა შორის უკეთესნი აღმოჩნდით, რაკი-ლა მთავრობამ მტრად მიგიჩნიათ. თქვენი ეში-ნია ხელმწიფეს და იმუქრება. რას იტყვით? გაგვიზიარეთ ფიქრი.

— რა უნდა ვთქვათ, მახვში? რასაც სოფელი გადაწყვეტს, იმის მორჩილი ვიქნებით ჩვენ.

უმზერდა გუა ნიჟარაძე ერთმანეთზე უკე-თეს, მოსხეპილ ვაჟკაცებს და ჭირის ოფლი ასკდებოდა. კარგი და, სოფელმა მაზრის უფ-როსთან გამოცხადების დასტური დასცა, მაშინ? კიდევ ორი ზვარაკი უნდა მიემატოს უდანაშაუ-ლოთა სამსხვერპლოს. არ გამოცხადდებოდნენ და, გუამ კარგად იცოდა მაზრის უფროსის უზი-ატობა — სოფელს ნაცარტუტად აქცევდა. უსახლკაროდ დარჩებოდა რამდენი ოჯახი, და-ობლდებოდა რამდენი ბალღი, ლუკმა გამო-უწყდებოდა რამდენ ადამიანს. არა! უნდა შე-ეწიროს ორი, რათა გადარჩეს ასი! ესაა უმაღლესი, თუმც დაუწერელი კანონი ქველო-ბისა და თავგანწირვისა. ესაა ის, რითაც აქამდე მოაღწია ჯვართცმულმა საქართველომ. დიახ! სწორედ ეს უნდა უთხრას გუამ ხალდელებს! მაგრამ ჯერ დააყურებს, იქნებ თვითონ სოფელ-მა იპოვნოს გონივრული გზა.

— ჩერგაზ და გურმაჩ ნამუსზე გვაგდებენ,— დაიძახა ბეგაშმა, — თქვენი ნათქვამის თანახმა ვართო. გესმით?

— რომელ დედას მოუძულებია შვილები? ნე-ბით არ მივცემთ და ძალით წაყვანა სცადონ თვითონვე! ასე არაა ხალხო? — ველარ მოით-მინა მომიმ.

— დინჯად მოვიფიქროთ, მეზობლებო! — წარმოსთქვა ერთმა ბერიკაცმა, — არ დაგვავი-წყდეს, დიდი ჯარის წინაშე ვდგავართ. რას დავაკლებთ, მთლად რომ ლომებად ვიქცეთ? გურმაჩ და ჩერგაზ ვის ემეტება, მაგრამ სოფე-ლი რომ ამოწყდეს, არც ამას გვაპატიებს ღმერ-თი!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— არც ის დაგავიწყდეთ, მეზობლებო, — განაგრძო ბერიკაცმა, — რომ თიბვისა და ჭირნა-ხულის მოწევის ჟამი მოგვდგომია, ჩვენ კი იარაღს ვაჟღარუნებთ. თუ ახლა არ გავისარჯეთ, ზამთარში რით გავკვებოთ ან საქონელი, ან ცოლ-შვილი? რაღა ზარბაზნებს დავუხოცივართ და რაღა შიმშილს!

— სწორს ამბობს! — გაისმა აქა-იქ გაუბე-დავად, — ჩვენ რა შუაში ვართ? სოფელი რა შუაშია?

კრება დაიძაბა. ერთმანეთს ლაპარაკს არ აც-

ლიდნენ, სიტყვას პირიდან გლეჯდნენ და იქნებ ასე გაგრძელდებოდა, იქნებ ხანჯლებიც ალაპლაპებულიყო. თვალებანაკვერჩხლებულნი, ყბებდაბერილნი, ავად ბღუჯავდნენ სატევრის ტარებს. უმრავლესობა გურმაჩისა და ჩერგაზის სისხლ-ხორცი ან ძმადნაფიცი იყო და მათ წასვლაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. ხომ აშკარაა: ორივეს „გავბახში" ამოხდიან სულს. არა! ასე იოლად ვერ მოიძულებენ რჩეულ ხალდელებს!

— ცოცხალი თავით არსად გაეუშვებთ გურმაჩსა და ჩერგაზს, — დაიძახა ხიმდუმ.

— ვინც სხვას იტყვის, ჩემი მოსისხლეა ის!

გურმაჩ და ჩერგაზ თავდახრილები დგანან და ელიან საბოლოო განაჩენს. გუა ნიჟარაძე მიხვდა, დუმილი აღარ ივარგებდა. თუ სათქმელი ჰქონდა რამე, სწორედ ახლა უნდა ეთქვა. წრეში გავიდა და ხელი აიქნია:

— მეც მომისმინეთ, ხალდელებო! — დაიძახა აკანკალებული ხმით.

ნირწამხდარი იღიმება. ერთ წამს თავი ბიბლიურ მოსედ წარმოიდგინა, ხალდელები კი ეგვიპტით გამოსულ ებრაელებად. გუა უნდა წარუძღვეს ხალდელებს და მიიყვანოს აღთქმულ ქვეყნამდე. წარმოიდგინა და სიმხნევე შეემატა.

— ძმებო, ხალდელებო! მეც სვანი ვარ და გული მიკვდება, თქვენს გასაჭირს რომ ვუყურებ!

— სვანი რომ იყო, მოხელესავით არ გამოეწყობოდი! — გააწყვეტინა ვიღაცამ ჯიქურ.

გუა თმის ძირებამდე გაწითლდა.

— ტანსაცმელი რა შუაშია? გული უნდა გქონდეს ქართული! — ამოიღუღლუღა ძლივს.

— თქვი სათქმელი! — დინჯად შეახსენა მახვშიმ.

— მაზრის უფროსმა გამომაგზავნა მე.

— ეგ ვიცით. სხვა?

— დამაბარა: თუ ჩერგაზ და გურმაჩ ჩემთან არ მოსულან, მთელ სოფელს მტვრად ვაქცევო.

— ეგეც ხომ ვიცით.

— იცით მართალია, მაგრამ ის კი არ გეცოდინებათ, რომ მაზრის უფროსი ერთი დამთხვეული ვინმეა და მართლაც შეასრულებს დანაქადებს.

— სოფელს რას ერჩის, კეთროვანი? ჩვენ ახლავე გავეცლებით სოფელს, სხვა რაღა უნდა? — ეს გურმაჩ იყო.

— სხვები ხომ ჩაყარეს „ნავბახში"? იქ სიკვდილს აქ სიკვდილი გვირჩევნია, — ხმა გაიღო ჩერგაზმაც.

— ამჯერად დათმობა სჯობია, ძმებო! — დაიძახა გუამ, — თავი შეიცოდეთ!

— მე გირჩევთ, ყველანი ეახლოთ მაზრის უფროსს და შეწყალება სთხოვოთ. გული მოულბება და უბედურებას გადარჩებით.

რას ჰამყვირის გუა ნიჟარაძე? რას მოუწოდებს ხალდელებს? ეს მისი ხმაა და ვიღაც გარეწარი ჩაუძვრა გულ-გვამში და თავის ნებაზე ალაპარაკებს?

რაც შეგნებული ცხოვრება დაიწყო, მას მერმე მთელი არსებით სძულს მეფის მთავრობაც და მისი ბინძური რეჟიმიც. ამ რეჟიმმა დაიმონა ქართველი ერი, ეს რეჟიმია, უზარმაზარი რუსეთის თავისუფალი აზრი ქურში რომ ჩაამწყვდია და თავი მოუგოზა. სამოქალაქო სიკვდილი მიუსაჯა ჩერნიშევსკისა და დოსტოევსკის... ვერ გაძღა დეკაბრისტების სისხლით... და ახლა, ნაცვლად იმისა, რომ ხალხს უთხრას — იარაღი ავისხათ და სისხლი სისხლისა წილ მივაგოთო მომხვდურებს, მუხლებში ჩავარდნისაკენ მოუწოდებს?

ვაი, შენ, გუა ნიჟარაძევ! ვაი! და ვაი!

ხალხმაც აღარ დააყოვნა და რისხვა დაატეხა:

— სვანი ვარო? — მოღალატე ხარ შენი ხალხისა, გრისხავდეს სვანეთის სალოცავები!

— არა ვარ მოღალატე, ხალდელებო... დამიჯერეთ, ძმებო... — კვნესის გუა.

— ძაღლსამც იგულებდე ძმად!

— ხალდე სხვებში არ აგერიოთ! ცოტანი ვართ, მაგრამ თავს ხუთმაგად ვისისხლებთ!

გუა შუაში მოიქციეს და გაქაჩეს.

— შეჩერდით! — ბრძნა მახვშიმ.

ხალდელები გაქვავდნენ.

— მე ვიცნობ უშგულში მაგის მამა-ბიძებს. პატიოსანი, ჭკვიანი მშრომელები არიან. სამწუხაროა, რომ უკეთური შვილი გამოსვლიათ. გაუშვით, წავიდეს. ტანჯვად ისიც ეყოფა, რომ მაგინებელია თავისავე სალოცავებისა. გაუშვით!

კრებაში დერეფანი გაჩნდა. ცოცხალ-მკვდარი გუა თავჩაქინდრული წალასლასდა. ხიდთან კვლავ დაეწია ძახილი:

— გადაეცი შენს ნაჩალნიკს, მობრძანდეს, გემო გაუსინჯოს ხალდეშურ ტყვია-წამალს. ეამება, ღმერთმანი! ეჰეი, გესმის წინაპართა მაწყევარო, გესმის?

გუა არყნარში შევიდა, მოცელილივით დაემხო და სიმწრით აახათქუნა თავი მიწაზე, აბღავლდა ყელგამოღადრული ხარივით:

— ახია ჩემზე! ახია! ახი!

სიკვდილს ნატრობდა, მაგრამ არსად იყო სანატრელი და ტკბილი სიკვდილი.

* * *

ხალდელები მზადებას შეუდგნენ. ქალები, ბალღები და ღრმად მოხუცები ჩხუტნიერის ულელტეხილით ჰადიშხა და მულახის გზას გაუყენეს. ტყვია-წამალი მოიმარაგეს, კოშკებში სასმელ-საჭმელი შეზიდეს და სათოფურებში ორმოცმა კუთხვა-თოფმა გამოჰყო ლაპლაპა ტუჩი.

---

## თეიმურაზ მაღლაფერიძე
## „ბაულ ბაშხე"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებას ზეიმობდა ბებერი ხალდე

სალდელთა უარით გაცეცხლებულმა მაზრის უფროსმა ამხედრების ბრძანება გასცა და ჯარი შეუდგა მიჯგრიშის აღმართს. მიდამო გააყრუა ფანფარების ჭყვიტინმა, დოლების ბრახუნმა. ამ ხმაზე სალდათები ბრძოლის ჟინით ივსებოდნენ, ხოლო ერთმანეთთან ადრევე წაკიდებული გრინევსკი და ბეჩოს „კამანდის“ მეთაური მოსისხარებივით უბღვერდნენ ერთმანეთს, ვერ გაერკვიათ, რომელს მეტი უფლება ჰქონდა სოფლის დამქცევის სახელით ეამაყნა.

„ეშმაკის ხიდთან“ ცხენი გაუოჩნდა ლეუსს. არაფრით არ უნდოდა ფეხის წინ გადადგმა, ჭიხვინებდა და სრავდა ლაგამს. თვითონ მაიორიც შეაკრთო მდინარის აფმა ღრიალმა და ზევით, ფერდობზე გალურსულმა კოშკებმა. გულმა თითქო ფარსაგი უგრძნო, მაგრამ ამის შიშით რომ წამიერი ყოყმანი გრინევსკის არ შეემჩნია, ცხენს მათრახი უცხუნა და აღმართი სულ თოხარიკით აიარა. ჩქარობდა, რათა მაზრის უფროსისათვის პირველი ბრძანების გაცემა დაესწრო.

სოფლის ბჭესთან აღვირი მოქაჩა, ცხენი გააქვავა, უზანგებზე წამოიწია და მიდამოს გულმოდგინედ დაზვერვის შემდეგ, სალდათებს ხალდეს გარემოცვა უბრძანა. უცებ, თვალი მოჰკრა: განაპირა კოშკის ზღურბლზე ორი გლეხი იდგა. მიხდობილად, თავმდაბლად ილიმებოდნენ. მით საგანგებოდ დაავალა მახვში ბეგაშმა — მოხუცებს სტუმართმოყვრულად შეხვედროდნენ და ეთქვათ: თილონდ უბედურებას ნუ იზრახავთ და ამაღამ ვახშამს მოგართმევთ, კეთილადაც მოგასვენებთო.

„აა, პირველნი ზვარაკნი მძლეთამძლე მართლმსაჯულებისა“, — გაიფიქრა მაიორმა და მკაფიოდ გამოსძახა:

„ააგეთ ხიშტებზე!“

მერმე ფეილაფერი უეცრად მოხდა: ხიშტებით დაცხავებული ერთი გლეხი ნელა ჩაიკეცა, თან გაოცებულ მზერას არ აშორებდა მაიორს: —

„რატომ შე ულმერთო? რისთვის?“

მეორე ხალდელი გააფთრებით ატრიალებდა მკლავის სიგრძე სატევარს. ისმოდა ხვნეშა და ხაზუნი.

„ჰოი, ღმერთმა შეგრისხოთ! სისხლს, სისხლს დავლევ თქვენსას!“

წაიქცა მხარიღლივ გაჩეხილი სალდათი. წაიქცა მეორეც. მესამეს ყელიდან შადრევანივით იფეთქა ჭიაფერმა. იღროვა მეოთხემ, ზურგში გაუყარა ხიშტი.

„მომკლეს, ძმებო!“ — იბღავლა ხალდელმა და პირქვე ჩაემხო.

აქამდე გალურსული, ზარდაცემული კოშკები, თითქო ენა ამოიდგესო, ერთდროულად აჟუხდნენ. წამიდან წამზე ელავდა წითელი ენები სათოფურებიდან და წითელ სიკვდილს ანთხევდა ირგვლივ.

პირველი ტყვია მაიორმა გააცივა. ერთ ხანს ათრია გაგიჟებულმა ცხენმა, მერმე მიწაზე გადმოანარცხა. ჩამოქვეითებული გრინევსკი და მისი მხლებლები, ხან ერთი კოშკის კედელს ეფარებოდნენ, ხან მეორესას. გადაბრუსებული ალალის რახრახი, ცხენთა ჭიხვინი, დაჭრილ-დაკოდილთა სასოწარკვეთილი ოხვრა — ამაზრზენად შეერწყა ერთმანეთს.

,ხოლო თეთრი კოშკებიდან შეუჩერებლივ წვიმდა სიკვდილი.

ასე ჩამოდგა ღამე.

მომხვდურთა ნაწილმა ხალდეს ბებერ მიწას დაავალა ტვინი. ზოგმა, შიშით გახვადაგებულმა, რის ვაინაჩარობით მიაკვლია „ეშმაკის ხიდს“ და ქუდმოგლეჯილი დაეშვა კალისაკენ. მაზრის უფროსი, ბოქაული მიქელაძე, და ორმოცამდე დაზაფრული სალდათი, ცარიელ მაჩუბს შეეხიზნენ.

ხალდელებმა კოშკები მიატოვეს, არქის ხის ქერქის მაშხლები აანთეს და იქ მოიყარეს თავი, სადაც ტანდაგრეხილი, კორძიანი ფიჭვის ტოტზე ახლაც ჰკიდია სოფლის ზარი. ნაბდებზე ესვენა ხიშტებით დაცხრილული ორი გვამი. ჭირისუფლები თმა-წვერის გლეჯით დასტიროდნენ.

„ვოი, საბრალ მარეებო, რად დაადექით შავეთის გზას ეგრე უდროოდ?“

„ვის რას ავნებდით, ძმებო, ვის რას ედავებოდით, ხარებიც საკუთარი გყავდათ და სახნავიც საკუთარი“.

„რაღა ვუთხრათ თქვენს დაობლებულ ოჯახებს, რით ვცეთ ნუგეში?!“

„გმირები ყოფილხართ, ვოი, ძმებო, ნამდვილი გმირები“.

„ერთი-სამად ისისხლეთ საკუთარი თავი“.

„არც ჩვენ დავრჩით ვალში მომხვდურებს, ვაგემეთ ხალდემური თოფების ძალა“...

„ვერ გაგვიგია, ვოი ძმებო, რა უნდათ ჩვენგან, რას გვემართლებიან?“

„თოფი ნადირისთვის გაუჩენია ღმერთს, კაცის სისხლის დაღვრა ცოდვაა, დიდი ცოდვა.“

„ცოდვას იმათ მოჰკითხავს ხოშა ღერბეთ!“

„დაგვიფიცნია! ჩვენსას არ დავთმობთ და არა!“

„მტერს არ გაგიხარებთ, ძმებო!“

ყველამ დაიჩოქა. ფაყვები მოიშვლიპეს და გულისმომწყვლელი ზარი ააყოლეს ჭირისუფალთა მოთქმას. მაშხლების სინათლეზე ელავდა თვალთა თეთრონები, თოფის ლულები“.

წამოიმართა მახვში, ხელები ზეცად აღაპყრო:

„ო, დიდო ღმერთო, შენ გაგვიჩინე სამართალი: თუ ვცდებით, სწორი გზა გვაპოვნინე. თუ მართალნი ვართ, ხელი მოგვიმართე! ჩემმა ბებრულმა თვალებმა დაინახა წელან, განაპირა მაჩუბში თხებივით შეილალნენ მომხვდურნი.

ზოლმამ ერთბაშად ამოხეთქა. ხალდელები წა-

კოიშალნენ და პერიკაცის წინამძღოლობით თავქვე დაეშვნენ. გაცოფებით იქნევდნენ მჯი-ლებს და იარაღს აღერებდნენ.

„ეჰეი, გამოდით! სამართალი უნდა გავი-ჩინოთ!“ — დაიძახა მახვშიმ.

„რა უნდათ?“ — გაბზარული ხმით ჩაეკითხა მიქელაძეს მაზრის უფროსი.

ბოქაულმა უთარგმნა.

„უმალ თავს მოვიკლავ!“

ვიღაცამ წუმწუმა გაჰკრა და უცბად გამოჩ-ნდა ჭირისოფლგადამსკდარი სახეები.

კვლავ სულისშემხუთველი უკუნი.

„გადაეცი: თუ უვნებლად გაგვიშვებენ, სას-ყიდელსაც მიიღებენ და სასჯელსაც გადარჩე-ბიან. თუ არა, ხვალ ჯარი ამოვა და... გადაე-ცი!“ — უბრძანა გრინევსკიმ ბოქაულს.

სასყიდელით?

აულაგმავი ხორხოცი ზეცას შეასკდა. ტორებს ბარძაყებზე იბარტყუნებდნენ და სიცილით ჩაბჟირებულნი, ღრიალებდნენ:

„მაინც რა სასყიდელს გვაძლევს, ჰა? გვი-თხრას, ერთი!“

„დიდძალ ფულს გპირდებათ მაზრის უფრო-სი!“ — გამოსძახებს მიქელაძე.

დამეხილი ხიჩუმე ჩამოდგა. არავინ იცოდა რა იყო ფული. მაჩუბში დუმილი ყოყმანად მიიჩნიეს და მიქელაძემ მეტი რიხით იყვირა:

„ფულით იყიდით ხარ-ძროხას, მარილს, ტან-საცმელს და“...

ხალხმა ახლა კი აილო გეში. აი, თურმე რა ყოფილა ფული! აი, თურმე რას ახარბებენ ეშ-მაკის მოციქულები!

„მოკლულ ძმებს თუ გაგვიცოცხლებს ეგ ფული? — დასჭექა მახვშიმ, — „ა, კეთრიანე-ბო?“

„თქვენც ხომ დახოცეთ სალდათები? მაიორიც მოჰკალით! თუ არ გაგვიშვებთ, მთავრობა ღე-ლა-ბუდიანად ამოგჟუჟავთ, იცოდეთ ეს“ — მოისმა მაჩუბიდან.

„უუ! გვემუქრებით კიდეც?!“ — ხალდელე-ბი გახელებით დაეძგერებიან კარს, მაგრამ მკვი-დრია მუხის ურდული.

გრინევსკის შეწკიპული დამბაჩა მკერდზე მიუხუტებია.

„მოიკალ თავი! მოიკალ თავი! იმპერატორი-სა და სამშობლოსათვის! მხედრული ხინდისი-სათვის! ამათ ხელში ჩავარდნას, პატიოსანი სიკვდილი გირჩევნია! მოიკალ თავი!“

„არა, მე უნდა დავუმტკიცო ამ ხროვას, რომ ოდნავადაც არ მეშინია და მათი ველური კბილე-თა ხრჭენა ღიმილსა მგვრის მხოლოდ!“

ხალდელთა ყაშყაში არ ცხრება. კიბე მოარ-ბენინეს, მაჩუბს სათივეზე მიადგეს და ხარიხე-ბი მძიმე ნაბიჯებმა ააჭრაჭუნა.

ოდნავ იელვა მაშხლის ხინათლემ.

გრინევსკი ხწრაფად მიმართავს დამბაჩას იქით და ხახხლეტს გამოჰკრავს. მოკლე შეყვი-რება. ბრაგვანი.

„მოხვდა!“ აღმოხდება სიხარულით.

მერმე ყველაფერი უცბად მოთავდა: ხალდე-ლები ფოცხვერებივით დაეცხრნენ კუთხეში მი-ყუჟულებს. ერთი თოფიც არ გავარდნილა: კვნესა... წკმუტუნი...

წუთიც და, იარაღაყრილებს ზუგისაკენ მიე-რეკებოდნენ. აქ ნაბადზე ესვენა ორი სისხლი-ანი ცხედარი. ახლა მათ გრინევსკისაგან მოკლუ-ლი მესამეც მიემატა.

მრგვალი, წითელი მთვარე ამოსულიყო.

ბოქაული მიქელაძე მუხლებზე ფორთხვით თხოულობდა შეწყალებას. ჯიბე-უბე ამოიცარიე-ლა და ხან ერთს აწვდიდა „ეკატერინკების“ დასტას, ხან მეორეს, ხან მესამეს...

„არ გეკადრებათ, თავადო!“ — ზიზღით ჩაბ-ძახა, გრინევსკიმ.

ვიღაცამ წაჰგლიჯა ასიგნაციები, მაშხალზე ცეცხლი მოუკიდა და ჰაერში გაჰფანტა.

„დახოცილთა ჭირისუფლებმა აიღონ სისხ-ლი!“ — გასცა ბრძანება მახვშმა.

ხალხს სამი კაცი გამოეყო, მაზრის უფროსი ძალით დააჩოქეს.

„გაუმარჯოს იმპერატორს“ — ამოიხავლა მან და ყამით გულგაპობილი დაემხო. როცა ბო-ქაულიც თავმოჭრილი ქათამივით აფართხალდა, ჭირისუფლებმა თოფებიააყეფეს და დაჰკივ-ლეს:

„გიხიხხლეთ ძმებო! მშვიდად იძინონ თქვენმა სულებმა!“

ახლა მოკუნტული, შიშით დაზაფრული სალ-დათები წამოაყენეს.

„ჩვენ რას გვერჩით, კეთილო ხალხო... გვიბ-რძანეს, კეთილო ხალხო“... ღნაოდნენ საწყა-ლობლად.

ბრძანა მახვშიმ:

„შესდექით, ხალდელებო! ამ უბედურებს აქ თოფის სროლას თავის ქვეყანაში მიწის ხვნა ერჩივნათ ალბათ, მაგრამ არ იყო მათი ნება. ზედმეტ ცოდვას ნუღა დავიდებთ, გვაწყენს ხოშა ღერბეთ! გავუშვათ, მადლია!“

ნათქვამმა აურზაური და შეხლა-შემოხლა გა-მოიწვია. დაღუპულთა ჭირისუფლები სალდა-თების ჩახოცვას მოითხოვდნენ, ზოგნიც მახვშის უჭერდნენ მხარს. ბოლოს, კინაღამ ერთმანეთს დაერივნენ ხანჯლებით.

ისევ მახვშის სიტყვამ გაიმარჯვა.

სალდათები დააშიშვლეს, დუნდულებზე თი-თოჯერ სიბრტყით დაჰკრეს სატევარი, მერმე „ეშმაკის ხიდისკენ“ გაირეკეს, ყურთან თოფე-ბი დაუცალეს და ხარხარიც მიაყოლეს.

მირბოდნენ სალდათები, მირბოდნენ და თან მიჰქონდათ ხალდეშური ყამების მწარე დაღი.

. . . . . . . . . . . . . .

გამარჯვებას ზეიმობდა ბებერი ხალდე!

---

თეიმურაზ მალლაფერიძე

„ბაულ ბაბხი“

# საფლავი უშგულში

„უშგულის საზოგადოება ძევს მდ. ენგურის სათავის ახლო და ზემო სვანეთის თავში მდებარეობს. აღმოსავლეთით უშგულს ჰსაზღვრავს ნაწილი კავკასიის დიდი ქედისა, მუდამ თოვლით დაფარული და დიდ ქედსა და სვანეთის ქედს შუა ჩამჯდარი „ნაკ-ზაგარის“ უღელტეხილი. დასავლეთით — ხერხები და კალის საზოგადოების ადგილები. სამხრეთით — ნაწილი სვანეთის ქედისა და ჩრდილოეთით — დიდი ქედიდგან გადმოსული შტო. ამნაირად, უშგულის ოთხი სოფელი, ჟიბიანი, ჩაჟაში, ჩვიბიანი და მურყმერი (ძველად ზემო და ქვემო უშგული) გამომწყვდეულია მთებს შუა. სიგრძე უშგულისა, ზემოთ ნაჩვენებ საზღვრებში, დაახლოვებით 10 ვერსი იქნება, სიგანე კი, ორთა — შუა რიცხვით 1/2 ვერსი. უშგულში ჩამოდის ორი მდინარე: ენგური და ქვიშირი. ამ მდინარეების სათავეები 5 ვერსზე მოშორებულია სოფლიდგან. მდ. ენგურის აყოლება ადგილს სოფლიდან სათავემდე ჰქვია „შხარი“ (დაპობილი). შხარი შეადგენს სათიბ-სამწყემსურს ადგილებს ხალხისას. მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე გაშლილია სათიბები, მარცხენაზე — არყის და შქერის ტყეები. მდ. ქვიშირის ხეობას „ატკვერი“ ჰქვიან. ბუნება აქაც ისეთივეა, როგორიც ენგურის ხეობაზედ: სათიბ-სამწყემსური ადგილები, არყისა და შქერის ტყეები... ამ ორს მდინარეს შუა მდებარეობს ქედი „ლეზგარა“, რომელიც სოფლის თავში სწყდება. ლეზგარას სოფლის თავში კალთა გაუშლია, ციცაბო მოფერდო. ამ ფერდობზე გაშენებულია უშგულის სამი სოფელი: ჟიბიანი, ჩვიბიანი და ჩაჟაში, რომელთაც მდ. ენგური და ქვიშირი აქეთ-იქით ჩამოუდის და ჩაჟაშის ბოლოში ერთმანეთს უერთდებიან. მეოთხე სოფელი — მურყმერი მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული“.

ასე აგვიწერს მშობლიური უშგულის ადგილმდებარეობას ბესარიონ ნიჟარაძე.

ღვთისმშობლის, ანუ „ლამარიას“ ეკლესია, რომლის ეზოშიც ჩვენ დავიბანაკეთ, „ლეზგარის“ დასაწყისშია გაშენებული და უშგულის ოთხივე სოფელს ზემოდან დაჰცქერის. ბოლო სოფლის, მურყმერის კოშკები ბუნდად გამოჩანს მოლურჯო ნისლში.

მზიანი, ცინცხალი დილაა. ყვავილთა სურნელით გაჟღენთილი მთის ჰაერი საამოდ ელამუნება ყნოსვას. ისუნთქავ და ისეთი შეგრძნება გეუფლება, ხელების გაშლა და, ამ კამკამა ლაჟვარდში ჩიტივით ლაღად შევიფრთხიალებთ. ასეთ დროს სრულიად უმიზეზო აღტაცება აგიყვანს ადამიანს. გინდა იმღერო, ირბინო, ან ბალახზე გაგორდე და მკიდროდ მიეხუტო დედამიწას. სადღაც ძალიან მაღლიდან ისმის თვითმფრინავის ზანტი ზუზუნი და ეს ზუზუნი (უცნაურია), კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს სიმშვიდესა და მყუდროებას.

დილით, როცა ზურგჩანთები დავბარგეთ, აღმოჩნდა, რომ პური აღარა გვქონდა და თამაზი სოფლისაკენ დაეშვა. მე და ინანამ რაკი საყდარი დაკეტილი იყო, შემოგარენის დათვალიერება დავიწყეთ. ყველაფერს ვუამბობდი, რაც კი უშგულზე წამეკითხა, ან გამეგონა.

— იმ ურიცხვ კოშკებს, შუბებივით რომ აწვდილან მზით განათებულ ლარტაჟში, დედათამარის დროინდელად მიიჩნევს ხალხი. აგერ, მთაზე რომ კოშკია — თამარის დასასვენებელი აგარაკი იყო, ამბობენ. ყოველ ზაფხულს აქ ამოდიოდა თურმე, თეთრ ჯორზე ამხედრებული. თეთრი ჯორი ძალიან იშვიათობაა, ათიათასში ერთი თუ გამოვა.

— ნეტა როგორი იყო თამარი? როგორ ლაპარაკობდა, როგორ დადიოდა, ან როგორი თვალები ჰქონდა? — ამბობს ინანა.

უნებლიედ თვალწინ მიდგება თეთრონზე ამხედრებული თამარის შემობრძანება უშგულში — გოლიათი აბჯროსნების თანხლებით. ეფინებიან კოშკთა დირეებს თვალხატულა ქალწულები, თან მწვანე შტოებს მიმოიქნევენ. ხოლო მამრები ცალ მუხლზე იჩოქებდნენ და მოკრძალებით იდრეკენ ძლიერ ქედს. ისმის ფსალმუნთა გალობა და აღტაცებული: „ოხანნა!“ „ოხანნა!“ მერმე ვაჟები აბამენ ფერხულს. ქუხს: „ჰო, სიხარულო, თამარ დედოფალო“...

და დედა თამარ უხვად გასცემდა საბოძვარს.

— ხალხისი არ იყოს, უშგულიც საოცარი სოფელია. რაც მაგათ თავისუფლებისათვის სისხლი უღვრიათ...

— აქ მოკლეს ხომ, ფუთა დადეშქელიანი?

— მოკლეს და მერე როგორ! გადმოცემით აი, იმ ქვის საკარცხულში მჯდარა ფუთა, როცა სოფლის თოფმა გაასისხლმდინარა.

— არ მოისვენა და მიიღო თავისი.

— იმის მერე, უშგული აგრერიგად აღარავის ენდობოდა თურმე. კანონად დაუწესებიათ: ცხენოსანი თავადი და აზნაური სოფელზე ვერ გაივლიდა. ვინმე თავადს რომ უშგულში მოსვლა განეზრახა, ცხენი სამ კილომეტრზე უნდა დაეტოვებინა და სოფელში ფეხით შესულიყო. ზოგი ამას უკადრისობდა და უკანვე დაბრუნებას ამჯობინებდა, უშგულში ქვეითად შესვლას. ასეთი ქცევით სოფელი ცხადად აჩვენებდა ყველას, რომ უშგულში შემოსულს პრივილეგიები ეხსნებოდა და უთანასწორდებოდა დამსვლელურთა. ტყუილად იფიქრებდა ვინმე, რაიმე უნებართვოდ გაეტანა უშგულიდან. მას იქვე დაემართებოდა, რაც ბედშავმა ფუთამ იწვნია.

ამ ლაპარაკით ეკლესიას შემოვუარეთ და ბესარიონ ნიჟარაძის საფლავთან მივედით. მთელ შემოგარენში ეს ერთადერთი საფლავი იყო ხალხმა, ეტყობოდა, ამითაც გამოხატა ბესარიონის მიმართ პატივისცემა.

## „თავისუფალი სვანი“

### ბესარიონ შიოს ძე ნიჟარაძე

### 1855 — 1919

ეწერა მარმარილოს პატარა დაფას, რომელიც „ლამარიას“ კედელში იყო ჩამაგრებული. მის ქვემოთ, მიწაზე, უბრალო სვანური ფიქალი, „კეშ“ იდო, მეტი არაფერი. აი, აქ იყო „თავისუფალი სვანის“ საუკუნო განსასვენები. აქ, დედა-უშგულის მიწაში ინაცრებოდა მისი ძვლები.

მოკრძალებით ჩავიმუხლეთ.

— „თავისუფალი სვანი“..., — თქვა ინანამ, — როგორი შინაგანად თავისუფალი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი ფსევდონიმის ტარება შეიძლოს!

— დარწმუნებული ვარ, ხალდელთა ჯანყის შემდეგრონდელი ცხოვრება ბესარიონისა, ერთი გაგრძელებული და ასკეტური მოთმინებით აღსავსე მონანიება იყო, — ვთქვი მე.

ინანა კითხვით შემომაჩერდა.

... მაღალი შუბლი დაჰღარვოდა, წვრილ-წვრილი ნაოჭები ასხდა თვალთა კილოებთანაც. ტუჩები კერპულად, ჰირთათმენით მოეკუმა და მკერდამდე უწევდა თეთრი, ფართო წვერი. კუშტად, შემსწავლელი მზერით იყურებოდა ბიბლიურ მოსესავით უტეხი ბერიკაცი.

ჯვალო ემოსა, უხამური იყო, ფეხები ვაგლახად ჰქონდა დახეთქილ-დაშაშრული.

კვლავ ასე წარმომიდგა ბესარიონ ნიჟარაძე. კაცი, რომელმაც თავიდანვე ვერ იპოვნა თავისთავში ძალა, რათა გვერდით ამოსდგომოდა ხალდელებს, მაგრამ რომელმაც მალევე შეიგნო ერთი უცვლელი და უზერებელი ჭეშმარიტება: ვინც მშობელ ხალხთან არაა, ის მისი წინააღმდეგია! არ არსებობს შუა ადგილი! შეიგნო და მერმე, მთელი სიცოცხლის მანძილზე მოთმინებითა და რუდუნებით ემსახურა მშობლიურ კუთხეს. უჭირდა! ოო, როგორ უჭირდა! ხალხი დღიური ცხოვრებით ცხოვრობდა, არ ეცალა პოეზიისა და ფილოსოფიისათვის. არც ღვთის შეცნობით იყო მაინცა და მაინც გატაცებული. ბესარიონს სულიერი ობლობა უხუთავდა სიცოცხლეს, მაგრამ უდრტვინველად იტანდა, რამეთუ: „ძალ-გიც ტვირთვად, რომელი მომავლისა შინა ჟამსა მართალთა აღთქმულ არიან, ვინათგან სიცრუვითა აღივსო საუკუნო ესე და უძლურებითა“.

— მაგრამ, ისიც ხომ მართალია, ვიცი: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო? ხალდელებს რომ ბესარიონისათვის დაეჯერებინათ, დაქცევას გადარჩებოდნენ და თვითონაც აღარ ეწამებოდნენ ასე. ხომ მართალია? — მეკითხება ინანა.

— არ ვიცი! — მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ერში არასოდეს არ უნდა მიჩლუნგდეს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის ჟინი! თუ ეს ნერვი მოეშვა და მოდუნდა, გათავდა, მკვდარია ერი! აღარ არსებობს! ის ერი კი აღარ არის, არამედ ცოცხალ ლეშთა ჯარია, რომელიც საკუთარი სტომაქის ამოყორვაზე ფიქრობს მხოლოდ! მტერი იმაზე მეტი გვესია, ვიდრე ჩვენ ვიყავით. გვეძახა — საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო? დღეს საქართველოს ხსენებაც არ იქნებოდა! მე ამ ერთ მუჭა ხალდელებს იმიტომ ვეთაყვანები, რომ კბილებით იბრძოლეს თავისუფლებისათვის, თუმც გამარჯვების უმცირესი იმედიც არ გააჩნდათ! იქნებ ეს ინსტინქტური ბრძოლა იყო? რა ვუყოთ, მერე! დაიღუპნენ, მაგრამ არ დათმეს! თავისუფლები დაიღუპნენ! ჰოდა, გაუმარჯოს ასეთ მსხვერპლს! ინსტინქტი დაარქვი შენ, მე კი მგონია, რომ ამაზე დიდი და პატიოსანი ვნება არც გააჩნია ადამიანს — სწრაფვა თავისუფლებისაკენ, არ დათმობა დამოუკიდებლობისა — თუნდაც სიკვდილის ფასად!

— ბესარიონი?..

— ბესარიონი წმინდა კაცი იყო, ინანა, მან მაინც შეიძლო თავის ხალხთან შედუღაბება, მისი გულისკენ სავალი გზის პოვნა. თუმცაღა, დიდი ტანჯვის შემდეგ.

— ცოტა უჩვეულოდ მსჯელობ, — თქვა ინანამ, — მაგრამ მე მომწონს. რა იცოდა ბესარიონმა, თუ ოდესმე მის საფლავთან დაჯდებოდა ორი თანამედროვე ახალგაზრდა და მისი საქმეების განსჯას შეუდგებოდა?

— შვილები ყოველთვის განსჯიან მამებს! მკაცრადაც განსჯიან! და ვაი იმ მამებს, რომელთა კუბოს აწევა შვილებს დაეზარებათ!

— ეგ მტრისას!

— მტრისას, მაგრამ ხდება. შვილები მამების მაგივრად პაპებს ლოცულობენ. ეს უკვე ტრაგედიაა ერისა. რაღაცა ვერაა მოწესრიგებული, რაღაცა გვიჭირს, რაღაცას ბოლომდე ვერ ვწვდებით... და მაშინ უნდა გამოჩნდეს ვინმე, რომ დედო-ზარი ჩამორეკოს! აი, მე მიმაჩნია, რომ ხალდელებმა სწორედ დედო-ზარს შეახეს ხელი!

— ნუ გეწყინება და, დროდადრო ფანატიკოსის შთაბეჭდილებას ახდენ, — თქვა ინანამ, — თითქო ერთი იდეის გარდა შენთვის არაფერს ჰქონდეს ფასი და მნიშვნელობა.

— იქნებ მართლაც აგრე იყოს, — ვთქვი მე.

პაუზა.

— გახსოვს, მღინარეზე რომ გამიყვანე?

— მახსოვს.

— მერე ნაპირზე რომ ვიხხედით და ვლაპარაკობდით?

— მახსოვს.

— ტირიფის სავარძელი რომ გამიკეთე?

— მახსოვს.

— ჩიტის დანგრეული ბუდე? გველი?

— ეგეც მახსოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მაშინ ვთქვი — არც საკუთარი ოჯახი მექნება და არც ნაშიერი მეყოლება-მეთქი ოდესმე.

— ხედავ? პირიქით აგიხდა ნათქვამი.

— გიგი...

თვალებში მუდარა ჩაუსახლდა. მუდარა, კაეშანი და უტყვი საყვედური.

— ანა კალანდაძის ლექსი თუ გახსოვს, ინანა: „ვინ ჩამჩურჩულებს, ვინ ჩამჩურჩულებს, იყავ გონიერ, იყავ გონიერ?“ — ვეკითხები მე.

— მახსოვს, გიგი. მერე?

— კარგია, თუ გახსოვს. უნდა გახსოვდეს.

— გმადლობ, — ცივად თქვა, — დიდი მადლობა. „იყავ გონიერ, იყავ გონიერ“...

არასოდეს ისე ღრმად არ მიგრძვნია ამ სტრიქონების პატიოსნება და სიბრძნე, როგორც ახლა, აქ, ამ წუთას, ბესარიონ ნიჟარაძის სახლავთან რომ ვისხედით და მზით განათებულ ზღაპრულ უშგულს გადავცქეროდით.

გავჩუმდით, მაგრამ ეს დუმილი უადგილო და ყალბიც იყო ახლა. არ შეიძლებოდა უცხოებივით ვმჯდარიყავით ერთმანეთის გვერდით. არაფრით არ შეიძლებოდა. და ასე ვისხედით მაინც...

ამ დროს თამაზმა ამოიარა აღმართი.

— რა გახაროთ! — დაიწყო შორიდანვე, — ჩავედი ქვემოთ, სკოლასთან და ძმაკაცი არ შემხვდა? მე არ ვიცოდი, თურმე აქაური ყოფილა. აქ საიდანო, გაგიჟდა სიხარულით. ძმის ქორწილი ჰქონია დღეს. საცოლით და მეგობრით ვარ-მეთქი, ვუთხარი. ავიკრათ ახლა გუდანაბადი და დავეშვათ ქვევით. საბჭოსთან გველოდება... ჰა, ჩქარა, ჩქარა!

ქორწილი? უშგულში? მართლაც კარგი შემთხვევა იყო. მოვისმენდით სვანურ სიმღერებს, საქორწილო წეს-ჩვეულებებსაც ვნახავდით. თან, იქნებ ხალდეშობაზეც გამეგო რამე, ჩემთვის აქამდე უცნობი.

— უხერხული ხომ არ იქნება, თამაზ?

— რა უხერხული, ბიჭო, ძმასავით ვარ კაცთან. ინანა, შენ ის კაბა ჩაიცვი, რა, იმ დღეს, ხალდეში, ჩვენს ნიშნობაზე რომ გეცვა.

ინანა წამით გაიყინა, თითქო რაღაცას წყვეტდა გუნებაში.

— კარგი, — თქვა ბოლოს, — ჩავიცვამ მზეებით მოხატულ კაბას.

## წყეულიმც იყოს დღე იგი

ხოფელსა თქუენსა უცხოთესლნი მოსჭამენ და მოოხრებულ არს და დაქცეულ ერისაგან უცხოთესლთასა

ისაია, 16,1

წყეულიმც იყოს ის უამური და უჟამური დღე!

ცა დილიდანვე ჩამოიქრუშა, უქრავად დაღავდნენ ყომრალი ღრუბლები. წვიმა დააპირა, მაგრამ ოდნავ წამოთქორა და ბუნება თითქო გაინაბა დიდი ავდრის მოლოდინში. განაპირა კოშკის სათოფურთან მიმჯდარმა მზირმა გრძლად დაუსტვინა. ავის მაუწყებელი ნიშანი იყო. ხალდელებმა იარაღს ხელი დაავლეს, თავთავიანთ კოშკებში შელაგდნენ, კარებები მუხის ურდულებით დაგმანეს, ზემო სართულზე ავიდნენ და სათოფურებს მიეყინენ.

მიჯვრიშის აღმართზე გრძლად გაბაწრულიყო ჯარი. არც ფანფარების ჭყვიტინი აყრუებდა მიდამოს, არც დოლების ბრახუნი. ვისღა ეცალა საზეიმო მსვლელობისათვის! იცოდნენ, რომ მძიმე, სისხლისმღვრელი ომი მოუწევდათ და მოზომილი ნაბიჯით მოდიოდნენ. მოდიოდნენ და სიკვდილის თეთრი აჩრდილი მოჰყვებოდათ.

სათოფურებიდან უცქერდნენ ხალდელები, როგორ გამართეს ზარბაზანი „ლამარიას“ მინდორზე, როგორ ავად მოაშვირა ქვემეხმა ბნელი ხახა კოშკებისაკენ და ამოივსო ბალღამით სტომაქი, რათა სიკვდილის ფურთხება დაეწყო.

ჯარმა ჩაშლილ „ეშმაკის ხიდს“ უვანა, ქვემოთ დაეშვა, წისქვილებთან ფონი მონახა და თავთით დაუარა სოფელს. ეს დიდი მოგება იყო: თუ ხალდელები კოშკებს მიატოვებდნენ და გარემოცვიდან თავის დაღწევას მოინდომებდნენ, ამაო იქნებოდა მათი გარჯა, რამეთუ ჩხუტნიერისა და უშგულის ულელტეხილებისაკენ მიმავალი გზაწვრილები საიმედოდ იქნებოდა გადაკეტილი.

ეს ადრევე გაითვალისწინა თენგიზ დადეშქელიანმა, რომელმაც პოლკოვნიკ წულუკიძესთან ერთად, წინასწარ შეადგინა ხალდეს აღების გეგმა. მაგრამ თენგიზმა მშვენივრად იცოდა, რომ კიდევ რჩებოდა ხალდესკენ მიმავალი ერთი გზა. ეს იყო სოფელ იფრარიდან ამომავალი საცალფეხო ბილიკი, და იმ გზის დაკავება ბალსქვემო სვანთაგან საგანგებოდ შედგენილ პოლიციას უბრძანა.

ხალდელებს თვალი დაუბნელდათ, როცა იფრარის გზაზე სვანურქუდიანი, შეიარაღებული კაცები გალანდეს.

„ჩვენებმაც გვიღალატეს? ჩვენებმაც გაგვწირეს?“ — აღმოხდათ კვნესით და მიხვდნენ, რომ ყოველი მხრიდან ხაფანგში იყვნენ მომწყვდეულნი. მიხვდნენ და უფრო გაალმასდნენ. კბილებდახრჭენილნი ელოდნენ ბრძოლის დაწყებას...

●

ამ დროს, მომხვდურთა ბანაკში სამხედრო თათბირი მიმდინარეობდა.

გადაწყდა: როცა ზარბაზანი ყეფას მოათავებდა, სამივე მხრიდან ერთდროულად შეეტიათ სოფლისათვის. სამხრეთიდან სვანთა პოლიცია მიაწვებოდა, სხვა მხარეებიდან — ჯარის ნაწილები. კოშკებს რომ უვნებლად მიახლოვებოდნენ, თავზე ჩელტები უნდა წაეფარებინათ. ჩელტში კაჟიანი თოფის ტყვია რომ ვერ ატანდა, კარგად იცოდა დაჩქელიანმა.

გათავდა თათბირი, პოლკოვნიკმა ქვემეხის გამართვა ბრძანა.

ახოვანი მეზარბაზნე კაი ხანს გულმოდგინედ აყენებდა მიზანს, მერმე პოლკოვნიკს სრული მზადყოფნა უპატაკა.

„ცეცხლი“!

ზარბაზანმა ყვითელი დორბლი, დუჟი და თხრმალი მიალორწა კოშკებს. ყუმბარამ უწია მიზანს, მაგრამ არც ერთი კოშკიდან კენჭიც არ ჩამოვარდნილა, მხოლოდ ეგ იყო, რაღაც ძელურ შენობას ავარდა ალი. ხალდეელებმა გული მოიცეს და ყიჟინა დასცეს.

ახლა მათმა თოფებმა დათესა სიკვდილი.

„ცეცხლი!“

ეს ზალპიც ამაო გამოდგა. ბრგე მეზარბაზნე წამოიმართა და განცვიფრებული მიაშტერდა სოფელს. „ყუმბარებია თუ მუხუდოს მარცვლები?!“

„ცეცხლი!“

კვლავ არავითარი შედეგი. კოშკები წარბშეუხრელად, გამომწვევად იდგნენ, შიგ მყოფნი კი, სიხარულით გაშმაგებულნი, ღრიალებდნენ: „ოო, დიდება წინაპართა სულებს! გვიფარავს მათი მადლი და სანთელ-საკმელი!“

უცებ, მომიმ ხელით გაჩუმება ანიშნა სხვებს და ფრთხილად მიუჯდა სათოფურს. „ლამარიას“ მინდორზე ახოვანი მეზარბაზნე გაილანდა. წეღანაც შენიშნა მომიმ ეს ლანდი, ზარბაზანთან რომ ფუსფუსებდა. „შენა ხარ, სიკვდილს რომ გვიგზავნი უკეთურო? რას გვერჩი? რა დაგვიშავებია? დედ-მამა არა გყავს, შვილი ან ცოლი? სანეხვეზე ხომ არ დაიბადე, ქვა რომ გიდევს გულის მაგიერ?“ — ფიქრობს მომი და თოფს მართავს.

„წუხელ სიზმარი ვნახე, აბა თუ კარგად ამიცხადდება!“

გულდაგულ დაუმიზნა...

„თქვენო მაღალ აღმატებულებავ, მეზარბაზნე მოგვიკლეს!“ — მოვარდა სალდათი.

წულუკიძეს ცალი ულვაში აუცახცახდა. ასე იცოდა სიბრაზის ჟამს.

„შაიტ!“

„შიგ შუბლში მოარტყეს, თქვენო მაღალ აღმატებულებავ!“

„ქაჯებივით ისვრიან, ძაღლისშვილები!“ — გაიფიქრებს თენგიზ დაჩქელან, — „სიფრთხილეა საჭირო“.

●

მომიმ მუხლი მოიყარა, სამჯერ გადაიწერა პირჯვარი, ღმერთს მადლობა შესწირა და სიხარულით დაჰკოცნა მოვერცხლილი თოფი. აღტაცებულმა ხალდეელებმა წმინდა გიორგის „ჯგრაგის“ სადიდებელი სჭექეს. თითო კოშკში სამი-ოთხი კაცი იყო გამომწყვდეული, მაგრამ სიმღერა ყველამ ერთდროულად აიტაცა და გარეშე მსმენელს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თვითონ კოშკები მღერიანო ხოჩა მონადირეებისა და ვაჟკაცების მფარველის სადიდებელს:

ოო, ჯგრაგს დიდაბ ეჯჟედ ი ვო,
ჯავ ი გვშეი ო! ო! ი...
ი ვო... ი ვო... ი... ვოი...
ჯგრაგ სი ლახეშდ ალ ქორსივო...[1]

იწყებს მომის და ჯოხანის კოშკი და აგრძელებს ჩერგაზისა და ხიმდუს კოშკი:

ოო, მერმამდ ი ვო, ჯავი გვშეი ვო... ო...
ი ვო... ი ვო... ი...
ჯგრაგ სი ვო ი...
მერმამდ სი ლახეშდ,
ამჩუ მერდა მარი ი ვო...[2]

ახლა მახვში ბეგაშისა, გივერგილისა და ბადრის კოშკი ქუხს:

ოო, მესმამდი ვო...
ჯგრაგ სი ვოი დიდაბ ეჯ ად ო...
ჯავი გვშეი ვოი... ი ჰოი... ი ჰოო...
მესმამდ სი ლახეშდ ალ ქორს
მეცხემ მეჰელს ი ჰოო...[3]

ქუხს თეთრი კოშკები და ირგვლივ მოჯარული მთები დინჯ, ბუბუნა ბანს ამბობენ.

მეზარბაზნის მოკვლა აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. აღარავინ დარჩა, მიზნის დაყენება რომ სცოდნოდა.

„მომგვარეთ მეზარბაზნის მოადგილე!“ — ბრძანა პოლკოვნიკმა წულუკიძემ.

ლეჩხუმელი აღმოჩნდა, ლეთოდიანი. გაიჭიმა პოლკოვნიკის წინაშე.

„გაუძეხი ზარბაზანს!“

„ვერ შევძლებ, ბატონო პოლკოვნიკო!“

„როგორ თუ ვერ შეიძლებ?!“

„არა ვარ დაუფლებული, ბატონო პოლკოვნიკო!“

„სცადე, შე ხვადაგო, შენ! აბა უზარბაზნოდ ევილებთ იმ წყეულ სოფელს?“ — ქართულზე გადავიდა პოლკოვნიკი.

„ხვადაგიც ხარ და ძაღლის გაგდებულიც“, — გაივლებს მეზარბაზნე.

ლეთოდიანი დიდ ხანს ჩალიჩობდა, ამოწმებდა, სამიზნეს უჭვრიტინებდა, ბოლოს გაისრო-

---

[1] წმინდა გიორგი, დიდება შენდა! შენ შეგვეწიე, წყალობა უყავ ამ ოჯახს...

[2] წმინდა გიორგი, მეორედ შეგვეწიე და ყველა აქ მყოფს წყალობა უყავ...

[3] წმინდა გიორგი, მესამედ შენ შეეწიე, ამ ოჯახის მომავალ თაობას... (სიმღერა სამი მუხლისაგან შედგება და აუცილებლად სამივე უნდა შესრულდეს.).

ლა, მაგრამ ყუმბარამ კოშკებს გადაუფრინა და სადღაც ღრანტეებში აფეთქდა. ლეთოდიანმა შეცვალა მიზანი. ახლა სოფლამდე ვერ მიაღწია ნახრომა.

„გოუძელით, ძმებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი“, — ბუტბუტებს ლეთოდიანი, — „თქვენი ვაჟკაცობის სანაცვლო იყოს ჩემი საწყალი თავი“...

ფეტვივით იფანტებოდა ყუმბარები, მიზნამდე კი არც ერთი არ აღწევდა.

შეიპყარით ეგ ნაბუშარი! — იღრიალა მოთმინებადაკარგულმა, პოლკოვნიკმა, — შპიცრუტენებით ასწავლიან სწორად დამიზნებას!

ეგ იყო და ეგ. ზარბაზანმა საბოლოოდ ჩაიწყვიტა ხმა.

სამაგიეროდ, ზეცა აჯანყდა. წამიდან წამზე ელავს და საშინელი ჭექა-ქუხილისაგან ლამის ზესკნელი ჩამოიქცეს. ჯერ მოსაღამოვებულიც არ იყო, მაგრამ ისე ჩამობნელდა, ორ ნაბიჯზე ველარას გაარჩევდა კაცი. ბიბლიური წარღვნა დაატეხა მიწას. მსხვილ, ალმაცერ წვიმაში ხოშკაკალაც ერეოდა. აბლავლდა საძოვარზე მიმოფანტული ხვასტაგი. მთლად გალუმპული, გასავათებული სალდათები მუხლამდე ნიაღვარში იდგნენ და გადაძახილით ეხმაურებოდნენ ერთმანეთს.

ახეთ ამინდში სოფელზე შეტევა სრული უაზრობა იქნებოდა. ამას თენგიზ დადეშქელიანიც მიხვდა, თუმც მოუთმენლობისგან სული კბილით ეჭირა. რა გახდა ეს ერთი ცინგლიანი სოფელი? აფსუს, რომ თავიდანვე არ მიიღო მონაწილეობა მის დასჯაში, ახლა ხომ ხაწვალებლად არ გაუხდებოდა საქმე? მაგრამ არა უშავს, ხვალინდელი დღეც გათენდება. სად წაუვლენ?

ჩამოდგა კურუმი, „მეშპელეთ“ ღამე. წვიმას მისხლითაც არ მოუკლებია, ცამ პირი მოიღნოშა და არც აპირებდა გადაკარებას. და მაშინ ალახვნა ბაგენი მახვშიმ:

„კარგად ხედავთ, ამინდიც ჩვენ მხარეზეა, შვილებო! მადლობა დიდ ღმერთს, უპატრონოდ არ დაგვყარა. გვანიშნებს: თავს უშველეთო! რაც უნდა მარჯვე იყოს ჭიანჭველა, ოცჯერ მძიმე ტვირთს მაინც ვერ მოერევა. თუ ამინდმა გადაიკარა, ხათითაოდ გამოგვჟუჟავენ ძაღლთაპირები. უნდა გავეცალოთ ძმებო და შვილებო!“

ბეგაშის პირით მფარველი ანგელოზი უბნობდა.

ფიქრისა და ყოყმანის დრო აღარ იყო. კოშკებმა ერთმანეთთან გადაძახილით შეიტყვეს რასაც აპირებდნენ. სახელდახელო საგზალი მოიმზადეს, ხამთო ქალამნები ჩაიცვეს, მიჯვრები აიღეს და ის იყო, თავი წკვარამში ამინდისა და ბედნიერი ყიხმათისათვის უნდა მიენდოთ, რომ ცივ ჟრუანტელად დაირბინა ახალმა ამბავმა:

მახვში ბეგაშ და მასთან ერთად რვა „[illegible]-ზუ“ ბერიკაცი კოშკებიდან გასვლას არ აპირებდა.

უკუნში და თავსხმაში გასუდრულ კოშკებს ყრუ ზრინვა შეუდგათ. ეს როგორ? პაპები მიატოვონ და თვითონ თავი გადაირჩინონ? უწინამც სიკვდილი თვითეულ მათგანს!

ისევ ალახვნა ბაგენი მეცარია მახვშიმ:

„ღვთის გულისათვის, დამიჯერეთ შვილებო! ჩვენგან კოშკების მიტოვება არ ეგების, ბორკილად დაგედებით და საქმეს ჩავიშლით. თანაც, ხვალ აქ უნდა დავაკავოთ მოალყენი თოფის სროლითა და ყიჟინით. თორემ მიხვდებიან, რომ გაპარული ხართ, დაგედევნებიან და“...

ესეც დასძინა მახვშიმ:

„ჩვენ ბებრები ვართა და გვინდა ვაჟკაცური სიკვდილით მივუვიდეთ უფალს. აქ, ამ სოფელში უნდა დანაცრდეს ჩვენი ძვლები! დამიჯერეთ, შვილებო!“

ბრძენი იყო ბეგაშ, მისთა ბაგეთაგან მუდამ გონიერება მწრთოლვარებდა. ახალგაზრდებმა თავი მოიდრიკეს.

მალე ოცდათოთხმეტი შეთოფიარაღებული ვაჟკაცი მხოლოდ მათთვის ნაცნობი ბილიკით ილლად ვაუსხლტა მთლად გალუმპული, გაწამებული სალდათების ალყას. რაკიღა იცოდნენ, რომ ძაღლთაპირი თენგიზ დაჩქელანი მულახისა და უშგულის გზებს შეუკრავს არ დასტოვებდა, გეზი ხალდეს მთისაკენ აიღეს. იქ, ერთ ხანს მეჯოგეებთან გაიტანდნენ თავს, მერმე კი, ღმერთი იყო მოწყალე!

წინ მოჩანდა ფართოდ გაშლილი, თოვლ-ყინულიანი კედელი შხარისა, უკან ვარვარა ხოშტების აჯავრული ტყე.

როცა დაძაბული ლოდინის ჟამმა განვლო და კოშკის სათოფურებში მღვრიე ალიონმა შემოიხედა, მახვშიმ დაიჩოქა, მხურვალე მადლობა შესწირა უზენაესს და ორი კურცხალი ჩამოუგორდა სპეტაკ წვერზე.

„ჯგრაგ გფარვიდეთ, შვილებო!“

მთელ სვანეთს ელვასავით მოედო ხალდეს მეორედ დალაშქვრის ამბავი. ხალხი შეინძრა, ატორტმანდა, მაგრამ მალევე დაუცხრა კვეთების ჟინი.

ხალდე მარტოდმარტო დაჩჩა.

ტფილისის სასულიერო ხემინარიის სტუდენტი გუა ნიჟარაძე, უშგულში, საკუთარ ეზოში იჯდა და ბალღებს წერა-კითხვას ასწავლიდა, როცა მხედარმა ჩაირბინა ყვირილით — ხალდეს კვლავ შეესიენო.

მერმე ყველაფერი ზვავის სისწრაფით აგორდა:

გუა ნიჟარაძე მაჩუბში შეირბენს, თოფსა და ხანჯალს გამოიტანს, თავისსავე გახელნილ ყაბარდოულ კვიცს მოახტება და გაგიჟებული ჭენებით, მოკლეებზე ხალდესაკენ გასწევს. ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რივით სწრაფია ფეხმარდი სალარი, მაგრამ უფრო სწრაფია გუა ნიჟარაძის ფიქრი: „თქვენთან მოვდივარ ძმებო... თქვენს მხარში დგომის ღირსი გამხადეთ, თქვენი ჭირსახდელი და ვაება მოზიარეთ!... ღმერთი იყოს თავდები, გამოუცდელობით მომივიდა, რაც მაშინ ვილაპარაკე... მადლობელი ვარ, რომ ჭკუა მასწავლეთ და თვალი საბოლოოდ ამიხილეთ!... თქვენთან ერთად გამარჯვება მინდა, ხალდელებო, ან თქვენთან ერთად სიკვდილი!...“**

**სწრაფია ფეხმარდი სალარი, მაგრამ უფრო სწრაფია გუა ნიჟარაძის ფიქრი...**

●

კარგად იყო მოცრიატებული, როცა გაყინულ-გაფიჩხულმა, სველმა სალდათებმა სოფელზე შეტევის ბრძანება მიიღეს და „ურამ“ შესძრა არემარე.

კოშკებიდან კანტიკუნტად გამოახველა ცხრა თოფმა.

ცუდად ენიშნა თენგიზ დაჩქელანს თოფების სიმეჩხრე, შეეჭვდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მოერიდა კაპიტნის შეშფოთებას. თავისი მხლებელი სვანი, რაც შეიძლებოდა ახლოს მიაგზავნა კოშკებთან და „დაგვნებდითო“, — დააძახებინა. სამაგიეროდ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო, — ჰპირდებოდა ხალდელებს გაყვინიზებული თავადი.

„ძაღლს ჰქონდეს შენგან ნაჩუქარი სიცოცხლე, დაჩქელანო!“ — გამოსძახებს კოშკიდან ბეგაშ და კვლავ შემოივლებს თავზე ცხრა სიცოცხლეს ცხრა ხალდელი ბებრის ნასროლი ცხრა ტყვია.

„გამოდით, თორემ თაგვებივით გამოგწვავთ ყველას!“

და ისმის ამაყი პასუხი:

„ვის დაჰერახაც ელტვით, არწივთა საბოინოში არიან უკვე! ჩვენი ბებერი ძვლები მათი სანაცვლო იყოს!“

გაცოფდა თენგიზ! პოლკოვნიკი წულუკიძე ხომ მთლად დასაბმელი შეიქნა.

„ძირ-ფესვიანად მოსპეთ და ამოაგდეთ ეგ უწასთა ბუდე! — ღრიალებდა იგი, — ქვა ქვაზე არ დასტოვოთ!“

სალდათებმა თენგიზის ნასწავლი ხერხი გამოიყენეს, ჩელტები წაიფარეს, კოშკებს მიუახლოვდნენ, ძირები შეუთხარეს და ლაღუმები დაუდეს. გაისმა აფეთქების გრუხუნი. მაგრამ ცალი კედლის მორყევამ მაინც ვერ წამოაქცია კოშკები.

ისევ აიფარეს ჩელტები სალდათებმა. ახლა სათითაოდ ყველა კედელს გამოუთხარეს ფუძე და ლაღუმებიც სამმაგი ჩაუდეს.

მიხვდა მახვში ბეგაშ, რომ ბრძოლას აღარ ჰქონდა აზრი, მტრის ხელში ჩავარდნას ისევ თავისი ხელით სიცოცხლის მოსწრაფება ამჯობინა.

ერთდროულად გაისმა მისი თოფისა და ლაღუმების გრიალი. სანამ სიცოცხლეს გაეყრებოდა, ბეგაშმა იგრძნო, რომ კოშკი შეტოკდა, გვერდზე გადაქანდა და მიწისაკენ დაესწრაფა. „მელანდება“..., — ამის გაფიქრება მოასწრო, — „მელანდება, თორემ რა მოერევა ჩემთა წინაპართა ნაგებ კოშკებს?“

მართლაც უცნაური იყო:

აფეთქებამ ყველა კოშკი ნანგრევებად აქცია, მხოლოდ ერთი, ბეგაშის კოშკი იყო ძირიანად წამოქცეული — მთლად საღ-სალამათი და დაუნგრეველი.

სიკვდილის შემდეგაც არ ნებდებოდა ბეგაში

ხანძრის გიზგიზა ალი და ჩანახშირებული ძელურებიდან ავარდნილი ფუტი ყომრალ ღრუბლებად მოედო ზეცას. ბოლო აღარ უჩანდა წარტყვევნას, ტაცებასა და ბაცაცობას. ცეცხლი გიზგიზებდა მოსამკელ ყანებში, ცეცხლი შემოეგზნო ეკლესიასაც, საიდანაც უკვე მოასწრეს კაი ძალი ოქრო-ვერცხლის გაქრობა.

„მდევარი, მდევარი იმ წუნკლებს!“ — იძახდა პოლკოვნიკი წულუკიძე.

ამ დროს მოაგდო გახვითქული ცხენი გუა ნიჟარაძემ. მან გზიდანვე დაინახა ცადავარდნილი ალი ხანძრისა და მიხვდა, რომ დაიგვიანა, მაგრამ მაინც მოაჭენებდა და აჰა, იგი გადარუჯულ ხალდეში იყო.

„ვინ არის აქ უფროსი?“.

„რა გნებავთ? ან თავად ვინ ბრძანდებით?“ — პოლკოვნიკმა ეჭვით შეხედა უცნობის არეულ სახეს და უნებლიედ ხელი დამბაჩისკენ გაექცა.

რაღა ეთქვა გუა ნიჟარაძეს? ცხენიდან ჩამოხდა და ძლივს ამოღერღა:

„სირცხვილი ჩვენს ქართველობას, პოლკოვნიკო! სირცხვილი!“

მერმე დიდ ხანს დადიოდა იავარქმნილ ხალდეში და ჰგოდებდა ბიბლიურ იერემიას დარად: „და მკუდარნი, ვითარცა ხკორე, განგდებული იქმნეს და არა იყოს, რომელმან ნუგეშინისცეს მათ, რამეთუ მოოხრდეს ქვეყანა და ქალაქნი მისნი დარღვეულ იქნეს... არა დაშთეს, რომელნი მოქმედებს ქუეყანასა და ვინ სთესოს მას... ხეთა გამოსცეს ნაყოფნი და ვინ მოკრიფოს იგინი... ტევანი დამწიფდეს და ვინ დაწნიხეს იგი? რამეთუ იყოს ადგილი იგი მოოხრებულ“...

გაივლის რამდენიმე წელი და, უკვე ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ნიჟარაძე თავის ნარკვევს ხალდეს დაქცევის შესახებ, ასეთი შემზარავი სტრიქონებით დაამთავრებს:

„ქვითკირები ლაღუმებით დაანგრიეს, ხის შე-

თეიმურაზ მაღლაფერიძე
„ბაულ გავხე“



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობაში ცეცხლით დაწვეს. ცეცხლი წაუკიდეს აგრეთვე, მოხამკელ ყანებსაც. ადგილობრივ ეკლესიიდან ხატ-ჯვარი გამოასვენეს და ახლო სოფლის, იფრაის, საყდარში შეიტანეს... ამნაირად, ერთი დღის წინად ლამაზი ხალდე ნანგრევების გროვას წარმოადგენდა. „ატრიადმა“ ამით გაათავა საქმე და უკან გაბრუნდა. ხალდელების მთლიანად ქონებას ადგილობრივ სვანთა პოლიცია დაეპატრონა. ერთი ცხვარი რა არის, ისიც არ შერჩათ ხალდელების ცოლ-შვილს“.

## „გაულ გავხე“

გაულ გავხე და, ეზერდ იშიალხ ხალდეშ ლვაჟარ!
ეზერდ იშიალხ ჯოხან ი ჩარგაზ,
ეზერდ იშიალხ გიერგ ი ბადრი,
ეჩუნდ ხოჩამდ მომი ი ხიშდუ.
ეზერდ იშიალხ ხალდეშ სვიმრალ.

ხალხური[1]

სწორი გამოდგა თენგიზ დაჩქელანის ვარაუდი:

ლტოლვილებს მართლაც ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ, იძულებული შეიქნენ ბოლომდე აჰყოლოდნენ ხეობას და შხარის ძირში დაევანათ. ყინვარზე გადავიდნენ, დაღრენილ ნაპრალს შემოუარეს და ტინებში ჩაწვნენ.

აქედან ხელისგულივით ჩანდა მიდამო, თვითონ კი უჩინარნი იყვნენ სავსებით.

ჯარმა გვარიანად გაუსინჯა გემო ხალდეშურ თოფებს, ჰკუა ისწავლა და ახლა ფრთხილად, წინდახედულად დაიწყო პოზიციების დაკავება. ხალდელები საკუთარი თვალით ხედავდნენ, როგორ გულდაგულ მოიცვეს ნაპრალის გაღმა კიდე. ალყა რომ მკვიდრი და საიმედო ყოფილიყო, ჯერ სალდათები ჩააყენეს, მერმე სვანების პოლიცია ამოუყენეს გვერდით, მერმე კვლავ ჯარი და ასე ბოლომდე. ჭიანჭველაც ვერ გაალწევდა უნებართვოდ და შეუმჩნევლად.

„სადღა წამივლენ? სადღა?“ — თქვა თენგიზმა, ლოჯები გადმოყარა და გულსავსედ გაიცინა.

გზა მართლაც აღარსაით იყო. ყველაზე უფრო მხნედ განწყობილმა ხალდელებმაც ყურები ჩამოჰყარეს და უილაჯოდ გაახრჭიალეს კბილები. იცოდნენ, თუ ცოცხლად ჩაუვარდებოდნენ მომხვდურებს, სახრჩობელა არ ასცდებოდათ, ამიტომ ერთიღა შეიძლებოდა მხოლოდ: ძვირად გაეყიდათ საკუთარი თავი. მაგრამ ჭრელი უნასივით რაღად იკლაკნება ნოტიო, ლორწოიანი გაბოროტება? სხედან ლოდიანებში თოფებშეწკიპული ვაჟკაცები და უმად ნათქვამი სიტყვა კმარა, რომ ღრენა დაიწყონ. ითმინონ — როდემდე? გაუძლონ — როდემდე?

„მოვიდა აღსასრული, — იტყვის ერთი უქლგადაგედებით, — მოვიდა რჯულძაღლი!“

„ვოი, ობლად დაყრილო ცოლ-შვილო!“ — ჩამოართმევს მეორე.

„ვოი — ვო, გატიალებულო სახლ-კარო!“

მათ კარგად დაინახეს, როგორ შთანთქა ხალდე წითელ ბუღასავით მონავარდე ხანძარმა. ყველაფერი ჩაიწვა და ჩაიფერფლა. მამალი რა არის, ისიც აღარ ყივის სოფელში. ხვალ-ზეგ ამათაც დაიჭერენ და კატებივით ჩამოჰკიდებენ ხეზე. მერმე ჯალაბსაც დაუწყებენ ძებნას. ვერ მიაგნებენ თუ რა? სად უნდა დაიმალონ უმწეო ქალები და ბალღები? ოო, ჩერგაზ და ჯოხან, თქვენს კისერებზე იყოს ამოდენა ცოდვაბრალი.

რაკი ჯებირი გაიბზარება, მერმე წყალს რაღა დააკავებს? ძმადნაფიცები: ჯოხან, ჩერგაზ, მომი, გურმაჩ, ხიშდუ, ჩოფე და გივერგილ ალურსულები არიან, მხოლოდ თვალებით ეხმიანებიან ერთმანეთს. მზად ყოფნაა საჭირო! საკმარისია ვინმე ლაჩარმა უადგილოდ სტორტლოს სიტყვა, რომ მერმე ეს სიტყვა ზვავით აგორდეს და ყველაფერი წალეკოს, ლომისგულა ბიჭები კურდღლებად აქციოს. დიდი ძალა აქვს სიტყვას! ამიტომ, ლაჩარსა და სულმოკლეს მაშინვე უნდა მოეკვეთოს ენა!

მოპირდაპირე ბანაკიდან დროდადრო მხიარული სტვენა, ყიჟინი და გარმონიკის ხმა მოისმის. ყიპიტაურით შეხურებული სალდათები გაჰკივიან, ქუსლებს უკანალზე ირტყამენ და ბუქნაობენ.

მერმე დადეშქელიანის მსახური ბუკს აახმიანებს და ნაპრალის მიღმა მომწყვდეულებს გასძახებს:

„თქვენ, ჰეი, ტილიანებო, შიმშილით რომ სული გძდებათ, ქამრები მაგრად მოიჭირეთ ქეციან მუცლებზე, მაგრად! ანდა, კაცი გვეახლოს, კალმახს გამოვატანთ და გამტკიცულ პურს!“

და მაშინ ნაპრალის გაღმიდან ქუხს ხალდელთა ძახილი:

„ჰეი, დაჩქელანო, წინაპარი ფუთა ხომ ტყვიით გაგიფალარათეს უშგულელებმა, შენ — ხალდელები გამოგიღებენ შიგანს, იცოდე კარგად!“

ხაზრდო კი მართლაც აღარ იყო. თხის ტყავის გუდები საბოლოოდ დაიჩუტა. ისევ ჩამოუშვა ცხვირი ზოგმა მოწუწუნემ, კრულვა დაუწყო თავის გაჩენის დღეს.

მაშინ მთელს ზემო ხევში განთქმულმა მონადირე გივერგილა იტყვის:

„გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო! გვექნება ხორცი, დიდი ღმერთი დამიფიცნია! ხვალ სადამომდე მადროვეთ მხოლოდ!“

გივერგილას ნათქვამს ფასი ჰქონდა, სიტყვა აღარავის შეუბრუნებია. ხვალთ გამთენიისას,

[1] ჭაველ და გავხედე: კარგად ომობენ ხალდელები. კარგად ომობენ ჯოხან და ჩარგაზ. კარგად ომობენ გიერგ და ბადრი. მათზე უკეთესად მომი და ხიშდუ. კარგად ომობენ ხალდელი ახალგაზრდები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მზირად გამწესებულებსაც არ დაუნახავთ, თუ როგორ გასხლტა ბანაკიდან გივრეგილა, როგორ ჩავიდა ნაკადულთან, და ილოცა ასე:

„დამბადებელო, ბატონო ქვეყნისაო, ნადირი და მონადირე შენი გაჩენილია, რა დროსაც მოგმართო, ყოველ დროს შენი კარგი ჯვარი დამწერე, მადლი იქნება. ქრისტე-მაცხოვარო, დიდება შენდა! ჩემს მაწყევარს მახვილი ჩაეცი გულში, ჩემს თოფს და მე ჯვარი გამოგვსახე. ცხოველმყოფელო წმინდა გიორგი, დიდება შენდა! ადამის ძეთა მწყალობელი შენა ბრძანდები, დღიან-ღამიანად მარჯვნივ მომყევი, ქაჯ-ეშმაკი მაშორე, როცა შეგეხვეწო, ყოველთვის შემიბრალე. დალს კლდისას დიდება! ნადირთა თავსმდგომი შენა ხარ, როცა გეახლო შენს საბრძანისში, მშვიდობით გამომიშვი, შენი საბრალი და საწყალი ვარ“...

გივერგილა წამოდგა, სამჯერ წალმა შებრუნდა და მერმე ფოცხვერივით შეახტა ქარაფებს — მიზანდაუმცდარი მონადირე.

შხარას ობლად დაჰნათოდა ცისკრის ვარსკვლავი.

როცა მზის პირველმა სხივებმა ყინულოვანი მწვერვალები მოავარაყა, გივერგილ უკვე საჯიხვეებში იყო და თოფშემართული გაიცქირებოდა იმ ფლატისაკენ, სადაც დგრიალით უნდა ჩაერბინა ვეძისკენ მილტოლვილ ნადირთა არვეს. ამ სანახებში უწინაც ამოსულა გივერგილა და ყოველთვის ხორცით დაზურგული მიბრუნებულა შინ. ახლა რაღა ღმერთი გაუწყრება? მით უმეტეს, რომ „კოჯა დალს“ მხურვალე ლოცვა აღუვლინა განთიადისას. მით უმეტეს, რომ, ქვემოთ, ნაპრალთან, მოყმეული თანამოძმენი ელიან მოუთმენლად!

ოო, ნადირთა ულამაზესო დედოფალო, დალ! კვლავაც გევედრება საწყალი გივერგილა — აჩუქო ერთი ხარ-ჯიხვი, ანდა არჩვი იყოს თუნდაც. მხოლოდ ერთი, მზეთუნახავო, ამასაც იკმარებენ უბედური ხალდელები, რათა შიმშილით არ გასავათდნენ. მხოლოდ ერთი, კლდეთა მეფავ, მხოლოდ ერთი!

ამაოა გივერგილას ვედრება ცეცხლოვანმა მზემ კარგა მოიმაღლა ცაზე, თეთრად მოსპეტილი მწვერვალები თვალისმომჭრელად აბრჭყვიალა და აელვარა, მაგრამ ჯიხვთა არვე :რა სჩანს და არა. ნუთუ ადგილი ეცვალა გივერგილას, წარაფი აერია და ხედვის მიზანი დაებინდა? ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავ!

დრო აღარ ითმენს. თუ ახლა არ აულო ჯიხვთა ნაკვალევს გეში, საღამომდე მოუწევს ლოდინი. და ვინ იცის, საღამოს კი მოიხელთებს რასმე? თუ ვერა, მაშინ აქ, ყინულებში უწევს გაფიჩხვა, ხოლო ქვემოთ, ამხანაგები მთლად მიმკვდარდებიან შიმშილით. და აჰა, იხაროს თეჭნგიზ დაჩქელანის ბინძურმა გულმა! ამის წარმოდგენამ სისხლი აუმღვრია გივერგილას. მუხლი გაიხმნევა და კვლავ ჟინით მიაფრინდა ქარაფებს. ივლის, ფეხდაფეხ დალახავს შხარის ქიუხებს, უნადავლოდ კი არ დაბრუნდება!

ოი, იმის ბედნიერი ჰქნა საწყალი გივერგილა, რომ დალ ენახვებოდეს ახლა, თვით მზენაბანი დალ! მაშინ გაკეთდა გივერგილას საქმე!

„მეჩვენე დალ-ბედნიერო, მეჩვენე და მობოძე ერთი ჯიხვი შენი არვედან. ეგ იყოს და ეგ, მერმე თუნდა ხელიც ამაღებინე ნადირობაზე, ოღონდ მიძღვენი ერთი ჯიხვი, დედოფალო“.

იცის გივერგილამ: დალს წმიდა გიორგისაგან აბარია ჯიხვთა და არჩვთა ჯოგი და მათ შორის თავისი სანიაზო ცხოველები ჰყავს ამორჩეული. რომელი ჯიხვი და არჩვიც უყვარს დალს, იმათ მონადირეს არასოდეს მოაკვლევინებს. თუ ხარბმა მონადირემ დალს არ დაუჯერა და მაინც მოაკვდინა მისი საყვარელი ცხოველი, თავად მონადირეც მოკვდინდება მაშინ!

იცის ეს გივერგილამ, კარგად იცის!

გახვითუქული მიიწევს სულ მაღლა და მაღლა. ბანდულები შემოეგლიჯა, დამსკდარი ფეხებიდან სისხლმა დაუწყო დენა, მიჯვრაც შემოატყდა ხელში, მაინც არ ისვენებს, სიმაღლეს ეძალება და მსასოოვარ ლოცვებს აღუვლენს ნადირთა დედოფალს.

და უცებ, ამას რას ხედავს გივერგილა? თვით მზეში განბანილი დალ გამოანათებს ზღაპრული ქვაბულიდან. ოქროს თმა კოჭამდე სცემს, ლუში, ცისფერი თვალები ფართოდ გაუხელია, დგას და იღიმება გონისშემშლელი.

გივერგილა მუხლებზე დაეცა წამსვე.

„რისთვის გარჯიხარ, გივერგილა?

„ნადირი უნდა მაჩუქო, დედფალ“.

„ისეთი რა გაგიჭირდა გივერგილა, რომ ჩემი შეწუხება გაბედე?“

„ძმები შიმშილით მეხოცება, დედფალ“.

„რა დამართნიათ მამაც ხალდელებს, გივერგილა?“

„თავისუფლება ვეძიეთ, დედფალ“.

„თუ იპოვეთ, გივერგილა?“

„ვერა, დაგვაქციეს, დედფალ.“

„რაღა აზრი ჰქონია ბრძოლას, გივერგილა?“

„ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, დედფალ!“

„ადექი, მოგცემ ჯიხვს, გივერგილა.“

დალ შიშველ მკლავს გაიშვერს და თითებს ოდნავ შეახებს დაჩოქილ გივერგილას მხარზე. გივერგილას ცეცხლოვანი ჟრუანტელი აუწვავს სხეულს.

„შენი წყალობა ნუ მომაკლოს, დედფალ!“

„მეც მაქვს სათხოვარი, გივერგილა!“

„მიმსახურე ფერხთა მტვერი, დედფალ.“

---

თეიმურაზ მაღლაფერიძე

„გაულ გავხე“

„ჩემთან იყავი, გიველგილა!“

დალ მთლად ცახცახებს ვნებით აყვანილი.

ამას რას ელირსე გიველგილა — სვედავსილო? მზის შვილი დალ იყოფს შენთან სარეცელს? მის მათრახივით მოქნილ ტანს ეხვევი? მის პატარა, მკვრივ ძუძუებს ჰკოცნი? მისთა თვალთა უძირო სილურჯეს ჩასცქერი? მისთა ბაგეთა გოლეულს ეწაფები? ეს რა ლადარში ითუთქები, გაუხარელო? აი, თურმე რა ყოფილა ღვთაებრივი სარეცელი — შენ სარეცელი საერთოდ არ გქონია, გიველგილა! აი, თურმე რა ყოფილა ვნებით გათანგული, ცხელი სუნთქვა ყურის ძირთან და სიყვარულის ჩურჩული — შენ აქამდე არავინ გეჩურჩულებოდა, გიველგილა...

„რა ტკბილი ყოფილხარ, გიველგილა!“

„შენ უტკბესი ხარ, დედდფალ!“

„მე სხვა მონადირეებიც მინახავს. შენ ყველას უმჯობე ხარ, გიველგილა.“

„მე არავინ მინახავს, დედდფალ.“

„დარჩი ჩემთან, გიველგილა.“

გიველგილა წამოიწევს, მოიცილებს დალის მდუღარე მკლავებს.

„არ შემიძლია, დედდფალ.“

დალ კვლავ შემოეჭდება, მეტი ვნებით, მეტი ცეცხლითა და გახელებით.

„ჯიხვს არ მოგაკლებ, გიველგილა.“

„ჯიხვი მშიერი ძმებისათვის მინდა, დედდფალ.“

„ხვევნა-ალერსს არ მოგაკლებ, გიველგილა!“

„ვაი, მე უბედურს, ძმებს ვერ ვუღალატებ, დედდფალ!“

„მაშინ, წა, გამეცალე, გიველგილა!“

დიდრონი, ლურჯი თვალები უჩვეულო სიკერპით აევსო დალს. გიველგილა სასოებით ემთხვია მის შიშველ მუხლებს და ტერფებამდე ნაფენ ოქროს თმას.

„გიცდის ჯიხვების არვე. ხოცე, რამდენიც გინდოდეს, გიველგილა!“

მართლაც ლარტაფში უშტი და უშქარი ჯიხვარჩვი შექუჩებულა. ბღავიან საწყალობლად. ჯიხვის ფოთრები ხტიან და კუნტრუშებენ.

„მადლობა, დალ-ბედნიერო! მადლობა!“ — ბუტბუტებს სიხარულით გიველგილა.

გადარჩებიან ხალდელები, აღარ დაიხოცებიან შიმშილით, ძალას მოიკრებენ და დედას უტირებენ მტერსა და დუშმანს.

გიველგილა სწრაფად გადმოიგდებს მიზანდაუმცდარ თოფს, ხარ-ჯიხვს დასვამს სამიზნეზე, ესვრის, მაგრამ ხარ-ჯიხვის ნაცვლად ჩვილი ფოთრი წაიქცევა. ეს რა ღვთის რისხვაა? ნუკრის მოკვლა ვინ გაიგონა? კიდევ უმიზნებს გიველგილ, მაგრამ ახლაც ფოთრის უმანკო სისხლით ილებება კლდე. მესამედ ესვრის. მესამედაც იგივე.

და მაშინ მიხვდა გიველგილ, რომ დალისაგან სამუდამოდ იყო გაჩხიბული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

. . . . . . . . . . . . . .

თოფმა ჩაასწრო უფსკრულში პატრონს.

. . . . . . . . . . . . . .

ორი დღის ლოდინის შემდეგ, ტინებში გამომწყვდეული, სიცივითა და შიმშილით გასავათებული ხალდელები მიხვდნენ, რომ გიველგილა დალ-ბედნიერის მორიგი მსხვერპლი იყო და ისედაც მოშხამული გონება მთლად დაუგონჯდათ. გიველგილაზე ნაკლებ ხელმარჯვე მონადირეებმა წამოიწიეს, ახლა ჩვენ ვცდითო ბედს, მაგრამ ადგილზევე გააჩერეს. ერთი, ორი, თუნდაც ოთხი დღით შიმშილის მოკვლა არ უშველიდა საქმეს, სიცივეს მაინც ვერ გაუძლებდნენ. რაიმე სხვა უნდა ეღონათ, ანდა ყელზე საბელჩაბმულნი საკუთარი ფეხით ხლებოდნენ მთავრობას.

ჯარი მოთმინებით იცდიდა. „კამანდამ“ ისედაც მნიშვნელოვანი ზარალი ნახა და ერიდებოდა ზედმეტ მსხვერპლს, შეტევაზე არ გადადიოდა. რამდენ ხანს გასძლებდნენ ალყაში მომწყვდეულები? თუ შიმშილს არად ჩააგდებდნენ, ზამთარი ხომ მაინც მოუღებდათ ბოლოს? მით უმეტეს, რომ უკვე ახლა, შემოდგომაზე, ისე ციოდა, ძვალ-რბილი ეყინებოდა ადამიანს.

ამ ვერაგობას კარგად გრძნობდნენ ხალდელები, მაგრამ ილაჯი აღარაფრისა ჰქონდათ. და აი, ისევ იჩინა თავი ლორიწანმა სილაჩრემ. ვაჟკაცები უმოქმედოდ, ლეშებივით ჰყრიან ტინებში და უღრენენ ერთმანეთს. საბოლოოდ კი, ყველა ნაღრენი გურმაჩს და ჩერგაზს უვლის გარშემო. ისინი არიან დამნაშავე! მათი გამოისობით ამტუტდა ხალდე! მათ გამოა რომ ცოცხლად იმარხებიან ამ კლდეებში! არა, მეტს ველარ მოითმენენ! საკმარისა! იქონიონ სინდისი გურმაჩმა და ჩერგაზმა, ჩაბარდნენ მთავრობას, თორემ... თორემ სხვები გაბაწრავენ და ჩააბარებენ!

დასრიალებს ჭრელი სილაჩრე და გასაძრომ ხვრელს დაეძებს.

ხალამთა, მზე ჩაესვენა, სიცივემ მოუჭირა. კიდევ ერთ ჯოჯოხეთურ ღამეს უნდა გაუძლონ, მაგრამ შეუძლიათ კი? ასეთ ყოფას მართლა სიკვდილი სჯობია! მაშინ წამოდგებიან გურმაჩ და ჩერგაზ. ერთი მათგანი იტყვის:

—შეგვინდეთ, თუ რამ დაგიშავეთ და გაწყინეთ, ხედავს დიდი ღმერთი, ბოროტებით, ან სიჯაბნით არ მოგვსვლია. ახლა გვიანღაა, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. უნდა გაგეცალოთ, ცოცხალი კი მაინც არ ჩავბარდებით იქედნეთა მოდგმას“.

ფიქრის დრო აღარ იყო. დამეხილი სიჩუმე ხიშდუს ხმამ გაარღვია.

„აქ ძაღლივით სიკვდილს... მეც თქვენთან მოვდივარ!“

ფიქრის დრო აღარ იყო.

ჩოფვე: მეც!

ფიქრის დრო აღარ იყო.

ჯოხან: მეც!

ფიქრის დრო აღარ იყო.

„შეჩერდით! — ამბობს მომი, — მოიტათ ყველამ თქვენი მიჯვრები“.

რა განუზრახავს მაჭარივით ფუცხუნა მომის? იქნებ რაიმე უკეთესი აზრი მოუმწიფდა ჭკვიან თავში? აბა შენ იცი, მიშგუ ლადელ სი, სიკვდილი ყოველთვის მოესწრება! და ხალდელლები მის ფერხთა წინაშე ალაგებენ რკინის ბუნიკიან შინდის კეტებს.

მომი სათითაოდ დასწვდა კეტებს, შეაქუჩა, მშრალი ხავსი მიუმატა, კვესაბედი გაჰკრა და კოცონი აბრიალა. ხალდელლები გაკვირვებულები უმზერდნენ, მაგრამ თავს ნებას არ აძლევდნენ ეკითხათ რამე. იცოდნენ: მომი ტყუილ-უბრალოდ არ გაირჯებოდა. ცეცხლმა იმძლავრა. ყვითლად გაანათა გამხმარ-გაბურძგნული, გაწამებული სახეები.

მაშინ თქვა მომიმ:

„ამიერიდან, მიჯვრები აღარ დაგვჭირდება. ერთს გემრიელად კი გაგვითბობს ძვლებს. მე მგონია, არ გავუწირივართ ღმერთს და კიდევა მაქვს გადარჩენის იმედი!“

გაწამებული სახეები დაიძაბა.

„გაველ და გავხედე წელან. გულდასმით გავხედე. ბალსქვემო სვანების რაზმში ჩემი ნათლიმამა ურევია. მე წაგიძღვებით. გაგვატარებენ. თუ არა და“...

„თვალმა ხომ არ გიღალატა? მართლა ის იყო?“ — ჰკითხა ჩოფვემ.

„ის იყო, კი“.

„ადგილი თუ დაიხსომე, სადაც ის რაზმი დგახ?“,

„დავიხსომე, კი“.

ცეცხლი მხიარულად გურგურებდა. მისი მხიარულება ადამიანებსაც გადაედოთ. აღზდგა და აიყალყა მიძინებული, მინავლული უტეხობა სულისა და ხალდელლები კვლავ ხალდელლებად იქცნენ. საძვრომი ხვრელი ველარ იპოვნა ჭრელმა სილაჩრემ, ფეხი დააბოტეს და თავი გაუჭეჭყეს. მერმე აჩრდილებივით დაბობღავდნენ ცეცხლის გარშემო და ალტაცებით უბარტყუნებდნენ ერთმანეთს ტორებს.

„ეს რა თქვა, ა? გაველ, გავხედეო?“

„ხო-ხო, აბა?“

„გაველ, გავხედე..., — წაიმღერა გურმაჩმა, — გაულ გავხე და“...

მერმე ყველაფერი თავისით მოხდა: ვაჟკაცებმა ცეცხლის ირგვლივ რკალი შეჰკრეს, მკლავები ერთმანეთს გადააჭვდეს და ამღერდნენ. არავინ იცოდა რას მღეროდა, ან როგორ! მაგრამ სიმღერა მაინც მთლიანი, მუშტივით შეკრული და ძარღვიანი იყო. მღერით აგონებდნენ ერთმანეთს ხალდელლები თავიანთ ვაჟკაცობისა და გაუტეხლობისას. არა, ეს არ იყო სიმღერა: ეს იყო გააფთრებული ყმუილი მგლებისა, თავისსავე ლეკვებს რომ იცავენ ხელყოფისაგან.

უვლიდნენ ხალდელლები ფერხულს ცეცხლის გარშემო და თვითეული მათგანი რაღაც ახალს უმატებდა სიმღერას, აქვე, ამ წუთში რომ იქმნებოდა. და ვერ გრძნობდნენ, რომ თავს დახტრიალებდათ ნადირთ დედოფლის, დალ-ბედნიერის უილბლო მიჯნურის გიჟერგილას წამებული სული.

ასე სჭექეს ხალდელმა მოყმეებმა უკვდავი ჰიმნი თავისუფლებისა — „გაულ გავხე“, დღესაც რომ მღერიან მათნი ჩამონავალნი!

წკვარამ ღამეში, მომიმ, ცხადია, ვერ მიაგნო ის რაზმი, სადაც მოყვარე კაცი ეგულებოდა. თუმცა, არც დასჭირვებიათ. დამხვდურებზე ზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა შიშველსატევრიანი და შეჩახმაჩებულთოფიანი აჩრდილების დანახვამ. ავ სულებად მიიჩნიეს და შიშით ენა ჩაუვარდათ. ისე გასხლტა თვალ და ხელ შუა 34 მრისხანედ შეწკიპული ვაჟკაცი, კრინტის დაძვრა ვერავინ გაბედა. ხოლო როცა გონს მოეგნენ, მიხვდნენ, რომ სწორედ ამის შემდეგ ჰმართებდათ ხამუდამოდ დადუმება. თენგიზ დაჩქელანს გუმანითაც რომ მიეტანა ეჭვი, სათითაოდ ჩამოჰკიდებდა ხეზე.

დუმილი ოქროა რჩეული. ჰოდა, გაჩუმდნენ.

მოაწია ზამთრის პირმა.

ტყეებს რუხი ფერი დაედო და მზესაც, კაი ხანია, მცხუნვარება დაეკარგა. დილაობით რთვილი ეფინებოდა მიწას, მთათა წვეროკინებზე ჩამოთოვა კიდეც. სულ მალე მოვიდოდა ხვავრიელი სვანური ზამთარი. სოფლებში ემზადებოდნენ მის დასახვედრად — შეშას იმარაგებდნენ, საქონელს აბინავებდნენ, ხორცს შაშხავდნენ.

... მხოლოდ, კაცისა და ღვთისაგან განწირული ხალდე, დაქცეული და დანაცრებული, ხრჩოლავდა ფერფლში. მისნი ბედკრულნი შვილნი, ქალები, ბალღები და მოხუცები, ზოგი ქვემო სვანეთში, ზოგიც მულახსა და ჰადიშში სამოწყალოდ შეივრდომეს ნათესავებმა და მოყვრებმა, ხოლო ნაომარი მამაკაცები, აგერ მესამე თვე იყო, ღვირის მიუვალ მთას აფარებდნენ თავს.

გაჭირდა საქმე.

თენგიზ დაჩქელანმა, ჯარის ნაწილებთან ერთად, ყველა ხერხი და ღონე იხმარა, მაგრამ მათი გამოჭერა ამაო ოცნებად დაურჩა. რა არ იფლიდა, რა მახე არ დააგო, ხალდელლები მაინც მიუდიოდნენ ხელიდან. აშკარად ეკარგებოდა სვანეთის ბოქაულობა, ეკარგებოდა პატივი და ჯინჯილები, ეკრაგებოდა ორდენი, „მახვილითა და ბაფთით“. არა, ამას ვერ გადაიტანდა თენგიზ...

და სწორედ მაშინ მოიფიქრა ის მზაკვრობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაც შემდგომ სამუდამოდ საწყევარი გახადა მისი სახელი:

აჯანყებულთა ცოლ-შვილზე მიიტანა იერიში.

მსტოვრები მოედვნენ იმიერ და ამიერ სვანეთს, გამოიძიეს ხიზან ხალდელთა სამყოფელი და წვრილად მოახსენეს თენგიზს. მალე თეთრ ცხენზე ამხედრებულმა ნამთავრალმა სოფლები დაიარა, ხალხი ზუგზე შეჰყარა და გამოუცხადა:

„ჩემი სიტყვა მოკლეა და პირდაპირი: ან ჩაბარდებიან აჯანყებულები, ან მათ ოჯახებს დავატყვევებ და ქუთაისს წავასხამ. მოიფიქრეთ! ერთი ქზგეფსი დამიდვია ვადად!“

იტყოდა ამას თენგიზ, ხალხს ქორივით გადახედავდა, ცხენს გააბრუნებდა და ლაღი თოხარისხით უკანვე გასწევდა.

თავი ჩაჰკიდეს სოფლის მახვშიებმა, ბჭობას შეუდგნენ. ლოყებს იხოკავდნენ დედა-წულნი და კრულავდნენ გაჩენის დღეს. ერთი პირობა ისიც კი იფიქრეს მახვშიებმა, სადმე სხვაგან ხომ არ გადავხიზნოთო დევნილთა ცოლ-შვილი, მაგრამ სად? ყაბარდოში ვერ გადაიყვანდნენ — უღელტეხილები უკვე ჩამოთოვლილი იყო, აქვე, სვანეთში დამალვაზე კი, ფიქრიც არ შეიძლებოდა — სად წაუვიდოდნენ დაჩქელანის თარს აეშაგებს?

ღმერთო, რად დაჰყარე აგრე უნუგეშოდ ხალდელლები?

წმიდა კვირიკევ, ყოვლად ძლიერო, რად ჰყავ უსასოოდ შენნი ერთგულნი მლოცველნი?

ბევრი ითავცემეს მახვშიებმა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს იმის მეტი რომ სანდო კაცი აფრინეს ლვირის მთაზე და აჯანყებულებს საქმის ვითარება აცნობეს.

იქ გუმანით მოელოდნენ ამ ამბავს.

გაწამებულმა, მშიერმა, ჩამოღლეტილმა, გაბურძგნულ-გატყიურებულმა ვაჟკაცებმა მოისმინეს დაჩქელანის მზაკვრული განაჩენი და აყმუვლდნენ სიმწრით.

აჰა, აღსრულდა!

ამაოდ ჩაიარა ამდენმა ბრძოლამ და წყვეტებამ: სოფელი დაიქცა, ჯალაბი დაწიოკდა, თვითონ კი სამსხვერპლო ტარიგებივით, სახრჩობელის ყულფი თავისივე ხელით უნდა ჩამოიცვან კისერზე.

აი, თურმე რისთვის იომეს! აი, თურმე რისთვის ღვარეს სისხლი!

ყმუოდნენ ხალდელლები და ბალღამიანი გაბოროტება ედებოდათ გულზე. ხსნა არსაიდან ჩანდა.

ჩ უ ო ვ წელსა, ქრისტეშობის თვეს, „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი უჩვეულო სანახაობის მხილველი შეიქნა:

თეთრი ხიდი შეთოფიარაღებულმა სვანებმა გადმოიარეს. მწყობრად მოდიოდნენ, დინჯად, აუღელვებლად, მაგრამ საეჭვო გარეგნობა კი ჰქონდათ: დაგლეჯილ-დაფლეთილი და ტალახში ამოთართხნილი იყვნენ.

ქალაქს ცივი მზე ანათებდა, უქიმერიონის გორაზე თეთრად ელავდა ბაგრატის ტაძრის ნანგრევები.

სვანებმა, როგორც კი ქალაქში დაიგულეს თავი, მთელი ხმით წამოიწყეს რაღაც მჭექარე სიმღერა — მსგავსი რომ არასოდეს გაეგონა ბებერ ქუთაისს.

ეს იყო „გაულ გავხე“.

დაამთავრეს ერთი მუხლი, სწრაფად გადმოიგდეს მხრიდან მრავალნაცადი კუთხვა-თოფები და ბათქმა გაფხრიწა ზეცა.

ფეხზე დადგა პოლიცია.

წრე შემოარტყეს სვანებს, მაგრამ მათ ყურადღება არ მიუქცევიათ შეცბუნებული პოლიციელებისათვის. სიმღერითა და შედლუხით განაგრძობდნენ გზას.

„ხალდელლები ყოფილან! ხალდელლები!“ — გაჰყვიროდნენ ქუთათურები.

არა და არ გაახარეს ხალდელლებმა თავადი თენგიზ, აჯანყებულთა დამტყვევებლის პატივი არ არგუნეს! როცა მიხვდნენ, რომ საბოლოოდ მოეჭრათ ყველა გზასავალი, მიაფურთხეს სიკვდილს და...

სამხედრო გარნიზონის გრძელ, რუხ შენობასთან პროცესია შედგა. ხალდელლებმა სიმღერა შეწყვიტეს, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გამოეყო ჯგუფს გურმაჩ გასვიანი, თოფი ორივე ხელით ტუჩებთან მიიტანა, ეამბორა სამჯერ, მერმე მოიქნია ძალუმად და ფარნის ბოძს შეაფშვნა. სატევარიც ჩამოიგლიჯა, დაანარცხა.

„დამთავრდა, ძმებო, ჩვენი გზა! აღარ გვჭირდება იარაღი!“

მას სხვებმაც მიჰბაძეს. მალე თოფები და სატევრები დამსხვრეული ეყარა მიწაზე. ხალდელებმა ხელები ჩამოუშვეს და გაქვავდნენ. მდუღარე კურცხლები მოასხამდათ თვალში.

ასეთი სანხაობის მოწმე შეიქნა ქუთაისი ჩ უ ო ვ წელსა, ქრისტეშობის თვეს.

## ეპილოგი

„არ მოკვდება თქვენი სახელი,
არ გაქრება არასოდეს თქვენი ხსოვნა
ხალდელლებო,
როგორც თოვლი ბებერ მთებზე“.

ერთ დღეს, კალის საზოგადოებაში უცნაური გარეგნობის კაცი გამოჩნდა. დაგლეჯილი ტყაპუჭი ეცვა, უშნოდ აწოწილსა და ბეჭებში მოხრილს, ყლალი წვერი მკერდსქვემოთ სცემდა. დადიოდა უტყვად, მუნჯივით, არაფერს იკითხავდა, არცთუ იტყოდა რასმე, მხოლოდ ეგ იყო, დაჟინებით აკვირდებოდა გარეშემოს. სოფელში ერთი კი დაინტერესდნენ მისი ვინაობით, მაგრამ რაკიღა უცნობი ჯიუტად ხდუმდა,

ხელი ჩაიქნიეს და თავი მიანებეს, სარუსეთოდან გადმოხვეწილ ღვთის გლახად ჩათვალეს. ასეთები, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებოდნენ ხოლმე მთებში.

როცა შებინდება იწყო, ჯოხზე დაყრდნობილმა უცნობმა სვენებ-სვენებით აიარა მიჯვრიშის აღმართი. უცქეროდა ზვიადად გაშლილ, თოვლყინულიან შხარას და აცახცახებული ხელით იწერდა პირ-ჯვარს.

აჰა, გაილანდა ხალდეს სანახებიც.

მგზავრი თავზარდაცემული შედგა: ნანგრევების საზარელ გროვაზე ველურ ყვეროხსა და ყალტამს, ლინჭას, ნაცარქათამასა და დიყს აეშვა თავი. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე აქ ულამაზესი სოფელი იყო და ცხოვრება სჩქეფდა.

ვეღარ გაუძლო უცნობმა ხილულს. მუშტივით დაპატარავებული, მიწაზე დაემხო და სულის შემძვრელად აწკმუტუნდა ნაცემი ძაღლივით.

იდგა 1888 წელი, ვარდობისთვე.

ხალდეს აჯანყების ერთ-ერთი თავკაცი, მოში ჩეგიანი თორმეტწლიანი გოლგოთის შემდეგ, გატეხილი და დაწრეტილი, მშობლიურ კერას დაჰბრუნებოდა. მაგრამ სადღა იყო სატევარივით ელვარე ხალდე? სადღა იყო საკუთარი ოჯახის თბილი ლადარი? ვის მკლავზე გორავდა მისი თვალშურთხა ცოლი? ვინ ზრდიდა სამადლოდ მის ობოლ პირმშოს?

ვოი, საბრალ მოში, არ ჯობდა განა, სადაც იყავი იქვე გაგთხროდა სამარე, თუკი ასეთი შხამი და სამსალა გელოდა? შენს ტანჯულ მოძმეებს მაინც მიუწვებოდი გვერდით!

ამ ყოფაში იყო ბედკრული, როცა ჰადიშელი მწყემსები წაადგნენ თავს. ახლა კი ვეღარ დამალა ვინაობა უბედურმა და მდუღარედ შეხტირა უცნობებს თავისი საარაკო გასაჭირი.

მოში დაბრუნებულაო?

ფიცხლად მოახტა ზერდაგს ჭაბუკი და გააქროლა ქვემო სვანეთისაკენ, სადაც მოშის მგლოვიარე ჯალაბი ეგულებოდა.

ქობაჩამორღვეული, თალხი კაბა ეცვა მოშის დედაკაცს. რაც პატრონი გადაუკარგეს, მზისთვის აღარ გაუსწორებია თვალი. მოყვრებთან შეკედლებული, წელებზე ფეხს იდგამდა, სანთელივით ელოლიავებოდა ერთადერთ შვილს.

მოში დაბრუნებულაო?

სიხარულის წივილ-კივილით შეიცხადეს სოფლის ქალებმა. ცოლს ძაძები შემოაფხრიწეს და ჭრელა-ჭრულით შემოსეს იჩქითად.

დაიძრა ნავლწაყრილ ხალდესაკენ ცხენოსანთა ასაბია. თოფის სროლითა და სიმღერით მიდიოდნენ დაწალიკებით და გარეშეს ეგონებოდა — მაყრიონს პატარძალი მიჰყავსო. მეწინავეს ხელზე წითელი მამალი ეხვა. ამ მამალს უნდა გაეღვიძებინა გაქვავებული ხალდე.

... იდგა ცოლ-შვილსა, ნათესავებსა და მოყვრებს შორის ერთ დროს მაჭარივით ფუცხუნა მოში და ცერის სიმსხო კურცხლები მოასხამდა თვალთაგან. არც მანამდე გამოირჩეოდა ლაქარდიანი ენით, მაგრამ ახლა, თორმეტწლიან ჯოჯოხეთს მთლად დაემუნჯებინა. ძალად თუ ამოჰგლეჯდი სიტყვას, თუ არა, სდუმდა ერთთავად.

ხალხის დახმარებით, ძველ ნაფუძარზე სახელდახელო ფაცხა მოდობა, ჯალაბი შელალა, ხოლო დირეზე შემოსვა წითელი მამალი. მამალმა ფრთა-ფრთა შემოჰკრა და ხმიერად დაიყივლა.

ახე გაიღვიძა დაქცეულმა ხალდემ.

მერმე ნიშა ხარი წამოაქციეს, ყელი გამოღადრეს, გოზაურებით არაყი მოიტანეს და კალელებმა, ჰადიშელებმა, უშგულელებმა და მულახელებმა დიდი ლხეობა გამართეს.

მაშინ ერთხელ კიდევ იმღერა მოშიმ „გაულ გავხე“ ხავსმოდებულ ხმით. ჭეელებმა მაშინვე აიტაცეს. მალე მთელს სვანეთში გაისმოდა თავისუფლების უჭკნობი ჰიმნი.

ეგ იყო და, მოშის აღარასოდეს უმღერია.

მთლად შთაინთქა თავისთავში, ცოლ-შვილსაც არ ეზრახებოდა წესიერად. მხოლოდ ლეშით დაბრუნდა იმ ჯოჯოხეთიდან, სულში კი, ვერ იქნა და ვერ მოინელა განცდილი და გადატანილი. ადგილს ვეღარ პოულობდა, ხშირად მთელი დღეები იკარგებოდა და მარტოსული, მიუსაფარი, დაეხეტებოდა კლდე-ღრეში. უთვალთვალეს და შეამჩნიეს, რომ საკუთარ თავს ელაპარაკებოდა გაცხარებით.

მერმე ლოცვა-მარხულობას მიჰყო ხელი.

ციმბირში შენების ხელობა შეესწავლა და როცა იფარის ხაზოგადოებაში ეკლესიის აგება გადაწყვიტეს, მოშის ანდეს ეგ საქმე. ჩინებული ბაზილიკა გამოუვიდა. მერმე სხვაგანაც აშენა რამდენიმე ეკლესია და შეაკეთა ძველი.

ბოლოს, ხალდეს ჯანყის ჟამს ჩანგრეული ხიდის აღდგენა განიზრახა. გულმოდგინედ შეუდგა საქმეს, მაგრამ შემთხვევით ფეხი აუსხლტა ნაწვიმარზე, წამახულ კლდეს დაეცა და განუტევა ნაწამები სული.

მოკვდა უკანასკნელი დიდი ხალდელი.

მოკვდა, მაგრამ სოფელში კი სიცოცხლე გაალღვივა. წყალნი წავიდ-წამოვიდნენ, ქვიშანი დარჩნენ. და ხალდე ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე, ვითარცა სახელოვანი ნაგლეჯი სისხლითა და ცრემლით ნაპოხი ქართული მიწისა.

იქ დღესაც მღერიან „გაულ გავხეს“.

კვლავაც იმღერებენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სილოვან ნარიმანიძე

### და ბედნიერი ვიყავი!

ვტკბებოდი მთებით, მდინარეებით,
სულ გაზაფხულის მოსვლას ველოდი,
მზით ვთბებოდი და,
სხვისი ლხენით ვიმოსებოდი,
და სილამაზეს აღტაცებით ვეგებებოდი —
რა ბედნიერი ვიყავი!...
ხან სუსხი იყო ჩემი მფარავი,
ხან მცხუნვარებას ედგა კარავი,
ხან ცრემლი იყო ჩემი მეგზური,
ხან სიხარულით სცემდა ეს გული: —
და ბედნიერი ვიყავი!..
ხან, დაღლილს, მკერდზე ოფლი მდიოდა,
ხანაც, მთებს იქით მზე ჩადიოდა,
ხან, ცისქვეშეთში დავიდე ბინა,
ვნახე, მზემ როგორ ამოიბრწყინა; —
და ბედნიერი ვიყავი!
სიცოცხლევ შენით,
მზით და განგებით,
ქართა გნიასით, ფრინველთ ჰანგებით,
სხვებით და სხვებით,
ფრენით და ლხენით,
გახსენებით და დავიწყებებით: —
რა ბედნიერი ვიყავი!..

### მე თვითონ ხმა ვარ!..

ლურჯ ბილიკებზე სიცოცხლე დადის,
როგორ კარგია ფიქრი კეთილი,
როცა ბილიკებს შერჩები ცალად!..
როგორ კარგია, ხედავ, სამყარო,
და ბინა, სადაც მუდმივად ვცხოვრობ—
მიწის სიღრმეში, თუ მიწის ზევით,
კარგია, რასაც ხედავ და იგრძნობ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უთვალავ ფრინველს მაგონებენ მაღალნი მთები, —
აჟღერებულნი თითქოს ჰანგებად.
გზები კი, გზები, იმ უსასრულო ოცნებათა
ერთად ახდენას...
წლების აქეთ და წლების იქით, —
ყველაფერს იტევს თვალსაწიერი
და ნახანძრალი უდაბნოს სივრცე,
და ჩემს სხეულში — ელავს შუადღე, —
მაღლა ასული მზის მცხუნვარება...

რა არის სევდა, ან სიხარული,
აღფრთოვანება, ან სინანული?..
ამ ჩვეულებრივ გარემოში ვეღარ ვჩერდები:
ვიღაც მეძახის სულ წინ და სულ წინ:
მე თვითონ ხმა ვარ წლების იქიდან,
წლების აქეთკენ გამოსროლილი...
მე ვიჭერ ფიქრებს და ვხედავ ფერებს
შავ-შავ ღრუბლების
ურიცხვ გროვებში,
წლების იქითკენ მე უხილველს ხილულად ვხედავ,
წლების აქეთკენ რაც არის ვიცი,
ლურჯ ბილიკებზე სიცოცხლე დადის,
როგორ კარგია, ფიქრი კეთილი!..

## ერთადერთი ხარ, შენ — ვისაც გიმზერ!

ვინ იცის სად არ ვიხეტიალე,
რომ გამეხარა შენი დანახვით,
სად არ დავლახე მთა და ტრამალი,
სად არ ვებრძოლე შავ-შავ ღამეებს,
რომ განმეცადა სიდიადე შენი მთლიანად...

ერთადერთი ხარ,
შენ, ვისაც გიმზერ!..

დაუდეგარი ნებისყოფით, თმენით და ბრძოლით,
მე მოვიპოვე თავისუფლება!
(თავისუფლებავ, ვფიცავ ზენაარს,
შეუცვლელი და ძვირფასი რამ ხარ!)
არად ჩავაგდე დიდი ურვა,
შფოთვა, გოდება,
ოღონდაც შენთან მომეტანა,
სიკეთის დიდი ჩირაღდანი —
— გული კაცისა!
ერთადერთი ხარ,
შენ ვისაც გიმზერ,
ჩემს ნათქვამს ასე ყურს რომ უგდებ,
ჩემი რომ გჯერა!

შენის იმედით მოველოდი დაუბრუნებელს —
ძვირფას იმედებს
აჰა, აღმხდარა ყველაფერი,
ყველა გზა ნაცნობ მთებისკენ მიდის...
ერთადერთი ხარ,
შენ, ვისაც გიმზერ!...

## ჩემი ხმა...

გაუთავებლად დავეძებდი,
აღმართ-დაღმართში,
ზენა ქარებში,
რუსხმულების კლდიდან ვარდნაში.
ფრთოსანთა მიერ ლაჟვარდების შემოწერაში,
მთაგრეხილებში, —
გაზაფხულის ველად მღერაში...
გაუთავებლად დავეძებდი,
ბუხრის ალებში,
ორღობეების ყვავილების მჩუმარ ალერსში,
ყველა არსების უცნაურ და ნაცნობ თვალებში,
წარსულში,
მზეში,
უკუნეთის წკვარამ ღამეში.
ზეციდან უხმოდ მოალერსე
მდუმარ მთვარეში,
ქარბუქში, ზღვაში, —
უკმარობის სიმწუხარეში,
ჩემს ხმას ვეძებდი,
ჩემს არსებას,
ჩემს სიმარტოვეს,
ვეძებდი ყველგან,
სიკვდილში თუ ბედის ტრიალში,
სახლში თუ გზაში,
სიხარულში თუ სატკივარში,
გამომერჩია ის სიჩუმე სხვა სიჩუმისგან,
ჩემი ვნებები მრავალ სხვათა სიყვარულისგან,
გამომეკვეთა ტალახისგან ჩემი სხეული,
მეპოვა კუთხე, თუ ბილიკი, —
გზა ჩემეული,
მეპოვა სადმე ჩემი სულის ვრცელი ტრამალი,
ჩემი ტკივილის ერთადერთი იგი წამალი,
ათასწლეულის ცოდვა-მადლი,
შორი ცრემლები,
როცა ყვაოდნენ ჩემი ბაღის ნორჩი ტყემლები,
გამომეკვეთა ყველაფერი,
სიტყვა თუ გული,
ლექსი და ლექსის თოთო სხეული!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუთავებლად დავეძებდი
აღმართ-დაღმართში,
ზენა ქარებში, წვიმაში თუ
შმაგ ნიაღვარში,
ფრთოსანთა მიერ ლაჟვარდების მიმოწერაში,
გაუვალ გზებში,
ჩემს უცნაურ ბედისწერაში,
მთაგრეხილებში,
გაზაფხულის ჟივილ-ხივილში,
სიყვარულში თუ,
ჩემი სულის უხმო ტკივილში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯაგუ მეზურიშვილი

## ზღვა და ზღვა ხალხი

*ბულგარული რვეულიდან*

ზღვა და ზღვა ხალხი!
ამ ოცი წლის
ზღვის პირას ახლა
კაცი
ექვსივე კონტინენტის
ბინადარს ნახავს.
ზოგი მზით თვრება,
ზოგი ლუდით
და ზოგიც ვისკით.
კაცთა ხარხარი
ეფერება ქალების კისკისს.
მღერის სიშიშვლე
ალაგ სოლოდ
და ალაგ ქოროდ...
ასობით თვალი
მიმინოობს,
ალალობს,
ქორობს,
ოქროს ნაპირზე
ქრება ჭაღი,
ინთება ჭაღი,
მილიონობით გამჭვირვალე,
ხუჭუჭა ტალღის.

სული და ხორცი
იმუხტება ვნებიან სიცხით,
ძარღვში
ბუღრაობს მოზვერივით
მზიანი სისხლი.
ძვირფასო ჩემო,
ეს სისხლი და
ეს სული დღესვე
მოისხამს, ვიცი,
სიყვარულით გათანგულ ლექსებს.
შენ რომ არსებობ
და ჩემს მკერდში
გულად რომ ფეთქავ,
ეს ხალხი მიყვარს
ცალკ-ცალკე და
სუყველა ერთად.
ეს შენ წამართვი
მახსოვრობის
კეთილი ნიჭი
და შენს წინ ვდგევარ
უდარდელი
ოცი წლის ბიჭი.

## მისამართები

— თქვენ ვის დაეძებთ?
— ჩემს მეგობარს,
სოლომონს, სოლოს.
— დიდი ხანია გადავიდა,
აქ აღარ ცხოვრობს.

სხვა მისამართი...
არ ვყოფილვარ აქ ერთი თვეა.
— თეა?
გათხოვდა,
შაბათს ჰქონდა ქორწილი თეას.

— ბიჭი, შენს გაზრდას,
დაუძახე თინიკოს, თინას.
— თინა?
არ იცით?
ის ხომ მოკვდა ერთი წლის წინათ.

გინდა თუ არა, —
ცხოვრებაში
დადგება წამი,
ყველა მისამართს
სათითაოდ დაგიხევს ჟამი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თამარ ერისთავს

მაშინ შეჰკვნესოდნენ,
ახლაც შეჰკვნესიან
მზიანს უმზეური დარები...
დანგრეული იყო სოფლის ეკლესია,
ფრესკის ანგელოსს
აბა როგორ შეგადარებდი.
მღეროდი პირველ სიყვარულად
გულში,
გულებში...
მაღალი,
სუსტი,
შვლისთვალება,
ნათება ცისკრის...
და საფეთქლებთან
პაწაწინა ნაკადულებში
ჩქროლავდა შენი
თხუთმეტი წლის
ცისფერი სისხლი.
მერე — თბილისი.
ვალტერ სკოტი
და რობერტ ბერნსი...
ოცნების ცაში
იმედების ლურჯი ირაო...
გონთია სანთლად სასთუმალთან
ქართული ლექსი
და მონატრების
ცრემლებად სდის სალომინაო.

## მე ვარ

ვინც იტყვის, რომ მე ვარო,
მეც ვიტყვი, რომ მე ვარო.
ყველა ასე წამოწვება,
ახლა მე რომ ვწევარო.

თელავში ნაპოვნი საფლავის ქვის ეპიტაფია.

იმ სამოთხის ბაღში
ადამს უთხრა ევამ:
თუ იტყვი რომ მე ვარ,
მეც ვიტყვი, რომ მე ვარ.
რომ მოვმრავლდით მერე
და დავიწყეთ რბევა,
შენ ამბობდი: მე ვარ,
მეც ვამბობდი: მე ვარ.
წიგნს ვწერდით თუ ვწვრთნიდით
მიმინოს და მწევარს,
შენ ამბობდი: მე ვარ,
მეც ვამბობდი: მე ვარ.
დღეს ზეცაში ხმების
აღარ არის ტევა:
მე ვარ, მე ვარ, მე ვარ,
მე ვარ, მე ვარ, მე ვარ.
რომ არა ეს: — მე ვარ! —
პირველობის ნდომა, —
ვერ დავწერდით უკვდავ
ლექსს, მოთხრობას, რომანს.
წინ გვეწევა: მე ვარ —
წუთისოფლის მგზავრებს.
რომ არსებობს: მე ვარ,
მიტომ მივწვდით მთვარეს.
ნუ ვამტყუნებთ ცოცხალს,
მკვდარმაც კი თქვა: — მე ვარ!...
„მეს“ — თაყვანი ჩემი,
და გუნდრუკის კმევა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაცის გული

(ვარიაცია)

ცვრიანი ველი ფეთქავს და ფეთქავს,
მზით გავსებია პატარა უბე...
„ძე შეგეძინა!“ — მომძახეს მთებმა
და დღე გზასავით გაგრძელდა უცებ.
ერთხელ, — ფეხი რომ აიდგა ბალღმა, —
მერცხალი ცაში აიჭრა ლაღად.
აი, ხმამაღლა იცინის სახლი
და მისდევს ბავშვი გაფრენილ ნიავს, —
მე მის ნაკვალევს ვკითხულობ ახლა,
როგორც სამყაროს პატარა იგავს.
დრო გავა... იმის მართვეთა მართვეთ
დაეთრთვილებათ როცა თმა-წვერი, —
მათივ ფესვიდან ამონაწვერი
ნორჩი ყლორტების შრიალში ჩავთვლემ. —
ძილის ფერია მოვა ფარფატით
და ფრთებს თვალებზე გადამაფარებს,
გადამატარებს ლურჯად გადაშლილ
ძეძვებს და ტყეებს, ტყეებს და ძეძვებს...
გამელვიძება როგორც ზღაპარში:
„თურმე რა ცოტა მივლია გზებზე!“.
გაშლილა სივრცე მიწიდან ცამდე,
ვარსკვლავი ჩუმად ვარსკვლავს უცინის,
და, ვიცი, ვისვრი ერთხელაც ბადეს
და იმ აღმართზეც გავალ უცილოდ...
. . . . . . . . . . . . . . . . . . . .
მაგრამ როგორღა გავწვდები ამდენს? —
ო, გულო, მართლაც ზღვა ხარ უძირო!

●

ო, რახანია მწვერვალებს სწვდება
სხივი და დილა ტყეებში გალობს,
მაგრამ თქვენ ახლა ვერაფერს ხედავთ
ძალიან დიდი სინათლის გამო.

გაჩენის დღიდან ვიკლავდი წყურვილს, —
ვძლიოვ ათასი წვიმა და ქარი
და მტევანივით დავწურე გული,
რომ ჩემი ტაძრის ქვასა და გრანიტს
არ მოჰკლებოდა სითბო და დარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამიგონია თქმულება ძველი, —
ვიხსენებ, თვალებს ცრემლები ნამავს:
„თუკი გამიშვებ, მოგიკლავ მამას,
არადა — დედას იგივე ელის“. —

ორ კოლონს შუა ვიღაცა ძალით
მეც მაყენებდა, ვეება ალი
სახეში მცემდა — შუბლი მტკიოდა
და შავი ფერფლი თავს მაცვიოდა,
მაგრამ ხიმართლის ვიფარე ფარი,
რომ ჩემი ტაძრის ქვასა და გრანიტს
არ მოჰკლებოდა სითბო და დარი.

დარეკავს ზარი, — ვიცი ახლავე,
ათას სიმღერად, ჩურჩულად, გამად
და შინ და გარეთ დამინახავენ
ძალიან დიდი სინათლის გამო.

●

### დედის ხსოვნას

გუშინწინ,
ზუსტად —
აპრილის 15-ს,
დედი, ძვირფასო, გადავცდი ასაკს,
რომელიც შენი საფლავის ქვაზე
ამოუკაწრავს საჭრეთლით ოსტატს,
და, აი, უკვე ვარ უფროსი სამი დღით შენზე
და უცნაური წუთისოფლის სამი დღის ტვირთით
მდიდარიც უფრო. —
ვაი, რა ცოტა გიცხოვრია —
ახლაღა მივხვდი,
ახლაღა ვიგრძენ მოსახვევნი შენი გზისანი,
რამეთუ უკეთ ხედავს კაცი მოყვასის ტკივილს
მაშინ, როდესაც საკუთარსაც ესხმება თვალი. —
ნუმც მინავლდება, ცოცხალვარ ვიდრე,
დედი, საშენო ტკივილი ესე —
აღმოჩენილი ცთომილივით ხელახლა ხსოვნის
მდუმარე ვანში დიდი ხნის შემდეგ, —
ოღონდ მაშორე მიწიერი ჭმუნვა ყოველი
და დამიცავი უეცარი სინანულისგან,
ვით მიფარავდი უჟმურისგან ჟამსა ყრმობისას,
შენი მთრთოლვარე შელოცვის გრძნებით:
„მდინარეზე გავდე ხიდი,
გრძელი, თეთრი, თეთრი ხიდი,
ქვეშ წითელი მიქუხს წყალი,
როგორც ცისკრის ნიაღვარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუ, ეშმაკო, აქ რა გინდა,
რას დაბობღავ მარტოსული
ამ ჩემს წმინდა მდინარეთში,
თუმც გასხია ახი ფეხი,
ახივ უმალ დაგისხლტება
და ფრთიანი ზვირთი თავზე,
შენს რქიან და ცოდვილ თავზე
დაბრუნდება როგორც კევრი...
ვარსკვლავიან წითელ წყალზე
ხიდი გავდე თეთრი, თეთრი,
ნუგეშია ჩემთვის იგი,
შენთვის არის ბეწვის ხიდი, —
ფუი, ეშმაკს! — აქ რა გინდა,
ჩემს მალხაზთან შენ რა გინდა,
განვედ მისგან!..

. . . . . . . . . . . . .

გუშინწინ,
ზუსტად —
აპრილის 15-ს,
დედი, ძვირფასო, გადავცდი ასაკს,
რომელიც შენი საფლავის ქვაზე
ამოუკაწრავს საჭრეთლით ოსტატს,
და, აი, უკვე ვარ უფროსი სამი დღით შენზე
და უცნაური წუთისოფლის სამი დღის ტვირთით
მდიდარიც უფრო. —
მაშ, განმარიდე ფათერაკი შორეულ გზებზე
და იდუმალი შენი ლოცვების
უცხო ბურანში გამხვიე კვალად,
რათა ვვიდოდე ამაყი და თავაწეული,
ვით მთიდან მთაზე მაღალი ნაძვი.

●

დედა საკვების საშოვნელად
გაფრინდა ცხრა მთას
და გულწითელას უმწეო მართვე
გახუსულია შიშის ბუდეში. —

ო, პოეზიავ — მარადიულო
შიშო, ხისხლში და სისხლის ყივილში
ემაგ ბარტყივით ჩაბუდებულო —
რამდენი წყალი ჩაივლის კიდევ,
ანდა დაშრტება რამდენი ღვარი,
მოვიქცეოდე ვიდრე უკან —
ათასი წლის წინ
საფათერაკო ომში წასული —
და საკუთარი სიცოცხლის ფასად
მოპოვებული მზით და ბალახით
დაგაპურებდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეფრი ჩოსერი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ სცემს XIV საუკუნის დიდი ინგლისელი პოეტის ჯეფრი ჩოსერის პოემას „კენტერბერიული მოთხრობები“, რომელიც თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ.

მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს პოემის საერთო პროლოგიდან.

## კენტერბერიული მოთხრობები

აქვე ნახავდით ძველ მექუდეს, ფეიქარს, დურგალს,
მათ მღებავი და მეავეჯე მოსდევდათ უკან.
ცალკე ვიდოდნენ, ვით მდიდართა კასტა თუ მოდგმა, —
თვითეულს თავის დუქანი და საამქრო ჰქონდა.
ყოყლოჩინობდნენ, ტანზეც მხოლოდ ძვირფასი ეცვათ —
შალი და ფარჩა, ტყავი ტყავად და ბეწვი ბეწვად,
სულ არ ჩქარობდნენ, მოძრაობდნენ მძიმედ და დინჯად,
მაგრამ რატომღაც წამდაუწუმ იწერდნენ პირჯვარს...
საქმის ბედ-იღბალს საბჭო მუდამ ამათ ანდობდა,
გარჯაც იცოდნენ თავის დროზე, სმაც და გართობაც,
ჭკუაც უჭრიდათ, უძღვებოდნენ ამქრებს ბეჯითად,
ალბათ გილდჰოლის სავარძლებზე თვალიც ეჭირათ...
ამათ ცოლებს კი თავი ლამის მსხვერპლად მოჰქონდათ,
ვინმეს „მადამ“-ი დაეძახნა მათთვის ოღონდაც,
ანდა საყდარში წინა რიგის სკამი დაეთმოთ
და ყველგან მუდამ გრძელი კაბით ევლოთ საერთოდ.

მათ მზარეულიც ახლდა ერთი — უცხო მხარეში
როგორ გაძლებდნენ ბეფ-ბუის თუ კიბოს გარეშე.
შემწვარ წიწილას უკეთებდა იხეთ საწებელს,
მეამქრეები ერთურთს ლამის ლუკმას სტაცებდნენ,
მიხაკ-დარიჩინს უშვებოდა ხორცის პუდინგსაც
და მისი ჭამა მგონი ხულის ხსნასაც უდრიდა.
სადილებს ცეცხლსაც უხამებდა — არც მაგარი და
არც ნელი ცეცხლი მოუხდება სუფს, მაგალითად.
შესაწვავს ნელი, ძლიერი კი თურმე მოსახარშს, —
თუ ფხაც იცი მზარეულმა, ნაღდად შორს წახვალ,
და პირში გემოც მახ იხეთი მისცა გაშჩენმა,
რომ ლონდონურ ელს ათას ელშიც გამოარჩევდა.
გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ასეთ ოქრო კაცს
ფეხს უკოჭლებდა მუწუკი თუ რაღაც ოხრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლოცველთა შორის მეზღვაურიც ერია ერთი,
შკიპერი იყო დარტმუნდელი, მაღალი მკერდით
და ხშირი წვერით. ბეხრეკი და მჭლე ცხენი ჰყავდა,
მუხლამდე სთრევდა ძველი აფრის ხიფთანის კალთა
და ლაფში იყო ამოსვრილი. ზონარით წელთან
მეზღვაურს ყოველ შემთხვევისთვის ხანჯალიც ერტყა,
ბევრი ძვირფასი რამ მოჰქონდა — თუ გზაზე რასმე
კარგს იშოვნიდა — მაგალითად, ან ნივთს, თუ სასმელს —
ხელიდან აღარ გაუშვებდა. — არ იყო კრავი
და არც მოჰქონდა, როგორც ვიცი, წმინდანად თავი.
ბრძოლების შემდეგ თვალახვეულ ტყვეებს შკიპერი
მუხის ფიცარზე ატარებდა, ანდა წიფელის*.
ხეირიანად არც ათბობდა მზე გაზაფხულის
და უკვე იყო გარუჯული და გაზანგული.
ზღვის ხელოვნება ზედმიწევნით კარგად ესმოდა,
როგორც საერთოდ ძველ შკიპერთა უმრავლესობას, —
იცოდა ყველა დინება და წყნარი უბენი,
რიფი, მეჩეჩი, შუქურა და წვიმის ღრუბელიც.
მის გემს კურსიდან ვერაფერი ვეღარ მოწყვეტდა,
ვერც ქარიშხალი, ვერც ნისლი და ვეღარც მოქცევა,
თვითონ ადგენდა ლოციასაც ეს დალოცვილი
და, ერთი სიტყვით, ჭიპი ჰქონდა ზღვაზე მოჭრილი,
გემს გოტლანდიდან ფინისტერის ბჭემდე და უკან
ისე მართავდა, არ იხმარდა ერთხელაც რუქას.
სცნობდა ბრეტონის სანაპიროს თვითეულ კბოდეს,
თვალდახუჭული დაუვლიდა ესპანურ პორტებს.
ვერ ძლებდა უწყლოდ, ისე როგორც ჩვენ უჰაეროდ
და მის ჟღალ წვერში ყველა ქარს და გრიგალს გაევლო.
კარტახენთან თუ შორეული ჰულის ნაპირთან
ხშირად ხედავდნენ „მადელენის“ პირხმელ კაპიტანს.

ერთი ექიმი კაციც გვახლდა გამხდარ-გამხდარი,
არავინ იყო მთელს ლონდონში მისი ბადალი.
ასტროლოგიის დარგში ექიმს რა ესაქმება,
მაგრამ ეს დარგიც არ ესმოდა სხვაზე ნაკლებად.
თურმე ჰოროსკოპს დაუდგენდა სნეულს უცებ და
წამლებით ნამდვილ მკურნალობას მერე უწყებდა.
იგი იმასაც გებულობდა ვარსკვლავებიდან,
რა მთარჩენდა ავადმყოფს და რა უშველიდა...
ჩვენს ექიმს ჰყავდა საკუთარი აფთიაქარიც,
კაცი გამრჯე და ჭეშმარიტი სწავლულთაგანი,
თვალდახუჭული უმზადებდა რთულ მიქსტურებს და
ჯერ არც კი იყო შემოსული, რომ ისტუმრებდა,
ეს მეგობრობა ექიმსაც და აფთიაქარსაც
უფასდებოდათ წლის დასასრულ ათი ათასად,

---

* თვალახვეულ ტყვეებს ზღვაში დახრჩობა ელოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმს საკმაო ცოდნაც ჰქონდა და განათლებაც,
სულ წიგნებს უჯდა, მოკლედ სწავლას ხელს არ აკლებდა...

ერთი სულმუდამ მოკისკისე და მოხალისე
ქალი კაცივით ყინჩად იჯდა შავ თოხარიკზე.
ბათელი იყო, ფეიქარი, ყურს აკლდა, მაგრამ
ტკრციალებდა და ტკაცუნობდა ვითარცა აფრა.
ეკლესიებში შესაწირი შეჰქონდა ხშირად,
მაგრამ თუ ამ დროს ვიღაც ქალმა მას, მისდა ჭირად,
ფეხი დაადგა უნებურად, ან გაჰკრა ჯლიკვი,
წირვის მაგიერ იწყებოდა საყდარში ცირკი.
ხილბანდს ათს ერთად მოიხვევდა, ყველა მათგანი
ან ნაყშით იყო გაწყობილი ანდა მაქმანით.
იცვამდა სნატის ფეხსაცმელს და მეწამულ წინდას
და უღვივოდა ტუჩებიც და ლოყებიც წითლად.
ლამაზი იყო, მოცინარი, სახე ცქრიალა
და მხიარული სულიანა და ხორციანა.
მას უკვე, ხუთი ქმარი ჰყავდა გამონაცვალი
და მეექვსე ბედს დაეძებდა ახლა საწყალი,
თაყვანისმცემლებს ვინ ჩამოთვლის, ისე ეხვივნენ
ვით თაფლს ბუზები და ლოთების დასტა მეღვინეს...
თავზე ისეთი კალათივით შლაპა ეხურა,
რომ მის მაგიერ სხვები გრძნობდნენ თავს უხერხულად.
თხელი ლაბადა ტანზე ვიწროდ შემოეტმასნა
და უკანალი გეცემოდათ თვალში ერთბაშად...
იცოდა ოჯახს რა არგებდა, ან რა ავნებდა
და თავის ხელით ამზადებდა ტრფობის წამლებსაც.

აქ მღვდელიც იყო, მრევლის მწყემსი, კაცი კეთილი,
ძალზე ღარიბი, ტანწვრილი და ხმელი კეტივით.
მისი სიმდიდრე — აზრი სათნო და საქმე ქველი,
ავის მაბრძოლი კაცი იყო და პირში მთქმელი.
ჭკვიანიც გახლდათ და მოსურნე ნიადაგ სწავლის,
ქველნი სიყვარულს ასწავლიდნენ, სიმართლეს ავნი.
სულ სახარებას უკითხავდა პატარა სამწყსოს
და უდრტვინველი იყო მისი ნამყოც და აწმყოც.
მეცადინე და მუყაითი მშრომელიც გახლდათ
და, ვით ყრმას, კეთილს და უცოდველს, უვლიდა საყდარს.
იგი გულგრილად სხვათა ტანჯვას ვერ უყურებდა
და ქვითკირივით უდგა თავის უბედურებას.
ქარი ქროდა თუ წვიმა წვიმდა გადაუღებლად,
იქ მიდიოდა, სადაც ჭირი—რამ აწუხებდათ,
სადაც შიოდათ, სადაც მისი სიტყვა შველოდათ.
და წამალივით სჭირდებოდათ ხან უთქმელობაც...

აქ გლეხიც იყო, გუთნისდედა, მუშაკი მიწის,
მღვდელს ისე ჰგავდა, თითქოს მისი ძმა იყო ღვიძლი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისიც მჭლე იყო და მღვდელივით უჭირდა მასაც,
უყვარდა ღმერთი და ნიადაგ შრომობდა ფარსაგ.
ბევრი ნაკელი გაეტანა მინდვრებში ურმით,
ბებრებით ჰქონდა მოჭედილი ხელიც და ზურგიც.
არად აგდებდა გუთნისდედა ყინვას და გვალვას,
მისთვის სულ ერთი სეზონი თუ დრო იდგა ალბათ.
სხვისი კეთილი უხაროდა, ცუდი კი წყინდა,
არ აკლდებოდა არასოდეს საყდარში წირვას,
უჭირდა, მაგრამ, შინ რაც ჰქონდა, ყველაფერს უმალ
წინ დაუდგამდა მეზობელს თუ ოჯახის სტუმარს.
მიწას უხნავდა ქვრივს და ობოლს, სოფელში ყველგან
ნადში იწვევდნენ მეზობლები ბარვად თუ ნერგვად,
ღალას იხდიდა ხშირად უფრო თავისი შრომით,
ყანაში ისე ტრიალებდა, ვითარცა ლომი,
ფაშატზე იჯდა, დაკემსილი შარვალი ეცვა,
ნაშიმშილარი სახე ჰქონდა კაცსაც და ცხენსაც.

აქ იყო ერთი მეწისქვილეც — ბრგე და ძვალმსხვილი,
სქელი ძარღვები დასჩქეროდა ტანზე ვაზივით.
დღესასწაულზე მუშტი-კრივში კაცს არ ინდობდა
და, რა თქმა უნდა, ის იღებდა მუდამ ჯილდოსაც,
ძალ-ღონე დევის ბარობაზეც ჰქონდა სამყოფად,
ერთი მიწოლით ალაყაფის კარიც გაჰქონდა.
ჩასკვნილ და ჩასხმულს სახე ჰქონდა ძალზე უხეში,
ერთი დროს კიდევაც ძველბიჭობდა სიჭაბუკეში.
მწითური იყო, ჟღალი წვერი მსხვილ და კუნთმაგარ
ყბებზე ეფინა და მელიის ბეწვს მიუგავდა.
კბილები ჰქონდა — რა ქვები და რაღა ლოდები,
მეჭეჭი აჯდა წითელ ცხვირზე თხილისოდენი,
სქელი ბანალი მოზრდილიყო ზედ ჯაგრისებრი,
ღორებს ყურებში რომ ამოსდით, ზუსტად ისეთი.
ნესტოები კი ექნებოდა ალბათ ულაყის,
ბალნით კი არა, სავსე შავი ბალახ-ბულახით.
სუნთქვის დროს პირი ეხსნებოდა რკინის ხუფივით, —
ქვაბი რომ გარბის მოგიზგიზე ცეცხლზე დუღილით.
დიდი ოხერი კაცი იყო — ქალი დობილი
მან არ იცოდა და მუსუსად იყო ცნობილი.
მატყუარა და ქურდიც გახლდათ: ფქვილში ქატოსაც
ისე ურევდა, კაციშვილი ვერ შეატყობდა,
თანაც მესამედს იტოვებდა მინდად ტომრიდან,
მე შენ გეტყვი და პეშვით ბათმანს ვერ გადმოყრიდა,
თან წამოეღო მეწისქვილეს გზაზე ფარ-ხმალი,
ლაბადა ეცვა თეთრი, მაგრამ მაინც ნახმარი,
ეხურა ლურჯი კაპიშონი, დილა ადრიან
დასცხო თავის სტვირს წასვლისას და ბღღვირი ადინა.

მსაჯულთა სახლის მნეც ერია მლოცველთა შორის,
ღმერთიც და კაციც იმას ერთად წყალობდა, მგონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაზრებში ისე ტრიალებდა, ვითარცა სახლში,
სურსათს ზოგს ნარდად ყიდულობდა, ზოგს კიდევ ვახშით.
ისე ყოჩაღად გადითვლიდა საჭდევე ჩხირებს,
ყოველთვის ამ კაცს რაღაც მაინც რჩებოდა მცირე,
მნეს წყალობითა განგებისა ძალუძდა ოდენ,
მსაჯულთა სახლში ყველაზე ბრიყვს, უბირს და ბოთეს,
უკეთ ეცხოვრა და ელაღა ფულების შოვნით,
თან ღირსეულიც ყოფილიყო მოყვასთა შორის.
მსაჯულთა სახლში ოცდაათი ცხოვრობდა კლერკი,
კანონმცოდნესაც აქ ნახავდით და გაქნილ ვექილს,
დიდ მამულებს რომ უძღვებოდნენ მდიდართა ლორდთა
და ხარჯთაღრიცხვა ყველაფერში ზუსტი რომ ჰქონდათ.
ლორდს ამ დროს დარდი არაფრისა არ ჰქონდა, რადგან
მათი ჭკუის და მოხერხების ნამდვილად სწამდა.
ჰოდა, ამ ჯურის მსაჯულებს და ამნაირ ვექილთ
მნე ატყუებდა, ვით ნაგაზებს პატარა ლეკვი.

აქ მოურავიც გახლდათ ერთი, სუსტი და პაწკვი,
პირწმინდად ჰქონდა გაპარსული ორივე ღაწვი,
თმა ხუცესივით შეეკრიჭა, მაგრამ ზედმეტად
სქლად მოეზარდა თხემის წვერზე და საფეთქლებთან.
სახე კომშივით ყვითელი და დამჭკნარი ჰქონდა,
წვრილი კანჭები ყავარჯნებსაც მოჰგავდა ცოტა.
ისე ხელდახელ აზომავდა ზვარს და ახოსაც
ბაღებს, ბეღლებს და საქონელსაც იქვე მახლობლად,
რომ ღალის ამკრეფს ანგარიში ზუსტი ეგონა
და თაღლითს თვლიდა უერთგულეს ძმად და მეგობრად.
კარგად იცოდა მოურავმა ამინდის ცნობაც,
ტაროსს და ავდარს, როგორც წესი, წინასწარ გრძნობდა, —
სამუშაოებს უხამებდა დარსა და ავდარს
და საამისოდ ვილანებიც საკმაოდ ჰყავდა.
მამულში თითქმის ყველა საქმეს ის ამოწმებდა,
იმისი ზრუნვა სჭირდებოდა ბაღს და ბოსელსაც,
ფარეხი იმას უცდიდა და თავლა-საქათმე,
თორემ უმისოდ საქმეს არსად თავს არ აკლავდნენ.
მას ბაღიცა და სახლიც ჰქონდა კარგა მოზრდილი
და უქმეებზე ბოლთას სცემდა მოლზე ლორდივით.
ყველა მილორდის ხელქვეითად თვლიდა რატომღაც,
როცა ჭარბობდა ოქროთი და ფულით ბატონსაც.
ისე კი, ალბათ, არც შეეძლო ლორდს უმისობა, —
სულ ტრიალებდა, დურგლობაც რომ კარგი იცოდა!
ლამაზ და ფეხმარდ ცხენზე იჯდა — იორღამ ჩორთიც
კარგი იცოდა და სახელად ჰქვიოდა „სკოტი".
ნორფოლკში, სოფლად, ბოლდუსელში ცხოვრობდა იგი —
თუ გაგიგიათ, ან თუ ვინმე ყოფილხართ იქით.
ტანივით* ძველი ხმალიც ერტყა წელზე მოურავს

* აზნაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ ქარქაშში ჩაჟანგებოდა და მას დროულად
ვერ მოიხმარდა, ეცვა ლურჯი წამოსასხამი
და მლოცველთ კუდში მოჰყვებოდა კოჭლი თხასავით.

მათ შორის ჩანდა ეკლესიის წმინდა მსაჯულიც:
ძონძროხი კაცი, გვამითა და ხორცით ტანჯული, —
კისერი ქონით დაზნექილი, ვიწრო თვალები
და ხახე სავსე სხვირპლითა და ფერისმჭამლებით,
რითაც პატარებს აშინებდა. იყო არშიყიც.
და ჩხუბისთავიც (მათში არის რაღაც კავშირი).
იქექებოდა წამდაუწუმ მუნიანივით,
იმას ვერც სოდა, ნაცარტუტა და ვერც მარილი
ვერ გააცლიდა ჭუჭყს და წვირეს და ვერც გოგირდი
ვერ მოუვლიდა ზინთს, წვერზე რომ ეკრა ობივით,
ხმა ბოხი ჰქონდა, ხრინწიანი ხშირი სმისაგან,
— მაინც იმ მყრალ და ოხერ პირში რას არ ისხამდა!
თან ლათინურად დაიწყებდა მთვრალი ბოდიალს —
საქმე არც ასე არ არისო, თქვენ რომ გგონიათ.
იცოდა ორი გამოთქმა და სამი ანდაზა,
ხან ერთს იტყოდა, ხან მეორეს უცბად გზადაგზა;

გათენებამდის თამაშობდა კარტს არიფებთან,
იგებდა — სვამდა და ჩხუბობდა, თუ არ იგებდა.
დასჯაც შეეძლო კაცისა და დაპატიმრებაც,
მაგრამ კვარტ ლუდში სუყველაფერს აპატიებდა —
არ მიჩივლონო ბილანებმა და ჯაშუშებმა
და გრომსაც იმათ ბარობაზე არ გაუშვებდა.
თუ მისი ჭკუის შეხვდებოდა ვინმე ხანდახან,
წესსაც უხსნიდა და წესიდან ყველა გადახრას —
როგორ აცდება მაგალითად ქურდი მოკვეთას,
ანდა მსაჯული ამ საქმეში რამდენს მოხვეტავს, —
„უფულოდ ბარშიც ვერ შესულხარ, შე დალუპულო,
და სამოთხეში ფუფუნება გინდა უფულოდ?
ედემის ბაღის გასაღები ვიკარს კი არა,
ქისაში უდევს, მე თუ მკითხავ, კაცს ძეწკვიანა“.
მაგრამ მსაჯული აქ კი მართლაც ნაღდად ცდებოდა:
ვიკარის „Significavit“-ი, ანდა მცდელობა
ქურდს ვერ იხსნიდა და მეძავის გულს ვერ შეძრავდა
და ქურდი ქურდად რჩებოდა და მრუში მეძავად.

მთელ დიოცეზში* ყველა ბიჭს და გოგოს იცნობდა,
ქურდს უტიფრობას ასწავლიდა, მრუშს — უსირცხვობას,
თავზე ლუდხანის აბრასავით ტოტი დაედო
და თვითონ, მგონი, ლუდის კასრსაც ჰგავდა საერთოდ,
ხელში ფარივით პურის დიდი კვერი ეჭირა
და ორთავ ყბებით მუშაობდა დია ბეჯითად.

---

* საეპისკოპოსო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინდულგენციის გამყიდველი მოსდევდა გვერდით, —
კაცი ფხიანი, გაქნილი და ეშმაკის ერთი.
მას კუდი ჰქონდა გადასკვნილი კუდზე მსაჯულთან
და ლამის ფეხქვეშ გაგებოდა ამ მაჯლაჯუნას.
პატენტი ჰქონდა აღებული — ხალხში პატენტებს
სხვა ძალა ჰქონდათ და სიგელსაც ფასს უმატებდნენ,
იმ კვირას იყო ვატიკანში რომის ნეტართან
და საქონელიც კარგა ზლომად ჩამოეტანა,
მსაჯულს კი ვნებით ეხვეოდა — მადლი უფალსო,
კაცს, შენ რომ გვერდში ეყოლები, რა დაღუპავსო.

სელისმაგვარი, თხელი თმები მხრებზე ეფინა
და ზურგიდან ქალს წააგავდა სუსტი მხრებითაც.
ეგონა, თითქოს თმა გაშლილი უფრო ჰშვენოდა.
და მწყრალად იყო ამიტომაც კაპიშონებთან.
ხოლო მელოტ კინჩხს ერთი ციცქნა ქუდით მალავდა
და ისიც ერთი ფერის იყო მისთა დალალთა.
თუმცაღა ქუდზე მაცხოვარის ხატიც ექარგა
და მით კეთილად განაწყობდა ალბათ ეპარქსაც.
სულ ახალთახალ და კეწკეწა ინდულგენციას
პაპის მაშვალი წყვილს შილინგად ჰყიდდა მეტწილად.
ქოსა იყო და წელში კოხტად გამოყვანილი,
ხოლო თვალები — მოხტუნავე ვერცხლის წყალივით.
მოყვითალო და მტკნარი სახე საპონს უგავდა
და ფაშატივით ატოკებდა ხოლმე უკანალს, —
ის ამ სიხუსტეს არც მალავდა ხალხში, პირიქით,
სულ ამ საკითხზე კიკინებდა თავის წვრილი ხმით.

მაგრამ საქმეში ქვეყანაზე ვერვინ ჯობნიდა
და ნიადაგმცა რუდუნებდა პირზე ოფლითა.
ღვინოდ აქცევდა წყაროს წყალს და ნაცარს ნაღვერდლად
და ქვეყნის გლახას შიშველ ქვაზეც დაასახლებდა.
წმინდა ქალწულის ხილაბანდი ედო სარტყელში
და მიძინების დროინდელი ხეწრის ნაგლეჯიც.
ჯვარს მოზრდილ ყუთში ინახავდა თვლებით მოჭედილს
აქ იყო გოჭის ბარკალიც და ყოჩის კოჭებიც.*
მათი წყალობით ორ-სამ დღეში ეს გაიძვერა
თურმე მოსავალს ერთ გზობაზე იმდენს იწევდა,
რომ არც გაქნილთა დიაკვანთა, არცა მსუნაგთა
ხუცესთა ჩვენთა სიზმარშიაც კი არ უნახავთ.
ის არც გალობას თაკილობდა, ან ეკვდერიდან
ხალხს ისე ტკბილად დალოცავდა და ეგევითარ
სიტყვას ეტყოდა ღაღადით და აუჩქარებლად,
რომ ვინ თხერი მერე გროშებს დაუკავებდა.

* შესალოცი ატრიბუტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა კი, როცა მათ შესახებ მე ჩემი გარქვით —
გვარი და ჩინი, ზნე და წესი, ავი და კარგი,
ტანიც და ფეხი, თმაც და ქუდიც და ასე შემდეგ,
როცა ჭამად და მოსვენებად ფუნდუკში შედგნენ,
დანაყრდნენ, დათვრნენ, ჩამოიხსნეს ენიდან კლიტე,
და ვით ბაზარში, აყაყანდნენ ვიეთნი კიდეც, —
წესით და რიგით ამბავისა დროც არის, ალბათ,
ორიოდ სიტყვა აწ მელექსემ იმაზეც გარქვათ,
თუ ამის შემდეგ რა დავთქვით და რა საქმე ვქმენით
და მერე გზაზე რით შევამკეთ მგზავრობა ჩვენი.

მაგრამ თან არც მსურს თავხედობა დამწამოს ვინმემ,
თუ ყველა მათი ნაუბარი, მქისეც და მძიმეც,
თუნდა გინება, თუნდა ქება, — ურგიც და ვარგიც —
ყველა პირწმინდად გითხარით და უკლებლივ გარქვით.
მე, ძმაო, განა მეცინება და ვხმურობ ანდა,
მაგრამ თუ ხელი ასეთ საქმეს მოჰკიდე მართლა,
მაშინ კეთილი ინებე და ამ ქვეყნად ოდენ
რაცხე სიმართლე და პატარა სინდისიც გქონდეს.
ცუდსაც არ უნდა მოერიდო, მრუდსაც და ბლაგვსაც
და სხვაც არ უნდა გამოტოვო სიმდაბლე არსად,
თორემ, სულ შენდა უნებურად, მართალი ვინძლო
ტყუილად აღჩნდეს, მე რომ მგოსნის გაფრენებს ვიცნობ.

ნურც ძმასა შენსა ნუ დაინდობ, თუ მისი ძმა ხარ,
პირში უძრახე ყველაფერი — მარგიც და გლახაც,
ამას გვასწავლის მაცხოვარიც, რამეთუ თავად
კარგი კეთილად შერაცხა და აუგი ავად.
ხოლო თუ ეჭვი ეპარება ამაში ვისმეს,
მას, მოვალე ვარ გავახსენო პლატონი ისევ, —
რომ სიტყვა საქმის ერთადერთი ძმა არის ღვიძლი
და ყოველივეს შეჰქმნი კაცი, თუ სიტყვა იცი.

მე კი უკეთუ სიტყვა იგი არა მყვა შემწედ
და თქმა მართლისა სიმართლისა თუ ველარ შევძელ,
თუ ვერ მივაგე საკადრისი თვითეულ მათგანს,
გონჯი ლამაზად გარდავქმენ და წყვდიადი ნათლად, —
გამოდის, ნიჭი საამისო და მადლი უფალს
არ მოუცია, ანუ დასტურ გავრჯილვარ უქმად...

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ვახტანგაძე

# ქიზიყი და... ქიზიყელები

დილის სუსხი მოურიდებლად იკბინებოდა და საგაზაფხულოს უფრო ემსგავსებოდა ვიდრე თვნისის მომავალი ცხელი დღისას. მანქანამ კახეთის გზატკეცილზე გაივაკა. სამგორს გავცდით. ულრუბლო ლაჟვარდი გამჭვირვალე მინანქარივით შეადნა ჰორიზონტს. მზის მოლიბრო ლიცლიცზე შორს, რძისფერ სივრცეში პირველყოფილ მშვენიერებად ილანძება ნისლში ჩაკარგული მთათა კონტურები.

ველის ველური სურნელება ამძაფრებს შთაგონებას. აქატის ფერი გადაიკრა ზეცამ და ახლა ძნელია თვალი მოაცილო გამდნარ ოქროსფერში ცურვილ მუხის რტოებს. სოფლის გასაყარზე პურის თავთავებიდან მწყერი წამოუფრინდა მანქანას. კუდსა და ფრთებზე ვერცხლისფერი ხალები მშვენიერ ტალებად ეურებოდა, ჩემი მიწის ხვავსა და ბარაქას გაევსო მოგოგმანე ფრინველის ნაზი სხეული. სადღაც, ხევში ყრიამული ასტეხეს ფრთოსნებმა. ბოლოქანქალების ხმას არ ჰგავდა, და აი, მხარს არცხნივ წყვილი ხოხობი გაუჩინარდა; ანაზდად მწყრის საწყალობელი კვნესა შეერია თავთავთა ჩურჩულს... პაგანინისეული ვიოლინო სიცოცხლის სიყვარულის მწუხარე ვედრებად დაიღვარა შეყვითლებულ ყანებში.

საგარეჯოს შემდეგ კოკისპირული წვიმის ზონაში მოვხვდით. კოხი თავგამეტებით ხმაურობდა მანქანის სახურავზე. გაუმჭვირვალე ნისლი ჩამოწვა. მგზავრობა შუქფარებითაც შეუძლებელი გახდა. ტაატით შევუყევით აღმართს. კაჭრეთის გზის გადასახვევთან ერთბაშად დამშვიდდა ბუნება. მაღაროები გავიარეთ. აქ ახლა უკვე აღარ იღებენ ნავთობს. გული ჩაიხურა მიწამ.

აღმოსავლის მხრით შვინდფერი ცისარტყელა დაეფინა ცას. „ქისიყის დასაწყისი ცისარტყელების მხარეთ", — გამახსენდა ძველ ქართულ საერო წიგნში ამოკითხული. უეცრივ ბავშვური სიანცე მოსწყურდა სულს... მაგრამ ჩვენი გზა დასრულებულიყო უკვე. ქიზიყის მშვენიერი ქალაქის, წითელწყაროს ქუჩები დაიწყო.

...„საქუაბე — ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხუევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამბეჩთა სიმრავლისათვის. შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათვის — „მქის იყო". არამედ არიან კაცნი მბრძოლნი, მხნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა. და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე: სამხრით — უფადარი და წინამინდორი ხორანთა — იორამდე; ჩრდილოთ მთა ჰერეთისა. ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის ხევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამხრით იორი ანუ მტკუარი; ჩრდილოთ მთა ცივისა, კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ — საქუაბეს შორის გასული ალაზნამდე".
— ვესესხები ძველ გეოგრაფიულ წყაროებს და ვფიქრობ: — საიდან იწყება საქართველო? ქიზიყიდან? ... იქნებ.

უპირველესად წარსულის ნაკვალევს მივყვებით. საოცარია, როგორ დაუბურავს მთაზე ასასვლელი ბილიკები შვინდის ხეებს. ნიაღვრებს ჩაურეცხავს კლდენი, მაინც ვერაფერი დაუკლია ტყისთვის, თვალწარმტაც მშვენიერებად თრთის სიოს ლაცლიცზე მწვანე ხავერდი. გზა უხვევს. წასასვლელი აღარსადაა... ალბათ რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლეზე ვართ. ქალაქი კარგახანია მოვიტოვეთ უკან. მასპინძელი ჩვეული გულუხვობით მასპინძლობს... გურამ ლოლაძეს გოგებაშვილის დედაენასთან ერთად შეუსისხლხორცებია ქართველის წარსული.

ალბათ აქ, სადღაც ჩვენს ფერხთქვეშ ამოდიოდა დედოფლის წყარო, უკვდავებისა და სიყვარულის მაცოცხლებელი აიაზმა...

...„გვიან გაზაფხულს სწვევია ქისიყს დედოფალი თამარ. შიგა და გარე კახეთის, ელისენისა და პანკისის ციხეები მოენახულებინა

უპირველესად. ხორნაბუჯს გამგზავრებულა შემდგომ. ციხე-ქალაქს მიახლოებულნი ცხენთა სადავეს მინდობიან მხედრები. დაწინაურებულა დედოფლის მტრედისფერი ლაშაურა. არ გასძალიანებია თამარ, ულამაზეს მთაზე აუტაცნია ფეხბედნიერ ბედაურს. ამ მცირე ადგილზე არც ტყე აღწევდა, არც ციხე-კოშკი იყო სადმე. სამი მხრივ მოსჩანდა უძლიერესი და სვე-კეთილი საქართველოს დამოუკიდებელი სამეფოს დიდებული სანახები, მარჯვნივ კი, სამხრეთ-აღმოსავლით თათრებისთვის წართმეული სახანოები იწყებოდა. განცვიფრებულა დედოფალი. თრთოლვით უბრძანებია ვაზირთუხუცესისთვის, რომ: „— მსგავსი საოცრება მშვენიერების აღარ ეგულებოდა ქვეყნის ზურგზე.“

ათასწლოვანი ცაცხვის ქვეშ დასვენება ინება მეფე — ქალმა. წამით გაურინდდა სიმშვიდეს. ირგვლივ შემორკალულ ტყის სევდიან დუმილში წყლის ჩუმი ბუტბუტი ჩაესმა. მიდამოს დააცქერდა თამარ. თითქმის იქვე, მეათე ნაბიჯის მოცილებით მიწის გულიდან მორაკრაკებდა ანკარა წყარო. ვაზირთუხუცესმა მსწრაფლ ამოიკითხა მეფე-ქალის თვალებში დაუოკებელი სურვილი... ოქროს თასით სთხოვა პატრონს წყლის მირთმევა. „— არაო“. — გვირგვინოსანი თავი შეარხია დედოფალმა. თვით აიღო თასი, უცივესი წყაროს წყლით აავსო, დაეწაფა. მერმე კი... კვლავ უბრძანა თანამგზავრს:

„ — განა წყაროა? არა! უკვდავებისა და სიყვარულის მაცოცხლებელი აიაზმაა. მიირთვით მთავარო. ვეჭვობ დაგელიოთ სადმე უკეთესი, თუნდაც დუკების განთქმულ ტყე-აგარაკებზე. დიახ!.. საქართველოში ცხოვრება თვით არის ღვთით ნაბოძები ბედნიერება“.

საღამოს ხანს წაბრძანდა ხორნაბუჯს თამარ. იმავ წელს კი, წყაროს წყალი თიხის მილებით შეიყვანეს ციხეში. წყაროს... თამარ დედოფლის წყარო უწოდეს“.

მოუხელთებელი სიჩქარით მონაცვლეობდა დრო. დედოფლის წყაროს ქვემოთ, ოდნავ დავაკებაზე მეციხოვნეთა ოჯახები დასახლდა. შემდეგ ხალხმრავალი გახდა სოფელი, დაბა უწოდეს. საუკუნეთა მანძილზე დედოფლის წყაროდ იხსენიებოდა იგი... ჩვენი დღევანდელი მასპინძელი, წითელწყარო.

მთიდან ხელისგულივით გადაშლილა გარე კახეთისა და ქიზიყის სანახები. თალხი ფერები მრუმე მარაოდ მოუბურავს ზეცას .ვნებიანი ქალწულივით მთრთოლვარე ალაზნისთვის: მხარმარცხნივ ყარაღაჯის ციხე-სასახლეებს გვიჩვენებს მასპინძელი. საუბრის შეუწყვეტლად იმოწმებს ვახუშტის: „... ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არის ყარაღაჯი, სასახლე, რომელი ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამ ჟამთა ჰყვეს ციხე, და აწ ჯერეთ ოხერ არს. კუალად ყარაღაჯის სამხრით, ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყდების კბოდე და მივალს ვიდრე ხორანთამდე, და არს ალაზნისკენ მცირეტყიანი და ბალახიანი, და აღვსილი ნადირითა დიდ-მცირეთი. და კბოდეს ზეით არს ველი ხორანთიდამ ქისიყამდე, წოდებული კბოდეს ქუეით, ალაზნისკენ, წინამინდორი, ხოლო ზეითს, ყარაღაჯითუთრთ, უფადარი. და არს ესე სანადირო კეთილი...“

უძველესი ყარაღაჯი (ქართულად შავი ხე) საქართველოს სტრატეგიულ დასაყრდენს წარმოადგენდა. საუკუნეთა მანძილზე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ხოლო რუსეთის მიერ საქართველოს თავის პროტექტორატის ქვეშ გამოცხადების შემდეგ, რუსული ჯარის სასაზღვრო სიმაგრეები სწორედ ყარაღაჯში, ბეჟან ხანის სასახლის ნანგრევებზე აიგო და შიგ ყაბარდოელთა პოლკი ჩასახლდა. ყარაღაჯისა და საერთოდ ქიზიყის მიდამოები რუსეთ-ლეკეთის ღია ფრონტის, საკორდონე ხაზად იქნა ცნობილი. 1825 წლიდან ყარაღაჯში დაბანაკებულ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში მსახურობდნენ კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტი ოფიცრები. დასახელებულ პოლკს მეთაურობდა ბოროდინოს ბრძოლის სახელგანთქმული გმირის, პეტრე ბაგრატიონის ახლო მეგობრის ნიკოლოზ რაევსკის უმცროსი ვაჟი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

სხვადასხვა დროს აქ ცხოვრობდნენ: ვ. კიუხელბეკერი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, ლ. პუშკინი, ა. ბესტუჟევი, მ. პუშჩინი და სხვანი.

1829 წლის ივნისის პირველ ნახევარში ყარაღაჯში, ძმასთან (ლ. ს. პუშკინთან) ჩამოვიდა დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი, რომელიც თავდავიწყებამდე მიეცა ბუნების შეუდარებელი სიმშვენიერით ტკბობას.

... მოგონებებში საკმაო დრო გავიდა. ხანდახან თუ გამოანათებდა მზის მათრობელა სხივი. მთიდან ჩამოვედით. მიწა ნაწვიმარია. ახლა საცალფეხო ბილიკს მივუყვებით ხორნაბუჯის ციხეზე. მცირე მოსახვევი და, პირველ ქონგურს ვუვლი გარს. აქ სადღაც კლდეში ნაკვეთი სენაკები იწყება და გარდასულ სულთა ლანდები რიალებენ.

...„ყარაღაჯის სამხრით, სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენ არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი...“ იყო და, აღარ არის, იყვნენ და, აღარ არიან... საოცარია ქვეყნის ბედისწერა. ინგრეოდა ჩადუღაბებული კედლები, ქალაქები, სოფლები... ინგრეოდა შულლით, ბიწიერი პატივმოყვარეობით, ანგარებით... და, მაინც იცოცხლა ერმა, შეინახა ენის სიწმინდე, გადაურჩა ათას სატკივარს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უფრო მაღლა ვაგრძელებთ გზას ციხის ჩრდილო-აღმოსავლის კედელზე. მასპინძელი დასავლეთის მხარეს მაჩვენებს. ბოდბის ეკლესიის ჯვარს თავი დაუღწევია ჯანღისგან. ხოლო ჩრდილოეთის მხრით ვრცლად გადაშლილა სოფელი ხირსა. ...„ხორნაბუჯის ჩრდილოთ ჩამოვარდების ხევი ხირსა, გამომდინარე ცივი მთიდამ და მომდინარე აღმოსავლეთად დასავლეთიდამ. ამ ხევის კიდეზედ, ჩრდილოთ კერძო, არს მონასტერი ხირსისა, რომელ ჰყო ცამეტ მამათაგანმა წმიდამან სტეფანემ, დიდკეთილშენი და დაფლულ არს წმიდა სტეფანე მუნვე...“

... და რომელი ერთი... ქიზიყი სავსეა დიდებული ისტორიული წარსულით. ხალხი მუხლმავარია და გამტანი, ამაყნი, ლამაზნი. მახსენდება ერთი შემთხვევა. ზემო მაჩხაანში, ვიდრე სკოლამდე მივიდოდით, სახლის წინ ლოდზე ჩამომსხდარი მოხუცი და ახალგაზრდა ქალი ვნახეთ. ერთი ალბათ საუკუნეს გაათავებდა მალე, მეორე კი მეოთხედსაც არ იქნებოდა მიღწეული. პირველი შალის ძაფით ქართულ ხელრთვას ასწავლიდა უმცროსს. ნაოჭებში ჩამსხდარი თვალები ჰქონდა უხნესს, სიცოცხლის წყურვილით სავსე...

წითელწყაროში ჩასვლის პირველ დღესვე მოვიარეთ სოფლები. ზემო მაჩხაანელთა გემოვნებით ნაშენ სახლებს თვალი ვერ მოვწყვიტეთ. პაწაწკინტელა გოგო-ბიჭების ჟრიამული ავსებდა ნაწვიმარ ეზოებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო მამაიაშვილი სოფლის უხუცეს გლეხებს ესაუბრებოდა ჩვენი სტუმრობის ჟამს. მოსავლის აღება უკვე დაეწყოთ და ხალხს ათასი საქმე გასჩენოდა.

რაიონის ყველა კოლმეურნეობა (14 სოფელი, — 11 კოლმეურნეობა) დიდი ოჯახის განუყოფელი ნაწილია. საერთო წინსვლა თვითეული გლეხის დოვლათის საფუძვლად ქცეულა. ალბათ ამიტომაცაა წითელწყაროს რაიონში მხოლოდ და მხოლოდ მდიდარი, მილიონერი კოლმეურნეობები. შრომა არ იკარგება. მიწა ერთს — ასად უბრუნებს გამრჯე მარჯვენას სიკეთეს. ზუსტ ინფორმაციულ მასალებს თუ შევეხებით, რაიონი ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. ხუთწლედის დავალებები მთელი წლით ადრე, აბსოლუტურად სრულდება. პურის მოსავლიანობა (ძირითადი სამიწათმოქმედო კულტურები პურეულია) წინა ხუთწლედთან შედარებით 5 ცენტნერით გაზარდა ჰექტარზე. ესეც მოულოდნელი მკლავის ნაყოფია. პურეული ნათესები 50,000 ჰექტარს იჭერს, ასე რომ, ნამეტი საკმაოდ სოლიდურ მარაგს წარმოადგენს ქვეყნისთვის. საგვენახე კულტურებისთვის ჯერ-ჯერობით 2,500 ჰექტარი ფართობია დათმობილი. მომავალ ხუთწლედში იქაწითელი დამატებით დაირგვება 7 500 ჰექტარზე, რაც ხელს შეუწყობს რაიონის ეკონომიკის შეუნელებელ ზრდას.

სხვა რომ არაფერი, აქაურ მშრომელთა თაოსნობით შეიქმნა მეცხოველეობის გაერთიანება დარგების მიხედვით. ცალკე ეწყობა: მსხვილფეხა პირუტყვის სასუქი გაერთიანება, მეფუტკრეობა, ხელოვნური დათესვლა. ნიადაგი მომზადდა მევრინველეობის გაერთიანებისთვის.

რაიონს საზოგადოებრივ სექტორში 210,000 სული ცხვარი ჰყავს. გასულ წელს 100 ნერბზე საშუალოდ 84 ბატკანი გამოზარდეს.

„ — ეს მაინცდამაინც კარგი არ არის, მაგრამ არც ცუდია.“ — გვეუბნება წითელწყაროს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, აგრონომი გურამ ლოლაძე.

წითელწყაროში გატარებულმა დღეებმა სოფლებში, მინდვრებსა და უპირველესად ხალხში ყოფნამ დაგვარწმუნა, რომ რაიონის თვითეული მცხოვრებისთვის, მწყემსის, მევენახის თუ მექანიზატორისთვის თავიანთი პარტიული ხელმძღვანელი და ნიჭიერი აგრონომი კეთილი, გამტანი მეგობარი და ავტორიტეტული მრჩეველია. საქვეყნო საქმისთვის თავდადებული და დაუზარელი, სხვისგანაც შრომისმოყვარეობას მოითხოვს. საუბრის დროს ხშირად დასცდება „ჩვენ...“ ეს „ჩვენ“ ჯერ წითელწყაროელებს ნიშნავს, შემდეგ ჩვენც ვგულისხმებით, ყველანი.

ერთი წლის წინ ბუნებრივი გაზი შეიყვანეს რაიონში. წელს ოთხი კოლმეურნეობა (ზემო მაჩხაანი, არბოშიკი, გამარჯვება, ჯაფარიძე) მიიღებს მას, 1976 წლისათვის ყველა დანარჩენი.

და რაც მთავარია, სასმელი წყლის ნაკლებობა აწუხებს უძველეს „დედოფლის წყაროს“ ეს უკანასკნელი აღარ ეპატიებოდათ რაიონის მშრომელთა აქტივს. ამჟამად ზომები მიღებულია. მიმდინარე წელს დამთავრდება კაპიტალური წყალსადენი. ლაგოდეხიდან სასმელ წყალს მიიღებს: გურჯაანი, სიღნაღი და წითელწყარო.

ქალაქის კეთილმოწყობა მშრომელთა ყურადღების ცენტრში დგას. გამოყოფილია თანხები საერთო რეკონსტრუქციისთვის. მომავალი თაობისათვის აშენდა ახალი მუსიკალური სკოლა. დამთავრდა სავაჭრო ცენტრისა და სასტუმრო „შირაქის“ საძირკვლიანი „გაახლება“ ზემო ქედში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი არჩილ კობაიძე) შენდება კულტურის სასახლე.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია სასტუმრო „დიდნაური“. სასტუმრო რაიონის ცენ

ტრშია მოთავსებული. თანამედროვე კომფორტით მორთული ოთახები, სტუმართა მისაღები და საერთო ჰოლი აქაურთა მაღალი გემოვნების კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია.

რაიონში პრობლემატურია გასარწყავების საკითხი. დაიწყო ყუშის ხევის წყლის გამოყენება. იგი გაასარწყავებს ტარიბანის მინდორს ჯერ 2 000 ჰექტარზე, შემდეგაც ამდენივე ფართობზე. თითქმის ასევე ვაკე-თელაწყლის მასივის გასარწყავების ზონა. იგი მოიქმედებს დაახლოვებით 4 000 ჰექტარზე. შედარებით მძიმე მდგომარეობაშია დილიანის ველი. ჯერჯერობით არ ხერხდება მისი გასარწყავება. სამუშაოების შესასრულებლად ალაზნის ამოქაჩვა უნდა მოხდეს...

წითელწყაროელებს დიდ დახმარებას უწევს „კეთილი შეფი“ — „საქმთავარგაზი“. აქაურები მადლიანი, ალალი პატივისცემით იხსენიებენ „საქმთავარგაზელებს“. სიყვარულსა და ნდობას დამსახურება სჭირდება. ხალხი არასოდეს ივიწყებს სიკეთეს.

ნაშუადღევს „წითელწყაროს ბამის“ დათვალიერება შემოგვთავაზეს. გაგვიკვირდა მაგრამ... სჯობდა დრომდე დაგვეცადა. გზა შირაქის თვალწარმტაც ველებზე, პურის ყანებში მიემართებოდა სოფელ ჯაფარიძის (კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ნიკო ყოჩიაშვილი) გავლით. ცოტაც და, ისევ დაგვატყვევა ფერთა დიდებულმა თანაზიარობამ. მზარმარცხნივ მშვიდზე მშვიდი, ჯაფარიძელთა ტბის ვერცხლისფერი ტალღები ირთოდნენ ნიავის სულ უმცირეს ჩქამზე. ზღუდედ მოვლებული პურის სურნელი ტბის სოცარ სილამაზეს არაამქვეყნიურს ხდიდა...

მანქანა ისევ პურეულში მიიკვლევს გზას. შორს, შენობათა დაუსრულებელი რიგი გამოჩნდა. მცირე ზომის მთას შემოვუარეთ, ფერდობზე ავედით.

— მოვედით.

თქმაც აღარ გვინდოდა. ჩვენს წინ მართლაც უზარმაზარი შენობა აღმართულიყო. იწყებოდა წინა მთის მოვაკებულ ფერდობზე და გრძელდებოდა აი აქვე, ჩვენთან. დასაწყისში თუ დაბოლოებაში (თავდაპირველად ვერ გავარკვიეთ) დროშა ფრიალებდა და აი, კიდევ ერთი სასიამოვნო, თანაც საინტერესო ცნობა... არა, საქმე; დიახ, ხალხის დიდი საქმე! თვენახევარში რაიონის მშრომელებმა ააშენეს მსხვილფეხა პირუტყვის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქი მოედანი 5 000 სულზე სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ მსხვილფეხა პირუტყვისათვის. აქვეა მუშა-მოსამსახურეთა საერთო საცხოვრებელი და „ბამის“ ადმინისტრაციული სახლი. საუცხოოა, მაგრამ... როგორ მოასწრო, როგორ შესძლო ხალხმა დროის უმცირეს მონაკვეთში ამოეგნა შენობის აყვანა, გადახურვა? პასუხი მოკლეა და საქმიანი: რაიონის ყველა კოლმეურნეობას მიწის საკუთარი ნაწილი გამოეყო მშენებლობის საწარმოოდ. არბოშიკელებმა გაიმარჯვეს, დროშაც მათი პირველობის სიმბოლოდ ქცეულა. მშენებლობისთვის ძირითად საშენ მასალად ლითონის ძელელები ყოფილა საჭირო. შოვნა გაძნელებული. ხელი რომ ჩაუქნევიათ, ვამოსავალი მალე უპოვნია ხალხს. კაჭრეთის დახურული მაღაროდან ამოუთხრიათ რკინის მილები და კიდევ... თბილისიდან წაუღიათ ტრამვაების გაუქმებული ლიანდაგები. თავდადების შედეგს არ დაუგვიანებია. 45 დღე! სარეკორდო დროა. თუმცაღა აქაურთაგან აღარაფერი გვიკვირს. შრომის ერთგული ადამიანები შეუძლებელს შესაძლებლად ხდიან. და მერე, ვინ არიან ისინი? ჩვენს შორის მყოფი, ჩვენი თანამედროვე კეთილი ხალხი, ალალი ქართველი გლეხობა. აი, თუნდაც ზემო მაჩხაანელი მწყემსი ნოდარ ჯანაშვილი! ბოლო ხუთი წლის მანძილზე ას დედა ცხვარზე აიყვანა და გამოზარდა 100 ბატკანი, თითოეული ცხვრისაგან 3,50 კგ. მატყლი მიიღო; ან კიდევ საქვეყნოდ სახელგანთქმული მწველავი ქალი, სოციალისტური შრომის გმირი ზაირა ალხანიშვილი; რაიონის სული და გული, ზემო ქედელი მექანიზატორი ნიკოლოზ მელიქიშვილი... რომელი ერთი დავასახელოთ? ვინ გავიხსენოთ? დავიწყებით არავინ დაგვიწყებია, მაგრამ წითელწყაროელები ხომ ყველანი ასეთები არიან, მერედა რა სასიამოვნოა, საოცრად საინტერესოა მათთან ყოფნა, გულიანი საუბარი. შრომა აკეთილშობილებს სულს, საკუთარი თავის რწმენას უნერგავს თვითეულს. გამრჯე ბუნება ღვთით კურთხეული დიდი ნიჭია, ასე უხვად რომ გააჩნიათ აქაურთ.

მეორე დილით მუზეუმები დავათვალიერეთ, მუზეუმი ხომ ერისა და თუნდაც ქვეყნის მცირე კუთხის დიდი შინაგანი კულტურის დადასტურებაა, მისი სულიერი სარკეა.

წითელწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები განსაცვიფრებელი ყურადღებითაა შერჩეული. აქ ნახავთ უძველეს ქართულ სამიწათმოქმედო იარაღებს (კავებს, ცელებს, ნამგლებს, საწნახელებს, უღლებს) და მრავალ იშვიათ, ძველისძველ ეროვნულ ნახელავს. იშვიათი მასალების შერჩევით მოწყობილია ფოტოგრაფიული გამოფენები: „ფიროსმანი“, „სახელოვანი მამულიშვილები“ (ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი), „დიდი სამამულო...“ (1941-1945წ. წ.) და „დღევანდელი წითელწყარო“. მუზეუმში ნაკლებადაა წარმოდგენილი ხელოვნების კლასიკური ნიმუშები. მათი შეგროვება და შეძენა არც ისე ადვილი საქმეა, მაგრამ არის შესაძლებლობა თანამედროვე ხელოვანთა ორიგინალებით შეივსოს დარბაზები. საშვილიშვილო საქმეს გააკეთებენ ჩვენი ფერმწერები, მოქან-

დაკენი თუ ქედური ხელოვნების ოსტატები, თუკი ფავიანთ რამდენიმე ან თუნდაც თითო ნამუშევარს გაუგზავნიან წითელწყაროელ მშრომელებს. ფიროსმანის თანამემამულენი ნიქის დიდი, ძალზე დიდი დამფასებლები არიან, სიყვარულსა და სიკეთეს კი როგორც ვთქვით, არასოდეს ივიწყებენ.

წითელწყაროში, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზეა ა. პუშკინის თანამედროვის, ყარალაჯში დაბანაკებულ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სარეზერვო ესკადრონის მეთაურის, გარნიზონის ხელმძღვანელის გ. ნეჩვოლოდოვის სახლი. ვინ იცის, რამდენ ბედნიერ დღეს შესწრებია ძველისძველი, მოჩუქურთმებული ქალალდის შპალერით დაფარული ოთახები ალექსანდრე პუშკინის ქიზიყში ყოფნის დროს. გ. ნეჩვოლოდოვი საქართველოში დეკაბრისტთა თანამოაზრე და დიდი მეგობარი იყო. მის სახლში თვეობითა და წლობით ცხოვრობდნენ ლევ პუშკინი, მ. პუშჩინი, ნ. რაევსკი. აქაურობის ხშირი სტუმარი გახლდათ ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი ახლო მეგობრებით.

ახლა გ. ნეჩვოლოდოვის სახლში შეუჩერებელი მშენებლობა, აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის აქ გაიხსნა „მეგობრობის მუზეუმი‘ სტუმარ-დამთვალიერებლებს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს ა. პუშკინისა და ა. ჭავჭავაძის დაუდგრომელ ცხოვრებასთან დაკავშირებული უნიკალური მასალების გაცნობა.

გ. ნეჩვოლოდოვის სახლიდან ფიროსმანის ქუჩით დავბრუნდით ქალაქში. აქ ყველაფერი ნიკალოს სახელთანაა დაკავშირებული, ყველაფერი მის საოცარ ცხოვრებას გაგონებთ... ახალგაზრდულ საესტრადო ანსამბლსაც „ფიროსმანი“ უწოდეს. „ფიროსმანელი“ ქალიშვილები და ჭაბუკები რესპუბლიკაში ცნობილი მომღერლები გახდნენ. ჩვენი გზაც ფიროსმანის კენაა... მირზაანში დიდი ხელოვანის პაწაწინა ხის სახლს ვეწვიეთ. ქართველი კაცისთვის სათაყვანო ნიკალას აივნიდან ბუნების საოცარ ფერთა მხილველნი გავხდით. ამ ცისა და მიწის, უნაპირო ქართული ლაჟვარდის შვილს განა შეეძლო არ ეხატა? რა გასაკირია, თუ სიცოცხლის თანამგზავრად ალაზნის ველის სიტურფე და ცისფერი ცარგვალის ზმანება ექცა. ეს ზურმუხტი და ოქრო, გამოხურვებული ლენძის ფერი თავთავები, ფირუზი ცა და ქიზიყელი გოგოს ლალის ბაგეები, სიცხისაგან დამსკდარი ბარაქიანი მშობელი მიწის ბელტი უკარგავდა მოსვენებას. აი, ეს ფერები ყველა მისია, გულისა და სისხლის განუშრობელი ნაწილია. ჩემი, შენი, ყველა ქართველის სამარადჟამო დიდებაა, უკვდავებაა... ჩვენი ნიკალა! ჩვენი საოცარი ნიკალა.

მუზეუმის დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი ფიროსმანის უსაზღვრო თაყვანისმცემელია. უჭირდა მუზეუმს, ძლიერ უჭირდა. აგერ ორი წელი იქნება მზრუნველმა ხელმა ახალი სიცოცხლე უბოძა ფიროსმანაშვილის დიდებას, რწმენა დაუბრუნა მაძღარაშვილს. მოძებნეს სურათები, ნივთები და საერთოდ ყველაფერი, თუკი რაიმეს კავშირი ჰქონდა ნიკოსეულ სახლსა და სახელთან. რაიონმა მუზეუმისთვის შეიძინა მუშამბაზე ზეთით შესრულებული ფიროსმანის შვიდი ფერწერული ორიგინალი.

ნიკოს სახლის ოდნავ დაცილებით, მისსავე ეზოში არქიტექტორ გურამ ბაქრაძის პროექტით შენდება ფიროსმანის საექსპოზიციო დარბაზი. ოქტომბრის ბოლოს ფიროსმანისეული კარმიდამო ქართული გულუხვობით გაუმასპინძლდა ნიკალას უჩვეულო ნიჭის თაყვანისმცემელთ. ფიროსმანის საექსპოზიციო დარბაზი დიდი შენაძენი იქნება არა მარტო წითელწყაროელთათვის, მთელი ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის. ერის ჯანსაღმა სულმა თავის ბობოქარ სიცოცხლეში გაანივთა ფიროსმანის უკვდავება.

ბებერი ცაცხვი შრიალებს საექსპოზიციო დარბაზის გვერდით, ზაფხულის სიცხიან დღეებში აქ ყოფნა ყვარებია ნიკალას... ნისლში ჩაძირული კავკასის მთაგრეხილი და მთელი ქიზიყი მისი ფუნჯით მოხატული გეგონება, იმდენი ფერია ირგვლივ.

მთა-მთა გადმოვედით. მერე ვიწრო ხეობას ჩავუყევით. სოფელ ოზაანის ქუჩების გავლით ისევ მთისკენ, ამჯერად ჩრდილოეთისკენ ავუყევით შვინდითა და წაბლით ჩამობურდულ გზას...

საიდან იწყება საქართველო? — ვეღარ დავაღწიე თავი ფიქრს. ალბათ ქიზიყიდან, ან იქნებ... სხვა მშვენიერი ქართული კუთხიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი იოვაშვილი

# აგაბოს და მისი ვაჟების ტრაგიკომედია

ოტია იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ დამსახურებულად შეიძლება მოვიხსენიოთ იმ ნაწარმოებების რიცხვში, რომელთაც სახელი გაუთქვეს ქართულ საბჭოთა დრამატურგიას არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეს პიესა დაიდგა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ჩრდილო კავკასიის და სხვა წამყვანი თეატრების სცენებზე. მას უჩვენებენ მოსკოვის ორ თეატრში. რამდენიმე წლის წინათ „სანამ ურემი გადაბრუნდება“ წარმოადგინეს ნ. გოგოლის სახელობის დრამატულ თეატრში. შარშან კი მისი პრემიერა მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფილიალში შედგა. დასახელებულ დადგმებს ერთობ ცხოველი ინტერესით გამოეხმაურა საზოგადოებრიობა. სასიამოვნოა გავიხსენოთ, რომ პიესის მთავარი გმირის აგაბო ბოგვერაძის როლის შესრულება სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბორის ჩირკოვმა საკუთარი აქტიორული მოღვაწეობის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად მიიჩნია.[1]

„სანამ ურემი გადაბრუნდებას“ მიმართ გამოწვეული ინტერესის უპირველეს საფუძვლად რასაკვირველია, თვით პიესის იდეურ-მხატვრული ღირსებები უნდა დავსახოთ. ამას როდესაც აღვნიშნავთ, მხედველობაში გვაქვს რამდენიმე გარემოება, სახელდობრ ის, რომ: 1.„სანამ ურემი გადაბრუნდება“ უაღრესად ცხოვრებისეულ, უაღრესად მართალ სიტუაციებზე აგებული თხზულებაა; 2. პიესა გამოირჩევა თანამედროვე ადამიანებისა და მათთან დაკავშირებული ვითარების მჭევრმეტყველური წარმოსახვით; სინამდვილის მოვლენათა ძიების წვდომით; ერთი შეხედვით, ჩვეულებრივსა და უმნიშვნელოში უჩვეულოსა და მნიშვნელოვანის დანახვით.

ოტია იოსელიანის პიესის მხატვრული ღირსებების ჩამოთვლას როდესაც ვცდილობთ, უნდა მივუთითოთ, რომ დასახელებულ ნაწარმოებში გარკვევით იგრძნობა ერთგულება საგანთა და მოვლენათა წარმოსახვის იმ პრინციპებისადმი, რომლებთან დაკავშირებით ვითარდებოდა და ახლაც ვითარდება რეალისტური ხელოვნება.

„სანამ ურემი გადაბრუნდება“ უაღრესად მნიშვნელოვანია ასახულ მოვლენათა საზოგადოებრივი ჟღერადობით; იმით, რითაც ეს ნაწარმოები და მისი ავტორი ეხმაურებიან თანამედროვე ცხოვრების განვითარების ტენდენციებს, ხელს უწყობენ სინამდვილისეული პრობლემების მართებულად დაყენებას, ახსნა-გაგებას; გვანიშნებენ მათი გადაწყვეტის სტიმულებს.

ამ პიესის თავისებურება ისაა, რომ ჟანრობრივი ბუნებით კომედიურიც არის და ტრაგიკულიც. კომედიური თვალსაზრისით აქ ყველაზე საგულისხმოა აგაბო ბოგვერაძის მიერ ვაჟიშვილების ქალაქიდან სოფელში ჩამოტყუება და მათი გასაპამპულებელი ოინების გათამაშება. ეს ამბავი დრამატურგს გამოყენებული აქვს აგრეთვე როგორც თავისებური მხატვრული ფორმა ასახული მოვლენათა ტრაგიკული შინაარსის გასაცნაურებლად; სახელდობრ, იმის გადმოსაცემად, რომ ნასწავლ ბოგვერაძეთა მოხუცი მშობლები სერიოზულად იტანჯებიან შვილების უმადურობით, სოფლური ცხოვრებისაგან მათი განდგომით.

ჩვენ ვახსენეთ საზოგადოებრივი ჟღერადობის მქონე მოვლენა, რომელზე მინიშნების შესაძლებლობას ო. იოსელიანის პიესა იძლევა. რა იგულისხმება წინამდებარე მსჯელობაში ასეთი მოვლენის სახით? არ გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ ერთგვარი პირობით აქ საქმე ეხება ქალაქისა და სოფლის ისტორიული ურთიერთობის არსიდან გამომდინარე პრობლემატიკას, კერძოდ, ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების გაღრმავებას და ამის საფუძველზე მოსახლეობის დენადობას სოფლიდან ქალაქისაკენ. ან პირიქით.

მწვავე ხასიათი მიიღო დასახელებულმა პრობლემამ კაპიტალისტური მეურნეობის ჩასახვა-განვითარების პირობებში. როგორც ცნობილია, თავისი მნიშვნელობა, მას არც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დაუკარგავს.

ისტორიულად დადასტურებულ მდგომარეობათა მეცნიერული გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ სოფლიდან ქალაქისაკენ, ან, პირიქით, მოსახლეობის დინების მასტიმულირებულია ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების მეტისმეტად უჩვეულო გაღრმავება. კერძოდ, მიზეზი გლეხობის ე. წ. გაქცევისა სოფლიდან, თუ კი ამას არა კერძო შემთხვევითი, არამედ მასობრივი და რამდენადმე სტაბილური ხასიათი აქვს, სხვას არას მოასწავებს, თუ არა განვითარებული ქალაქისაგან სოფლის მეტისმეტ ჩამორჩენას, მათ შორის არსებული განსხვავების გაღრმავებას ქალაქის დაწინაურების პირობით.

შეინიშნება თუ არა ქალაქსა და სოფელს შორის არსებული განსხვავების ასეთი გაღრმავება სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე? არა, არ შეინიშნება. დამტკიცებას არ საჭიროებს, რომ ჩვენი სოფელი ამჟამად სარგებლობს ეკონომიკის, კულტურის თითქმის ყველა იმ სიკეთით, რომელიც ხელმისაწვდომია ქალაქში. ქალაქებისაგან ყველაზე უფრო დაშორებულ სოფელ ადგილებშიც კი დღეს მოსახლეობა უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინებით, განათების, გათბობის საშუალებებით, რადიო ქსელით. ტელევიზიით, კინო და თეატრალური სანახაობებით. აღნიშნულის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვთქვათ რომ სოფელში ამჟამად შედარებით ნაკლებ მიზეზებია ქალაქში გაქცევისათვის, ვიდრე ოდესმე.[2]

და, თუ მიუხედავად აღნიშნულისა, ე. წ. „გაქცევა ქალაქისაკენ“ მაინც ხდება; ხდება სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადახიზვნა, მაშინ ვალდებული ვართ დასახელებულ პროცესს სხვა მიზეზები დავუძებნოთ. კერძოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლიდან ქალაქისაკენ ლტოლვის მონაწილენი მოსახლეობის უმრავლესობის განწყობილებათა გამომხატველნი კი არა, ცალკეული გამონაკლისები არიან.

ჩვენ რამდენადაც მოსახერხებელი იყო, მოკლედ დავახასიათეთ სოფლიდან ქალაქში გახიზვნის საზოგადოებრივი არსი. მაგრამ როდი გვითქვამს, თითქოს აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებული მოვლენები ყველაფერს მოიცავდეს. ლ. იოსელიანის პიესაში. აქ უპირატესი მნიშვნელობა სხვა მომენტს ენიჭება. სახელდობრ, ძირითადი მახვილი დასმული აქვს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებულ წინააღმდეგობას, რაც საზოგადოების განვითარების არანაკლებ საყურადღებო ისტორიულ პრობლემად ითვლება. ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოები როგორც შინაარსით, ისე ავტორისეული მიზანდასახულობით მკვეთრად არის მიმართული ხსენებული პრობლემისაკენ. აგაბო ბოგვერაძეს და, მასთან ერთად, თავად ავტორს ყ ვ ე ლ ა ზ ე ძ ა ლ ი ა ნ აღიზიანებთ არა იმდენად ის, რომ ახალგაზრდობა ქალაქებისაკენ გარბის, არამედ უფრო ის, რომ, თავისებური განათლებულობის გამო, ეს ახალგაზრდობა ხელს იღებს მისი ჯანღონის გამოსაწრთობელ ფიზიკურ მოღვაწეობაზე. სწორედ აღნიშნული მომენტით არის უარსაყოფი აგაბოსათვის მისი ვაჟების გაქალაქება (მართლაც, თუ დავუკვირდებით, დურმიშხანის და დიტოს ქალაქში გახიზვნა სხვა არა არის რა, თუ არა მოვლენის შედეგი. თვით მოვლენა-მიზეზად კი მათი ცალმხრივი „სწავლა-განათლება“ უნდა ვიგულისხმოთ. „განათლების“ გამოა, რომ მათ უარი უთქვამთ სოფლურ ცხოვრებაზე, უარი უთქვამთ ფიზიკურ გარჯაზე და ქალაქში დამკვიდრებულან): აგაბოს არ ეპრიანება, როცა დურმიშხანს, დიტოს და მათს მეორე ნახევრებს ფიზიკურად სრულიად დაბეჩავებულებს ჰხედავს.

მოვლენები, რომელთაც ასახვა პოვეს „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებულ წინააღმდეგობათა არსიდან გამომდინარე კომიკურ სიმახინჯეებად უნდა მივიჩნიოთ. სწორედ აღნიშნული კუთხით ჩაითვლება მამაშვილი ბოგვერაძეების ურთიერთდამოკიდებულება კომედიურ ასახვის მასალად. ის, რის გამოც აგაბოს ვაჟიშვილებს და რძლებს თავი „დიდ ვინმეებად“ მოაქვთ, სრულიად არარაობაა. მინისტრის თანამდებობამდე მისული დურმიშხანი, რაიონის თავკაცების წინაშე გამოჩენილი დიტო, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იოველი და მათი ცოლები საზოგადოების საქებარ სიმაღლეზე კი ვერ ასულან, პირიქით, ძირს დაშვებულან და საძრახისნი გამხდარან. ახალგაზრდა ბოგვერაძეებს საქმე ისე წასვლიათ, რომ მათ ყოველივე კარგი სოფლურიც დაუკარგავთ და სახარბიელო არც არა ქალაქური შეუძენიათ. გამოდის, რომ ისინი სადღაც შეცდნენ, რომ სწორად ვერ გაიარეს იმ გზაზე, რომელზეც მამამ დააყენა...

დურმიშხანი, დიტო, იოველი იმ სახით, როგორადაც ისინი წარმოდგენილი არიან ლ. იოსელიანის პიესაში, კაცმა რომ თქვას, აგაბოს ვაჟებს აღარც გვანან. ისინი საკუთარი

თავისაგან გაუცხოებული პირები, მათი თანდაყოლილი ბუნებისათვის შეუთავსებელი მოდის მსხვერპლი, თანამდებობად ქცეული[3] ადამიანებია, რომლებიც უარს ამბობენ ყველაფერზე, რაც მათს თანამდებობრივ ფუნქციებში არ შედის; უარს ამბობენ მშობლებზეც, მშობლიურზეც, შვილებზეც, სიყვარულზეც, სიბრალულზეც. „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მთელი შინაარსი გამოხატავს აგაბოს ვაჟების ამ უარს:

— ვინ მყავს შენზე უკეთესი, ჩემო უბერებელო მამა?! — მიმართავს ერთ-ერთი შვილი აგაბოს.

— ეგ მარტო სიტყვებია... — მიუგებს მას მოხუცი და ეს პასუხი სრულიად ბუნებრივია. დედა და მამა მხოლოდ სახელებია ახალგაზრდა ბოგვერაძეებისათვის.

ჩვენ აღვნიშნავთ სინამდვილის განვითარების გარკვეულ პრობლემებთან ო. იოსელიანის პიესის დამოკიდებულებას. ამით არ ვფიქრობთ, თითქოს ამ ნაწარმოებს ჰქონდეს ხსენებული პრობლემების რაიმე მხრით გადაწყვეტის პრეტენზია. ცხოვრების ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტა თვით ცხოვრების განვითარების ტენდენციებზეა დამოკიდებული და არა ერთ, ან თუნდაც რამდენიმე მხატვრულ ნაწარმოებზე. „სანამ ურემი გადაბრუნდება“ საყურადღებოა იმით, რომ იგი საკმაოდ ეფექტიურად შეეხმიანა ამ პრობლემებს, იწვევს მათდამი ინტერესის გამახვილებას, გადაგვიშლის სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის, ფიზიკურ და გონებრივი შრომის დამოკიდებულების განვითარების ზოგიერთი მომენტის უარყოფით მხარეს. ბადებს აღნიშნულ ურთიერთობათა განვითარების არასასურველი შედეგებისადმი ხელისშემშლის სტიმულებს. ო. იოსელიანის პიესა საყურადღებოა მწვავე ცხოვრებისეული პრობლემების დაყენების თვალსაზრისით და ერთი პიესისაგან ესეც საკმარისია.

* * *

ო. იოსელიანის პიესის ლიტერატურულ-მხატვრული ავ-კარგის დახასიათება აგაბო ბოგვერაძის სახე-ხასიათის შინაარსში გარკვევით უნდა დაიწყოს. ასეთი თვალსაზრისი ბუნებრივია უწინარეს ყოვლისა იმით, რომ აგაბო (ისევე, როგორც, მაგალითად, ყვარყვარე თუთაბერი პ. კაკაბაძის კომედიაში, მარინე ფერაძე მ. ბარათაშვილის „მარინე“, ლაითაძე კ. ბუაჩიძის პიესაში — „ეზოში ავი ძაღლია“) ერთადერთი მთავარი ფიგურაა პიესაში. ნაწარმოებით ასახული მოქმედების განვითარების ყველა ძაფი მასთან არის დაკავშირებული, მეტსაც ვიტყვით. აგაბო არა მარტო ჩვეულებრივი წამყვანი გმირია პიესისა, არამედ თავისებური რეზონიერიც არის. ავტორის მიზანდასახულება, რასაც ის თავისი ესთეტიკური იდეალების კვალობაზე ავითარებს, — მოხუცი ბოგვერაძის ქცევა-მოქმედების შინაარსიდან გამომდინარეობს; აგაბოს პირით არაიშვიათად თვითონ დრამატურგი მეტყველებს.

მაგრამ იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, ეს იმდენად მნიშვნელოვანი არაა, უფრო საყურადღებო ჩვენთვის ის არის, რომ აგაბო ბოგვერაძე ტრაგიკომიკური გმირია; თანაც თანამედროვე სინამდვილიდან აღებული ტრაგიკომიკური გმირი, როგორიც ასე იშვიათია ჩვენს დრამატურგიაში და საერთოდ ლიტერატურაში. აღნიშნულს უნდა დავსძინოთ, რომ ბოგვერაძე უაღრესად თავისებურად, არაჩვეულებრივად გამოხატული გმირია და, როგორც ჩვენ გვგონია, ეს თვისება მრავალრიცხოვან მაყურებლამდე მისატანი ნაწარმოების რეპუტაციას უქმნის ო. იოსელიანის პიესას.

თავისებურად გამოხატულ ტრაგიკომიკურ ხასიათს რომ ვამბობთ, ამასთან დაკავშირებით შემდეგ გარემოებას ვითვალისწინებთ: ტრაგიკომედიების უმრავლესობა, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, ხასიათდება ისეთი გმირის გამოხატვით, რომელიც ტრაგიკული თვალსაზრისით საბრალო და თანაგრძნობის ღირსია, ხოლო კომიკური მხრით დასაცინი.[4] მიგელ სერვანტესის რომანში, რომელიც ტრაგიკომიკური ხასიათის მხატვრული ინტერპრეტაციის უპირველეს ნიმუშს წარმოადგენს, უსამართლობის წინააღმდეგ ისე აქტივმოქმედი გმირიც კი, როგორიც ლამანჩელი აზნაურია, განუწყვეტელი დაცინვის ობიექტად გვესახება. ყველას და ყველაფრის წინაშე იგი დამცირებული გამოდის, თუმცა უაღრესად სამართლიანი, ჰუმანური და მაღალ საკაცობრიო იდეალების სიმაღლეზე დგას. ანალოგიურ ბედში არიან მოლიერის თხზულების „მიზანთროპი“ მთავარი პერსონაჟი ალცესტი, გრიბოედოვის პიესის „ვაი ჭკუისაგან“ გმირი ჩაცკი. აკაკი აკაკევიჩი ნ. გოგოლის „შინელში“, ბეგლარი გ. ერისთავის „შეშლილში“, დარისპანი დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირში“ ტრაგიკული და, აგრეთვე, კომიკური არიან, როგორც დასაცინი, საჩოთირო მდგომარეობაში მათუნებურად ჩაცვენილი პირები.[5]

ტრაგიკომიკურ პერსონაჟთა გამოხატვის ზემოაღნიშნული ტრადიცია ო. იოსელიანის პიესაში უგულებელყოფილი არ არის. ამ მხრივ, მაგალითად, ფრიად სერიოზული მსჯელობის საბაბს იძლევა, უპირველეს ყოვლისა, ის მდგომარეობა, რომელიც აგაბო ბოგვერაძის ვაჟიშვილებს უკავიათ. თვალი გადავავლოთ პიესით წარმოჩენილი ვითარების შინაარსს! მშრომელი დედ-მამის ხელშეწყობით აგაბო ბოგვერაძის 4 ვაჟიშვილმა ბევრი შრომა მოახმარა ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლას.

გლეხური ქოხიდან წამოსულებმა უმაღლესი სასწავლებლები დაასრულეს. დურმიშხანი მინისტრის სავარძელშიც მოკალათებულა, დიტო „რაიონული ნომენკლატურის" პასუხისმგებელი პირი გამხდარა, ყველაზე უფროსი იოველი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, უმცროსი ბუხუტი კი მეცნიერული მოღვაწეობისათვის ემზადება...

„სანამ ურემი გადაბრუნდებას" საკვანძო სცენები მიძღვნილი აქვს იმის გარკვევას, თუ რამდენ არასახარბიელოა აღნიშნული აღმატება აგაბო ბოგვერაძის ვაჟიშვილებისათვის, მათი ადამიანური ღირსებებისათვის. საქმე ის არის, რომ იოველს, დიტოს, დურმიშხანს სწავლა-განათლება მიუღიათ და საზოგადოების მაღალ ადგილებზე დგომის უნარი შეუძენიათ, მაგრამ მათი კაცობა-ადამიანობისათვის უფრო აუცილებელი რამ კი დაუკარგავთ.

რა არის ის დანაკარგი, რომელიც ჩვენ მხედველობაში გვაქვს?

ჯერ ერთი, ბოგვერაძის ვაჟიშვილები ფიზიკურად მოდუნებული ადამიანები გამხდარან; დაუკარგავთ მათი მამისათვის დამახასიათებელი გამძლეობა, ამტანიანობა, შრომის ინტერესი. ახალგაზრდა ბოგვერაძეები მოკლებული არიან სულ უმნიშვნელო განსაცდელის გადატანის შესაძლებლობას (აბა, რას უნდა გაუძლოს კაცმა, რომელსაც დაბალ სოფლურ სკამზე დაჯდომაც კი აუტანელ გასაჭირში აგდებს?!)[6]

მეორეც, — აგაბო ბოგვერაძის შვილები თავიანთი „აღმატებით" არც ზნეობრივად გამდიდრებულან. გამდიდრებული როგორ ეთქმის, მაგალითად, ადამიანს, რომელიც ათასნაირ სულმდაბლურ ხრიკს მიმართავს, რათა თავი დააღწიოს ავადმყოფი მშობლისადმი ზრუნვას.

ბოგვერაძის ვაჟებს დაუკარგავთ კიდევ ერთი ისეთი რამ, რითაც მოხუც აგაბოს ჭეშმარიტად შეეძლო თავი მოეწონებინა. კერძოდ, ისინი არა მარტო წინაპრებზე (დედ-მამაზე), არამედ შთამომავლობაზეც აღარ ფიქრობენ: თავს არიდებენ შვილიანობას (სამი ცოლიანი ძმა დურმიშხანის ერთადერთ გოგონას შეჰხარის. მეტი არაფერი გააჩნიათ).

ამგვარად ირკვევა, რომ ბოგვერაძის შვილები თავიანთი სწავლა-განათლების შემწეობით იმდენად როდი ამაღლდნენ, რამდენადაც დაქვეითდნენ. მათი აღზრდა-განათლება დასახული მიზნის საწინააღმდეგო შედეგებით ხასიათდება, რაც მათზე დაცინვის საბაბია.

იმ ტრაგიკომიკურ ძალებს, რომლებსაც თ. იოსელიანის პიესა დასაცინად წარმოადგენს, შეადგენენ არა მხოლოდ ახალგაზრდა ბოგვერაძეები... გ ა რ კ ვ ე უ ლ ი პ ი რ ო ბ ი თ დასაცინ მდგომარეობაშია მოხუცი ბოგვერაძეც. შინაარსი ძირითადი სიტუაციისა, რითაც აგებულია „სანამ ურემი გადაბრუნდებას" სიუჟეტი, აგაბოს სწორედ ასეთი მდგომარეობაში ყოფნით ხასიათდება. აქ ვხედავთ კაცს, რომლის მშობლიურ გარჯას მისი 4 ვაჟიშვილის კაცობის გზაზე დასაყენებლად აგაბოსათვის სასარგებლო ნაყოფი არ უჩანს. მოხუცი ბოგვერაძის „წვალების", წლობით გაწეული შრომის შედეგები არ ემთხვევა ამ შრომისა და „წვალების" მასტიმულირებელ მიზნებს. „სანამ ურემი გადაბრუნდებას" გმირი როგორც ჩანს, იმედოვნებდა—საკუთარი ვაჟიშვილების სახით ყოლოდა თავისი გლეხკაცური ცხოვრების არა მარტო გამგრძელებლები, არამედ გამღრმავებელ-განმავითარებლებიც. ყველაფერი კი სწორედ რომ საწინააღმდეგოდ მოხდა: სწავლა-განათლებაზე დაწაფებამ უმცროსი ბოგვერაძეები სოფლიდან გახიზნა და აგაბოს ვარაუდებიც წყალს მიეცა. ბოგვერაძეების სოფლურ კარმიდამოს ახლა გაპარტახების საფრთხე ემუქრება. მას მომავალი პატრონები აღარ უჩანს...

ამგვარად, გამოდის, რომ აგაბო ბოგვერაძემ თავისი მამაშვილური მოვალეობის ღირსეული შესრულებით ახალი ბურჯები ვერ დაუყენა მის მიერ აღიარებულ გლეხკაცურ ცხოვრებას, პირიქით, ძირისგამომთხრელები, დამამხობლები გაუჩინა მას საკუთარი შვილების სახით. მოხუცი ბოგვერაძე მისი მშობლიური ღონისძიებების შედეგებით კი არ ხარობს, არამედ იტანჯება. ასეთია ის ტრაგიკომიკური დასაცინი და ამავე დროს თანაგრძნობის გამომწვევი მდგომარეობა, რომელშიც მაყურებელს თუ მაყურებლად ნაგულისხმევ მკითხველს, ესახება თ. იოსელიანის პიესის მთავარი გმირი.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტრაგიკომედიის გმირი, როგორც დასაცინი ელემენტი — ეს მსოფლიო დრამატურგიის ერთობ ჩვეულებრივი მოვლენაა და „სანამ ურემი გადაბრუნდებაში" ასეთია ბოგვერაძეთა ოჯახის ყველა წარმომადგენელი — როგორც შვილები, ისე მამა.

ამჯერად ის აზრიც უნდა განვავითაროთ, რომ თ. იოსელიანის პიესაში ყველა ტრაგიკომიკური პერსონაჟი ერთნაირად დასაცინი როდია, ე. ი. უმცროს და უფროს ბოგვერაძეებზე მაყურებელს ერთნაირი გულით არ შეუძლია იცინოს, ვინაიდან ერთნი (მაგალითად, შვილები) აქ შედარებით უფრო დ ა მ ნ ა შ ა ვ ე ე ბ ა დ, საჩოთირო მდგომარეობაში საკუთარი სისუსტითა და გაუფრთხილებლობით ჩავარდნილ ძალებად წარმოგვიდგებიან, ხოლო მეორენი (მაგალითად მამა, იგივე

აგაბო ბოგვერაძე) შედარებით უფრო უდანაშაულოა, სასაცილო მდგომარეობაში უფრო სხვების მიზეზით არის მოქცეული. ამას ნიშნავს აგაბო ბოგვერაძის დასაცინი მდგომარეობის პირობით ხასიათზე როცა მივუთითებთ. მის მიმართ დაცინვა თანაგრძნობითია.

აღნიშნული განსხვავება, ე. ი. ის ფაქტი, რომ ასახულ მოქმედებაში ტრაგიკომიკურ პერსონაჟთა ერთი ნაწილი შედარებით დამნაშავეა, მეორე კი — შედარებით უდანაშაულო, გულისხმობს, რომ მამა-შვილი ბოგვერაძეები კომფლიქტურად დაპირისპირებული, ერთიმეორის საწინააღმდეგო ტენდენციების გათიშული ძალებია. გავიხსენოთ ალ. გრიბოედოვის განთქმული კომედია! მისი სიუჟეტი სწორედ რომ ანალოგიურ-სამართლიან და უსამართლო ძალების ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებაზეა აგებული. სამართლიანი ჩაცკი სულ მუდამ უტევს ანგარებითი ინტერესებით გამსჭვალულ ფამუსოვის ბანაკს. კონფლიქტის ასეთი გამოხატვა შეადგენს პიესით ასახული მოქმედების განვითარების დედააზრს. მაგრამ აქ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩაცკის ბრძოლა ფამუსოვის სამყაროს ადამიანებთან დრამატული და ზოგჯერ ტრაგიკულიცაა. აღნიშნულ შემთხვევაში დრამატურგი კომიკურ ელემენტს იშვიათად მიმართავს.

ახლა ვნახოთ—როგორია ფორმა მამა-შვილ ბოგვერაძეებს შორის არსებული კონფლიქტის გამოხატვისა „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“? —არა დრამატიული, ან ტრაგიკული, არამედ უპირატესად კომედიური. ამ მხრივ ო. იოსელიანის პიესა, როგორც ტრაგიკომედია, ერთობ გამოირჩევა. ყოველივე, თვით უაღრესად ტრაგიკული (შინაგანად ტრაგიკული) გარემოებაც კი, მასში კომიკურად არის გამოხატული. ტრაგიზმი და კომიზმი საანალიზო ნაწარმოებში ერთიმეორის ფორმით გვესახება.

მამა-შვილ ბოგვერაძეებს შორის არსებული კონფლიქტის კომიკური ასპექტით გამოხატვა, რასაც ჩვენ „სანამ ურემი გადაბრუნდებას“ დამახასიათებელ მხარედ მივიჩნევთ, კონკრეტულად იმას ნიშნავს, რომ მოხუცი ბოგვერაძე დაუნდობლად ამხელს და დასცინის საკუთარი ვაჟიშვილების გზადაბნეულობას, ფიზიკურ და ზნეობრივ გადაგვარებას, ე. ი. სიცილს, რასაც პიესა იწვევს ივლის, დიტოს, დურმიშხანის და მათი ცოლების მისამართით, თავიდან ბოლომდე აგაბო წარმართავს და ასე გვამცნობს იგი თავის უარყოფით დამოკიდებულებას, კონფლიქტურ განწყობილებას შვილების წინააღმდეგ.

ამგვარად, დრამატურგმა „სანამ ურემი გადაბრუნდებას“ მთავარი გმირი წარმოადგინა არა მარტო როგორც დასაცინი, არამედ აგრეთვე როგორც დამცინავი, სხვათა წინააღმდეგ სიცილის იარაღით მოქმედი ძალა. თავისი ვაჟების წინააღმდეგ სამართლიანად ამხედრებული აგაბო ისეთივე ხასიათის დამცინავი გმირია, როგორიცაა გრაფი ალმავივის გასაცუცურაკებლად მოქმედი ფიგარო ბომარშეს განთქმულ კომედიაში, ე. ი. ო. იოსელიანის ნაწარმოებში აგაბო ბოგვერაძე კომიკურია ორი მხრივ — იმითაც, რომ დაცინვის ობიექტია ვაჟიშვილების დანაშაულით შექმნილ საჩოთირო მდგომარეობასთან დაკავშირებით და იმიტომაც, რომ სხვას (შვილებს) დასცინის, იწვევს სხვის საწინააღმდეგო, სხვისი დასაგმობი საქციელის უარსაყოფ სიცილს.

ვიმეორებთ, რომ აღნიშნული თვალსაზრისით აგაბო, როგორც ტრაგიკომიკური ფიგურა, იშვიათია. დრამატურგი ერთობ დიდი დატვირთვით წარმოგვიდგენს მას: თავისი ენერგიული მოქმედებით, რაც ფრიად საყურადღებოა, როგორც პლასტიკურ-ლაპიდარული, ისე ემოციური თვალსაზრისით, სააშკარაოზე გამოაქვს რა საკუთარი ვაჟიშვილების გზასაცდენილობა[7], მოხუცი ბოგვერაძე ამავე დროს და ამავე გზით ცხადყოფს პირად სატკივარსაც, — იმას, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო იგი მამაშვილურმა მადლისქმნამ, როგორ მოხდა, რომ მისმა მოწადინებამ მიზნის საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიღო: ბუნებრივია, რომ ასეთ მხილებას, რომელიც ამავე დროს თვით მხილებაც არის, მოსდევს სიცილი როგორც უმცროსი, ისე უფროსი ბოგვერაძეების მისამართით. ე. ი. თავისი ქცევით აგაბო წარმოქმნის სასაცილო განწყობილებას არა მარტო ვაჟიშვილების დასაძრახად, არამედ საკუთარი თავის მისამართითაც. იგი, როგორც პოეტურ კომედიაშია, თვითმხილებით იწვევს საკუთარი თავისადმი დაცინვას. თუმცა ტრადიციული პოეტური კომედიისაგან განსხვავებით, „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ თვით დაცინვა ლაღი და უზრუნველი როდია, — ტრაგიკული ელფერის შემცველია, მწუხარების მაგიერია.

აგაბო მაყურებელს აცინებს როგორც ხუმარა, როგორც „მისი ბიჭების“ საწინააღმდეგო სასაცილო ფანდების გამომგონებელი და მომწყობი. აღნიშნული თვალსაზრისით ო. იოსელიანის პიესა საექსპოზიციო სურათებიდანვე იმსახურებს ყურადღებას. გავიხსენოთ დასახელებული სურათით ასახული გარემოება! რით იწყება „სანამ ურემი გადაბრუნდება“? გლეხი აგაბო ბოგვერაძის სახლ-კარს მსუბუქი ავტომანქანების მთელი კოლონა მიადგა. რესპუბლიკის ცენტრიდან, რაიონული ქალაქიდან, ადგილობრივი კოლმეურნეობის სამმართველოდან ბოგვერაძეს მოაკითხეს

მის მიერ დაზრდილმა ვაჟიშვილებმა, რძლებმა... „სტუმრები“ შავებში არიან, ტირიან, მოთქვამენ. თავად აგაბო კი, რომელიც თურმე მიცვალებული ჰგონიათ, ფრჩხილსაც არ იტკივებს, სალსალამათია და არხეინად ეგებება „სტუმრებს“. ეს კომიკური სცნა, რასაც მაყურებელი პიესის დასაწყისში ხედავს, თვითონ აგაბოს მიერ გამოგონებული ხუმრობის შედეგია. ეს მან, შვილების უნახაობით მოთმინებადაკარგულმა, გაუგზავნა დეპეშა ამ უკანასკნელთ ავისმომასწავებელი ამბის ინფორმირებით ჩამოიტყუა მშობლიურ სოფელში.

აგაბოს დაცინვა, ერთი მხრივ, და მისი შვილებისა და რძლების დასაცინ მდგომარეობაში ყოფნა, მეორე მხრივ, რაც ზემოთ გადმოცემული სცენით იწყება, თანდათან მატულობს და ბოლომდე მოიცავს პიესის შინაარსს...

რაკი „მშობლიური სახლის სტუმრები“ ნახავენ, რომ მამა, რომლის გასასვენებლადაც ჩამოსულან, ცოცხალია და საქმე სატირლად არაა, უმალვე ეძლევიან სამხიარულო განწყობილებას. მათ წარმოუდგენიათ, რომ ქეიფით გაატარებენ დროს დედმამისეულ კარ-მიდამოში. მაგრამ თავად აგაბოს სრულებითაც არ სწადია მათ ნებაზე წაიყვანოს საქმე. იგი, ეტყობა, არც თუ უსაფუძვლოდ არის გავულისებული „სტუმრებზე“ და, თითქოს ჯავრის ამოსაყრელად ცდილობს მისი ვაჟების მოლოდინის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ნაცვლად სტუმარმასპინძლური მიღებისა, რასაც გადიდკაცებული დურმიშხანი და დიტო მათ მიერ მიღებული დეპეშით გამოწვეული გაუგებრობის გარკვევის შემდეგ მოელიან, აგაბო დაბალ სოფლურ სკამებზე დასხამს რძლებს და ვაჟიშვილებს. ამის შემდეგ ის ხდება, რომ აგაბო და მისი თანამეცხედრე კესარია უდარდელად მიუსხდებიან ერთმანეთს და პატარა ბავშვივით მოიმსახურებენ ნამგზავრ შვილრძლებს.

მოულოდნელობის ეფექტით გამოწვეული კომიზმი, რითაც აგაბო ბოგვერაძის ოინები ხასიათდება მომატებულ საზრდოს იღებს „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ ასახული მოქმედების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე. მეორე სურათის დასაწყისში აგაბო რამდენიმე ბარ-ნიჩბით ხელში ჩნდება სცენაზე. ალიონია. „სტუმრები“ ჯერ კიდევ ძილის ბურანში არიან „მასპინძელმა“ კი მათ საქმე მოუმზადა (რას იზამ, შრომაა საჭირო — ისე შეჭმულ ლუკმას გემო არ აქვს). იოველი, დიტო, დურმიშხანი, ბუხუტი — ყველა იძულებულია შეუდგეს ერთობ მძიმე მიწის სამუშაოს ახალი ვენახის გასაშენებლად.

უფრო საკვირველი, რამაც ერთიანად შეურყია ჭკუა-გონება პირველ რიგში მინისტრ დურმიშხანის მეტისმეტად გადაპრანჭულ მეუღლეს და შემდეგ სხვებსაც, ბოლოს [illegible]ბა. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეოთხე სურათში წარმოჩენილი აღნიშნული ამბით საბოლოოდ ისხამს ხორცს აგაბოს ჩანაფიქრი. საქმე ის არის, რომ სოფელში ჩამოსვლის წინ ახალგაზრდა ბოგვერაძეებს განზრახული ჰქონდათ უმცროსი ძმაკაცის ბუხუტის „ქალაქელ ქალზე“ დაქორწინება. თავისი ვითომდა გარდაცვალების ტყუილი ამბით აგაბომ ჩაშალა მისთვის არასასურველი ეს ქორწინება. სამაგიეროდ მან ქალაქიდან ჩამოსულ ბუხუტის მისი ადრინდელი გატაცების ქალიშვილი შეახვედრა. ისე რომ ქორწილი მაინც შესდგა იმ განსხვავებით, რომ ნაცვლად ქალაქელი ქალისა, რომელსაც ბუხუტი სხვათა ზეგავლენით ირთავდა, მან დიდი ხნის თავისი შეყვარებული ითხოვა. ეს კეთილი საქმე გაკეთდა. თუმცა ამ საქმით ყველა ერთნაირად კმაყოფილი არ არის და აღნიშნული გარემოება განსაზღვრავს კიდეც მომხდარი შემთხვევის კომიკურ ხასიათს.

ჩვენ აღვნიშნეთ აგაბო ბოგვერაძის, როგორც დამცინავი გმირის მოქმედების ისეთი მხარე, რომელიც დაკავშირებულია „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ ნამდვილი კომიკური სიტუაციების შექმნასთან: ყოველივე, რაც აგაბოს სახლ-კარში უმცროსი ბოგვერაძეების „სტუმრიანობის“ ჟამს ხდება, მასპინძელი გლეხკაცის ჩაფიქრებული და მოწყობილია.

მაგრამ აგაბოს დასახასიათებლად მარტო ამის თქმა როდი იკმარებს, რომ ის სასაცილო ოინების გამოგონების ეგზომ უბადლო ოსტატია.[8] აგაბოს ეკუთვნის მის მიერ გამოგონებული ოინების შესრულებისათვის აუცილებელი კომიკური ფორმების შერჩევაც. მოხუცი ბოგვერაძე მთელი არსებით არის მოწადინებული, რომ საქმე, რის გამოც იგი გულისტკივილს განიცდის და — რისთვისაც მას ტირილი და მოთქმა შეეძლო, ხუმრობით, სიცილით გამოასწოროს. აღნიშნული ცდა თავს იჩენს არა მარტო „სანამ ურემი გადაბრუნდებას“ შემადგენელ სიტუაციებში, არამედ აგრეთვე იმ სიტყვიერ მასალაში, რომლითაც აღნიშნულ სიტუაციათა ილუსტრირებაა მიღწეული. აგაბო მუდამ ახერხებს კომედიური დადებითი გმირის სიმაღლეზე იყოს. აღნიშნული მიზნით მოხუცი ბოგვერაძე ხშირად უარს არ ამბობს ეშმაკობაზე, ხშირად თამაშობს და ცდილობს სხვაც თავისებურად გაათამაშოს; თავს იკატუნებს და გაუგებრობაში ჩავარდნილ კაცად გვეჩვენება. მისი მოქმედების თვითეულ ეპიზოდზე დაკვირვება ბადებს

ასეთი მსჯელობის საფუძველსა და საბაბს. გავიხსენოთ, მაგალითად, სტუმრად მოსულ ვაჟებთან და რძლებთან შეხვედრის სცენა. მოხუცს, რომელიც ყველაზე გარკვეულია შექმნილ ვითარებაში, რომელმაც იცის, რამაც მოიყვანა მისი შვილები მშობლიურ ეზოკარში, ისე უჭირავს თავი, თითქოს ვ ე რ ც კ ი ე ც ნ ო ს საკუთარი სისხლის მოზიარე ადამიანები...

როგორ წარმოგვიდგება აგაბო მომდევნო სცენებში? იგი ჯორკო სკამებზე დასხდომას აიძულებს შვილებსა და რძლებს და ამას ისე აკეთებს, როგორც ვითომდა მ ა თ ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო საქმეს.

როცა კესარია მაღალ სკამებს მოიტანს და შვილებს მათზე გადასხდომას შესთავაზებს აგაბო თავის თანამეცხედრეს მოხერხებულად უშლის ხელს.

— „კესარია, არ იზამენ! ამ ჯორკებზე მაგათი ნაჯდომი ახლაც თბილია და ეს ურჩევნიათ“.

ერთობ კომედიურია ის მოხერხებულობა, რასაც აგაბო იჩენს იმისათვის, რომ მიწის სამუშაოზე გაიტყუოს შვილები:

—„... შენც ხომ იცი, — ეუბნება იგი უმცროს ვაჟს ბუხუტის — დაბერდა ჩვენი ვენახი, გაახლება უნდა. მინდოდა ძირზე დამეჭრა, იქნებ ამონაყარს ეჯობნა...

— ბებერ ფესვზე ამონაყარს ახლის ჩაყრა არ ჯობია?

— ბუხუტის ამ სიტყვებს აგაბო იოველზე ზეგავლენის მოსახდენად იშველიებს:

**აგაბო** — .. ამ დილით იმ ბარტყმა, ბუხუტიმ, ერთი ამბავი მიქნა, ვენახის ძირში დაჭრა რომ გიფიქრია, ეს რა ჭკუაო, ბებერ ფესვზე ამონაყარი ვაზი — რა ვაზიაო.

**იოველ** — აბა, რომ დაბერდა რა ვქნათ?

**აგაბო** — მაგი არ ვუთხარი? სიცილით კინაღამ მოკვდა. ერთი ფიორი ჭკუა არ გქონია თავშიო. არსად არ გაამხილო ქე მაინცო, თუ არა თავი მოგვეჭრებაო. რა ქენი და ახალი უნდა ჩაყაროო.

**იოველ** — ახალი რომ ჯობია, ჩაყრა უნდა და ჩაყრას რა უნდა, ისიც თუ იცის?

**აგაბო** — არ ვუთხარი? ნუ გეშინია, ესეც კარგად ვიციო.

**იოველ** — კი, ბატონო.... მარა სიტყვას საქმე უნდა!

**აგაბო**—მერედა ყელში ნუ ვეცემით. ვაცალოთ, მხარი დავუჭიროთ, მოვეხმაროთ.

**იოველ** — ვინ მამაძაღლი ამოიღებს ხმას, ნეტა ასე უქნია კოლექტივის სავენახეც გადაუბრუნებია.

დიტოს, უფროსის მომდევნო ვაჟიშვილს, აგაბო სხვა მხრიდან უდგება მისი „ყოყლოჩინური“ ხასიათის თვისებების შესატყვისად...

**დიტო** — ამ რაიონში მე უფრო მიცნობენ, ვიდრე, თუ გნებავთ, დურმიშხანს.

**აგაბო** — კი გიცნობენ, მაგრამ, თუ ბიჭები რაღაცის გაკეთებას აპირებენ, თუ უნდათ მამას წაეშველონ და ხელი შეუწყონ..

**დიტო** — მერე, მე, დავუშალე, თუ?!..

**აგაბო** — არა, მაცალე, რომ არ დაუშალე, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ შენ პირველი სიტყვა თქვი, შენთვის სხვას არ უნდა დაესწროო. კი, ძმა სულ ერთია, რომელმაც არ უნდა თქვას, ერთმანეთის სათქმელს ამბობენ, მაგრამ ერთმანეთის გასაკეთებელს კი ვერ გააკეთებენ...

**დიტო** — მე ჩემი გასაკეთებელის გაკეთებას არავის ვთხოვ... მე შენ ვინ გგონივარ, მამაჩემო.

**აგაბო** — ჰო და აგერ მოვა ახლა დურმიშხანი და შენ თვითონ უთხარი—მამაჩემის ახალი სავენახე უნდა გადავაბრუნოთ-თქო. რა ვუყოთ, რომ მინისტრია, ის შენზე უმცროსია.

**დიტო** — ოჯახში მე მინისტრი არ ვიცი.

აი, სცენაც თავად მინისტრი დურმიშხანის მონაწილეობით:

**კესარია** — რავა აქვს ჩემს ქუქუნას ფეხი, მდუღარე რომ დაისხა, ვენაცვალე! ლანდამ, მოუკვდა ჩემი თავი, მგონი, ფრჩხილი მოიტეხა... აგაბო, რატომ მიდგია სული, რატომ არ გამიშვი, ლოგინს მე ვერ გავშლიდი?

**აგაბო** — არ ქნეს, შე ქალო, არ ქნეს, თუ არა მეც აგერ არ ვიყავი?

**დიტო** — შენ, მამა?... შენ მაგის კაცი ხარ?

**დურმიშხან** — მამა, თქვენ როგორ გეკადრებათ!

**აგაბო** — ა, აგერ შენი ყურით გესმის— როგორ გეკადრებაო. მე და შენ გვიჯერიან? არ გვიჯერიან! მე და შენ გვაწუხებენ? არ გვაწუხებენ! აგერ ახლა რა გადაუწყვეტიათ, რომ იცოდე, მთლად ჭკუას დაკარგავ, მაგრამ ჩვენ ვინ მოგვისმენს! რომ ვასწავლეთ და ჩვენზე მეტი იციან, ჩვენც უნდა დავუჯეროთ. მაგენი უფრო შორს ხედავენ. ხვალ რა იქნება, ისე იციან, როგორც ახლა მე შენ გიყურებ და ვიცი კესარია ხარ..

**დურმიშხან** — კი, დედა, კი უნდა დაგვიჯეროთ. ჩვენ თქვენთვის გეუბნებით, გვინდა თქვენი კარგად ყოფნა, თქვენი სიცოცხლე.

**აგაბო** — ა, ბატონო, ეგეც მე ვარ?.. ჰო, დიტო, შენ რა გინდოდა გეთქვა?

**დიტო** — მე ჩემი ძმების სახელით ვამბობ..

**დურმიშხან** — (ისევ დაამთქნარებს) ჩემს სათქმელს მე ვიტყვი.

**დიტო** — შენ ჩემზე უმცროსი ხარ (შემოდიან **იოველი** და ბუხუტი)

**აგაბო** — აი, ესენიც მოვიდნენ.. ჰო, გასაგებია, რასაც თქვენ ამბობთ, ისე იქნება. მე და კესარია თანახმა ვართ (იღებს ბარს, აძლევს ხელში დიტოს, იოველს, დურმიშხანს. დურმიშხანი ართმევს, მაგრამ ვერ გაუგია,

რად მიაჩეჩეს ხელში ბარი) ბუხუტი, შვილო, შენ ჩემი ბარი იხმარე... აბა, ჰე, გადით...

კესარია — ხად უშვებ, კაცო?...

აგაბო — მე ვუშვებ? ვერ ხედავ—გარბიან? არაფერს აღარ გვიჯერიან? ...ახლა რძლები რომ წამოცვივდებიან, შენ მერე უნდა ნახო, რა საქმეს გააჩაღებენ.

კესარია — არ გადაირიო, კაცო!

აგაბო — აბა, უარეს გეტყვი. იმ შენმა საფიცარმა რძალმა გუშინ რა მითხრა იცი? ის ნაკელი იქვე ბოსელთან რომ დაგიყრიათ გატანა უნდა, ანტიჰიგიენურიაო.

დამოწმებული სცენები[9] ცხადყოფენ აგაბოს ერთობ ბუნებრივ გრძნობას იუმორისას, რასაც გლეხკაცი თავისი მიზნების პირდაპირშესატყვისად იყენებს. მათგან ჩანს, თუ როგორ ემარჯვება მოხუცს, ორლესური სიტყვებით თამაში, იმის გამახვილება, რასაც შეუძლია მისი ვარაუდების გამართლება; ემარჯვება უწყინარი დატყუება, შეცდენა, საძრახისი სიმულაციის მდგომარეობიდან გამოყვანა კაცისა... ძალუძს კომიკური წაყრუება—იმის მიჩქმალვა და არ გაგონება, რაც მისი მიზნებისაკენ მიმართულ გზაზე ელობება. ასე, ამნაირად: აგაბო არაიშვიათად არის ყრუ, როცა მის ვაჟიშვილებს სოფლური ჩვევების გახსენების საწინააღმდეგო ხმა აღმოხდებათ ხოლმე; როცა მათ კი არ მოსწონთ, არამედ უსაშველოდ ეძნელებათ დაბალ სკამებზე ჩამოჯდომა; როცა ისინი მაღალი სურვილით კი არ ეტანებიან, არამედ, რამდენადაც უხერხდებათ, თავს არიდებენ მამისაგან შემოთავაზებულ ძნელ სამუშაოს. ყველა ამისთანა შემთხვევა „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ აღინიშნება ე. წ. ყრუთა დიალოგებით, რომელნიც კომიკურ ცხოველმყოფელობას ანიჭებენ პიესით გათვალისწინებულ სიტუაციებს.

* * *

მეხუთე სურათის ფინალში, როდესაც სამწუხარო ინფორმაციით ქალაქიდან გამოტყუებულმა უმცროსმა ბოგვერაძეებმა დამთავრებულად მიიჩნიეს ვიზიტი მოხუც დედ-მამასთან და მანქანებით ქალაქისაკენ გაუდგნენ გზას, ხდება კომედიური ელემენტის შეცვლა ტრაგიკულით, უფრო სწორად, ტრაგიკული ელემენტის წინ წამოწევა. ამიერიდან „თავის მოხუც კესარიასთან“ მარტოდ დარჩენილი აგაბო ბოგვერაძე დიამეტრალურად გამოიცვალა, თითქოს სხვა პიროვნებად იქცა. ის ნაკლებად ჰგავს იმ ოხუნჯ, საწუხართან მხნედ შეჭიდებულ, უდარდელ მოხუცს, რომელსაც მაყურებელი წინა სურათებში ეცნობა... ისინი, რომლებზე დაცინვის ქინიც ეგზომ არ ასვენებდა აგაბო ბოგვერაძეს, მას უკვე თვალწინ აღარა ჰყავს. მარტოა ახლა ბერიკაცი მისთვის მწარე სინამდვილის წინაშე და ამის გამო გადაჭრით ამბობს უარს ყოველგვარ ხუმრობაზე. აგაბოს, როგორც ტრაგიკომიკური პერსონაჟის, პოზიციის ასეთი მეტამორფოზა, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ, თავს იჩენს უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მოხუც ბოგვერაძეს იპყრობს დაუოკებელი მოთხოვნილება აღიაროს ყველაფერი, რაც მან მოიმოქმედა მის მიერ გამიზნული გზიდან ფეხგადაცდენილი ვაჟიშვილების გასაპამპულებლად; აღიაროს, რომ მან, აგაბო ბოგვერაძემ, ჩაიდინა ყველაფერი, ჩაშალა ქალაქელ ქალთან ბუხუტის დაქორწინება, ჩამოიტყუა შვილები სოფლად, მცირეწლოვნებივით გარეკა საბარავში, მოაწყო უმცროსი ვაჟის დაქორწინება მეზობლის ქალიშვილზე... კაცმა რომ თქვას, სიტყვები, რომლებითაც აგაბო აქ მის მიერ მოწყობილ ოინებს მიიწერს, თითქოს იმდენად აუცილებელი არც არის, ვინაიდან ასახული მოქმედების განვითარების იმ ლოგიკით, რასაც იოსელიანის პიესა შეიცავს, ისედაც ნათელია, რომ მოხუცი თავად არის მისი ვაჟიშვილების საჩოთიროდ შექმნილი სიტუაციების ერთადერთი ავტორი, იოველის, დიტოს, დურმიშხანის დასაცინად გამართული კომედიური სცენების ერთადერთი დამდგმელ-რეჟისორი. მაყურებელი ამას ჰხედავს და ყველაფერი ამის ხელახლა დადასტურებას როდი საჭიროებს. მიუხედავად აღნიშნულისა, აგაბოს აღიარებას მაინც აქვს ერთგვარი გამართლება და იგი დაკავშირებულია პიესის სიუჟეტურ-კომპოზიციური გამართვის საჭიროებასთან, სახელდობრ, როგორც ჩვენ გვგონია, იმ ტრაგიკული ელემენტის გამახვილების აუცილებლობასთან, რომელიც კომიკურად განვითარებული მოქმედების ქვეტექსტში იგულისხმება და მეხუთე სურათის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, მთავარ მნიშვნელობას იძენს. კესარიას საყურადღებოდ წარმოთქმულ აგაბოს სიტყვებში ხდება პიესის კომედიური სიტუაციების ხელახალი გახსენება იმ მიზნით, რომ თვითონ აგაბოს საბაბი ექნეს — აღნიშნოს ყოველივე მომხდარის, ჩვენს თვალწინ გათამაშებული სცენების, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, ამაო მნიშვნელობა. აგაბომ იცის, რომ მისი ცდები — შემოაბრუნოს ქალაქელებადქცეული შვილები პირით სოფლისაკენ, გაუღვივოს მათ მშობლიური მიწის სიყვარული — უნაყოფოა. „რა არ ვქენი, რა არ ვიწვალე და მოვახერხე, რა ჭკუა და ეშმაკობა არ ვიხმარე და არაფერი არ გამოვიდა... გამოვიდა კი არა, მთლად უარესი“. ამგვარად შევიცნობთ „სანამ ურემი გადაბრუნდებას“ ფინალში დრამატურგის მიერ წარმოსახული იმ კომიკური სიტუაციების ტრაგიკულ ხასიათს, რომელსაც წინა სურათე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი შეიცავს. აქ ჩნდება ჩვენს მიერ ხილული კომიკური თინბაზობის, როგორც მედლის მეორე მხარე—კომიკური მოქმედების ტრაგიკული შინაარსი, მისი ქვეტექსტი. ირკვევა, რომ აგაბო ბოგვერაძე, ვინც ეგზომ დიდი ღონე მოახმარა თავისი ვაჟიშვილების გაცუცურაკებას, ნამდვილად მოუნელებელი დარდით გულდამძიმებული კაცია, ტრაგიკული პიროვნებაა, რომელმაც დროებით, მხოლოდ რამდენიმე დღით შეასრულა ოხუნჯი, გულგაუტეხელი, სიგლახის წინააღმდეგ სიცილით შემართული კაცის როლი და, როგორც კი დარწმუნდა ასეთი ცდის ამაოებაში, მაშინვე დაუბრუნდა თავისი ნამდვილი ტრაგიკული მდგომარეობის ერთობ მტკივნეულ განცდებს.[10]

ამგვარად, აგაბოს გადასხვაფერებაზე რომ დავიწყეთ საუბარი—ამას, რასაკვირველია, პირდაპირი მნიშვნელობა არ აქვს. აგაბო, როგორც კომედიური ფიგურა, და აგაბო, როგორც ტრაგიკული გმირი, ერთიმეორისაგან გათიშულ-გაყოფილი როდია. კომიზმი და ტრაგიზმი აგაბოს ხასიათის ორი, ერთიმეორის შემავსებელი მხარეა. საკუთარი შვილებისადმი დაცინვა, რასაც საფუძვლად აქვს ამ უკანასკნელთა გადაგვარება და შექმნილი მდგომარეობის ლოგიკური აუცილებლობის შეგნებით გაპირობებული ტრაგიზმი ერთნაირად ძალუმად მსჭვალავს აგაბოს.

აგაბოს ტრაგიზმზე საუბრისას ჩვენ ო. იოსელიანის ერთ-ერთი წინანდელი პიესის „ადამიანი იბადება ერთხელ!“ გმირი მინაგო გვახსენდება. საქმე ის არის, რომ მინაგო თავიდან ბოლომდე ტრაგიკული სახე-ხასიათია. თუმცა დასახელებული გმირის ტრაგიზმის გამოხატვა ო. იოსელიანის პიესაში მთლიანად ჩვეულებრივი როდია. ავტორი მინაგოს წარმოაჩენს არა როგორც ბედისწერის ტყვეს, რომელიც იძულებულია პასიურად და დუნედ დაემორჩილოს მის სატანჯველად შექმნილ მდგომარეობას... მინაგო ჩვენ გვესახება, როგორც თანამედროვე საზოგადოების უაღრესად ძლიერი წარმომადგენელი, საბჭოთა ადამიანი, რომელსაც ძალუძს ყველაზე უწინ თვალი ჩახვდეს მოსალოდნელი აუცილებლობის არსს და, ამის გამო, შიშით კი არ თრთის ახალი მოვლენების წინაშე, არამედ, პირიქით, თვითონ წარმოგვიდგება აუცილებლობით გამოწვეული ვითარების მონაწილედ (იგი მართებულად განსაზღვრავს, რომ ომში დაღუპული მისი ერთ-ერთი ვაჟის საცოლე, რომელიც მინაგოს ოჯახს შეეხიზნა, ადრე თუ გვიან თავისწილ ბედნიერებას მოითხოვს. ამიტომ კეთილშობილმა გლეხმა, დაღუპული მეომრების ისედაც გულმოკლულმა მამამ, თვითონ შეუწყო ხელი სარძლოს—ახალ ბედს სწეოდა). აუცილებლობის შეცნობის ნიადაგზე დაფუძნებული თავისუფლების ხაზგასმა, რასაც ჩვენ ო. იოსელიანის „ადამიანი იბადება ერთხელ!“-ში შევნიშნავთ, ფრიად საგრძნობია აგაბო ბოგვერაძის სახესთან დაკავშირებითაც აქ აგაბოს თავისი კომედიური მოქმედებით, ოხუნჯის როლის გათამაშებით, რომლის მიღმა შეუმჩნეველი არ რჩება გმირის ტრაგიკული ვნებათაღელვა, მართალია, სააშკარაოზე გამოაქვს უარყოფითი შედეგები, რაც მისი ვაჟიშვილების, ე. წ. სოფლისაგან ლტოლვას ახლავს, მაგრამ მოხუც ბოგვერაძეს მხედველობის გარეშე არ რჩება აგრეთვე, რომ მეტად ძნელია მისი შვილების მამოძრავებელი ტენდენციის აღკვეთა, რომ მოხუცი გლეხ-კაცის სამწუხაროდ შექმნილ ვითარებას თავისი ლოგიკური კანონზომიერება, საკუთარი, თუ შეიძლება ითქვას, გ ა მ ა რ თ ლ ე ბ ა აქვს. რას ვგულისხმობთ აღნიშნულში? — ხომ ბუნებრივია, რომ აგაბომ, როგორც მზრუნველმა მამამ, მოინდომა — მისი შვილები განათლებული კაცები დამდგარიყვნენ! ბუნებრივია აგრეთვე ისიც, რომ ახალგაზრდა ბოგვერაძეებიც გაჰყვნენ იმ გზას, რაც მათთვის მშობლებმა აირჩიეს. ამ შემთხვევაში არც უფროსი და არც უმცროსი ბოგვერაძეები ურიგოს არას აკეთებენ. მიუხედავად ამისა, როგორც ბოლოს ირკვევა, ახალგაზრდა ბოგვერაძეების სწავლა-განათლება მთლიანად მართებულად ვერ წარიმართა. მათ, როგორც აღვნიშნეთ, წიგნი ისწავლეს, მაგრამ ცხოვრება დაივიწყეს; პროფესორთა ლექციები შეისმინეს და ამ ლექციებზე უფრო მნიშვნელოვანი — მამისაგან მიღებულ გაკვეთილებს კი ზურგი შეაქციეს. ეს მომენტი განსაკუთრებით საყურადღებოა პიესით აღძრული პრობლემების წრეში. ამაში შეინიშნება ახალგაზრდა ბოგვერაძეთა ის დანაშაული, ის შეცდომა, რამაც ისინი კომედიური დაცინვის ობიექტად აქცია.[11] თუ ნამდვილი კაცი ხარ, ვერ უნდა მოგერიოს ცხოვრება, არ უნდა გადაგვარდე შენთვის უცხო ძალების ზეგავლენით, არ უნდა განემსგავსო საკუთარ თავს; იმას, რის გამოც შენ შენ ხარ... როგორც უკვე მივუთითეთ, აგაბო ბოგვერაძეს ყველაზე უფრო უკლავს გულს არა ის, რომ დურმიშხანი და დიტო სოფელს გაერიდნენ და ქალაქად დასახლდნენ, არამედ ის რომ ისინი გადაჩვეული არიან სოფლელი კაცისათვის ჩვეულ გარჯას, ამტანობასა და გამძლეობას; შრომას, რისთვისაც ადამიანს ერთნაირად სჭირდება როგორც თავი, ისე ხელები.

ჩვენ ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ აგაბო ბოგვერაძის მხატვრული სახის შინაარსში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აუცილებლობის შეგნების მომენტთან დაკავშირებულ თავისუფლებას. დიახ, ეს ბერიკაცი ერთობ თავისებური, ძლიერი ადამიანია, რომელსაც არამცდა არამც არ სურს თვალი და-

ხუჭოს თვით ყველაზე არასასურველი და არასასარგებლო სინამდვილის წინაშეც კი და რომელსაც შეუძლია აიძულოს საკუთარი თავი უკან დაიხიოს, როცა წამხდარ საქმეს აღარ ეშველება; შეურიგდეს აუცილებლობით შექმნილ მდგომარეობას... მაგრამ ასეთი შერიგება მის სასოწარკვეთას როდი მოასწავებს, არამედ გვანიშნებს აგაბოს შემართვას ახალი გამოსავლის ძიებისათვის. ამგვარი შემართვისათვის მისი მომზადება ნათლად იგრძნობა სცენებში, რომლებშიც აგაბო საბოლოოდ ჩაიქნევს ხელს შვილების შემობრუნების იმედზე.

მოხუცი ბოგვერაძე ბოლომდე ერთგულად ჭიმავს თავისი წილხვედრი ცხოვრების ჭაპანს. ეწევა თავისი კაცური ღირსების დასაცავ სამსახურს. კერძოდ, არ ღალატობს იგი მშობელი მამის წმინდა მოვალეობას, მაშინაც კი, როცა მისი გაზრდილნი მეტისმეტად უმადური ხდებიან და საძრახისად გაურბიან დედმამისეული ვალის მოხდას. აგაბოს ასეთი შეუბღალავი ძლიერი მამაშვილური ტენდენციის დადასტურებას პიესაში სხვათაშორის, წარმოადგენს ის კომედიური სურათებიც, რომლებშიც მოხუცი მამა დაუზოგავად ამხელს და დასცინის შვილებისა და რძლების ფიზიკურ სიბეჩავეს. საქმე ის არის, რომ აგაბოს დაცინვა მისი ნაშიერისადმი აქ სიავეს კი არ მოასწავებს, ეს კეთილი ნებით ნაკარნახევი მხილებაა. აგაბო ხომ ესწრაფის თვალი არ დახუჭოს იმაზე, რასაც შეუძლია ტკივილები მიაყენოს მას. მოხუც ბოგვერაძეს დაჟინებით უნდა დაინახოს საკუთარი სატკივარი, რათა უფრო მხნედ დახვდეს და უწამლოს მას. იგივე სურს გააკეთებინოს აგაბოს ვაჟიშვილებსაც. მის მიერ მოწყობილი კომედიური ოინებით ამხელს დიტოს, დურმიშხანს — იმისათვის, რომ ამ უკანასკნელთ დაინახონ თავიანთი კაცობის ნამდვილი სატკივარი, და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მამის რეცეპტით შეეცადონ მის განკურნებას.

და სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება, თუ როგორ დიდად განსხვავდებიან ახალგაზრდა ბოგვერაძეები, კერძოდ, დურმიშხანი და დიტო, მამისაგან. ის, რაც აგაბოს თავისი ძალღონის შესაფერის საქმედ მიაჩნია, აშინებს და აფრთხობს „მის ბიჭებს“. სატკივარს, რომლის წამლობას აგაბო თავისებურად ცდილობს, დიტო და დურმიშხანი ვერც ხედავენ. მამის ინტერესები, მისი გულისწუხილი სრულებით გაუგებარია მათთვის. აგაბო თავისი ფიქრით დიდსა და შორეულს სწვდება, შვილები კი დღევანდელი დღის სიამოვნებით ცხოვრობენ. მათ არ ეპრიანებათ გაიგონ თავიანთი უსუსურობა, უმწეობა. სხვანაირად არც არის მოსალოდნელი: დიტო და დურმიშხანი სუსტი ადამიანები არიან, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არ შეუძლიათ პირისპირ შეხედონ და ებრძოლონ თავიანთ სისუსტეს.

„სანამ ურემი გადაბრუნდებას“ ლიტერატურულ-მხატვრული ავ-კარგის გათვალისწინებას ვინც მოინდომებს, ყურადღება უნდა მიაქციოს კიდევ ერთ გარემოებას, სახელდობრ, იმას, რომ ო. იოსელიანის დასახელებული პიესა აბსოლუტურად თავისუფალია შიშვლად გამოხატული ავტორისეული ტენდენციებისაგან, რაც არც თუ იშვიათად გვაბეზრებს თავს თანამედროვეთა ზოგ ნაწარმოებში. რა ვითარების წინაშეც არ უნდა დაგვაყენოს, — საანალიზო თხზულების ავტორი ცდილობს მიუდგომელი და პირუთვნელი იყოს არა მარტო მათთან, ვინც მას შეიძლება თავისიანად მიაჩნია, არამედ იმათ მიმართაც, ვისდამიც იგი უარყოფითად განწყობილია. ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ასეთი პირუთვნელობის ერთადერთი პირობაა საგნებისა და მოვლენების უტყუარი რეალისტური ჩვენება, მათი ურთიერთდამოკიდებულების, მათი კავშირების არუგულებელყოფა. ამ პირობის მიმართ ო. იოსელიანი ზედმიწევნით თანმიმდევრულია. „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ ყველა თავისი წილი სიმართლით არის წარმოსახული, ამიტომ პიესაში არ გამოირჩევიან ყოველმხრივ უცოდველი დადებითი გმირები, ერთი მხრივ, და მეტისმეტად ბრიყვი ან ავი უარყოფითი პერსონაჟები, მეორე მხრივ; ისე რომ თუ, მაყურებელი, მაგალითად, მომეტებული პატივისცემით მოქმედ პირთა ერთ დაჯგუფებას (აგაბო, კესარია, და ა. შ.) აჯილდოებს, ეს ხდება ასახული მოქმედების განვითარების კანონზომიერებათა მართებული გათვალისწინების შედეგად და არა რომელიმე პიროვნული ტენდენციების ზემოქმედებით; „სანამ ურემი გადაბრუნდებაში“ ყოველი ძირითადი მოქმედი პირი რამდენადაც უდანაშაულოა, იმდენადვე დამნაშავეა. ამაში ჩნდება კიდეც პიესის ტრაგიკომიკური ბუნება; ის, რომ აგაბოს დ მისი შვილების ცხოვრება დსახული მიზნის საწინააღმდეგო შედეგებით ხასიათდება და რომლის უმტკივნეულოდ განცდა აგაბოს, მისი ხასიათის თავისებურებათა გამო, არ ძალუძს,

რეალისტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ასეთი მიუკერძოებლობა, მიუდგომლობა და ობიექტურობა, რასაც ჩვენ ო. იოსელიანის ტრაგიკომედიაში შევნიშნავთ, ხელს უწყობს ამ ნაწარმოების ღირსებების გამახვილებას და აძლიერებს ინტერესს მის მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შენიშვნები:

1 იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1973 წლის 21 თებერვალი

2 აღნიშნული მოსაზრების დადასტურებას წარმოადგენს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე 1973 წლის 31 მარტს დასტამბული სტატია, რომლის თანახმად, იმის გამო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში „ქალაქ-წარმომშობი პროცესი ინტენსიური არ არის“, მოსახლეობის წასვლა სოფლიდან ქალაქისაკენ ზომიერ ფარგლებს არ აღემატება.

3 დიდი თანამდებობის პოზიციიდან მოქმედება და კარიერისტული განწყობილებების დაუფარავი გამოხატვა განსაკუთრებით ახასიათებს დიტოს. იოველი და დურმიშხანი ახერხებენ დამალონ ანალოგიური განწყობილებები — ერთი იმის მეოხებით, რომ ვერ ბედავს თავი მოიწონოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის შედარებით მცირე თანამდებობით, მეორე იმიტომ, რომ მინისტრის სავარძელში ყოფნით ერთგვარად დამცხრალი აქვს აღნიშნული განწყობილებანი და საჭიროდ არ თვლის თვითონ ილაპარაკოს საკუთარ დიდკაცობაზე.

4 მსჯელობაში, რომელსაც წინამდებარე ნარკვევი შეიცავს, სიტყვა—დ ა ს ა ც ი ნ ი იხმარება ჩვენს მიერ მრავალგზის გამოყენებული ტერმინის — დ ა მ ც ი ნ ა ვ ი საპრისპიროდ.

5 დასაცინ მდგომარეობაში წარმოსახვა ტრაგიკომიკური პერსონაჟისა ნიშანდობლივია თანამედროვე საზღვარგარეთულ დრამატურგთა პიესებში (მაგალითად, ფრ. დიურენმატის „დედაბრის ვიზიტში“ და სხვ.), მათ შორის ე. წ. „აბსურდის დრამატურგიის“ წარმომადგენელთა ნაწარმოებებში (მაგალითად, ს. ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“).

6 გაიხსენეთ ორი გენერალი სალტიკოვ-შჩედრინის ცნობილი ზღაპრიდან! ისინი იმდენად უმწეონი არიან, რომ ხეხილის დაკრეფის ღონე და მოხერხებაც არ აქვთ და, თუ ერთი გლეხი არ მიშველებოდა, ტყეში გზადაბნეულები შიმშილით სიკვდილს ვერ გადაურჩებოდნენ. ბოგვერაძის ვაჟებიდან ზოგი უკვე ჰგავს, ზოგი ახლა ემსგავსება შჩედრინის ზღაპრის „გმირებს“.

7 აგაბო ბოგვერაძის სახის მნიშვნელობა განსაკუთრებით ხაზგასასმელია ისეთ გარემოებასთან დაკავშირებითაც, რომ უარყოფითის წინააღმდეგ სიცილის მახვილით მოქმედი გმირებით, როგორადაც ის გვესახება, ჯერ კიდევ მდიდარი არ არის ქართული საბჭოთა კომედიოგრაფია.

8 ქართული კომედიოგრაფიის საგანძურს თუ მივმართავთ, სასაცილო ოინების გამოგონებით აგაბო თითქმის იმ დონეზეა, რაზედაც გვეგულვის ხანუმა ა. ცაგარელის ამავე სახელწოდების პიესიდან.

9 ამ სცენებს, ისევე, როგორც მოხუც ბოგვერაძეზე დაკისრებულ მთელ მოქმედებას, სწორუპოვრად წარმართავდა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლში აგაბოს როლის უკეთესი შემსრულებელი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარიაძე.

10 პიესის იმ ნაწილში, რომელსაც აქ წარმოდგენილი მსჯელობა ეხება, აგაბო ზედმიწევნით ჰგავს ტრადიციულ ტრაგიკომიკურ პერსონაჟს. ის იტანჯება. ეს ჯანტვა კი სიცილის საბაბიც არის, ვინაიდან ტანჯვის გამომწვევი ჭრილობა ბოგვერაძეს მისივე ხელით გალესილი მახვილისაგან სჭირს.

11 კონფლიქტი მამა-შვილ ბოგვერაძეებს შორის უმცროსთა „განათლებულობასა“ და უფროსთა „გაუნათლებლობის“ ნიადაგზე აღმოცენებულია. რაც უფრო მეტი სწავლა მიუღიათ აგაბოს ვაჟებს, მით უფრო შორს არიან ისინი მშობლებისაგან. მინისტრის თანამდებობამდე მისული დურმიშხანი დედ-მამას თქვენობით მიმართავს, იმდენად უცხოა ისინი მისთვის. დანარჩენი ძმები თითქოს ეგზომ მაღლა ვერ არიან, რომ ურთიერთობის აღნიშნული ფორმებით ისარგებლონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეიმურაზ ბერიძე

# ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან

### ავლაბარი

ავლაბარი მდებარეობდა ძველი თბილისის აღმოსავლეთით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

ავლაბარს ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფელთა თუ უბანთა შორის თავისი ისტორიით, თავსგადამხდარი ამბებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სანამ უშუალოდ ჩვენი კვლევის საგანს, ავლაბარს, შევეხებოდეთ გვინდა, აღვნიშნოთ, რომ მკვლევართა უმრავლესობა ავლაბარს აიგივებს ისანთან — მეტეხთან, რაც სწორი არ უნდა იყოს. ამიტომ, ამ ორი სახელის ისან-მეტეხისა და ავლაბრის ერთმანეთში აღრევის თავიდან აცილების მიზნით, თავდაპირველად შევეხებით „ისან-მეტეხის“ ლოკალიზაციის საკითხს.

ისან-მეტეხი იმ უბანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის შესახებაც ქართულ, თუ უცხო ენაზე შექმნილ სპეციალურ ლიტერატურაში ბევრი რამ თქმულა და დაწერილა.

ზოგი მთხრობელი თავის ნაშრომში გადავლით იხსენიებს აღნიშნულ უბანს, ზოგი კი შეძლებისდაგვარად ამომწურავად. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მკვლევართა ყურადღება ძირითადად მაინც მიპყრობილი იყო ამ უბნების სახელთა სადაურობისა და რაობის ახსნისა და დადგენისაკენ. შუასაუკუნეების დროინდელ მაჰმადიან მთხრობელთა მიხედვით (იბნ ხურდაზბეჰი, ბინ ალ-ფაკიჰი, ტაბარი, იაკუთი), ისნამდე ადგილს სოლდებილი რქმევია. მათი გადმოცემით, ქალაქის სიახლოვეს სოლდებილის გაჩენა მიეწერება მეფე ხოსრო I ანუშირვანს (531-578), რომელმაც აქ ჩამოასახლა სპარსული მოდგმის სოლდის ტომი. შ. მესხია ამის გამო აღნიშნავს: „არაბ ისტორიკოსებს თუ დავუჯერებთ, ამ ტერიტორიამ თავისი უძველესი სახელწოდება — სოლდებილი, სწორედ სოლდების ტომისაგან მიიღო“.[1]

სოლდებილის საკითხს საგანგებო წერილი უძღვნა მ. ლორთქიფანიძემ, სადაც მკვლევარი არაბულენოვან ისტორიკოსთა ცნობებზე დაყრდნობით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სპარსელების მიერ სოლდებილის ციხის აშენების შესახებ წერს: „ააშენა თუ არა ნამდვილად ხოსრო ანუშირვანმა სოლდებილის ციხე, ამაზე ვერას ვიტყვით, მაგრამ იმაში კი უნდა დავეთანხმოთ არაბ ავტორებს, რომ თბილისის და მისი მტკვრის მარცხენა ნაპირის პირველი გამმაგრებელი სპარსელები იყვნენ. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროიდან ეწოდება მარცხენა ნაპირზე მყოფ ციხეს და მისგან მის მიდამოსაც სოლდებილი“.[2]

ვ. მინორსკი „სოლდებილს, ქართულ „საგოდებელს“ უკავშირებს და ამ უკანასკნელიდან ნაწარმოებად მიიჩნევს.[3]

ო. ცქიტიშვილი ქართული და უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაზე დარყრნობით (ძირითადად არაბულენოვანი) ასკვნის, რომ „სოლდებილი, არასოდეს არ ყოფილა დასახლებული სოლდის ტომით და რომ სოლდებილი VIII ს. დასასრულისათვის თბილისის გარეუბანს წარმოადგენდა“.[4] ო. ცქიტიშვილი თავის მოსაზრების გამოთქმისას იშველიებს იოანე საბანის ძის „მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ“-ს. ნაწარმოების მიხედვით ჰაბო წამების წინ შემოატარეს ქალაქი და შემდეგ მიიყვანეს „იგი კარსა მას მსაჯულისა მის ამირისასა“. იქ იმართება დიალოგი მსაჯულისა და ჰაბოს შორის. ჰაბო ქრისტეს რჯულს არ ტოვებს. ამირას ბრძანებით მას თავს კვეთენ. ჰაბოს ცხედარი დაასვენეს ურემზე და გაიტა-

ნეს „გარეთ ქალაქისა და ალილეს ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაჲ... რომელ არს აღმოსავლით ციხესა მას ქალაქისასა, რომელსა ჰრქჳან სადილეგო, პირსა ზედა კლდისასა, რომელ არს კბოლჲ, კლდჲ მდინარისა მის დიდისაჲ, რომელი განჰვლის აღმოსავლით ქალაქსა, ესე არს სახელი მტკუარი“.[5] ეს მოხდა 785 წელს, ქრისტეს აქეთ.

ამგვარად, იოანე საბანის ძის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ჰაბო ტფილელის ცხედარი გაიტანეს მტკვრის გაღმა, ქალაქის გარეთ, ქალაქის სასაფლაოზე, რომელსაც „საგოდებელი“ ეწოდებოდა, რომელიც ქალაქის საპყრობილეს—სადილეგოს აღმოსავლეთითაა. ქალაქიც მდინარის დასავლეთითაა, რადგანაც მდინარე „განჰვლის აღმოსავლეთით ქალაქსა“.

მაშასადამე, VIII საუკ. 80-იან წლებში ქალაქი მდინარის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული, ხოლო მარცხენა ნაპირზე ქალაქის საპყრობილე-სადილეგოა და სასაფლაო-საგოდებელი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორთან ვხვდებით სიტყვა „სალუდებელს“. მეფის კარს გამდგარი ყუთლუ-არსლანი ისნის ველზე დგამს კარავს „ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისანისასა და სანახებსა სალოდებელისასა.“[6]

მ. ლორთქიფანიძე თამარის ისტორიკოსის „სალოდებელს“ იოანე საბანის ძის „საგოდებელს“ უკავშირებს და მას ქალაქის საპყრობილის — „სადილეგოს“ აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიად მიიჩნევს[7].

„საგოდებლის“ ადგილმდებარეობის საკითხს მელიქსეთ-ბეგიც შეეხო: ის აღნიშნავდა „საგოდებელი“ ძველი თბილისის სასაფლაოს სახელწოდებაა, ე. წ. სირაჩხანის ადგილზე, [illegible] იგი, ე. წ. დარეჯანის კოშკის მახლობლად, ხოლო „სადილეგო“ — საპყრობილეა მერმინდელი „მეტეხი“-ს ადგილზე.[8]

853 წელს თბილისს მოადგა არაბეთის ხალიფას მიერ გამოგზავნილი ჯარი, რომელსაც მხედართმთავრობდა ბუღა-თურქი. აღნიშნული ლაშქრობის მიზანი იყო გაურჩებული ქართლის ამირას ისაკის მოთვინიერება და დასჯა. არაბ ისტორიკოსებთან აღნიშნულ დამსჯელ ექსპედიციის დროს მტკვრის მარცხენა ნაპირზე „სოლდებილის მედინაა“ ე. ი. გამაგრებული ციხე —„სოლდებილის“სახელწოდებით. თბილისში ბუღა თურქის ეს ლაშქრობა საყოველთაოდაა ცნობილი. მან დაანგრია თბილისი, შემუსრა მისი ციხე-კოშკები, თვით ამირა კი სიკვდილით დასაჯა. „სოლდებილის მედინა“ ამ ლაშქრობამ იმსხვერპლა. ამის შემდეგ მცირე დრომ განვლო და მტკვრის მარცხენა ნაპირზე „სოლდებილის“ ციხის ადგილზე IX საუკ. ვხვდებით ახალ სიმაგრეს — ისანის სახელით, რომელიც სოლდებილთან შედარებით უფრო მაგარი ნაგებობაა და თხრილითაცაა გამაგრებული[9].

ცნობას აღნიშნული თხრილის შესახებ გარდა არაბი ისტორიკოსებისა სხვა წყაროებში არსად ვხვდებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვახუშტის „თბილისის 1735 წლის გეგმას“, სადაც ავლაბრის სამხრეთით აღნიშნული აქვს თხრილი, და რუსი კარტოგრაფების მიერ შედგენილი თბილისის 1800 და 1802 წლების გეგმებს. მათზე დატანილია წარწერა — „бывшая онняя окопа“.

ისნის ძველ თხრილს საგანგებოდ ეხება ვ. ცინცაძე. თხრილთან ერთად მკვლევარი ეხება ისნის ზღუდესაც და მასში დატანებულ კარებსაც.

X საუკ. არაბი ისტირკოსები ისტახარი (930) და იბნ-ხაუკალი (977-978) თბილისის აღწერისას გადმოგვცემენ, რომ ქალაქი შემოზღუდულია ალიზით ნაგები ორრიგა კედლით, რომელშიც სამი კარი ყოფილა დატანებული. «Тифилис — город меньше Баб-уль-Абваба по величине. Вокруг него две стены из глины, и в них трое ворот»[10].

ამ დროის არაბი მემატიანეები ქალაქის კართა შესახებ სხვა ცნობას არ გვაწვდიან. ვ. ცინცაძე მოცემულ ცნობას იყენებს და წერს რომ: «Действительно из районов Тбилиси того периода трое ворот должны были быть только у Исани»[11].

ცოტა უცნაურია, როცა ვ. ცინცაძე იბნ-ხაუკალის მიერ მოხსენიებულ ქალაქის სამივე კარს ისანში ათავსებს, და საერთოდ, რატომ აიგივებს არაბი ისტორიკოსების მიერ ნახსენებ ქალაქს ისანთან, როცა ზემოთ მოტანილი მათი მონათხრობიდან აშკარადა ჩანს, რომ ისინი ისანზე კი არა, ზოგადად ქალაქზე ლაპარაკობენ.

თბილისის კართა სახელებს პირველად ვხედავთ ისევ არაბ ისტორიკოს ტაბართან (X ს.) ტაბარის მიხედვით ქალაქს ხუთი კარი აქვს (არც ეს ცნობა უნდა იყოს სრული) — „მოედნის კარი“, „კარის კარი“, „მცირე კარი“, „რაბადის კარი“, „სოლდებილის კარი“.

შ. მესხია ტაბარის მიერ ჩამოთვლილ ქალაქის ხუთ კარს, შემდეგნაირად მიუჩენს ადგილს: „მოედნის კარი“ — ციხის მოედანს (თათრის მოედანს) აკავშირებდა ძველ თბილისთან „კარის კარი“ — სამხრეთ კედელში იყო დატანებული, „რაბადის“ ანუ „ციხის კარი“ — ციხეს აკავშირებდა ქალაქთან — რაბათთან, „სოლდებილის კარი“ — კი სოლდებილს (შემდეგ დროინდელ ავლაბარს) ძველ თბილისთან.[12]

შ. მესხიას მიხედვით, ქალაქის ხუთ კართან მხოლოდ ერთია მტკვრის მარცხენა ნაპირზე და ისიც ხიდთან უნდა ყოფილიყო, რადგანაც ის ქალაქს სოლდებილთან აკა-

ვპირებდა. აქვე აღსანიშნავია, რომ შ. მესხია „მცირე კარს", რატომღაც უყურადღებოდ ტოვებს. ზემოთ ვთქვით, რომ IX საუკუნ. „ისანი" შემოზღუდულია და უნდა ვიფიქროთ, ესაა ქალაქის გალავნის გაგრძელება, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ყოველ შემთხვევაში, IX საუკუნეში თუ არა, X საუკუნეში ქალაქი უკვე მტკვრის ორივე ნაპირზეა გაშენებული. ალ-მუკადასი (985 წ.) ქალაქის აღწერისას ამბობს: „თბილისი გორებს შორის არის გამაგრებული. მას მდ. მტკვარი გადაკვეთს, იგი გადაჭიმულია ორივე ნაპირზე და ხიდითაა შეერთებული".[13]

„ისანი" ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში პირველად XI საუკუნეში გვხვდება, 1045 წელს ქალაქის ბერების მოწვევით თბილისში შემოსული მეფე ბაგრატ IV იპყრობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქალაქის დამცველ ციხე-კოშკებს და შიგ თავის მხედრიონს აყენებს. მეფეს არ ნებდება „ისნის" ციხე. მემატიანე მოგვითხრობს: „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ქიდი და არა მოსცეს ისნი"[14], მიუხედავად ამისა, მეფე გადადის მტკვარზე და დგება „ისნის ველსა", ისნელები მეფეს დიდ წინააღმდეგობას უწევენ.

შემდგომ ხანაში „ისანში" უკვე საქართველოს მეფეთა სასახლე დგას, სწორედ აქ გაიგო თამარ მეფემ მამის, გიორგის III გარდაცვალების ამბავი: „ესრა ესევითარი საგოდი... ესმა... თამარს ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა, მათსა ციხესა ისანს".[15] ადრეულ ქართულ წერილობის წყაროებში ასე მინიშნებით და კონკრეტულად, რომ „ისანი" ქალაქ თბილისშია პირველადა ვხვდებით.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამ განაპირობა საქართველოს მეფეთა რეზიდენციის — სასახლის გადატანა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს გამოწვეული იყო „ისნის" ციხის სიმტკიცით, სტრატეგიული მნიშვნელობით, ანდა სულაც იმით, რომ ერთხელ და სამუდამოდ „ისანი" გამხდარიყო ქალაქის განუყოფელი ნაწილი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მემატიანე ყუთლუ არსლანის კარვის დადგმის ადგილად „ისნის" ველს ასახელებს, ე. ი. კარავი ციხის ზღუდის იქით მდგარა, გაუმაგრებელ ადგილზე.

ქართველ მემატიანესთან „ისანს" კიდევ რამდენჯერმე ვხვდებით. „ჟამთააღმწერელი" რამდენჯერმე ახსენებს „ისანს", ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს მეფე დიმიტრის მიერ ისანში, მეტეხის ღვთისმშობლის სახელზე ეკლესიის აგების ფაქტი. მოვიხმოთ თვით მთხრობელი: „მეფემან დაიწყო სიბასა წარსვლად, და აღაშენა ქუეყანანი მოოჴრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელაჲ მეტეხთა ღმრთისმშობელისა, და შეამკო განგებითა დიდითა, და შესწირნა სოფელნი და ზუარნი"[16]. ე. ი. XIII საუკ. 80-იან წლებში ისანში აუგიათ მეტეხის ეკლესია. ამიერიდან „ისანს" უჩნდება მეორე სახელი „მეტეხი", რომელიც სულ მალე ადგილის საკუთარ სახელად იქცევა კიდეც. მომდევნო ხანაში „ისანის ციხის" მაგივრად წერილობით წყაროებში „მეტეხის ციხე" იხსენიება.

ამგვარად, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ქალაქის საპყრობილე-სადილეგო (VIII ს.), შემდეგ იგი ქალაქის ამირას (IX) მიერ გადაკეთდა „სოლდებილის მედინად" ანუ ციხედ, რომელიც გარნიზონის სადგომის — ამსარის როლს ასრულებდა, სოლდებილის მედინა ხელმეორედ გადაკეთდა (IX) აშენდა ქვითკირით, შემოავლეს თხრილი და სახელად ისანი — ციხე ეწოდა, ხოლო ისანში „მეტეხის" ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აგების შემდეგ, ამ ადგილმა სულ ბოლო დრომდე მეტეხის სახელი დაიმკვიდრა.

თუმცაღა, ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის ამ ნაწილს მაინც „ისნად" მოიხსენიებს: „ისანს არს, კლდესა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხისა შინა ეკლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა... ისანს არს ეკლესია ერთ უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი, და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი ტფილის, კალას და ისანს, არამედ აწ შემუსვრილნი არიან.[17]

დამოწმებული ადგილი საჭიროებს განმარტებას. გარდა იმისა, რომ მკვლევარი თვით უშუალოდ „ისნის" ციხეზე ლაპარაკობს, ის აქვე სახელ „ისანს" უფრო აზოგადებს, და მას ციხის მიმდებარე ტერიტორიაზეც ავრცელებს, კერძოდ კი ავლაბარზე. ვახუშტი დასახელებულ ნაშრომში, საიმდროისო ქალაქ თბილისის შემადგენელ უბანთა ძველ სახელებს უსადაგებს ახალ სახელებს და წერს; — „ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას-ტფილისსა ტფილისს — სეიდაბაის და ისანს—ავლაბარს, და გარეთუბანი არს ტფილისისა". ე. ი. „ისანი" — ავლაბარია, რაც სწორი არ უნდა იყოს. ასეთი აზრის გამოთქმის უფლებას გვაძლევს, თვით ავლაბრის ეტიმოლოგია და XVII—XVIII საუკუნეების თბილისის გრაფიკული გამოსახულებანი, რომელთაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით.

ძველი თბილისის პირველი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ჩვენს ხელთა არის მისიონერ ჟან შარდენის (1671) ნახატია.

აღნიშნულ ნახატზე ქალაქი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გალავანშემოზღუდულია, ხო-

ლო, რაც შეეხება მარცხენა ნაპირს, აქ გალავანი მხოლოდ მეტეხის ეკლესიას და მის მიმდებარე მცირე ტერიტორიას აქვს.

მეტეხის გალავანში ეკლესიის გარდა, რამდენიმე ნაგებობა დგას. მეტეხის გალავანს ჩრდილო-დასავლეთით კარი აქვს დატანებული. ამ მხარეს გალავნის კედელი გრძელდება და მტკვრამდე აღწევს. აღნიშნულ კედელში გაჭრილია კარი, საიდანაც იწყებოდა „ავჭალის გზა“.

ამგვარად, ჟან შარდენის ნახატის მიხედვით ირკვევა, რომ მოგზაურს მიზნად ჰქონდა მხოლოდ საკუთრივ გალავანშემოვლებული ქალაქის ჩახატვა. მისთვის მეორეხარისხოვანია ის, რაც აღნიშნულ ზღუდის იქით ხდება; თუმცა გალავნის გარეთ რამდენიმე ნაგებობაც აღუნიშნავს. ამ შემთხვევაში, რადგანაც ჩვენ მტკვრის მარცხენა ნაპირი გვაინტერესებს, აღვნიშნავთ, რომ აქ ჟან შარდენს გალავნის მიღმა ერთმანეთისაგან მოშორებით თითო-ოროლა შენობა აქვს დატანილი.

ჩვენს ხელთაა ტურნეფორის მიერ შესრულებული (1701) თბილისის კიდევ ერთი გრაფიკული გამოსახულება. აქაც მოგზაურის მიზანია მოგვცეს გალავანშემოვლებული ქალაქის მთლიანი სურათი — ტურნეფორის ნახატი, ჟან შარდენისეულ ნახატისაგან განსხვავდება იმით, რომ მასთან ქალაქის გალავნის იქითა ტერიტორია მტკვრის ორივე ნაპირზე უფრო მჭიდროდაა დასახლებული, თუმცა არც ეს ნახატი იძლევა ქალაქის გარეუბნების მთლიან სურათს.

ვახუშტი ბატონიშვილს „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“ დატანილი აქვს, როგორც გალავნებშემოვლებული ქალაქი, ასევე მისი მომიჯნავე გარეუბნებიც. აქ მტკვარის მარცხენა ნაპირზე, ციხის გალავანში დგას მეტეხის ეკლესია (№ 55). ძეგლი საერთო ტერიტორიისაგან გამოყოფილია ჩრდილოეთის მხრიდან ზღუდის-ზღუდით.

ციხის მიმდებარე ტერიტორია — „ავლაბარი, ისანი (№ 56)“ შემოუზღუდავია. ავლაბრის ტერიტორიაზე დატანილია საცხოვრისის აღმნიშვნელი უჯრედები და სამხრეთიდან და ჩრ. აღმოსავლეთიდან თხრილითაა შემოფარგლული.

პიშჩევიჩის მიერ ფრანგულ ენაზე შედგენილ თბილისის 1785 წლის გეგმაზე მეტეხი და ავლაბარი ცალ-ცალკეა შემოზღუდული.

მეტეხის გალავანს აღმოსავლეთით კარი აქვს დატანებული, საიდანაც მოხვედრა შეიძლება ავლაბარში. ავლაბარს ცალკე აქვს ზღუდე, რომელიც იწყება მტკვრიდან. კედლებში ორი კარია — ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან.

გეგმის მიხედვით ავლაბარში ქუჩებია, რომელთა საშუალებითაც ამ ადგილის მთელი ტერიტორია კვარტალებად იყოფა. როგორც ვნახეთ, გეგმის მიხედვით XVIII საუკ. [illegible] წლებისათვის ავლაბრის ტერიტორია გალავანშემოვლებულია. ავლაბრის ტერიტორიის შემოზღუდვასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის დარეჯან დედოფალი 1800 წელს შედგენილ სადედოფლო შემოსავლის ნუსხაში, სადაც დედოფალი სხვა ამბებთან ერთად ამბობს, რომ ოცდაექვსი წლის წინ ე. ი. დაახლოებით XVIII საუკ. 70-იან წლებში მისი ბრძანებით ავლაბრისათვის გალავანი შემოუვლიათ[18].

ჯერჯერობით ერთადერთი წერილობითი საბუთი სადაც პირველად ვხვდებით ავლაბარს, არის 1392 წელს შედგენილი სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელი.

„ტფილისს ქალაქს: ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი ქულბაქნი და ბაენი, თჳსითა შესავლითა.

ავლაბარს: მონასტერი მეტეხის ყოვლად წმიდისა, მისითა მამულითა, ავლაბრითა და ავლაბრის ჴალითა“.[19]

მოტანილი მონაკვეთიდან აშკარად ჩანს, რომ „ტფილის-ქალაქი“ ცალკეა, ხოლო „ავლაბარი“ კი მისგან დამოუკიდებელი პუნქტია.

ზემოთ ვთქვით, რომ ვახუშტი ძველი ქალაქის შემადგენელ ნაწილთა დასახელებისას ამბობს, „ისანს“ მის დროს „ავლაბარს“ უწოდებენო. ვახუშტი არაფერს ამბობს, თუ როდის უნდა გაჩენილიყო „ისნის“ სინონიმად „ავლაბარი“. შ. მესხია სავარაუდოდ ამ ამბავს XIV საუკ. მიაწერს. „ისანს“ ავლაბარი, როგორც ჩანს, ძირითადად XIV საუკუნიდან შეერქვა“.

აქვე ერთხელ კიდევ გვინდა გავიხსენოთ, მეტეხის ეკლესია ისანში აშენდა, ისანი ქალაქის ნაწილია, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ისანი ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დევს X საუკ. მაინც. ამიტომ ხომ არ უნდა იყოს, რომ XVI საუკ. სიგელ-გუჯრებში მეტეხი ყოველთვის ქალაქთანა გვხვდება: „ტფილის ქალაქს მეტეხთა მონასტერი“ (1532—1549)[20] „ქალაქს მეტეხი“ (1559),[21] (აღსანიშნავია, რომ არის შემთხვევები, როცა მეტეხის ეკლესია ავლაბართან ერთად გვხვდება) 1596 წელს შედგენილ ერთ საბუთში მეტეხი ქალაქთან და ავლაბართან ერთად იხსენიება: „ესე ძღუენი და შესაწირავი: ტფილის: ქალაქს: ავლაბარს: მეტეხთა: ღთისა: მშობლისა:“[22]

სავარაუდებელია, რომ საბუთებში მეტეხის ქალაქთან და ავლაბართან ერთად მოხსენიება გაპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ მრავალგზის შემმუსვრელი შემოსევების შედეგად ქალაქის აღმოსავლეთ მხარის დამცველი ციხე ზღუდე მორღვეულია. ამიტომ ძველ

ისანს, როგორც ციხეს თავის ფუნქციები დაკარგული აქვს. აქ მხოლოდ მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიაღა იდგა.

XVII საუკუნეში როსტომ მეფემ „მოავლო მეტეხს ზღუდე და ქმნა, ვითარცა ციხე მტკიცე ქიდითურთ“[23] როსტომ მეფემ ახალი ციხე კი არ ააგო, არამედ ძველი ტრადიცია განაახლა, მოშლილი მეტეხის (ისნის) ციხე აღადგინა.

ვფიქრობთ, მეტეხის ეკლესიის მოხსენიება ავლაბართან ერთად იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ საბუთის შემდგენელი ავლაბარს უნდა იყენებდეს ადგილის მინიშნების დაკონკრეტების მიზნით — ორიენტირად მეტეხი ქალაქში დგას, ოღონდ ავლაბრის მხარეს.

1392 წელს საბუთის მიხედვით ავლაბარს თავის მამული და ჭალა აქვს. ნ. ბერძენიშვილი „ჭალასთან“ დაკავშირებით ამბობს, რომ „ჭალა“ ძველ საქართველოში დასახლებულ პუნქტს (დაბა, ქალაქს) ახლდა. ის, როგორც ნაწილი, იმ კომპლექსურ ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა, რომელიც განვითარებული მიწის მეურნეობის ქვეყანაში (როგორც საქართველო იყო) და მას (სამეურნეო თვალსაზრისით) ქმნიდა და ხასიათდებოდა „მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, საძოვრითა, სათიბითა, ჭალითა, სანადიროთა და სხვ.“[24]. მაშასადამე ამით (ჭალით) კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ ავლაბარი დამოუკიდებელი დასახლებული პუნქტია, რაც არ შეიძლება ითქვას „ისანზე“, ანდა „მეტეხზე“.

კითხვაზე: ავლაბარი ძველი ისანია თუ არა, ასევე ის ქალაქის შემადგენელი ნაწილი უბანი იყო თუ არა? ყველაზე კარგად პასუხობს თვით სიტყვა—ავლაბრის ეტიმილოგიის ახსნა.

სიტყვა ავლაბრის განმარტებისას მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

თეიმურაზ ბაგრატიონი ავლაბარს ასე ხსნის: „ეს სახელი ავლაბარი ქართული, რთული სახელი არის. ესე იგი ავლა, ნიშნავს ძირის ადგილიდან მაღლა ასვლას. ბარი ნიშნავს მდაბალს, ვაკეს და ტფილს ადგილს. ესე იგი: მთა და ბარი. მთა მაღალი და გრილი: და ბარი მდაბალი, ვაკე და თბილი ადგილი[25]. ეს, რასაკვირველია, სიტყვის მეტად გულუბრყვილო ახსნაა და ჩვენის აზრით, მას სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

ს. ჯანაშია ავლაბარს ასე ხსნის: „ავლაბარი, ისე როგორც ისანი, არაბული წარმოშობის ძველი სახელწოდებაა: ისანი ციხეს ნიშნავს, ხოლო ავლაბარი „სასახლის მიდამოს“.[26]

შ. მესხიას, ავლაბარზე საუბრისას, სიტყვის ახსნა სქოლიოში ჩააქვს და ამბობს, „ავლაბარი“ სასახლის მიდამოს ნიშნავსო“.[27]

ნ. ბადრიაშვილის სიტყვის ასეთივე ახსნას იძლევა— «Авлабари» происходит от «Хавели-бар» т. е. окрестность дворца»[28].

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვნახეთ, ზემოთ დამოწმებული მკვლევარნი ავლაბარში ორ სიტყვას ხედავენ—„სასახლე“ და „მიდამო“ ე. ი. კომპოზიტია—(ჰავალი) და ჰავალი (ბორ) იგი სპარსულ-არაბული წარმოშობისაა. არაბულად და სპარსულადაც მიდამოს ნიშნავს.[29] მაშასადამე, თუ სიტყვის პირველი ნაწილი მიდამოს ნიშნავს, მეორე სიტყვა (სასახლეს უნდა ნიშნავდეს და ეს ასეც არის)[30].

აქ უჩვეულო რამ თითქოსდა არ მომხდარა. ცნობილია, რომ ისნის ციხეში იდგა ქართველ მეფეთა სასახლე, და ადვილად დასაშვებია ადგილს ამის გამო ზემოთ აღნიშნული სახელი „ავლაბარი“ მიეღო. რადგანაც სასახლე ციხის ტერიტორიაზე იდგა, ავლაბარი უნდა შერქმეოდა პირველ რიგში ციხის გალავნის შიგნითა ტერიტორიას — ისანს-მეტეხს.

როგორც ვნახეთ, გვიანი ხანის თბილისის გრაფიკული გამოსახულებებზე (ჟან შარდენი, ტურნეფორი, ვახუშტი), მეტეხი, ძველი ისანი შემოზღუდულია, ხოლო ავლაბარი — შემოუზღუდავი. არაა გამორიცხული, რომ „სასახლის მიდამო“ სახელი გავრცელებულიყო ზღუდის იქით ტერიტორიაზეც. ჩვენ ავლაბრის ასეთ ახსნას მივიღებდით, რომ არ იყოს ერთი საცთური, სიტყვა „ავლაბარის“ მეორე სიტყვის „ბარის“ სხვაგვარი ახსნა.

სიტყვა (ბარე). ნიშნავს — თხრილს, სანგარს, ზღუდეს, ღობეს, გალავანს, მიწაყრილს.[31] ამის შემდეგ ავლაბარში მივიღეთ სულ სხვა სემანტიკის შემცველელი სიტყვა — ზღუდის. გალავნის იქეთა მიდამო, და არა სასახლის მიდამო. — (ბარე). ჰავალი — ჰავლაბარი რომ გადმოვაქართულოთ, მივიღებთ გარეთუბანს. გარეთუბანი კი ყოველთვის იმ ტერიტორიას ეწოდებოდა, რომელიც ქალაქის ზღუდის იქით მდებარეობდა (იხილეთ ვახუშტის გეგმა). უფრო სწორი იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ ავლაბარი „ისანის ველს“ ეწოდება. ავლაბრის ტერიტორიის ლოკალიზაციისათვის საყურადღებო ცნობას გვაწვდის XIX საუკუნეში შედგენილი დოკუმენტი:

«Предместье гор. Тбилиса, Авлабарь возникшей возле известной истории Грузии под названием «Исни» или «Исани» царской резиденции и крепости»[32].

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ XVII საუკუნეში, კერძოდ, 1673—1689 და 1681—1682 წლებში შედგენილ ორ ენოვან ქართულ-სპარსულ საბუთში ავლაბარი, სპარსულ ენაზე ასეთი ფორმით[33] (ჰალვაბარ) გვხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულამდე წერილობით წყაროებში ავლაბარი აღარ გვხვდება.

თითქმის მთელი ორი საუკუნით ავლაბრის ჩვენს თვალთახედვის მიღმა დარჩენა შეიძლება ჩვენამდე საიმდროოისო საბუთების მოუღწევლობას მივაწეროთ, მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ ამ საკითხის დადგენისას გავითვალისწინებთ XV—XVI საუკუნეებში საქართველოს, კერძოდ, თბილისს თავსგადამხდარ ისტორიულ მოვლენებს, 1405 წელს თემურ-ლენგის გარდაცვალებით ბოლო მოეღო ჩვენს ქვეყანაში მის დამანგრეველ შემოსევებს.

სრულიად საქართველოს მეფემ, ალექსანდრე I დიდად წოდებულმა მთელი თავისი ყურადღება ქვეყნის საალმშენებლო საქმიანობისაკენ მიმართა. მისი მეფობის დროს (1418—1443) ბევრი დანგრეული ციხე-კოშკი და ეკლესია-მონასტერი განახლდა და გაშენდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყანაში ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1440 წელს თავრიზის მფლობელის ჯეჰან-შაჰის მოთავეობით მაჰმადიანური ქვეყნების კოალიციური ლაშქარი საქართველოს შემოესია, რის დროსაც მტერმა თბილისი აიღო, მისი მოსახლეობა ამოწყვიტა და ტყვედ წაასხა, ხოლო თვით ქალაქი დაანგრია.

გამოხდა ხანი, ჯეჰან-შაჰის შემდეგ თბილისი განიცდის უზუნ-ჰასანის გამანადგურებელ შემოსევას (1477).

XVI საუკუნეშიც არ შეწყვეტილა ქართლისა და მისი ღედაქალაქის დარბევა-აწიოკება. აღნიშნული საუკუნის 20-წლებში, ირანში სეფიანთა დინასტიის დამაარსებელმა შაჰ-ისმაილმა აიღო თბილისი.

XVI საუკუნის 40-50-იან წლებში შაჰ-თამაზმა ოთხჯერ დალაშქრა თბილისი.

ყიზილბაშები შეცვალეს თურქ-ოსმალებმა. ამას ზედ ერთოვოდა მთიელ აბრაგთა გაუთავებელი მძარცველური შემოსევები.

ასეთია XV-XVI საუკუნეებში თბილისის თავსგადამხარი მოკლე ისტორიული ქრონიკა. ამგვარ ისტორიულ მოვლენათა ფონზე ადვილი წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მდგომარეობა. ყოველი დიდი შემმუსვრელი და დამანგრეველი შემოსევების შემდეგ საჭირო იყო ყველაფრის თავიდან დაწყება, დანგრეულის აღდგენა, აშენება, ტყვედ წასხმულთა და ხიზანთა უკან დაბრუნება-ჩამოსახლება.

მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, თბილისი ყოველთვის ქალაქობდა.

XVII საუკ. ავლაბარი ასე შემოისაზღვრებოდა: — ჩრდილოეთიდან — ავლაბრის ხევი (ამჟამინდელი კიბალჩიჩის), აღმოსავლეთიდან ლილოები, სამხრეთიდან — ღომელაურის და დირსიჭალა, დასავლეთიდან — მდინარე მტკვარი და მეტეხი. როგორც ვხედავთ, ეს საკმაოდ დიდი ტერიტორია იყო.

ზემოთ თბილისის გრაფიკული გამოსახულებებთან დაკავშირებით, როცა ვიხილავდით ჟან შარდენისა და ტურნეფორის მიერ შესრულებულ თბილისის გეგმებს, ვთქვათ, რომ მოხსენიებულ ავტორებთან ავლაბარი მეტად თხლადაა დასახლებული. ასევე ამის მიზეზებზეც ვისაუბრებთ. ახლა გვსურს კარტოგრაფთა, თუ მოგზაურთა ეს ხარვეზი შევავსოთ XVII საუკუნის წერილობითი მასალით, სადაც ლაპაკია ავლაბრის ტერიტორიის განსახლებაზე.

1654 წელი: „მას: ჟამსა: ოდეს: მოგვდექით: კარსა: და ავლაბარში: ერთს: კომლს: კაცს: დაგვეაჯენით: ვისმინეთ და: მოხსენება: თქვენი: შეგიწყალეთ და: გიბოძეთ: ზალიკაშვილი: ამანა: მისის: შვილითა: და: შვილი: შვილებითა: ყოვლითურ: რისაც: მამულის; მქონებელი: იყოს: უნაკლულოდ:

ხელრთვა — როსტომ, მარიამ“.[34]

ისევ 1654 წელი. ზარაბხუცესი ხოჯა ბეჰბუთას თხოვნით მეფე როსტომი ქალაქის სასაფლაოსთან მახათის მთის ქვევით, ავლაბრისაკენ მას ეკლესიის აშენების უფლებას აძლევს[35].

კიდევ, როსტომ მეფის დროს წოდორეთიდან რამდენიმე კომლი გლეხი გადმოასახლეს ავლაბარში: „უძეოსაა და: უშვილოს: ჯავახის: შვილს: ზაქარიას: ყმანი: ვიყავენით: და: წოდორეთს: ვესახლენით: ის: მოკვდა: და: თავის: კერძობით: უშვილოდ: გარდავლინდა: და: ჩვენ: როსტომ მეფემ: სახასოდ დაგვიჭირა: იქიდამ ავიყარენით: და: ავლაბარში: დავსახლდით (1673 წ.).[36]

ეს შემთხვევით არაა, სწორედ როსტომ მეფეს და მისი მემკვიდრის შაჰნავაზის (ვახტანგ V) დროს შედარებით სიმშვიდე სუფევს აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი იზრდება, შესაბამისად მისი სანახებიც სახლდება და საქალაქო ცხოვრებაში ინტენსიურად იწყებს მონაწილეობას.

თუ ავლაბარი XVI—XVII საუკ. წერილობით წყაროებში და სიგელ — გუჯრებში იშვიათად გვხვდება, XVIII საუკუნეში თბილისის სხვა გარეუბნებთან შედარებით ხშირადაა მოხსენებული.

ავლაბარი სახასო მამულია. აქ სახლობენ, როგორც სამეფო, ასევე დედოფლის, თავადაზნაურთა, საკათალიკოსო თუ საეპისკოპოსო, თბილელის ყმა-გლეხნი. ავლაბარში ქართველების გარდა სომხები და მაჰმადიანები სახლობენ. ზოგი ინათლება და ქართველდება კიდეც. ასე, მაგალითად, 1706 წელს შედგენილ საბუთში ვკითხულობთ: „მე სომეხი: ვიყავი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: თქვენს: სოფდარს: მოვინათლე".[37] 1769 წელს შედგენილი წყალობის წიგნით კათალიკოსი ანტონ I—იესეს ძე კვეზერელ ოთარს და მის შვილებს უწყალობებს ავლაბარში სვეტიცხოვლის კუთვნილ მამულს: „მკვიდრი ჩვენის ეკლესიის მამული ავლაბარში, საწყლისპირო, საფიჩხულე... მოხვედით და ამ საფიჩხულის წყალობას და გვეაჯენით. რადგან. თქუენც. ჩვენის. ეკლესიის. ყმანი. ძუუანით ჩუენი. ერთგულნი. და. მომსახურენი. ვისმინეთ. აჯა. და. მოხსენება. თქუენი. და. გიბოძეთ. ავლაბარში. მკუდი. ჩვენის, ეკლესიის მამული".[38]

1765 წელს შედგენილი საპატრიარქო ყმათა ნუსხაში არიან:

„ „ქ. ავლაბრელი. სუქანას შვილი ესტატე
ქ. ავლაბრელი კვეზერელი დავითა".[39]

ქალაქში, გარეუბანში და ავლაბარში მცხოვრებ საკათალიკოსო ყმა—გლეხებს თავიანთი მოურავი ყავდათ. XVIII საუკ. ეს სახელო სვეტიცხოვლის სახთუხუცეს მაღალაძეთა გვარს ეპყრა. 1769 წელს შედგენილი სიგელი გვამცნობს: „ჩუენის კათოლიკე ეკლესიის სვეტის ცხოველის სახლთუხუცესს მაღალაძეს... წყალობა გიყავით, რაგვარადაც ძველად ყოფილა რომ, რომელიც კათალიკოსის სახლთუხუცესი ყოფილა, ქალაქსა ტფილისს მსახლობელთა ჩვენის ეკლესიის ყმათ მოურავიც ის ყოფილა.

შენთვისაც ისე გვიბოძებია ტფილისის ქალაქს და ტფილისის ქალაქს გარეთ, ავლაბარსა და გარეთუბანს მსახლობელთა ჩუენის ეკლესიის ყმათა მემკვიდრეთა თუ მოსულთა, და ან დღეის იქით მოვიდნენ და ჩუენის ეკლესიის ყმანი შეიქმნენ. — ამათ ყოველთა მოურაობა და გამრიგება".[40]

ჩვენ რამდენიმე დოკუმენტი დავიმოწმეთ, სადაც ლაპარაკი იყო ქალაქში და ავლაბარში მსახლობელი საკათალიკოსო ყმა-გლეხებზე და სხვა.

1701 წელს შედგენილ დოკუმენტში საგანგებოდ ხაზგასმულია თბილელის უფლებებზე ქალაქსა და ავლაბარში მოსახლე მოქალაქეებზე.

„ქ. ჩვენ: ბატონს: კათალიკოზს: დიასამიძეს: ევდემოზს: თბილელ მიტროპოლიტი ორბელიშვილი დომენტი დაგველაპარაკა ქალაქურს სამწყოსზე... ვინც მოქალაქე ალობარში დასახლდეს თფილელის მამამთავარსს ჭელი ალარა აქვს და ვინც ალობრელი ქალაქში დასახლდეს იმისი დრამა და საკანონო თბილელის მამათ მთავარმა მოიკითხოს".[41]

1783 წელს მოეწყო თბილისის აღწერა: „ქ. მისი სიმაღლის ბრძანებით ქალაქი აიწერა ავლაბრით გარეთ უბნით 1783 წ.

რლვ ქ. გარეთ ავლაბარში კომლი (136)
სით ქ. შიგნით ავლაბრის კომლი (219)
ოგ ქ. მეტეხში ხიდიდან (73)
რპვ ქ. ხიდიდამ ციხეში (186)
ფნ. ქ. გარეთუბანი (150)[42]

აღწერის ნუსხა მნიშვნელოვანია მრავალმხრივ. ჯერ ერთი, ის, რომ აქ ორი ავლაბარია — გარეთა და შიგნითა, ამის გარდა, ავლაბრისაგან დამოუკიდებლადაა მეტეხი და ციხე.

ნუსხის გრაფიკული გამოსახულება თბილისის 1800 წლის გეგმაა. დოკუმენტებზე დატანილია გალავან შემოვლებული მეტეხი (IX), რომლისგანაც ზღუდის-ზღუდით გამოყოფილია (ჩრდილო-აღმოსავლეთიდან) ციხე, (ციხე, ასევეა გამოყოფილი ავლაბრისაგან), ციხის ჩრდილოეთ კედელს ებმის ავლაბრის გალავანი. შემოზღუდული ავლაბარი ე. წ. შიგნითა, აღნიშნულია, ისევე როგორც მეტეხი, ციფრით (X), ხოლო გალვნის იქეთა, შემოუზღუდავია. ე. წ. გარეთა ავლაბარი (XII). (რომელსაც გეგმაზე ეწოდება ავლაბრის უბანი).

XVIII საუკ. ბოლოს იოანე ბატონიშვილის მიერ ჩატარებულ ქართლ-კახეთის სოფლების აღწერის სიაში წერია. „ქ. თბილისს მიეწერებიან სოფელნი აღმოსავლეთის მხარეს.

„ქ. ტფილისი თვით ქალაქი
ქ. ავლაბარი, შენი მოსახლენი".[43]

აქაც, ამ ნუსხაშიც ავლაბარი ქალაქისაგან დამოუკიდებელი პუნქტია, რომელიც „შენი მოსახლეა".

ავლაბარი ქალაქის შემოგარენში მდებარე სოფლებისა და უბნებისაგან გამოირჩევა აქ არსებული სამეფო, თუ ადგილობრივი დანიშნულების მოხელეთა სიმრავლითა და ნაირსახეობით.

ავლაბრის ამ მხრივ შესწავლა საშუალებას გვაძლევს სრულად წარმოვიდგინოთ გვიანი შუასაუკუნეების ქალაქისპირა სოფელი.

ავლაბარში შემდეგ მოხელეებს ვხდებით: მოურავს, მამასახლის, ხასადარს, მილახვარს, მებაჟეს, მეღალეს, მეკარეს, ყარაულს, ზედამხედველს, სარდარს და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავლაბარი სამეფო-სახასო მამულია. მეფის საკუთარი მამულის მეთვალყურედ XVII-XVIII[1] საუკ. საგანგებოდ შეუქმნიათ — სახელი — ხასადარი.

მეფე ფეოდალი დიდი მამულის მქონებელი მებატონეა. მეფე თავის საკუთრებიდან საჩუქრების, თუ ფეშქაშების სახით გასცემდა ზვრებს და ხოდაბუნებს, მაგრამ მას კიდევ ჰქონდა საკუთრივ მამული, რომელსაც თვითონვე ამუშავებდა, უფრო სწორად, ამუშავებინებდა სამეფო ყმა-გლეხებს, სწორედ, ამ

სამეფო ხოდაბუნების და ზვრების მოვლა-პატრონობა და ზედამხედველობა ევალებოდა ხასადარს. ის სახასო მამულიდან შემოსავლის ანგარიშსაც აწარმოებდა. აღსანიშნავია, რომ ხასადარი, მხოლოდ მეფის მოხელეა. ის ადგილობრივი მოხელეა. ე. ი. ხასადარი თავის სამეურნეო მამულზე ზის. ხასადარი მოურავის მამასახლისის და ნაცვლის რანგის მქონე მოხელეა, მას მათთან ერთად უფლება აქვს ბეგარით ისარგებლოს.[44]

სამწუხაროდ, ავლაბრის ხასადართან დაკავშირებით მწირი მასალა მოგვეპოვება. საბუთები, სადაც ავლაბრის ხასადარია მოხსენებული 1697-1713 წლისა[45] და 1713 წელს შედგენილი ნასყიდობის წიგნებია. აქ, ავლაბრის ხასადარს დოკუმენტის შედგენის თანდამსწრეთა ვხდებით, ესაა მათიაშვილი ოტია.

მეფე ვახტანგ VI-ის მიერ გაცემული სიგელი, ხასადარის ადმინისტრაციულ უფლებებზე მიგვინიშნებს: „ბრძანება მეფისა ვახტანგ VI-ისა 1703-1709. ჩვენი ბრძანება არის ავლაბრის ხასადარო. მერე ეს თათარაშვილი რამაზა ჩვენდა უბრძანებლად არავ ავყარო. თუ ვისმე ქართული აქონდეს, ჩვენ მოგვახსენოს, თორემ ნურვის დაანებებთ“.[46]

როგორც უკვე ვთქვით, ხასადარი მეურვეს — ზედამხედველის ფუნქციების შემსრულებელი მოხელეა, და მისი უფლებები მემამულეთა კუთვნილ მამულებზე არ ვრცელდებოდა. ავლაბარში ხასადრის სახელო სულ რამდენჯერმე გვხვდება და ის მალე ქრება კიდეც. მის ნაცვლად ავლაბარში სახასო ყმამამულის მეურვედ ისევ მოურავია.

ავლაბარში სამეფო მამულების გარდა, მემამულეთა ყმა-გლეხები და მიწებიცაა, რომელთაც თავიანთი მოურავები ჰყავთ. ჩვენ ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ ავლაბარში მოსახლე (ქალაქთან და გარეუბანთან ერთად) საკათალიკოსო — ყმა-გლეხებზე,

1781 წელს 28 თებერვალს გიორგი ბატონიშვილი ქალაქში და ავლაბარში მსახლობელ ლორელ ყმა-გლეხთა მოურავად მაყაშვილ სიმონს ნიშნავს „ჩვენსა ლალასა და ჩვენსავე ეშიკაღას-ბაშსა მაყაშვილს სვიმონსა, შვილსა შენსა და მომავალთა სახლისა შენისათა, ასე რომე ჰავლაბარში ვინცა-ვინ ლორელები ჩვენი ყმანი სახლობენ, ამათს მოურაობას დაგვეაჯე, და... ეს მცირე სახელო გიბოძეთ, ჰავლაბარში რამდენიც ჩვენი ყმანი სახლობენ, მათი მოურაობა და ამას გარდა, იქავე ქალაქში კიდევ ვინცა-ვინ ლორელი აზნაურიშვილები არიან და რამდენიც კომლნი ჩვენი საბატონისშვილო თათრები სახლობენ, ამათი მოურაობაც შენთვის და შვილთა შენთათვის გვიბოძებია“.[47]

გიორგი ბატონიშვილი, უკვე მისი მეფობის დროს 1798 წელს ავლაბარში მოსახლე ერევნელი სახასო ყმა-გლეხთა მოურავის სახელოს უწოდებს: „ერთგულს ყმას მირზა აფრასიაბს. და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა. ასე რომ ამ შენს ერთგულად ნამსახურებას მივხედეთ და ვინებეთ და გიბოძეთ ავლაბარში მდგომის ჩვენის სახასო ერევნელების მოურაობა ყოვლის თავის სამართლიანის სარგოთი და სარგებლობითა გვიბოძებია შენთვის და ისინიც რიგიანად შენის სიტყვის მორჩილნი და გამგონენი უნდა იყვნენ ჩვენს სამსახურზედ და შენც იმათს მოვლას და შემატებას და გაძლებინებას უნდა ეცადო“.[48]

არსებითად, მეფისა და მემამულის მოურავის სახელო ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მეფის მოურავი პასუხისმგებელი იყო მეფის წინაშე, ხოლო მემამულისა— მემამულის წინაშე. მოურავს ევალებოდა სამეურნეო მამულში ადმინისტრაციულ-საკანონმდებლო და ეკონომიური საკითხთა მოგვარება და წარმოება. „ამაში მას ეხმარებოდნენ ნაცვალი და მამასახლისი“[49]

ავლაბარში დედოფალსაც ჰქონდა თავისი მამული—დედოფლის კუთვნილ მამულთა საქმეთა მწარმოებელს თუ ზედამხედველს, რომელიც საფინანსო და სამეურნეო საქმეებს აწარმოებდა მილახვარ ეწოდებოდა. მილახვრის სახელო ჩვენში XVIII საუკ. მეორე ნახევარში შექმნილი თანამდებობაა. მილახვარი ჰყავდა მეფეს, დედოფალს და ცალკე მემამულეებსაც. XVIII საუკ. დასასრულს დედოფლის მილახვრის სახელო იოსებ ყორღანაშვილს ეკავა.

მილახვარს, სამეურნეო საქმიანობის გარდა, საამშენებლო საქმეებიც ევალებოდა. დარეჯან დედოფალი იოსებ ყორღანაშვილს 1797 წელს ავლაბარში ზეთის სახდელ ქარხანას აძლევს „ჩვენ საქართველოს დედოფალმან დადიანის ასულმან დარეჯან თქვენ ჩვენს მილახვარს იოსებ ყორღანოვს ავლაბრის გაკეთებისა და აქაურის ჩვენის სასახლისა და ეკლესიის აშენებაზე შენის დიდის გარჯისა და ღვაწლდადების სამუქფო და წყალობა გიყავით და გიბოძეთ.‥ სამკვიდრო მამულად ავლაბარში. ტფილისის გალავანის კარს გვერდით ისევ შენისავ გარჯით ჩვენს საკუთარს ადგილს შენგანვე გაკეთებული ზეთის სახდელი თავის შესავალ-გასავლითა და სახლის წინ რაც ცარიელი ადგილია ტფილისის გალავნის კედლამდინ“.[50]

გარდა ამისა, რომ იოსებ ყორღანაშვილი დედოფლის მილახვარია, მას ავლაბარში დედოფლის მოურავის სახელოც უკავია. „ქ. მათის უმაღლესობის დედოფლის წინაშე მოსახსენებელი მათის მონის გაბრიელ აზნაურის ყულიჯანოვისაგან.

ჩემო ჴელმწიფევ დასადგომი სახლი არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქვს პატარა კარებთან რომ ბეითალმანი სახლი გახლავს ქაქანასეული გევედრებით რა სახლი მე მიბოძოთ, მოურავსა და მამასახლისს ოქმით ებრძანოსთ, რომ ის სახლი მე მომცენ, ...მარტის, გ.ქკს უგ" აღნიშნულ თხოვნას მიწერილი აქვს „ქ. ავლაბრის მოურავი მილახვარო იოსებ ყორღანოვი, ამ არზით ამ ჩვენს აზნაურიშვილს გაბრიელას ავლაბარში ჩვენის ყმის ბეითალმანი ოტია ქაქანასეული სახლი რომ უთხოვნია — ის სახლი ამისათვის გვიბოძებია. მარტის ია. ქკს უჟა"[51] (1803), როგორც ჩანს, ყორღანაშვილს სხვა საქმეებთან ერთად ყმების დასახლების საკითხის მოგვარებაც ევალებოდა. ყმა ხურო გოგიას თხოვნაზე საცხოვრებელი ადგილის მიცემის შესახებ, დედოფალი დარეჯანი წერს: „ქ. ავლაბრის მოურაო მილახვარო ყორღანაშვილო იოსებ და ავლაბრის მამასახლისო. მერე ეს გოგიტელა იმერელი რომ ამდენი ხანია აქ ავლაბარში ჩვენს ყმათ სახლობს და ჯერ ამისათვის მამული არ გვიბოძებია".[52] საბუთში ლაპარაკია, რომ გოგიას ბეითალმანი ადგილი მიეცეს.

საბუთიდან ჩანს, რომ ავლაბარში მამასახლისის სახელოცაა, ეს სახელო აქ პირველად 1737 წ. შედგენილ სიგელში გვხვდება სადაც მამასახლისი დოკუმენტის შედგენის თანდამსწრე პირია". „...ავლაბრის: მამასახლისი: იობა ქ."

როგორც ცნობილია, მამასახლისი საქართველოში ადრეულ ხანაში გვხვდება და მას დიდი ხნის ისტორია აქვს. რასაკვირველია, გვიან შუასაუკუნეების მამასახლისი თავისი უფლებით დიდად დაშორებული იყო თავის წინაპრისაგან. ჩვენი კვლევის დროინდელი მამასახლისი მხოლოდ მოხელეა, რომელსაც ძირითადად გლეხებისაგან ირჩევდნენ და სხვა გლეხებისაგან განსხვავებით იგი თავისუფლდებოდა გადასახადისაგან. მის მოვალეობას შეადგენდა, მონაწილეობა მიეღო სოფლის მართვა-გამგებლობაში, სოფლის მოხელეებს ეხმარებოდა გადასახადის აკრეფაში და სხვ.

ავლაბრის მამასახლისი, ამ შემთხვევაში დარეჯან დედოფლისა, ვალდებულია სახლ-კარის მაძიებელ ყმა-გლეხებს გამოუძებნოს სამოსახლო და ამის შესახებ მოახსენოს თავის ბატონს დედოფალს. „1796 წლ. სექტემბრის 19 მაღალ კეთილ-შობილო, უფალო ივან ეფრემიჩო!

ქ. რომელნიც ავლაბარში ჩვენი ყმანი სახლობენ, მოგეხსენებათ, მზაკვრისა და მტაცებლის აღა-მაჰმად-ხანისაგან წამხდარნი არიან და შეწუხებულნი ახლა რადგანაც არც ჩვენა ვართ მანდ და არც მაგათი მოხელე, ჩვენი მილახვარი ყორღანოვი იოსებ იმყოფება, სანამ ან ჩვენ მოვიდოდეთ და ან თავიანთ მოხელე მოუვიდოდესთ, ეგ ჩვენი ყმანი თქვენთვის მოგვიბარებია, რომ თვალ-ყური დაიჭიროთ მაგათზე და მაგათის მამასახლისის დავითისათვისაც მოგვიწერია, რომ რაც მწუხარება ქჰონდესთ თქვენს მაღალ კეთილშობილებას, მოახსენოს რომლითაც მოველით, რომ თქვენ მოწყალებით შეისმენთ მაგათს მოხსენებას ჩღჟვ წელსა, სექტემბერს ით, თელავით, ს'დ საქართველოს დედოფალი"[53].

დარეჯან დედოფალი, ვინმე ივან ეფრემიჩს ავლებს ყურადღება მიაქციოს აღა-მაჰმად-ხანის დროს აწიოკებულ ავლაბარს, რომ სანამ ავლაბრის ყმა-გლეხებს „თავიანთ მოხელე მოუვიდოდესთ, თვალყური თქვენ ადევნოთ." ეს მოხელე მამასახლისი არაა, რადგანაც წერილში იხსენიება „მამასახლისის დავითისათვისაც მოგვიწერია," რომ იმანაც ყურადღება მიაქციოს იქ შექმნილ მდგომარეობას ე. ი. ავლარბის დედოფლის ყმა-გლეხებს მოურავის, მამასახლისის გარდა, კიდევ ყოლიათ მოხელე. სამწუხაროდ, დედოფალი კონკრეტიულად არაფერს ამბობს ამ მოხელეს რა სახელო უკავია.

უკვე ითქვა, რომ ავლაბარი გალავანშემოვლებულია, ბუნებრივია, ყოველ გალავანს, კარს ატანდნენ. ზღუდეს შეიძლება ერთი, ანდა მეტი კარი ჰქონოდა. ავლაბრის კედელში დოკუმენტების მიხედვით ორი კარია გაჭრილი — „პატარა კარი" და „ავლაბრის კარი".

საბუთებში „ავლაბრის კართან" დაკავშირებით ვხვდებით „მებაჟეს". „ქ. ბატონიშვილი გიორგი გიბძანებთ. პავლიაშვილო ბერო. მერე შენ ამისი მოასილი ხარ როგორც მის სიმაღლეს ბატონს ებრძანებინოს ოქმითა რომელიც მებაჟეები არიან ავლაბრის კარზედა ეს მებაჟები ოჰანეზასთან მიიყვანე და ანგარიში გამოართვასთ რომელიც ნინოწმინდელის შემოსავალი იყოს. სულ ყველას ანგარიში უნდა მისცენ და რაც დაედოსთ შენ უნდა უფლებლივ გამოართვა და ყ'დ სამღვდელოს ბატონს ნინოწმინდელს უნდა მიართვა ეს ასე უნდა გარიგო და ბეჯითად უნდა მოიქცე. ფებერვლის კა. ქ'კს უოა: ოჰანეზამა და შენ უნდა ანგარიში გამოართვათ და მას უკან თქვენ უნდა ნინოწმინდელს მიართვათ".[54]

მაშასადამე, „ავლაბრის კარიდან" აღებული ბაჟის ნაწილი ნინოწმინდელს ეკუთვნოდა. — „ავლაბრის კარს", მებაჟის გარდა „მეკარეცა" ჰყავს, რომელიც თავის სამსახურისათვის გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა.

„ჴ. ქ. ავლაბრის კარიდამ და კახეთის ბაჟიდან. ჰავლაბრის მეკარეს უნდა მიეცეს თავისი წლის ჯამაგირი. უნდა მიეცეს შვიდი მინალთუნი.

---

თეიმურაზ ბერიძე

## ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან

ა. ხ. ქ. ღვინის ბაჟიდან. უნდა მიეცეს თექვსმეტი მინალთუნი.

ჵ. ქ. ჰაშნიკიდამ. უნდა მიეცეს ორი მინალთუნი.

ჳ. ქ. კახეთის ბაჟიდამ. უნდა მიეცეს ხუთი მინალთუნი.

ჵ. ქ. სამინბაშოდამ. უნდა მიეცეს, ორი მინალთუნი.

გ. ჵ. ქ. ჯამი იქნა სამი თუმანი და ორი მინალთუნი.

ქ. ხერხეულიძევ ეშიკაღაბაშო გიორგი, ამ სიით. ამ მეკარე ოსეფას თავისი წლის ჯამაგირი ყველას გამოართვა და მიეც. ასე ჰქონია კულავაც განწესება. ოკდომბერს, ი. ქ'კს უპზ. რომელიც სტეფანე გურგინ ბეგის. შვილისათვის მიგვიცია. იქიდამვ არ იქნება მიცემა და სხვა რაც ჩვენი შემოსავალი იყოს ავლაბრის კარიდან იქიდან არ მიეცეს (მეფე გიორგი)[55]

ავლაბრის „მებაჟისა“ და „მეკარესთან“ დაკავშირებით, გვინდა შევეხოთ ზღუდეში დატანებულ ავლაბრის კართა განლაგების თუ ადგილმდებარეობის საკითხს.

რადგანაც ჟან შარდენისა და ტურნეფორის მიერ შესრულებული თბილისის გეგმები არაა სრული, ამიტომ აქ მათ არ შევეხებით, თუმცა ჟან შარდენთან მეტეხის გალავანში ერთი კარია, სამწუხაროდ, მისი სახელი არ ვიცით.

მეტეხის გალავანში პირველად „ავლაბრის კარს“ ვხვდებით ვახუშტი ბატონიშვილის „თბილისის 1735 წლის გეგმაზე“, აღნიშნული კარი ზღუდეში დატანებულია აღმოსავლეთიდან.

კარის სახელთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის კედელში დატანებული კარი იმ სახელს ატარებდა, რომელ ქალაქისკენ, ან სოფლისაკენ იყო მიქცეული. ზოგჯერ კარი იმ საქარავნო-სატრანზიტო გზის სახელს ატარებდა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ორ სავაჭრო ცენტრს. მაგალითად, თბილისში ადრე იყო „კარის (ყარსის) კარი“, შემდეგდროინდელი „განჯის კარი“ და ა. შ. მეტეხის ზღუდეში დატანებული „ავლაბრის კარი“ ქალაქს ავლაბართან აკავშირებდა.

სამწუხაროდ ვახუშტის მეტეხში ერთი კარი აქვს დატანებული. შემდეგი გეგმა რომელზეც ვხვდებით „ავლაბრის კარს“ ესაა პიშჩევიჩის „თბილისის 1785 წლის გეგმა“. ვახუშტისაგან განსხვავებით აქ თვით ავლაბარი უკვე შემოზღუდულია და აქაც „ავლაბრის კარი“ გალავნის აღმოსავლეთით № 71-თაა დატანებული. ავლაბრის გალავანში, „ავლაბრის კარის“ სახელით კარიბჭის გაჭრა ერთი შეხედვით თითქოს ტრადიციის გაგრძელებად ჩანს. მაგრამ ეს ასე არაა. ავლაბრის ზღუდის იქით კიდევაა ე. წ. „გარეთ ავლაბარი“, ანდა როგორც თბილისის 1800 და 1802 წლების გეგმებზეა, „ავლაბრის უბნის“ დასახლება.

მაშ ასე, ვახუშტის და პიშჩევიჩის თბილისის გეგმების მიხედვით „ავლაბარის კარი“, ზღუდეს აღმოსავლეთით აქვს.

ავლაბარში „პატარა კარიცაა“. უკვე ვთქვით, ვახუშტის ავლაბარში ერთი კარი აქვს დატანებული, პიშჩევიჩთან, ავლაბრის გალავანს მეორე კარი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს დატანებული. ასევე „თბილისის 1800 წლის გეგმაზეც“ ავლაბრის მეორე კარი გალავანს ჩრდილოეთიდანა აქვს.

აღსანიშნავია, რომ პიშჩევიჩთან აღნიშვნა არა აქვს გალავნის ჩრდილოეთით დატანებულ კარს, ასევე აღნიშვნა არა აქვს თბილისის 1800 წლის გეგმაზე ავლაბრის არც ერთ კარს.

ვახუშტის გეგმაზე „ავლაბრის კართან“ თავს იყრიან აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან წამოსული გზები: ბაღების გზა, ყარაისა № 69, კახეთის გზა № 70, შუატბის გზა № 71, ავჭალის გზა № 74, ზედა გზა № 75.

პიშჩევიჩთან „ავლაბრის კართან“ მხოლოდ ერთი გზაა „დაღესტნის დიდ გზაზე გამავალი“ რომელიც შემდეგი დროის კახეთის გზას უნდა მიესადაგოს. მეორე კართან გზის არავითარი ჩვენება, ანდა აღნიშვნა არაა.

როგორც ვთქვით, თბილისის 1800 წლის გეგმაზე, ავლაბრის ზღუდეს ორი კარი აქვს. ჩრდილოეთიდან ე. წ. „ავლაბრის კართან“ თავს იყრიან ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან წამოსული გზები — სოფელ ნავთლუღიდან, „ქვემო გზა“, კახეთის სოფლებიდან წამოსული „ზემო გზა“ გზა მარტყოფიდან მეორე გზა — სოფელ მარტყოფიდან.

ჩრდილოეთ კართან მხოლოდ ერთი გზა მოდიოდა — „ავჭალის გზა“.

გეგმის მიხედვით აღნიშნულ გზით მოსულ მგზავრს შიგნითა ავლაბარში მოხვედრა შეეძლო აღმოსავლეთის კარითაც. მას ამის საშუალებას აძლევდა, ადგილობრივი გზა, რომელიც აერთებდა ავლაბრის ორივე კარს.

„ავლაბრის კართან“ გზათა ინტენსიური თავმოყრა, საშუალებას და უფლებას გვაძლევს დავასკვნათ რომ ავლაბრის მებაჟე და მეკარე ძირითადად „ავლაბრის კარიდან“ იღებდა შემოსავალს.

XVII საუკუნეში შედგენილ ერთ სიგელში ავლაბრის მელალეა ნახსენები „ქ. სარდალ სახლთუხუცის ლუარსაბისა: და ნაზირ ედიშერის: იმედო ავლაბრის მელალევ: მერმე: ამ მეითრის: შვილის: ყმებს: ნავთლუხს: რომ: ქერი გამოგირთმევიათ ბატონის: წიგნი: ქონდა სალალო დაესხნენ რაც: გამოგერთმევინოს: მაგიერი: ავლაბრის; ლაგიდამ; მიეცი“.[56]

მაშსადამე, ავლაბარს თავისი „მელალე“ ყავს, რომელიც აღებულ ლალას სახელმწიფოს აბარებს.

„დასტურლამალის“ კარი — 50 ქარხნის ნაზირისა ანსაფებისა“ ეხება სატიკასპიროს. მეტიკიპირეობა საპატიო სამსახურია. იგი გაპიროვნებული ყოფილა. სხვა სოფლებთან ერთად ამ სამსახურის შემსრულებლად გვხვდება „ავლაბრელი თამაზა“[57]

„ქარხანა“ იყო მეფის მამულებიდან შემოსული ყოველგვარი სურსათ-სანოვაგის, ფრინველის, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის შესანახი „საწყობი“. საიდანაც მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებოდა მეფის ოჯახს. აი, ამ საქონლის მიღება-გაცემას ზედამხედველობას უწევდა ქარხნის ნაზირი, ის სამეფო მეჯლიში სახლთუხუცესთან ერთად დიდ მონაწილეობას იღებდა. მას მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრა — მეჯლისის წესების გამგეობა“.[58] და აი, ამიტომაა, რომ ქარხნის ნაზირს 7-8 კაცისაგან შემდგარი მეტიკოსპირეთა ჯგუფი ჰყავს, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ტიკიდან ღვინის ჩამოსხმა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთ-ერთი მეტიკისპირეთაგანია „ავლაბრელი თამაზა“. ახლა ძნელია იმის თქმა მეტიკისპირეთ აუცილებლად ავლაბრელიც უნდა ყოფილიყო თუ არა, მაგრამ „დასტურლამალაში“ ამ მოვალეობის შემსრულებლად ავლაბრელის მოხსენიება გვაფიქრებინებს, რომ სხვა სოფლებთან ერთად მუდმივად ერთი ავლაბრელიც უნდა ყოფილიყო. შეიძლება ეს იმიტომაც, რომ ავლაბარი სამეფოსახასო მამული იყო.

„დასტურლამალაში“ სხვა აუშტართა შორის გვხვდება „ავლაბრელი ზურაბა“.[59] აუშტარის მოვალეობა იყო მეფის სასახლის პროდუქტებით მომარაგება.

აუშტრებს სათავეში ედგა თავლიდარი, რომელიც საანგარიშო დარგის მოხელეა.

ასევე „დასტურლამალაში“ სამეფო მეჯოგეთა შორის „ავლაბრელი ბერუკა“[60]. მისი მოვალეობა იყო სამეფო ჯოგის მწყემსვა. ავლაბარს ედო სამეხრეო გადასახადიც, მეხრის შესანახი გამოსაღები.[61]

„დასტურლამალში“ ავლაბარს ცალკე საგანგებოდ შედგენილი კარი (31) აქვს დათმობილი — „ავლაბრისა და მისი მოხელეებისა.— ავლაბრის რიგი და სამსახური.

ავლაბრის რიგი და სამსახური: რასაც ქალაქის მოყალნე და თარხანი იქს, ისრე ესენიც გაერევიან. ლალა-დღიურზედ სამი ფოხალი პური. საბალახე სამართლიანად. ერთი მეხრე ვინც იქნების, ერთი სამეხრეო უნდა შიენახოს, სითარხანე აქვს; და თორმეტი კოდი პური ულუფა მუშას სოფლებიდამ აქვს გარიგებული. სამკალი ხარჯი, ბევრი მოვა თუ ცოტა, ნაზირი ისე მისცემდეს.

ქათამი თუ იბარია, თავნი 17, ამისი ნაშენი წელიწადში 51“[62].

მაშასადამე, ისევე როგორც ქალაქს მოყალნე — მებეგრე ავლაბარსაცა ყავს, რომელიც იგივე უფლებებით სარგებლობს როგორითაც ქალაქისა.

ქალაქს ავლაბრის მხარეზე უყენია ყარაული. „ქ. ბატონო მანუჩარ მდივანო ავლაბრის ყარაულებს ჩიფჩიფ მამადის და იმის ამხანაგებს მორიგის თეთრიდამ ერთი თუმანი მიეც ღვნობისთჳს, ა, ქკს უოე“.[63] (1787 წ.)

ყარაული მარტო დარაჯს კი არა ნიშნავდა, ყარაულის მოვალეობას შეადგენდა საყარაულო მიდამოებისათვის თვალყური ედევნებინა და საჭიროების შემთხვევაში მტრის მოახლოება, ანდა მისი მოძრაობა თავისიანებისათვის ეცნობებინა, რათა მათ თადარიგი დაეჭირათ. ყარაულს მეფე ლუარსაბ II დროინდელ (1607) საბუთი პირდაპირ მიუთითებს „შენ იცი შეყრა გზისა, გზები დაიცევით, თქვენ ქენით კაი რიგათ ყარალობა, თუ ჯარი ნახოთ გვაცნობეთ და არა დაიჭირეთ“.[64]

როგორც ვნახეთ, ავლაბარს ჰყავდა თავისი — ადგილობრივი მრავალსახოვანი მოხელენი, რომელნიც ემსახურებოდნენ, და ზედამხედველობას უწევდნენ, მეფის, დედოფლის, კათალიკოს — პატრიარხის, თუ ბატონიშვილების ავლაბარში მდებარე მამულებს, თუ აქ მოსახლე მათ ყმა-გლეხებს.

ავლაბართან დაკავშირებული ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალა, ავლაბარს წარმოგვიდგენს, როგორც მრავალდარგოვან სახელოსნო უბანს — ავლაბარში სახლობს და აქვე ხელოსნებს — თავის დუქან-სახელოსნოში, თუ ქურხანაში — ხურო, მკალავი, კუპრავი, ყაზაზი, მეთუნე, მეკრამიტე, მეაგურე, მეჭურჭლე.

ავლაბარში გაცხოვებულ აღებ-მიცემაზე მეტყველებს აქ არსებულ დუქანთა სიმრავლე, აღსანიშნავია, რომ დუქანი არა მარტო სავაჭრო პუნქტი იყო, არამედ აქვე მზადდებოდა ბაზარზე გასატანი საქონელი ე. ი. დუქანი სახელოსნოც იყო. ხშირად წყალობის წიგნში მთხოვნელს სახლთან ერთად დუქნის ადგილიც ეძლევა: „რადგან ტყეობიდან მოსული ხარ. ჩვენი ყრმობა მოინდომე. ჩვენს ავლაბარში. ჩვენს ყმად დაგადგინეთ. დუქნისა და სახლის ალაგიც გიბოძეთ“[65] (1788) ხელრთვა დაქეჯან დედოფალი.

დუქანს მიწის მუშა არ მოითხოვდა, ვფიქრობ, იგი ან ვაჭარია, ანდა უფრო სავარაუდოა, რომ ის იყოს ხელოსანი. ავლაბარში დუქან-სახელოსნოთა სიმრავლე გაპირობებული იყო ჯერ ერთი იმით, რომ ის ქალაქის უახლოესი უბანია, მეორეც ავლაბარში, რო-

გორც უკვე ვთქვით, მის გალავანში დატანებულ კართა მეშვეობით თავს იყრიდნენ სხვადასხვა მხრიდან წამოსული მგზავრნი.

ავლაბარს თავისი ბაზარიც აქვს. აქვე დგას ქარვასლა — შორიგზიდან მოსული მგზავრთა თავშესაფარი — სასტუმრო, ქარავნებით ჩამოტანილი აურაცხელი საქონელის საწყობი-სათავსო. „წიგნი... და: სიგელი დაგიწერე: და მოგეცი: მე: თავილადარ: ახვერდა: შვილმან: ზურაბამან: დავითამა შვილმან: ჩვენმან: ოჰნასემან: სოლომონამან: პეტრემან: მომავალმან: ჩვენმან: ყოველმავე: შენ: ფირულანთ. ნასრა. შვილს. გიორგის. შვილს. შენსა. ნაზარას.. მოგყიდე. ჩვენი: მკვიდრი. ალაოი. ნასყიდი. და ნაშენი. ჰავლაბარში. ქარვასლა. თავისი წინათ. დუქნები. თავისი ჰეზერებითა. თავის. თავლითა. თავის. წყლით. გზითა. თავისი. კარითა: და: წინა: მეიდნითა: თავისი. შესავალი. გამოსავალითა.. დაიწერა. თებერვლის ცამეტს. გასულს. ქ'კს უდ“66 (1716). საინტერესოა, რომ ორმოცდაცამეტი წლის შემდეგ 1769 წელს შედგენილ გასამყრელო სიგელით ვიგებთ, რომ ავლაბრის ამ ქარვასლის მყიდველ გიორგის შვილის ნაზარას შვილებმა ერთმანეთში შეუთანხმებლობის გამოისობით დავა ატეხეს, თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება გაიყვეს. აქ, სხვა ქონებასთან ერთად ავლაბრის ქარვასლაცაა ნახსენები.[67]

ავლაბარი თავისი მიწისზედა ხუროთმოძღვრული ძეგლებითაცაა მდიდარი. აქ იდგა და აწცა დგას ქართული მართლმადიდებლური და სომხურ-გრიგორიანული ეკლესიები. რადგანაც ჩვენ იმ თვალსაზრისს ვადგევართ, რომ მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესია, ავლაბრის ტერიტორიაზე არასოდეს მდგარა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ ავლაბრის ეკლესიათა სიაში არ შეგვაქვს. რასაკვირველია ისევე, როგორც ყველა ქართველს და მართლმადიდებელს, ავლაბრის მაცხოვრებელსაც შეეძლო აქ სალოცავად მოსვლა. შეიძლება ამან განაპირობა კიდეც, რომ გვიანობამდე ყოველშემთხვევაში XVII-XVIII საუკუნებამდე მაინც ავლაბარში ქართული ეკლესია არ აგებულა.

ზემოთ უკვე ვთქვით თუ ქალაქმა XIII XVI საუკუნეებში რამდენი გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. თბილისის შემოგარენი მოსახლეობისაგან იცლებოდა, დანაკარგის შევსება, ხელოვნურად უფრო ხდებოდა ხოლმე, ხიზანისა და ტყვეთ წასხმულთა უკან დაბრუნებულთა მეშვეობით. გავიხსენოთ როსტომ მეფის მიერ წოდორელ გლეხთა ავლაბარში გადმოსახლების ფაქტი. ქართველების გარდა უცხონიც მოდიოდნენ. გარეშე კაცი, უცხო მხარეში მოხვედრილი, ცდილობს გარემოს შეეწყოს, იგი თავისად აქციოს. ამის გამოხატვის საშუალება სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად ხდებოდა. ასეთ სათავისოდ გადაქცევის ერთ-ერთი გამოხატვაა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიების აგება თბილისსა და მის შემოგარენში და სხვ. ამიტომაა, რომ ქალაქში და მის სანახებში XVII-XVIII საუკ. ქართულ ეკლესიას, სომხური ჭარბობს.

ქართული ეკლესიიდან, რომელიც დღესაც დგას ძველ ავლაბარში, ესაა ერეკლე მეორეს მეუღლის, დარეჯან დედოფლის მიერ XVII საუკ. 70-იან წლებში აგებული კარის ეკლესია. ეკლესია „მოწამეთა ირაკლი და დარეჯანის“ სახელზე ყოფილა აშენებული. კარიჭაშვილს კატალოგში ეკლესიის აგების თარიღი 1789 წელია. „ყ-დ უსამღუდელო (სმან მიტროპოლიტმან ექსარხოსმან საქართველო (ჲ) სამან იოანემ მეორედ კურთხევითა მისითა შესცუალა ესე ტაძრად ფერისცუალებისა წელსა №. ესე არს მონასტრად დადებული, და არიან ამასა შინა მონაზონნი მემხოლონი“.

მოსე ჯანაშვილი აღნიშნულ ეკლესიის შესახებ მოგვითხრობს შემდეგს: „წმ. ირაკლისა და დარიას მონასტერი მეტეხის გორაზედ. ეს სასახლე მისის ეკლესიითურთ. შეიძინა ეგზარხოსმა თეოფილაქტემ და გამართა სასულიერო სემინარია და სამრევლო სკოლები — იონა მიტროპოლიტმა ( 1824 წ. 29 ოქტ.) ტაძარი აკურთხნა მაცხოვრის ფერიცვალობის მონასტრად“.

ეკლესია დღესაცაა უმოქმედოდ. ხოლო დარეჯან დედოფლის სასახლე ე. წ. „საჩონო“ გადაკეთებულია და შიგ მოთავსებულია 26 კომისრის რაიონული მუზეუმი.

ავლაბარში იდგა, დარეჯან დედოფლის კარის ეკლესიის მახლობლად წმ. მარიამის ქართული ეკლესია. მისი აგების თარიღი არაა ცნობილი. ეს ეკლესიაც მეორედ იონა მიტროპოლიტს უკურთხებია. „იონამ მეორედ კურთხევითა მისითა შესცჳალა იგი ეკლესიად მირქმისა... ამას ეკლესიისა შინა არის ერთი მღჳდელი“ (მირქმა) (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იოსე ქრისტესი).

ავლაბარში მდგარი სომხურ-გრიგორიანული ეკლესიებია — „ხოჯავანქის ასტვაწაწინა“ (ხოჯავანქის ღვთისმშობლის) „სურბ-კარაპეტას“ (წმ. კარაპეტა), „ლუსავორიჩი“ (გრიგოლ—განმანათლებელი), „კარმირ—ავეტარან“ (წითელი სახარება), „ეჩმიაწინი სურბ გევორქ“, „ძორაბაში სურბ—გევორქ“ (ხევისთავის წმ. გიორგი), „სურბმინას“ (წმ. მინასი).

დასახლებულ სომხურ ეკლესიებიდან ყველაზე ადრეულია ხოჯავანქის ასტვაწაწინი (XVII საუკ.) იგი თბილისის რეკონსტრუქციასთან და ძველი სასოფლოს პარკად გადაკეთებასთან დაკავშირებით აღებულ იქნა, ასევე აიღეს „სურბ-მინასას“ ეკლესია.

დარჩენილ ეკლესიებიდან მოქმედია, „ეჩმიაწინის სურბ გევორქის“ ეკლისია. იგი XVIII საუკ. დასასრულსაა აგებული, სომხეთის სოფელ ეჩმიაწინიდან ჩამოსახლებულ სომხების მიერ.

საქართველოში ქართული ხელისუფლების გაუქმების შემდეგ რუსმა ხელისუფლებამ 1802 წლის 12 ივლისს; უმაღლესი ხელისუფლებისადმი განსახილველად წარდგენილ „საქალაქო და სათემო პოლიციის“ დაარსების პროექტის პირველ პარაგრაფში ქალაქი თბილისი სამ ნაწილად დაყო. თვითეული ნაწილი თავისთავად კი ორ-ორ კვარტლად. პროექტის თანახმად, ავლაბარი ქალაქის მეოთხე ნაწილად ცხადდებოდა.

1803 წლისათვის ავლაბარში დარეჯან დედოფალს ეკუთვნოდა 137 კომლი ყმა-გლეხი, აქედან, ძველ ავლაბარში 10 კომლი ქართველი, 57 კომლი სომეხი, დავით ბატონიშვილს აქვე 11 კომლი, ფარნაოზ ბატონიშვილს ახალ ავლაბარში 4 კომლი.

ავლაბარში მდებარე ქართველ ბატონიშვილთა და სამეფო ოჯახის სხვა წევრთა მიწები XIX საუკ. დასაწყისშივე გადავიდა ხაზინის ხელში, ხოლო გლეხებს სახაზინო ყმა-გლეხები ეწოდათ.

1816 წელს ავლაბარი ირიცხებოდა ქალაქის მეორე საპოლიციო უბანში, მიუხედავად ამისა, ავლაბრელი ყმა-გლეხები კიდევ რამდენიმე ხანს სარგებლობდნენ აქ არსებულ სახაზინო მიწებით და ბეგარასაც იხდიდნენ კიდეც.

ამგვარად, ძველი თბილისის აღმოსავლეთით მდებარე, სახასო მამული, ავლაბარი თავისი ზვრებითა და ხოდაბუნებით, სამეფო მოხელეებით, დუქან-სახელოსნოებით და მრავალსახოვანი ხელოსნებით, ქალაქის შემოგარენში წარმოადგენდა ერთ-ერთ დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო უბანს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1 დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია. 1952, გვ. 104. შ. მესხია, იგივეს ამბობს 1958 წელს გამოცემული თბილისის ისტორიაში გვ. 31.

2 მ. ლორთქიფანიძე, ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 163-164.

3 V. Minorsky, Transcaucasica, Journal Asiatigve, Jullet—September, 1930, გვ. 58.

4 ო. ცქიტიშვილი, ძველი თბილისის ისტორიიდან (ისნის საკითხისათვის) საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 6, გვ. 147.

5 იოანე საბანის ძე, მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 73.

6 ქს ცხ, ტ. II, 1959, გვ. 31.

7 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

8 ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ძალისა — თბილისი — ფაიტაკარანი, თსუ 1500 წლის კრებული, 1958, გვ. 38.

9 მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 164, ო. ცქიტიშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 160.

10 СМОПМК, вып. 29, стр. 8, вып. 38, стр. 89.

11 В. Цинцадзе, Тбилиси, 1968, стр. 37.

12 შ. მესხია.. თბილისის ისტორია, 1958, გვ. 34.

13 СМОПМК, 1908, вып. 38, стр. 8.

14 ქ. ს, ცხ, I, 1955, გვ. 299-300.

15 ქ'ს, ცხ, II 1959, გვ. 24.

16 ჟამთააღმწერელი, ქ'ს, ცხ. II, 1959, გვ. 272.

17 ვახუშტი, აღწერა... გვ. 53.

18 თსსა, კოლექც. 1448, საქმე 9128.

19 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1970, გვ. 176.

20 ქრონიკები II, 1897, გვ. 383.

21 ქრონიკები II, გვ. 400.

23 თსსა, კოლექც. 1449, საქმე 1630.

23 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1974, გვ. 439.

24 ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, საქ-ს ისტ. საკითხები, 1, 1964, გვ. 319.

25 თეიმურაზ ბაგრატიონი, ტფილისისათვს, ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კავკასიის განყოფილება, ЛОИВ АН СССР, ფ-E—86.

26 ს. ჯანაშია, მოკლე ისტორიული ნარკვევი, თბილისის საიუბილეო კრებული, 1946, გვ. 18.

27 დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952, გვ. 110, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, აკ. სურგულაძე, თბილისის ისტორია 1958, გვ. 355.

28 Н. Бадриашвили, Тбилиси, 1957, стр. 26.

29 Персидско-русский словарь, сост. Б. В. Миллер, М., 1953, Арабско-русский словарь, сост. Х. К. Баранов, М., 1970.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[30] Персидско-Русский словарь составил Ягелло, Ташкент, 1910, стр. 227.

[31] Персидско-русский словарь, сост. Мирза Абдулла Гафааров, М., 1914, стр. 89., Персидско-русский словарь, сост. Миллер, М., 1953.

[32] Материалы по истории территориального развития города Тифлиса, записки об Авлабаре и авлабарских землях. თსსა, ფ. 29, აღწ. 1. საქმე 638, გვ. 153.

[33] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, 1955, გვ. 320, 335.

[34] თსსა, კოლექცია 1448, საქმე 547.

[35] ქართულ-სპარსული საბუთები, წ. I, ნაკვ. I, გვ. 244-5.

[36] ქართული ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad—2246

[37] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, 1913, გვ. 8.

[38] თსსა, კოლექცია, 1449, საქმე 2328.

[39] იქვე, გვ. 2330

[40] ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 868—869.

[41] დოკუმენტები საქართველოს სოც-რ ისტორიიდან, 1, 1940, გვ. 215.

[42] თსსა, კოლექცია 1448, საქმე 1448.

[43] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S — 3729.

[44] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისათვის, 1, 1952, გვ. 211—216.

[45] თსსა, კოლექცია, 1450, დავთ. 4, საქმე 183.

[46] იქვე, 1448, საქმე 1663.

[47] საქ. სიძვ. II,1909, გვ. 550.

[48] თსსა, კოლექცია 1448, საქმე 9699.

[49] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომ, I, გვ. 394-409

[50] თსსა, კოლექცია 1450, დავთ. 23, საქმე 32.

[51] თსსა, კოლექცია, 1448, საქმე 7483

[52] თსსა, კოლექცია, 1448, საქმე 9709

[53] საქ. სიძვ. III, 1910, გვ. 250.

[54] თსსა კოლექცია, 1448, საქმე 1452.

[55] იქვე, საქმე 8710.

[56] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd-14966.

[57] ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 671.

[58] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

[59] ქართული სამართლის ძეგლები, გვ. 672.

[60] დასახ. ნაშრომი, გვ. 677.

[61] დასახ, ნაშრომი, გვ. 511.

[62] ქართლის სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 602.

[63] თსსა, კოლექცია, 1448, საქე 4837.

[64] პარიზის ქრონიკა, გვ. 27.

[65] თსსა, კოლექცია, 1448, საქმე 438.

[66] ლეონ მელიქსედ-ბეგი, მასალები თბილისისა და „სომხეთის“ სიძველეთა ისტორიისათვის, „ჩვენი მეცნიერება“, სამეცნიერო კრებული, 1916—1923, № 1, გვ. 86.

[67] მოსე ჯანაშვილი, საქ-ის დედაქალაქი თბილისი, 1899, გვ. 184.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა ჯაფარიძე

# თამაზ ნატროშვილი:— „მაშრიყით მაღრიბამდე"

ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე დონე, ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლის დროს, აუცილებლად მოითხოვს უცხოური ისტორიული წყაროების გათვალისწინებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქართული წყაროების ცნობები ყოველთვის არ არის ამომწურავი და საკმარისი ამა თუ იმ ეპოქის, ამათუ იმ ისტორიული ეპიზოდის სრული დახასიათებისათვის. ქართველი ისტორიკოსი ვალდებულია გაეცნოს უცხოურ ისტორიულ წყაროებსაც და მარცვალ-მარცვალ შეკრიბოს ის ცნობები, რომლებიც საქართველოს ისტორიულ წარსულს შეეხება.

მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ მკვლევარის დიდი და საპატიო შრომა სამუდამოდ რჩება სპეციალისტთა ვიწრო წრის საკუთრებად და არ არის ხელმისაწვდომი ფართო მკითხველისათვის. ამის გამო ჩნდება აუცილებლობა იმისა, რომ სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გარდა დიდი ტირაჟით გამოიცეს სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურაც, რომელიც ფართო მკითხველს პირუთვნელად, ობიექტურად და ამავე დროს საინტერესოდ მიაწვდის ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს. კვალიფიციურად შესრულებული ამგვარი ლიტერატურის შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა დიდია და ის ადვილად პოულობს მკითხველის გულის გასაღებს.

ამის შესანიშნავი დადასტურებაა თამაზ ნატროშვილის საინტერესო წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე" (გამომცემლობა „განათლება" 1974), რომელიც გამოსვლისთანავე სწრაფად გაჰქრა წიგნის ბაზარზე. თ. ნატროშვილის წიგნი შედგება 27 ნარკვევისაგან, რომლებშიც მოცემულია ეპიზოდები და პორტრეტები ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან. ნარკვევები ეყრდნობა ძირითადად უცხოურ წყაროებში დაცულ მასალას, რომელიც ავსებს და ამდიდრებს ჩვენს მატიანეებში შემონახულ სხვადასხვა ცნობას. გამოყენებულია მრავალი აღმოსავლური და ევროპული წყარო, მათ შორის დღემდე გამოუქვეყნებელი ხელნაწერი რელაციები იტალიელი მისიონერებისა.

თვითეული ნარკვევი დაწერილია არა მარტო პირველწყაროების საფუძველზე, არამედ სოლიდური სამეცნიერო გამოკვლევების გათვალისწინებითაც. წიგნის ფურცლებზე ფიგურირებენ მარქსიზმის კლასიკოსები და გამოჩენილი მკვლევარები: ჰამერი და ბრაუნი, ბ. ლუისი და დ. ლენგი, ივ. ჯავახიშვილი და ვ. გაბაშვილი... ამასთან ერთად ნარკვევების მთავარი და ნიშანდობლივი თვისებაა თვითეულის უაღრესად ორიგინალური და თავისთავადი ხასიათი.

მკითხველს საშუალება ეძლევა პირველად გაეცნოს ქართველ ელჩებს იოანესა და იაკობს, რომლებმაც მონღოლთა ყაენის აბაღას დავალებით იმოგზაურეს ევროპის ქვეყნებში 1277 წ., მოგზაურ დემეტრე თბილელს, რომელმაც ფრანცისკანელ მისიონერებთან ერთად ინდოეთში დაასრულა თავისი სიცოცხლე,, მომხიბლავ ქართველ ქალს თინათინს (მარიუჩას), რომელიც გამოჩენილი იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცხოვრების თანამგზავრი გახდა.

ახალი შტრიხებით ივსება გიორგი სააკაძის მღელვარე ცხოვრება. თ. ნატროშვილს მოხმობილი აქვს ნიკიფორე ირუბაქიძე—ჩოლოყაშვილის (ირბახის) იტალიურ ენაზე დაწერილი დღემდე სავსებით უცნობი რელაცია. ირკვევა, რომ მარტყოფის ძლევამოსილი აჯანყების შემდეგ ხალხს სურდა დიდი მოურავის მეფედ გამოცხადება, მაგრამ თვით მან არ ინება. ამბობდა, რომ სამეფოს უნდა ჰყავდეს კანონიერი მეფე და საერთო კეთილდღეობისათვის

მოუწოდა გარდახვეწილ თეიმურაზს დაბრუნებულიყო საქართველოში. თურმე შაჰ აბასსა და ყიზილბაშებს სხვა აღარავინ შეეძლოთ ეხსენებინათ უფრო დიდი სიძულვილით, ვიდრე გიორგი სააკაძე. შაჰს საჯაროდ დაუფიცებია, ნახევარი სამეფო ებოძებინა მისთვის, ვინც დატყვევებულ მოურავს ისპაანში მიჰგვრიდა.

დიდი სიმპათიით არის გამსჭვალული ავტორი გიორგი XI-ის მიმართ („ქართული ლექსიკონი ყანდაარში"). გიორგი XI-მ თავისი სიცოცხლე ავღანეთში დაასრულა, მაგრამ როგორც აღნიშნავს ავტორი: „უცხო მხარეში დაღვრილმა სისხლმა მაინც გაუწია სამსახური სამშობლოს. გიორგი XI-მ თავისი მოღვაწეობით ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე უშიშროება მოუხვეჭა ქართლს და დაასვენა ომებისგან"... „ათი წლი მანძილზე ენერგიულად იღვწოდა ქართლში მეფის მოადგილედ დანიშნული ვახტანგი. მისი თაოსნობითა და გარჯით ამ დროისთვის არნახული გაქანება მიიღო ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურმა აღმავლობამ", (გვ. 198).

და კიდევ რამდენი, საქართველოსთან დაკავშირებული ისტორიული პიროვნება ცოცხლდება თ. ნატროშვილის წიგნის ფურცლებზე: იერუსალიმის მეფე ბალდუინ II, და დიდგორში ძლეული ნაჯმ ად-დინ ილღაზი, საქართველოს დიდი გულშემატკივარი პიეტრო დელა ვალე და იოსებ ქართველი, რუსეთის არტილერიის ფელდცეხმეისტერი ალექსანდრე ბაგრატიონი და ისპაანის ტარუღა, ყანდაართან დაღუპული ქაიხოსრო ბაგრატიონი, ხოსრო ბატონიშვილი, (როსტომ მეფე). და ვახტანგ VI, სულხან საბა ორბელიანი და რუსეთის არმიის მამაცი პოლკოვნიკი ლევან სავარსამიძე! ქართული ხალხური პოეზიისა და უცხოური წყაროების საფუძველზეა დახატული ზურაბ არაგვის ერისთავის სისხლიანი პორტრეტი.

მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული ენით არის დაწერილი და ფართო მკითხველისათვის არის გამიზნული, ბევრი ნარკვევი ქართული ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია. რიგ შემთხვევაში თ. ნატროშვილი გვთავაზობს სრულიად ახალ მასალას ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ზოგჯერ ახლით ამდიდრებს უკვე არსებულ ცნობებს, ანდა ახლებურ ანალიზს უკეთებს ძველ ფაქტებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ ნარკვევი „მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა", სადაც თ. ნატროშვილი ასაბუთებს დავით აღმაშენებლის კავშირს ჯვაროსნებთან და კერძოდ იერუსალიმის მეფესთან ბალდუინთან დიდგორის ომის წინ, რაც ხსნის ილღაზის საქართველოზე ლაშქრობის ერთ-ერთ მიზეზს.

საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს თ. ნატროშვილი ერთ დროს მრისხანე ასასინთა (ისმაილიტთა ანუ მულიდთა) ორდენის ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ცნობებს ის ახალი ფაქტებით ავსებს, რაც ამ საკითხზე მისი მრავალწლიანი მეცნიერული მუშაობის შედეგია. იგივე ითქმის იოსებ ქართველზე. იოსებ ქართველის თხზულებები „სპარსეთის რევოლუციების შესახებ", რომელთა ნაწილი ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის, საფუძვლად დაედო XVIII ს. არა-ერთი ევროპელი ისტორიკოსის შრომას. იოსებ ქართველის სახელი ქართველ მკითხველს პირველად პროფ. ვ. გაბაშვილმა გააცნო. თ. ნატროშვილის სპეციალურმა კვლევა-ძიებამ, რაც სარეცენზიო წიგნშიც აისახა („ვინ იყო იოსებ ქართველი") ახალი მასალებით გაამდიდრა ამ შესანიშნავი პიროვნების მოღვაწეობა.

„ერთი ლაშქრობის საიდუმლოება" თეიმურაზ I-ისა და დაუდ ხან უნდილაძის მიერ ირანის სამფლობელოების განჯა-ყარაბაღის დარბევას ეხება, რაც იყო „უმაგალითო ეპიზოდი სეფიანთა სახელმწიფოსა და საქართველოს ურთიერთობის არც თუ ხანმოკლე ისტორიაში". ქართველ მკვლევართა ნაწილის აზრით ეს ლაშქრობა გაბედულ, მაგრამ წინდაუხედავ ნაბიჯად არის მიჩნეული, არქანჯელო ლამბერტის დღემდე გამოუქვეყნებელ ერთ ცნობაზე დაყრდნობით თ. ნატროშვილი ნათელს ხდის, რომ თეიმურაზის ლაშქრობა იყო არა ავანტიურა, არამედ კარგად მოფიქრებული აქცია. ის ემყარებოდა როგორც დაუდ ხან უნდილაძესთან, ისე მის ძმასთან, ფარსის ძლიერ გამგებელ იმამ ყული ხანთან კავშირს. ეს კავშირი უაღრესად სახიფათო იყო ირანის შაჰისთვის და კარგად დაწყებული საქმე მხოლოდ იმამ ყული ხანის პასიურობამ ჩაშალა.

ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე აღზევებულ უნდილაძეთა საგვარეულოს საპატიო ადგილი უჭირავს წიგნში, აქ წარმოდგენილია, როგორც დაუდ ხან უნდილაძე — განჯისა და ყარაბაღის გამგებელი, ისე ფარსის გამგებელი იმამ ყული ხანი, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. და განა მარტო უნდილაძეებმა! ირანის სოლიტიკურ ასპარეზზე არა ერთმა ქართველმა გამოიჩინა თავი. უცხოეთს შეალიეს თავიანთი ენერგია სამშობლოს მოწყვეტილმა ქართველებმა. ჩვენის სამშობლოს უკუღმართი წარსული აიძულებდა ქართველ უფლისწულს ქაიხოსრო ბაგრატიონს ეზრუნა ისპაანში შიმშილის ლიკვიდაციაზე, გიორგი XI-ს — დაეშოშმინებინა ავღანთა მღელვარება, ხოლო როსტომ ყულარ-აღასს — ავღანთა შემოსევისაგან დაეცვა ირანის დედაქალაქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილი ისტორიული მოღვაწეების გვერდით წიგნში დიდი ადგილი უჭირავს უბრალო ხალხს, ისტორიის ჭეშმარიტ შემოქმედს. სწორედ უბრალო ქართველი ადამიანის დიდი სიყვარულით არის გამსჭვალული ნარკვევები „მანდ რომ ქალი დავიკარგე“ და „არა ხმლით მხოლოდ“. ახალ ჟღერადობას იღებს თქმულება კარალეთელ ქალზე, რომელმაც შაჰის სასახლის ძვირფას ქვეშაგებს მშობლიური სოფლის ჩალა ამჯობინა. ანდა მე-18 ს. ინგლისელი პოეტის უილიამ კოლინზის ლექსი, სადაც ქართველ ქალთან შაჰ აბასის გამიჯნურებაა გადმოცემული.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ სტრიქონები იმ ქართველ მშრომელ ადამიანებზე, რომლებიც შორეულ ირანში, იძულებით გადახვეწილები, არა მარტო ხმლით, არამედ სხვა საქმიანობითაც ამტკიცებდნენ თავიანთ მეობას. პიეტრო დელა ვალეს ცნობით ბაღების მოვლა-გაშენებაში ირანში მყოფი ქართველები სპარსელებზე უფრო გამოცდილები ყოფილან. შირაზის სახელგანთქმულ ბაღების მოვლა-პატრონობას ანდობდა ფარსის გამგებელი იმამ ყული ხან უნდილაძე ქართველ ხუცესს გიორგის, რომელსაც ხანდახან ისპაანშიც კი გზავნიდა, რათა სეფიანთა სახელმწიფოს ბაღებისთვის მიეხედა მას, ირანში გადახვეწილი ქართველები არც ვენახს ივიწყებდნენ და მათ მიერ გამოყვანილი „შირაზული“ ყურძნის ჯიში განთქმული იყო. ქართველ ვაჭარს შემოუტანია პირველად ირანში იმ დროისთვის ფრიად უცხო და ეგზოტიკური ფრინველი — ინდაური...

სამშობლოს დიდი სიყვარული თან სდევდა ქართველს უცხოეთში, წმინდათა-წმინდა იყო მამა-პაპათა ანდერძი: ნუ გათათრდები! მისმა შეუპოვარმა ბრძოლამ დაამსხვრია მაჰმადიან მოძალადეთა იმედები დაეპყროთ ჩვენი ქვეყანა. ამ ბრძოლაში საბოლოო სიტყვა რუსეთთან შეერთებამაც თქვა. სწორედ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას ეხება სარეცენზიო წიგნის ბოლო ნარკვევი „დელი-კნიაზი“.

უბრალოდ შეუძლებელია, თ. ნატროშვილის წიგნში გამოჰყო რომელიმე ნარკვევი და რომელიმეს მიანიჭო უპირატესობა. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი ქრონოლოგიურად დიდ პერიოდს (XII-XIX სს) მოიცავს და მოქმედება ასევე ვრცელ გეოგრაფიულ არეალზე (მაშრიყით-მაღრიბამდე, ე. ი. აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე) ვითარდება, ის ერთ მთლიანობას წარმოადგენს, დაწერილია უაღრესად საინტერესო, კვალიფიციურად და შეუნელებელი ყურადღებით იკითხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი პუბლიკაცია

სიმონ ჩიქოვანი

## გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი 60 წლის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა

გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი დღევანდელი საღამო მთელი ქართული საბჭოთა პოეზიის დღესასწაულია. ჩვენი პოეტის ყველა შემოქმედებითი გამარჯვება, მთელი ქართული მწერლობის გამარჯვებაა, ქართული პოეზიის სიხარულია. იგი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული მწერლობის მტკიცე მესაჭეთაგანია. „ოლეს“ ავტორის მუზა ქართული სულის პოეტური გამართლებაა და პოეტის ფხიანი და ფრთიანი სტრიქონები საქართველოს ბუნების მშვენების ანარეკლია. საქართველოს წარსული და აწმყო მის პოეზიაში დღე და ღამესავით დაწყვილებულან და მკითხველის გულისყური დაუპყრიათ. კახეთის ზვრები და ქართლის ბაღები, კოლხეთის ნარინჯოვანი ველები, საქართველოს მთის ლაჟვარდები და ზღვის ჭავლები დახვეწილ პოეტური ხაზებით და მიმზიდველი ფერებით აღბეჭდილია გიორგი ლეონიძის ხატოვან სტრიქონებში. მისი საუკეთესო ლექსები თითქო მზეს ეთამაშებიან საქართველოში.

გიორგი ლეონიძის პოეტურ სიმღერაში ქართველი ხალხის გმირული წარსული მოულოდნელი პოეტური ხილვითაა გაცოცხლებული. მისთვის საქართველოს გმირული წარსული აღტაცების და ხოტბის საგანია. მისი პოეტური ხილვები მისი დიდი პოეტური გაქანების მაჩვენებელია:

**მოსჩანს სამშობლო ივრის ვაზები,**
**როგორც სასანთლე გაჩაღებული,**
**შორიდან რაზე მელამაზები,**
**გული მაქვს გულთან დაჯახებული.**
**ნუ გამინათებ, ნურც გამიჩაღებ,**
**ირმის ნახტომებს ვემარტოვები,**
**შავს ყურგანებში სძინავს ყივჩაღებს,**
**თავქვეშ უგიათ თოქალთოები.**
**სიზმრად ხედავენ რომის პალატებს,**
**გარმონს უკრავენ დონის ქალები,**
**დარიალს ველარ შემოანათებს**
**მათი ჭიხვინა ცხენის ნალები.**

წარსულის ასეთი მეტაფორული ათვისებით ამ ლექსის ავტორმა თავისებურად აღიქვა სამშობლოს თავგადასავალი და ვაჟკაცური შეძახილით დააბოლოვა მომხიბლავი პოეტური ნახატი: „დარიალს ველარ შემოანათებს მათი ჭიხვინა ცხენის ნალები“-ო. გიორგი ლეონიძე ისე ეხმიანება ყველა ისტორიულ გმირს თუ ხუროთმოძღვრულ ძეგლს, თითქო ისინი პოეტის პირადი ცხოვრების მონაწილენი ყოფილან ოდესღაც და გულში ჩამწვდენი მოგონებები დაუტოვებიათ მისთვის. ჩვენი პოეტის ისტორიულ თემებზე დაწერილ ლექსებს მოყვება ნანგრევთა სურნელება და აღრინდელი ქართლის ბედის უკუღმართობით გამოწვეული ხვაშიადი.

მისი სატრფიალო ლექსებიც უმთავრესად ამ ისტორიულ ფონზეა გაშლილი და რომანტიკულად შეფერილი, მაგრამ „ნინოწმინდის ღამეს“ ავტორის პოეტური სურათი მუდამ ხელშესახები და ცხოველმყოფელია,

**როგორც ხმალი, ძმებო ტამერლანისა,**
**სიყვარული ისე დამჯახებია.**
**მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს**
**და სიყვარულს ათაბაგის ქალისას.**
**ძუძუები ოქროს კალმახებია,**
**წამწამები აქვს თავთუხის ყანისა.**
**წინანდალის ვარდი აყვავებული**
**ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,**

აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ მაყვალს შედარებული.

ეს არის ნამდვილი ჭეშმარიტი შთაგონებით დაწერილი ლირიკული შედევრი. ეს ლექსი თითქო ბიოგრაფიულად განცდილია და პოეტის პირადი ცხოვრების უშუალო ანარეკლია. და რამდენი ასეთი შედევრი შესძინა გიორგი ლეონიძემ ქართულ პოეზიას. ასევე ქართული პოეზიის ერთ-ერთი ლირიკული შედევრია მისი ლექსი „ნინო ჭავჭავაძეს“. წარსულში ბრწყინვალე ლექსები უძღვნეს ნინო ჭავჭავაძეს გრიგოლ ორბელიანმა და იაკობ პოლონსკიმ. ნინო ჭავჭავაძე იყო ქართული და რუსული პოეზიის მუზა, მაგრამ გიორგი ლეონიძემ თავისი ლირიკული ამღერებით სრულიად ახალი, მომხიბლავი აღსარება უთხრა ნინო ჭავჭავაძეს:

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება.
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება.

ისტორიული წარსული ჩვენი პოეტის ლირიკული გმირია და მისი სულის განუყრელი თანამგზავრი. ნინო ჭავჭავაძეც თითქო პოეტის თანამედროვეა და არა წარსულის აჩრდილი. „ნინოწმინდის ღამე“-ს ავტორის მიერ ისტორიული წარსულიდან ამოყვანილი სახეები ფრესკების დარად გვევლინებიან და ისინი პოეტის წრფელი ხმის მეშვეობით მკითხველის მუდმივი თანამგზავრები ხდებიან. ჩვენი პოეტი, უპირველეს ყოვლისა, ლირიკული მონოლოგის მთქმელია და არა მთხრობელი. მისი ნათელი, შინაგანად უშუალო ლირიკული ბუნება შორეულად აკაკი წერეთლის შთაგონებას ენათესავება. საქართველოს ისტორიულ წარსულშიც იგი აკაკი წერეთელივით მოშინაურებულია. მისი პოეტური აზროვნება ლაპიდარულია და შემართებითი. როგორც აკაკი წერეთლის, ისე მისი ლირიკული სამყაროც მზიურია და მკაფიო. იგი ეყრდნობა წრფელი პოეტური ხმის მომხიბლაობას. როგორც ყველა ჭეშმარიტ ხელოვანს, ზოგჯერ შემოქმედებითი იჭვი გიორგი ლეონიძესაც სწვევია და ალბად ასეთ დროს წამოუძახნია: საკალმახე წყალივით ლექსი ვერ გავაწკრიალეო, მაგრამ იგი მაინც ცხოვრებაზე შეყვარებული პოეტია, ახალგაზრდული ხალისით სავსე შემოქმედია, იგი თავის ტალანტში დაჯერებულია და პოეზიაში მუდამ გახარებული და აღტაცებული გვევლინება. ცხოვრება მისთვის პოეზიაა და პოეზია მისთვის ცხოვრების სიტკბოებაა. იგი გულუხვი და ხელხვავიანი სიტყვის ოსტატია. მისი პოეტური ინტონაციაც შემართებითია და შემტევი. ეს შემართება, რიხიანობა თუ ომახიანობა, როგორც პოეტური მეტყველების სტილიური თვისება შეჭრილია პოეტის შემოქმედებაში. მოწყენილი და დაწყნარებული საუბარი გიორგი ლეონიძის პოეზიას არ ეგუება, მისი ლირიკული ინტონაცია მაჟორულია და მაღალ კეთილშობილ პათოსზეა დამყარებული. „ოლეს“ ავტორი დიდი ხანია პოეზიის მძიმე უღელს ეწევა და მან შექმნა საბჭოთა პოეზიაში დამოუკიდებელი პოეტური სამყარო, იგი საკუთარი, გამოკვეთილი ხელისმქონე ხელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიაში ეროვნული ძირების ძიებამ იგი შეიყვანა ქართული ხალხური შემოქმედების სალაროში და მისი სულიერი ცხოვრება იქიდან მიღებული შთაბეჭდილებებით და გამოცდილებით გაამდიდრა. მის პოეტურ ხმას ხალხური შემოქმედების ნიადაგმა თავისებური, ეროვნული სინედლე მიანიჭა, განსაკუთრებული, მიმზიდველი ხალხური კოლორიტი შეუქმნა. შეიძლება ითქვას გიორგი ლეონიძე ქართულ საბჭოთა პოეზიაში დიდი კოლორისტია. ამ თვისებით იგი გრიგოლ ორბელიანს ეხმიანება, მაგრამ მისი თავისებურება მაინც განსაკუთრებულია. მართალია, გიორგი ლეონიძის პოეზიის კოლორიტი აღმოცენებულია კახეთის ზვრების, ტყეების და მთების წიაღში, კახეთის ფერების ქრიამულში, მაგრამ იგი ზოგადქართულია და ზოგადეროვნული. ეს ეროვნული ხალხური კოლორიტი საოცარ მომხიბლაობას ანიჭებს მის პატრიოტულ და სატრფიალო ლირიკას. „ყივჩაღური პაემნის“ ავტორის პოეტური ენის ქსოვილიც ხალხურია, მუდამ მომხიბლავი და მიმზიდველი. იგი ვაჟა ფშაველას დარად პოეტურ მეტყველებაში ხალხურ ლექსიკას და ხალხურ ფრაზეოლოგიას ეყრდნობა. გიორგი ლეონიძეს ხანდახან უყვარს გაურანდავი სიტყვის შემოტანა და ამ სიტყვის პირველყოფილობის ან დაკარგული სემანტიკის აღდგენა. მას უყვარს სიტყვის გაუტეხელ ყამირთან შეჭიდება და გაუხედნავი სიტყვის არტისტული დამორჩილება. გიორგი ლეონიძემ, როგორც სიტყვის ბრწყინვალე არტისტმა ადრე მოხიბლა ქართველი მკითხველი და საბჭოთა სინამდვილის თავდადებული მომღერალი გახდა:

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე,
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე...

ამ პოეტური დეკლარაციის შემდეგ იგი ავიდა კომუნიზმის ხარაჩოებზე და საბჭოთა სინამდვილე მრავალგზის მომხიბლავად ასახა, და იგი მრავალტანჯულ საქართველოს წარსულს დაუპირისპირა:

---

**სიმონ ჩიქოვანი**

## გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი 60 წლის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მაჟრჟოლებს ჩემი დიდი დროება,
დავინახე ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე მეხმა როგორ გააპო,
საქართველოს საუდრეკი მყუდროება-ო.

და იგი ახალ საქართველოს ეუბნება:

სამშობლოვ, შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი...

ასე დიდი სიყვარულით უგალობს იგი სამგორის მშენებლებს, პატარძეულის ელექტროსადგურს, აჭარის ნარინჯოვან ველებს და განახლებულ თბილისის განთიადებს. პოეტმა იცის, რომ „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“, ამიტომ იგი მარად ინარჩუნებს სულის სიჭაბუკეს და ქართულ სიტყვას ახალგაზრდული გატაცებით ეტრფიალება, პატრიოტული გრძნობაც გულში ჩაფესვია და მისი პოეტური სული სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილა.

იგი დღეს ღვაწლმოსილი და ჭაბუკური ხალისით ხვდება სულში სამოცი წლის შემობრძანებას. მთელი ქართული მწერლობა, მთელი ქართული პოეზია დიდი სიყვარულით მიესალმება მას და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ვუსურვებთ ქართული საბჭოთა პოეზიის მშვენებას, საყვარელ ძმას და მეგობარს, გიორგი ლეონიძეს.

# ჟურნალ „ცისკრის" 1975 წლის ნომრების შინაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რომანი, მოთხრობა, ნოველა, თარგმანი

**აბაშიძე მერაბ** — აქეთ მაშხალები, კვაზიმოდო (მოთხრობა), № 4.

**აბულაშვილი თემურ** — ჩიტები უფასოდ (მოთხრობა), № 10.

**ადეიშვილი ავთანდილ** — ზელიმხანი მოვიდა (მოთხრობა), № 8.

**ამირეჯიბი ჭაბუა** — დათა თუთაშხია. წიგნი II. (რომანი), № 1, 2, 3.

**ამისულაშვილი შალვა** — პალოებზე დაბმული თვითმფრინავები (მოთხრობა), № 11.

**ბალარჯიშვილი ბაადურ** — მოთხრობები, № 7.

**ბატიაშვილი ნელი** — ხვალ აღარ იქნება თოვლი (მოთხრობა), № 8.

**ბრეგვაძე ლალი** — ბოლო ღამე (მოთხრობა), № 3.

**ბერაძე გივი** — მოთხრობები, № 7.

**ბიბილური თამაზ** — მოთხრობები, № 6.

**ბუთხუზი გივი** — ფუძის ანგელოზი (მოთხრობა), № 9.

**გალდავაძე ავთანდილ** — მოთხრობები, № 7.

**გიორგაძე ედიშერ** — თვლებზე (მოთხრობა), № 3.

**ვადაჭკორია შოთა** — მზის თვალი (ნაწყვეტი რომანიდან), № 9.

**თოფურიძე ჯემალ** — ნუციკო ემხვარი (ჭაშნიკი), № 4.

**ინანიშვილი რევაზ** — ძალიან პატარა დიდ ქვეყანაში (ასფურცელას რვეული), № 6.

**კეკელიძე თენგიზ** — მოთხრობები, № 9.

**თეიმურაზ მაღლაფერიძე** — „გაულ გავხე" (მოთხრობა), № 12.

**მალაზონია ლევან** — მაღლა, მაღალ მთაზე და ქვევით (მოთხრობა), № 2.

**მიშველაძე რევაზ** — ნოველები, № 10.

**მჭედლიძე ნანა** — მოთხრობები, № 8.

**ნაკაშიძე კონსტანტინე** — პური (ჭაშნიკი), № 4.

**ნაჭყებია რევაზ** — დაქალები. (ჭაშნიკი), № 4.

**რურუა ილია** — მინიატურები, № 4.

**სულაკაური არჩილ** — პაწაწინა ნიგვზის ტოტი (მოთხრობა), № 7.

**სეირანიანი ბენიკ** — ხევ-ხევ წვიმა მიიპარება (მოთხრობა), სომხურიდან თარგმნა მარინე მამაცაშვილმა. № 5.

**სხირტლაძე გურამ** — წვიმა (მოთხრობა), № 2.

**სვანი თამარ** — დაბრუნება (მოთხრობა), № 3.

**ტაბატაძე კარლო** — გასეირნება ზღვაზე (მოთხრობა), № 1.

**ურჯუმელაშვილი ვანო** — მოსკოვი ქვეყნად ერთია (რამდენიმე თავი რომანიდან), № 5.

**ქვლივიძე მიხეილ** — ტულიპები (მოთხრობა), № 7.

**შამანაძე ნოდარ** — ეპიზოდები ხათრიანი კაცის ცხოვრებიდან (ასფურცელას რვეული), № 6.

**ჩხიკვიშვილი ავთანდილ** — გაზეთის მეოთხე გვერდზე (მოთხრობა), № 2.

**ჭელიძე ვახტანგ** — ქართლის ცხოვრების ქრონიკები, № 6.

**ჭეიშვილი გოდერძი** — მოთხრობები, № 7.

**ჭილაია სერგი** — მე და ჩემი პროფესორი (წიგნი II), № 8, 9.

**ჭილაძე ოთარ** — ყოველმან ჩემმან მპოვნელმან... (რომანი), № 10, № 11, № 12.

**ჭინჭარაული ხოსო** — მოთხრობები, № 9.

**ჭუბაბრია ზურაბ** — მოთხრობები (ჭაშნიკი), № 4.

**ხორგუაშვილი გიორგი** — არამკითხე ჭირისუფალი (მოთხრობა), № 11.

**ჯაფარიძე ნანა** — დალი, სოზარი და ლემი (მოთხრობა), № 8.

**ჯოხაძე გივი** — კოწოლა (მოთხრობა), № 5.

## ლექსები, პოემები

**აბულაშვილი ანზორ** — ლექსები, № 6.

**ალხაზიშვილი გივი** — ლექსები, № 11.

**ასათიანი ლია** — ლექსები, № 11.

**ბაზაძე ირაკლი** — პატარა თოჯინას ბალადა (ლექსი), № 11.

**ბედიანიძე დალილა** — ლექსები, № 9.

**ბოლქვაძე ზაურ** — ლექსები, № 5.

**გოცაძე იზა** — ლექსები, № 3.

**ვასაძე აკაკი** — ლექსები, № 7.

**ივარდავა დილარ** — ლექსები, № 7.

**იანაკოპულუ ფოტულა** — ლექსები. თარგმნეს თეიმურაზ ჯანგულაშვილმა და **ნელი გაბრიჩიძემ**, № 3.

**კალაძე კარლო** — ათი საათი პარიზის დროით (ლექსები), № 4.

**კახიძე მედეა** — ლექსები, № 9.

**კიტია ნაზი** — ლექსები, № 3.

**კვიტაიშვილი ემზარ** — ხე ცხოვრებისა (პოემა), № 8.

**კვინტრაძე ქეთინო** — ლექსები, № 3.

**კობერიძე ნუგზარ** — ლექსები, № 6.

**ლორთქიფანიძე ვასო** — მამულის მთებში ნათქვამი (ლექსი), № 2.

**მებურიშვილი ტაგუ** — ლექსები, № 1, № 12.

**მინდაძე ბიძინა** — ჩემი სიმღერა და სამძიმარი (ლექსი), № 6.

**მირნელი მირიან** — ლექსები, № 12.

**მკერვალიშვილი რუსუდან** — ლექსები, № 3.

**მელიქიძე ცისანა** — გული (ლექსი), № 9.

ნარიმანიძე სილოვან — ლექსები, № 12.

ნეკერიშვილი ნაილი — ლექსები, № 10.

ონელი არნო — ლექსები, № 1.

როსტომაშვილი ნინო — ლექსები, № 3.

სულაბერიძე ლადო — ლექსები, № 12.

სულაკაური არჩილი — ლექსები, № 10.

სვანიძე ლია — ქარო (ლექსი), № 6.

ფორჩხიძე შალვა — ლექსები, № 4.

ქვლივიძე მიხეილ — ლექსები, № 1.

ქემერტელიძე იორამ — ლექსები, № 7.

შალამბერიძე ოთარ — ეს ორი სიტყვა ძმადშეფიცული (ლექსი), № 2.

შალვაშვილი ბელა — ლექსები, № 9.

ჩოხელი ლეილა — ლექსები, № 3.

ჩხიკვაძე ვანო — ლექსები, № 9.

ცარციძე იზო — ლექსები, № 3.

ცხადაია ზოია — მამა (ლექსი), № 5.

ცაავა დალი — ლექსები, № 9.

ციგროშვილი ირაკლი — ლექსები, № 11.

ძნელაძე ვახტანგ — ლექსები, № 6.

წერეთელი ვერიკო — უხილავი მხატვარი (ლექსი), № 6.

წიკლაური ხვთისო — ლექსები, № 11.

ჭანტურია ტარიელ — წიგნიდან: „წყნარი მზის წელიწადი“, (ლექსები), № 1, წიგნიდან: დაწყვეტილი სერპანტინი (ლექსები), № 10.

ხალვაში ფრიდონ — ლექსები, № 12.

ხარანაული ბესიკ — ორი ორიენტირი (ლექსი), № 9.

ხეთაგური მზია — ლექსები, № 3.

ხოდაშნელი შოთა — იკორთა (ლექსი), № 11.

ჯანელიძე ჯანო — „მაღალი ცეცხლი, კეთილი ცეცხლი“ (ლექსები), № 9.

ჯალაღონია ნოდარ — ლექსები, № 7.

ჯაფარაშვილი ლალი — ლექსები, № 6.

ჯგუბურია მურმან — ლექსები, № 7.

ჯუსოითი ნაფი — შემოდგომის მელოდიები (ლექსი), თარგმნა გივი გეგეჭკორმა, № 7.

ჭიშკარიანი ეთერ — მოვა... მაგრამ როდის? (ლექსი), № 6.

## ძმობის სიმღერა

ახაევი რევაზ, კოზაევი ისიდორე, ფუხაევი ალექსანდრე, ხარებათი ლეონიდ — ლექსები, თარგმნეს: გივი გეგეჭკორმა, გივი ძნელაძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ტარიელ ჭანტურიამ, № 4.

ალი ოღლი ჩინგის, ბალიუკონიტე ონა, ნოვრუზი ჯაბირ, ზლოტნიკოვი ნატან, შიროკოვი ვიქტორ — ლექსები, თარგმნეს: ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი ძნელაძემ, № 6.

## პოეზიის მერიდიანები

რაბი ჟუჟა — ლექსები. თარგმნეს: ჯანსუღ ჩარკვიანმა, გივი ძნელაძემ, ტარიელ ჭანტურიამ, გივი გეგეჭკორმა, № 4.

გოეთე ვოლფგანგ — ფილოსოფიური ლირიკიდან. თარგმანი და კომენტარი ოთარ ჯინორიასი, № 8.

## ახალი თარგმანები

გუბლია გიორგი — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა მურმან ხურცილავამ, № 1.

გურგულია ბორის — ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა ზაურ ბოლქვაძემ, № 1.

ჰიუ ჩანი, ნგუენ კინგ-ჩი, ხო სუან-ხიონგი, ტუ-სი ონგი — ლექსები. თარგმნა მურმან ჯგუბურიამ, № 9.

რიცოსი იანის — მთვარის სონატა. თარგმნა იზა ორჯონიკიძემ, № 11.

შევჩენკო ტარას — ლექსები. უკრაინულიდან თარგმნა ამირან ახანიძემ.

ჩოსერი ჯეფრი — კენტერბერიული მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ, № 12.

## ნარკვევები

ალაზნელი ილო — გაუშლელი კვირტები, № 7.

არდაშელია ციალა — „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი...“, № 2. შეხვედრები აჭარელ ახალგაზრდებთან, № 6.

ვახტანგაძე მანანა — ქიზიყი და... ქიზიყელები, № 12.

ლუზინი ლაზარ — საბრძოლო ნაწილის უფროსი, № 2.

მეხრიშვილი ჯემალ — ყველა გზა შირაქში მიდის, № 8.

სანებლიძე არმაზ — მარტი: ლიონი-პარიზი, № 8.

სანადირაძე გიორგი — ფაზისის პირას მეფის ქალაში, № 10.

სამსონია ალექსანდრე — ხომალდი და ადამიანი, № 7.

ფიფია ზაურ — კოლხეთი... № 4.

ფრუიძე ლევან — ატენში გახლდით, № 12.

ჩხიკვაძე ვანო — შორს გავარდნილა მათი სახელი, № 3.

ციალაძე გიორგი — პარტიზანული ჩხოროწყუ, № 9.

ჯახუა გივი — ნათია, № 4.

## მოგონებები

დადიანი შალვა, — № 4.

მანი თომას — წინასწარმეტყველთან. გერმანულიდან თარგმნა ვლადიმერ ზარიძემ, № 6.

მეტრეველი როინ — ხალხის სამსახურით შთაგონებული სიცოცხლე, № 6.

შენგელია ალეკო, — № 2.

შუღლიაშვილი დავით — შალვა დადიანის უცნობი ჩანაწერები, № 4.

ჩარკვიანი ჯანსუღ — ოთარ ჭელიძე, № 11.

**ჯიბუტი ვლადიმერ** — გამხელილი ფიქრები, № 6.

### გამარჯვების 30 წელი

**ზაქარიაძე შოთა** — ექვსი თვე „მცირე მიწაზე“, № 5.
**თათარიშვილი ბენო** — მეწისქვილე. გაგრძელება, № 3, დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 7, 1974 წ.
**კოლოშვილი ლიდია** — „ავაზა“ და „მარუხბაში, № 1.
**კიკალიშვილი ვლადიმერ** — პოლიტმუშაკების უკვდავი გმირობა, № 4.
**მაჭარაძე ვალერიან, გურული ვახტანგ** — ქართველი და პოლონელი პარტიზანების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, № 5.
**რეხვიაშვილი სპარტაკ** — უკრაინელ პარტიზანთა მხარდამხარ, № 5.
**სულაბერიძე ლადო** — მოთხრობა სიკვდილის შემდეგ (პოემა), № 2.
**ყურაშვილი გიორგი** — ქართველები დიდ სამამულო ომში, № 5.
**ცერცვაძე ლიუდმილა** — დაფერფლილი გული, № 5.
**ხუბულური ლარისა** — ჯარისკაცის წერილები, № 5.

### სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად

**ჩვენი ნოემბერი**, № 11.
**დამამთავრებელი წელი** — გამარჯვებათა წელი, № 12.

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა, პუბლიკაცია

**ასათიანი გურამ** — გზის დასალოცად, № 4.
**აფრიდონიძე შოთა, ჯაბიძე დავით** — ლენინური კომკავშირი დიდ სამამულო ომში, № 5.
**ალიმონაკი ლერი** — კოლხური მზის სადიდებელი, № 11.
**ბახტაძე ალექსანდრე** — საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება, № 5.
**ბიბილეიშვილი მაია** — გერონტი ქიქოძე ფრანგული კრიტიკის შესახებ, № 4.
**ბერიძე თეიმურაზ** — ძველი თბილისის შემოგარენის ისტორიიდან, № 12.
**ბუაჩიძე თამაზ** — „...როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი“, № 2.
**ბესტავაშვილი ანაიდა** — დინოზავრის ნაკვალევზე, № 7.
**გამსახურდია ზვიად** — „ღია ბარათის“ პასუხი, № 3.
**გელაშვილი ნანა** — სპარსული წყარო საქართველოს შესახებ, № 8.
**გიგაური ცისანა** — რომაული ეპოსის განვითარების ზოგიერთი ტენდენცია, № 3.
**ვაჩნაძე გიორგი** — დასავლეთის პროპაგანდის ნაციონალისტური ასპექტები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, № 1.
**ზაქარიაძე მზია** — მუშათა კლასის მეგობრობის ისტორიიდან, № 4.
**ზლატკინი მარკ** — საბჭოთა პატრიოტიზმი ლიტერატურის შთამაგონებელი ძალა, № 5.
**თევზაძე დავით** — ლადო ავალიანი, № 2.
**თავდიშვილი მურმან** — ჰკიდია მზე თავის ადგილზე, № 4, ახალი სახელები, № 7.
**თუშმალიშვილი მედეა** — არმან სალაკრუს ანტიფაშისტური პიესები, № 3.
**იოვაშვილი დიმიტრი** — აგაბოს და მისი ვაჟების ტრაგიკომედია, № 12.
**იმედაშვილი გაიოზ** — ზოგი გახსენება და ფიქრი აკაკიზე, ვაჟაზე, გალაკტიონზე, № 6.
**კალანდაძე ლავროსი** — ერთი ნაწარმოების სულისკვეთებისა და მისი გენეტიური სათავის გამო, № 1.
**კაკაბაძე ნოდარ, ცინცაძე ხათუნა** — ერთი თანამედროვე ლექსის ინტერპრეტაციის ცდა, № 10.
**კვაჭანტირაძე თამაზ** — „ისე. ვითარცა... № 5.
**კაჭარავა იური** — აკად. ნ. ბერძენიშვილის ისტორიოგრაფიული ძიებანი, № 7.
**ლაშქარაძე დავით** — ევროპეიზმი ანტონ ბაგრატიონის შემოქმედებაში, № 11.
**მაღლაფერიძე თეიმურაზ** — ჭოლა ლომთათიძის მხატვრული სამყარო, № 2.
**მაღრაძე ელგუჯა** — ჯონ გოლზუორთი, № 3.
**მაისურაძე დავით** — ქართველი ინტელიგენციის წვლილი დიდ სამამულო ომში, № 5.
**მეგრელიშვილი ზაქრო** — რატომ გაიხსენეს დოროთი პარკერი?, № 4.
**მენაბდე ედუარდ** — თავისუფალი ვიეტნამი 30 წლისაა, № 9, ევროპა: გუშინ, დღეს, ხვალ... № 11.
**მენაბდე ლევან** — რუსთველი რუმინეთში, № 1.
**მირიანაშვილი მადლენა** — ძველი ქართული სავალობლების ნოტებზე ჩაწერის შესახებ, № 1.
**მჭედლიშვილი ვასილ** — უპირველესი ჟანრი, № 7.
**ნიჟარაძე ენვერ** — „გულის მეორე მხარე“, № 11.
**პაიკიძე ვახტანგ** — მიხეილ ზოშჩენკო — „იუმორისტული მოთხრობები“, № 10.
**პაჭკორია ოტია** — „მშვენიერება დამებედა მე“..., № 9.
**რჩეულიშვილი ლევან** — ვახტანგ ბერიძე, № 4.
**სანიკიძე ლევან** — წიგნი გოდებისა, № 6.
**სიგუა სოსო** — ახალი რკალი, № 1.
**სიგუა ალექსანდრე** — პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, № 4.
**სპარსიაშვილი არჩილ** — დიდი სამამულო ომი

...ული ბიბლიოთეკა

რაიონული გაზეთების ფურცლებზე, № 5.
სახელი მისი — უკვდავება! № 7.
ფარულავა გრიშერ — ექო სულისა, № 2.
ფრუიძე ლევან — ქართული ეთნოგრაფია თანამედროვეობის სამსახურში, № 2.
ქართველიშვილი მედეა — რევოლუციის მგზნებარე მომღერალი თავისუფლების კუნძულიდან, № 9.
ღირსეულად შევხვდებით ლენინელთა დიად ფორუმს, № 6.
შატბერაშვილი ლიანა—სიმონ ჩიქოვანის „განჯის დღიური“, № 3.
შენგელია გულიკო — ეკატერინე გაბაშვილი ქალთა პროფესიული განათლების შესახებ, № 3.
შენგელია მიხეილ — გონიერებით და სიკეთით შემკობილი, № 4.
ჩაჩავა ირმა — ახალი ბეთჰოვენი, № 8.
ჩხაიძე თენგიზ — ახალგაზრდა კაცის ფსიქოლოგიისათვის, № 1.
ჩხეიძე ნოდარ — ახალი სახელი ქართულ მწერლობაში, № 9.
ჩხეიძე ირმა — მირზა გელოვანის ფრონტული ლირიკა, № 5.
ჩხიკვიშვილი დავით — ა. ი. სუმბათაშვილი და მოსკოვის ქართველთა საზოგადოება, № 10.
ჩვენი ნოემბერი, № 11.
ცინცაძე თამარ — ამერიკელ ზანგთა თანამედროვე ლიტერატურის საწყისები, № 3.
ჭინჭარაული ალექსი — „ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან“, № 9.
ჯაფარიძე გოჩა — თამაზ ნატროშვილი: — „მაშრიყით მაღრიბამდე“, № 12.
ხალვაში ფრიდონ — მართალი კაცის ხმა, № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვნება

მგალობლიშვილი ნოდარ — რამაზ კიკნაძე, № 2.
ორლოვსკაია ნატალია — იბერია XVII საუკუნის ინგლისურ პიესაში, № 9.
თავაძე ოლესია — ლევან ბაიახჩევის შემოქმედება, № 4.
ჩხარტიშვილი ამირან — თანამედროვე ქართული ქანდაკების გამოფენა, № 2.

## სპორტი

გაგუა ოთარ — ბორის პაიჭაძე, № 7.
გოგელია არჩილ — ნონა და ნანა, № 9.
ტალაბაძე ტ. — „ი-ვე-რი-ა! ი-ვე-რი-ა! ი-ვე-რი-ა!“, № 10.

## ათეისტის კუთხე

ფანჯიკიძე თეიმურაზ — გამოსყიდვის (მონანიების) პრობლემა, № 4.

## სატირა, იუმორი, პაროდია

ჩანტლაძე შოთა — მინიატურები, № 10.
ტია-ტია — № 1, № 9, № 11.

უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკა, № 1, № 2, № 3, № 4.

ჟურნალ „ცისკრის“ 1975 წლის ნომრების შინაარსი, № 12.

ჟურნალი გააფორმა ლ. ერისთავმა.

ტექნიკური ხელმძღვანელი ხ. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი“ — 93-17-63.

გადაეცა ასაწყობად 23/X-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-75 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ.-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა № 3391 უე 02090 ტირაჟი 30900.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ბრძოლა, გმირობა, მამულის მოვლა,
სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი,
სიკეთისაკენ მარადი ლტოლვა,
ღალატისადმი — მარადი ზიზღი;
პური, მარილი და ღია კარი,
სინდის-ნამუსის კანონი მკაცრი, —
იყო და არის, იყო და არის
სამკაულები ქართველი კაცის.

**მარი აბრამიშვილი**

უბნის ძველი ლოთი-ფოთი —
გაზაფხულის ქარი
მომივარდა ერთი შფოთით,
შემიგლიჯა კარი;
მომაყარა ტყემლის, ნუშის,
ყვავილების თქეში,
გამახვია მზის ალმურში,
ცისარტყელის ფერში —,
დამეჯახა, გამაბრუა,
ამიყვანა ხელში.

**მზია ჩხეტიანი**

ერთ დღეს ვიშვი და გავთავდები
ასევე ერთ დღეს,
ენდე ჩემს სიტყვას,
ჩემს გულისთქმას მიჰყევ და ენდე;
შენთვის ყვავილობს, შენთვის —
ჩემი სიცოცხლის ყლორტი,
შენც ერთი გზა გაქვს —
ის ერთი გზაც ჩემამდე მოდის...

**ნელი [illegible]**

მე აღარ დამრჩა არც ერთი სიტყვა,
შენთვის სათქმელი მე აღარ დამრჩა,
ქება ისედაც მრავალი ითქვა,
ახლა გჭირია უსიტყვოდ გარჯა.

მე ჯერ—მოვდივარ...
მოვდივარ ახლა
და, დროზე ადრე თუ არ წავედი, —
მზესავით უნდა მეჭიროს მაღლა
ჩემი თბილისი და რუსთაველი.

**დალილა ბედიანიძე**

ადექ,
მონასესხებ დღეთა
მიწას დაუბრუნე ვალი,
რა გაქვს საკინკლაო ღმერთთან,
თუ არ დაგიბრმავა თვალი,
შენთვის გაიმეტა თუკი
ორი დღეკეთილი ხილად,
ადექ,
ხმამაღალი ბუკით,
მთებზე გადმომდგარა დილა!

**იზა ორჯონიკიძე**

მე ხომ ყველა ქალ'ში ვმეორდები
და შენს სახელს უსაშველო
თოვლში

ავაფარე შინდისფერი თმები —
ჩემი დიდი მარტოობის დროშა...

**ლია სტურუა**

სულდგმულთა სიმრავლე
მიწას ძალას ჰმატებს —
მსურს მოდგმა ქართველთა
გაბევრდეს... გაბევრდეს...
ნეტაი, ეს ქალი უფრო გალამაზდეს
ნეტაი, ეს კაცი არასდროს დაბერდეს

**ზინა სოლომნიშვილი**

ეს გაუმარჯოს ათასობით უნაზეს სიტყვას,
რომელსაც ეტყვი ჩემთვის უცნობ, მშვენიერ ქ
ახლო მეგობრებს, ლამაზ ბავშვებს,
ან კიდევ — დედას!..
ეს გაუმარჯოს ვარსკვლავების უებრო ციმციმს,
შემოდგომის უღრუბლო ცაზე...

**ნელი გაბრიჩიძე**

შენს [illegible]ობას, შენს გმირობას
[illegible] მოსავს ნათლის!
შენ დიდება, დედავ მიწის,
[illegible] მზის და ქართვლის, —
კვლავაც ვარწევთ
შენს ცხრა აკვანს —
ცხრა მუხისგან გათლილს!..

**ლიდა სტვილია**

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236